

## სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული ვითარება XIX ს. 20 –30- იანი წწ. საქართველოში

მე-19 საუკუნის დასაწყისი უმნიშვნელოვანესი უღელტეხილია ქართველი ხალხის ისტორიულ განვითარებაში. ამ დროიდან იწყება ახალი პერიოდი ქართველი ხალხის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მე-19 ს. დასაწყისიდან ქართველი ხალხის ბედი მტკიცედ დაუკავშირდა რუსი ხალხის ბედს. ყველაზე შორსმჭვრეტელი ქართველი პოლიტიკოსები, რომლებიც მოწინავე საზოგადოებრივი ფენების ინტერესებს გამოხატავდნენ. რუსეთში ხედავდნენ ერთმორწმუნე ძლიერ სახელმწიფოს, რომელსაც შეეძლო მტრებთან განუწყვეტელი ბრძოლებით და შინაგანი პარტიკულარიზმით დაუძღვრებული საქართველო ეხსნა აღმოსავლეთის აგრესიული ქვეყნების ხელყოფისაგან.

ქართველი ხალხის ფიქრთა მპყრობელმა ილია ჭავჭავაძემ რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიული მნიშვნელობა შემდეგი სიტყვებით გადმოსცა: “ დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემადრწუნებელ სახსოვრად-და დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა... ის დღე და ეს დღე, ველარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში”<sup>[1]</sup>.

მე-19 საუკუნის 20 – 30-იანი წლებიდან ჩვენში იქმნება შესაძლებლობა საწარმოო ძალთა განვითარებისათვის და ქვეყნის ფეოდალურ დაქუცმაცებას თანდათან ბოლო ეღება. სამეურნეო განვითარებამ ერთმანეთს დაუკავშირა საქართველოს ცალკეული მხარეები და საერთო ეკონომიურ ორბიტაში მოაქცია წინათ განკერძოებული ფეოდალური სამთავროები. ქალაქების ზრდა და ცხოვრების ევროპული ფორმების დანერგვა, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა ძირს უთხრიდა ფეოდალურ-პატრიარქალურ წესებს. იღვიძებდა საზოგადოებრივი შეგნება. ყოველივე ამან თანდათან გააძლიერა სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ამრიგად, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარშივე შეიცვალა საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების გეზი,

რამაც ხელი შეუწყო ქართველ ხალხს კოლონიური ჩაგვრის მძიმე პირობებშიც კი გაედრმავებინა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი, საკაცობრიო პროგრესის უახლესი მიღწევებით გაემდიდრებინა თავისი მრავალსაუკუნოვანი კულტურა და ჩაბმულიყო ეპოქის საზოგადოებრივი მოძრაობის ფერხულში.

ახალ ისტორიულ კალაპოტში ჩამდგარ ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას მარტოოდენ ზემოაღნიშნული დადებითი მოვლენები როდი ახასიათებდა ;მას, ამასთან ერთად, მძიმე განსაცდელი და დაბრკოლებები ხვდებოდა თავისი წინსვლის გზაზე. რუსეთის თვითმპყრობელობამ, " ხალხთა საპყრობილედ" წოდებულმა. საუკუნის დასაწყისიდანვე მიჰყო ხელი ქართველი ხალხის პოლიტიკურ და ეკონომიურ ჩაგვრას. ცარიზმი, რომელიც რუსი ხალხის უბოროტესი მტერი იყო, მით უმეტეს, ცდილობდა ძირშივე ჩაეკლა ქართველი ხალხის სწრაფვა სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისაკენ, ჩაეხშო ქართული ნაციონალური კულტურის ყოველი გამოვლინება.

სოციალურსა და ეროვნულ ჩაგვრას ქართველი გლეხობა პასუხობდა აჯანყებებით. ეს იყო მშრომელი მასების პასუხი არა მარტო ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის, არამედ საკუთარი თავადაზნაურობისაგან სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგაც. თავადაზნაურობის ცალკეული წარმომადგენლები კი თავის მხრივ ცდილობდნენ გლეხთა მასების აღშფოთება დაეპირისპირებინათ მხოლოდ და მხოლოდ ცარიზმისათვის.

საქართველოს რუსეთთან შეერთებას წინ უძღოდა რთული ისტორიული მოვლენები, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია 1783 წლის 24 ივლისს რუსეთსა და საქართველოს შორის გეორგიევსკში დადებული ტრაქტატი, ე.წ. " მეგობრობითი პირობა". ამ ხელშეკრულებით აღმოსავლეთ საქართველომ რუსეთის მფარველობა მიიღო, მაგრამ ინარჩუნებდა თავის სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს, ხოლო რუსეთი ვალდებულივას იღებდა მაჰმადიანურ სახელმწიფოთა ხელყოფისაგან დაეფარა საქართველოს სამეფო. ეს ტრაქტატი გამოხატავდა ჩვენი ქვეყნის მოწინავე ფენების პოლიტიკურ მისწრაფებებს.

რუსეთთან საქართველოს დაკავშირებამ მეზობელი მაჰმადიანური სამყარო აღაშფოთა, რასაც მოჰყვა აგრესიული აქტები საქართველოს მიმართ მეზობელი სახანოების, ოსმალეთისა და ბოლოს სპარსეთის მხრივ. ქართველი ხალხისათვის ყველაზე გამანადგურებელი იყო აღა- მაჰმად-ხანის თავდასხმა 1795 წელს. მისმა ურდოებმა ააოხრეს საქართველოს დედაქალაქი და ველური

მრისხანებით გაჟლიტეს მოსახლეობა, ხოლო გადარჩენილი ქართველობა ათასობით ტყვედ წაიყვანეს.

ასეთ მძიმე განსაცდელში ქართველი ხალხი მარტო რჩებოდა მაჰმადიანურ სახელმწიფოთა ურიცხვი ურდოების პირისპირ, მეფის რუსეთის მთავრობა არ ასრულებდა 1783 წლის ტრაქტატით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, რაც საქართველოს მმართველ წრეებში დიდ შეშფოთებას იწვევდა. ქართლ-კახეთის მეფე, ერეკლე მეორე, არაერთგზის მიმართავდა რუსეთის იმპერატორს, პირნათლად შეესრულებინა გიორგიევსკის ტრაქტატთან ნაკისრი ვალდებულებანი და სთხოვდა სამხედრო დახმარების აღმოჩენას. მისი ელჩი რუსეთის საიმპერატორო კარზე – გარსევან ჭავჭავაძე პავლე პირველისადმი 1797 წლის 31 დეკემბრის თარიღით წარდგენილ ნოტაში აღნიშნავდა: გსურთ თუ არა თქვენ, დიდო ხელმწიფეო, წინანდებურად დაიცვათ ხსენებული ტრაქტატი და გსურთ თუ არა, ჩემს მეფესა და ხალხს გაუწიოთ დახმარება, რაც გათვალისწინებულია ამ ტრაქტატით, თუ რაიმე მიზეზით ამის გაკეთება არ არის შესაძლებელი განსაზღვრულ დრომდე? <sup>[2]</sup>

მაჰმადიანურ სახელმწიფოთა მფლობელები ქართლ-კახეთის მეფეს დაჟინებით მიმართავდნენ რათა მას უარი ეთქვა რუსულ ორიენტაციაზე და მათთან შეეკრა სამხედრო კავშირი. მაგრამ დიდი სტრატეგი და შორსმჭვრეტელი ერეკლე II მტკიცედ ადგა ისტორიული სინამდვილით ნაკარნახევ, ადრე არჩეულ საგარეო პოლიტიკის გეზს. ამ რწმენით ჩავიდა იგი საფლავში 1798 წელს. ქართლ-კახეთის სამეფოს შინაგანი კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდა ერეკლე მეორის გარდაცვალების შემდეგ. მეფის მემკვიდრეთა ურთიერთ შორის ცილობამ, გამწვავებულმა ფეოდალურმა პარტიკულარიზმმა და დამაბულმა საგარეო პოლიტიკურმა ვითარებამ ხელი შეუწყო რუსეთის მეფის მთავრობას, თვითნებურად გაეუქმებინა აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო სუვერენიტეტი და შეეერთებინა იგი რუსეთის იმპერიისათვის როგორც მისი შემადგენელი ნაწილი. მალე ეს ბედი ეწია დასავლეთ საქართველოსაც

თვითმპყრობელობის მიერ საქართველოში ახლად შემოღებული საგუბერნიო ბიუროკრატიული მმართველობა და ქართველი ხალხისათვის გაუგებარ ენაზე წარმოებული სასამართლო დიდ უკმაყოფილებას იწვევდა მოსახლეობაში. სამეურნეო-ფინანსური გართულებანი, მეფის მოხელეთა თავგასულობა და მექრთამეობა, რომელშიც მმართველობის უმაღლესი პირებიც იღებდნენ მონაწილეობას, სამხედრო ბიუროკრატიის მიერ მოსახლეობის

მარცვა და შევიწროება კოლონიური ჩაგვრის პირველივე წლებში გამოვლინდა როგორც ადმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიაში ცნობილია გლეხთა ფართო მასშტაბის რამდენიმე აჯანყება, რომელთაგან უნდა დავასახელოთ 1804 წლის მთიულეთის აჯანყება, 1810 და 1819 წლების ამბოხებანი იმერეთში, 1812 წლის კახეთის გლეხთა აჯანყება. ამ აჯანყებებმა, ველური სისასტიკით რომ ჩაახშეს მეფის ჯარებმა, ნათლად დაანახვა თვითმპყრობელობის სატრაპებს, თუ რა გრანდიოზული ძალა გააჩნია ხალხს, როცა ის იბრძვის თავისუფლების მოსაპოვებლად. გლეხთა ეს გამოსვლები სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათს ატარებდა.

ამრიგად, ქართველი ხალხი არ ურიგდებოდა თვითმპყრობელობის კოლონიურ უღელს. მასობრივი აჯანყებები მხოლოდ დროებით წყდებოდა და კვლავ ახალი ძალით იფეთქებდა ხოლმე.

მე-19 საუკუნის საქართველოს სოციალურ ცხოვრებაში ზემოთ აღწერილ საერთო-სახალხო აჯანყებებს უაღრესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა: აღვიძებდა ქართველი ხალხის საზოგადოებრივ ცნობიერებას და სერიოზულ ძალას წარმოადგენდა თვითმპყრობელობის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. ეს ძლიერი სოციალური მოძრაობები თავის გამოძახილს პოულობდა ქართველი ხალხის საზოგადოებრივ აზროვნებაში, მის მდიდარ მხატვრულ ლიტერატურაში. აღნიშნულ ისტორიულ მოძრაობებთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ ალ. ჭავჭავაძის სოციალური პათოსით გამთბარი თხზულებანი, გრიგოლ ორბელიანის რესპუბლიკური იდეალები, სოლომონ დოდაშვილის პროგრესული აზრები და განსაკუთრებით კი შემოქმედება ნ. ბარათაშვილისა, რომელმაც შექმნა თავისუფლების დიდებული ჰიმნი და ქართველი ხალხის უდრეკი ნებისყოფა გამოხატა.

იმ დროს, როცა ქართველი ხალხის ფართო დემოკრატიული ფენები შეურიგებლობას იჩენდნენ ცარიზმის მიმართ, მმართველი კლასები თანდათან ეგუებოდნენ თვითმპყრობელობის ბატონობას. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს ფეოდალური კლასის პოლიტიკური ევოლუციის პროცესი. საქართველოში რუსეთის ხელისუფლების დამყარებას მეტად უარყოფითად შეხვდნენ არა მარტო ქართული სამეფო კარის წარმომადგენლები (დედოფლები, ბატონიშვილები), რომლებიც იმთავითვე ჩამოაშორეს სახელმწიფოს მმართველობას და იძულებით რუსეთში გაისტუმრეს, არამედ თავადაზნაურობის უმეტესობაც. ფეოდალური არისტოკრატია გრძნობდა, რომ ახალ ვითარებაში კარგავდა თავის პოლიტიკურ

პროეროგატივებს. ამ გარემოებამ გამოიწვია ( 1802 წლის ივლისში) კახეთის თავადაზნაურობის აჯანყება და რუსეთის მთავრობისადმი აღშფოთებით აღსავსე პეტიციები.

ცარიზმი თავისი კოლონიური პოლიტიკის მთელ გამოცდილებას იყენებდა ქართველი თავადაზნაურობის მიმართ, რომელსაც ძლიერი წოდებრივი ტრადიციები გააჩნდა. ბატონიშვილებს და იმათ მომხრე ოპოზიციურად განწყობილ თავადაზნაურობას თვითმპყრობელობა პირველ ხანებში მკაცრად ეპყრობოდა, ძირშივე სპობდა ყოველ მათ პოლიტიკურ წინააღმდეგობას. მაგრამ ამავე დროს თვითმპყრობელობა პირველ ხანებში მკაცრად ეპყრობოდა, ძირშივე სპობდა ყოველ მათ პოლიტიკურ წინააღმდეგობას. მაგრამ ამავე დროს თვითმპყრობელობა ელასტიკურ პოლიტიკას მიმართავდა თავადაზნაურობისა და აგრეთვე ქართული სამეფო გვართ უკმაყოფილო მთავრებისა და ერისთავების მიმართ. მეფის მთავრობამ თანდათან შემოიმტკიცა თავადაზნაურობის დიდი ნაწილი და იგი ქართველ გლეხთა ანტიკოლონიურ და ანტიფეოდალურ აჯანყებათა ჩამხშობ ძალად გამოიყენა. ამასთანავე, მეფის ბიუროკრატიულმა ხელისუფლებამ ქართველი ფეოდალური არისტოკრატიის მთელი რიგი წარმომადგენლები უხვად დააჯილდოვა. ყოველივე ამან ფერი უცვალა თავადაზნაურული არისტოკრატიის ძირითადი ნაწილის ნაციონალურ გრძნობებს. განსაკუთრებით 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ.

ნ. ნიკოლაძე გერცენის "კოლოკოლში" შემდეგნაირად ახასიათებდა მეფის მთავრობის ამგვარ პოლიტიკას: "პეტერბურგის "მმართველ სფეროებში", -წერდა ქართველი პუბლიცისტი 1865 წელს, -უეჭველად უნდა აღძრულიყო საკითხი: როგორ გაეერთოებინათ ქართველი ხალხი რუსეთის იმპერიისათვის... ეს საკითხი მართლაც აღძრა და, როგორც მოსალოდნელი იყო, შემდეგნაირად გადაიჭრა: ხელი შეეწყოთ და, თუ საჭირო იქნებოდა, შეექმნათ კიდევ საქართველოში თავადაზნაურობა; რუსეთის მთავრობის ერთგულად გაეხადათ იგი საუკუნის ინტერესებით, ჩინებით, საჩუქრებით და ჯამაგირით და სხვა არაფერი , თუ არ გავიხსენებთ რუსეთის, ხიმტებსა და ზარბაზნის ყუმბარებს. ხოლო ის, რომ თავადაზნაურობის გარდა არსებობს და იარსებებს ხალხი, პეტერბურგის მთავრობას მხოლოდ იმისთვის მოაგონდა, რომ ეს ხალხი ერთგული ქვეშევრდომი თავადაზნაურობის ერთგვარ ჯამაგირის წყაროდ გადაეცია, აი, ასე გადაიჭრა რუსეთისადმი საქართველოს გაერთოებლების საკითხი"<sup>[3]</sup>

1832 წლის შეთქმულება უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს ახალ ისტორიაში. მან დიდი გამოძახილი პოვა იმ დროს ქართულ ლიტერატურაში და საზოგადოებრივ აზროვნებაში. მწერლობაში გამეფდა თავისუფლებისმოყვარეობის სულისკვეთება. მართალია შეთქმულთა დიდი ნაწილის მიზნები მონარქიულ-კონსტიტუციური პრინციპებით იყო განსაზღვრული, მაგრამ მთავარი ისტორიულ პროგრესულ ძალას წარმოადგენდა მცირე მოწინავე ჯგუფი, რომელიც მაშინდელი დროისათვის პროგრესულ სოციალურ-პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა და რომელიც ქართველი საზოგადოების მოწინავე ფენების ინტერესებს გამოხატავდა. ქართველ თავადაზნაურთა 1832 წლის შეთქმულების წარმოშობას ეროვნულ-ისტორიული ვითარება განსაზღვრავდა. უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე, რომ, ერთი მხრივ, იგი ეხმაურებოდა იმ იდეურ-საზოგადოებრივ სიტუაციას, რომელიც შეიქმნა რუსი თავადაზნაურ-რევოლუციონერების-დეკაბრისტთა 1832 წლის ამბოხებასთან დაკავშირებით.

დამონებულ სამშობლოს მდგომარეობას და ახალ განმათავისუფლებელ იდეებს, რითაც გაჟღენთილი იყო მაშინდელი საზოგადოებრივი ატმოსფერო, არ შეეძლო თავისი ზეგავლენა არ მოეხდინა მოაზროვნე ქართველი ახალი თაობის სოციალურ-პოლიტიკურ მსოფლმხედველობაზე.

გასული საუკუნის 20-იან წლებში პეტერბურგში ჩაისახა ქართული საიდუმლო საზოგადოება. ამ ხანებში ფარული საზოგადოების ერთი ჯგუფი, ელიზბარ, დიმიტრი და გიორგი ერისთავების შემადგენლობით, ჩამოყალიბებულა პეტერბურგში, შემდეგ კი ანალოგიური, უფრო ძლიერი ფარული საზოგადოება დაარსდა თბილისში, 1828 წელს. ამ საზოგადოების სულის ჩამდგმელნი იყვნენ: ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი, და სოლომონ დოდაშვილი; მასში მონაწილეობას იღებდა ქართული თავადაზნაურული ინტელიგენციის რჩეული ნაწილი და რაზნოჩინული წრიდან გამოსული რამდენიმე მოაზროვნე ახალგაზრდა. საიდუმლო საზოგადოებაში გაერთიანებულნი იყვნენ: ალექსანდრე ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილი, ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი, ფილადელფოს კიკნაძე და სხვანი. საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა თბილისის ყოფილ გუბერნატორს ზავილეისკის, რომელიც თავისუფლად მოაზროვნე პირად იყო ცნობილი. ფარული საზოგადოების ხელმძღვანელებს იმედი ჰქონდათ, ზავილეისკის სამუალებით საქართველოში

გადმოსახლებული პოლონელი ოპოზიციური ელემენტების სრულ მხარდაჭერას მოიპოვებდნენ.

ფარული საზოგადოება მიზნად ისახავდა საქართველოს განთავისუფლებას ცარიზმის მონობისაგან, სამშობლო ქვეყნის პოლიტიკური სუვერენიტეტის მოპოვებას აჯანყების გზით. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმის შესახებ შეთქმულთა შორის, როგორც ჩანს, თავიდანვე სხვადასხვა შეხედულება არსებობდა. იყვნენ საქართველოს ძველი სამეფო წყობილების სრული რესტავრაციის მომხრეები, მაგრამ დიდი უმეტესობა მხარს უჭერდა კონსტიტუციური მონარქიის ფორმას, რამაც, ბუნებრივია, თავისი გამოხატულება პოვა ფარული საზოგადოების საბოლოოდ ჩამოყალიბებულ დოკუმენტებში.

საიდუმლო საზოგადოების ხელმძღვანელებმა შეიმუშავეს საერთო სამხედრო გეგმა, მათ სრული იმედი ჰქონდათ აჯანყებაში ქართველი თავადაზნაურების ჩაბმისა, აგრეთვე იმედოვნებდნენ, რომ ამოდრავებდნენ გლეხთა მასებს სხვადასხვა შემაშფოთებელი ხმების გავრცელებით აჯანყების წინა დღეებში. შეთქმულები ითვალისწინებდნენ ცარიზმის საშინაო და საგარეო მდგომარეობას და ამის მიხედვით იღებდნენ გარკვეულ სამხედრო სტრატეგიულ გეზს.

შეთქმულთა პროექტით მთავრობაში უმაღლესი პოსტები ეჭირათ ისეთ პროგრესულ ადამიანებს, როგორც იყვნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე და გიორგი ჭილაშვილი. ისინი თავისი დროის მოწინავე პოლიტიკური აზროვნების დონეზე იდგნენ და რუსეთის და დასავლეთ ევროპის განმათავისუფლებელი მოძრაობის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. აღნიშნული ფაქტი ბევრს მეტყველებს შეთქმულთა მომავალი სახელმწიფოებრივი წყობილების ხასიათის შესახებ.

მთავრობამ შეთქმულების აღმოჩენის შემდეგ მისი მონაწილენი გაასამართლა, დაყო კატეგორიებად და მათ უმეტესობას მიუსაჯა გადასახლება რუსეთის შორეულ გუბერნიებში. ზოგი მათგანი გადასახლებაში დაიღუპა, სამშობლოს ნახვაც კი არ ეღირსა.

1832 წლის შეთქმულების დამარცხების ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ მის მესვეურებს კავშირი არ ჰქონდათ ხალხთან, შეთქმულება არ ეხმაურებოდა ხალხის ფართო ფენების ინტერესებს.

მიუხედავად ამისა, აღნიშნული ფარული საზოგადოების მოღვაწეობაში მოჩანს ისეთი პროგრესული ტენდენციებიც, რაც ქართველი ინტელიგენციის მოწინავე იდეური მოძრაობის გარკვეულ ნიშნებზე მიგვითითებს.

1832 წ. აჯანყების ობიექტურ-ისტორიული შეფასება მოითხოვს მისი რთული ბუნების ღრმა, ყოველმხრივ განხილვას იმ დროს საქართველოს იდეურ-პოლიტიკურ აზროვნებასა და სოციალურ ვითარებასთან მჭიდრო კავშირში. მართალია, 1832 წ. შეთქმულთა დიდი ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ, მომხრე იყო საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს კონსტიტუციურ-მონარქიულ საფუძველზე აღდგენისა, მისი მცირე, მაგრამ გავლენიანი ნაწილი, ს. დოდაშვილის მეთაურობით, უსათუოდ შედგებოდა იმ დროისათვის მოწინავე სოციალურ-პოლიტიკური რწმენით აღჭურვილი მოაზროვნეებისაგან.

თუ ჩვენ გავაანალიზებთ 1832 წ. შეთქმულების მონაწილეთა პროგრესული ნაწილის – ცნობილი ქართველი მოღვაწეების ალ. ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, სოლ. დოდაშვილისა და სხვათა შემოქმედებასა და მსოფლმხედველობას, აგრეთვე იმ დროის სხვა საზოგადოებრივ-ისტორიულ მოვლენებს – დავრწმუნდებით, რომ ამ ნაწილს გააჩნდა მოწინავე სოციალურ-პოლიტიკური კონცეფცია და იდეურად დაკავშირებული იყო რუსეთის იმ დროისათვის პროგრესულ – დემოკრატიულ მოძრაობასთან.

უკვე XVIII - XIX საუკუნეების უღელტეხილზე გამომჟღავნდა ქართული სახელმწიფოებრივი წყობილების ახლებურად გარდაქმნის მნიშვნელოვანი ტენდენციები. ცნობილია, რომ იოანე ბატონიშვილმა თავის მამას, გიორგი მეთორმეტეს, 1799 წელს წარუდგინა საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების პროექტი.

ამ ფაქტის აღნიშვნა საკმარისია, რომ დავასკვნათ, თუ როგორ გრძნობდნენ მაშინდელი მოწინავე პოლიტიკოსები თავისი ქვეყნის სახელმწიფოებრივი წყობილების გარდაქმნის საჭიროებას. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში ბევრი ქართველი მოღვაწე გადაასახლეს ან თავის ნებით წავიდა პეტერბურგსა და მოსკოვში. აქ მათი მსოფლმხედველობის შემუშავებაზე დიდი ზეგავლენა იქონია არა მარტო სამშობლოს ბედმა ( რასაც ისინი ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს), არამედ რუსეთისა და ევროპის იდეურ-საზოგადოებრივმა ცხოვრებამაც. ისინი მოწმენი გახდნენ 1812 წ. დიდი სამამულო ომისა, რომელმაც აამოძრავა რუსი ხალხის ენერჯია. ბევრმა ქართველმა გენერალმა, ოფიცერმა და ჯარისკაცმა ისახელა თავი ამ ომში. მათ მოუხდათ ევროპაში ყოფნა და გაეცნენ პროგრესულ იდეებს (მათ შორის იყო შეთქმულების მონაწილე ალ. ჭავჭავაძეც). ქართველ მოღვაწეთა აღნიშნული წრეები მოწმენი იყვნენ აგრეთვე ისეთი დიადი ისტორიულ-რევოლუციური მოვლენისა რუსი ხალხის ცხოვრებაში,



როგორც იყო დეკაბრისტების გამოსვლა 1825 წ. სენატის მოედანზე. შეუძლებელი იყო ამ დიდი მნიშვნელობის სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს ერთგვარი იდეური ზეგავლენა არ მოეხდინა სამშობლოს ბედზე დაფიქრებულ მოწინავე ქართველ მოღვაწეებზე. ამას საუკეთესოდ ადასტურებს იოანე და დავით ბატონიშვილების, ალექსანდრე ჭავჭავაძის, სოლომონ დოდაშვილის და სხვათა ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა. პროგრესული იდეების გავლენა მნიშვნელოვანი ფაქტორია ამ დროის ქართველ მოღვაწეთა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარია თვით საქართველოს ისტორიულ-საზოგადოებრივი ვითარება. მათს სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა შემუშავებაზე დიდი ზემოქმედება იქონია საქართველოში ცარიზმის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ მიმართულმა გლეხთა მასიურმა აჯანყებებმა, რომლებიც ისეთი ძლიერი სტიქიური სახალხო რევოლუციური მოძრაობის ხასიათს იღებდა, რომ უაღრესად კრიტიკულ მდგომარეობაში აგდებდა ცარიზმის სატრაპებს და კოლონიური რეჟიმის ყოფნა-არყოფნის საკითხს აყენებდა ხოლმე.

ს. დოდაშვილი პეტერბურგში იმყოფებოდა 1832 წ. დეკემბერში, როცა სენატის მოედნიდან ზარბაზნების ქუხილმა მთელი რუსეთი შეაზანზარა. დოდაშვილს კავშირი ჰქონდა დეკაბრისტულად განწყობილ პიროვნებებთან. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო გაჩხრეკისას მას უპოვეს დეკაბრისტულ მოძრაობასთან დაკავშირებული დოკუმენტი, რომელიც რუსეთიდან სამშობლოში ჩამოეტანა.

ამჟამად მრავალმეტყველი მასალა მოგვეპოვება იმის დამადასტურებლად, თუ რა გაბედულებით იბრძოდა ს. დოდაშვილი, როგორც თავისი დროის დემოკრატი-განმანათლებელი, ქართველი ხალხის უფლებების დასაცავად, მეფის ჩინოსნებისა და თავად-აზნაურთა თვითნებობის წინააღმდეგ. ს. დოდაშვილმა გამოძიების დროსაც კი ვერ მოახერხა დაეფარა თავისი რადიკალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები, კერძოდ, სიმპათიები სახელმწიფოებრივი წესწყობილების რესპუბლიკური ფორმისადმი.

საგანგებო ყურადღების ღირსია შეთქმულების მეორე მონაწილის, პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის, სოციალურ-პოლიტიკური კონცეფცია, რომელიც აგრეთვე რადიკალიზმით ხასიათდება. გამოძიების მასალაში არის ნიშნები, რომ იგი შეთქმულთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. მაგრამ პოეტი ძალზე ფრთხილად მოქმედებდა, შეთქმულთა უმეტესობაც ცდილობდა ალ. ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლასთან ერთად

სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტებიც გვიდასტურებს პოეტის პოლიტიკური და საზოგადოებრივი იდეების რადიკალურ ხასიათს. ცნობილია, რომ ალ. ჭავჭავაძე გვევლინება მე 19-საუკუნის ქართულ ლიტერატურაში მოწინავე საზოგადოებრივი იდეების პირველ გაბედულ მქადაგებლად. ფრანგულიდან მის მიერ თარგმნილ ერთ სოციალურ ტრაქტატში გატარებული აზრი, რომ ადამიანი დაბადებულია თავისუფლებისათვის, მაგრამ ტირანები და მდიდრები ხალხის უმრავლესობას მონობის უღელში აბამენ და გზას უხშობენ ბედნიერებისაკენ.

ნიშანდობლივია, რომ ალ. ჭავჭავაძე სოციალურ საკითხს ორგანულად უკავშირებს ეროვნულ იდეას. პოეტი მიუთითებს არა მარტო იმ უსამართლობაზე, რომელიც საზოგადოების ერთი კლასის მიერ მეორის ჩაგვრით არის გამოწვეული, არამედ ააშკარავებს ეროვნულ უსამართლობასაც, დამპყრობელ სახელმწიფოთა მტაცებლურ ზრახვებს მცირე ერთა მიმართ.

ალ. ჭავჭავაძეს საქართველოში გადმოსახლებულ დეკაბრისტებთან, ჩანს, ახლო იდეური კავშირი დაუწყებია. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობის დოკუმენტს წარმოადგენს საქართველოს მთავარმართებლის, როზენის, საიდუმლო მიწერილობა 1832 წელს სამხედრო მინისტრ ჩერნიშოვთან.

როგორც ჩანს, როზენს უტყუარი მასალები ჰქონდა ხელთ დეკაბრისტული იდეებით შთაგონებულ გრიბოედოვთან ალ. ჭავჭავაძის იდეურ-პოლიტიკური კავშირის შესახებ. აღსანიშნავია აგრეთვე როზენის მოსაზრება ალ. ჭავჭავაძისა და თბილისის ყოფილი გუბერნატორის, ზავილეისკის, იდეური ურთიერთობის შესახებ. ზავილეისკი ახლო ურთიერთობაში იყო ქართველ შეთქმულებთან, რომლებსაც თბილისში მყოფი მოწინავე პოლონელი ემიგრანტების მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ. ზავილეისკი ცნობილი იყო პროგრესული სოციალურ-პოლიტიკური მსოფლმხედველობით. ამით აიხსნება მისი მეგობრობა გრიბოედოვთან. ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ზავილეისკი მოწინავე საზოგადოებრივი შეხედულებების ადამიანი იყო და ილაშქრებდა ბატონყმური ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

ქართველთა შეთქმულებაში ჩარეული იყვნენ პროგრესულად განწყობილი რუსები და უკრაინელები (პაუშენკო, მელნიკოვი). ერთი მათგანი პაუშენკო, აღნიშნავს ზავილეისკის პროტესტანტულ განწყობილებას. მის ჩვენებაში ნათქვამია: "1832 წლის შესახებ, აი, რას გავბედავ კომისიას ვაცნობო... უკმაყოფილების სული სუფევდა არა მარტო ქართველებს, არამედ ჩვენი რუსი მოხელეების შორისაც. ეს უკმაყოფილება უმთავრესად გენერალ ზავილეისკის

ეხებოდა<sup>[4]</sup> კიდევ უფრო მრავალმეტყველი მასალა გვაქვს ხელთ შეთქმულების მესამე მონაწილის, პოეტ გრიგოლ ორბელიანის, შესახებ. ახალგაზრდა გრ. ორბელიანის შემოქმედებაც გვამღევს მისი მოწინავე მსოფლმხედველობის გასაღებს. მან გადმოაქართულა დეკაბრისტ რილეევის "ნალივაიკოს აღსარება". მაგრამ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის საინტერესო საკითხს გასაშუქებლად გრ. ორბელიანის დღიურებს, რომლებშიც ქართველი პოეტი გარკვევით ამჟღავნებს რესპუბლიკურ განწყობილებას. 1831 წ. 24 ოქტომბერს მან გავლით დაჰყო ნოვგოროდში. 30-იანი წლების რუსულ რომანტიკულ ლიტერატურაში ნოვგოროდი და ფსკოვი – ეს საშუალო საუკუნეების ორი თავისუფალი ქალაქი – წარმოადგენდა პოლიტიკური თავისუფლების სიმბოლოს. ნოვგოროდის ხილვას გრიგოლ ორბელიანში აღუძრავს ფიქრი ამ ქალაქის წარსულის შესახებ, მის თავისუფალ წყობილებაზე.

თუ შევადარებთ ქართველი პოეტის სევდიან დაფიქრებას ნოვგოროდის წარსული თავისუფლების გამო ერთი წლის შემდეგ – 1832 წელს – ამავე თემაზე დაწერილ ლერმონტოვის ლექსს "მოგესალმები შენ, წმინდა აკვანო", დავრწმუნდებით ამ პოეტის აზრთა და განწყობილებათა ნათესაობაში. ლერმონტოვიც, ისევე როგორც გრ. ორბელიანი, აიდეალებს ნოვგოროდის თავისუფლებას და გულდაწყვეტით წერს "ვეჩეს ზარის" დადუმების შესახებ. ნოვგოროდი და ფსკოვი დაკავშირებული იყო დეკაბრისტულ იდეალებთანაც. დეკაბრისტების ბელადი კ. რილეევი 1825 წლის იანვარში სწერდა პუშკინს: "შენ ფსკოვის მახლობლად ხარ; მანდ ჩახშობილია რუსული თავისუფლების უკანასკნელი გაელვება, იგი შთაგონების ნამდვილი მხარეა, და ნუთუ პუშკინი დასტოვებს ამ მიწას უპოემოდ!"

დეკაბრისტებისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური თავისუფლების ეს პროგრესული იდეალი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ ყოფილა უცხო 30-იანი წლების ქართული სინამდვილისათვისაც.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ შეთქმულთაგან მხოლოდ დიდი ქართველი მოაზროვნეები და მწერლები იყვნენ გატაცებულნი რესპუბლიკანიზმისა და დეკაბრიზმის იდეებით. შეთქმულთა შორის ერია არა ერთი სამხედრო პირი, რომელთაც თავისი დროის მოწინავე იდეები ღრმად ჰქონდათ შეთვისებული. ეს გამოკრთის თვით დაკითხვის მასალებში, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი მათგანი ცდილობდა გვერდი აეღო ისეთი მოვლენის გამომჟღავნებისათვის, რაც პოლიტიკურ რადიკალიზმს უკავშირდებოდა.

ერთ-ერთი ბრალდებულის ჩვენებაში მითითებულია დეკაბრისტებისადმი გვარდიის კაპიტნის თ. ჩოლოყაშვილის

სიმპათიების შესახებ. ამ ჩვენებაში ნათქვამია: "სადილის წინ გერმანელთა ახალშენში წაველ გასასეირნებლად და გზაზე შევედი მასთან (ჩოლოყაშვილთან), ის სახლში დამხვდა... სხვადასხვა საუბრის შემდეგ, განაგრძობს გვარდიის კაპიტანი თ. ჩოლოყაშვილი: "დიახ, კინაღამ რუსეთი დაირღვა (попнула), ამბობს ის. თუ მეამბოხეები დეკემბრის 14-ს არსენალთან მივიდოდნენ და არა სენატთან, უეჭველად გაიმარჯვებდნენ, მაშინ ბრბო მოჰკიდებდა იარაღს ხელს და ვაი დატრიალდებოდა; შემდეგ ხსნის მეამბოხეთა გეგმას, თუ ვინ როგორ ზიანს აყენებდა... პესტელი ურჩევდა, რომ აუცილებლად პოლონეთი, საქართველო და სხვა ოლქები მათ მფლობელთ უნდა დაუბრუნდესო...

იგივე თ. ჩოლოყაშვილი განაგრძობს: პოლონელებმა ძეგლები აუშენეს იმ პირთა და ზემოთ იდღესასწაულეს მათი ხსოვნა, ვინც 14 დეკემბრის გამო დასჯილ იქნენ <sup>[5]</sup>.

მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს აგრეთვე სამხედრო პირის, დოლოგორუკოვის, დღიური, რომელშიც ჩაწერილია მისი საუბარი ქართველ ოფიცერთან, გ. ბაგრატიონ-მუხრანსკისთან, პაჟთა კორპუსი მათი ერთად ყოფნის დროს. თავადი ბაგრატიონ მუხრანსკი დიდი სიმპათიით ახასიათებს დეკაბრისტებს, როგორც მეფის ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლთ და ხალხის ინტერესების გამომხატველთ. გ. ბაგრატიონ-მუხრანსკის აზრით, დეკაბრისტების შეცდომა მხოლოდ ის იყო, რომ მათ ვერ შეიმუშავეს სწორი სტრატეგიული გეგმა და ვერ შეძლეს ფართოდ გაეშალათ აგიტაცია სამხედრო სასწავლებლებსა და სამხედრო ნაწილებში. ბაგრატიონ-მუხრანსკის მოსაზრებით, დეკაბრისტებს იმპერატორის სიძულვილის სულისკვეთებით უნდა აღეზარდათ ახალი თაობა, რომელიც შემდეგში ყველა საკომანდო ადგილებს ჩაიგდებდა ხელში და ერთი დაკვრით მოსპობდა თვითმპყრობელურ ტირანიას.

თავად ბაგრატიონ-მუხრანსკის პოლიტიკური განწყობილება უკიდურესად რადიკალურია. იგი გაჟღენთილია დეკაბრისტული იდეებით, ცდილობს დეკაბრისტთა მარცხის ისტორიული გამოცდილებიდან გამოიტანოს გარკვეული პოლიტიკური დასკვნა. ქართული საიდუმლო საზოგადოების ტაქტიკა, რომელიც გულისხმობდა თვითმპყრობელობის ხელმძღვანელი აპარატის ერთი დაკვრით განადგურებას, ერთგვარად გვაგონებს ბაგრატიონ-მუხრანსკის შეხედულებას ცარიზმზე უეცარი და გადამწყვეტი იერიშის მიტანის შესახებ.

ზემოთ განხილული მასალები გვარწმუნებს, რომ 1828 –1832 წლებში არსებული ქართული ფარული საზოგადოება თავისი იდეურ-პოლიტიკური მიმართულებით ერთფეროვანი არ ყოფილა.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს შეთქმულთა პროგრესული ჯგუფის მცირერიცხოვნობა ამ ჯგუფის ისტორიულ მნიშვნელობას ზღუდავდეს, პირიქით, რესპუბლიკურ-პროგრესული მიმართულება აძლევდა ტონს მთელ მაშინდელ ქართულ სულიერ კულტურას და ლიტერატურას, რამდენადაც იგი პასუხობდა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების მოწინავე ტენდენციებს. ამ მიმართულებას უკავშირდება თავისი საწყისებით XIX საუკუნის ქართული ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელშიც ცხოველ გამოხმაურებას პოულობდა ეპოქის პროგრესული სოციალური იდეები.

შეთქმულთა პროგრესული ნაწილი ღრმა იდეურ ზეგავლენას ახდენდა ქართველ მოღვაწეთა ახალ თაობაზე. ცნობილია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილსა და მის მეგობრებს თავიანთ ახალგაზრდულ აღმანახში შეჰქონდათ შეთქმულთა პატრიოტული ხასიათის თხზულებანი. თვით ახალი ქართული პოეტური ეპოსის შესანიშნავი ძეგლი " ბედი ქართლისა" ეხმაურება აღნიშნულ პროგრესულ-რესპუბლიკურ მიმართულებას. პოემაში ნ. ბარათაშვილი გამოხატავს მოწინავე პოლიტიკურ იდეოლოგიას, როცა სოლომონ ლეონიძეს წარმოათქმევინებს პროტესტს იმის გამო, რომ ერთი კაცი (მეფე) აღჭურვილია ყოველი უფლებით და ხალხის ბედს " ისე განაგებს, ვითა ამღერდეს იგი კამათლებს".

რუსულ ლიტერატურაში პუშკინი დეკაბრისტების მომღერლად ითვლება, ნ. ბარათაშვილი კი, ა. ჭავჭავაძესთან და გრ. ორბელიანთან ერთად, 30- 40- იანი წლების ქართულ სინამდვილეში პროგრესული საზოგადოებრივი აზრის პოეტური გამომხატველია.

ფარული საზოგადოების მოწინავე წარმომადგენელთა ლიტერატურული მემკვიდრეობისა და მსოფლმხედველობის შესწავლა გვარწმუნებს, რომ მათ საქართველოსათვის დამღუპველად მიაჩნიათ პოლიტიკური ორიენტაცია სპარსეთ-ოსმალეთზე. ისინი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული რუსეთის პროგრესულ აზროვნებასთან. მათ სწამდათ, რომ ახალ ისტორიულ ვითარებაში მაჰმადიანური სახელმწიფოები ვერ გაბედავდნენ საქართველოზე გამოლაშქრებას და საერთაშორისო ძალთა პოლიტიკური თანაფარდობის პირობებში საქართველო შეძლებდა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შენარჩუნებას. ისინი გულწრფელად ცდებოდნენ ბევრ რამეში. მაგრამ განა ცოტა შეცდომა დაუშვეს რუსმა დეკაბრისტებმა 1825 წელს ან პოლონელმა შეთქმულებმა 2831 წელს? მთავარი ის არის, რომ მათი მოძრაობა ატარებდა იმ დროისათვის პროგრესულ ხასიათს და უპირისპირდებოდა ცარიზმის ბნელ ძალებს.

არ შეიძლება აქვე არ შევეხოთ საქართველოში გადმოსახლებული დეკაბრისტების როლს მოწინავე საზოგადოებრივი მოძრაობის გაღვივებაში.

ამ დროს საქართველოში გადმოსახლებულ დეკაბრისტებთან რომ ახლო კავშირი ჰქონდათ ჩვენი საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლებს, ეს ეჭვს არ იწვევს. მას ხელს უწყობდა 20–30-იანი წლების საქართველოში არსებული პროგრესულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელოვანი კერები. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს გრიბოედოვის შესახებ პროფ. ნეჩკინას გამოკვლევის ის ადგილები, რომლებიც საქართველოს საზოგადოებრივ მოძრაობას ეხება. ამ შრომაში ვკითხულობთ: “ ჩვენ ვხედავთ, რომ აქ, შორეულ საქართველოში, თავის გამომხაურებას ჰპოულობს რუსული რევოლუციური მოძრაობა, ევროპული რევოლუციური სიტუაცია და მისი გადასვლა რევოლუციაში...იმ ეპოქაში, რომელიც ჩვენი შესწავლის საგანია, საქართველოში შეინიშნება არა ნაკლებ სამი ცენტრისა, სადაც მიმდინარეობდა გაცხოველებული მსჯელობა იმ დროის პოლიტიკურ საკითხებზე და ვითარდებოდა მოწინავე იდეური ცხოვრება”<sup>[6]</sup>. ეს სამი ცენტრი, მკვლევარი აზრით, იყო პირველ ყოვლისა- თბილისი, შემდეგ – ყარაღაჯი (სადგომი ნიჟეგოროდის პოლკისა, სადაც მსახურობდა და რამდენიმე ხანს პოლკის უფროსადაც იყო ალ. ჭავჭავაძე და სადაც არა ერთ რევოლუციურად განწყობილ პირს ვხვდებით); მესამე ისეთსავე ცენტრად მკვლევარი გულისხმობს ალ. ჭავჭავაძის მამულს-წინანდალს, სადაც მოწინავე ძალები იყრიდნენ თავს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ პერიოდის ქართული ლიტერატურის განმათავისუფლებელი პათოსი და იდეური სიღრმე, რაც პირობადებული იყო იმ დროის საქართველოს საზოგადოებრივ-ისტორიული ცხოვრებით და მდიდარი კულტურული ტრადიციებით. ეს იყო ახალი ეპოქა ქართულ ლიტერატურაში.

რა მდგომარეობაში იყო ქართული კულტურა და ლიტერატურა XIX საუკუნის 30-იან წლებსა და 40-იანი წლების დასაწყისში?

მიუხედავად იმისა, რომ ქართული კულტურას ყოველმხრივ სდევნიდა და ავიწროებდა ცარიზმი, ქართული ეროვნული შემოქმედებითი ძალები მაინც ამოძრავდნენ, საზოგადოებრივ-კულტურული ინტერესები თანდათან ფართოვდებოდა.

უკვე 30-იან წლებში საფუძველი ეყრება ქართულ პერიოდულ პრესას. 1819 წელს იწყებს გამოსვლას ყოველკვირეული ბეჭდვითი ორგანო “ საქართველოს გაზეთი”. გაზეთს სცემდა კავკასიის ცალკე კორპუსის შტაბი. იგი რუსულ ენაზე იწერებოდა და შემდეგ ითარგმნებოდა ქართულად. მთავარი ადგილი გაზეთის ფურცლებზე

დათმობილი ჰქონდა ოფიციალურ განცხადებებს, არაოფიციალურ ნაწილში იბეჭდებოდა " უცხო ქვეყნის ამბები" და უმთავრესად თარგმნილი მოთხრობები.

1820 წლიდან ამ გაზეთს უწოდეს " ქართული გაზეთი". ეს ორგანო, რა თქმა უნდა, ვერ გამოხატავდა საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემას, მაგრამ მას უცილოდ გარკვეული ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი პრესის განვითარებაში.

1828 წ. თბილისში დაარსდა გაზეთი " ტფილისის უწყებანი ". იგი იყო ოფიციალური და გამოდიოდა რუსულ და ქართულ ენებზე. აქ მთარგმნელად მოწვეულ იქნა პირველ ხანებში სოლომონ დოდაშვილი, მაგრამ სულ მალე მისი როლი ამ გაზეთის საქმიანობაში განსაკუთრებით თვალსაჩინო შეიქნა და იგი 1829 წ. უკვე გაზეთის რედაქტორია, ხოლო 1830 წლიდან - გამომცემელიც.

ს. დოდაშვილი ადრევე იყო დაინტერესებული ჟურნალისტიკის საკითხებით. მას ჯერ კიდევ 1827 წელს კავშირი დაუმყარებია მოსკოვის პერიოდულ გამოცემათა რედაქციებთან და დაპირებია მათ სტატიების გაგზავნას საქართველოს შესახებ. მით უფრო დიდ პერსპექტივებს შლიდა ს. დოდაშვილის წინაშე ქართული პერიოდული ორგანო. იგი ენთუზიაზმით მოეკიდა გაზეთში მუშაობას. ქართველი ინტელიგენცია სიხარულით შეხვდა ეროვნული გაზეთის დაარსებას, ქართველი საზოგადოების მოწინავე ძალები ს. დოდაშვილს ყოველთვის მხარში ედგნენ.

როდესაც, 1830 წ. დეკემბერში, გაზეთის გამოცემა ხელისმომწერთა სიმცირის გამო შეწყდა, ს. დოდაშვილი მოუნახულებიათ მაშინდელ ცნობილ მოღვაწეებს ალექსანდრე ორბელიანს, ელიზბარ ერისთავს და მისთვის დახმარება შეუთავაზებიათ გაზეთის განახლებისათვის. ქართული გაზეთის საქმეს დიდად თანაუგრძობდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე, ახალგაზრდა მწერლები – გიორგი ერისთავი, სოლომონ რაზმაძე და სხვები. აღსანიშნავია, რომ მათი ნაწერები პირველად დაიბეჭდა ახალ ქართულ პერიოდულ გამოცემებში.

" ტფილისის უწყებანი" მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში. მართალია, იგი მეტად შეზღუდული იყო მეფის ხელისუფლების მიერ და მის ფურცლებზე უმეტესად ოფიციალური მასალები ქვეყნდებოდა, მაგრამ, ასე თუ ისე, გაზეთი მაინც ძვირფას ცნობებს შეიცავს მაშინდელი საქართველოს ცხოვრების შესახებ, მასში მრავლადაა გაბნეული მასალა საქართველოს ეკონომიკის, ვაჭრობა – მრეწველობის და სოფლის მეურნეობის გარშემო.

ამ გაზეთში გამოქვეყნდა საქართველოს ეთნოგრაფიის და სწავლა-აღზრდის მასალები, პირველად ალ. ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი პუშკინის ლექსი და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ისტორიული მტრების – თურქების, ირანელებისა და აგრეთვე ლეკთა თავდასხმების წინააღმდეგ ქართველებისა და რუსების ერთობლივი გამირული ბრძოლების არა ერთი აღწერა, რომელიც “ტფილისის უწყებანის” ფურცლებზე გვხვდება.

ამ გაზეთთან შედარებით, გაცილებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1832 წ. პირველი ქართული ჟურნალის “სალიტერატურო ნაწილი ტფილისის უწყებათანის” გამოსვლას. მის რედაქტორთან – ს. დოდაშვილთან – ერთად ამ ჟურნალის ინიციატორები და ხელის შემწყობნი იყვნენ ელიზბარ ერისთავი, ალ. ჭავჭავაძე და ალ. ორბელიანი.

ჟურნალი დაარსდა, როგორც ნათქვამია სარედაქციო განცხადებაში, “შესაწევნელად განათლებისა, განვრცელებისათვის ბუნებითისა ენისა ჩუენისა და მიახლოებისათვის განბრძნობილთა მცხოვრებთა ევროპიისათა”<sup>[7]</sup>. პირველი ქართული ჟურნალის მთავარი დანიშნულება იყო გაეღვიძებინა ქართველთა შორის სიყვარული ეროვნული მწერლობისადმი. ამ ჟურნალის მიზანი იყო აგრეთვე, რასაც უკვე დაკითხვაზე აღიარებს რედაქტორი, დაენერგა საზოგადოებაში “თავისუფალი აზრები”, დაებეჭდა “თავისუფლების მოყვარეობით აღბეჭდილი თხზულებანი”. თუ რამდენად გამოამჟღავნა ჟურნალმა თავისუფლებისმოყვარეობის სულისკვეთება, ეს კარგად ჩანს გიორგი ერისთავის პატრიოტული ნაწარმოებიდან “ოსური მოთხრობა” და აგრეთვე მთელი რიგი ისტორიული თხზულებებიდან, რომლებიც ამ ორგანოში დაიბეჭდა.

მშობლიური ენისა და ლიტერატურისადმი სიყვარულის გაღვიძებას ემსახურება სოლ. დოდაშვილის შესანიშნავი ვრცელი ნარკვევი “მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა”, რომელსაც ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ.

ჟურნალი გაბედულად ილაშქრებდა ქართული ისტორიის გამყალბებლების წინააღმდეგ. მის ფურცლებზე გამოქვეყნდა სტატია, სადაც სასტიკად იყო გაკრიტიკებული ჟურნალისტ გორდევის შეცდომები, რომელიც მან დაუშვა საქართველოს ისტორიის შესახებ რუსულ ენაზე დაწერილ ნარკვევში. “სალიტერატურო ნაწილის” ფურცლებზე მოთავსებული ისტორიული მასალებიდან ღირსშესანიშნავია აგრეთვე ნაშრომი “მეფობა ერეკლე მეორისა”.

მხატვრული ლიტერატურიდან ზემოაღნიშნულ ნაწარმოებებს გარდა, ჟურნალში აღსანიშნავია პუშკინის ქართული თარგმანები, ს.



დოდაშვილის ორიგინალური და თარგმნილი მოთხრობები და ალექსანდრე ორბელიანის, თადეოზ გურამიშვილისა და დავით მაჩაბლის ლექსები.

„სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ უწყობდა საზოგადოებრივი აზრისა და ლიტერატურული ცხოვრების გამოცოცხლებას.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, 30-იანი წლების ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე მაინც მეტად მკრთალად არის ასახული ქართული საზოგადოების სულიერი ცხოვრება; სინამდვილეში იგი გაცილებით მეტი შინაარსით და მნიშვნელოვანი ისტორიული მომენტებით იყო სავსე.

ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ჟურნალისტიკის ისტორიისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქართულ ჟურნალ-გაზეთების გამოცემის ცდებს 30 –იან წლებსა და 40-იანი წლების დასაწყისში. მართალია, სხვადასხვა მიზეზებით, და უმთავრესად მეფის მთავრობის მიერ შექმნილ დაბრკოლებათა გამო, ამ გამოცემების განხორციელება არ მოხერხდა, მაგრამ თვით ასეთი ცდა გარკვეული საზოგადოებრივ-კულტურული ინტერესების ზრდის მაჩვენებელია. ამათგან დავასახელებთ ზოგიერთს: 1831 წელს განუზრახავთ ქართული გაზეთის „კავკასიის ოლქის უწყებანი“ გამოცემა. 1838 წ. იყო ცდა ქართული ჟურნალის „აღმოსავლეთის ფუტკრის“ გამოცემისა. იმავე წელს ცნობილი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი მარი ბროსეს თბილისიდან სწერდა: „თუ ღმერთს ნებავს, მსურს, გარნა არა ეხლა, ჟურნალის რაისამე გამოცემისა“. 1842 წელს დაიბადა აზრი, დაეარსებინათ ქართული ჟურნალი „ივერიის ტელეგრაფი“. ეს იდეა წამოაყენა ი. ბარტდინსკიმ, რომელმაც 1845 წ. პეტერბურგში დაიბეჭდა და გავრცელდა საზოგადოებაში განცხადება („გამოცხადება“, ქართული ჟურნალის „სინათლის“ გამოცემის მაუწყებელი. ეს განცხადება მნიშვნელოვანი დოკუმენტია იმ დროის ქართული ინტელიგენციის გონებრივი ინტერესების გასათვალისწინებლად.

განცხადების შემდგენელნი, პირველ ყოვლისა, აღნიშნავენ, რომ ქართველ ხალხს აქვს უმდიდრესი და უძველესი სულიერი კულტურა, რომელიც „გარდიცემოდა საუკუნიდგან საუკუნეთა შინა“. ამჟამად კი დიდი შეფერხებაა ქართული კულტურის წინსვლის გზაზე და საჭიროდ ვთვლით გამოვცეთ ქართული ჟურნალი, რომელიც განათლების, მეცნიერების და ხელოვნების განვითარებას ხელს შეუწყობს. ამ ორგანოს გამოცემის მეთაურებმა წამოაყენეს იდეა ჟურნალისტთა კორპორაციის დაარსებისას. ეს ცდა უსათუოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში.

ამრიგად, რა მარტო უკვე არსებული ჟურნალ-გაზეთები გვაძლევენ გარკვეულ წარმოდგენას განხილული პერიოდის ქართული ინტელიგენციის კულტურულ – საზოგადოებრივ ინტერესებზე, არამედ ის ცდებიც, რომლებიც, ობიექტური მიზეზებით, წარმატებით არ დაგვირგვინდა.

ჩვენ გავეცანით ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ქართული ჟურნალისტიკის განვითარების მთავარ მომენტებს. მაგრამ აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის პირველი მესამედის ქართულ კულტურულ ცხოვრებაზე მთლიანი წარმოდგენის შემუშავება ოფიციალურ ბეჭდვით გამოცემათა მიხედვით შეუძლებელია.

მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემა და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მუშაობა უმთავრესად სალონებსა და ლიტერატურულ წრეებში თუ შეკრებებში იჩენდა თავს და იმ დროის მძიმე კოლონიური რეჟიმის გამო ბეჭდვით გამოხატულებას ნაკლებად პოულობდა.

იმ დროის ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში რომ ცხოველ მოძრაობას ჰქონდა ადგილი, ეს კარგად ჩანს ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთი წერილიდან. ნ. ბარათაშვილი, რომელსაც მისი დროის ქართული კულტურის წინსვლა და განვითარება უსაზღვროდ ახარებდა, 1841 წ. თავის ბიძას გრიგოლ ორბელიანს სწერდა:“ ლიტერატურა ჩვენი, ღვთით, დღე და დღე შოულობს ახალთა მოყვარეთა. მრავალნი ყმაწვილნი კაცნი, მოცლილნი სამსახურიტგან, მყუდროებაში და მარტობაში, შეეწევიან მამულს ენას, რაოდენიცა ძალუბთ. ესე საზოგადო სული ბუნების ენის ტრფიალებისა ყმაწვილთ კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არა სძინავთ გონებით“!<sup>[8]</sup> თვითონ ნ. ბარათაშვილი მაშინდელი კულტურული ცხოვრების ერთი მთავარი სულისჩამდგმელი იყო.

გამოცოცხლება დაეცყო თეატრალურ ცხოვრებასაც. წარმოდგენები და შეკრება – საღამოები იმართებოდა ალექსანდრე ჭავჭავაძის და სხვა ქართველ მოღვაწეთა სახლებში. 1832 წ. თბილისში წარმოუდგენიათ გრიბოედოვის “ ვაი ჭკუისაგან”, რის შესახებაც ცნობას გვაწვდის “ სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი”(1832წ. № 2). 30- წლებში თბილისში იმართებოდა სპექტაკლები, რომლებშიც მონაწილეობას იღებდა 1832 წ. შეთქმულთა ერთი ნაწილი.

ვახტანგ ორბელიანს და გიორგი ერისთავს რუსულიდან ქართულად უთარგმნიათ საყოფაცხოვრებო ხასიათის კომედია, რომლის დადგმაზე ენერგიულად მუშაობდნენ როგორც

მთარგმნელნი, ასევე თეატრის მოყვარული ქართველი ახალგაზრდობა.

1841 წ. ნ. ბარათაშვილმა თარგმნა ლაიხევიცის ტრაგედია “ იულიუს ტარენტელი”, ხოლო დიმიტრი ყიფიანმა – შექსპირის “ რომეო და ჯულიეტა”.

აქვე უნდა აღინიშნოს ალ. ჭავჭავაძის მოღვაწეობა ქართული თეატრისა და დრამატურგიის დარგში. ალ. ჭავჭავაძის მოღვაწეობა ქართული თეატრისა და დრამატურგიის დარგში. ალ. ჭავჭავაძე 30-40-იან წლებში ქართულ საზოგადოებაში თეატრალური ინტერესების ერთ – ერთი გამღვივებელია. ალ. ჭავჭავაძე ფრანგულიდან თარგმნის რასინის “ესთერს” და “ფედრას”, კორნელის “ სინნას”, და “ უდიპს”, ვოლტერის “ალზირა ანუ ამერიკელნის” და “მეროპას”.

ჩვენამდე მოღწეულია რასინის პიესის “ესთერის” ნაწილის თარგმანი, ალ. ჭავჭავაძის მიერ შესრულებული. ქართულ თარგმანში შემორჩენილია გადაწერილი როლები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ პიესის დადგმა განზრახული ჰქონიათ. 1844 წ. ალ. ჭავჭავაძემ თარგმნა ტრაგედია “ სინნა”, რომელიც უნდა წარმოედგინათ ალ. ჭავჭავაძის სახლში. ამ სპექტაკლში მთავარი როლები უნდა შეესრულებინათ თვით ალ. ჭავჭავაძეს, ნ. ბარათაშვილს, გრ. ორბელიანს, გრ. დადიანს ( კოლხიდელს) და სხვ. ალ. ჭავჭავაძის ეს წამოწყება არ განხორციელებულა. ჯერჯერობით გამოურკვეველია, რატომ არ შედგა ეს საინტერესო სპექტაკლი.

მე 19- საუ. პირველ მესამედში სახალხო განათლების სფეროშიც მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება. ცნობილია, რომ სწავლა – განათლების საქმეს საქართველოში სახელოვანი ტრადიციები ჰქონდა. ისტორიული ფაქტებით დასტურდება განათლების მრავალი ცენტრის, მათ შორის აკადემიის, არსებობა ძველ საქართველოში.

სწავლა – აღზრდის და განათლების დარგში XIX საუკუნის პირველი ათეული წლების მანძილზე აღსანიშნავია ძველი ტიპის სასწავლებლების ნაცვლად ახალი, ევროპული ტიპის კერძო სკოლებისა და პანსიონების ჩამოყალიბება, სადაც, მსგავსად რუსეთის მთავარი ქალაქებისა, უცხოელი აღმზრდელები იყვნენ მოწვეულნი. განათლების სფეროში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება 1802 წელს “ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის” დაარსებას, რომელიც 1830 წ. მარტში გიმნაზიად გადაკეთდა. აქ განათლება მიიღო არა ერთმა გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწემ ( გრ. ორბელიანი, გ. ერისთავი, ნ. ბარათაშვილი). 1832 წ. თბილისში ჩამოაყალიბეს ქალთა კერძო სასწავლებელი, რომელსაც მთავრობა აძლევდა სუბსიდიას, 1840 წ. კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტად

გადააკეთეს. 1817 წლიდან თბილისში, ამასთანავე, არსებობდა სასულიერო სასწავლებელი და სემინარია .

ჩვენში მე 19-ე საუკუნის პირველ წლებამდე მოაღწია აგრეთვე საოჯახო, შინაური სწავლა –განათლების მიღების მაღალმა კულტურამ.

40 – იანი წლების დასაწყისში ქართველ მოღვაწეთა მესვეურობით თბილისში საფუძველი ჩაეყარა პირველ კერძო ბიბლიოთეკას, რაც ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო იმ დროისათვის.

40-იანი წლებში საქართველოს კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ისიცაა, რომ ამ ხანებში ქართველი მოღვაწეები უკავშირდებიან პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას, კერძოდ, გამოჩენილ სწავლულს მარი ბროსეს და აკადემიის დავალებით ქართული კულტურის ძეგლების და საისტორიო მასალის შეკრებას ეწევიან. ამ მუშაობაში ჩაბმული იყვნენ პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი, ისტორიკოსი სულხან ბარათაშვილი და სხვა ქართველი ახალგაზრდები.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის კულტურულ-სამეცნიერო მუშაობა, რომელსაც XIX საუკუნის პირველ მესამედში ეწეოდნენ გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები თეიმურაზ, იოანე და დავით ბატონიშვილები.

ამავე პერიოდში ქართულად ითარგმნა რუსული და დასავლეთ ევროპის ლიტერატურის მრავალი ძეგლი. პირველ ათეულ წლებში ქართულ ენაზე გამოვიდა " განსჯანი არისტოტელისანი"( თეიმურაზ ბატონიშვილის თარგმანი), ჟან-ჟაკ რუსოს "ჰაზრნი სხუა და სხუათა საგანთათვის", პლუტარქეს " ყრმათათვის ანუ ცხოვრება უდიდებულესთა გუამთა". დავით და იოანე ბაგრატიონები თარგმნიან ფილოსოფიისა და ესთეტიკის სფეროდან მონტესკიეს, ანსილიონისა და კონდილიაკის შრომებს.

ქართული ისტორიისა და კულტურის გაცნობის სურვილს რუსეთისა და ევროპისათვის უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს შესახებ არა ერთი ისტორიული შრომის გამოქვეყნება რუსულ და დასავლეთ ევროპულ ენებზე. განსაკუთრებით საყურადღებოა გამოჩენილი ქართველოლოგის, აკადემიკოს მარი ბროსეს, მოღვაწეობა. მისი შრომები ქართული ისტორიის, ლიტერატურისა და კულტურის შესახებ ქვეყნებოდა უმთავრესად ფრანგულ და რუსულ ენებზე, რამაც დიდად შეუწყო ხელი ქართული კულტურის პოპულარიზაციას. ამ დროს ქართველი მოღვაწეები, საერთოდ, აყენებენ საკითხს ქართული კულტურის მსოფლიო ასპარეზზე გატანის შესახებ. ამ მიზანს ემსახურება, სხვათა

შორის, ს. დოდაშვილის 1832 წელს რუსულად და ქართულად დაბეჭდილი სტატია ქართული ლიტერატურის შესახებ.

30- 40-იან წლებში ხელახალი ძალით განსაკუთრებული ინტერესი აღიძრა "ვეფხისტყაოსანისადმი". "ტფილისის უწყებანში" 1829 წელს დაიბეჭდა წერილი "რაიმე რუსთაველისათვის". უფრო ადრე, 1829- 29 წლებიდან დაწყებული რუსთაველის თხზულების მიმართ ფრანგულ პრესაში ყურადღება გაამახვილა მარი ბროსემ. რუსულ და უცხო ენებზე დაწერილ თავის მრავალრიცხოვან მეცნიერულ ნარკვევებში და სტატიებში იგი ყურადღების ცენტრში აყენებდა "ვეფხისტყაოსანს", როგორც მხატვრული შემოქმედების მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლს.

1832 წ. ასეთსავე მაღალ შეფასებას აძლევს "ვეფხისტყაოსანს" სოლომონ დოდაშვილი თავის ჟურნალში "სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი" (ქართულ ენაზე) და "მოსკოვის უწყებებში" ( იგივე წერილი რუსულ ენაზე). განსაკუთრებით გაღრმავდა ინტერესი ქართული კულტურისადმი მას შემდეგ, რაც 1841 წ. პეტერბურგში გამოიცა "ვეფხისტყაოსანი" აკადემიკოს ბროსეს, პროფ. დ. ჩუბინაშვილისა და ზაქარია ფალავანდიშვილის რედაქციით.

\* \* \*

გასული საუკუნის 20 – 30-იანი წლების საქართველოს კულტურული ცხოვრების საერთო სურათის გასათვალისწინებლად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ სულიერ კავშირს, რომელიც ამ პერიოდში დიდმა რუსმა პოეტებმა – გრიბოედოვმა, პუშკინმა, ლერმონტოვმა დაამყარეს ქართულ საზოგადოებასთან<sup>[9]</sup>. ახლო ურთიერთობა ჰქონდათ აგრეთვე ქართული კულტურის მოღვაწეებთან მოწინავე სომეხ და აზერბაიჯანელ მწერლებს, რომლებიც თბილისში ცხოვრობდნენ.

ამ პერიოდში თვითმპყრობელი მეფეები რუს პოეტებს დასასაჯელად გზავნიდნენ საქართველოში (ამის გამო ჩვენს ქვეყანას "სამხრეთის ციმბირს" უწოდებდნენ ხოლმე). რუსი მწერლები კი აქ მეორე სამშობლოსა და უმრეტი შთაგონების წყაროს ნახულობდნენ. საქართველოს ისტორიული წარსული , ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრება, მისი კულტურა და წარმტაცი ბუნება მდიდარ მასალას აძლევდა მათს მხატვრულ ფანტაზიას. ბესარიონ ბელინსკი აღტაცებით წერდა: " უცნაური რამაა! კავკასია თითქოს მოწოდებული

იყო გამხდარიყო ჩვენი პოეტური ტალანტების აკვნად, მათი მუზის შთამაგონებლად, მათ პოეტურ სამშობლოდ! პუშკინმა კავკასიას მიუძღვნა ერთ-ერთი თავისი პირველი პოემა - "კავკასიის ტყვე"... მისი რამდენიმე შესანიშნავი ლირიკული ლექსიც კავკასიას მიეკუთვნება. გრიბოედოვმა კავკასიაში შექმნა თავისი "ვაი ჭკუისაგან". ამ ქვეყნის ველურმა და დიადმა ბუნებამ, მის შვილთა მშფოთვარე ცხოვრებამ და მკაცრმა პოეზიამ ალაგზნო მისი შეურაცხყოფილი ადამიანური გრძნობა, რათა აესახა... ადამიანური ბუნების კარიკატურათა აპათიური, არარაობითი წრე... და აი, გამოჩნდა ახალი დიდი ტალანტი ( ლერმონტოვი) – და კავკასია ხდება მის პოეტურ სამშობლოდ, რომელიც მას მგზნებარედ უყვარს".

პირველი გამოჩენილი რუსი მწერალი, რომელიც თავისი შემოქმედებით და ბიოგრაფიით მჭიდროდ დაუკავშირდა საქართველოს, იყო ა. გრიბოედოვი. როგორც ზემოთ მოყვანილ სიტყვებში ბელინსკი აღნიშნავს, გრიბოედოვმა უმთავრესად საქართველოში შექმნა თავისი უკვდავი ნაწარმოები "ვაი ჭკუისაგან".

ქართული თემისადმი განსაკუთრებული ინტერესით არის გამოწვეული გრიბოედოვის ისეთი თხზულება, როგორცაა " მგზავრის წერილები", რომელშიც გამოხატულია ჩვენი ქვეყნისაგან მიღებული დიდი აღტაცება. კახეთის მომხიბვლელი ბუნებისადმი მიძღვნილი მისი ლექსი "იქ, სადაც რბის ალაზანი". ქართველი ტყვე ყმაწვილის ტრაგიკული ბედი დიდი თანაგრძნობით აქვს აღწერილი გრიბოედოვს დაუმთავრებელ პოემაში " მეყალიონე". ჩვენი ხალხური ზეპირგადმოცემის შესწავლის საფუძველზე შექმნა გრიბოედოვმა დრამა "ქართული ღამე", ხოლო მეორე დრამაში, "როდამისტი და ზენობია", დეკაბრისტების ბრძოლის პრინციპების საკითხი ქართული ისტორიის უძველეს პლასტებთანაა დაკავშირებული. კიდევ უფრო გაღრმავდა გრიბოედოვის ინტერესი ჩვენი სამშობლოს მიმართ მას შემდეგ, რაც დიდმა რუსმა მწერალმა ცოლად შეირთო ნინო ჭავჭავაძე.

საქართველოს სიყვარულს და მისი წარმატებისათვის ზრუნვას ადასტურებს აგრეთვე გრიბოედოვის გრანდიოზული ეკონომიკური გეგმები ჩვენი ქვეყნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ. როცა საჭირო იყო, გრიბოედოვი თავგამოდებით იცავდა საქართველოს ღირსებას მოსყიდული კალმოსნებისაგან. რუსმა მწერალმა ხმა აღიმალა გაზეთ "რუსკი ინვალიდის" წინააღმდეგ, როცა მის ფურცლებზე ოსმალეთის რეაქციული პრესის გზით გავრცელებული ჭორები დაიბეჭდა.

გაზეთი " ივერია" გრიბოედოვის გარდაცვალების 75 წლისთავთან დაკავშირებით სამართლიანად წერდა: " თუ რუსეთს

თავი მოაქვს ა. გრიბოედოვით, ჩვენთვის არანაკლებ სასახელოა იგი, რომელმაც, გაიცნო თუ არა ქართველი ერი, შეიყვარა, დაუახლოვდა, დაუმეგობრდა კიდევ და ბოლოს თავისი ნეშტიც ჩვენს მიწა-წყალს მიაბარა... მხოლოდ ამისთანა გულწრფელ მოღვაწეთ შეუძლიათ სამუდამოდ განამტკიცონ ძმური სიყვარული და ურთიერთობა ერებისა“.

გრიბოედოვმა პირველმა აღუძრა პუშკინს ინტერესი საქართველოს მიმართ, როცა, 1828 წელს, საქართველოდან პეტერბურგში დაბრუნებულმა, გლინკას გააცნო ქართული სიმღერის თემა, რომლის საფუძველზე დიდმა რუსმა კომპოზიტორმა შექმნა მელოდია, ხოლო პუშკინმა – ლირიკული შედევრი ქართველი ქალის სევდიან სიმღერაზე. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ პუშკინის შემოქმედებაში ქართული თემა საპატიო ადგილს იჭერს. მძაფრი შთაბეჭდილებანი, ახალი მხატვრული სახეები და იდეები ამდიდრებენ პოეტის შთაგონებას და ახალ მარგალიტებს მატებენ რუსული ლირიკის საგანძურს (“კავკასია“, “საქართველოს მოამბე“, “მონასტერი ყაზბეგზე“). საქართველოში მიღებული თავისი შთაბეჭდილებანი პოეტმა გადმოგვცა აგრეთვე ნარკვევში “მოგზაურობა არზრუმს“, სადაც ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს ქართველი ხალხის სიმამაცეს, განათლებისაკენ ლტოლვას, ქართული მუსიკის მელოდიურობას. საგულისხმოა, რომ პუშკინმა თბილისში ჩაიწერა ქართული ლექსი სიტყვა სიტყვითი თარგმანით.

ქართული თემა გრიბოედოვისა და პუშკინის შემოქმედებაში გააზრებულია როგორც თავისუფლებისმოყვარეობის თემა.

ასეთივე პოეტურ ასპექტში აითვისა ქართული თემა ლერმონტოვმა, რომელმაც ამ მხრივ დააგვირგვინა თავისი დიდი პოეტური წინაპრების მემკვიდრეობა უკვდავი მხატვრული თხზულებებით, რომლებშიც აისახა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებიდან შეთვისებული სახეები და მოტივები. არა ეგზოტიკური ფერადოვნება, არამედ ხალხის ცოცხალი სული, მისი თქმულებები და ლეგენდები, ხალხური პოეზიის სტიქია შეიჭრა პოეტის ლექსებში, მის დიდ ეპიკურ ტილოებში.“ ჩვენთვის უეჭველია,- “დემონისა“ და “მწირის“ შექმნაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია იმან, რომ ლერმონტოვი გაეცნო მისთვის ახალი ქვეყნის ყოფასა და ზნე-ჩვეულებებს და მოისმინა ქართული ხალხური გადმოცემები და ლეგენდები. ეს გავლენა თავისი მნიშვნელობით გაცილებით მეტია, ვიდრე პოეტზე შეეძლო ჰქონოდა ყველა ერთად აღებულ ლიტერატურულ წყაროს“<sup>[10]</sup>.

ჩვენ თავის ადგილას აღვნიშნეთ დეკაბრისტული იდეების გავლენა ქართულ სინამდვილეზე, დიდი რუსი მწერლებისა და

დეკაბრისტების ახლო ურთიერთობა ქართულ კულტურულ წრეებთან, აგრეთვე მათი შემოქმედების ათვისება ქართულ ლიტერატურაში.

რუსულმა მწერლობამ, განსაკუთრებით გრიბოედოვმა, პუშკინმა და ლერმონტოვმა დიდი ზეგავლენა მოახდინეს გასული საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე, ძლიერი სტიმული მისცეს და ახალი მოტივებითა და იდეებით გაამდიდრეს იგი. რუსული პოეზიის საუკეთესო ნიმუშების თარგმანებით ქართველმა მწერლებმა თითქოს ზნეობრივი ვალი გადაუხადეს რუსული პოეზიის კლასიკოსებს იმ დიდი სიყვარულისათვის საქართველოს მიმართ, რაც მათ ასეთი შთაგონებით გამოხატეს თავიანთ შემოქმედებაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალ. ჭავჭავაძემ ჯერ კიდევ 30-იან წლებში, პუშკინის სიცოცხლეშივე, თარგმნა და დაბეჭდა გამოჩენილი რუსი პოეტის ლექსები. ეს თარგმანები არ დარჩენილა მხოლოდ გაზეთების კომპლექტების კუთვნილებად, ისინი გავრცელდნენ ხალხში და, რუსი ისტორიკოსის კ. ბოროზდინის ჩვენებით, მათ ქართველი ქალები მღეროდნენ. ეს ფაქტი–ხალხის მიერ შესისხლხორცება რუსული პოეტური კულტურისა საქართველოში - პოეზიის უძველეს ქვეყანაში – არ არის გამონაკლისი, იგი დამახასიათებელი მოვლენაა რუსი და ქართველი ხალხების ისტორიული მეგობრობისათვის.

გასული საუკუნის 30 –იანი წლების საქართველოს გონებრივ ცხოვრებაში საპატიო ადგილი უჭირავს სოლომონ დოდაშვილს (1805–1836).

სოლ. დოდაშვილი გასული საუკუნის პირველი მესამედის გამოჩენილი ქართველი განმანათლებელია, რომელიც ყურადღებას იპყრობს ღრმა ფილოსოფიური ერუდიციითა და ფართო ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ინტერესებით. მის კალამს ეკუთვნის არა მარტო ცნობილი ფილოსოფიური თხზულება, არამედ სერიოზული შრომებიც ცოდნის სხვადასხვა დარგში. მის სახელთან მჭიდროდაა აგრეთვე დაკავშირებული მე –19 საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ისტორია.

სოლომონ დოდაშვილი დაიბადა 1805 წ. 17 მაისს მალაროში (კახეთი), მღვდლის ოჯახში. 1818 წელს სოლომონი მიუბარებიათ სიღნაღის სამრევლო სასულიერო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1820 წ. სექტემბერში, შეუყვანიათ თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც ს. დოდაშვილს თავისი ნიჭით და სიბეჯითით ისეთი ავტორიტეტი მოუპოვებია, რომ, ჯერ კიდევ სწავლის კურსის დამთავრებამდე, 1822 წ. 15 მარტს, გაუგზავნიათ



მასწავლებლად სიღნაღის სამრევლო სასწავლებელში<sup>[11]</sup>. უკვე სემინარიაში ყოფნისას ს. დოდაშვილს გამოუჩენია დიდი ლტოლვა ფილოსოფიისადმი.

1824 წელს სოლომონი სწავლის გასაგრძელებლად პეტერბურგს გაემგზავრა და სულ მალე პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-იურიდიულ ფაკულტეტზე მოეწყო. იგი მხურვალე მისწრაფებით და ენერგიით დაეწაფა მეცნიერებას.

ჭაბუკი მოაზროვნის დამაბულ ინტელექტუალურ შრომასა და იდეურ მიებებს ამაოდ არ ჩაუვლია. უნივერსიტეტის დასრულებისას, 1827 წ., მან რუსულ და ქართულ ენებზე დაწერა, ხოლო რუსულად გამოაქვეყნა კიდევ ფილოსოფიური ნაშრომი “ ფილოსოფიის კურსი, ნაწილი პირველი, ლოგიკა”, რომელმაც ფართო გამოხმაურება პოვა რუსეთში. აღსანიშნავია, რომ წიგნი დაბეჭდა ცნობილმა გამომცემელმა სმირდინმა, რომელიც დაახლოებული იყო იმ დროის რუსული ლიტერატურის კორიფეებთან ( პუშკინთან და მისი თაობის მწერლებთან).

1827 წლის ივლისში ს. დოდაშვილი სამშობლოშია, იგი დანიშნეს მასწავლებლად თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, სადაც ასწავლიდა ქართულ ენასა და სიტყვიერებას, რიტორიკას, ლოგიკასა და გეოგრაფიას. ს. დოდაშვილის “ ქართული ენის გრამატიკას” სწავლობდა ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი თაობა.

ს. დოდაშვილი სულ მალე გახდა არა მარტო მთელი სასწავლებლის სული და გული, არამედ სახალხო განათლების მგზნებარე პროპაგანდისტი თავის ქვეყანაში. ერთ წერილში ს. დოდაშვილი გულისტკივილით აღწერს სწავლა-აღზრდის საქმის მძიმე მდგომარეობას იმ დროის საქართველოში და გადმოგვცემს თავის გეგმებს განათლების გასავრცელებლად. “...ხოლო მე ჯერეთ დადუმებული გახლავარ, - სწერს იგი ერთ კერძო წერილში თავის ადრესატს, - სხვადასხვათა წარმოებათათვის და გახსნა სასწავლოთ ადგილთა ვეძიებ ღონესა და ვსჭვრეტ მდგომარეობათა გარემოებათა. არ ვუწყი ვითარითა ხატითა ვაწარმოო საგანნი ჩემნი. აქაური სასწავლებელი თბილისისაც ჯერეთ უწესობისა შინა არს, მოსწავლენი მრავალ არიან და მასწავლებლნი მცირე, არავინ მიაქცევს ყურადღებასა და არცა სჭვრეტენ სწავლათა”<sup>[12]</sup> ...

ს. დოდაშვილი, როგორც რაზნოჩინელი, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა დაბალი ფენებიდან გამოსული ახალგაზრდობის აღზრდას. მან თავის ოჯახში გამოზარდა და განათლება მიაღებინა არა ერთსა და ორ ახალგაზრდას.

სწავლა-განათლების გავრცელებისათვის დაუღალავი ზრუნვა ერთი მხარე იყო სოლომონ დოდაშვილის მოღვაწეობისა. მას, როგორც განმანათლებელს, საქართველოს კულტურული გარდაქმნის ფართო გეგმა ჰქონდა დასახული: ბიბლიოთეკებისა და სტამბის დაარსება, ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების ბეჭდვა-გავრცელება. ამ ღონისძიებებით მას სურდა ხელი შეეწყო თავისი ქვეყნის კულტურული აყვავებისათვის, ფილოსოფიის, ლიტერატურისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებისათვის. იგონებს რა ერთ-ერთ შეკრებას, სადაც საქართველოს წარმატებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ ყოფილა საუბარი მაშინდელი ქართული საზოგადოების წარმომადგენელთა შორის, ს. დოდაშვილი აღნიშნავს: “ყველა ესენი ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ რა მოეგონათ კეთილი საქმე საქართველოსათვის. მე შევიტანე წინადადება – შეგვეგროვებინა შემოწირულობა და ამ შეკრებილი ფულით გვეყიდნა ბიბლიოთეკა, სტამბა და დავხმარებოდით გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეებს”<sup>[13]</sup>.

ს. დოდაშვილი მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის პროპაგანდას ეწეოდა და გაბედულად იცავდა მას ყველა ჯურის ფალსიფიკატორებისაგან. ეროვნული კულტურის ტრადიციების აღდგენასთან ერთად, იგი ჩვენში ნერგავდა ახალი რუსული და დასავლეთ-ევროპული საზოგადოებრივი აზროვნების მიღწევებს.

კიდევ უფრო გაფართოვდა ს. დოდაშვილის მოღვაწეობის ასპარეზი, როცა იგი 1829 წლიდან ქართულ ჟურნალისტიკას ჩაუდგა სათავეში, რაზედაც ზემოთაც გვქონდა მითითებული. ეს ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების გამოღვიძების მაუწყებელი იყო. შემთხვევით არაა ის ფაქტი, რომ ს. დოდაშვილის ჟურნალის მთელი რიგი მასალები თავის ხელნაწერ კრებულში მოათავსეს ნიკოლოზ ბარათაშვილმა და მისმა მეგობრებმა.

სოლ. დოდაშვილის საზოგადოებრივ-კულტურული მოღვაწეობა კიდევ მეტ ნაყოფს მოგვცემდა და ამ შესანიშნავი მოაზროვნის ნიჭი, უეჭველია, უფრო ფართოდ გაშლიდა ფრთებს, რომ მისი შემოქმედებითი შრომა უდროოდ არ შეწყვეტილიყო. ამის მიზეზი შეიქნა ს. დოდაშვილის დაპატიმრება და შემდეგ სამუდამოდ გადასახლება 1832 წ. ცნობილ შეთქმულებასთან დაკავშირებით.

მეფის მთავრობა შეთქმულთა შორის ყველაზე მკაცრად და შეუბრალებლად ს. დოდაშვილს მოექცა. მას ვიატკაში გადასახლება მიუსაჯეს და სამშობლოში დაბრუნება სამუდამოდ აუკრძალეს. ისედაც ფიზიკურად სუსტი დოდაშვილისათვის აუტანელი გამოდგა ჩრდილოეთის მკაცრი ჰავა, იგი ჭლექით დაავადდა და 1836 წ. 20 აგვისტოს გარდაიცვალა ქ. ვიატკაში.

სიკვდილთან მებრძოლი, მაგრამ მაინც იმედიანი ს. დოდაშვილი ვიატკაში მოინახულა იქ გადასახლებულმა რუსმა რევოლუციონერ-დემოკრატმა გერცენმა. გერცენის სიტყვით, ის ძლივსდა სუნთქავდა, მაგრამ მაინც ღრმა რწმენით ლაპარაკობდა სიცოცხლეზე.

ასეთია სოლომონ დოდაშვილის ხანმოკლე, მაგრამ ღრმა შინაარსით აღსავსე ცხოვრება. იმის ნათელსაყოფად, თუ რა როლი შეასრულა ს. დოდაშვილმა გასული საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს გონებრივსა და საზოგადოებრივ მოძრაობაში, საჭიროა მთავარ ხაზებში გავეცნოთ მის სოციალურ-პოლიტიკურსა და ფილოსოფიურ-ესთეტიკურ შეხედულებებს; ამის გარეშე ჩვენ ვერ შევიძუშავებთ სრულ წარმოდგენას ამ დროის ქართული კულტურის ისტორიაზე.

ს. დოდაშვილს იდეური ძიების რთული გზა აქვს გავლილი. ახალგაზრდა ქართველ მოაზროვნეზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა სენატის მოედანზე მომხდარმა ისტორიულმა აქტმა.

დეკაბრისტული მოძრაობისაგან მიღებული შთაბეჭდილება იყო პირველი დვრიტა ს. დოდაშვილის გონებრივ ცხოვრებაში. ახალგაზრდა მოაზროვნის მსოფლმხედველობაში მნიშვნელოვანი გარდატეხა იწყება სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, როცა ის უშუალოდ გაეცნო თავისი ხალხის სოციალურსა და ეროვნულ ჩაგვრას. სამშობლო ქვეყნის ისტორიულმა ვითარებამ, სოციალურ ძალთა ბრძოლამ დიდი ზეგავლენა იქონიეს დოდაშვილზე. როგორც პირველი რაზნოჩინელი ქართული აზროვნების ისტორიაში, ს. დოდაშვილი სისხლ-ხორცეულ ნათესაობას გრძნობდა გლეხობასთან, რომელიც იმ დროს უსაზღვრო ჩაგვრას განიცდიდა ქართველი თავადაზნაურობისა და რუსი ჩინოვნიკების ხელში. იგი შეძრწუნებულია მშრომელი გლეხობის გადატაკების მძიმე სურათით. 1828 წ. დაწერილ კერძო ბარათში ს. დოდაშვილი აღწერს თავის ყოფნას კახეთის ერთ ნაწილში და გულისტკივილით შენიშნავს: "გარნა ერი მის მაზრისა ფრიად მწუხარე და მტირალი ვიხილე, ნახევარი მცხოვრები არღა იპოება, რომელნიცა გარდაეგნენ სხვადასხვა მხარესა ანუ კერძოსა ამის ქვეყანის ნაწილისასა შიმშილობისა გამო. მრავალი [მოსავალი] არ მოვიდა, ახალი არა რაი და ძველი ხომ არღა იყო: კოდი ფქვილი [იყიდება] ოთხ მანეთათ თეთრ ფულად კახეთში და, მადლობა ღმერთს, ქალაქში უფრო იაფია, გლეხთა ვინ მისცათ, რათა მოივაჭრონ ფასითა ამით"<sup>[14]</sup>.

სტრიქონები, რომლებიც გლეხობის უმძიმეს სოციალურ-ეკონომიურ ვითარებას გვიხატავს, გლეხკაცისადმი დიდი თანაგრძნობითაა გამთბარი. ასევე საინტერესოა ს. დოდაშვილის

ბარათი თავის ძმასთან – სტეფანესთან – პეტერბურგში მიწერილი ს. დოდაშვილი ექომაგება გლეხობას და აღწერს მკაცრი მემამულის შ. აფხაზისაგან შევიწროებას.

ს. დოდაშვილი დაკვირვებით სწავლობდა თავისი ქვეყნის სოციალურ ვითარებას და გარკვეული დასკვნები გამოჰქონდა. დეკაბრისტული იდეებით შთაგონებული მოაზროვნე ამ საზოგადოებრივ დემოკრატიულ პრინციპებს მჭიდროდ უკავშირებდა ეროვნულ ინტერესებს.

ს. დოდაშვილის მოწინავე სოციალურ-პოლიტიკურ მსოფლმხედველობასთან ახლო კავშირშია მისი ფილოსოფიური შეხედულებანი, რომლებიც ძირითადად ჩამოყალიბებულია მის ნაშრომში “ფილოსოფიის კურსი, ნაწილი პირველი, ლოგიკა” (1827 წ. პეტერბურგი).

დოდაშვილის “ლოგიკა” ღირშესანიშნავი ფილოსოფიური თხზულებაა. ქართველი მოაზროვნის ფილოსოფიურ შეხედულებებში გარკვევით არის მატერიალისტური ტენდენციები. არ შეიძლება ხაზი გაესვას მის დადებით დამოკიდებულებას ბეკონის მატერიალისტური კონცეფციისადმი და სქოლასტიკის წინააღმდეგ გალაშქრებას. ს. დოდაშვილს ღრმად სწამდა ადამიანის გონების ძალა, გარე სამყაროს შემეცნების საკითხს იგი მატერიალისტურად წყვეტდა. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ქართველი მოაზროვნის თვალსაზრისით ფილოსოფიის საგანი არის ობიექტური სამყარო, რეალური ადამიანი. თავის წიგნში ს. დოდაშვილმა დაგმო თეოლოგია, რომელიც, მისი აზრით, ეფუძნება ცრურწმენებს და უვიცობას. თავის “ლოგიკაში” იგი წერს: “ფილოსოფიურ სისტემათა ისტორიის პირველი თვალის გადავლებიას ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ ჭეშმარიტი ფილოსოფია შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა დაცხრება ვნებანი და როცა ცრურწმენანი, რომელსაც ასე სამართლიანად უწოდებს ბეკონი ადამიანის გონების კერპებს, შესწყვეტენ მის მართვას”<sup>[15]</sup>. ამ მოსაზრებათა გამო მან თეოლოგია სრულიად გამორიცხა ფილოსოფიიდან. დოდაშვილის გაბედული გალაშქრება სქოლასტიკური და თეოლოგიური სისტემის წინააღმდეგ, რომელთაც მაშინდელ უნივერსიტეტში ოფიციალური მეცნიერების წარმომადგენლები თავს ახვევდნენ სტუდენტებს, მნიშვნელოვან მოვლენად ხდიდა იმ დროისათვის ს. დოდაშვილის შრომას. მართლაც, მის “ლოგიკას” ცხოველი ინტერესით შეხვდნენ რუსეთის ლიტერატურული და სამეცნიერო წრეები. დოდაშვილის შრომას მაღალი შეფასება მისცა მაშინდელმა გამოჩენილმა ლიტერატორმა და პუბლიცისტმა ნ. პოლევიომ თავის “მოსკოვსკი ტელეგრაფში”. წიგნს

გამოეხმაურა "მოსკოვსკი ვესტნიკი" საინტერესო რეცენზიით, "სევერნაია პჩელა" კი, აღნიშნავდა რა ამ შრომის მთელ რიგ ღირსებებს, ხაზს უსვამდა, რომ წიგნის ახალგაზრდა ავტორი ქართველია, აღიზარდა და სწავლობდა აქაურ უნივერსიტეტში და დიდი ხანი არ არის, გაემგზავრა თბილისში იქაური გიმნაზიის მასწავლებლის წოდებით<sup>[16]</sup>. იონა ხელაშვილი თბილისში ს. დოდაშვილს სწერს: "ლოლიკის" გამო ყველა ვაშა-ვაშას გიძღვნიან, მეტადრე "პჩელაში" დაბეჭდილი წერილის შემდეგ".

სოლომონ დოდაშვილი პირველი ქართველი მოაზროვნეა, რომლის სახელთან აგრეთვე მჭიდროდაა დაკავშირებული XIX საუკუნის ქართული ლიტერატურული კრიტიკისა და ესთეტიკური აზროვნების სათავეები.

ს. დოდაშვილი დიდად დაინტერესებული ყოფილა თეორიულ-ლიტერატურული საკითხებით. მას დაუწერია ქართულ ენაზე სპეციალური ნაშრომი "რიტორიკა" და რუსულადაც უთარგმნია. 1828 წლის 31 სექტემბრით დათარიღებულ ბარათში იგი სწერს იონა ხელაშვილს: "...ქართული რიტორიკა სრულვკყავ ქართულსა ენასა ზედა და ვსთარგმნი რუსულად".

სამწუხაროდ, მთლიანი სახით ეს ნაშრომი არ შემონახულა. დღესდღეობით მისი მხოლოდ ერთი დიდად ნაკლული ნუსხა მოგვეპოვება. "რიტორიკაში" ს. დოდაშვილს განხილული აქვს, როგორც თვითონ აღნიშნავს, აღმკობილი პროზის თეორია. მას განზრახული ჰქონია შეექმნა ხელოვნების თეორიის კურსი. ს. დოდაშვილს დაუწერია პოეზიის თეორიაც.

ს. დოდაშვილის ლიტერატურულ შეხედულებათა შესასწავლად "რიტორიკასთან" ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მის ნარკვევს: "მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა (ანუ სიტყვიერებისა)", რომელიც დაიბეჭდა 1832 წ. მისსავე ჟურნალში "სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი" (№1 და 2).

ს. დოდაშვილი ლიტერატურას საგანმანათლებლო მიზნებს უსახავდა. ერის პროგრესულობისა და კულტურის ერთ მთავარ საზომად ს. დოდაშვილს მიაჩნდა ლიტერატურისა და ერის განვითარება. "წარმატებანი სწავლათანი ჰმოწმობენ, - სწერდა იგი, საზოგადოდ აღმატებასა კაცობრივსა გონებისასა და წარმატებანი ენისა და სიტყვიერებისანი ჰმოწმობენ,- წერდა იგი, - საზოგადოდ აღმატებასა კაცობრივსა გონებისასა და წარმატებანი ენისა და სიტყვიერებისანი ჰმოწმობენ აღმატებასა ერისასა"<sup>[17]</sup>.

როგორც ვიცით, ს. დოდაშვილს განზრახული ჰქონდა დაეწერა ფილოსოფიის სრული კურსი. ამ სისტემაში თავისი ადგილი ჰქონდა დათმობილი ესთეტიკას. მის ერთ კერძო ბარათში მოცემულია

ზოგადი შეხედულება ესთეტიკაზე:“ ფილოსოფოსობა ჩვენი ყოველისა საგნისათვის,- განმარტავს ს. დოდაშვილი,- მდგომარეობს თეორიასა შინა, პრაქტიკასა და ესთეტიკასა: პირველი არს ცნობა, მეორე – ქცევა და მესამე – ხელოვნება; კვლავ იგივე პირველი, ე.ი. თეორია არს ჰსწავლა გონებისა, მეორე -გულისა და მესამე გრძნობისა“<sup>[18]</sup>.

ესთეტიკა, ს.დოდაშვილის ზოგადი გამოთქმით, არის სწავლა გრძნობის შესახებ, რაც გულისხმობს გრძნობადი სინამდვილის სპეციფიკური ასახვის შესწავლას.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ დოდაშვილს არ სწამს რეალური შინაარსისაგან დაცლილი განყენებული ცნობიერება,“ ცნობიერება საერთოდ“. ქართველი მოაზროვნე ფილოსოფიის შესწავლის საგნად ობიექტური სინამდვილის, ცოცხალი ინდივიდის, რეალური ადამიანის ცნობიერებასა და შეგრძნებას სთვლის. რამდენადაც, ს. დოდაშვილის კონცეფციის მიხედვით, გონება, გული და გრძნობა ჰარმონიულად “ მოქმედნი ან თანახმანი“ არიან , ხოლო მათი მოქმედების საწყისი და საფუძველი ტვინია, რომელიც შეიმეცნებს გარე სამყაროს, ამდენად, სავარაუდებელია, რომ, მისი თვალსაზრისით, ადამიანის სულიერი შემოქმედების პროდუქტიც არ შეიძლება იყოს ირაციონალური მისტიკური შინაარსისა. ს. დოდაშვილის გაგებით, სულიერი კულტურის სფეროებია მეცნიერება და ლიტერატურა, მისი სიტყვით, ისინი არიან ადამიანის სულში “ გარდაბეჭდვა სოფლისა“, ცხოვრებისა, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და მორალურ ურთიერთობათა.

თავის “რიტორიკაში“ ს. დოდაშვილი განიხილავს პროზას (“აღმკობილის პროზის“) ზოგად კანონებს, რასაც შეიძლება დავეყაროთ, როცა ვიმსჯელებთ მის საერთო თეორიულ ესთეტიკურ შეხედულებებზე. მხატვრული სიტყვა, ს. დოდაშვილის აზრით, უძლიერესი სტიმულია ადამიანის ინტელექტუალური და ფსიქიკური ძალების განვითარების, სულიერი კულტურის წინსვლისათვის. მისი დანიშნულებაა ხელი შეუწყოს საზოგადოებას ჭეშმარიტების ძიებაში და მორალურ სრულყოფაში. იგი დიდად მოქმედებს როგორც ჩვენს გონებაზე, ისე, განსაკუთრებით, გრძნობაზე და აღანთებს ადამიანის ფანტაზიას. შემოქმედს მოეთხოვება,-აღნიშნავს ჩვენი მოაზროვნე,- ფართო ერუდიცია და მაღალი ზნეობრივი თვისებები, რამდენადაც მას “ აქვს უმეტეს განათლებული გონება და განვითარებული გული, ესე ოდენ უკეთილესად მოწვდების თვისსა საგანსა“.

ს. დოდაშვილის კონცეფციის მიხედვით, მხატვრული სიტყვისათვის სპეციფიკურია ფორმის მშვენიერება, რითაც იგი

აღწევს თავის უმაღლეს დანიშნულებას. მშვენიერება არ დგას ცხოვრებაზე მაღლა, პირიქით, იგი ცხოვრების შემეცნებას ემსახურება. მშვენიერება ს. დოდაშვილს გააზრებული აქვს როგორც ფენომენი, როგორც ესთეტიკური კატეგორია.

მხატვრული ქმნილების გამარჯვება, ჩვენი მოაზროვნის მიხედვით, დიდად დამოკიდებულია იდეისა და ფორმის თანხმოვანებაზე. ამის დადასტურებას პოეტი ხედავს ქართულ კლასიკურ პოეზიაში. "ლექსი ჩახრუხადისა,- წერს ს. დოდაშვილი, - თამარიანი, ქება თამარ დედოფლისა უმაგალითოისა თახნმოზისა გამო თვისისა და ძნელის გვარისა გამო სტიხთასა ფრიად შესანიშნელ არს. ზომიერი და გაწყობილი ხმა მისი აწარმოებს სმენისათვის სასიამოვნოსა სიმფონიასა, ხოლო გამოხატვა იდეათა, ცვალება და ხმარება სხვადასხვათა მნიშვნელობათა მსგავსხმოვანებასა შინა ლექსთასა შეადგენენ მახვილგონიერებასა აზრთასა".

ს. დოდაშვილის მტკიცებით, იდეოლოგიის არც ერთ ფორმას, თვით მეცნიერებასაც კი, არა აქვს ისეთი ძლიერი ზემოქმედება ადამიანის სულიერ ცხოვრებაზე, როგორც სიტყვიერ ხელოვნებას: "არცა ერთსა ჰსწავლასა არა აქვს ესოდენ დიდი მოქმედება სულიერთა ზედა ჩვენთა ძალთა, ვითარცა აღმკობილსა ხელოვნებასა".

ხელოვნებას საფუძვლად უდევს მტკიცე ობიექტური კანონები.

ს. დოდაშვილი განსაკუთრებული ყურადღებას აქცევს თხზულების სპეციფიკურ მხატვრულ მხარეს, ფორმისა და შინაარსის მთლიანობას, არქიტექტონიკას, ენას, ფორმის მშვენიერებას.

სიტყვიერი ხელოვნების ერთ-ერთ მთავარ თვისებად ქართველ მოაზროვნეს მიაჩნია სინამდვილის კანონზომიერებაში გარკვევა და არა შემთხვევითი, არამედ არსებითი ტიპიური მხარეების ასახვა: "ეს გვარსა თხზულებებისა შეხამს, რათა ... უჩვენოით, რაი იმყოფების შემთხვევითი და რაი არსებითი".

ს. დოდაშვილი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს მხატვრული სიტყვის კანონების ახსნას. მისი მტკიცებით, მწერალი უნდა უფრთხილდებოდეს პოეტურ ლექსიკას, იცავდეს ენის სიწმინდეს, გაურბოდეს ბარბარიზმებს პროზაულ თხზულებას უნდა ახასიათებდეს სიცხადე და სიზუსტე, ლაკონიურობა და კეთილხმოვანება.

ადამიანის სულიერ სამყაროზე ემოციური ზემოქმედების საშუალებებში ს. დოდაშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პოეზიას. იგი ლაპარაკობს პოეტურ ენაზე, აზრის ცოცხალი სახეებით გამოხატვის ფორმებზე, იგი სწორად განსაზღვრავს როგორც პოეტური ენის საერთო მიზანდასახულობას, აგრეთვე მის

კონკრეტულ ფორმებს. იგი იძლევა ღირსშესანიშნავ განსაზღვრებებს ტროპის, მეტაფორის, ირონიის, ჰიპერბოლის, სინეკდოქეს და მეტონიმისას. მის განსაზღვრებებში ყურადღებას იქცევს საგნის ყოველმხრივი ცოდნა, ლოგიკური სიზუსტე და ლაკონურობა.

ასეთია ს. დოდაშვილის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებანი.

ს. დოდაშვილი მე –19 საუკუნის ქართული ლიტერატურული კრიტიკის პირველი მედროშეცაა. მის კალამს ეკუთვნის კრიტიკული სტატია: " მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ( ანუ სიტყვიერებისა)". როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი 1832 წელს დაიბეჭდა ს. დოდაშვილმა ჟურნალში " სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი" (№ 1 და 2).

ამ წერილის დაწერა ნაკარნახევი იყო პატრიოტული და განმანათლებლური მიზნებით. პირველ ყოვლისა, მისი ავტორი საკადრის პასუხს აძლევდა ნიჰილისტებს , რომელთაც წარმოდგენა არ ჰქონდათ და არაფერი გაეგებოდათ მშობლიური მრავალსაუკუნოვანი კულტურის ისტორიისა. მათ საყურადღებოდ ს. დოდაშვილი სიამაყით აცხადებს: "ქართულსა ენასა ზედა არიან მრავალნი. შვენიერნი თხზულებანი და თარგმნილიცა წიგნნი სხვადასხვა ძველთა და უახლესთა ენათაგან". ქვემოთ იგი კონკრეტულად ასაბუთებს ამ დებულებას.

მეორე მხრივ, ს. დოდაშვილი უფრო დიდ მიზანს ისახავდა: აღედრა ქართულ საზოგადოებაში სურვილი ეროვნული კულტურის გატანისა მსოფლიო ასპარეზზე. მას ისტორიულ უსამართლობად მიაჩნდა, რომ ქართული ლიტერატურა, რომელმაც კაცობრიობას მისცა შემოქმედებითი აზრის გენიალური ქმნილება " ვეფხისტყაოსანი", მსოფლიოში ნაკლებ ცნობილი იყო.

ს. დოდაშვილს სწამდა, რომ სახელოვანი ტრადიციების მქონე ქართული ლიტერატურა, თავის ღირსეულ ადგილს დაიკავებდა კაცობრიობის კულტურის საგანძურში. ახასიათებდა რა ქართული ლიტერატურის კლასიკურ ხანას, ს. დოდაშვილი წერდა: "უკეთუ ვინმე განვითარებულთა კაცთაგანმან მიიღოს შრომა და წარმოადგინოს დაწვრილებით უუცხოველესი გამოხატვა ყოველთა ღვაწლთა გვირგვინოსნისა დედოფლისა და ჩინებულთა მწერალთა მის ეპოხისათა, მაშინ გაბედვით შესაძლებელ არს დარწმუნებულყოფად, რომელ ესრეთი ისტორია მიაქცევდა თვის ზედა ყურადღებასა ყოველთა ვაებათა და აოხრებათა თანა სხვადასხვა დროთა შინა შემთხვეულთა აქვნდა მას საუნჯე სწავლათა და სიტყვიერებისა, ესდენვე მდიდარი, ვითარცა სხვათა მხარეთა მის დროისათა".



ერთი პირველი საკითხთაგანი, რომელსაც თავის სტატიაში აყენებს ს. დოდაშვილი, არის საკითხი ქართული ენის თვითმყოფის შესახებ. სტატიის ავტორი ასაბუთებს, რომ "ძირი ენისა ჩვენის "საკუთარია. მისი აზრით, ძნელია ზუსტად დადგენა "თუ ოდეს ენა ქართული შეიქმნა ენად ერისა", მაგრამ, მისივე თქმით, "გარნა ჯერ არს ცნობად, რომელ იგი არს ერთი უძველესთაგანი". ამ უძველეს ენას, მისი აღიარებით, აქვს მეტად მდიდარი ლექსიკური მარაგი. ს. დოდაშვილი მწუხარებით აღნიშნავს, რომ ზოგი თანამედროვე მწერალი და ენის უცოდინარი არ უფრთხილდება ქართულ მეტყველებას და მასში შემოაქვს არასაჭირო უცხოური სიტყვები. იგი მოითხოვს, თვალისჩინივით გაუფრთხილდნენ ეროვნულ ენას და არ გადატვირთონ იგი ბარბარიზმებით.

ს. დოდაშვილი მომხრეა ენაში შემოტანილ იქნას მხოლოდ ისეთი სიტყვები, რომლებმაც მოიპოვეს სამოქალაქო უფლება ყველა კულტურული ერების მეტყველებაში და რომლებიც ტექნიკურ ცნებებს გამოხატავენ ს. დოდაშვილის მტკიცებით, ქართული ენა იმდენად მდიდარია თავისი ბუნებით, რომ მას კარგი მწერლის ხელში შეუძლია დაწვლილებულად გამოხატოს აზრის ყოველი უმცირესი მოძრაობა, გრძნობის ყოველი ნიუანსი.

ქართული ენის ეს მაღალი შეფასება ეყრდნობოდა ისტორიულ ჭეშმარიტებას, მასში ჩაქსოვილი იყო არა მარტო უძველესი ქართული სულიერი კულტურით და მდიდარი სალიტერატურო ენით გამოწვეული ეროვნული ღირსების შეგრძნება, არამედ ახალ პირობებში ახალი იდეების გამოსახატავად ქართული ენის ყოველმხრივი განვითარების უძლიერესი წადილი.

სალიტერატურო ენის საკითხების შემდეგ ს. დოდაშვილი ზოგადად მიმოიხილავს ძველ ქართულ ლიტერატურას. იგი აღნიშნავს, რომ ქართველები ოდითგანვე დიდ ნიჭსა და მისწრაფებას იჩენდნენ მწერლობის, ხელოვნებისა და ფილოსოფიისადმი. წერილის ავტორი ჩამოთვლის იოანე და ექვთიმე მთაწმინდელებს, ეფრემ მცირეს, არსენ იყალთოელს, იოანე პეტრიწს, რომლის ორიგინალურ და მთარგმნელობით მოღვაწეობაზე იგი განსაკუთრებით ჩერდება.

თამარ მეფის დროს ს. დოდაშვილი სთვლის ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავების ხანად.

ძველი ქართული ლიტერატურის განვითარების მწვერვალად, მხატვრული სიტყვის სრულყოფილ ნიმუშად ს. დოდაშვილი სამართლიანად აღიარებს რუსთველის "ვეფხისტყაოსანს". დოდაშვილი გაკვირვებით განიხილავს აგრეთვე "ოქროს ეპოქის" მომდევნო დაცემის ხანას, რაც უცხოელ დამპყრობთა განუწყვეტელი

თავდასხმებით იყო გამოწვეული, მაგრამ ამ პერიოდშიც არ ჩამქრალა ქართველ ხალხში, მისი სიტყვით, სამშობლოსა და ეროვნული კულტურისადმი სიყვარული.

ს. დოდაშვილის “ მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ( ანუ სიტყვიერებისა)” განსაკუთრებული მოვლენაა ქართული მწერლობის ისტორიისა და ლიტერატურული კრიტიკის განვითარებაში. მე- 19 საუკუნის პირველ ნახევარში მან პირველმა მიაქცია ყურადღება ქართული ენისა და ლიტერატურის თვითმყოფობას და სიმდიდრეს, სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვას და მის ახალ პირობებში განვითარებას. ს. დოდაშვილმა აღძრა საკითხი მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ფართო ასპარეზზე გატანის თაობაზე, აღიარა ქართული მდიდარი სულიერი კულტურის რუსეთისა და და დასავლეთ ევროპისათვის გაცნობის აუცილებლობა. ამ თხზულებაში ქართველმა მოაზროვნემ მიმოიხილა და ფართო საზოგადოებას გააცნო ქართული ლიტერატურისა და აზროვნების ისტორიის მთავარი მომენტები, გამოჩენილი ქართველი მწერლები და მოღვაწეები. ამ ნარკვევის მნიშვნელოვანი ღირსებაა აგრეთვე ისიც, რომ ს. დოდაშვილმა მასში მოგვცა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის პერიოდიზაციის პირველი ცდა.

ს. დოდაშვილის მოღვაწეობა გასული საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ასპარეზზე დიდი მნიშვნელობისაა. ს. დოდაშვილმა იმ დროის ჩვენს გონებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი კვალი გაავლო. იგი შეიძლება ჩაითვალოს 60 –იანი წლების ქართველ მოღვაწეთა ბრწყინვალე პლეადის ერთ-ერთ დიდ წინამორბედად.

ამრიგად, ზემოთ განხილული მასალა ნათლად ადასტურებს, რომ გასული საუკუნის 30-იან წლებში იწყება ეროვნულ-კულტურული ცხოვრების ამოძრავება. იბადება ახალი ინტერესები, იღვიძებს პატრიოტული შეგნება. ქართულ საზოგადოებრივ მოძრაობაში მოწინავე ეროვნული იდეა უკავშირდება სოციალური განვითარების პრინციპებს.

ეს იყო მხოლოდ პირველი გამოფხიზლება XIX საუკუნის დასაწყისში ქართული საზოგადოებრივი ძალებისა, რომელთა სრულ გაშლას აფერხებდა კოლონიური ჩაგვრის პირობები.

ასეთ საზოგადოებრივ ვითარებაში ჩამოყალიბდა ქართულ ლიტერატურაში ახალი მიმართულება – რომანტიზმი, რომელმაც ღრმა კვალი აღბეჭდა ქართველი ხალხის მთელ სულიერ ცხოვრებაში.

\* \* \*

ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიული განვითარების პირველი, ღირსშესანიშნავი ეტაპი XIX საუკუნის უღელტეხილზე რომანტიზმით იწყება. ამ ლიტერატურულ მიმართულებას სათავე უდევს არა მარტო ორი საუკუნის საზღვარზე, არამედ ორი დიდი ეპოქის - ფეოდალურ- აბსოლუტურისა და " ბურჟუაზიულ- დემოკრატიულ მოძრაობათა"<sup>[19]</sup> ეპოქის მიჯნაზე.

ფეოდალურ-პატრიარქალური საზოგადოებრივი ფორმების მსხვრევა, სამოქალაქო ომები და რევოლუციები ევროპასა და ამერიკაში და რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობანი, როგორც ცნობილია, ხელს უწყობდა ღირებულებათა გადაფასებას და ხელოვნების ახალი, რომანტიკული ფორმების გაბატონებას.

ქართული რომანტიზმის წინამძღვრებად გვევლინება ის დიდი ცვლილებები, რომლებიც ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივსა და სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში მოხდა XIX საუკუნის პირველ მესამედში.

ამ პერიოდის საქართველოს ისტორიული სინამდვილისათვის ყველაზე დამახასიათებელია ეროვნული თავისუფლების დაკარგვით გამოწვეული ტკივილები და მნიშვნელოვანი სოციალური ძვრები, რომლებიც დიდად უწყობდა ხელს ქართველი ხალხის თვითშეგნების გაღვიძებას და პროგრესის ძლიერ სტიმულს წარმოადგენდა. ამ წინააღმდეგობით აღსავსე ეპოქამ, რომელიც ძველი საზოგადოებრივი იდეალების გადაფასებით ხასიათდება, მკვეთრი გამოძახილი პოვა ქართულ რომანტიზმში.

ახალი ქართული ლიტერატურული მოძრაობის – რომანტიზმის – ისტორიული აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მან პასუხი გასცა საქართველოს ეროვნული ცხოვრების მიერ წამოყენებულ ღირსშესანიშნავ საკითხებს.

მრავალსაუკუნოვანი ეროვნული კულტურის მდიდარ ტრადიციებზე დაყრდნობით ქართული რომანტიზმის საუკეთესო წარმომადგენლებმა გაარღვიეს ძველი მხატვრული აზროვნების რკალი და ძლიერი პოეტური შთაგონებით ასახეს ოცნება უკეთეს მერმისზე. ისინი გამოეხმაურნენ მსოფლიო პროგრესული რომანტიზმის ჰუმანისტურ პრინციპებს და გზა გაუხსნეს ახალ ლიტერატურულ ფორმებს, რომლებშიც რომანტიკოსების სუბიექტურ ემოციებსა და ფიქრებთან ერთად ჰარმონიულად იყო

ჩაქსოვილი ქართული საზოგადოების მოწინავე ფენების საუკეთესო მისწრაფებანი.

ახალი ქართული ლიტერატურული მიმართულება, ბუნებრივია, შესწავლილ უნდა იქნას მისი ისტორიული განვითარების პროცესში. ამ თვალსაზრისით, პირველ ყოვლისა, ისმის ქართული რომანტიზმის გენეზისის საკითხები.

თუ სხვა ხალხთა ლიტერატურაში რომანტიზმს ახალი იდეურ-მხატვრული პოზიციების განმტკიცება უხდებოდა კლასიციზმის წინააღმდეგ ბრძოლის გზით, ქართულ სინამდვილეში რომანტიზმს მეტად ნაყოფიერი ნიადაგი დახვდა. ეროვნული თავისუფლების დაკარგვით გამოწვეული ღრმა სევდა, ფეოდალური კლასის შერყეული პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა, ცხოვრების ფორმების სიახლე, ერთი მხრივ, წარმოადგენდა მასაზრდოებელ წყაროს ქართული რომანტიზმისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, მე-17 – 18 საუკუნეების ქართული ლიტერატურის რეგლამენტაციისაგან თავისუფალი დემოკრატიული ნაკადი ძლიერ სტიმულს აძლევდა შემოქმედების თავისუფლების პრინციპზე აგებულ ახალ მხატვრულ სისტემას, რომელიც მოვლენებით სავსე ახალ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში ყალიბდებოდა<sup>[20]</sup>.

აღორძინების პერიოდის ქართულ ლიტერატურაში გამეფებული სევდიანი განწყობილება, პატრიოტული პათოსი, ხალხურობისაკენ მისწრაფება და ღრმა პესიმიზმით გაჟღენთილი გარდამავალი ხანის პოეზია–საუკეთესო წინაპირობა იყო რომანტიკული მიმართულების წარმოშობისა და განვითარებისათვის XIX საუკუნის პირველ ნახევარში. თუმცა ამ მიმართულების წარმოშობის უშუალო წინამძღვრები ახალი ისტორიულ-საზოგადოებრივი და კულტურული ვითარებით იყო გაპირობებული.

მიუხედავად იმისა, რომ აღორძინების ხანის ქართულმა ლიტერატურამ შეუმზადა ნიადაგი რომანტიზმს, თვით ეს მიმართულება საქართველოში ჩამოყალიბდა, ძირითადად, როგორც ძველი ლიტერატურული ფორმების საწინააღმდეგო ახალი შემოქმედებითი მეთოდი, რომელმაც უარყო ვარდულებულიანის პოეტიკა და გზა გაუკაფა არა მარტო მხატვრულ ფორმას, არამედ ახალ იდეებსაც.

ქართული რომანტიზმი, განსაკუთრებით თავის განვითარების უმაღლეს სტადიაზე, ერთი მხრივ, დაუპირისპირდა აღორძინებისა და გარდამავალი ხანის ქართულ ლიტერატურულ სტილს - ფიგურალურ გამოთქმებს, მეტაფორულობას, საერთოდ, პოეზიის აღმოსავლურ სამკაულებს, უკუაგდო მრავალი მოძველებული ფორმა

და, ილია ჭავჭავაძის გამოთქმა რომ ვიხმართ, ევროპეიზმი შემოიტანა ქართულ ლიტერატურაში, ახალ რომანტიკულ სახეებში გადმოსცა მთელი თაობის სულიერი განცდები და ინტელექტუალური მისწრაფებანი.

ქართული რომანტიზმის ისტორიული განვითარება გვარწმუნებს, რომ იგი გასული საუკუნის 20- იან წლებშიც კი არ გვევლინება ჩამოყალიბებული სახით.

აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულების დამწყები ალ. ჭავჭავაძე თავისი აღზრდითა და ცხოვრებით მოქცეული იყო ორი კულტურული სფეროს გავლენის ქვეშ. როდესაც იგი პირველ შემოქმედებით ნაბიჯს დგამდა, ბესიკის ხმა ჯერ კიდევ მეფობდა ქართულ პოეზიაში. ალ. ჭავჭავაძემ ღრმად შეითვისა ძველი ქართული ლიტერატურის დიდი ტრადიციები, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი ღრმად ჩასწვდა თავისი ხალხის ეროვნულ ცხოვრებას ახალ დროში და მოწინავე სოციალური იდეების დიდი გავლენა განიცადა. ალ. ჭავჭავაძის შემეცნება მდიდრდებოდა განმათავისუფლებელი იდეებით, რომლებიც მან შეითვისა არა მარტო პეტერბურგში, არამედ პარიზშიც, სადაც ზარბაზნების კვამლს არ შეეძლო დაეფარა საფრანგეთის რევოლუციის ნაპერწკლები.

ალ. ჭავჭავაძე შეეცადა მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზია გაემდიდრებინა ახალი ელემენტებით, მან დაამყნო ახალი პოეზიის პირველი ნერგი, რომელმაც სრული ყვავილობა მომდევნო პოეტების ლექსებში განიცადა. მისი შემოქმედების ძირებს ღრმად აქვს გამდგარი ფესვები ეროვნულ ნიადაგში. ალ. ჭავჭავაძემ შეკრა რკალი დიდი, ძველი ქართული მწერლობის განვითარებისა და ნიშანი მისცა ახალ მოძრაობას, გახდა დამწყები ქართული რომანტიზმისა. ამიტომ ბუნებრივია, რომ მის შემოქმედებაში ჩამოყალიბებული სახით ჯერ კიდევ არ ჩანს ეს ახალი მხატვრული სისტემა.

ილია ჭავჭავაძემ ჯერ კიდევ სიჭაბუკის დროს შესანიშნავად განჭვრიტა, რომ ალ. ჭავჭავაძე იწყებს ახალ გზას მე- 19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. მაგრამ, ილია ჭავჭავაძის მართებული აზრით, " გოგჩას" ავტორმა ძველი პოეტური ფორმის ტრადიციებიდან ვერ გაათავისუფლა ქართული ლექსი. ეს ისტორიული მისია წილად ხვდა. ნ. ბარათაშვილს, როგორც ქართული რომანტიზმის დამაგვირგვინებელს.

ამრიგად, ალ. ჭავჭავაძის სახელთან დაკავშირებულია ქართული რომანტიზმის სათავეები, ამ მიმართულების შემდგომი ეტაპი გრ. ორბელიანის შემოქმედებაა, თავისი უმაღლესი

გამოხატულება და მხატვრული სრულყოფა კი ქართულმა რომანტიზმმა "მერანის" ავტორის პოეზიაში პოვა.

რა თქმა უნდა, ამ სამი კლასიკოსის შემოქმედებით არ ამოიწურა ქართული რომანტიზმი. მის ისტორიულ განვითარებაში აგრეთვე მონაწილეობა მიიღეს მიხეილ თუმანიშვილმა, ვახტანგ ორბელიანმა, გიორგი ერისთავმა ( შემოქმედების პირველი პერიოდი ), გრიგოლ რჩეულიშვილმა, ალექსანდრე ორბელიანმა და სხვებმა. ამ მწერლებმა მეტ-ნაკლები წვლილი შეიტანეს რომანტიკულ მიმართულებაში და თავისებური, ინდივიდუალური სახე შეინარჩუნეს XIX ს. პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ქრონოლოგიურად ქართული რომანტიზმის, როგორც გარკვეული ლიტერატურული მიმართულებისა და შემოქმედებითი მეთოდის, პირველი ნიშნები ისახება მე-19 საუკუნის 20-იან წლებში, ხოლო თავის ჩამოყალიბებულ სახეს 30 – 40-იან წლებში იღებს.

როგორც ვთქვით, ქართული რომანტიზმი ღრმა ეროვნულ-სპეციფიკურ ხასიათს ატარებს, მაგრამ ამავე დროს იგი მჭიდროდაა დაკავშირებული მსოფლიო რომანტიკული ლიტერატურის ისტორიულ განვითარებასთან. ქართულ რომანტიზმში, ისევე როგორც მოწინავე ქვეყნების რომანტიკულ სკოლაში, აშკარად შეიმჩნევა ორი ტენდენცია: პროგრესული და რეაქციული.

ქართული რომანტიზმი არ არის ერთგვაროვანი. მისი განვითარების ჩანასახს წარმოადგენს ე. წ. გარდამავალი პერიოდის პოეტთა-ქართველ ბატონიშვილთა რომანტიკულ-სანტიმენტალური სტილით შეფერილი შემოქმედება, რომელიც შემოზღუდულია საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო უნუგეშო წუხილით და ფეოდალური საქართველოს აღდგენის ოცნებით. რამდენადაც ბატონიშვილების პოეზიაში ვერ ნახა გამოხატულება ახალმა სოციალურ-პოლიტიკურმა ქროლვამ, მათი რომანტიზმი მოკლებულია პროგრესულ შინაარსს, პერსპექტივას, და იგი ფეოდალურ-არისტოკრატიული მსოფლ-მხედველობის ვიწრო ნაჭუჭშია მომწყვდეული. მათ უსასოო პესიმიზმში აისახა, ერთი მხრივ, ძველი ფეოდალური საზოგადოების იდეოლოგიის კრიზისი, მეორე მხრივ - განხეთქილება პოლიტიკურ იდეალებსა და რეალური სინამდვილის ტენდენციებს შორის.

ქართული რომანტიზმი არ იყო ერთგვაროვანი განვითარების შემდგომ ეტაპებზეც. ამ მხრივ მეთოდოლოგიურად მეტად საგულისხმოა ბესარიონ ბელინსკის აზრი იმის შესახებ, რომ რომანტიზმის ბუნების განსაზღვრა უნდა დაფუძნდეს ბუნების სინამდვილესთან დამოკიდებულების საკითხს.

აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ ეროვნულ-პოლიტიკური ორიენტაცია და მასთან დაკავშირებული სოციალურ-პოლიტიკური იდეალების ხასიათი განსაზღვრავს ქართულ ლიტერატურაში რომანტიზმის პროგრესულობის ხარისხს.

რომანტიზმის ზოგი წარმომადგენლისათვის (ს. რაზმაძე, ა. ორბელიანი) ნიშანდობლივია ვიწრო წოდებრივ პოზიციებზე დგომა. მათთვის უცხოა პროგრესული რომანტიკოსების ა. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილისათვის დამახასიათებელი საზოგადოების განვითარების მოწინავე ტენდენციების გაგების ცდა. პირველთა იმედები და ოცნებანი უმთავრესად მიმართულია ფეოდალურ-პატრიარქალური წარსულისაკენ, მაშინ როცა მოწინავე რომანტიკოსები წარსულის იდეალს უფარდებენ აწმყოს და ოცნებობენ ნათელ მომავალზე. ქართული რომანტიზმის ეს იდეალური სწრაფვა უკეთესი მომავლისაკენ ჯერ კიდევ ალ. ჭავჭავაძის სოციალური ჰუმანიზმით და მომავლის რწმენით გაჟღენთილ ლექსებში ჩანს და უფრო სრულყოფილ გამოხატულებას ნ. ბარათაშვილის "მერანში" პოულობს. მართალია, ეს ოცნება განხეთქილებაშია სინამდვილესთან, მაგრამ იგი ეყრდნობა ქვეყნის შინაგან კანონზომიერებას, ხალხის უდრეკ ნებისყოფას და მომავლის რწმენას. რა თქმა უნდა, ყოველივე თქმული იმას როდი ნიშნავს, რომ პროგრესული რომანტიზმის განვითარება მიმდინარეობდა წინააღმდეგობათა გარეშე. რთული ისტორიული სიტუაცია, საზოგადოებრივი განვითარების პერიპეტეები თავის იდეოლოგიურ გამოხატულებას პოულობდა რომანტიზმის განვითარებაში და, ბუნებრივია, რომანტიკული ლიტერატურის პროგრესული ფრთის წარმომადგენელთა შემოქმედებაშიც.

ზოგჯერ რეაქციული და პროგრესული რომანტიზმის ელემენტები გვხვდება ერთი და იმავე მწერლის შემოქმედებაში, მაგ., ვიქტორ ჰიუგო თავის "ბალადებში" აგრძელებდა შუა საუკუნეების მისტიკურ-რაინდული ლირიკის ტრადიციებს, ხოლო სიმღერებში საბერძნეთის შესახებ ეროვნული განთავისუფლებისათვის ბერძნების ბრძოლის რომანტიკულ იდეალიზაციას ახდენდა.

გარკვეულ ისტორიულ პირობათა წყალობით ქართული რომანტიზმი, თავისი გამოჩენილი წარმომადგენლების სახით, პროგრესული რომანტიზმის მაგისტრალურ ხაზს გაჰყვა. სოციალური, ეროვნული და ეთიკურ-ფილოსოფიური პრობლემების ჰუმანისტური თვალსაზრისით გადაჭრა ქართველი რომანტიკოსების მიერ ნათლად ადასტურებს მათი შემოქმედების პროგრესულ ხასიათს. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს გარემოება უმთავრესად გამოწვეულია საქართველოს სპეციფიკური საზოგადოებრივი

პირობებით. ამ მხრივ დიდმნიშვნელოვანია ის ძლიერი, ჯანსაღი ტრადიციები, რომელიც მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიული ინერციით თან ახლდა და მემკვიდრეობითად უკავშირდებოდა ახალ მხატვრულ სტილს. პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ეპოქის საერთო სულისკვეთებას და ქართული რომანტიკული სკოლის ორგანულ კავშირს მოწინავე რუსულ და დასავლეთევროპულ რომანტიკულ ლიტერატურასთან.

ჩვენს რომანტიკოსებს არ დაუტოვებიათ თეორიულ-ესთეტიკური ტრაქტატები, მაგრამ მათი შემოქმედების თავისებურებათა ანალიზი და სხვა საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმული შეხედულებანი საფუძველს გვაძლევენ, გარკვეული დასკვნები გამოვიტანოთ ქართული რომანტიკული ხელოვნების წარმომადგენელთა ესთეტიკური კრედოს შესახებ.

ქართული რომანტიზმის გამოჩენილი წარმომადგენლები გამოხატავენ თავისი დროის იდეოლოგიის პროგრესულ ტენდენციებს და ლიტერატურას მიზნად უსახავენ ხალხის სამსახურს. თვით სევდიან და მძიმე წუთებშიც "სოფლისათვის ზრუნვას" აღიარებდნენ ადამიანის მთავარ დანიშნულებად. ისინი თავიანთ შემოქმედებაში სვამენ ქვეყნის ბედთან დაკავშირებულ ისტორიულ-პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხებს, საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირობო პრობლემებს.

ქართულ პროგრესულ რომანტიზმში მშვენიერების იდეალი დაკავშირებულია ადამიანის თავისუფლებასთან. ნ. ბარათაშვილი "მერანში" თავგანწირულ ბრძოლას, წინსწრაფვას უწოდებს მშვენიერს ( და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გიჟურსა ლტოლვას), პოეტი ბრძოლაში ხედავს მშვენიერების უმაღლესი იდეალის განხორციელებას.

ქართველი რომანტიკოსების ესთეტიკაზე სხვა მხრივაც გვაძლევს წარმოდგენას მათი შემოქმედება, თუ მას წინამორბედ ლიტერატურულ ტრადიციებს შევადარებთ. XVII –XVIII საუკუნეების მწერლების შემოქმედებაში ხშირად ადამიანის აბსტრაქტული აპერცეპციაა მოცემული, მათს წარმოდგენაში ადამიანი ხშირად ღვთაებრიობის ემანაციაა და ზოგჯერ მკვლევართათვის ძნელი გასაგებია, სად იგულისხმება რეალური ადამიანი და სად –ღვთაება. ეს აბსტრაქტული გაგება დამახასიათებელია კლასიციზმის სტილისათვის, რომელიც თავისებური ისტორიული პირობების გამო არ აღორძინებულა ჩვენში, მაგრამ მისი ელემენტები უთუოდ შეინიშნება ძველსა და გარდამავალი ხანის ქართულ მწერლობაში. ამ მხრივ სრულიად



საწინააღმდეგო სურათს ვხედავთ ახალ ქართულ ლიტერატურულ მიმდინარეობაში: ადამიანის შინაგანი ფსიქოლოგიური სამყაროს ჩვენება ქართველი რომანტიკოსების შემოქმედებითი ყურადღების ცენტრში მოექცა. ეს იყო რომანტიკული სუბიექტივიზმის აღორძინება, ფანტაზიისთვის ფართო გაქანების მიცემა, რაც ერთგვარად რაციონალიზმის რეაქციის გამოხატულებას წარმოადგენდა. ეს, შეიძლება ითქვას, საერთო მოვლენა იყო მსოფლიო რომანტიზმის განვითარებაში, რაც ჯერ კიდევ ჰეგელმა აღნიშნა. თავის ლექციებში ესთეტიკაზე, ხელოვნების რომანტიკული ფორმების ანალიზისას ჰეგელი წერს: "რომანტიზმის ჭეშმარიტი შინაარსი არის აბსოლუტური შინაგანი ცხოვრება, ხოლო მის შესატყვის ფორმას წარმოადგენს სულიერი სუბიექტურობა, როგორც თავისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების შეცნობა"<sup>[21]</sup>.

ქართულმა რომანტიკულმა პოეზიამ ფართოდ გადაგვიშალა ადამიანის სულიერი ცხოვრება, მისი სწრაფვა თავისუფლებისაკენ, მრავალფეროვანი გამა ახალი ადამიანის განცდებისა, მისი მებრძოლი პათოსი და ძლიერი გაქანება.

ქართულმა რომანტიზმმა გამოხატა იმ დროის საქართველოს სოციალური ცხოვრების წინააღმდეგობანი, საზოგადოების მოწინავე ფენების პატრიოტული განწყობილება, ჰუმანისტური იდეები. მან ახალ ეტაპზე აიყვანა ძველი ქართული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი დადებითი ელემენტები და ეპოქის მოწინავე იდეებს დაუკავშირა ისინი. ქართული რომანტიზმი სინამდვილის უბრალო პროტესტსა და უარყოფას კი არ გულისხმობდა, არამედ არსებულის უარყოფაში ხედავდა მომავლისათვის ბრძოლის აუცილებელ პირობას. მთელი ქართული პროგრესული რომანტიკული პოეზია გაჟღენთილია ჭეშმარიტების ძიების, ახალი იდეების დამკვიდრების დაუცხრომელი სურვილით.

ახალი ქართული ლიტერატურული მოძრაობის დახასიათებისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი გამოხატავდა ქართველი ხალხის კულტურის ყველაზე მოწინავე ტენდენციებს გარკვეულ ისტორიულ ეპოქაში. ლენინი გვასწავლიდა, რომ თვითეულ ნაციონალურ კულტურაში არის ორი ნაციონალურ კულტურა – პროგრესული და რეაქციული<sup>[22]</sup>.

ქართული პროგრესული რომანტიზმი ჩვენი მოწინავე კულტურის ბრწყინვალე ფურცელია. იგი უადრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა XIX საუკუნის ქართული მხატვრული აზროვნების განვითარებაში, თავისი მოწინავე საზოგადოებრივი იდეალებით იგი უპირისპირდებოდა ქართული რეაქციული თავადაზნაურობის კულტურას, ისევე როგორც პუშკინისა და დეკაბრისტების

მისწრაფებანი დიამეტრალურად ეწინააღმდეგება არაკჩევევის რეაქციულ კულტურას.

ქართველი რომანტიკოსები ეპოქის იდეების სიმაღლეზე იდგნენ. ისინი კარგად იცნობდნენ მსოფლიოს რომანტიკულ ლიტერატურას. ალ. ჭავჭავაძის მძლავრი ეროვნული და სოციალური პათოსი, გრ. ორბელიანის ღრმა რომანტიკული აპერცეპცია და ნ. ბარათაშვილის ფილოსოფიური გააზრება, მათი პოეზიის სახეები და მოტივები ცხადად მიგვითითებს, რომ ქართული რომანტიზმის მასაზრდოებელი წყაროები არა მარტო ეროვნულ სინამდვილეში, არამედ, ამასთან ერთად, მსოფლიო რომანტიკულ მოძრაობაშიც უნდა ვეძიოთ. ამას გვიდასტურებს აგრეთვე ცალკეული თარგმანები და რემინისცენციები რუსი და დასავლეთევროპელი რომანტიკოსების შემოქმედებიდან.

ეროვნული მხატვრული მემკვიდრეობის სიმდიდრის გამო, რომელსაც ეფუძნება ქართული რომანტიზმი, თავისი შინაგანი ბუნებით იმდენად ორიგინალურია, რომ თვით მსოფლიოში მოარული რომანტიკული სახეები და მოტივები სრულიად თავისებურადაა გარდატეხილი ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებითს წარმოსახვაში.

ბარათაშვილის შემოქმედების ცენტრში მოქცეულია ღრმად თავისებური მხატვრული სახე - " ბოროტი სული", რომელიც შეესატყვისება მსოფლიო რომანტიკულ პოეზიაში ცნობილ დემონს. ამ მხრივ საგულისხმოა აგრეთვე " მერანის" სახის ორიგინალური მხატვრული გააზრება, რაც ეროვნული მითოლოგიის უღრმეს პლასტებს უკავშირდება.

როგორც ცნობილია, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვას მე -19 ს. დასაწყისში არ მოჰყოლია ეროვნული ორგანიზმის გამთლიანების ისტორიული პროცესის შეწყვეტა. თანდათან იღვიძებს ხალხის ნაციონალური ცნობიერება, სამშობლოს განთავისუფლების იდეა, პატრიოტიზმის სულისკვეთება ეუფლება მთელ თაობებს. ისახება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ქართველი ხალხის ეს მეზრძოლი სული ფართო გამოხატულებას პოულობს რომანტიკულ შემოქმედებაში. მსოფლიო რომანტიკული ხელოვნების ისტორიაში კარგად ცნობილია, რომ რომანტიზმის წყაროდ და მამოძრავებელ ძალად არაიშვიათად გვევლინება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამის საუკეთესო მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ისტორია მე -19 საუკუნის იტალიისა და პოლონეთის საზოგადოებრივი ცხოვრებისა, სადაც რომანტიზმი ეროვნული მოძრაობის უშუალო გამოძახილს წარმოადგენს ხელოვნებასა და

ფილოსოფიაში. ქართველი ხალხის უძლიერესმა სწრაფვამ ეროვნული განთავისუფლებისაკენ მისცა ძლიერი სტიმული ქართული რომანტიზმის განვითარებას, თავის მხრივ კი ქართულმა რომანტიზმმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაღრმავებაზე, ხელი შეუწყო ეროვნული თვითშეგნების აქტივიზაციას. 1832 წ. შეთქმულების პროგრესული ფრთის ლიტერატურული მოღვაწეობა ამ მხრივ სერიოზულ ისტორიულ ძალას წარმოადგენდა ახლად გაღვიძებულ ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგრამ ქართველი რომანტიკოსები არა მარტო ისტორიული ცხოვრების ნაციონალურ მხარეს აქცევენ ყურადღებას, არამედ აქტიურად ეხმარებიან ხალხის სოციალურ თვითშეგნებაში მომხდარ სერიოზულ ცვლილებებს.

ქართველმა რომანტიკოსებმა ეროვნულ მოტივს, რომელიც დომინანტური იყო მათს შემოქმედებაში, ორგანულად დაუკავშირეს სოციალური განთავისუფლების იდეას, მოწინავე საზოგადოებრივი შეხედულებანი.

ქართული რომანტიზმის დამწყები ალ. ჭავჭავაძე თავისი მსოფლმხედველობის ეპოქის მოწინავე იდეებს პასუხობდა. ბრძოლის პათოსი, რომლითაც გამსჭვალულია ალ. ჭავჭავაძის შემოქმედება, ადასტურებს ქართული რომანტიზმის პროგრესულ ხასიათს, მის კავშირს საკაცობრიო რევოლუციურ-რომანტიკული ხელოვნების საუკეთესო ტრადიციებთან. რა თქმა უნდა, ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ შემთხვევაში განმსაზღვრელი ფაქტორია თვით მაშინდელი ქართული საზოგადოებრივ-ისტორიული სინამდვილე.

გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში ჩვენ გვხვდება ჰუმანიზმის შესანიშნავი ნიმუში. თავის "სადღეგრძელოს" დასასრულს პოეტი განთიადის ფონზე გვიხატავს სისხლისმღვრელი ომის დაწყებას და გულიდან აღმოხდება ადამიანის სიყვარულით გამთბარი სიტყვები:

“ ამ მშვენიერსა დილასა, კაცს რად ჰსურს  
სისხლი კაცისა?”

გრიგოლ ორბელიანის სოციალურ-პოლიტიკური მსოფლმხედველობის დახასიათებისას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მის შეხედულებებს რესპუბლიკური წყობის

შესახებ, რასაც ეხმაურება პოემაში " ბედი ქართლისა" გატარებული პოლიტიკურ-კონსტიტუციური პრინციპები.

მძაფრი აქტივიზმი ახასიათებს ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებას. მის პოეზიაში უმაღლესი განსახიერება პოვა პიროვნების განთავისუფლების სოციალურმა იდეამ. კრიტიკული აზრის დაუცხრომელი წინსწრაფვა, ისტორიული პროგრესის რწმენა და ჰუმანიზმი ნ. ბარათაშვილის შემოქმედების ძირითადი ნიშნებია. ბარათაშვილმა უმაღლეს დონეზე აიყვანა ქართული რომანტიზმი. მან შეძლო უბადლო მხატვრულ სახეებში გამოეხატა ქართველი ხალხის პროგრესული სოციალურ-პოლიტიკური მრწამსი.

დიდი ადგილი უკავია ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში ისტორიზმს. ისტორიულმა თემამ რომანტიკოსების შემოქმედების მრავალ ჟანრში პოვა გამოხატულება. თუ რომანტიკოსების უფროს თაობაში ისტორიული მოტივი უმეტესად ლირიკაში და პოეტურ ეპოსში იჩენს თავს ( ა. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი), მომდევნო პერიოდში ისტორიული წარსულით ფართოდ სარგებლობს პროზა და დრამატურგია ( გრ. რჩეულიშვილი, ალ. ორბელიანი), მაგრამ თემის შემოქმედებითი გადაწყვეტა რომანტიკოსების ამ დაჯგუფებათა შორის სხვადასხვაგვარია.

ისტორიული თემატიკის დამუშავების დროს პროგრესული რომანტიკოსები, განსაკუთრებით ნიკოლოზ ბარათაშვილი, არა მხოლოდ გარდასულ დროთა ამბებით გადმოგვცემს ერის ბედს, არამედ ისტორიულ სურათებს უკავშირებს აწმყოს ვითარებას და თავის თაობას ფრიად აფიქრებს სამშობლოს მომავალზე.

თუ ნ. ბარათაშვილი მისი თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამოცანების შუქში იხილავს ისტორიულ პრობლემებს და მისი, როგორც შემოქმედის, მზერა მომავლისაკენაა მიმართული, სოლომონ რაზმაძე და ვახტანგ ორბელიანი, გრიგოლ რჩეულიშვილი და ალექსანდრე ორბელიანი საქართველოს ფეოდალური წარსულის იდეალიზაციას ახდენდნენ და მის რესტავრაციაზე ოცნებობენ, ისინი ვერ სწვდებიან სამშობლო ქვეყნის ისტორიულ პროგრესულ ტენდენციას და ვერ მალდებიან ახალი ცხოვრების მიერ წამოჭრილ საზოგადოებრივ ამოცანამდე. მათთვის უცხოა აგრეთვე ის ჯანსაღი რეალისტური ტენდენციები, რაც პროგრესულ რომანტიკოსთა შემოქმედებას ახასიათებდა.

რომანტიკული სტილის სპეციფიკური მხატვრულ-იდეური თავისებურებანი მკვეთრად გამოვლინდა მორალურ-ეთიკური პრობლემატიკის ახლებურ გაშუქებაში.

გრ. ორბელიანის შემოქმედებაში უკვე მკვეთრადაა გამოხატული იდეალური სიყვარულის კონცეფცია. იგი სიყვარულის

გრძნობას ორგანულად უკავშირებს უკვდავების იდეას. სიყვარულის ასეთი გაგება უპირისპირდება ამ გრძნობის მხატვრულ ასახვას აღმოსავლურ პოეზიაში. ნ. ბარათაშვილის სიყვარულის რომანტიკულ კონცეფციას საფუძვლად უდევს პოეტის მორალური ფილოსოფია. პოეტი სიყვარულის საკითხს განიხილავს უმაღლეს ეთიკურ ღირებულებათა ასპექტში, როგორც უმშვენიერეს, კეთილშობილ ადამიანთა სულიერ კავშირს. ნ. ბარათაშვილი, როგორც ჭეშმარიტი რომანტიკოსი, სიყვარულში სულიერი ჰარმონიისა და მარადისობის განცდის გამოვლენას ჭვრეტს.

ყველა ხალხთა რომანტიკულ ლიტერატურაში ბუნების გრძნობას დიდი ადგილი უჭირავს. მაგრამ თუ რეაქციულ რომანტიკოსებთან (ტიკი, ნოვალისი) ბუნება მისტიკური გააზრებისა და ღვთაებრივი აბსტრაქციის საგანი იყო, რევოლუციური რომანტიზმის წარმომადგენლებისათვის ( გოეთე, ბაირონი, შელი, პუშკინი, მიცკევიჩი) უცხოა ბუნების მეტაფიზიკური ჭვრეტა. პირიქით, ბუნების განსულიერება და მის სახეებში ცხოვრების დანახვა დამახასიათებელი თვისებაა რომანტიკული ხელოვნებისათვის. იგივე შეიძლება ითქვას პროგრესული ქართული ქართული რომანტიზმის მეთაურებზე. ალ. ჭავჭავაძე პირველი მწერალია გასული საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, რომლის მიერ დახატულ ბუნების სურათებში იგრძნობა საზოგადოებრივი ცხოვრების მხატვრული წარმოსახვის ტენდენცია.

გრიგოლ ორბელიანმა კიდევ უფრო გააღრმავა ბუნების რომანტიკული გააზრება. ნიკოლოზ ბარათაშვილმა კი კალმის გენიალური მოსმით დაგვიხატა მშობლიური ბუნების უკვდავი სურათები. ბარათაშვილი ბუნებას მეტყველ ენას უდგამს იმისათვის, რომ დაამყაროს ჰარმონია ბუნებასა და ადამიანს შორის.

არ შეიძლება ქართულ რომანტიზმში ყურადღება არ მიიქციოს აგრეთვე აშკარა რეაქციამ რელიგიურ-მისტიკური დოგმატიზმის ყოველგვარი გამოვლენის წინააღმდეგ. ამ მხრივაც ქართულ რომანტიზმში თავს იჩენს პროგრესული რომანტიკული მსოფლგაგებისათვის დამახასიათებელი მომენტები. ჯერ კიდევ გოეთე შენიშნავდა, რომ მოწინავე ინგლისელი რომანტიკოსები ბიბლიური სახეების გამოყენებით ხშირად რელიგიური დოგმატიზმის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ<sup>[23]</sup>.

ქართული რომანტიზმის საუკეთესო წარმომადგენლები, ისევე როგორც ამ მიმართულების მსოფლიო კორიფეები, თავისი დროის რეალურ კონფლიქტებს გამოხატავდნენ არაჩვეულებრივი ძლიერებით დაჯილდოებულ გმირთა სახეებში, ვნებათა უმდაფრეს ჭიდილში. ასეთ მხატვრულ აპერცეპციას შემდეგ ახსნას აძლევდა

ბაირონი:“ ჩვენ ვცხოვრობთ ტიტანურ და გაზვიადებულ დროში, როცა ყველაფერი, რაც თავის ზომით გოგსა და მაგოგს ჩამორჩება, გვეჩვენება პიგმეურად” ( წერილი ვალტერ სკოტისადმი 1822 წლის 4 მაისის თარიღით).

ახალი რომანტიკული სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი იყო მხატვრული აზროვნების სიმბოლურ სახეებში გამოხატვა. რომანტიკული პოეტიკის ეს ხერხი დიდ გაქანებას აძლევდა შემოქმედს. რომანტიკულ სიმბოლურ სახეს ახასიათებდა ბრძოლის პათოსი, ტიტანიზმი, სოციალურ-ფილოსოფიურ განზოგადობათა შინაარსობრივი სისავსე. “ მერანი” ამ შემთხვევაში მსოფლიო რომანტიკული ხელოვნების საგანძურში ერთი უბრწყინვალესი სახე-სიმბოლოა, რომელშიც გამოხატულია პრომეთესეული სტოიციზმი, გაუტეხელი გმირული სული. ი. ჭავჭავაძემ პირველმა გაატარა შესანიშნავი პარალელი “ მერანსა” და მსოფლიო ლიტერატურაში ცნობილ მხატვრულ სახეებს შორის და ქართული რომანტიკული ხელოვნების საკაცობრიო მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება. ფილოსოფიური აზრის სიღრმე, ბრძნული დაფიქრება ცხოვრების მწვავე კითხვებზე აფართოებდა ქართული რომანტიკული პოეზიის იდეურ სამყაროს, მაღალ საზოგადოებრივ ღირებულებას ანიჭებდა მას ერის სულიერ განვითარებაში.

ქართული რომანტიკული შემოქმედების წიაღშივე ისახება რეალისტური ტენდენციები. ეს, რა თქმა უნდა, არ არის მე –18 საუკუნის ქართული ლიტერატურის რეალისტური ტენდენციების განმეორება, რამდენადაც აღნიშნული სტილი ვერ უპასუხებდა ახალი დროის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების შინაარსს. ჩვენი ცხოვრების ამ პერიოდს შეესატყვისებოდა ხელოვნების რომანტიკული ფორმები. ამავე დროს, მე –19 საუკუნის პირველი მესამედის ქართული ისტორიული ცხოვრება არ იყო მომწიფებული კრიტიკული რეალიზმის აღორძინებისათვის, მაგრამ მისი პირველი მარცვლები უკვე ღვივდებოდა. ამით აიხსნება კანონზომიერი მოვლენა, რომ თვით რომანტიზმში ისახება ახალი რეალისტური ტენდენცია, რომელიც მომდევნო წლებში შესაფერ საზოგადოებრივ პირობებში ძლიერ მხატვრულ მიმართულებად ყალიბდება. ეს ტენდენცია რეალიზმისაკენ ყველაზე მკვეთრად გამომჟღავნდა ნ. ბარათაშვილისა და გრ. ორბელიანის შემოქმედებაში.

არსებული სინამდვილის წინააღმდეგ მებრძოლი, მოწინავე იდეებით აღჭურვილი გმირის შემოქმედების ცენტრში დაყენება, ოცნება უკეთესი მომავლისათვის და არა მხოლოდ წარსულით შემოზღუდვა, აქტუალური ეროვნული და სოციალური საკითხების წინა პლანზე წამოწევა, პროტესტი ყოველგვარი რუტინის მიმართ,

სწრაფვა ნაციონალური თემატიკისკენ, ისტორიულ-საზოგადოებრივ ტენდენციაში გარკვევის ცდა – არსებითი მომენტებია, რომლებიც პროგრესულ ქართულ რომანტიზმს აძლევდა სტიმულს მის წიაღშივე ჩასახულიყო რეალიზმის ელემენტები.

ჟანრობრივი თვალსაზრისით, ქართულმა რომანტიზმმა ყველაზე ფართო გაქანება ლირიკაში პოვა. ეს გასაკვირი არ არის. კარგად ცნობილია, და ამას მსოფლიო რომანტიზმის ისტორიაც ადასტურებს, რომ რომანტიზმის სტიქია ყველაზე მეტად ლირიკულ ჟანრში ვლინდება.

პროზის ტრადიციები დიდი ქართველი რომანტიკოსებიდან ყველაზე მეტად გრიგოლ ორბელიანმა განავითარა. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი დღიურები, კერძოდ, " მგზავრობა ჩემი თბილისიდან პეტერბურღამდის"( 1831 –1832 წწ.), რომელშიც მწერლის მოწინავე პოლიტიკური მსოფლმხედველობა გამოსჭვივის. აგრეთვე ესკიზები, განსაკუთრებით " ზამთრისა ქარი გრიალებს", " ნინო", ეკატერინე, მანანა", " ანტონისადმი", და სხვ. დოკუმენტურ პროზას, რომლითაც ასე გატაცებულნი იყვნენ რომანტიკოსები, "მგზავრობასთან..." ერთად მიეკუთვნება მისივე დღიური 1836 წლისა. ამ მხრივ საყურადღებოა აგრეთვე გრ. ორბელიანის პროზაული თარგმანებიც.

ნაგვიანვეად განავითარა ქართული რომანტიკული პროზა გრიგოლ რჩეულიშვილმა, რომლის შემოქმედებითი ყურადღება საქართველოს წარსულისაკენ იყო მიმართული.

დრამატულ ჟანრში ქართული რომანტიზმი ყველაზე მეტად ალ. ორბელიანის შემოქმედებაში გამოიხატა. მან შექმნა ისტორიული ხასიათის რომანტიკული დრამა, რომელშიც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ნათლად ჩანს ალ. ორბელიანის კონსერვატულ-ფეოდალური იდეოლოგია.

მაგრამ ქართულ სინამდვილეში რომანტიკული პროზა და დრამა დიდად ჩამორჩა რომანტიკული პოეტური კულტურის განვითარებას. იმდროინდელ პროზასა და დრამატურგიას, დღევანდელი თვალსაზრისით, უფრო ისტორიული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ესთეტიკური ღირებულება.

ასეთია ქართული რომანტიზმის მთავარი თვისებანი. ამ ახალმა ლიტერატურულმა სტილმა წამოაყენა არა მხოლოდ ახალი იდეები, არამედ შეძლო ახალი მხატვრული აზროვნებისათვის მოეპებნა ახალი მხატვრული ფორმაც.

მდიდარი ნაციონალური სულიერი კულტურის ტრადიციებზე აღმოცენებული და მსოფლიო სიტყვიერი ხელოვნების მიღწევებით ნასაზრდოები ქართული რომანტიზმი თავისი საუკეთესო

წარმომადგენლის, ნიკოლოზ ბარათაშვილის განუმეორებელი შემოქმედებით გასცდა ეროვნულ საზღვრებს და მსოფლიო ლიტერატურის სიმაღლეზე ავიდა. ეს საკაცობრიო ხასიათი განსაკუთრებულ შემეცნებითს და ესთეტიკურ ღირებულებას ანიჭებს პროგრესულ ქართულ რომანტიზმს XIX საუკუნის ქართული მხატვრული აზროვნების ისტორიაში.

ქართულმა რომანტიკულმა ხელოვნებამ ძლიერი ზეგავლენა მოახდინა ჩვენი ხალხის სულიერ და ზნეობრივ განვითარებაზე, დიდად შეუწყო ხელი მისი ეროვნული შეგნების ამაღლებას.

<sup>[1]</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ.IV, 1955,გვ. 216- 217.

<sup>[2]</sup> ივ.Цагарели. Грамоты... т. II, д. №126.

<sup>[3]</sup> ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, თბილისი, 1931, ტ. I, გვ. 163, 164.

<sup>[4]</sup> გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, 1935, გვ.67.

<sup>[5]</sup> გ. გოზალიშვილი, 1832წლის შეთქმულება, გვ. 62-63.

<sup>[6]</sup> М Нечкина, Грибоедов и Декабристы, 1951,გვ.206,211.

<sup>[7]</sup> "სალიტერატურო ნაწილნი" ...1832, № 5

<sup>[8]</sup> ნ. ბარათაშვილის თხზულებანი, 1945,გვ. 80.

<sup>[9]</sup> ეს თემა ფართოდ არის გაშუქებული ვანო შადურის, ირ. ანდრონიკაშვილის, ლევან ასათიანის, ანა ნიკოლაძისა და სხვა ქართველ მკვლევართა შრომებში, რომლებიც სპეციალურად მიძღვნილია რუსულ- ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა მეცნიერული შესწავლისადმი.

<sup>[10]</sup> ირ. ანდრონიკაშვილი, საქართველო ლერმონტოვის შემოქმედებაში, 1843, გვ. 15.

<sup>[11]</sup> თბილისის სასულიერო სემინარიის საარქივო მასალებიდან ( მაქს.

ბერძენიშვილის პუბლიკაცია), " მიმომხილველი",1949, № 1,გვ. 429 – 430. ს.

ხუნდაძე, ნარვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში,1951,გვ. 170.გაზ. "საქართველო", 1916,№ 205," მიმომხილველი",გვ. 431.

<sup>[12]</sup> სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1961, გვ. 271 –272.

<sup>[13]</sup> ცსსა, ფონდი 1457,რვ. 1, ფ. 18; გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I , 1938,გვ.140.

<sup>[14]</sup> სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, 1961, გვ.284.

<sup>[15]</sup> ს. დოდაშვილი, ლოგიკა, ა. ქუთელიას რედაქციით და წინასიტყვაობით, გვ. IX.

<sup>[16]</sup> "მიმომხილველი", 1949, №1,გვ.431.

<sup>[17]</sup> სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი,1961,გვ.238

<sup>[18]</sup> იქვე,გვ. 249.

<sup>[19]</sup> В.И. Ленин. Соч., Т.21, გვ. 126.

<sup>[20]</sup> მ. ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა,1956, ტ. I, გვ. 66-67.

<sup>[21]</sup> Гегель, Лекции по эстетикею Собрание сочинений. Т. XIII, кн. II, 1940, გვ. 89.

<sup>[22]</sup> ლენინი, თხზულებანი, ტ. XX,გვ.21.

<sup>[23]</sup> И. Эккерман, « Разговоры с Гете », 1934, გვ. 206.



## ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786 – 1846)

ალექსანდრე ჭავჭავაძე ქართული რომანტიზმის პირველი წარმომადგენელია. ახალ ქართულ ლიტერატურაში ყველაზე ადრე რელიეფურად ამ პოეტის შემოქმედებაში იჩინა თავი ქართული მწერლობის დაახლოებამ ევროპულ მწერლობასთან. ეს არის ალ. ჭავჭავაძის ერთ-ერთი დიდი დამსახურება ქართული მწერლობის წინაშე.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ წლებში, მისი უმცროსი თანამედროვეების გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის-სამწერლო ასპარეზზე გამოჩენამდე, ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში იგრძნობოდა ქართული რომანტიზმის მრავალი თვისება: დემოკრატიული ლტოლვანი, ზნეობრივი მრწამსის დაკავშირება ეროვნულ-სოციალურ მსოფლმხედველობასთან. სწორედ ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში გაისმა პირველი ძლიერი ეროვნულ-სოციალური პროტესტი. საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმების გამო გარდამავალი ხანის პოეტებმაც გამოთქვეს აღშფოთება, მაგრამ ეს დაკავშირებულია სამეფო ტახტის დაკარგვასთან. ალ. ჭავჭავაძის ლირიკაში ეროვნული სევდაც მოჩანს, წმიდა პიროვნული ტკივილებიც და სოციალური უთანასწორობით გამოწვეული ნალველიც.

ახალ ქართულ ლიტერატურაში ალ. ჭავჭავაძემ დაუდო სათავე რომანტიკულ - "მამულიშვილურ და მოქალაქეობრივ გულისტკივილს", სამოციან წლებში ეგრე გაძლიერებულს ჩვენს მწერლობაში" ( ი. ჭავჭავაძე). საგულისხმოა, რომ ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში სამშობლოს "შავ-ბედზე ტირილს", " დაუდგრომელ დროთ ბრუნვაზე" რომანტიკულ ჭმუნვასა და სიყვარულს ასახელებს ილია თავის ლექსში " ალექსანდრე ჭავჭავაძეს".

ამავე დროს ალ. ჭავჭავაძის ლექსის პოეტური სახეების აღნაგობა და ხასიათი აშკარად ატარებს თეიმურაზ პირველისა და, კერძოდ თავის უშუალო წინამორბედთა – ბესიკის და სხვათა გავლენის კვალს. ალ. ჭავჭავაძის ლექსების დიდ ნაწილს ჯერ კიდევ ამდომებს ანტონ I-ის " მაღალი შტილის" გავლენა – პოეტური ენის არქაიზაცია და მეტაფორულობა. მაგრამ მის ლირიკაში არქაული პოეტიკის გადალახვის საწყისებიც მჟღავნდება. ამითაც აიხსნება, რომ პოეტის ლექსები პოპულარული იყო მისი სიცოცხლეშივე და შემდეგაც. " ალ . ჭავჭავაძე, როგორც პოეტი, მეტად სახელგანთქმული იყო. გრძნობითა ლა აზრით გამსჭვალულ იმ სიმღერათაგან, რომელთაც მეტნაკლებად ყველა ქართველი იცნობს, საუკეთესონი, სულ ცოტა ორი მესამედი, ალ. ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნის"<sup>[1]</sup>. ცნობილი ბიოგრაფი ი.

მეუნარგიაც აღნიშნავს, რომ პოეტის " ლექსები... ქუჩა-ქუჩა და სოფელ-სოფელ იმღერებოდა <sup>[2]</sup>. ჩვენი საუკუნის დამდეგს ი. ფანცხავა წერდა: ალ. ჭავჭავაძის ლექსებს " ხალხი დღემდე... ჭირსა და ვარამში, მხიარულობისა და ლხინის დროს მღერის... ამ მგოსნის ხსოვნა დღემდე ვერ აღმოფხვრეს ისეთმა ნიჭიერმა მგოსნებმა, როგორც არიან გრ. ორბელიანი, აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე" <sup>[3]</sup>.

მხატვრული სტილით-ჟანრობრივად, მოტივებით, პოეტური სახეებით – ალ. ჭავჭავაძე არაა დასრულებული რომანტიკოსი. მის პოეზიაში ქართული რომანტიზმის საწყისები მოჩანს მხოლოდ.

ალ. ჭავჭავაძის ლექსების უმეტესობა უთარიღია. მათი ნაწილობრივი დათარიღება მაინც ხერხდება ზოგი ხელნაწერი კრებულის, ლექსთა შინაარსისა და სხვა მონაცემების მიხედვით. ამდენად შესაძლებელია დავადგინოთ ამ პოეტის შემოქმედების განვითარება. 1832 წლის შეთქმულების დამარცხებამდე ალ. ჭავჭავაძის შემოქმედება მძაფრი სევდა-ნაღველითა და პოლიტიკური სულითაა გაჟღენთილი. შეთქმულების გამომჟღავნების შემდეგ კი ეს ნაკლებ შეიმჩნევა.

ალ. ჭავჭავაძე მაღალი თანამდებობის პირი იყო, მაგრამ კოლონიური ჩაგვრისადმი თავის შეურიგებლობასაც აშკარად ამჟღავნებდა. ამის გამო მეფის მთავრობა კარგა ხანს უნდობლად უყურებდა პოეტს. ამის გამოხატულებას თუნდაც ის, რომ 1822 წ. მას ჩამოართვეს ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის დროებითი უფროსობა ( რის დამტკიცებას მოელოდა) და მასზე გამოუცდელსა და მასზე ახალგაზრდას – ვინმე შაბელსკის-ჩააბარეს. პროტესტის ნიშნად, " შეურაცხყოფილი ჭავჭავაძე მაშინვე გადავიდა ქართველ გრენადერთა პოლკში" <sup>[4]</sup>.

პოეტის მოქალაქეობრივ ღირსებასა და რადიკალიზმზე მეტყველებს ისიც, რომ მან თავი მოივადმყოფა და არ შეასრულა ბრძანება დეკაბრისტ ნ. რაევსკის დაპატიმრების და სალდათად ჩამოქვეითების შესახებ <sup>[5]</sup>.

ალ. ჭავჭავაძე 1804 წ. და 1832 წ. შეთქმულებათა ფაქტიური ხელმძღვანელი იყო. ეს კი საქართველოში ცარიზმის ბატონობისადმი ალ. ჭავჭავაძის დამოკიდებულების მკვეთრი გამოხატულებაა. პოლიტიკური უკმაყოფილებით არის გამსჭვალული მთელი მისი პოეზიაც.

\* \* \*

გადმოცემით, ჭავჭავაძეთა შორეული წინაპრები ხევსურეთიდან კახეთში ჩამოსახლებული გლეხები ყოფილან. ისტორიული ქრონიკები თავადურ გენეალოგიას უჭერს მხარს, რომელიც ფაროდი ჭავჭავაძით ( მე-15 საუკუნის I ნახევარი) იწყება. ერეკლე II–ის დროს, სამშობლოსათვის თავგანწირული ბრძოლით თავი გამოუჩენიათ ბესპაზ და პაატა ჭავჭავაძეებს. პოეტის მამა გარსევან რევაზის მე ჭავჭავაძე ( 1757- 1811), ერეკლე მეორის “ პირველი სანდო და საყვარელი კაცი”, თითქმის ორ ათეულ წელს საქართველოს სამეფოს დიპლომატიური წარმომადგენელი იყო რუსეთის იმპერატორის კარზე. 1783 წ. ივლისში, ერეკლე მეფის რწმუნებით, მან ხელი მოაწერა რუსეთ- საქართველოს “ მეგობრობის პირობას”. საქართველოს რუსეთთან შეერთების მოწინააღმდეგენი გარსევანს სამშობლოს მოღალატედ სახავენ. “ გარსევან ჭავჭავაძემ მისცა საქართველო რუსებს, რომელიც იყო რუსეთის აგენტი საქართველოს მიტაცებისათვის”, - ამბობს ალ. ორბელიანი. ისტორიკოსი პლ. იოსელიანი კი ასე წერს: “ ვიტყვი გარსევანისათვის, რომელ დროთა ამათ იყო იგი სვეტად მტკიცედ მეფობისა, ერთგულად მეფისა და მამულისა, მგმობელი მისი სცოდავს”<sup>[6]</sup>.

გარსევან ჭავჭავაძე თავისი დესპანობის დროს მეტწილად პეტერბურგში ცხოვრობდა. ამან ერთგვარად განსაზღვრა მისი ერთადერთი შვილის, მომავალი პოეტის –ალექსანდრეს - სწავლა-აღზრდის ხასიათი.

ალ. ჭავჭავაძის დედა –მარიამ (მაია) ივანეს ასული ავალიშვილი ( 1758 –1836 ) – და დრამატურგ გ. ავალიშვილისა – განათლებული და სათნო ქალი იყო, მას პოეტები ხოტბას ასხამდნენ. მაიამ შეასწავლა წერა-კითხვა პატარა ალექსანდრეს.

ალექსანდრე დაიბადა 1786 წ. პეტერბურგში. იგი “მიირქვა... ხელმწიფა იმპერატრიცა ეკატერინამ”, - წერს გარსევანი<sup>[7]</sup>. 9. წლის ალექსანდრე მიაბარეს ბამანის პანსიონში, სადაც 1799 წლამდე დაჰყო. აქ მან შეისწავლა რუსული, ფრანგული და გერმანული ენები. 1799 წ. 10 აგვისტოს გარსევან ჭავჭავაძემ და კოვალენსკიმ იმპერატორ პავლეს მიერ გამოგზავნილი სამეფო გვირგვინი და სხვა სამეფო ნიშნები წამოიღეს და ჩამოვიდნენ თბილისს გიორგი XII–ის მეფედ კურთხევაზე დასაწრებლად. გარსევანმა ოჯახიც თან ჩამოიყვანა. მომავალი პოეტი თბილისში დარჩა და მამის ხელმძღვანელობით განაგრძობდა სწავლას.

1804 წ. 17 იანვარს გ. ჭავჭავაძემ იმპერატორს წარუდგინა თხოვნა თავისი ვაჟიშვილის კამერპაჟად ჩარიცხვის შესახებ, რაც დაკმაყოფილებულ იქნა იმავე წლის 3 სექტემბერს. მაგრამ სწორედ ამ დროს ცარიზმის მოხელეთა აღვირახსნილობის გამო არაგვის ხეობის

ქართველ მთიელთა აჯანყებამ იფეთქა<sup>[8]</sup>. აჯანყებასთან დაკავშირებული იყვნენ ფარნაოზი და სხვა ბატონიშვილები.

1804 წ. 14 სექტემბერს თავისუფლების სულით გამსჭვალული 18 წლის ჭაბუკი პოეტი მთიელ აჯანყებულებს შეუერთდა.

მეფის რუსეთის ჯარებმა აჯანყება სწრაფად ჩაახშეს და მისი მეთაურები სასტიკად დასაჯეს. ალ. ჭავჭავაძე თბილისის საპყრობილეში მოათავსეს ; 1805 წლის 11 ნოემბერს იგი ტამბოვში გადასახლეს 3 წლით.

1805 წ. 14 აპრილს იმპერატორი ციციანოვს სწერდა: მამის დამსახურებისა და იმის გამო, რომ ეს " უმეტესად ახალგაზრდობით შეემთხვა ... მე სასიკეთოდ ვსცანი მისი სასჯელი განისაზღვროს ტამბოვში 3 წელს ყოფნით ზედამხედველობის ქვეშ. ამ ვადის გასვლის შემდეგ, განაახლებს ერთგულების ფიცს. იმსახურებს აქ და ახალ წარმატებებსაც მიაღწევსო<sup>[9]</sup>. 1806 წ. 9 ნოემბერს, თუ უფრო ადრე არა, ა. ჭავჭავაძე თავისუფალია ტამბოვის გადასახლებისაგან. 1807 წ. დამდეგს იგი პაჟთა კორპუსშია<sup>[10]</sup>.

1806- 1808 წლებში გარსევან ჭავჭავაძეს არაერთგზის მიუმართავს იმპერატორისათვის თხოვნით თავისი ვაჟიშვილისათვის წარჩინების მინიჭების შესახებ. მაგრამ იმპერატორი, ჩანს, ქართველ მთიელთა 1804 წ. აჯანყების თვალსაჩინო მონაწილეს, ტამბოვის გადასახლების ვადის შემცირებასა და კამერპაჟად ჩარიცხვასაც დიდ წყალობად უთვლიდა და აღარ ჩქარობდა მის დაწინაურებას.

1808 წ. ალ. ჭავჭავაძემ დაამთავრა პაჟთა კორპუსი და იმავე წლის 19 დეკემბერს მიიღო პოდპორუჩიკობა.

პაჟთა კორპუსის დამთავრების შემდეგ ალ. ჭავჭავაძე დიდ სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობს. 1811 წ. იგი პორუჩიკი გახდა. 1811 წ. გენერალ-ლეიტენანტ მარკიო პაულიჩის ადიუტანტია, რომლის ბრძანებით 1812 წ. თებერვალში მას გზავნიან კახეთში – სიღნაღისა და თელავის მაზრებში კახეთის გლეხთა აჯანყების ჩამხშობ ექსპედიციისაში. უნდა ითქვას, რომ ამ ლაშქრობაში მონაწილეობა არ ყოფილა პოეტის სურვილი. " ალექსანდრემ ჯერ მოინდომა კახეთის დამშვიდება ტკბილის ქართულით,- წერს ი. მეუნარგია,- მაგრამ რომ ვერა გააწყო—რა, საქმე ძალაზე და სროლაზე მიდგა... ალექსანდრე წუხდა, რომ საკუთარ ძმებთან უნდა ეომა, მაგრამ... ის შეება კახელებს და ცდილობდა საქმე ისე გაეთავებინა, რომ ბევრი უბედურება არ დატრიალებულიყო"<sup>[11]</sup>. 1 მარტს სოფელ ჩუმლაყთან ალექსანდრე აჯანყებულებმა მძიმედ დაჭრეს მარცხენა ფეხში. ჭრილობა ძნელად მოსარჩენი აღმოჩნდა (1816 წელსაც არ ჩანს მთლად განკურნებული). მაგრამ 26- 27 წლის შემდეგაც უმაღლესი მთავრობის წინაშე წარდგენილ მოხსენებაში ალ. ჭავჭავაძე იცავს აჯანყებულ კახელ

გლებებს, რომლებმაც იგი მძიმეთ დაჭრეს 1812 წელს. “ კახეთის ამბოხება,- წერდა იგი მოხსენებაში , - ყოველგვარი პოლიტიკური მიზეზისა და უცხო გავლენის გარეშე მოხდა. მისი ერთადერთი მიზეზი ხალხის უმაგალითო შეწუხება იყო; განსაკუთრებით იმ საუბედურო შემთხვევის დროს, როდესაც მას სურსათს ეგზეკუციით ართმევდნენ და ყოველგვარ უმსგავსოებით საზღვარს გადასცილდნენ”.

1813 წ. 21 სექტემბრიდან 1814 წ. 6 ივლისამდე ალ. ჭავჭავაძე მონაწილეობს სამამულო ომში- იგი ახლდა მთავარსარდალ ბარკლაი დე ტოლის. ბრძოლებში წარჩინებისათვის, რუსეთის არმიის პარიზში შესვლამდე, ალ. ჭავჭავაძე ბევრ მაღალ ჯილდოს იმსახურებს: წმ. ანას ორდენს II ხარისხის ნიშნით, ოქროს ხმალს წარწერით “გულადობისათვის” და სხვ. მისი უმაღლესი ჯილდო იყო საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენი. თითქმის ერთი წელი დასავლეთ ევროპაში მოქმედ არმიაში იყო. იქ იგი უშუალოდ გაეცნო ფრანგ ხალხს, მის უმაღლეს კულტურას. 1814 წ. ორ თვეზე მეტ ხანს იგი საფრანგეთში, უმთავრესად პარიზში, იმყოფებოდა.

სტუმართმოყვარეობით განთქმული ალ. ჭავჭავაძის ოჯახი მაშინდელი საქართველოს მოწინავე აზრისა და კულტურის ერთ-ერთი მთავარი კერაც იყო. რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ბევრი გამოჩენილი მოღვაწე, ვისაც კი საქართველოში ყოფნა უხდებოდა, უპირველეს ყოვლისა, ალ. ჭავჭავაძის სახლში ეცნობოდა ქართველი ერის ისტორიასა და მწერლობას; ეს მრავალ მოგონებაშია აღბეჭდილი. სხვადასხვა დროს ალ. ჭავჭავაძის სახლში, თბილისსა თუ წინანდალში , იყვნენ: იენის უნივერსიტეტის პროფ. კ. კოხი, ესპანელი რევოლუციონერი ვან- გალენი, პროფ.ი. პაროტი, ინგლისელი პოლკოვნიკი რ. უილბრეჰემი, საფრანგეთის კონსული გამბა, ფრანგი ლეტელიე, დეკაბრისტი პოეტები – იაკუბოვიჩი, კიუხელბეკერი, ა. ოდოევსკი... ალ. გრიბოედოვი ხომ ამ ოჯახის სიძე გახდა. საფიქრებელია, რომ ალ. ჭავჭავაძის ოჯახში ყოფილან ალ. პუშკინი <sup>[12]</sup>, მ. ლერმონტოვი<sup>[13]</sup>, ი. პოლონსკი და მრავალი სხვა. 1814 წლის 18 თებერვალს ალექსანდრე ჭავჭავაძე ლეიბ-ჰუსართა პოლკიდან გადაიყვანეს შტაბ-ოფიცრად ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში, რომელიც წინანდლის მახლობლად, სოფელ ყარადაჯში ( ახლანდელი წითელი წყარო), იმყოფებოდა. დიდად განათლებული და ხელგამლილი მასპინძელი ნიჟეგოროდელებს ზღაპრული წინანდლისაკენ იზიდავდა (წინანდლის სასახლე გოროდელებს ზღაპრული წინანდლისაკენ იზიდავდა (წინანდლის სასახლე დამთავრებული ჩანს 1820 წლის ივლისში). “ ბუნებრივია, ქართველებთან ნიჟეგოროდელების დაახლოება მოხდა ალექსანდრე

ჭავჭავაძის სახლში, მის ცნობილ მამულ წინანდალში",- წერს ისტორიკოსი პოტო<sup>[14]</sup>. ალ. ჭავჭავაძის ოჯახი" წმინდა ქართული სტუმარმოყვარეობის განათლებული ევროპული საზოგადოების ევროპულ ეთიკეტებთან სრული შეთანხმების"<sup>[15]</sup> განსახიერება იყო.

ალ. ჭავჭავაძის ქალიშვილებს ნინოს (1812- 1857) და ეკატერინეს (1816- 1882) არა ერთი ქართველი, რუსი და ევროპელი მოღვაწე მოუხიბლავთ. ნინო ჭავჭავაძის სინარნარემ და სულის სისპეტაკემ დაატყვევა გრიბოდოვი. ნინოზე ბოლომდე დარჩა უიმედოდ შეყვარებული გრ. ორბელიანი. ეკატერინემ საბოლოოდ დაიპყრო ბარათაშვილი, რომელმაც ამ წარმტაც ქალს არა ერთი შედეგრი უძღვნა. " თავისი უფაქიზესი თავაზიანობითა და უმშვენიერესი მანერებით,- წერს პროფ. კოხი ეკატერინეზე, - იგი ხიბლავდა ყველას მრავალს სალონში. მან მოაჯადოვა ჩემი მეგობარიც – ინგლისელი პოლკოვნიკი უილბრეკემი. იგი ყველაფერზე შეგნებულად და საქმის ცოდნით ლაპარაკობდა. მას მიაჩნდა, რომ მის სამშობლოს დიდ სამსახურს გაუწევდა ქალთა მიზანშეწონილი განათლება"<sup>[16]</sup>.

ალ. ჭავჭავაძეს თავისი მდიდარი მამული წინანდალში ევროპულად ჰქონდა მოწყობილი. პროფ, კოხი, რომელმაც წინანდალი 1837 წ. ინახულა, წერს: " ჩავედით რა ა. ჭავჭავაძის რეზიდენციაში წინანდალს... დავათვალიერეთ თავადის შესანიშნავი კარმიდამო. წინანდალი უაღრესად წარმტაცი ადგილია ევროპიელისათვის. არსად ამიერკავკასიაში მსგავსი არაფერი მინახავს. აქ ყველაფერი მეტყველებდა დიდ მხატვრულ გემოვნებაზე თავადისა, რომელმაც ჩაუყარა საფუძველი თავის სახლკარს და თავისი ბინა იტალიურ სტილზე მოაწყო"<sup>[17]</sup>. თავის გლეხებს იგი ჰუმანურად ეპყრობოდა; ცდილობდა გაეუმჯობესებინა მათი მდგომარეობა. საფრანგეთის კონსული გამბა, რომელიც წინანდალში ესტუმრა ალ. ჭავჭავაძეს 1820 წ., წერს: " მის მიწებს ამუშავებდნენ მისივე გლეხები და რამდენიმე იმერელიც. პირველნი ვალდებულნი არიან კვირაში ერთი დღე ბატონისათვის იმუშაონ. დანარჩენ დღეებს გლეხები თავისთვის მუშაობენ... მაშინ როდესაც... რუსი გლეხები თავისი ბატონისათვის კვირაში სამ დღეს მუშაობდნენ"<sup>[18]</sup>. შემთხვევით არაა, თუ ავტორი ლექსისა " ვაჰ სოფელსა" თავის " ნარკვევში" საგანგებო ყურადღებას იჩენს გლეხობისადმი:" განსაკუთრებული ზრუნვაა საჭირო მიწათმოქმედთა კლასის გასამრავლებლად",- წერს იგი<sup>[19]</sup>.

ალ. ჭავჭავაძის გულშემატკვირობას ხალხისადმი კარგად გამოხატავს მისი დამოკიდებულება თავისი ყმის, შემდგომში მხატვრის – გრ. მაისურაძისადმი (1814- 1885 ); მასში ალ. ჭავჭავაძემ მხატვრის ნიჭი შენიშნა, მოაწყო იგი პეტერბურგში მხატვარ ბრიულოვის სახელოსნოში ( აქ მაისურაძესთან ერთად სწავლობდა

ტარას შევჩენკო), და ყმობიდანაც გაათავისუფლა ხელშეკრულების თანახმად, რაკი კარგად შეისწავლა ხელობა.

1827-1828 წლებში ალ. ჭავჭავაძემ თავი გამოიჩინა რუსეთ-სპარსეთის ომში. 1827 წ. ოქტომბერში მან თავრიზი აიღო.

1828 წ. თებერვალში ალ. ჭავჭავაძეს ნიშნავენ სომხეთის ოლქის უფროსად.

1828 წ. 28 აგვისტოს მან ბრძოლით აიღო ციხე-სიმაგრე ბაიაზეთი, 8 სექტემბერს-სიმაგრე დადიანი და 10-ში – ციხე სიმაგრე თოფრაცალა. ალ. ჭავჭავაძის სამხედრო წარმატებები გრაფმა ი. პასკევიჩმა თავის დამცირებად მიიჩნია, ერევანში დაიბარა, სარდლობასთან შეუთანხმებელ მოქმედებაში დასდო ბრალი და მის მაგივრად გენერალი პანკრატიევი გაგზავნაო, წერს გენერალ-მაიორი პოტო<sup>[20]</sup>. 1829 წელს ალ. ჭავჭავაძეს კახეთის სამხედრო სასაზღვრო დაცვის უფროსის პოსტი უჭირავს; 1830 წ. ხევსურთა საჩივრების კომისიას თავმჯდომარეობს.

1838- 1841 წლებში, როგორც საკარანტინო ზონის უფროსმა, ალ. ჭავჭავაძემ დიდი მუშაობა გასწია ამიერკავკასიის სხვადასხვა ადგილას გამძვინვარებული შავი ჭირის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ალ. ჭავჭავაძე თითქმის ყოველთვის დიდ სამსახურეობრივ მოვალეობას ასრულებდა. საქართველოში მას " პირველ კაცს " უწოდებდნენ. 1838 წლის 4 აპრილს იგი ამიერკავკასიის მთავარმმართველობის წევრად დაინიშნა. 1842 წ. 23 დეკემბრიდან 1843 წ. 13 მარტამდე ალ. ჭავჭავაძე ამიერკავკასიის მხარის სამოქალაქო სამმართველოს უფროსის მოვალეობას ასრულებს; 1842–1844 წლებშია ამავე სამმართველოსთან შექმნილ ალაღართა უფლებების მომწესრიგებელ კომიტეტს თავმჯდომარეობს. ალ. ჭავჭავაძე ადგენს პროგრესულ პროექტს, რომლის მიხედვითაც ალაღარებს ეკრძალებოდათ დასახლებული ადგილების ყიდვა, მოეთხოვებოდათ სახელმწიფო და სამხედრო სამსახური, სახელმწიფოს ევალეობდა ზრუნვა მათს სწავლა-განათლებაზე და სხვ.

\* \* \*

პოეტის ბიოგრაფიიდან ერთ-ერთი საგულისხმო ფაქტია 1804 წ. მთიულეთის აჯანყებაში მონაწილეობა. ამ მოვლენამ, უთუოდ, დიდად განაპირობა მწერლის საზოგადოებრივი მოღვაწეობა და პოეტური შემოქმედება. აჯანყების დამარცხებამ პატრიოტი პოეტი კიდევ უფრო დაასევდიანა.

გარსევან ჭავჭავაძე არწმუნებდა იმპერატორს, რომ ჩემი შვილი თავისი ნებით კი არ შეერთებია აჯანყებულთ, არამედ “შიშმან მეფის ძისამან ( ფარნაოზის–რედ.) შთააგდო მე ჩემი ესე ვითარსა უბედურებასა შინაო”<sup>[21]</sup>. მაგრამ ალექსანდრე ჭავჭავაძე მართლა შემთხვევით არ აღმოჩენილა მეფის რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებულ მთიულებთან. ამას ადასტურებს პოეტის მიერ თარგმნილი თხზულების “ახლოით განჩხრეკილი კაცის” ფილოსოფიურ-პოლიტიკური შინაარსი და მიძღვნა ფარნაოზისადმი. ეს მიძღვნა თან ერთვის ხსენებულ თარგმანს. მიძღვნაში ფარნაოზი მიჩნეულია პოეტის ნამდვილ სულიერ მეგობრად: “ მისის უგანათლებულესობის საქართველოს მეფის ირაკლის ძის ფარნაოზისადმი. უგანათლებულესო მეფის მეო, უმოწყალესო ხელმწიფეო, ფრიადი მოწყალება რომელი მიხილავს მე თქვენ შორის, მცემს კადნიერებასა ამას, რათა შრომათა ჩემთა მცირისა ნაყოფისა ამისა შეწირვა გავუბედო უგანათლებულესსა სახელსა თქვენსა”<sup>[22]</sup>

თავისი სოციალური კონცეფციით “ ახლოით განჩხრეკილი კაცი”( ავტორი დაუდგენელია) ახლოს დგას ჟან-ჟაკ რუსოს თხზულების “ მსჯელობა ადამიანთა შორის უთანასწორობის წარმოშობის მიზეზის შესახებ, პროგრესულ იდეებთან .” ახლოით განჩხრეკილი კაცის” ძირითადი პასაჟი, ჩვენი დაკვირვებით თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს რუსოს დასახელებული ნაწარმოების სათანადო ადგილს. რუსო წერს:“ პირველი, ვინც მიწის ნაკვეთი შემოღობა და გაბედა ეთქვა, ეს მიწა ჩემია და აიძულა ადამიანები ეს ერწმუნათ, გახდა ნამდვილი სამოქალაქო საზოგადოების ფუძემდებელი. რამდენი დანაშაულისაგან, რამდენი ომისაგან რამდენი მკვლელობისაგან, რაოდენი სილატაკისა და სისამაგლისაგან იხსნიდა ადამიანთა მოდგმას იგი, ვინც ამოყრიდა მარგილებს ან ამოავსებდა თხრილს და შესძახებდა: გაუფრთხილდით ამ მაცდურის დამორჩილებას! დაილუპებით,- ნაყოფი ყველასია და მიწა არავის ეკუთვნის !<sup>[23]</sup> ასევე, “ ახლოით განჩხრეკილი კაცის ” ავტორის აზრითაც, კაცობრიობა კერძო საკუთრების წარმოშობამ დაღუპა. “ მივხედოთ ყოველთა ბოროტებათა წყაროსა,- წერს იგი,- საჭიროება კაცისა მდგომარეობდა ნაყოფთა, რძესა და წყალთა შინა... ლიტონი საზრდო ესე რომელი თავით თვისით მიეცემოდა ხელთა მისთა, დაიცვამდაცა კეთილმოყვარეობასა გულსა შინა მისსა, გარნა... მან დაიდვა ტვირთად ოქრონი და ძვირფასნი თვალნი და ჰსთქვა ამპარტავნებით: მიწა ესე ჩემი არს, მე განვაგდებ მუნით ყოველსა კაცსა, რომელსა არა ექნება საკმაო ძალი ... დავჰსდებ მათ ჯაჭვსა რკინისასა”<sup>[24]</sup>.

“ახლოით განჩხრეკილი კაცი” ალ. ჭავჭავაძეს 1804 წ. პატიმრობის დროს უნდა ეთარგმნოს.



ჭაბუკი პოეტი უფრო ფართო დემოკრატიული მისწრაფებით იყო გამსჭვალული, ვიდრე 1804 წ. აჯანყების მონაწილე, სამეფო ტახტის მამიებელი ფარნაოზ ბაგრატიონი. ამას ადასტურებს ზემოხსენებული თარგმანის შინაარსი და მიძღვნა. ალ.ჭავჭავაძე აჯანყებულთ თავისი ანტიკოლონიური მისწრაფებების გამო შეუერთდა. თარგმნილ თხზულებაშიც ერთ-ერთი მთავარი ადგილი სწორედ ანტიკოლონიურ ტენდენციებს უკავიათ“ ხელმწიფენი განვლენ საზღვართა მათ, რომელნი თვითვე დაუდვიესთ... აღვირუხსნელთა ვნებათა მქონებელნი... მოშურნე მეზობლისა თვისისა შეიტანს იგი საჭურველსა და ცეცხლსა, ქვეყანასა შინა“<sup>[25]</sup>.

ასევე უდიდეს სოციალურ ბოროტებად არის გამოცხადებული თხზულებაში კლასობრივი ჩაგვრა. ნაწარმოები გამსჭვალული არის ჰუმანურ-დემოკრატიული სულით. ავტორი მთავარ მიზნად ისახავს ღარიბ-ღატაკთა დაცვას“ “შობილხარ ბარბაროსთა მათ ქვეყანათა შინა, სადაცა კაცი პირუტყვებრ განისყიდების მსგავსისა მიერ თვისისა“<sup>[26]</sup>“ კაცი შობილი ღარიბად, არა თუ ოდენ იძულებულ არს მიცემად მდიდრისადმი ყოვლისა მუშაკობისა თვისისა ნაყოფთა კნინდა უფასოდ, არამედ სულიცა მისი ვერ განერინების მის მიერ განმზადებულისა მისთვის რკინისა საგდებელისაგან“<sup>[27]</sup>.

თხზულების მიხედვით, ადამიანის ჩაგვრის მიზეზი კერძო საკუთრებაა: “ჭია დაბადებული ფურცელსა ზედა, სუნთქავს თავისუფლებით, ხოლო კაცი ვერსადა ჰპოვებს თავისუფალსა ადგილსა! თვით ქვაცა იგი, რომელსაც ზედა სდებს იგი თავსა თვისაა, თვით ეტყვის ვიეთსამე პატრონსა... ჰოი, საკუთრებაო, უბედურო წყაროო კაცთა შეძრწუნებისაო, შენ არისხებ კაცსა მსგავისა თავისისა პირისპირ“<sup>[28]</sup>.

თხზულების ავტორს არ გააჩნია სავსებით ნათელი სოციალური პერსპექტივა, მაგრამ არსებითად რევოლუციურ იდეას აყენებს და ჩაგვრის სამყაროს გარდუვალ განადგურებას წინასწარმეტყველებს.

როგორც ვხედავთ, “ახლოით განჩხრეკილი კაცით“, ჯერ კიდევ 1804 წ., ალ. ჭავჭავაძისათვის საკმაოდ ცნობილი ყოფილა განმანათლებელთა – საფრანგეთის რევოლუციის მოწინავე იდეები. ეს ცოდნა, უთუოდ პაჟთა კორპუსშიც ფართოვდებოდა. ალ. ჭავჭავაძესთან დაამთავრა პაჟთა კორპუსი თედორე იაკოვლევის მე მირკოვიჩმა, რომელიც პაჟთა კორპუსში შესვლამდე მარატის ძმის – პროგრესული პიროვნების – ბუდრის მოწაფე ყოფილა. ამიტომ, სავარაუდებელია, რომ მირკოვიჩს ბუდრისაგან შეთვისებული ჰქონდა განმანათლებელთა მოძღვრება,-საფრანგეთის რევოლუციის იდეები, რასაც, ალბათ, ალ. ჭავჭავაძესაც გაუზიარებდა <sup>[29]</sup>.

ვოლტერიანობამ ხომ თავისი გამოძახილი პოვა XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დამდეგის მოწინავე ქართველ ინტელიგენციაში ( ა. ამილახვარი, დ. ბაგრატიონი, დ. ე. ციციშვილი... ). ალ. ჭავჭავაძეს უთარგმნია კიდევ ვოლტერის საყურადღებო ნაწარმოებები ( " აღსარება ", " ალზირა ", " ტაქტიკა "... ). ამრიგად, მის შემოქმედებაში საკმაო გამოძახილი უპოვნია ეპოქის მოწინავე იდეებს. ალ. ჭავჭავაძე ახლოს იდგა რუსეთის მაშინდელ მოწინავე გონებრივ ცხოვრებასთან. მისთვის უცნობი არ უნდა ყოფილიყო რადიშჩევი. თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ზემოთქმულს და იმ ისტორიულ სიტუაციას, რამაც 1804 წ. მთიულეთის აჯანყება გამოიწვია, მაშინ გასაგები იქნება, თუ რატომ თარგმნა ალ. ჭავჭავაძემ " ახლოით განჩხრეკილი კაცი ". თხზულების სოციალური მრწამსი სავსებით ეთანხმება ჭაბუკი პოეტის დემოკრატიულ სულისკვეთებას.

ყურადღებას იპყრობს ფარნაოზისადმი მიძღვნის ის ნაწილიც, სადაც ამ პროგრესული თხზულების მაღალ დირსებაზე არის საუბარი: მთარგმნელი ფარნაოზს ურჩევს " აწმყოისა მდგომოობისა... სუბუქად და განუკვირვებლად განტარებისათვის " უებარია " ახლოით განჩხრეკილ კაცში "... " მზუდარნი ბრძნულნი და ჭემმარიტნი ჰაზრნი ". ჭაბუკი პოეტი რომ იზიარებდა თხზულების კონცეფციას, ამას თარგმნის ბოლოს დართული ლექსიც ადასტურებს:

პყრობილის შრომა ვნახე პყრობილმან  
ამად შევიქმენ მხიარულადა.

მონარქიზმისა და ფეოდალიზმის წინააღმდეგ მიმართული ცალკეული პროტესტების მიხედვით არ შეიძლება დავასკვნათ, რომ ალ. ჭავჭავაძე მთლიანად ხალხის მხარეზე იყოს გადასული, მაგრამ მის შემოქმედებაში აშკარაა დემოკრატიზმისა და კაცთმოყვარეობის იდეათა გააზრება პროგრესული რომანტიკოსისათვის ნიშნეული თავისებურებებით. " ახლოით განჩხრეკილი კაცის " თვალსაზრისითაა დაწერილი ქართული პუბლიცისტური ლირიკის ერთ-ერთი პირველი ნიმუში, ალ. ჭავჭავაძის ორიგინალური ლექსი " ვაჰ სოფელსა ", რომელიც გამსჭვალულია " მოქალაქური გულისტკივილით ". ეს ლექსი ახალგაზრდა პოეტის საკმაოდ ფართო საზოგადოებრივ ჰორიზონტზე მეტყველებს. პოეტი ერთობ რომანტიკულად უპირისპირდება სინამდვილეს, ცდილობს გაარღვიოს თავისი დროის ეროვნულ-სოციალური ბურუსი. იგი შეპყრობილია დიად გარდაქმნათა სურვილით, ვინაიდან

შეუწყალოდ მხეცებრ კაცთა მხეველობენ:  
მდიდრდებიან, რომელნიცა მძეველობენ,  
და ყვავილოვნებენ  
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.

აქ აშკარაა ქართული ლირიკისათვის ახალი, პროგრესული რომანტიზმის ნიშანდობლივი კილო. ამ ლექსის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ლირიკაში წმინდა საზოგადოებრივ-დემოკრატიული მოტივების შემომტანი ალ. ჭავჭავაძე არის. გავიხსენოთ სტრიქონები:

რომელნიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას  
და ჰსთხოვთ ურცხვად, უსამართლოდ მონებას,  
მოელოდეთ მათთან თანასწორობას!

“ ახლოთ განჩხრეკილი კაცი ” წინასწარმეტყველებს, რომ “ ხელმწიფენი, თავადნი, ტირანნი, მონანი, ქალაქნი, სამეფონი, ყოველივე განურჩევლად წარიღებიან ”. ლექსის ავტორი კი, პირველ ყოვლისა, ადამიანის ჩაგვრას გმობს. კაცთმოყვარეობის მოწოდება ისმის ამ ლექსის სტრიქონებში:

გარნა მძლევა შემდგომ სხვისგან იძლევის,  
თვისგან ქმნილი თვისდავე მიექცევის,  
ყველაკაი წარუვალს, განელევის,  
რაცა ჰქონდა პოვნილ  
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.

თავისი სოციალური შეხედულებებით ალ. ჭავჭავაძე ათიან წლებშივე მსოფლიო პროგრესული რომანტიზმის მრავალ წარმომადგენელს ენათესავება. ალექსანდრე ჭავჭავაძე პოეტური ოსტატობით ხშირად არ დგას რომანტიკული პოეზიის კორიფეების დონეზე, მაგრამ აშკარად ეხმაურება მათ პოეტური მრწამსით და ცალკეული პოეტური სტრიქონებითა და ინტონაციებით.

იგი არაა გრ. ორბელიანივით ან ნ. ბარათაშვილივით დახვეწილი პოეტური ხმის რომანტიკოსი, მაგრამ მის ლირიკაშიც რომანტიკული ჟღერადობისაა ეროვნულ აწმყოზე სამედურავის, წარსულზე დარდისა და უიმედობის მოტივები. ლექსში “ საფლავი მეფისა იარკლისა ” ბარათაშვილი გლოვობს სახელოვან მეფეს. ბაირონის “ ებრაულ

მელოდიებში“ რომანტიკული ჭმუნვითაა მოსილი ებრაელთა სახელოვანი წარსული. ალ. ჭავჭავაძის ლექსში “ გოგჩა” და სხვა ლექსებში რომანტიკული შარავანდედი ადგას ეროვნულ წარსულს. წარსულის რომანტიკული გადიადება XIX საუკუნემდე არ იყო ქართული ლირიკის გაბატონებული მოტივი, რომლის ჩამოყალიბებაში გარკვეული წვლილი მიუძღვის ალ. ჭავჭავაძეს, გრ. ორბელიანთან და ნ. ბარათაშვილთან ერთად. შემდგომ ეს განვითარებას პოულობს და ხდება ილიასა და აკაკის თაობის პოეზიის ერთ-ერთი არსებითი მოტივი, რომლის რამდენადმე რომანტიკული ელფერი ალ. ჭავჭავაძის ლირიკიდანაც მომდინარეობს.

რომ მწირთა თვალთა, დამაშვრალთა, ეცემის ძილი,  
წარმოუდგების კეთილ- დღეების შვება განვლილი...  
(“უწყალო სენმან”)

ცნობილია ალ. ჭავჭავაძის ლექსთა დიდი ნაწილის მუსიკალური ტონალობა და სიმღერებად გავრცელება. ზოგი მათგანი გარკვეული სასიმღერო მოტივისა და მუსიკალური საკრავისათვის იქმნებოდა. ამავე დროს აშკარა არის მისი ზოგი ლექსის პუბლიცისტურობაც.

ლექსი “ ვაჰ, სოფელსა” მიმართვის ფორმის არის. ამ ლექსს მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული პოეზიისათვის ნიშანდობლივი ახალი ორატორული პათეტიკა წარმართავს. განსაკუთრებით ასეთი აგებულებისაა მძაფრი პატრიოტული ლექსი “ ისმინეთ მსმენნო ” და აგრეთვე 1832 წ. შეთქმულების დღეებში დაწერილი “ კვლავ მარად ამ ჩემს სურვილსა”.

მეფის თვითმპყრობელობამ დაარღვია “ მეგობრობითი პირობა”- მოსპო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. მონარქიული რუსეთის მსახურნი ბარბაროსულად ექცეოდნენ მკვიდრ ხალხს. ამიტომ გასაგებია, რომ მოწინავე ქართველმა მოღვაწეებმა, რომელნიც გუშინ, შესაძლოა, მთავარი ინიციატორნიც კი იყვნენ საქართველოს რუსეთთან დაკავშირებისა, ორიენტაცია შეიცვალეს. ამით უნდა აიხსნებოდეს ის მძვინვარე გულისწყრომა, რასაც ალ. ჭავჭავაძე ამჟღავნებს ლექსებში “ ისმინეთ, მსმენნო”, “ კვლავ მარად...” და სხვ. პოტს არ ზღუდავს ის, რომ იგი არისტოკრატიას ეკუთვნის და ცარიზმის მაღალი თანამდებობის მოხელეა. იგი მშრომელი ხალხის დამმონებელთა მრისხანე საზოგადოებრივი ბრალმდებლის როლში გვევლინება.

ისმინეთ, მსმენნო, ჭირთა მთმენნო, მომიპყართ ყურნი...  
წყეულ არს ის დრო, როს სამკვიდრო დავკარგეთ კრულნი!  
გვძლივა სოფელმან ხელ- მყოფელმან, აწ გვაგო შურნი...  
ცხოვრება ცუდნი, გულით მრუდნი, პირ-ბნელნი სათნი...  
ქაჯთ ყოფა-ქცევა, ჭამა, სმევა აქვსთ არეულად,  
დიდნი, მცირენი, გინა ერნი ხელ-ჰყოფენ მგლურად...  
ნახეთ, მოყვასნო, ბრძენთა დასნო, ესე წესია!..  
სხვათ დიდ-ბოროტსა მცირე მათი უმეტესია...  
ჰქმნეს სავანენი საუკუნოდ ვით უდაბურნი,-

ბაგრატიონების პოეზიისაგან განსხვავებით ( ზოგჯერ კი მათს მსგავსად), ალ. ჭავჭავაძის ლექსში მოისმის ეროვნული აღშფოთების გამოძახილი, რაც იმთავითვე მოჰყვა საქართველოში რუსეთის თვითმპყრობელობის დამკვიდრებას.

“ ისმინეთ, მსმენნო” ისეთი ლექსია, რომელიც მთელ ერს აფხიზლებს. ალ. ჭავჭავაძის პუბლიცისტური ხასიათის ლექსები გამოირჩევა სათქმელის სიცხადითა და საკმაო პირდაპირობით. მაგრამ პოლიტიკური სიმკვეთრე ყოველთვის ერთნაირად და თანმიმდევრულად არ ახლავს ალ. ჭავჭავაძის პოეზიას. ზოგი მისი ლექსი ერთგვარად ავტობიოგრაფიულია და მხოლოდ მელანქოლიური. ტამბოვის გადასახლებაში გაგზავნის განცდებს უნდა ასახავდეს ლექსი “ მსურდა ოხვრა”თითქოს პირველ სახეა გრ. ორბელიანის ლექსისა “ სადამო გამოსალმებისა” ან ილია ჭავჭავაძის ლექსისა “ ყვარლის მთებს”:

მას ვჰსტირ, რომ ვშორდები თვალთ დამტირებსა,  
თვარა ვით შემაკრთონ ტანჯვა-ჭირებსა  
სიცოცხლე გვიძღვნია თავ გამწირებსა!  
აწ ჰხამს ვესალმოდე მიწა-წყალსა,  
ოხვრით ვაფრქვევდეცა ცრემლს დაუთვალსა.

ტამბოვის გადასახლების მოგონების გამოძახილმა თავი იჩინა ჭავჭავაძის ისეთ არაპოეტურ თუ სუსტ ლექსებში, როგორცაა “ ანბანზე სით მოხვალ” ( დაწერილია 1821 წლამდე): “ტფილისით მივალ ტამბოვად სულთქმითა დია ხშირებით”.

ლექსში “ რა ჰყოს გლახ გულმან” აშკარად მოჩანს პოლიტიკურ გადასახლებაში მყოფი პოეტის სევდა სამშობლოს გამო:

ადგილს უცხოსა, უცხოსა,  
ვერ ჰხედს მცნოსა, ვინ რა ჰრქოსა საამოდ.

ეჰა, მკვნესარებს სალმოდ!

მძაფრი წუხილი ერთგვარად კიდეც ანატიფებდა პოეტის განცდებს. " საპატიმროს ჰანგები" ზოგჯერ მინაზებულია, ზოგჯერ ომახიანი (" ვაჰ, სოფელსა" და სხვ.). ზოგჯერ მწარე გოდების დროსაც პოეტი არ ჰკარგავდა სამშობლოს თავისუფლების იმედს:

მე ამას ვჰსტირი განაწირი, ვაჰ თუ ვესწრა ვერ!..  
თვარალა ჟამი, გულთ მაამი, კვლავცა იქმნების.  
("პერობილისაგან").

მეფის რუსეთისადმი ალ. ჭავჭავაძის დამოკიდებულება და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის სურვილი, მთელი მისი მოქალაქეობრივი მრწამსი იმ დროის ეროვნულ ნიადაგზეა აღმოცენებული; ამის გამო, მომდევნო თაობათა პოეტებივით, ალ ჭავჭავაძესაც ის ტანჯავს, რომ მას ხედავს " პატიმრად, ვის მონებს გული". ასე ჩნდება პატრიოტული რომანტიზმის მაუწყებელი პოლიტიკური ალეგორია: რუსეთის ცარიზმი – გველი:

გუშაგნი ბევრნი თვითოსა მცველად  
გვეყან ნების წარმტაცველად;  
ხვალ სხვანი მოვლენ მათს გამომცვლელად,  
გველივე შთება გველად.  
(" ისაც გასურთ")

"გველივე შთება გველად" ან " ჰსაჯეთ: პერობილმან უწყისა ტრფობა?" ("ვაჰ, დრონი")... ეს არაა ქართული ლირიკიდან მიღებული ლამაზი ფრაზა ან განყენებული სენსაცია; ესაა ქართული რომანტიზმის ეპოქალური პასუხი იმ ტრაგიკული სინამდვილის მიმართ, რომელშიც საქართველო აღმოჩნდა XIX საუკუნის დასაწყისიდან; ესაა თვით საქართველოს ახალი ვითარებით ნაკარნახევი სიტყვები, ერთ-ერთი გამოვლინება იმ პრცესისა, როცა ჩვენი ეროვნული ცხოვრების ახალი მონაკვეთი იმუშავებდა თავის ახალ პოეტურ სტილს.

ამ მხრივ ალ ჭავჭავაძის ადრინდელი ლექსების პატრიოტული რომანტიზმის გასათვალისწინებლად განსაკუთრებით საყურადღებოა " ვაჰ, დრონი, დრონი". ამ ლექსში გაისმის წარსულის დაფერფლვით აღძრული ნაღვლიანი ხმა, რაც ქართული რომანტიზმის თავისებურ ლეიტმოტივად იქცა.

ვაჰ, დრონი, დრონი, ნაგებნი მტკბარად,  
წარილტვნენ, განჰქრენ სიზმრებრივ ჩქარად!

მე იგივე ვარ მარად და მარად!  
არ ვსდევ ჟამთა ცვლას,  
მე იგივე ვარ მარად და მარად!

ალექსანდრე ჭავჭავაძის ორიგინალურ პოეტურ სტრიქონებს შორის ეს ერთ-ერთი საუკეთესოა. ამ ლექსის მიმართ განსაკუთრებით ინტერესს იჩენდა XIX საუკუნის ქართული მწერლობა. აქ მოჩანს დარდი დიადი წარსულის გამო, და, ამასთანავე, თვით დროის – როგორც ყოვლის წარმავლობის სიმბოლოს რომანტიკული გააზრება, რაც გვხვდება აგრეთვე ლექსში “გოგჩა”: “...დროისა მსვრელის ცელით, ყოვლთა წარწყმედით”.

თავისი სიმბოლურობით ლექსი “მუხამბაზი ლათაიური” ეხმაურება ლექსს “ვაჰ, დრონი დრონი”; ამ ლექსს ავტორი პირობითად უწოდებს “ლოთურ ლექსს”. ლექსის პოეტური სახეები “რაგინდ ზამთარი ჰყინავდეს”, “ვერ შემაშინებს სიცივე” იმ დროის პოლიტიკურ სუსხზე მიუთითებს.

პოლიტიკური რომანტიზმითაა აღბეჭდილი ლექსი “მწამებ ხსოვნისა”, იგი შეიძლება დაწერილია 1806 წ. მომდევნო ხანაში, როცა პოეტი პაჟთა კორპუსშია. ნაწილობრივ ამას მოწმობს ის, რომ ლექსის ბოლოს პოეტი იგონებს: “ერთგზის მეცა ვიყავ პერობილი”. როგორც ცნობილია, 1805- 1806 წლებში ალ. ჭავჭავაძე ტამბოვის გადასახლებაშია, ხოლო 1806- 1808 წლებში პაჟთა კორპუსშია; ამ წლებში მას, ალბათ იშვიათად ეძლეოდა სამშობლოსა და ნაცნობ-მეგობართა მონახულების საშუალება. ამას უნდა გამოეწვია მეგობართა საყვედურებიც: ხომ არ დაივიწყა სამშობლო, ხომ არ შეიცვალა გული? ძირითადად ამ კითხვების პასუხია მთელი ლექსი. სამშობლოსაგან იძულებით განშორებას ვერ შეურყევია პოეტის პატრიოტული რწმენა:

მწამებ, ხსოვნისა არცაღა თუ მშთომოდეს ჩრდილი,  
ჩემთვის ჰაერსა აქაურსა დაედვას წილი.  
კვლავ თქვენთვის გული შეალული ქმნილიყოს გრილი,  
ეჰა, მე მართალს რაგვარად მწყლავს ეს გვარი ცილი,  
ნუ ჰგონებთ ვითა სიშორითა ვიყომცა ცვლილი.

ტამბოვის გადასახლების შემდეგ სამშობლოს პირველი დანახვის შთაბეჭდილებანი უნდა იყოს ასახული ლექსში “ მიველ წალკოტს”. პოეტს ეგონა, სამშობლოს ნახვით გაიხარებდა და ოდნავ მოიშორებდა სევდა-ნაღველს. მაგრამ არა. სატრფო-სამშობლოს უნუგემო მდგომარეობამ პოეტი უარესად დააღონა; იგი კვლავ რომანტიკულად გოდებს:

მიველ წალკოტს სანუგეშოდ, გლახ ჩემს გულს სევდა ესია!  
ვნახე სატრფო ფერ მიხდილი, მითხრეს, შენია ეს ია.

ასეთი მაგალითები ალ.ჭავჭავაძის ლირიკის“ მამულიშვილური გულისტკივილის“(ილია) სიღრმეზე მიგვითითებს და,ამრიგად, ათავისუფლებს მას “ ვარდ-ბულბულის“ უდარდელი მომღერლის სახელისაგან. ამას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ვ. კოტეტიშვილმა და მოითხოვა ჩვენს რომანტიკოს პოეტზე ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისის აღდგენა“ მთელი თავისი სიძლიერით“- ალ. ჭავჭავაძის ლირიკის იდეური მხარეების უფრო მკვეთრი დანახვა. “ ალექსანდრე ჭავჭავაძე საქართველოს გარკვეულად არ იხსენიებს, - წერს ვ. კოტეტიშვილი, - მაგრამ დიდი ჩაკვირება არ არის საჭირო, რომ ხშირად ალ. ჭავჭავაძის “ სატრფოს“ სახით საქართველო დაინახოთ. და ასეთი განპიროვნება ხომ შემდეგში დაკანონდა კიდეც, და ყველაზე მეტად აკაკი წერეთლის პოეზიაში. და თუ აკაკის სატრფო საქართველოა, ალექსანდრე ჭავჭავაძის სატრფო რაღად უნდა იქნას ნაგულისხმევი ყოველთვის სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით<sup>[30]</sup>“

როგორც დავინახეთ, ალ. ჭავჭავაძის ზოგ სატრფიალო ლექსში სიმბოლურად სამშობლო იგულისხმევა. ამ გეგმებით, შეიძლება ითქვას, რომ ალ. ჭავჭავაძის ლირიკის ერთ-ერთი ნიშანია ალევგორიზმი, მაგრამ არა ტრადიციული, არამედ საუკუნის ახალი ლიტერატურისათვის ნიშანდობლივი ფორმით. ვარდის, სატრფოს, მნათობის სახეებში პოეტი სამშობლოზე ლაპარაკობს. პოეტის სამშობლოა “ გულს განაზარდი ვარდი“. ლექსში “ ვარდის გაყრილსა“ წუხილია სამშობლოს პერობილისა და მისგან უნებური განშორების გამო. აკაკის ფართოდ ცნობილ ალევგორიებში არაიშვიათად გვხვდება ალ. ჭავჭავაძის ლექსათვის დამახასიათებელი სიმბოლიკის ანალოგიები...

გასაგებია, თუ ალ. ჭავჭავაძის ლირიკას ეროვნული თავისუფლების დაკარგვამ - “საერთო ტანჯვამ გმინვისა და კვნესის ფერი დასდო“<sup>[31]</sup>. ლექსში “ ელების კარი გაზაფხულისა“ პოეტი თანამემამულეთ ოპტიმიზმს შთააგონებს. აქაც ალევგორიულად ლაპარაკია ცხოვრების ზამთარზე, მაგრამ პოეტი ავითარებს ამ პოეტურ სახეს: გამოთქვამს რწმენას, რომ, ისევე როგორც ბუნებაში ზამთარს გაზაფხული სძლევს ხოლმე, ასევე სამშობლოს გასაჭირს სიხარული შეცვლის; ამიტომ პოეტი ანაკრეონტულად ქადაგებს დარდისა და ჭმუნვის სიყვარულით განდიდებას:

ვისაც ხელთ გქონდეთ ნება გულისა,



იგემეთ სიტკბო სიყვარულისა.

1805–1806 წლების პატიმრობის ანარეკლი მოჩანს ალექსანდრე ჭავჭავაძის არა ერთ სატრფიალო ლექსში (“სახე შენი მე მახევა”, “სძგერს გლახ გული”, “ჟამნი რბიან...”) ისეთი მეტაფორებით, როგორცაა “პერობილი”, “პატიმარი” და სხვა: “გლახ პერობილი ამას ვაეზს”, “არ ვიგლოვ თავსა ესრეთ პერობილსა”, “აქამომდე სიშორით პატიმარსა”.

\* \* \*

ამრიგად, ეპოქის მაჯისცემა შესამჩნევად ისმის ალ. ჭავჭავაძის ლირიკაში. ეპოქის ან თვით რომანტიკული ლიტერატურის ჰუმანისტური იდეების გარკვეული გამოძახილი მოჩანს პოეტის მიერ გრძნობის – სიყვარულის განსაკუთრებულ გაიდებაშიც. ალ. ჭავჭავაძის ლირიკაში სიყვარული უმაღლესი გრძნობაა. მისდამი განსაკუთრებული ყურადღებაა გამოძღვანებული. ამ გრძნობის ხოტბამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში. ამ მხრივ მან მომდევნო თაობათა პოეტებზე მოახდინა გავლენა. ალ. ჭავჭავაძემ სიყვარულის კეთილშობილებას უმღერა. სიყვარულის ძალის სათნოების ხოტბაა “სიყვარულო ძალსა შენსა”:

სიყვარული, ძალსა შენსა ვინ არს რომე არ ჰმონებდეს?  
ვინ არს, რომე გულსა ტახტად, ოხვრას ხარკად არა გცემდეს?  
შენგან მეფე მონას ეყმოს, შენგან ბრძენი ხელად რებდეს...

ეს ლექსი ქალის პატივისცემისა და სიყვარულის მაღალი ზნეობრივი კოდექსიცაა, რაც ქართველი ერის ისტორიულ ცხოვრებაში გამომუშავდა.

ქართულ ლირიკაში ალ. ჭავჭავაძემ საგანგებო ყურადღება მიაპყრო სიყვარულის ეთიკურ ხასიათს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია “სიყვარულო ძალსა შენსა” და “თავსა უფლად”. პოეტის რწმენით, სიყვარული ყველა ჰუმანურ გრძნობათა მეუფეა.

თავსა უფლად ნურვინ ჰგონებთ...  
ყოველთ ესრეთ გაიგონეთ!  
ერთგზის თქვენცა ტრფიალება  
ჩემებრ მწარედ დაგიმონებთ.  
("თავსა უფლად")

ამ ლექსში ფორმულის სახითაა ჩამოყალიბებული პოეტის მორალური მრწამსი: სიყვარულის ძალა გონებასაც კი სძლევს, როგორც გამაკეთილშობილებელი ძალა. ხსენებულ ლექსში სიყვარულის განცდას დაახლოებით ისეთივე გამოხატულება უპოვია, როგორც ეს არის "ვეფხისტყაოსანში". ნესტანის წუთიერი ხილვა ტარიელისათვის საკმარისი გახდა, რომ მისი საუკუნო თავყვანისმცემელი გამხდარიყო. ალ. ჭავჭავაძის ხსენებულ ლექსში კი ბარათაშვილი "ტრფობის ჭირების ამშლელ" ემოციურობას შენიშნავს.

"სთქვი რამ", ეტყვიან ყაფლანს ზოგნი-ერთი ქალები,  
"თუნდ თავსა უფლად, ახლა პრანჭვას ნუ კი მიჰყვები!"  
ყაფლანც, სულდგმული აშიკობით, დაილიღინებს  
გულის საკვდავად და თანდათან ყელს მოიღერებს.  
ვის არ სმენია ლექსი ესე, რომ მყის სევდები  
არა აშლოდეს, ჩვენსა ქალსა-ტრფობის ჭირები!  
(*"ღამე ყაბახზედ"*)

ზოგი რომანტიკოსი ხშირად ამახვილებს ყურადღებას მგრძნობელობისა და გონების ურთიერთმიმართებისადმი და, როგორც წესი, მგრძნობელობის პრიმატს აღიარებს. რომანტიკოსთა მუსიკის კულტიც- "რომ იგრძნო თვით გრძნობა", რაციონალური საწყისისადმი გარკვეული დაპირისპირებით აიხსნება. ეს თვისებები, რომანტიზმის გარიჟრაჟზე, მძლავრად გამოვლინდა "ახალ ელოიზაში" და "ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი". ევროპის ლიტერატურის ეს მოვლენები საკმაოდ ცნობილი ჩანს ალ. ჭავჭავაძისათვის. ამითაც აიხსნება, რომ იგი საგანგებოდ ქადაგებს სიყვარულის ყოვლისშემძლეობას და მგრძნობელობის უპირატესობას აცხადებს ("მიკვირს რად ჰსძრახვენ", "შენის გონების", "თავსა უფლად", "სიბრძნე და გონიერება" და სხვ.). პოეტის ბიოგრაფი ალ. ცაგარელი აღნიშნავდა, რომ გოეთეს მსგავსად ალ. ჭავჭავაძისათვის მთავარია მგრძნობელობა: "gefühl ist alles" ("გრძნობა ყოველივეა")<sup>[32]</sup>.

ალ. ჭავჭავაძის ლირიკის მიხედვით, სიყვარული ამარცხებს უგრძნობლობას. რომ არც შეიძლება მომხიბლავმა მშვენებამ არ მოაჯადოოს ადამიანი. მის პოეზიაში არსად არ შეიმჩნევა სკეპტიციზმი სიყვარულის მიმართ, არსად არ შეიმჩნევა ამ გრძნობის ანალიტიკური გააზრება. პოეტი აიდეალებს და ადიდებს სილამაზისა და სიყვარულის განცდას:

მიკვირს, რად ჰსძრახვენ მას, ვინცა არს მშვენებითა  
ძლეული?...

გლახ მან მცხოვრებმან ამ სოფლად, სად ჰბრწყინავენ  
აშიკობანი, -  
ვითარ დაახშოს ყოველნი მომწონებელნი გრძნობანი!  
რისთვისცა უხვსა ბუნებას უცია ყოვლი მკობანი,  
მის მჭვრეტსა ვით არ აღუჩნდეს მას გულსა ეშყით გზნობანი?  
("მიკვირს რად ჰსძრახვენ"...

სიყვარული მარტო ნეტარებაც არაა: მას ახლავს ისეთი ძალა, რომელსაც შეუძლია " სიკვდილის მომალებანი ". ამიტომ თითქოს გამართლებულია გონების აღშფოთება, " ხმითა მრისხანით მყართა ", რომ ადამიანმა თავი არ დაიღუპოს " მაგა სენითა მწართა ". მაგრამ სიყვარულით შეპყრობილი ჯანსაღი დადმიანი არ უსმენს გონების კარნახს და გულის ხმას ემორჩილება - " ლხინად ჰსჩანს უდროდ დღეთაცა კლებანი ". ეს სიყვარულის რომანტიკული აპოლოგიაა.

ამ შემთხვევაში ალ. ჭავჭავაძე სიყვარულის მგრძნობელობის რომანტიზმისათვის ნიშანდობლივ სენსუალისტურ დასაბუთებას ცდილობს. პოეტი ერთგვარი ირონიით მიმართავს გონების ისეთ " ბრძნულ თათბირს ", რომელსაც სიყვარულის გრძნობის განელება განუზრახავს:

ცუდად წარადგენს გონება მუნ თვისთა ბრძნულთა თათბირთა,  
სადაცა გული მმართველობს თვით იპყრობს მისთა ადგილთა.  
იგი არს მაშინ ხელმწიფე, განმგე ყოველთა წადილთა.

აღსანიშნავია, რომ პრინციპულად სიყვარულის გრძნობის განსაკუთრებულ ძალაზე ანალოგიურად აქვს ნათქვამი რუსთაველს:

გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან:  
რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან.

ლექსში " მიკვირს რად ჰსძრახვენ " წმიდა აზრობრივი მხარე ჭარბობს: თითქოს სიყვარულის (მგრძნობელობის) საკითხზე რომანტიკოსთა თეორიული შეხედულება იყოს გალექსილი. ამდენად, ამ ლექსს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ქართულ ლიტერატურაში რომანტიზმის დამკვიდრების საკითხის გარკვევისათვის.

" ანტირაციონალისტური " ლექსებით (" მიკვირს რათ ჰსძრახვენ ", " შენი გონების სხივნი "... ) ა. ჭავჭავაძემ ახალ ქართულ მწერლობაში პირველმა მოახდინა სიყვარულის მგრძნობელობის სამყაროს რომანტიკული გააზრება, რაც პოეტს კატეგორიული ფორმითაც კი აქვს გამოთქმული:

სიბრძნე და გონიერება  
რაგინდ მარად ფხიზლად გვფლობდენ,  
სიჭაბუკეს და სიყვარულს  
რაცა უნდათ, იმას ჰყოფდენ.  
("სიბრძნე და გონიერება")

ევროპის ახალი ლიტერატურის მოტივებისაკენ პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ალ. ჭავჭავაძემ გადადგა ქართულ მწერლობაში. მის ლირიკაში მკვეთრად შეინიშნება დასავლეთ ევროპის კლასიციზმის ხანის ლიტერატურით დაინტერესებაც და თვით რომანტიზმის ესთეტიკის შემოქმედებითი გაზიარება მოღვაწეობის პირველ ნახევარშივე (1812 წლამდე); ეს საკმაოდ მოჩანს ალ. ჭავჭავაძის სწორედ მგრძნობელობით (ან " სენსუალისტურ") ლექსებში.

სიყვარული (მგრძნობელობა) პოეტს ადამიანის ღირსების თავისებურ საზომდაც მიაჩნია. ლექსში " შენის გონების სხივნი" პოეტს არასრულყოფილად ესახება მაღალი ინტელექტისა და კარგი გარეგნობის ქალი, თუკი იგი მოკლებულია სიყვარულის მგრძნობელობას. ალ. ჭავჭავაძის ღრმა რწმენით, " მგრძნობელობა ჰსჯობს ყოვლთ თვისებათ ცით მოვლენილთა", რადგან " შვენებასაც", სილამაზეს და " გონებასაც ის ასულდგმულებს".

სატრფიალო ლირიკა ალექსანდრე ჭავჭავაძეს, მართლაც, გრძნობის აპოლოგეტ პოეტად გვისახავს; მისი " ანტინაციონალისტური" მსჯელობა რომანტიზმის კლასიციზმისადმი დაპირისპირების გარკვეული გამოვლინებაა. გრძნობის უპირატესობის აღიარებით პოეტი როდი იზიარებს ლოთურ " სიბრძნეს": " დავეხსნათ ცოდნის ძებნასა, ღვინო სჯობს ყოველს მცნებასა". გრძნობისა და გონების ავტორიტეტზე მსჯელობა ლექსში, პოლემიკური ტონით თავისთავად რამდენადმე გონების აქტია. გრძნობის პრიორიტეტის საკითხის დასმითაც ობიექტურად ალ. ჭავჭავაძე პოეზიაში აზრის პრიმატზე ამახვილებს ყურადღებას.

ალ. ჭავჭავაძისათვის უცხო არაა ლხინისა და დროის ტარების ჰედონური მოტივებიც. მაგრამ ეს როდი ნიშნავს მის ლირიკაში წმინდა წყლის აღმოსავლეთის ან დასავლეთის ანაკრეონტელი დავინახოთ. ალ. ჭავჭავაძეზე ვერ ვიტყვით იმას, რისი თქმაც, მაგალითად, ჰაფეზზე შეიძლება: " სიყვარულის სიტკბოება, ღვინის მომაჯადოებლობა – აი, ჰაფეზის მთავარი თემები. ჰაფეზი უმღეროდა არა ღვთაებრივ მეგობარს, არამედ ნორჩი, ლამაზი ქალის სხეულსა და სისხლს, და არა სულიერი ექსტაზით, არამედ მაგარი შირაზული ღვინით სავსე ჯამით ხელში" <sup>[33]</sup> ჰაფეზის, ხაიამისა თუ აღმოსავლეთის ჰედონისტების

თემები უცხო როდია ალ. ჭავჭავაძისათვის, მაგრამ იგი სრულიად საპირისპიროდ იზიარებს ამ თემებს. იგი ცდლობს მთლიანად განასხვავოს, გამიჯნოს ერთმანეთისაგან სიყვარული და ლხინის იდეალი. მის თვით "ლოთურ ლექსშიც" კი ნუნუას მოტრფიალენი პარნასის მკვიდრთ უტოვებენ ლამაზ სქესს:

ჩვენ წითელ ღვინოს ვეწაფნით,  
ვარდი ვანებოთ ბულბულსა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ალ. ჭავჭავაძის ლირიკა რეალურ ქალს უმდერის და არა წარმოსახულ სიყვარულს (თუმცა, იგი არ იძლევა თუ ვერ იძლევა ამ ქალთა რამდენადმე რეალისტურ პორტრეტულ სურათს, ვინაიდან ქალის გარეგნობისა თუ სულიერი ღირსების ხატვისას იგი საკმაოდ უხვად იყენებს ტრადიციულ პოეტურ სახეებს, "კლიშეებს", რაც ქმნის ინდივიდუალიზირებულ პორტრეტს). მაგრამ ისიც აშკარაა, რომ მისი სატრფიალო ლექსების ადრესატია, უმთავრესად, სილამაზით განთქმული სალომე ორბელიანი (შემდგომ მისი მეუღლე), ვისაც გრ. ორბელიანმა თავისი მუხამბაზი უძღვნა.

ლექსში "ნუ მომკალ მწარედ" პოეტი აცხადებს, ლხინი ვერ განკურნავსო სიყვარულით დამწვარ გულს, და გმობს მათ, ვისაც მიაჩნია, რომ დროის ტარება შეძლებს ტრფობის ალის განელებას: ნამდვილ სიყვარულს ვერაფრით შეცვლი:

მკურნალნი მხმობენ, ყოვლის ცოდნის მჩემებელნი:  
ლხინნი არიან კოდილის მრთელეებელნი!  
და მერე თვითვე სიამისაგან განშორებას  
წამლად მეტყვიან, ვაჰ ხელნი, ვაჰ ხელნი!  
ამათ მაშორეს სიამეო, შენსა მზერას,  
ესრეთ კურნებას და სიცოცხლეს ხელს ვჰხდი მე რას?

აშკარა არის, რომ "მკურნალნი" მოქეიფეებს უნდა გულისხმობდეს, რომელთა ცოდნას" და რჩევას ვერ უშველია შეყვარებული პოეტისათვის.

ამდენად, უსაფუძვლოა, როცა ალექსანდრე ჭავჭავაძის სიყვარულის ლირიკას ყარაჩოხულ მელექსეობას უკავშირებენ. ალ. ჭავჭავაძის სიყვარულისათვის უცხოა დეკადენტური შეგრძნებანი და ორგანულია ჰუმანურობა, ზნეობრივი სიწმინდე და არისტოკრატიზმი. მისი ლირიკა ყარაჩოხულ ლირიკას ენათესავება მხოლოდ ზოგი ლექსის ფორმალური თვისებებით (ლექსის მუხამბაზური აღნაგობა, ცალკეული ფრაზები...) და განსხვავდება ეთიკური სულით. თუ

ყარაჩოხელი პოეზიას (საიათნოვას ჩათვლით) ფრივოლურობაც თან ახლავს, ალ. ჭავჭავაძის სატრფიალო ლექსებს სალონური დახვეწილობის ელფერი დაჰკრავს.

შესამჩნევი სხვაობაა ალ. ჭავჭავაძის და აშუღების სტილს შორისაც. აშუღების პოეტური სახეები, ლექსიკა, " ხმა" ესაა " კილო შუაბაზრისა" (ვ. ორბელიანი). თვით სახელგანთქმულ თბილისელ საზანდართა "ხმა" დიდად როდი განსხვავდება ორთაქალელი თუ ავლაბრელი " ძმა-ბიჭების" ვულგარული ხმისაგან, რაც ზოგჯერ პირდაპირ ეწინააღმდეგება ჭემმარიტი ლიტერატურისათვის დამახასიათებელ ღირსებებს, ხოლო ხშირად ჩანს ზნეობრივი სინატიფე და სულის სპეტაკი თრთოლვა. ყოველ შემთხვევაში, ამკარაა, რომ აშუღები არ გამოხატავენ ქართული სატრფიალო ლირიკის თვისებებს. საიათნოვა ყარაჩოხულად ამკობს მიჯნურს:

სითეთრით ვერვინ გაჯობებს, აურისაგან ლამაზი ხარ,  
თვალმარგალიტით სავსე ხარ, დახატულო სკივრის ყუთო<sup>[34]</sup>.

იგი ასე მიმართავს სატრფოს:

მოდი, საყვარელო, ბაღში შევიდეთ,-  
დავლიოთ ღვინო,-არაყი ჩვენია,  
მეჯლის- საზანდარი საზი ჩვენია<sup>[35]</sup>.

ასევე ვულგარიზმითაა აღბეჭდილი აშუღ სტეფანე მკერვალის სატრფიალო ლირიკაც:

მისთვის ვიწვი და ვიდაგები მე  
მეტად ლამაზია ჩემი დამწველი,  
კაცს მოჰკლავს, ღამით სულს ამოართმევს,  
კეკლუცია ნაზია, ჩემი დამწველი<sup>[36]</sup>.

ალ. ჭავჭავაძის ლირიკის სტილი კი ლიტერატურულია, რომელსაც, ვაჟას გამოთქმა რომ ვიხმართო, " სინაზე ქალისა" მოსდგამს.

საერთოდ, ყარაჩოხულ (აშუღურ) ან აღმოსავლურ პოეზიასთან ალ. ჭავჭავაძის ნათესაობაზე მითითება მის ანაკრეონტელობაზე მსჯელობის საფუძველიცაა, რადგან აშუღურ პოეზიაში ამკარად შეიმჩნევა " აღმოსავლური ანაკრეონტელობის" თვისებები.

" ქართველ ანაკრეონტელად" სახავდა ალ. ჭავჭავაძეს ა. ხახანაშვილი<sup>[37]</sup>.დაახლოებით ამასვე იმეორებს ზოგი თანამედროვე

მკვლევარიც:” საქართველოში ანაკრეონტის ხაზს აგრძელებს ალ. ჭავჭავაძე<sup>[38]</sup>, - წერს ი. გრიშაშვილი.

ტკბობის ანაკრეონტული მოტივი უცხო არაა ალ. ჭავჭავაძისათვის. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ლექსი “ სახე შენი როს ვიხილო”. პოეტი ქალს დროს ტარებისაკენ მოუწოდებს:

ვიცი შემდგომ მოიგონებ  
მაგ შევწებებ, რომელს ვმონებ,  
მო, ჰყავ ნება, ნუ იყოვნებ.  
ოდეს დრო გაქვს, ისიამე,  
ვიტყვ წესია ისიამე.

უზრუნველი განცხრომის ექსტაზს ასახავს ლექსი “ დღეობაში”, რომლითაც პოეტს დღეობა მოულოცავს თავისი მეგობრის, მელანია სუმბათაშვილისათვის. მაგრამ ამ ლექსში ქართული ლხინის დინჯი ცხოვრებისეული მილოცვაა გამოვლინებული:

ესდენს დაესწარ დღეობას, რავდენიც გულით გეწადოს,  
შვება, განცხრომა, სიამე ყოველდღე ახლათ გებადოს,  
ახალთა წელთა სიტკბონი ათასგზის გამოგეცადოს,  
მრავალთა სასიამოვნოთ მრავალჯერ გადაგეხადოს.

ასეთივე ხასიათისაა ლექსი “ მეგრულ ფერხულზე”, რომელიც, შეიძლება პოეტმა 40- იან წლებში დაწერა თავის ქალიშვილთან, ეკატერინესთან, გორში თუ ზუგდიდში სტუმრობისას. პოეტი აღფრთავანებულია “ ტურფა ქალ-ყრმათა” როკვა-თამაშით, რაც, ალბათ, თან ახლდა სადღესასწაულო შეხვედრებს. პოეტი აღტაცებულია ხალხური ხელოვნების რომანტიკით; ეს ლექსი გამოირჩევა ენობრივი სიმსუბუქე-სისადავითაც:

იხარეთ, იხარეთ, ჰე, ბედნიერნო,  
მიწისა ძლიერის შვილნო ძლიერნო,  
შევსწიროთ მადლობა მადლსა უფლისას  
და ყოვლსა მიზეზსა ამ განცხრომისას.

რონსარისა და პარნისტული პოეზიის გავლენით ალექსანდრე ჭავჭავაძეს დაუწერია “ ელების კარი გაზაფხულისა” და “ მოვედ ამ არედ შესამკობელად”. პოეტი სიყვარულით ტკბობასა და ლაღობას უმღერის. ალ. ჭავჭავაძე თარგმნის ლექსებს “ ვიდრემდის გქონან” და სხვ.; თარგმნილი აქვს, როგორც ჩანს, რუსულიდან, ანაკრეონტის ლექსიც. და მაინც ყოველივე ეს და ზემოთქმული როდი ნიშნავს, რომ ალ.

ჭავჭავაძე " ქართველი ანაკრეონტი" იყოს. როგორც მისი დროის პოეტების ( ჰიუგოსა და პუშკინის, ჟუკოვსკისა თუ ლერმონტოვის, ნ. ბარათაშვილისა თუ გრ. ორბელიანის...) ლირიკაში, ასევე ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ადგილი აქვს დათმობილი ახალი დროის " მსუბუქ პოეზიას". მაგრამ ეს თვისება როდია ალ. ჭავჭავაძის ლირიკის ყველაზე უფრო ჭარბი და არსებითი თვისება. მისი ლექსების დიდ ნაწილს არაფერი აქვს საერთო მსუბუქ მხიარულებასთან თუ ზედაპირულ გრძნობებთან, რომელთაც მხოლოდ ზოგი ლექსი შეიცავს (" მუხამბაზი ლათაიური", " შექცევათათვის", " ნუ მომკალ"). ლექსში " მუხამბაზი ლათაიური" ქეიფის ხოტბას ხედავდნენ, მაგრამ დღეს გარკვეულია, რომ პოეტი ამ " ლოთური ლექსით" (გამოთქმა მისია) ლოთებს დასცინის. პოეტს მხოლოდ ფორმა გამოუყენებია თავისი დროის პოეზიისა. მოლხენის დიდი მოტრფიალე იყო პოეტი პირად ცხოვრებაში და ეს მის პოეზიაშიც ჩანს. მაგრამ ეს მომენტიც მის ლირიკაში თითქმის ყოველთვის მაღალ ეთიკურ მრწამსს ექვემდებარება. ამას, ალბათ, წმინდა ეროვნული ინტერესებიც უკარნახებდა.

დროს ტარების თემას ეძღვნება " შექცევათათვის". მაგრამ " მუხამბაზი ლათაიურისაგან" იგი იმით განსხვავდება, რომ პოეტის ზნეობრივი მრწამსი მასში აშკარადაა მოცემული. ლექსში დაგმობილია წრეგადასული " შექცევა", დამახასიათებელი თავადაზნაურობის ერთი ნაწილისათვის. პოეტი " ლხინთ მორევში", " უზომობისაგან" " დათრობილთ" ზომიერებისაკენ მოუწოდებს:

თქვენ, რომელნი ლხინთ მორევში დაფლულნი და უძლურ  
ქმნილნი,  
უგონობას სიამეთ რაცხთ განუფხიზლად დათრობილნი,  
სიამოვნე, თუცა გწადისთ ჯერარს გქონდესთ მისი ცნობა,  
იგი მუნით გარდეგების სად იხმარვის უზომობა.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ალ. ჭავჭავაძეს განუცდია ანაკრეონტულ-პარნისტული და ბესიკური ეროტული პოეზიის გავლენა, მაგრამ მაინც რომანტიზმის პოზიციებზე დარჩენილა.

სიცოცხლეშივე, გარდამავალ ხანაში და დიდხანს შემდგომაც ბესიკის სატრფიალო ლირიკა განსაკუთრებულად მოსწონდათ. იგი მოდადაც კი იქცა. მას მრავალი მიმბაძველი გაუჩნდა; სიჭაბუკის წლებში მას ალ. ჭავჭავაძეც ბაძავს. მაგრამ მალე თვით ალ. ჭავჭავაძის რომანსები ისე პოპულარული გახდა, რომ ცოტა დააკლდა ბესიკის ლექსები დავიწყებას მისცემოდა და ალ. ჭავჭავაძე " ვარდ-ბულბულის" მომღერლად გამოცხადებულიყო. " ასე გეგონებათ, - წერს კ. აბაშიძე, -ა.



ჭავჭავაძემ აზრად დაისახა ქართულის ლიტერატურას სამუდამოდ გამოაცალოს ხელიდან ეს საგანი – სიყვარულის მღერისა, რადგან იშვიათად ნახავთ პოეტსა, ამაზე მეტი რამ გამოეთქვას სიყვარულის შესახებ<sup>[39]</sup>. მართლაცდა, ალ. ჭავჭავაძის ასზე მეტი ორიგინალური ლექსიდან ორმოცამდე სიყვარულის თემას ეხება. აქედან ოცზე მეტ სატრფიალო ლექსში (“სახე შენი მე მახევა”, “მაისის ვარდმან”, “ვარდო კოკობო” და სხვ.) იგი თითქმის იმეორებს ბესიკს. მაგალითად, სიყვარულის გრძნობის გადმოსაცემად და სატრფოს პორტრეტის შესაქმნელად ალ. ჭავჭავაძე უმთავრესად ბესიკის პოეტიკით ხელმძღვანელობს. ბესიკივით მასაც ქალის ხორციელ მშვენებაზე რჩება თვალი. იგი იყენებს ბესიკისა და აღორძინების ხანის სატრფიალო პოეზიის ტრადიციულ გარეგნულ ნიშნებს: სიმბოლიკას, ლექსიკას, ინტონაციას: ვარდს, შროშანს, იას, ალვას, მთავარეს, მზეს – სატრფოს აღმნიშვნელად; ბალახშის კარს, ძოწს, ლალს, იაგუნდს – ტუჩების მიმართ; დალალს, ზილფს – ნაწნავების მიმართ; ბროლი-ფიქალი, ბროლის ფიცარი, ბროლის ველი – გულმკერდს აღნიშნავს, ვარდი, ბალახში – ღაწვს, მეღნის ტბა – თვალთა; ჰინდელნი, ჰინდთა ჯარნი – წამწამებს; მშვილდნი – წარბებს; მარგალიტნი, სპეკალნი – კბილებს და სხვ. გარდა ამისა, “ცოტა არ იყოს, წილი უდევს თ. ალექ. ჭავჭავაძეს” ქართული პოეზიის “მითოლოგიური სახეებით აჭრელებაში”(ილია). აქ იგულისხმება: გრაციები, მუზები, კუპიდონები, აპოლონი, ელისეს ველი, ნექტარი, ბახუსი ირისე... ყოველივე ამას ალ. ჭავჭავაძე ბესიკის სატრფიალო ლირიკის პოეტიკას უსადაგებს და რომანტიკულ ელფერს ანიჭებს. ალ. ჭავჭავაძის ზოგი ლექსის კითხვისას ბესიკის თავისებურ პოეტურ პერიფრაზზეც კი შეიძლება ლაპარაკი, - “ბესიკის დაფნის მემკვიდრეზე”<sup>[40]</sup>

სატრფიალო ლექსების ერთ წყებაში ალ. ჭავჭავაძე ბესიკივით თავშეუკავებელია, მაგრამ არა იმდენად, როგორც ყარაჩოხელი ან ირანელი პოეტები. მთლიანად ერთგვაროვანი არაა ბესიკისა და ალ. ჭავჭავაძის თვალსაზრისი. ხორციელი სიყვარულის გამომჟღავნებისას ეთიკური მომენტიც ალ. ჭავჭავაძე მეტად ხელმძღვანელობს, ვიდრე ბესიკი. ქალის წარმტაცი გარეგნობით მოხიბლული პოეტი ქალს ესთეტიკური თვალითაც მისჩერებია: “ლერწმად ახატოს, ვინც დახატოს მისი ტანია” და სხვ. (“შენს ღირსებას ნატრულობენ”). პოეტი ერკვევა ხორციელი აღზნებიდან და არ ივიწყებს, რომ ეს მშვენება სამშობლოს სასახელო არსებაცაა: “და შენნი მნახნი, ქართველ-კახნი შენზედ ცილობენ” (იქვე). ქალი ზნეობრივად წმინდა არსებაა: “ყოველგზით მარდი, წყნარად მქცეველი” (იქვე), იგი “ქცევა ნაზია”; “საუბარი სიტყვა მტკბარი”(ვაქებ თავსა თმა მდიდარსა“). ხორციელი მშვენებით “სიმთვრალის” თუ “ცნება გამარცულობის” დროსაც პოეტი

უმალ ფხიზლდება და უაღრესად ეთიკური ჩანს: “ მართლმერწმუნე სიწრფეობით და უთნოდ არს ზემოთქმული” (“ ვაქებ თავსა თმა მდიდარსა”).

ამრიგად, ალ. ჭავჭავაძე თვითმყოფადი ხმით უმღერის სიყვარულს. იგი ტრადიციულ გზას ბრმად არ მისდევს. პოეტი ქალის გარეგნულსა და სულიერ სილამაზეს ერთმანეთს არ აცილებს. მის სატრფიალო ლირიკას პეტრარკას პოეზიიდან მომდინარე ეთიკურ-ესთეტიკური კონცეფცია აცისკროვნებს. სიყვარულის ასეთი გაგება ახლოსაა ამ გრძნობის ქართულ ხალხურ ეროვნულ შემეცნებასთან.

ხსენებულ ლექსთა გარდა, ამ მხრივ საყურადღებოა “ ნუ მომკალ”, “ შენთან არს გული”, “ ჟამნი რბიან”, მისი სატრფიალო ლექსი ადბეჭდილია გულწრფელობით. იგი რჩეულს შესტრფის, მხოლოდ იმ ერთზე ოცნებობს:

ესე ცეცხლი ვერვინ აქროს,  
თუ არ შენვე, აღმგზნებელო!

სატრფოსთან სიხლოვე უმაღლესი სურვილია. სიყვარულთან არის დაკავშირებული სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემაც (“ ნუ მომკალ”).

შენ ხარ მზე, მქონე სხივთა ჩემთა მაცხოველეთ,  
მე – ხე, რომელი ვჰხმე, თუ მათით არ მომზარო!

საინტერესოა, რომ ალ. ჭავჭავაძე თითქოს ეკამათა ძველი ქართული მწერლობის ტრადიციულ პოეტიკას. მას არ სურს, რომ სატრფო სანთელს, ხოლო თავისი თავი ფარვანას შეადაროს:

შენ ხარ სანთელ, კრულ ვარ თუც მას გადარო,  
არც მე ფარვანა, რომე დამწვა, რა გეკარო.

ამით პოეტმა ერთგვარად კიდევ გამიჯნა თავი “ ვარდ-ბულბულიან” - შამი-ფარვანიანისაგან” და არსებითად ღრმად ადამიანური რომანტიკული სიყვარულის მქადაგებლად მოგვევლინა:

ჰგავს ნამდვილი ტრფიალება  
მოშორებებით არ განქრება;  
რაზომ მეღტვი, უფრო გეტრფი,  
სახილველად სასურველო!  
 (“ ჟამნი რბიან”)

რაოდენ ნიშანდობლივია ალ. ჭავჭავაძისათვის სიყვარულის რომანტიკული გაგება, ეს რომანტიკოსი პოეტის – ჟუკოვსკის ლექსების („როს გიყვარდი“, „მვირფასო საყვარელო“) თარგმანებითაც დასტურდება; პოეტი სიზმარშიც სატრფოს ხედავს:

თვით ჟამსაცა ძილისას არა მაქვს ბედი მწყრომარე:  
სიზმარი მასმენს შენგან გამომხდარს ნაზსა ხმასა...

აღსანიშნავია, რომ თვით ჟუკოვსკიზე გავლენას ახდენდა ფრანგული რომანტიზმი.

ამავე დროს ალ. ჭავჭავაძის ზოგ სატრფიალო ლექსში ნაკლებ შესამჩნევია „ვარდ-ბულბულიანის“ პოეზიის სიმბოლიკა. სიყვარულის წმინდა რომანტიკული განსჯა მოჩანს ლექსში „სძგერს გლახ გული“. სატრფოს მომლოდინე პოეტს ფოთოლთ რხევა თუ სიოს ქროლვა სატრფოს მოახლოებას მოაგონებს; ბუნება და სიყვარულის განცდა ერთმანეთს ერწყმის, რაც ახალ მომენტს წამოადგენს ქართულ ლირიკაში. ბუნებისა და სიყვარულის დამოკიდებულების ეს კონცეფცია უმაღლეს საფეხურზე აიყვანა ბარათაშვილმა („არ უკიჟინო სატრფოო“, „ჩინარი“ და სხვ.).

სძგერს გლახ-გული, საყვარელო, მლოდე შენი უწყლავს  
თმენას;  
ჰსცემს სურვილის წამთა ხშირად, მაგრამ აგრძნოს ვისსა  
სმენას?  
გზის გუშაგად მდგომარესა ხან აჩრდილნი მაცთუნებენ,  
ხან ფოთოლნი შერხეულნი შრიალითა მცემენ ზრზენას;  
ზოგჯერ ღამის სიწყვდიადე მომაჩვენებს გიშრის თმასა,  
ზოგჯერ ცისა გაელვება ბროლის ფიცრით შუქთა ფენას.  
თვით ნიავთა ნელი ქროლვაც წარმომიდგენს სუნთქვას  
ტკბილსა,  
რომელიცა ცეცხლ მოდებულს ლალით გამო მბერდა ლხენას!

ამ ლექსში ( დაწერილია 1821 წლამდე) თითქოს საგანგებოდაც კი არის ხაზგასმული სიყვარულის რომანტიკული გაგება. იგი, უთუოდ, ერთი საუკეთესო სატრფიალო ლექსია ქართულ რომანტიკულ ლირიკაში:

მახსოვს, ოდეს ტრფობის წინდად შეიწირე სული ჩემი,  
ამა ბაგით შენსა ბალახშს გარდმოვიდა... ჰმადლა ზენას!  
იგი ამაღ არ გვემსხვერპლა რომე მომკლა მოშორვებით,

კავშირ ექმნა ორთა გვამთა ცხოვრებისა ერთად დენას!

“ სძგერს გლახ გულის ” ემოციურობას დიდად უწყობს ხელს მისი ფორმის დახვეწილობა,- თავისებური სტროფულ-რიტმული აღნაგობა; მთელი ლექსი ერთ ხანას მოგვაგონებს, რომ პირველი ორი ტაეპი ერთმანეთს ერთმეება (აა), ხოლო ყოველი შემდეგი ორი ტაეპის მეორე სტრიქონი – პირველ ორ ტაეპს (აა, ბა, გა, და, ეა, ვა...) ასეთი აგებულების ლექსი ( ვაკ, შენგან წყლულსა“, “ სიყვარულსა შეუპყრივარ“, “ ჭმუნვის მახვილი“...) აღ. ჭავჭავაძეს შემოაქვს XIX საუკუნის ქართულ ვერსიფიკაციაში.

ამრიგად, თავისი სატრფიალო ლირიკით აღ. ჭავჭავაძე ამთავრებს ბესიკის ტრადიციას და დასაბამს აძლევს ახალ რომანტიკულ ლირიკას, რაც უმაღლეს საფეხურზე აიყვანა რომანტიკოსთა ახალმა თაობამ, განსაკუთრებით ნ. ბარათაშვილმა. ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ, “ რომ სძგერს გლახ გულის ხმაზედ ” გრ. ორბელიანმა დაწერა ლექსი “ მ...სადმი ” ( 1831).

\* \* \*

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს აღ. ჭავჭავაძის დამოკიდებულება 1832 წ. შეთქმულებისადმი. იშვიათია მისი დროის მოაზროვნე ქართველი, რომელიც ამ შეთქმულების მონაწილე არ ყოფილიყო. აღ. ჭავჭავაძე – მღელვარე ეპოქის დიდი ქართველი – შეუძლებელიც იყო გულგრილი დარჩენილიყო შეთქმულებისადმი. მაგრამ შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ, რაკი თვით პოეტი უარყოფდა მასში მონაწილეობას და შეთქმულთა დიდი ნაწილიც ემოწმებოდა, მთავრობა მის მიმართ შედარებით მცირე სასჯელით დაკმაყოფილდა; ხელისუფლების ავტორიტეტისათვის ჯობდა, თუ საქართველოს გავლენიანი პირი მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულების მონაწილე არ აღმოჩნდებოდა. თუ დავაკვირდებით აღ. ჭავჭავაძის ჩვენებებს, რომლებშიც ის თავს იმართლებს, დავინახავთ შეთქმულების მთავარ ორგანიზატორს. მაგალითად, 1833 წლის რთებერვალს საგამომძიებლო კომისიისადმი მიცემული ჩვენების ნაწილში მან ზ. ჩოლოყაშვილს ისეთი პასუხი გასცა, რომ არც თვით მას, არც კომისიას არ შეუნიშნავთ, რომ იგი ჩვენებით არსებითად თავს მთავრობის საწინააღმდეგო აჯანყების სულისჩამდგმელად და ეროვნულ ბელადად აღიარებდა, იგი ამბობს: ერთხელ ზ. ჩოლოყაშვილი და დ. ორბელიანი მოვიდნენ ჩემთან, მათ “ ვთხოვე შევსულიყავით ცალკე ოთახში... ჩვენი საუბარი შეეხო იმ ბოროტმოქმედებებს, რომლებიც მაზრებში ხდება. მე მას

ვუმტკიცებდი, რომ ეს მთავრობას უნდა ეცნობოს-მეთქი, რომ ამ საგანზე ბევრი სხვაც მყავს მომზადებული, რათა... ვაცნობოთ მთავარმართებელს ყველა ის გადასახადი, რომელიც ხალხს მძიმე ტვირთად აწვება. ვეუბნებოდი, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მოველოდეთ დიდ უსიამოვნებებს...ღმერთმა დაიფაროს კიდეც აჯანყებამდე რომ მიდგეს საქმე, რაც საშიშია ...ასეთმა უცნაურმა ამბებმა საბაბი მომცეს ჩემი თავისთვის ირონიულად აჯანყების მეთაურის სახელი მეწოდებიანა“<sup>[41]</sup>. არაა შემთხვევითი, თუ 1832 წ. შეთქმულების ისეთ თვალსაჩინო წევრს, როგორცაა ზ. ჩოლოყაშვილი, გარკვეული სახალხო ავტორიტეტის მქონე მოღვაწედ მიაჩნდა ალ. ჭავჭავაძე. ზ. ჩოლოყაშვილის ჩვენებით, მას ალ. ჭავჭავაძისთვის უთქვამს:“ თქვენს ერთს სიტყვას მთელი საქართველოს შეიარაღება შეუძლიან. რადგან ყველანი მხოლოდ თქვენს ბრძანებას მოეულიან და ყველანი მზად არიან-მეთქი თქვენ დაგემორჩილონ-მეთქი“<sup>[42]</sup>.

1832 წლის შეთქმულება იმდენად მნიშვნელოვანია ალ. ჭავჭავაძისათვის, რომ ესმის ლირიკაში იჩენს თავს. მაგალითად, ხელნაწერს ( ასლს) ლექსისა “ კვლავ მარად ამ ჩემს სურვილსა” აქვს მინაწერი:“ თქმული თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან ტამბოვს“<sup>[43]</sup>. ლექსის შინაარსიდან ირკვევა, რომ იგი ტამბოვის პირველ ან, საზოგადოდ, გადასახლებას კი არ გულისხმობს, არამედ 1832 წლის შეთქმულებისათვის მზადებას. ლექსისა და “ საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევის” დასაწყისის კონცეფცია ერთია: პტოლომეს დროსა და, საზოგადოდ, წარსულში საქართველო აყვავებული იყო, პოეტის დროს კი დაცემულია. იდეური მიმართულებით ეს ლექსი გამოხატავს შეთქმულთა რესპუბლიკური ნაწილის სულისკვეთებას. გავიხსენოთ გრ. ორბელიანის შეთქმულების დროის ლექსები - “ მისი სახელი კიცხვითა”, “ ჰე, ივერიავ”, “ აღსარება” ( მიბაძვა რილევისა) და სხვ. გრ. ორბელიანის ამ ლექსებსა და ალ. ჭავჭავაძის დასახელებულ ლექსს შორის იდეური ნათესაობაა.

ლექსში “ კვლავ მარად ამ ჩემს სურვილსა” ალ. ჭავჭავაძე რომანტიკულად ახასიათებს საქართველოს დიადი წარსულის დამხობას და სანაცვლოდ “ შავი დროის” გამეფებას:

ჰე, საქართველო, პტოლომეს დროს აღყვავებულო,  
მშვენიერ იყო, მარა რა? ვით ამა სოფლის ყოველი,  
კეთილი, მოსაწონელი, შავმა დრომ ფერხით გასთელა,  
დააჭუნო ვარდი წალკოტში, მით ჩემი გულიც მოსთვლილა,  
გაჰქრა დავითის ხმლის ელვა, ჩაჰქრა თამარის ლამპარი,  
ოქროს დრო ჟამმა შესცვალა, აგარეანთა სრბოლამა,

შეიქმნა ვაი-ვიშივიში, საქრისტიანოს რბევა და ქართველთა სისხლის დინება, გული შეზარა სრევამა.

პოეტი ამბობს, რომ დავით აღმაშენებლისა და თამარის შემდეგ მშვიდობიანობა არ მოსწრებია საქართველოს, - იგი სისხლისაგან იცლებოდა საუკუნეთა მანძილზე. როგორ არ ეცადა, მაგრამ " ვერ შეჰკრა მისი კარიბჭე" საქვეყნოდ განთქმულმა მეფე ერეკლემ. ამდენად, ლექსის მეორე ნაწილი თავისებური გამართლებაა ერეკლე მეორის მიერ გადადგმული ისტორიული ნაბიჯისა, რასაც საქართველოს რუსეთთან შეერთება მოჰყვა. მაგრამ დარბევა და ძალადობა, რასაც ქართველი ერი მონარქისტული რუსეთის ბიუროკრატი მოხელეებისაგან განიცდიდა, პოეტს აღაშფოთებს:

მახვიდლდებული მოვიდა, მზაკვრულად მიგვცა გვემასა,  
ყელსა შეგვაბა სარაზი, მიმოდგონარედ მთვლემარსა,  
ლაქათთა იწყეს ლაქათი, ძვალი არა აქვს ენასა,  
მკადედ ედინა ცრემლები, ხალხს, მიცემულსა სენასა.

XIX საუკუნის დამდეგს, თავის სამოქალაქო ლირიკაში ალ. ჭავჭავაძე საქართველოს ცხოვრების იმ მოვლენას ეხება, რომელთაც შემდეგ ა. ყაზბეგი ისტორიულ წარსულად წარმოსახავს. ლექსში " კვლავ მარად ამ ჩემს სურვილსა" ჩვენს წინაშეა არა ჟამთა აღმწერელი, არამედ პოეტი, რომელიც გადამთიელ-დამპყრობელთა განდევნისაკენ მოუწოდებს ერს საქართველოსა და თვით კავკასიის თავისუფლების სახელით:

არც ვართ ზარაყნი, თვითრჯულნი, არცა ჩვეულნი ზრზენასა  
სიკვდილი გვიჯობს ვიხმიოთ კანჯარზე ჯდომა- თვლემასა,  
მზაკვარს ხმლით გავუსწორდებით, ვჰფუცავ ჩვენ ხმალთა  
კვეთასა,  
მნათი აღმოჰხედეს კავკასსა, ქართლი მიეცეს ლხენასა.

ლექსი " კვლავ მარად ამ ჩემ სურვილსა" ალ. ჭავჭავაძის ლირიკის რომანტიკულ-პატრიოტული სულის თვალსაჩინო ნიმუშია.

შეთქმულებაში მონაწილეობის გამოძიების დაწყებიდან დაახლოებით ერთი თვის გასვლის შემდეგ ( 1833წ. 15 /I-ს) ალ. ჭავჭავაძე დააპატიმრეს. 1833 წლის 20 სექტემბერს საგამომძიებლო-სასამართლო პროცედურები დამთავრდა. იმავე წლის 8 სექტემბერს ალ. ჭავჭავაძე ცოტა ხნით გაათავისუფლეს, მისი თხოვნისამებრ, საკუთარი მეურნეობის საქმეების მოსაწესრიგებლად. პოლიციის

ზედამხედველის თანხლებით, იგი ჩადის წინანდალს, კარდანახსა და სხვა ადგილებში.

1832წ.შეთქმულებაში მონაწილეობის გამო გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში გარკვეული ცვლილება ხდება – თავს იჩენს ისტორიულ ვითარებასთან უნებლიე შეგუება და პატრიოტული სევდის ზრდა. ეს ჩანს მის ოფიციალურ ისტორიოგრაფიულ დოკუმენტშიც - " საქართველოს მოკლე ისტორიულ ნარკვევში". ამ ნარკვევს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც პოეტის, ისე იმ დროის (20 –30-იანი წლების) საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობისა და აზროვნების გასაგებად. ნარკვევის ავტორი თანაუგრძნობს საქართველოს შეერთებას რუსეთთან, - სხვანაირად არ შეიძლებოდა იმპერატორისადმი წარდგენილ დოკუმენტში, -მაგრამ იგი მაინც ვერ (თუ არ ) ფარავს თავის პატრიოტულ- პოლიტიკურ სულისკვეთებას. " ახლანდელი საქართველოს მნახველი,- წერს ალ. ჭავჭავაძე, - ძნელად თუ დაიჯერებს, რომ ეს ქვეყანა ოდესღაც ჰყვამოდა... მას, მსგავსად სხვა სახელმწიფოებისა, ჰქონდა დიდება, ჰყავდა თავისი გმირები, მგოსნები და მწერლები"<sup>[44]</sup>.

დიდი ისტორიკოსის ერუდიციითა და ტაქტიკით ახასიათებს ალ. ჭავჭავაძე ქართველი ერის გმირულ ბრძოლებს სხვადასხვა ჯურის დამპყრობლებთან: " უშიშროება არ იყო არც ქალაქად, არც სოფლად. მიწათმოქმედი მიწას შეიარაღებული ხნავდა, ტყვიის ქვეშ ჰკრიფავდა ჭირნახულს. მაგრამ მას ქედი არ მოუხრია ყურანის წინაშე... საქართველომ... ქართველობამ... შეინარჩუნა სარწმუნოება, მებრძოლი სული, სიყვარული სამშობლოსადმი... მთელი სოფლები გაჰქრნენ. მაგრამ მათი ნანგრევები დღესაც ჰკვებავს ქართველობის სიამაყის გრძნობას" <sup>[45]</sup>

მთელი " ნარკვევი" გამსჭვალულია იმ აზრით, რომ ქართველი ერი რუსეთში თავიდანვე დიდ მეგობარს ეძებდა, მაგრამ რაკი მეფის რუსეთის ჯარმა და მოხელეებმა ბარბაროსობა გამოამჟღავნეს, ამას ქართველი ერი აღშფოთებითა და აჯანყებით უპასუხებდა.

ალ. ჭავჭავაძის საზოგადოებრივი მრწამსისა და ქართველი რომანტიზმის ჩამოყალიბების გასათვალისწინებლად განსაკუთრებით საგულისხმოა ლექსები " დიმიტ. ვ.", " კავკასია" და სხვ. ი. გრიშაშვილი შენიშნავს, რომ ამ ლექსთაგან პირველი " კავკასიის" შესავალს წარმოადგენს. ამაზე " დიმიტ. ვ"-ს ბოლო ნაწილიც მოწმობს:

კავკაზს შენ მანდით შესცქერი და მე ვმზერ ამ მხარით,  
ამა მთის სახე დიდებული მსურს დაგიხატო,  
თუ არ შემიკრთა გლახ კალამი მისითა ზარით.

XIX საუკუნის 20 –30-იან წლებში ევროპის რომანტიზმში საფრანგეთის რევოლუციის შედეგებით იმედგაცრუება გამეფდა, თუმცა ბრძოლის იდეაზე ყველას არ უთქვამს უარი, მაგალითად, ბაირონს, რომელიც, ამავე დროს, ბრძოლის დაუსრულებლობაში კაცობრიობის ტრაგედიასაც ხედავს. ამ დროს ქართველი რომანტიკოსები კვლავ ოცნებობენ განახლებაზე, რევოლუციაზე და 1832 წ. აჯანყებისათვის ემზადებიან; ამის გამოხატულებაა ალ. ჭავჭავაძის " კვლავ მარად...". შეთქმულების დამარცხებამ ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში გაამძაფრა ტრაგიკული მსოფლშეგრძნება. ამის მაჩვენებელია ალ. ჭავჭავაძის " დიმიტ.ვ.", " კავკასია", ბარათაშვილის " ჩემი ლოცვა" და " ფიქრი მტკვრის პირას", გრ. ორბელიანის " ჩემს დას ეფემიას"... ახალ და განსხვავებულ ვითარებაში ალ. ჭავჭავაძე ეხმაურება ფრანგ განმანათლებელთა იდეებს. შეთქმულების მარცხმა პოეტის წინაშე წამოჭრა კითხვა: მართებული იყო თუ არა ქართველ შეთქმულთა მიერ გადადგმული ნაბიჯი, მათი განზრახვა? ლექსში " დიმიტ. ვ. " მკვეთრადაა გამოვლენილი წუხილი აქართველოს თავისუფლების მოსაპოვებლად გადადგმული უშედეგო ნაბიჯის გამო. ეს ლექსი მიძღვნილია მეგობრისადმი, რომელთანაც მას " მსგავსება ფიქრთა, ხასიათთა და " შემთხვევათა" აკავშირებდა. შეთქმულების მარცხი აქ გააზრებულია არა მცდარ ნაბიჯად, არამედ " ჟამის შეშლად , ბედის ღალატად". ამ ლექსში პოლიტიკური შფოთვის რომანტიკა ელევგიური განწყობილებისაა:

გახსოვს, როს გული აღბორგვილი უფროსთ უსმენი  
ღრღნიდა აღვირსა განსაჭრომლად მბრკოლის გრკალით  
ორნივ ერთ ჟამად აღვიმსთვენით ქმნად კეთილისა.  
გარნა ვაჰ, რაბამ ვშორევიდით მას ჭკვა მიუმხვდართ...  
ვალსა საღმრთოსა ვეძიებდით გზითა შემცდართ...  
ზვირთთა ვებრძოდით განსასვლელად შრომა უხმართ.  
ვითარ განკვეთდენ მკლავნი სუსტნი მას ზღვასა? მარამ  
ცთომა ცოდვად არ მიგვითვალა მხედმან ზენართ.

რომანტიკული ხედვაა გამოვლინებული ალ. ჭავჭავაძის ლექსში " კავკასია". შიშის, გაოცებისა და აღტაცების აღმძვრელია " მთებზე შემდგარი მთების "- გოლიათი კავკასიის პეიზაჟი. კავკასი "ზოგთა ჰმუსრავს, ზოგთ ჰბადებს, ვით ღმერთი მბრძანებელი". როცა კავკასს მზე დახედავს ხოლმე, თოვლი, ყინული და ჩანჩქერები ბრილიანტებად ბრწყინავენ. " ამ დიდი მშვენების" თანამონაწილენია



ყვავილნი, ველნი და ტყენი, სადაც ირემი გამოიჭრება ხოლმე. აქვე გამოჩნდება ჯიხვიც, რომელიც შესცქერის მყინვარს და ვერ შემძლე მიწვდომად "ღმუილით ემდურს ძალსა". ამ პეიზაჟიდან ლექსი უცებ გადადის საქართველოს ისტორიული ვითარების განსჯაზე – თუ როგორ იღეწება შეუვალი კავკასია.

საქართველოსა და, საერთოდ იმ დროის რადიკალურ ცვლილებებთან ერთად ვითარდება პოეტის სულისკვეთებაც. მაგალითად, "ნარკვევში" და ლექსში "დიმიტ.ვ." უკვე თითქმის თანაბარი სიძლიერისაა უკმაყოფილებისა და კომპრომისის ტონი. ეს გარემოება უფრო შესამჩნევია ლექსში "კავკასია", რომელშიც მკვეთრად გამოკრთის "ნარკვევის" ტონი და სულისკვეთება.

კავკასიის პეიზაჟის სიდიდესა და მომხიბლაობაში პოეტი მეტაფორულად გვიჩვენებს ქართველი ერის ისტორიულ სიდიადესა და ძლევამოსილებას, რაც ტრაგიკულად იმსხვრევა. ლექსში რომანტიკულადაა წარმოსახული კავკასია, სადაც მითიური პრომეთე – ამირანია მიჯაჭვული, რომელსაც ყორანი გულს უკორტნის. ტრაგიკულ სურათს თითქოს მეტ მონუმენტურობას ანიჭებს ლექსის არქაული ( თუმცა რამდენადმე ხელოვნურობით დამძიმებული) პოეტური ენა:

ესე არს თვით მთა იგი, სად პრომეთეს დაბმულსა,  
ღმერთთა მიერ შერისხვით ყორანი ჰხოკდა გულსა,-  
... დასაბამით სოფლისა ცნობილი შეუვალად.

"ღვთისანაგ შერისხულ" პრომეთეს ტრაგედიის ასპექტშია დანახული კავკასიის ბედიც. ეროვნული მწუხარების ხმა მოისმის სტრიქონებიდან:

შეეჭრნენ ჩრდილოს ვაშტნი წიაღსა გრანიტთასა,  
არ ჰრიდეს ღელეთ სიღრმეს, არც სიმაღლეს მთათასა,  
ფოლადნი, ქვათ მკვეთელნი ათასთა შინა ხელთა,  
ხელოვნებითნი მეხნი, მედგრად მჩენელნი ცეცხლთა  
ჰსცემდენ, ჰგლეჯდნენ, ქუხოდენ,- და კავკასი მკვნესარედ  
ეხოთა მიერ წყლულთა თვისთა ცხად ჰყოფდა მწარედ!

პოეტის რწმენით, ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკისაგან მიყენებულ ჭრილობათა მიუხედავად, კავკასიის ხალხთათვის – თვით საქართველოსთვის-განათლებისა და კულტურის გზაზე დადგომის გარკვეული პერსპექტივა გადაიშალა:

განიხსნა გზა და ეშვათ ივერიელთ სასოება,

რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება.

“კავკასია” ბუნების აღქმის საინტერესო ნიმუშია ქართულ ლირიკაში. ამ ლექსში კავკასიის ხედი მოჩანს, მაგრამ ადგილი არ ეთმობა წმინდა პირად განცდებს. ამავე დროს, მაგალითად, ბარათაშვილის ლექსებში, ბუნების აღწერისას სწორედ პირად განცდებს უკავია მთავარი ადგილი.

ლექსებში: “ ელების კარი გაზაფხულისა”, მოვედ ამ არედ” ყურადღებას იქცევს ბუნების მეტაფორული წარმოსახვა; მათში მოლხენისა, სიყვარულისა და ბუნების ჰიმნიც გაისმის. სინამდვილის ჭარბი სუბიექტური აღქმა, დამახასიათებელი რომანტიზმისათვის ( და რამდენადმე მთელი XIX საუკუნის ქართული ლირიკისათვის ვაჟაფშაველამდე), შესამჩნევად მოჩანს ლექსში “ სძგერს გლახ გული”. მზისმეტყველების თავისებური გამოვლინებაა ლექსში “ ნუ მომკალ მწარედ”: “ შენ ხარ მზე, მქონე სხივთა ჩემთა მაცხოველეთ, მე-ხე, რომელი ვჰხმე, თუ მათით არ მომზარო”; აგრეთვე ლექსებში “ ჟამნი რბიან”, “ოჰ, საყვარელო”...

ბუნებისა და წარსულისადმი რომანტიკული დამოკიდებულებით განსაკუთრებით გამოირჩევა პოეტის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი “ გოგჩა”.

ალ. ჭავჭავაძე კარგად იცნობდა ევროპისა და რუსეთის ლიტერატურას. მას იდეური სიახლოვე ან პირადი ნაცნობობა აკავშირებდა გრიბოედოვთან და სხვა მოწინავე რუს მწერლებსა და მოღვაწეებთან. მან თარგმნა ჟუკოვსკის, პუშკინის, ლერმონტოვისა და ოდოევსკის ლექსები. პუშკინის შვიდი ნაწარმოები თარგმნა, ალბათ, პუშკინის თბილისში ყოფნის (1829წ.) მომდევნო ხანებში, რადგან ამ თარგმნილ ლექსთაგან პუშკინს ოთხი 1832-1833 წლებში აქვს გამოქვეყნებული. პირადმა ნაცნობობამ, ჩანს, უფრო გააძლიერა ალ. ჭავჭავაძის და სხვა ქართველ მწერალთა ინტერესი პუშკინისადმი.

აღსანიშნავია, რომ ალ. ჭავჭავაძეს პუშკინის მეტწილად რომანტიკული ხასიათის ლექსები უთარგმნია (“ ანჩარი”, “ სიზმარი” და სხვ.). პოეტს მონახული აქვს შესატყვისი ქართული საზომები, თუმცა ისინი არ შეიძლება ჩაითვალოს პირველხარისხოვან თარგმანებად ენობრივი სიმძიმის გამო. “ სიზმარის ” თარგმანი, სათაურითა და სტროფიკით, სცილდება დედანს. “ იმპერატრიცა ელისაბედის მიმართ” ყურადღებას იქცევს ლიბერალური იდეალებით. ალ. ჭავჭავაძე, უთუოდ თანაუგრძნობდა პუშკინს, როცა თარგმნიდა ამ ლექსის სტრიქონებს:

არროს ვყოფილვარ ქვეყნიერთა ღმერთთა მაქებლად,

არცა სადმე ამაყს ჩემის თავისუფლებით  
მური, გუნდრუკი მიკმევიეს ძლიერთ სათნებლად.

ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების მეორე პერიოდში მისი მსოფლგანცდის გასაგებად საყურადღებოა ვოლტერის ხუთმოქმედებიანი ტრაგედიის "ალზირას" თარგმანიც. ეს ნაწარმოები თავისებურად ესიტყვება რუსეთის ცარიზმისადმი პოეტის იმ პოზიციას, რაც აჯანყებასა და შეთქმულებაში მონაწილეობით დაიწყო და, არსებითად, უნებლიე კომპრომისით დასრულდა. "ალზირა" ეროვნულ-განმათავისუფლებელ მისწრაფებებსაც შეიცავს და ისტორიული აუცილებლობის გამო დამპყრობლისადმი დროებითი შერიგების მოთხოვნასაც.

40-იან წლებში პოეტს აგრეთვე უთარგმნია რასინის "ესთერი", "ფედრა", კორნელის "ცინა"<sup>[46]</sup> და " ედიპი". "ცინა" თარგმნილია 1844 წ. სწორად შენიშნავს გ. ქიქოძე, რომ " ქართველი რომანტიკოსი პოეტი დააინტერესა ამ ტრაგედიის ჰუმანისტურმა ტენდენციამ. ამის გარდა, მან, როგორც იმპერატორის საწინააღმდეგო აჯანყების და შეთქმულების მონაწილემ, ცინას მაგვარი ბედი განიცადა. რუსეთის იმპერიის ხელისუფლება მასაც შედარებით ლმობიერად მიეპყრო, ხოლო შემდეგ დაიახლოვა და დააწინაურა"<sup>[47]</sup>. მეუნარგის თქმით, "ცინა" თავის დროს ქართულად უნდა წარმოედგინათ სცენაზე და მთავარი როლი " თვით ა. ჭავჭავაძეს უნდა ეთამაშნა"<sup>[48]</sup>.

" ალზირას" ალ. ჭავჭავაძისეული თარგმანის ლენინგრადის აღმოსავლეთ მცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერს ( E 43, Br 141. )მინაწერები: ფრანგულად - " ტრაგედია ალზირა, თარგმნილი ა. ჭავჭავაძის მიერ, ამჟამად ცოცხალია. ლეტელიეს ფონდი № 401", ქართულად -"ალზირა ანუ ამერიკელნი, ტრალედია, ჩყლგ – 1833", "ალზირა ფრანცუზულიდამ ქართულად" და სხვ.მართლაც, თარგმანში არაა რუსიციზმები: რიცარი, ღერცოგი, კოროლი, ფრანციისა და მისთ. ზ. ჭიჭინაძეს ვოლტერის " მეროპა" და მაჰმადიც" უნდა ეთარგმნოს.

XIX საუკუნის 20–30- იანი წლების თბილისი ცნობილი სალონების ( მანანა ორბელიანის, ბაგრატიონ-მუხრანსკის ალ. ჭავჭავაძის) ლიტერატურული ინტერესების სფერო საკმაოდ ფართოა; ამას ადასტურებს, სხვათა შორის, ერთი ინგლისელი მოგზაური, რომელიც 1837 წ. ზაფხულში იყო თბილისში,- ალ. ჭავჭავაძისა და სხვათა სალონებში. თბილისის ერთ დაწინაურებულ რუსულ ოჯახში მიღებული შთაბეჭდილებით იგი წერს თბილისის ინტელიგენციაში ვიქტორ ჰიუგოთი და " ფრანგული სკოლის სხვა მწერლებით" გატაცებაზე: " მე გამართო იმ აზრთა სხვაობამ, რაც გამოითქვა ვიქტორ ჰიუგოს მიმართ, რომლის ნაწარმოებები, ისევე როგორც... ფრანგული

სკოლის სხვა მწერლებსა, მაგიდაზე ელაგა. გავამხილე, რომ არ შემხვედრია ეს წიგნები და არ წამეკითხა თვით ცნობილი "პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი", რის გამოც ზოგმა იმწამსვე შემოსძახა: "სად შეიძლება იყო ყოფილიყო, რომ ვ. ჰიუგოს დიდებული ნაწარმოებები არ წაგიკითხავთ?"<sup>[49]</sup> ალ. ჭავჭავაძეს, უთუოდ, განსაკუთრებული წვლილი შეაქვს როგორც ადრინდელი, ისე XIX საუკუნის ფრანგი მწერლების, კერძოდ ჰიუგოსადმი მაშინდელი საქართველოს კულტურულ წრეებში ინტერესის აღძვრაში. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვიცნობთ ალ. ჭავჭავაძის მიერ თარგმნილ ლექსს ჰიუგოდან - "მეფე რომ ვიყო...", რომელიც მისი სატრფიალო ლირიკის ტონს ეხმაურება. ერთი ცნობით, მისი განთქმული "სიყვარულო ძალსა შენსა" აგრეთვე ჰიუგოს ლექსის მიბადვას ან თარგმანს. ზოგი მისი თარგმანი ქართულ ორიგინალად მიიჩნია მკითხველმა, მაგ., "ძვირფასო საყვარელო", "როს გიყვარდი", "შენ ნარგიზი ახალი ხარ". "ვიდრემდის გქონან" და სხვ. ამ ბოლო ხანებში გამოირკვა, რომ მისი ორიგინალურად მიჩნეული ზოგი ლექსი თარგმანია.

ალ. ჭავჭავაძის ორიგინალური შემოქმედებიდან ევროპულ რომანტიზმთან ღრმა ნათესაობა აქვს ლექსს "გოგჩა" (1841); იგი მცირეპესიკური საზომითაა (5 - 4 - 5) დაწერილი; ამ საზომით მას რამდენიმე წლით ადრეც უწერია ლექსები, მაგრამ, ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: 1837 წ., "გოგჩაზე" ოთხი წლით ადრეა დაწერილი ბარათაშვილის "ფიქრნი მტკვრის პირას", რომელსაც "გოგჩა" სალექსო საზომითაც ენათესავება, პოეტური სახეებითაც, და, რამდენადმე, მრწამსითა და განწყობილებით... მაგალითად, ბარათაშვილთან გვაქვს: მტკვრის "ზვირთებში კრთის ლაჟვარდი ცისა კამარა", ალ. ჭავჭავაძესთან: გოგჩა "თვის შორის ხატავს ცისა ლაჟვარდს". ბარათაშვილთან "ცისა კამარა", ალ. ჭავჭავაძესთან "ცისა ლაჟვარდს", "ცისა მიმართ", "ციურთა მჯობი". თუმცა ორივე პოეტთან ყოველივე ეს იმდენად ორიგინალურადაა წარმოდგენილი, რომ შეიძლება ალ. ჭავჭავაძეს ყოველგვარი რუმინისცენციების გარეშე დაეწეროს "გოგჩა", "გოგჩა" მდიდარია ახალი სახეებითა და ინტონაციებითაც. შეიძლება ლაპარაკი ამ ორი ლექსის პრობლემურ ანალოგიაზე: ორივე ლექსი მსოფლიო სევდის ამაოთა ამაოების საკითხს უკავშირდება. ამ მხრივ "გოგჩაში" მთავარია განწირულებისა და გოდების რომანტიკული ტონი. ბარათაშვილი ამბობს, რომ ადამინი აღუვსებელი საწყაულია, მაგრამ მაინც მოითხოვს, რომ ადამიანის ვალია იმოქმედოს ქვეყნის სასიკეთოდ. ადამიანური ყოფის ამაოთ ამაოების გადმოსაცემად ალ. ჭავჭავაძემ სხვა გზა აირჩია: მან ერთმანეთს შეუპირისპირა წარსული და აწმყო, გოგჩის ნაპირების წარსულსა და აწმყოში გვატარებს,- იქ სადაც წარსულში ცხოვრება ჰყვოდა, დღეს ნანგრევებიღა შემორჩა.

ვით პ. ბ. შელის "ოზიმანდია", ეს ლექსიც გვეუბნება, რომ დრო ყოველივეს ამსხვრევს," დროსა მსვლელის ცელით, ყოველთა წარწყმედით" ყოველივე ინგრევა და სწორედ ეს არის "მომავლისაც ნამდვილი ხატი". ასეთია ადამიანური ყოფის ალ. ჭავჭავაძისეული ტრაგიკული შეგრძნება ამ ლექსში. სხვა ლექსშიც, "სხვადასხვა დროისათვის კაცისა" ის აზრია გატარებული, რომ ცხოვრება ტანჯვაა. ბარათაშვილიც ცხოვრების, ყოფის ტრაგიზმს აღიარებს, მაგრამ იგი მაინც "ბედის სამძღვრის" გადალახვისაკენ მიისწრაფვის. ბარათაშვილი მოქმედებისა და წინსწრაფვის პოეტია. ხოლო ალ. ჭავჭავაძის დაფიქრება გუშინდელ და ხვალინდელ დღეზე, "ციურთა მჯობნი მშენებლობისაკენ" ლტოლვაა.

პირადი წარსულისადმი რომანტიკულ დამოკიდებულებაზე მიგვითითებს ლექსი "ეჰა, ჩემო ოცნებავ". აქ ლაპარაკია პირადი ბედნიერი წარსულის "უწყალო დათრგუნვაზე":

ეჰა, ჩემო ოცნებავ, კვლავ რად წარმომედგინე  
და დასი მცნობთ ჩვენებათ უბრალოდ რად მომფინე ?  
რად მიჩვენებ სახეთა წარსულთა მათ ნუგეშთა, -  
ერთხელ ჩემის სიცოცხლის ნაზად დამატკობელთა,  
რომელნიცა მე ბედმან უწყალოდ დამითრგუნა  
და გლახ მე მარად მტირალს მცირედიც არ მიბრუნა.

პოეტის ბედი უწყალოდ შემუსრავს ცხოვრების დენას. მას სურს იმ სიცოცხლით ცხოვრობდეს, რითაც ახალგაზრდა ცხოვრობდა:

ნუ მიტევებ, ოცნებავ, მომეც ძველნი ხილვანი,  
მომეც მე ძველნი ცრემლნი და ძველნიცა ოხვრანი,  
წარსულისა სიცოცხლის ნიავი კვლავ დამქროლე  
და დამაშვრალს სულსა ჩემს სიტკბო მით განუახლე.  
გვედრებ, ნულა მშორდები, განმიგრძე სიხარული,  
რომე ხსოვნითა ოდენ დავიტკბო წყლული გული.

"ეჰა, ჩემო ოცნებავ" გამოვლინებაა პოეტის სულიერი დრამისა, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას და სოციალურ წინააღმდეგობათა ახალ გამწვავებას მოჰყვა. ეს გამოძახილს პოულობდა ხოლმე პოეტის ლექსებში. ამიტომაც ამბობს პოეტი:

არა ერთხელ სიჭაბუკე დაუთრთვილავს სიბერესა,  
არა ერთხელ ბედის დილა შეუცვლია ბნელ ღამესა.  
( " არა ერთხელ" )

პოეტის რომანტიკული სევდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოზიტიური სევდაა: იგი სინანულია ან სამშობლოს თავისუფლების დაკარგვის გამო, ან სევდა ყოფის მაუწყებლობაზე, ან გოდება დიადი წარსულისა გამო... მაგრამ ეს სევდა არასდროს არაა სინამდვილის ნეგაცია, ცხოვრების უარყოფა.

მისი ასზე მეტი ორიგინალური ლექსიდან 35-მდე ლექსი სპარსულ-თურქულ დასათაურებას ატარებს :“ მანჰა განჯალუ დეგულამის ხმა“, “დუგაის გუმა, ხარიბამ ქაფაშის ხმა“ და მისთ. ან: მუხამბაზი, მუსთაზადი, თეჯნისი, ბაიათი, ყაიდა ( ყასიდა), ყაზალი (ყაზელი)... ხმა ( მხოლოდ არა აღმოსავლური) უცხო არაა მაშინდელი ევროპული და რუსული პოეზიისათვის, - იგი გარკვეულ მუსიკალურ ჰანგს აღნიშნავს; დიდი ნაწილი დასახელებული სათაურებისა არა აღ. ჭავჭავაძეს, არამედ გადამწერთ უნდა ეკუთვნოდეს. მუხამბაზ-მუსთაზადები სპეციფიკურ სტროფულ-რითმულ აგებულებას გულისხმობს და გამიზნულნი არიან სამღერლად. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ აგებულებათაგან გადახვევა მათი დეფორმაცია აღ. ჭავჭავაძის ლირიკაში იწყება.

მუხამბაზურ-მუსთაზადური ან ბაიათური ფორმით გრ. ორბელიანი, ილია, აკაკიც სარგებლობდა, მაგრამ ახალი შინაარსის გადმოსაცემად; ეს ნაწილობრივ შეიძლება ითქვას აღ. ჭავჭავაძის ლექსზე.

აღ. ჭავჭავაძის ლირიკაში ახალი პოეტური სახეებისა და მათი შესატყვისი ენობრივი ფორმების გამოყენების მხოლოდ საწყისი ჩანს.

ყურადღებას იქცევს ახალი ინტონაციის მაშინდელი მოვლენები, მაგალითად, ასინდენტონი, აჩქარებული რიტმის გადმოცემები, უკავშირო ფრაზები, სადაც მძიმეები (პაუზები) ჭარბობს”

“ ვაჰ დრონი, დრონი, ნაგებნი მტკბარად

(“ ვაჰ, დრონი...”)

ჰსცემდენ, ჰგლეჯდენ, ქუხდენ...

(“კავკასია”)

აღ. ჭავჭავაძის ლექსისათვის საკმაოდ დამახასიათებელია ნიუანსური გამეორებანი ერთი და იგივე სიტყვისა ( პოლიმპტოტონი);

არ გესმის ოხვრა, ოხვრის მიზეზო

(“ჭმუნვის მახვილი”)

დამწვი და წყალი არ მომეც –დამწვარსა გულსა მომერა

(“გული წამართვი”)

აწ მტვრად აღგვილან იგი ძალი და იგი ღონე

(“გოგჩა”)

ლერწმად ახატოს, ვინც დახატოს მისი ტანია  
(“შენს ღირსებას”)

აღ. ჭავჭავაძის ლირიკას თავისებურ პათეტიკურ ინტონაციას აძლევს რიტორიკული გეკითხვების, მიმართვებისა და შემახილების გამოყენება: “დილა ჩემი როს განათდეს?”, “ოჰ, წარმავალო!”, “სიყვარულო, ძალსა შენსა...”, “ვარდო, კოკობო...”, “გონებაო, შენ რად შმაგობ...”

მრავალ ლექსში ( “ნუ მომკლავ მწარედ”, “კავკასია”, “გოგჩა”...) პოეტი იყენებს გადატანას (ანჟამბანს), ნერვიული ტონის ხაზგამსმელებ ფრაზეოლოგიურ თავისებურ წყობას:

ვითარ განკვეთდენ მკლავნი სუსტნი მას ზღვასა? მარამ  
ცთომა ცოდვად არ მიგვითვალა მხედმან ზენარით...  
(“ დიმიტ. ვ.”)

აღ. ჭავჭავაძე აგრძელებს ქართული კლასიკური ლექსის მეტრისა და რიტმის ტრადიციას; თავის ლექსთა დიდ ნაწილში იგი იყენებს მაღალი და დაბალი შაირის საზომებს. ხშირად მიმართავს აღორძინების ხანის საზომებსაც ( 43/ 43, 44/3, 54/5 და სხვ.). მასთან რამდენიმე ახალი საზომიც შეინიშნება ( 3/3, 53/5, 55/52 ).

აღ. ჭავჭავაძე ითვისებს ქართული ლექსის სტროფიკას, მაგრამ ევროპული და რუსული სტროფიკის გავლენას განიცდის; ამდენად იგი ხელს უწყობს ქართული ლექსის სტროფიკის გამდიდრებას.საერთოდ, აღ. ჭავჭავაძე ქართული ლექსის ტრადიციული ნორმების თავისუფალი გამოყენებისაკენ იხრება, რაც XIX საუკუნის ვერსიფიკაციის ძირითად ტენდენციად იქცა.

აღ. ჭავჭავაძე გარდატეხის ეპოქის პოეტია, რომლის შემოქმედება აღორძინების ხანის ქართული მწერლობის დასასრულის და ახალი ქართული ლიტერატურის აღმოცენების მაუწყებელია. იგი ქართული რომანტიზმის სათავის დამდებია. იგი იწყებს ქართული მწერლობის დიდ გზაზე გამოსვლას იმ მდგომარეობიდან, რომელშიც იგი მე-18 საუკუნის, ე. წ. გარდამავალი ხანის პოეტებმა მოაქციეს. აღ. ჭავჭავაძეს XIX საუკუნის დამდეგიდანვე ქართულ ლიტერატურაში ევროპის რომანტიზმის ანალოგიური თვისებები შემოაქვს. მან ქართული პოეტური შემეცნება კვლავ მიმართა ევროპის ლიტერატურის მაგისტრალური ხაზისაკენ. ქალისა და სიყვარულის ორიგინალური მომღერალი – აღ. ჭავჭავაძე მთელი ხმით გამოთქვამს ეროვნულ-სოციალურ სატკივარს და გაუნელებელ პატრიოტულ სევდას; ეს სევდა

ზოგჯერ მსოფლიო გოდების პოეზიის მოთხოვნილებათა დონეს უახლოვდება.

ალ. ჭავჭავაძე ქართული პუბლიცისტური ლირიკის ერთ-ერთი დამწყებიცაა. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მკაცრი დამგმობი ხმა ახალ ქართულ ლირიკაში პირველად ალ. ჭავჭავაძის მიერ ჯერ კიდევ 1821 წლამდე დაწერილ ლექსებში გაისმა. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეების სათავე ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაშია, ქართველი რომანტიკოსები სამოციანელთა თავისებური წინამორბედები არიან.

ალ. ჭავჭავაძეს, როგორც სიყვარულის მომღერალს, ხშირად შეუძლია მოგვაგონოს სატრფიალო ლირიკის მრავალი თვალსაჩინო პოეტი. სიყვარულის ალ. ჭავჭავაძისეული გაგება ძირითადად რუსთაველს და ქართულ ხალხურ პოეტურ საწყისებს ეფუძნება. ამით აიხსნება, რომ მის ყველაზე უფრო ანაკრეონტულ ლექსებშიც კი ეროტს რომანტიკული სიწმინდე ამარცხებს.

ალ. ჭავჭავაძე ქართული პროგრესული რომანტიზმის პირველი წარმომადგენელია, ახალი ევროპული ლიტერატურის ნაკადის პირველი დამწყები ქართულ ლიტერატურაში. მის პოეზიაში გამოძახილი პოვა იმ დროის ლიტერატურის საუკეთესო იდეალებმა.

ილია ჭავჭავაძემ ალ. ჭავჭავაძეს "ღვთიური სიმღერების" შემქმნელი უწოდა, აკაკიმ - "ტკბილი პოეტი", ი. მაჩაბელმა - "წმინდა სანთელსავით მოქნილი ლექსების" ხელოვანი.

1846 წ. 18 ნოემბერს (ძვ. სტ.). დღის პირველ საათზე სახლიდან ახალი გამოსული ალ. ჭავჭავაძე ეტლით მიემგზავრებოდა; მოულოდნელად ცხენები დაფრთხა, პოეტი შეეცადა მეეტლეს მიშველებოდა, ამასობაში პალტოს კალთა ეტლის თვალში მოჰყვა, იგი გადმოვარდა და სასიკვდილოდ დაშავდა, მეორე დღეს; დილის ცხრა საათზე, ალ. ჭავჭავაძე გარდაიცვალა. "უნუგეშოდ სტირს რა მისთვის დაობლებული სახლობა მისი, უნუგეშოდ ჭმუნვარებს სრულიად საქართველო"<sup>[50]</sup>, - წერდა პლ. იოსელიანი.

ალ. ჭავჭავაძე დასაფლავებულია კახეთში, შუამთის მონასტერში. საფლავის გასწვრივ კედელში მოთავსებული მარმარილოს ფიქალის წარწერა მთავრდება ფსალმუნის სიტყვებით: "მწუხრსა განუსვენოს ტირილმან და ცისკარსა სიხარულმან".

---

<sup>[1]</sup> Кавказ, 1846, №45.



- [2] ი. მეუნაგია, " ქართველი მწერლები,, ტ. I გვ. 24.
- [3] ი. ფანცხავა, თხზულებანი, 1903, გვ. 236.
- [4] Потто, История 44- го драгунского Нижегородского полка, т. II, 1898, გვ. 144.
- [5] Архив Раевских, т. II, გვ. 1.
- [6] პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ავ. გაწერელის შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით, 1936, გვ. 115.
- [7] ლენინგრადის ცია, ფ. 1284, აღწ. 3, 1804, საქმე № 23, ფურც. 3.
- [8] Акты, II, გვ. 336.
- [9] ლენინგრადის ცია, ფ. 1284, საქმე № 41, ფურც. 161-168.
- [10] იქვე.
- [11] ი. მეუნარგია, " ალექსანდრე ჭავჭავაძე", გვ. 39.
- [12] გ. ლეონიძე, " საქართველოში პუშკინის ყოფნის გამო" ( კრებული " ალ. პუშკინი საქართველოში", 1938, გვ. 202- 203 ).
- [13] Ир. Андроникашвили, лермонтов в Грувии в 1837 году. Тб., 1958, გვ. 51-109.4. т. III
- [14] В. Потто, Ист. 44-го драг. Нижегородск. Полка, С.- П., 1898, გვ. 142.
- [15] Д. Кипиани, Некролог- а. Г. Чавчавадзе « Кавказ» 1846, № 45.
- [16] А. Чавчавадзе, ТБ., 1957, გვ. 108.
- [17] იქვე.
- [18] ჟურნ. " მნათობი", 1940, № 6-7, ი. ენიკოლოფოვის პუბლიკაციით.
- [19] ალ. ავჭავაძე, თხზულებანი, 1940, გვ. 254.
- [20] Утверждение русскрго владычества на кавказе, т. IV, ч. 2- ая, Тифлис, 1908, под ред. Ген.- маиора потто, გვ. 120- 125.
- [21] ლენინგრადის ცია, ფ. 1284, აღწ. 3, 1805, საქმე № 27-35, ფურც. 280.
- [22] ალ. ავჭავაძე, თხზულებანი, 1940, გვ. 169.
- [23] J. J. Roussau, Collection complete des oeuvres, Tome premier, A Geneve, 1882, გვ. 119. – 2.
- [24] ალ. ავჭავაძე, თხზულებანი, 1940, გვ. 174.
- [25] ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1940, გვ. 174.
- [26] იქვე. გვ. 171
- [27] იქვე. გვ. 172- 173.
- [28] იქვე.
- [29] მ. ზავერინი, " ალ. ავჭავაძე პაჟთა კორპუსში", ჟურნალ. " მნათობი", 1957, 8.
- [30] ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.), 1959, გვ. 60.
- [31] კ. აბაშიძე, ეტიუდები, I, გვ. 22.
- [32] " დროება", 1870, № 2; აღსანიშნავია ისიც, რომ ნეკროლოგში ალ. ავჭავაძე ("Кавказ", 1846, № 45) დ. ყიფიანი ალ. ჭავჭავაძეს გოეთეს ლექსთა მთარგმნელად მიიჩნევს, რაც ჯერჯერობით არაა დადასტურებული, მაგრამ დ. ყიფიანი უსაფუძვლოდ არ იტყობდა.
- [33] Бертельс, Очерки ист. Персидской литературы, Л., 1928, გვ. 66.
- [34] საიათნოვა, ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1918, გვ. 118.
- [35] საიათნოვა, ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1918, გვ. 118.
- [36] სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერი 36, ფ. 34.
- [37] Khakhanof A., Apercu..., Tiflis,
- [38] ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1940, გვ. 316.
- [39] ა. აბაშიძე, " ა. ჭავჭავაძე", ჟურნ. " მოამბე", 1898, № 4, გვ. 678.
- [40] გ. ლეონიძე, ბესიკი, სსრ მეცნ. აკდ. გამომც., 1953, გვ. 4.
- [41] გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, 1935, გვ. 273.
- [42] იქვე. გვ. 44.

- [43] ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1940, ი. გრიშაშვილის შესავალი წერილი, გვ. XXVII; ი. ბოცვაძის სტატია, სოხუმის პედინსტიტუტის შრომები, ტ. V, 1949; საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერები H 2745, S 5333.
- [44] ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1940, გვ. 241.
- [45] იქვე, გვ. 242 –243.
- [46] ალ. ჭავჭავაძე "სინას" სახელწოდებით თარგმნა.
- [47] პიერ კორნელი, სიდი, გ. სალუქვაძის თარგმანი, 1957, გვ. 7.
- [48] ა. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1940, გვ. 339.
- [49] R. Wilbraham, Travels in the Trans – Caucasian Provinces... in the autumn and winter of 1837 " London, 1839, გვ. 89. –3.
- [50] საქ. სახელმწიფო ლიტ. მუზეუმის ხელნაწერი № 238 /5.

## გრიგოლ ორბელიანი

(1804 – 1883)

გასული საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ პოეზიაში გრ. ორბელიანი ახალი სიტყვა თქვა რომანტიკული მსოფლმხედველობის, ამ მიმდინარეობის ძირითადი მოტივების, თემებისა და სტილის დამკვიდრების თვალსაზრისით. მის ლირიკულ ლექსებსა და ერთადერთ ეპიურ ნაწარმოებში საბოლოოდ ჩამოყალიბდა რომანტიზმი, როგორც მხატვრული მეთოდი. ამ მხრივ გრ. ორბელიანი შემდგომი ნაბიჯი გადადგა ალ. ჭავჭავაძესთან შედარებით, რომელიც მისი წინამორბედი და თანამედროვეც იყო.

გრიგოლ ორბელიანი დაიბადა 1804 წ. 2 ოქტომბერს ქ. თბილისში. პოეტის საგვარეულო ხაზი აღწევს ორბელ ბარათაშვილის სახელამდე (XVI ს.). ამ შტოს ეკუთვნის ყაფლან ორბელიანი, განთქმული ქართველი მწერლის სულხან-საბას შავე, XVII საუკუნის ერთ-ერთი უძლიერესი და გავლენიანი ფეოდალი. გრიგოლ ორბელიანი ამიტომ უწოდებდა თავის თავს "ყაფლანიშვილს".

გრიგოლ ორბელიანის ბავშვობამ და ყრმობამ განვლო საქართველოს ისტორიის იმ პერიოდში, როცა ჯერ კიდევ მწვავე იყო მოგონება ალა-მაჰმად- ხნის მიერ თბილისის აოხრებისა, ხოლო პატარა კახის გამირობის შესახებ ყრმა გრიგოლს ბევრი რამ უნდა სმენოდა ხანდაზმულ თანამედროვეთაგან.

გრიგოლის მამას, დიმიტრის ( იგივე ზურაბს), საქართველოს უკანასკნელ მეფეებთან უმსახურია და კახთ ბატონთან კი ნათესაური კავშირითაც ყოფილა შეკრული. საქართველოში რუსული მმართველობის დამკვიდრების შემდეგ დიმიტრი ჯერ სამხედრო სამსახურში შესულა, მონაწილეობა მიუღია მთავარმართებელ პავლე ციციშვილის მიერ ქ. ერევნის აღებაში 1804, წელს, ხოლო შემდეგ

უზენაეს სასამართლოში დაუნიშნავთ “ზასედატელად”. პოეტის მამას შინაური განათლება ჰქონია მიღებული.

გრ. ორბელიანის დედა, ხორეშანი, ერეკლეს ქალის ელენეს ასული იყო. ამრიგად, დედის მხრივ პოეტი ბაგრატიონთა გვარს ენათესავებოდა. ხორეშანი იშვიათი სულიერი და ზნეობრივი თვისებებით შემკული არსება ყოფილა.

დიმიტრი და ხორეშან ორბელიანებს გრიგოლის გარდა კიდევ სამი შვილი ჰყავდათ: ზაქარია, ილია და ეფემია,- დედა ნიკოლოზ ბარათაშვილისა.

გრიგოლ ორბელიანისათვის წერა-კითხვა უსწავლებია ანჩისხატის დეკანოზ დიმიტრი ალექსი- მესხიშვილს, რომელიც თავისი დროის ცნობილი მწიგნობარი იყო. შემდეგ პატარა გრიგოლი მშობლებს მიუყვანიათ ახალი მმართველობის მიერ დაარსებულ კეთილშობილთა სასწავლებელში, სადაც მომავალ პოეტს ქართულს ასწავლიდა მღვდელი ხელაშვილი, ჩინებული მცოდნე ენისა სასწავლებლის დამთავრებამდე გრ. ორბელიანი გადასულა ახლად გახსნილ საარტირელიო სკოლაში. 1816 წ. მომავალი ოფიცერი შედის იუნკრად 21-ე საარტილერიო ბრიგადაში, სადაც მან 1820 წლამდე დაჰყო.

გრიგოლ ორბელიანის დიდი სამხედრო კარიერის დასაწყისი ემთხვევა საქართველოში პროკონსულ ა. პ. ერმოლოვის მმართველობის წლებს (1816 - 1827). მისი ბედის ვარსკვლავი არანაკლები ძალით ანათებდა გრაფ პასკევიჩის მმართველობის დროსაც. “ტოლუბაშის” ავტორს დიდ სიხარულს ჰგვრიდა საქართველოს დაუძინებელი მტრების დამარცხება რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომებში ( 1826 – 1829 წწ.) და არც ისე ძნელია წარმოდგენა ქართველი ოფიცრის სიამაყისა იმ დროს, როცა კავკასიის მხედრობის მიერ ძლეული ირანელი და თურქი სერასკირები თავიანთ ბაირაღებს ხრიდნენ აბას –აბადთან და ირაკლი- თაფასთან, ერევანსა და ხერთვისში, ახალქალაქსა და ახალციხეში. ამ ადგილების იერიშით აღებისას გრ. ორბელიანს მამაცობით უსახელებია თავი .

1829 წელს გრ. ორბელიანი კახეთში ახლდა ალექსანდრე ჭავჭავაძეს, რომელიც სამხედრო საზღვრების უფროსად იყო დანიშნული. მეორე წელს იგი მონაწილეობას იღებს გრაფ პასკევიჩის ექსპედიციაში და ჭარ-ბელაქნის ლეკებს აშოშმინებს. იმავე წელს მონაწილეობს გენერალ სტრეკალოვის მიერ ზაქათალის აღებაში.

1831 წელს გრ. ორბელიანმა ადგილობრივი ხელისუფლების დავალებით (კავკასიის აქეთა მხარის მთავარსარდლის, გენ-პანკრატიევის, ბრძანებით) რუსეთს წაიყვანა კავკასიის კორპუსში

შეჩერებული ჯარისკაცები ნოვგოროდში დაბანაკებული საგანგებო ქვეითი პოლკისათვის. გზად მან რამდენიმე ხანს მოსკოვსა და პეტერბურგში დაჰყო. თავის დღიურში პოეტი იგონებს შეხვედრებს რუსეთს გადასახლებულ მარიამ დედოფალთან და ქართველ უფლისწულებთან, ვრცლად აგვიწერს ღირშესანიშნავ ადგილებს, გადმოგვცემს თავის შთაბეჭდილებებს იქაური თეატრების სპექტაკლებზე.

პეტერბურგი, იმპერიის იმდროინდელი ცენტრი, დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ქართველ ოფიცრებზე. გრ. ორბელიანი აღწერს პეტერბურგის, ცარსკოე სელოსა და პეტერგოფის შესანიშნავ სასახლეებს. პოეტი, რომელმაც იგემა სამხედრო ცხოვრების სუსხი, აღტაცებით ათვალიერებს ხელოვნების ძეგლებს, გულდასმით ეცნობა პეტრე პირველის მიერ დაარსებულ კუსტკამერას და ერმიტაჟის დარბაზებს, მოხიბლულია "რაფაელის ლოჟითა" და "ძვირფასი ბიბლიოთეკით, რომელსაცა შინა ეწყო თხზულებანი ფილოსოფოსთა დალამბერტისა, ვოლტერისა და დიდეროტისა". გრ. ორბელიანი საგანგებოდ აღნიშნავს აგრეთვე თავის შეხვედრებს საქართველოდან გადასახლებულ ფარნაოზ და დიმიტრი ბატონიშვილებთან, საუბრობს მათთან მოცარტზე, ვებერზე, როსინზე და კერუბინზე.

1831 წლის ნოემბერში გრ. ორბელიანი ჩადის ქ. ნოვგოროდში, აქ მან ერთი წელიწადი დაჰყო. და აი, მისი გარეგნული ცხოვრების მწყობრი რიტმი ერთბაშად იცვლება: 1833 წლის მარტში გრ. ორბელიანს აპატიმრებენ ნოვგოროდში და სასწრაფოდ გზავნიან თბილისში. პოეტს ბრალდებოდა კავშირი თავად-აზნაურთა იმ შეთქმულებასთან, რომელიც 1829 წლიდან მზადდებოდა საქართველოში ადგილობრივი ხელისუფლების და, საერთოდ, ცარიზმის წინააღმდეგ (როგორც ცნობილია, ეს შეთქმულება 1832 წლის დეკემბერში გაცემულ იქნა). საგანგებო კვლევა-ძიების საფუძველზე კავკასიის სამხედრო ხელისუფალთა წინაშე გრ. ორბელიანი სრულიად მოულოდნელად ახალი სახით წარსდგა; პეტერბურგში გადასახლებულ ქართველ ბატონიშვილებთან მას არა მარტო მოცარტზე და როსინზე უსაუბრია, არამედ (და უმთავრესად) საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხებზედაც; ჯიბით უტარებია არა მარტო ჯარისკაცის წესდება, არამედ ქართული თარგმანიც ცნობილი დეკაბრისტი პოეტის რილევეის ნაწარმოებისა "ნალივაიკოს აღსარება" (მისი დედანი მთარგმნელს ნოვგოროდში განჩხრეკისას უპოვეს); ჩვეულებრივ დღიურებს გარდა ფარულად უწერია პატრიოტული ლექსები (ნოვგოროდშია დაწერილი, მაგალითად "იარალის") და დღიური

“მგზავრობა ჩემი თბილისიდან პეტერბურდამდის”, რომელშიც ავტორი აშკარად იცავს საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენისა და ეროვნული რეგულარული ჯარის შექმნის იდეას.

როგორც ჩანს, გრ. ორბელიანი აქტიურად არ ყოფილა ჩაბმული შეთქმულთა ორგანიზაციაში. სხვათა შორის, ეს უნდა აიხსნას 1827 – 1832 წლებში მისი ხშირი ადგილმონაცვლეობითაც, რაც სამსახურებრივი საჭიროებით იყო გამოწვეული. მაგრამ შეთქმულებთან პოეტის მჭიდრო იდეური კავშირი სადავო არაა. მიუხედავად ამისა, გრ. ორბელიანს აშკარა დანაშაული არ დაუმტკიცდა და გაათავისუფლეს საქმის საბოლოო გამოძიების დამთავრებისთანავე. ავლაბრის ყაზარმებში სამი თვის პატიმრობის შემდეგ იგი, როგორც მეშვიდე კატეგორიის “მცირე” დამნაშავე, “კავკასიის ხაზზე” მოქმედ ჯარში იქნა გაგზავნილი. იქიდან გრ. ორბელიანი 1833 წლის მიწურულს გააწესეს ნევის საზღვაო პოლკში, რომელიც ვილნოში იყო დაბანაკებული. დიდი ვაი-ვაგლახითა და გზაზე სხვადასხვა ხიფათის გამოვლით გრიგოლ ორბელიანმა თავის პოლკს 1843 წლის 2 მაისს მიაღწია.

პოლიტიკური რომანტიზმის ბურუსი გაიფანტა. ოფიცერი გრ. ორბელიანი ისევ დაუბრუნდა სამხედრო ასპარეზს. აქედან იწყება პოეტის ცხოვრების მეორე პერიოდი (1833 - 1858).

ხუთი წელი გაატარა გრიგოლმა აჯანყებულ და შემდეგ დამარცხებულ პოლონეთში, სადაც მოსახლეობას მკაცრი რეპრესიებით აშოშმინებდა გენერალი პასკევიჩი, მისი ყოფილი უფროსი კავკასიაში. ბალტიისპირა ქალაქებში ყოფნისას პოეტი ერთი წუთითაც არ ივიწყებდა მშობლიურ თბილისს, ნათესავებსა და მეგობრებს. ყაზარმული ცხოვრება ან საკლებო გართობები არ ივიწყებენ მას გამოვლილ ჭირ-ვარამს, ქართულ ნადიმს, მანანა ორბელიანისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონებს.

1837 წელს გრ. ორბელიანმა აიღო შვებულება და სამშობლოსაკენ გამოემგზავრა. 1838 წლის აგვისტოში ის შტაბს კაპიტნის ჩინით ხელმეორედ ჩაირიცხა საქართველოს გრენადერთა პოლკში, რომელიც ქ. გორში იდგა. ამიერიდან მომავალი გენერალი ფრთხილი და გარეგნულ პირობებს შეგუებული ოფიცერია.

1841 წელს გრ. ორბელიანი მონაწილეობს პოლკოვნიკ მოსე არლუთინსკის რაზმის მიერ გურიის გლეხობის აჯანყების ჩაქრობაში. გურია “დააწყნარეს” იმავე წლის სექტემბერში.

1842 წელს გრ. ორბელიანი ავარიის (დაღესტანი) მიწებს იცავდა შამილის რაზმებისაგან. ენერგიულმა სამხედრო მოქმედებამ და

ადმინისტრაციულმა ნიჭმა ის ჩქარა დააწინაურა: 1843 წელს გრ. ორბელიანი დანიშნეს ავარიის მმართველად, ან როგორც თავის თავს უწოდებდა - "ავარიის ხანად" ამ წლის 2 ივნისს გრ. ორბელიანი ჩავიდა ხუნძახში, ავარიის ყოფილი ხანების რეზიდენციაში.

გრ. ორბელიანი დიპლომატიური უნარით აღჭურვილი მმართველი და ამავე დროს უღმობელი ოფიცერი იყო მთიელებთან ბრძოლაში. შუა აზიის საშუალო საუკუნეთა მუსლიმანური სექტის, ნაქშენდიეს ორდენის მისტიკური მოძღვრების მიმდევარ მურიდების წინააღმდეგ გრ. ორბელიანი მოქმედებდა როგორც მეფის რუსეთის კოლონიალისტური არმიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ხელმძღვანელი.

თხუთმეტი წელიწადი იმსახურა გრ. ორბელიანმა დაღესტანში, ჯერ როგორც სხვადასხვა ოლქების მმართველმა და პოლკის უფროსმა, შემდეგ კი – როგორც მთელი დაღესტნის ჯარების სარდალმა. იშვიათად ჰყოლია ჰაზავათს მასავით დაუძინებელი მტერი. გრ. ორბელიანი მონაწილე ან უშუალო ხელმძღვანელი იყო მთელი რიგი აულების აღებისა შამილის დაღესტანში. იბრძოდა ქუთიშასთან (1846) და სალთთან (1847), გერგებელთან (1848). და ჭუხთან (1849), ტაბარანსა და ყაითაღში (1854 –1855), ქურისა და სალათაუს სოფლებში...

1857 წელს გრ. ორბელიანმა იერიშით აიღო უადრესად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი სალათაურში –ძველი და ახალი ბურთუნაი.

სალათაუს დაპყრობა უკანასკნელი ფურცელი იყო გრ. ორბელიანის ოფიცრული კარიერის მრავალწლიან მატთანში. 1858 წელს იგი, მრავალი ორდენით დაჯილდოებული, თბილისში გადმოჰყავთ კავკასიის მთავარმმართველ ბარიატინსკისთან. გრ. ორბელიანის ცხოვრების მეორე პერიოდი (1833 –1858) ამით დასრულდა.

\* \* \*

გრიგოლ ორბელიანის ლირიკული ლექსების, "სადღეგრძელოს" ვარინტებისა, დღიურებისა და თარგმანების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ქრონოლოგიურად ემთხვევა პოეტის ცხოვრების პირველ და მესამე პერიოდს (1824 –1832 და 1860 – 1883წწ.). მეორე პერიოდში (1883 –1858) გრ. ორბელიანს მხოლოდ 14 ლექსი დაუწერია და ისიც სპორადულად (1883 წლიდან 1851 წლამდე),

1824 –1858 წლებში გრ. ორბელიანს პოეტური ნაწარმოების გარდა დაუწერია (და ზოგის გადათეთრება მოუსწრია) შემდეგ ორიგინალური პროზაული თხზულებანი: "ნაწილი დღიურისა " მგზავრობა ჩემი თბილისიდან პეტერბურღამდის"( 1831-1832," ამბავი რილის ლომპიტალში ნათქვამი"( 1835), სხვადასხვა ეტიუდები და შენიშვნები: " ან... დმი". 91824), " ზამთრისა ქარი გრიალებს, (1829), "ნ. ვ. მ. (1832), " ჰაზრნი მსწავლელთა ჩვენის პლანეტის შექმნისათვის, ანუ მიწისა", " ცნობა ლეკების შესახებ" და კონსპექტი " საქართველო ჩემის დროისა". პოეტის კალამს ეკუთვნის აგრეთვე პროზაული თარგმანი " ალლეღორია" ( 1824), " სამი მეგობარნი" ( 1832) ჰერდერიდან და " მაცთუნებელი" (1832) მოთხრობა შვეიცარიელი მწერლის ცმოკესი, და " საღამოს ჩაიზედ".

ჩამოთვლილ თხზულებათაგან, რასაკვირველია, ყველას ერთნაირი იდეური და მხატვრული ღირებულება აქვს. ბევრ მათგანს გრ. ორბელიანის შემოქმედების ანალიზის დროს მხოლოდ დამხმარე მასალის მნიშვნელობა ენიჭება.

უწინარეს ყოვლისა, ცალკე უნდა გამოიყოს გრ. ორბელიანის პატრიოტული ნაწარმოებნი, რომლებიც საქართველოს რაინდული წარსულის ხოტბას შეიცავს ან გვაცნობს ავტორის სულისკვეთებასა და პოლიტიკურ მრწამსს 1832 წლის შეთქმულების მზადების პერიოდში. ესენია პოემა " ტოლუბაში" (" სადღეგრძელოს" პირველი ვარიანტი, 1827), (მიბაძვა რილეევისა, 1831), " ჰე, ივერიავ" (1832), " მისი სახელი კიცხვითა" (1832), " იარალის", (1832) და " მოგზაურობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურღამდის".

პოემა " სადღეგრძელოს" პირველი ვარიანტის სათაურია: " ტოლუბაში ანუ ომის შემდეგ ლხინი და სადღეგრძელო. 1827 წელსა". ეს არის პოემის პირველი, მოკლე ვარიანტი, ავტოგრაფის სახით ჩვენამდე მოღწეული. არსებობს მეორე ვარიანტი ( აგრეთვე მოკლე), სხვისი ხელით გადაწერილი, რომელსაც შემდეგი სათაური აქვს: " ტოლუბაში (მიბაძვა ჟუკოვსკისა). ( ესე ლექსნი 1826 წელს სპარსეთის ომში არის ნათქვამი, როდესაც ირაკლის თაფაზედ იყვნენ ჯარნი დაბანაკებულნი)". პოემის საბოლოო რედაქცია ცნობილი და პირველ მეორე ვარიანტებთან შედარებით გავრცობილია (ამ უკანასკნელს ვეხებით პოეტის შემოქმედების მესამე პერიოდის დახასიათებისას).

საგულისხმოა მეორე ვარიანტის ცნობა იმის შესახებ, რომ " ტოლუბაში" არის " მიბაძვა ჟუკოვსკისა", მაშასადამე, იგი ავტორის განმარტებად უნდა მივიჩნიოთ. მართლაც, გრ. ორბელიანის " ტოლუბაში" და პოემის საბოლოო რედაქცია (" სადღეგრძელო"), უეჭველად დაწერილია ცნობილი რუსი რომანტიკოსი პოეტის ვ. ჟუკოვსკის ნაწარმოების "Певец во стане русских войнов" ( 1812)

მიზანმიმართულ; მაგრამ "ტოლუბაში" არაა უბრალო ვარიაცია აღნიშნული ნაწარმოებისა. ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში დიდი ხანია გამოთქმულია ანალოგიური მოსაზრება. ამჟამად ეს საკითხი სპეციალურად არის შესწავლილი.<sup>[1]</sup>

აღსანიშნავია, რომ თვითონ ვ. ჟუკოვსკის პოემაც არაა მთლად ორიგინალური, იგი მიზანმიმართულ ინგლისელი პრეროდანტიკოსის თომას გრეის ( 1710- 1717) პატრიოტული ოდისა The Bard, რომელშიაც ავტორი ინგლისის ეროვნული დიდების მთავარ ეპოქებს მიმოიხილავს. თ. გრეის ნაწარმოების ცენტრშია ბარდი, სახე იმ ძველი პროფესიონალი მომღერლებისა, რომლებიც ხოტბებს ასხამდნენ ან სხვადასხვა ისტორიულ თუ ლეგენდარულ ამბებს ჰყვებოდნენ ზეპირად. ჟუკოვსკის პოემაშიც მომღერალი სადღეგრძელოებს წარმოსთქვამს და რუსეთის ისტორიულ გმირებს იგონებს.

ჟუკოვსკის " მომღერალი " ეძღვნება 1812 წლის სამამულო ომს. პოემაში ამ ომის გმირებია შექმნილი ( კუტუზოვი, რაევსკი, ერმოლოვი, მილორადოვიჩი, კონოვნიცინი, ორლოვი, კუტაისოვი, ბაგრატიონი და სხვები.) პოემის დასაწყისში (მეორე სადღეგრძელოში) მოხსენებულია სვიატოსლავი, დონსკოი, პეტრე პირველი და სუვოროვი, სხვა ადგილას – სახალხო მომღერალი ბოიანი, ლომონოსოვი, დერჟავინი და სხვ.

"ტოლუბაში", ისევე როგორც " სადღეგრძელოს" საბოლოო რედაქცია, კომპოზიციურად და ცალკეული მოტივების მხრივ ხშირად უშუალოდ მისდევს ვ. ჟუკოვსკის პოემას. ამ ნაწარმოებთა შორის ბევრი თემატიკური მომენტია საერთო, ხშირად ამა თუ იმ თემის გაშლის მხრივაც სრულს დამთხვევას აქვს ადგილი. მიუხედავად ამისა " ტოლუბაში" ( და " სადღეგრძელოც") არაა უბრალო ვარიაცია, იგი მართლაც მიზანმიმართულადაა და არა განმეორება. ეს ეხება ძირითად თემატურ მომენტს: უმთავრესი განსხვავება ამ ორ პოემას შორის ისაა, რომ ვ. ჟუკოვსკის ნაწარმოების ცენტრშია ავტორის თანამედროვენი, 1812 წლის მონაწილე გმირები, რომელთაც პოეტი კონკრეტულად ასახელებს და შესაფერისად ამკობს მათ. გრ. ორბელიანის წინაშე კი ეს ამოცანა არა დგას. ჟუკოვსკის პოემაში კი შექმნილია რუსი გენერლების გმირული თვისებანი, რომელიც მათ გამოიჩინეს ბოროდინოს ბრძოლაში. სხვა მოტივებს ( ისტორიული წარსულის მოგონება, სიყვარულისა და მეგობრობის ხოტბა და სხვ.) ვ. ჟუკოვსკის პოემაში დამატებითი მნიშვნელობა აქვთ. " ტოლუბაში" ( და პოემის ბოლო რედაქცია) მკითხველს არ უქმნის დროის, ეპოქის სრულ ილუზიას. ყველა სადღეგრძელო რომელსაც ტოლუბაში წარმოსთქვამს, შეიძლება



წარმოთქმულიყო არა მარტო რუსეთ ირანის ომში 1827 წელს, არამედ სხვა დროსაც და ისიც მხოლოდ და მხოლოდ ქართველ მეომართა შორის. ნაწარმოების არც ერთი ტაეპი არ გვანიშნებს, რომ პოეტი პასკევიჩის არმიაში იმყოფება. პირიქით – პოემის მიხედვით ჩანს, რომ “ირაკლის თაფასთან” მხოლოდ ქართველები არიან დაბანაკებულნი. ტოლუბაში ასე მიმართავს მეომრებს:

ძმანო, აღვავსოთ ფიალა წინაპართ მოსაგონებლად,  
რომელთაც მამულისათვის სისხლი შეჰსწირეს აქ მსხვერპლად,  
თვით გორი ესე წითელი არს მათ მხნეების მაჩენლად,  
რომელიც მტერთა შემუსვრით შეიქმნა სამარედ ვრცელად.

გრ. ორბელიანი შემდეგ კომენტარს ურთავს სქოლიოში ამ ადგილას: “გარნიჩაის მდინარეს და ერევანს შუა მეფე ირაკლიმ დაამარცხნა და შეიპყრნა აზათ- ხან. ამავე ადგილს ორმა ჩვენმა როტამ დაამარცხა ასანხანი და ნალიხანი, რომლისა შემდგომ მივედით მეგობრები ქართველნი და ირაკლის თაფაზე საიდანაც აიღო ამა მეფემან ერევანი, იმ გორაზე ვლხინობდით”. როგორც ვხედავთ, ეს შენიშვნა არ შეიცავს რაიმე კონკრეტულ მითითებას რუსი მხედრობის შესახებ. თვითონ ტექსტში კი ამაზე კრინტიც არაა დაძრული,- არც ერთი მხედართმთავარი ან ომის უშუალო მონაწილე პოემაში დასახელებული არაა. “ირაკლის თაფასთან” ქართველი მეომრების მისვლა და ლხინი კი მარტოოდენ წარსულის მოგონებებს აღძრავს პოეტში.

“ტოლუბაშის” პირველ ვარიანტში წინაპართაგან მოხსენიებულია მხოლოდ ვახტანგ გორგასალი. საქართველოს სხვა ისტორიული გმირები თანდათან გამოჩნდნენ პოემის მეორე ვარიანტში და განსაკუთრებით “სადღეგრძელოს” ბოლო რედაქციაში.

“ტოლუბაში” მამულისადმი სიყვარულის ჰიმნს წარმოადგენს. პოემის ამ ვარიანტში ტოლუბაშის პირით პოეტი მიმართავს თავის სამშობლოს:

ჰე, მამულო, სასურველო! ვინ გახსენოს, რომ მის გული  
არ აღჭორობდეს სიხარულის აღტაცებითა აღვსილი?  
ვინ გიხილოს დროსა საშიშს, არ დაჰსთხიოს თვისი სისხლი,  
არა დაჰკლას თავი თვისი, შენდა დახსნად, ვითა მსხვერპლი!

სამაგიეროდ პოემაში ერთი სიტყვით არაა აღნიშნული მნიშვნელობა იმ საომარი ექსპედიციისა, რომლის მონაწილეც პოეტი იყო. ამრიგად, გრ. ორბელიანის " სადღეგრძელოს" პირველი ვარიანტი (ისევე როგორც მეორე ვარიანტი და საბოლოო რედაქციაც ) ვ. ჟუკოვსკის პოემის ერგვარ ანტიპოდს წარმოადგენს ძირითადი თემის შერჩევის თვალსაზრისით.

გარდა პატრიოტული მოტივებისა, " ტოლუბაში" შეიცავს მეგობრობის, სიყვარულისა და საქართველოს ბუნების ხოტბას. ეს ნაწარმოები შეიქმნა 1827 –1832 წლებში, ე. ი. ცნობილი " შეთქმულების" პერიოდში. იგი ჩინებულად გამოხატავს პოეტის ეროვნულ შეგნებას: პასკევიჩის არმიის ოფიცრის მკერდექვეშ ძგერს გული მამულზე შეყვარებული პატრიოტისა, რომელიც მზადაა " დააკლას თავი თვისი" მისდა " დახსნად, ვითა მსხვერპლი".

ეროვნული კონცეფცია, რომელიც საფუძვლად უდევს "სადღეგრძელოს" პირველ ვარიანტს ("ტოლუბაშს") უფრო მკაფიოდ გამოხატულია ავტორის ამავე პერიოდის ლირიკულ ლექსებში და სხვა "მიბაძვებში". გრ.ორბელიანის ასეთ პირველ პროგრამულ ლექსად (პატრიოტულ თემაზე დაწერილ ლირიკულ ნაწარმოებთა შორის) უნდა ჩაითვალოს "აღსარება"(1831), რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა 1832წლის შეთქმულთა წრეში. იგი წარმოადგენს ცნობილი დეკაბრისტი პოეტის კონდრატი რილეევის (1795 –1826) დაუმთავრებელი ნაწარმოების"Наливайко" -ს ერთ- ერთი თავის (" ნალივაიკოს აღსარება") მიბაძვასა და გადმოქართულებას. რილეევის, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლ რესპუბლიკელ პოეტს, თავდაპირველად განზრახული ჰქონია დაეწერა მთელი პოემა ამ სათაურით. ამჟამად ცნობილია მხოლოდ საერთო გეგმა პოემისა და ცალკეული ადგილები. გრ. ორბელიანს შეცვლილი აქვს რილეევის ლექსის შინაარსი, იგი გაქართულებულია. ნაწარმოები გაჟღენთილია " მტრის სისხლის დასათხევად მოსურნე" ქართველი არისტოკრატი-პატრიოტის სულისკვეთებით. როცა 1832 წლის შეთქმულებასთან კავშირის გამო გრ. ორბელიანი განჩხრიკეს და დაატუსაღეს ნოვგოროდში, ჟანდარმერიის პოლკოვნიკმა სხვათა შორის ჰკითხა მას, " ნალივაიკოს აღსარება" თქვენ თარგმნეთ თუ არაო. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ " აღსარების" ერთ-ერთი პირი ჟანდარმერიას უპოვია შეთქმულთა ყველაზე რადიკალური წევრის, რესპუბლიკელი სოლომონ დოდაშვილის, ბინაზე. მეორე შეთქმულისათვის, გიორგი ერისთავისთვის, გრიგოლ ორბელიანს თვითონ გადაუცია თავისი" მიბაძვა", ხოლო თბილისში ყოფნისას დიდი წარმატებით წაუკითხავს იგი შეთქმულთა წრეში. ყოველივე ეს ნათლად მოწმობს"

აღსარების“ მნიშვნელობას 1832 წლის შეთქმულებასთან გრიგოლ ორბელიანის იდეური კავშირის თვალსაზრისით.

“ აღსარების“ ლირიკული პერსონაჟი თვითონ ავტორია, ნაცვლად რილეევის პოემის გმირის, უკრაინელი პატრიოტი ნალივაიკოსი. ლოკალიზებულია ადგილიც, სადაც პოეტი წარმოთქვამს თავის აღსარებას: ვარშავის ნაცვლად დასახელებულია მცხეთა. “ ივერიელთა“ მტრებად გამოყვანილი არიან “ ლეკი, ოსმალო და სპარსი“. ამრიგად, გრ. ორბელიანის ლირიკულ მონოლოგში ნამდვილი მისამართები შენიღბულია ისტორიული სახელებით.

“ აღსარებაში“ დახასიათებულია პოეტის თანადროული სინამდვილე წარსულთან დაპირისპირებით (“ესრეთ სარცხვინო შიშითა ვინ იყო მაშინ ძლეული?”); ლექსში საუბარია არა წარსულზე , არამედ აწმყოზე:

ხმა საიდუმლო მარად ჟამს მეჩურჩულების მე ყურსა,  
ჟამი არის მტერი მამულის მისცეთ მახვილსა ლესულსა.

“ აღსარება“ თავდება ამბოხებისა და ბრძოლისათვის მზადყოფნის დეკლარაციით:

თავისუფლება უმსხვერპლოდ, უსისხლოდ [ვის] მოუსყიდის?  
წარვსწყვდები მამულისათვის, ვიცი ვგრძნობ და აღვიარებ.

გრ. ორბელიანის ნაწარმოებიდან პირდაპირ მიემართება იდეური, ემოციური და სტილიური ძაფები პოეტის უფრო გვიანდელ პატრიოტულ ლექსებთან. ესაა ერთი გამა, ერთი სულიერი მღელვარების სფეროში წარმოშობილი ფიქრები და განცდები. შემდგომ ლექსებშიაც საქართველოს გმირული სულისა და “ წინაპართა სისხლის“ მოგონება გრ. ორბელიანს სჭირდება აწმყოს შეცვლისა და თანამედროვეთა გამოფხიზლების მიზნით. ისტორია როდი იყო პოეტისათვის მხოლოდ მელანქოლიური ჭკვრეტის ობიექტი, წარსულის მოგონება მასში აღძრავს “შორით მოსულის“ წინააღმდეგ ბრძოლისა და თანამედროვეობაში სულიერი აქტივიზაციის გამოწვევის სურვილს. გრ. ორბელიანს ეს აზრი პირდაპირ დეკლარაციულად აქვს გასმოთქმული უსათაურო ლექსში “ ჰე, ივერიაჲ“.

შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის ცხოვრებას,  
მოყვრულად გვმტერობს, გვტაცებს ყოველს, გვიქმს  
ალერსობას...

ესე ნაყოფი აქვს მარადის ცუდსა მონებას!

ბედო! ნუ გძინავს, განიღვიძე, ისმენთ ვაებას<sup>[2]</sup>.

მეორე უსათაურო ლექსი - "მისი სახელი კიცხვითა" კიდევ უფრო ახლო გვაგრძნობინებს მეამბოხე პოეტის სულისკვეთებას 32 წლის შეთქმულების მზადების პერიოდში.

გრ. ორბელიანი კრიტიკულად აფასებს სინამდვილეს, პოეტის გულისწყრომას იწვევს მის მამულში ბიუროკრატიული რეჟიმის თავგასულობა, რომელიც ქვეყნის მიერ თავისუფლების დაკარგვას მოჰყოლია. პოეტი მზადაა დატკბეს ხანჯალზე წამოგებული მტრის კვნესით და კიცხავს ყველას, ვისაც ამ " თავისუფლების ცისკრის" მოლოდინი არა აქვს.

ერთ-ერთ პროზაულ კონსპექტში, რომელიც 30-იან წლებს ეკუთვნის და დასათაურებულია " საქართველო ჩემის დროისა ", გრ. ორბელიანი სხვათა შორის ჩამოთვლის ყველა იმ სისამაგლეს, რასაც ამ პერიოდში ჰქონდა ადგილი საქართველოში და რაც ხალხის სტიქიურ ამბოხებას იწვევდა ხოლმე. " სასამართლო, გარყვნილი მოხელეები, და მათი უსამართლობა და ქრთამობა... ლოთობა და ცემა-ტყემა ჩინოვნიკებისა და ხალხისაგან ღალატისი წყევლისა... ბუნტი კახეთში<sup>[3]</sup>, და მისი უმთავრესი მიზეზი: კომისიონერები, აფიცრებისა და სალდათებისაგან შეურაცხყოფა ცოლ-შვილებისა სოფლებში... ერმოლოვი და მისგან დაჩაგვრა თავადებისა".

ეს ამონაწერი ძალზე მნიშვნელოვანია არსებული რეჟიმისადმი გრ. ორბელიანის დამოკიდებულების ნათელსაყოფად 30-იან წლებში ...

გმირული წარსულის მოგონებისა და ბედშავი აწმყოს შეცვლის სურვილი გრ. ორბელიანს შესანიშნავად აქვს გადმოცემული ერთ-ერთ თავის საუკეთესო ლექსში " იარალის" (1832), რომელიც ავტორს ნოვგოროდში დაუწერია. ეს ლექსიც, " აღსარების მსგავსად, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა 1832 წლის შეთქმულთა შორის და გრ. ორბელიანს ისიც განჩხრეკისას უპოვეს ნოვგოროდში.

" იარალის" მიძღვნილია პოეტის პეტერბურგელი ნაცნობის იარალი შანშიაშვილისადმი. ეს უკანასკნელი თან ახლდა რუსეთს გადასახლებულ ქართველ ბატონიშვილებს, კერძოდ, ფარნაოზ ბატონიშვილს, და გრ. ორბელიანს იგი 1831 წელს გაუცნია პეტერბურგში.

" იარალის" ვრცელი ლირიკული ლექსია, რომელიც ნატვრით იწყება და შემდეგ ერთგვარი ხილვის მხატვრული ხორცშესხმით იშლება. პოეტი მიმართავს თავის პეტერბურგელ ნაცნობს და ნატვრის მასთან ერთად სამშობლოში იჯდეს " ველსა მწვანეს" და "

გაცხელებულსა ღვინისაგან შუბლთა კოჯრის ნიავი  
განუგრილებდეს“. ასწერს რა ქართულ სუფრას, პოეტი წარმოიდგენს:

თუ ვით ივერნი,  
ლომგულნი გმირნი,  
ჰბრძოდნენ, სცხოვრობდნენ დროსა წარსულსა.

პოეტის წინაშე იშლება გმირული ხანა ჩვენი წარსულისა,  
სურათები იმ პერიოდისა, რომლის უშუალო მხილველი და მოწმე  
იარალი იყო. მტერზე “ შურდულებრ” სწრაფად მისეული “ მხნე  
ჭაბუკების” მოგონებისა და დახასიათების უმაღ პოეტი ამბობს:

დავნატრი მათ, ვინც თავისი სიცოცხლე თვისსა მამულსა  
შეჰსწირა მსხვერპლად,

დავნატრი დროთა, რომ აქვნდათ ტრფობა მამულისადმი გულს  
აღბეჭდილად.

და ამგვარი ლირიკული რეპლიკის შემდეგ პოეტი ისევ  
ახასიათებს ივერიელთა სხვადასხვა თვისებებს – ბრძოლის უნარსა  
და სიმამაცეს, სარწმუნოებას და ერთგულებას, ლხინსა და გართობას.  
იშვიათი რიტმული ექსპრესიით გადმოგვცემს ყაბახზე ჯირითის  
სურათს და დასძენს:

ამ ვაჟკაცობრივს შექცევას იგი [ მეფე ირაკლი] სიამით მარად  
უმზერდა შორით,

ვისცა ეწერა დიდება სახეს, ვინცა არღა არს, ვისთვისაც  
ვჰსტირით,

წარსულთა დროთა, დიდების დროთა, ყოვლი კეთილი თანა  
წარიღეს,

აწ უცხო ცის ქვეშ ზოგსა ვჰსჭვრეტთ ოხვრით, და ცრემლით  
ზოგის წმინდა სამარეს.

ამ სტროფს უშუალოდ მოჰყვება ტაეპი, რომლებიც მთელი  
ლექსის იდეურ მწვერვალს წარმოადგენს:

ვინ აღჩნდეს გმირი,  
რომ მის ძლიერი  
ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს?!  
რომელ მარჯვენით,  
ერთისა დაკვრით  
უსულოდ ვეშაპს მიწად დაჰსცემდეს?

მაგრამ ამაო, ჩემო იარალი,  
არს ჩემი ნატვრა და ჩემი როტვა!

ამგვარად, " იარალის" ამ ადგილასაც მოისმის ის ძახილი, რომელიც ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილ უსათაურო ლექსებშიაც (" ჰე, ივერიავე") იმის ( " ბედო ნუ გბინავს, განიღვიძე, ისმენდ ვაებას")<sup>[4]</sup>. ამავე დროს პოეტს თითქოს " ამაო როტვად" მიაჩნია ისეთი გმირის გამოჩენა, რომელსაც შეეძლოს " ვეშაპის" ძირს დაცემა და ასეთად " ზოგსა სჭვრეტს ოხვრით", ისიც სამშობლოს გარეთ, " უცხო ცის ქვეშ" ( აშკარაა გრ. ორბელიანი რუსეთს გადასახლებულ ბატონიშვილებს გულისხმობს იარალისადმი მიმართულ ლირიკული მონოლოგის ამ ადგილას).

უკვე განხილული ლირიკული ლექსების შინაარსიც ნათლად მეტყველებს გრ. ორბელიანის ეროვნული შეგნებისა და მისი პატრიოტიული სულისკვეთების შესახებ. ამ ლექსებში მხატვრულადაა გამოხატული ცარიზმისადმი პროტესტანტული დამოკიდებულება საქართველოში. შემთხვევითი როდი იყო, რომ კერძოდ გრ. ორბელიანის " იარალი" ხელნაწერის სახით იყო გავრცელებული ქართველ შეთქმულთა შორის და მას ზეპირადაც წარმოთქვამდნენ.

შეთქმულების იდეებით შთაგონებული გრ. ორბელიანის პატრიოტული შემოქმედების ანალიზის სისრულისათვის აქვე მოკლედ უნდა განვიხილოთ ერთი ნაწილი პოეტის დღიურისა- " მგზავრობა ჩემი თბილისიდან პეტერბურღამდის"( 1831 –1832), რომლის გადათეთრებული, საბოლოო ანუ ავტორისეული რედაქცია უკვე გამოქვეყნებულია. ზოგიერთი ადგილი ამ დღიურისა მისი ზემოთ განხილული ლექსების პროზაულ კომენტარადაც კი შეიძლება ჩაითვალოს.

თავის დღიურში გრ. ორბელიანი აგვიწერს 1831 წლის ზაფხულს (9ივნისს) თბილისიდან რუსეთს გამგზავრებას. მას საგანგებოდ აქვს აღნიშნული, თუ როგორ " ჩუმად შეიკრიბნენ" მისი " ჭეშმარიტი მეგობრები" (შეთქმულნი) და გააცილეს იგი. შემდეგ ავტორი გადმოგვცემს მოგზაურობის შთაბეჭდილებებს, ეხება სამხედრო გზის გასწვრივ მდებარე ძველი ქართული არქიტექტურის ძეგლებს, აგვიწერს მცხეთას, დუშეთს, ანანურს. დღიურში ასევე დაწერილია მთიანი საქართველოს მდიდარი ბუნება, კაიშაურის და ფასანაურის, თერგისა და დარიალის ლანდშაფტები. განსაკუთრებით საყურადღებოა მცხეთაში მისვლა და სვეტიცხოვლის ნახვა. "რა ვიხილე მცხეთისა მონასტერი... გარდმომცვივდნენ თვალთაგან ცრემლნი, ვიხილე რა საფლავი მეფისა ირაკლისა, რომლისთანა არს

დამარხული დიდება და ყოველი კეთილი ივერიისაო“,- წერს პოეტი ( გვ. 70). ეს სიტყვები უმაღვე აგონებენ მკითხველს არა მარტო “ ტოლუბაშის” მეორე ვარიანტისა და “ სადღეგრძელოს” ცნობილ ადგილს ( “დიდება ივერიისა მასთან [იარკლისთან, ა. გ. ] მარხია სამარეს“), არამედ იარალისადმი მიმართულ სიტყვებსაც ერეკლესა და მისი ეპოქის შესახებ: “ ვისცა ეწერა დიდება სახეს”... “ წარსულთა დროთა, დიდების დროთა, ყოველი კეთილი თანა წარიღეს”.

ყაზბეგის, ვლადიკავკაზის, ეკატერინოგრადის და სტავროპოლის მოკლე აღწერისა და სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობების მოყვანის (მაგ., ყაბარდოს შესახებ) შემდეგ ნაწარმოების ბოლო, მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს ავტორის საუბარს გენერალ ივანე აფხაზთან, რომელიც მას პირველად 21 ივნისს არდონის ციხეში შეხვედრია და შემდეგ კი აგვისტოში სტავროპოლში გასაუბრებია; დღიურის დამუშავებული ნაწილი წყდება 7 აგვისტოს თარიღზე, როცა ავტორი ჯერ კიდევ ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ, სტავროპოლშია.

გრ. ორბელიანისა და გენერალ აფხაზის დიალოგი, როგორც არაერთხელ ყოფილა აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში, სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა არა მარტო პოლიტიკური მსოფლმხედველობის გასაგებად, არამედ 1832 წლის შეთქმულთა პროგარამის ზოგიერთი მომენტის კარგად გაცნობის თვალსაზრისითაც<sup>[5]</sup>. საუბრის თემაა საქართველოს პოლიტიკური ვითარება და მისი განთავისუფლების გზები. დიალოგის დასაწყისში აფხაზს გრ. ორბელიანი ახასიათებდეს, “ ვითარცა ჭეშმარიტსა ძესა მამულისასა”. ეს უკანასკნელი იმ აზრისაა, რომ თუ რუსნი იძულებული იქნებიან დაუტევონ საქართველო, მაშინ ქვეყანა“ მყისვე შეიქმნების მსხვერპლად უწესობისა, შინაგანსა განხეთქილებისა და ზედა-დასხმისა დაუძინებელთა მტერთაგან”. გრ. ორბელიანი საწინააღმდეგო შეხედულებას გამოთქვამს:“ საქართველო, შემდგომად რუსთაგან დატევებისა, ვგონებ, იყოს ესრეთ ძლიერ,რომელ შეიძლოს დაცვა მტერთაგან საზღვრისა თვისისა. ოცდაათს წელიწადს საქართველოს თუ არ მომატებია ხალხი, ვგონებ არცა დაჰკლებოდესო”. ივანე აფხაზი არ იზიარებს მოსაუბრის ამ რწმენას და უხსნის გრ. ორბელიანს-საქართველოს მოსაზღვრე აზიურ სახელმწიფოებში “ პოლიტიკებრი მდგომარეობა... ფრიად შეიცვალა, ვის უხილავს ყიზილბაშისა და ოსმალის ესრეთი გაწყობილი ჯარი და ესრეთი თოფხანა”, ხოლო “ საქართველო ურედულოთ ვერცა ერთსა თვესა გაუძლებს მტერთაო”. გრ. ორბელიანი ამაზე უპასუხებს, რომ “ რელულის გაწყობა ადვილად მოხდება საქართველოში; ამიტომ რომ იქნებიან რა თვით დამცველნი

თვისისა საზღვრისანი, თვალით დაინახავენ რელულის სარგებლობასასო“.გარდა ამისა, გრ. ორბელიანს სწამს, რომ ოსმალეთმა და სპარსეთმა დაინახეს თავიანთი შეცდომა – საქართველოს შევიწროებამ როგორ დაუმეზობლა მათ “საშინელი მეზობელი“. პოეტი ოპტიმისტურად აფასებს დამოუკიდებელ საქართველოს მომავალს:“ ისტორია წარმოგვიდგენს მრავალჯერ საქართველოს გაოხრებულს და კვალად აღდგინებულს არარაისაგან . ესრეთთა საკვირველებათა აწარმოვებს მხოლოდ მხნეობა და სიყვარული მამულისა და სარწმუნოებისა“. ივანე აფხაზს სწამს, რომ “ ქართველნი არიან მხნენი“, მაგრამ რეგულარული ჯარის “ გაწყობა“მას ნაადრევად და შეუძლებლად მიაჩნია. ამავე დროს იგი ითვალისწინებს ქართველთა საერთო დაბალ გონებრივ დონეს, გაუნათლებლობას, და სხვ.. “ ღმერთმან ნუ ინებოს საქართველოს დატევება რუსთაგან ას წლამდის; მაშინ აღარა მეშინის, ამისათვის, რომელ საქართველოს ეყოლება მის დროსა მრავალი სწავლულნი კაცნი, საზოგადოება შეიცვლება, იგრძნობს ყოველსა საჭიროებასა, და, ყოველი კეთილი, ახალი სასარგებლო დაწყებულება ადვილად აღსრულდების; ახლა ვინ იკისრებს, ან ვინ გაუგონებს.- აწინდელი ჩვენი საზოგადოება არს მკვდარ მამულისათვის, ჰსცხოვრებენ უსაგნოდ, დეცხეტებიან უგზოდ, ვითარცა ბნელსა ღამესა შინა; ყოველი ფიქრობს საკუთარისა, თვისისა სარგებლობისათვის, რომლისა მისაღებელად არა მიხედვენ არცა სირცხვილსა, არცა უპატიურსა გზასა, რომელსა ზედა ვლენან. ანგაარება არს მათთვის თაყვანსაცემი კერპი, რომლითაცა გვეკარგება პატიოსნება.- გარნა ნუ გგონია, რომელ ესე იყოს ბუნებითი თვისება ქართველთა; არა, ესე არს მხოლოდ ნაყოფი ოცდაათის წლის მორჩილებისა“. ამაზე გრ. ორბელიანი უპასუხებს: “ ამა ერისა სულისა დამდაბლებასა ადვილად აღხოცენ იგინი, ვინცა იქმნებიან შემდგომად რუსთა დატევებისა, ერის მმართველნი, უკეთუ იქნებიან გონებიან და შორს მხედველ“. როგორც მკითხველი ხედავს, გრ. ორბელიანისა და ივ. აფხაზის დიალოგში დაპირისპირებულია ორი თვალსაზრისი, ორი იდეა – საქართველოს დამოუკიდებლობისა და არსებულ ვითარებასთან შეგუებისა. უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნულ დიალოგში აირეკლა შეხედულებათა ანალოგიური სხვაობა შეთქმულთა გარკვეული ჯგუფებისა.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მომენტიც, თავის დროზე აღნიშნული: გრ. ორბელიანი თითქოს დაეჭვებულია საკუთარ პოზიციამიც, თუმცა საბოლოოდ მაინც საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე რჩება. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს გენერალი აფხაზის ზოგიერთი შეხედულება



პროზაული გადმოცემა თვითონ პოეტის ფიქრებისა, რომლებიც ზოგიერთ მის ლირიკულ ლექსებშია გამოხატული. ასე მაგალითად, აფხაზის აზრი " აწინდელი ჩვენი საზოგადოების შესახებ", რომელსაც " ოცდაათის წლის მორჩილების ნაყოფად" პატიოსნება დაუკარგავს, სრულს პარალელს პოულობს ლექსში " ჰე, ივერიაჲ":

ესე ნაყოფი აქვს მარადის ცუდსა მონებას  
\* \* \* \* \*

ცხოვარს ვემსგავსეთ, რომელსაცა მწყემსი არ უვის,  
ვითარცა მგლისა, მშიერ კაცის ეშინის,  
ვინცა განაგდებს საღმრთოს ვალსა და გზის პატივის  
დასასრულ მაინც საშინელად ესრეთ წარხდების.

ასევე, ივანე აფხაზის მიერ გამოთქმული აზრი ალექსანდრე მეფის შემდეგ საქართველოს ცალკეულ ნაწილებად დაქუცმაცებისა (" საქართველო არს დაგლეჯილი ნაწილ-ნაწილად") და ქართველი ტომების ერთმანეთთან მტრობისა და შუღლის შესახებ რაც (ქვეყნის გაერთიანებას ხელს უშლიდა) მშვენიერ პარალელს პოულობს გრ. ორბელიანის შემდეგ სიტყვებში:

შიში სიმდაბლე სულისა, შური, მფლობელნი აწ ჩვენნი  
არიან მარად მონების ნაყოფნი ესე საძაგნი!  
ძველი ქებული სამეფო უფსკრულსა შთანთქავს ესრეთს,  
რომ ჩვენზე მტერნი აღმსდგარან და ჩვენვე ვებრძვით  
ურთიერთს.  
( " აღსარება")

დღიურში ფიქსირებული დიალოგი ნაწილობრივ მაინც გადმოგვცემს პოეტის არსებიდან მომდინარე მეორე, სკეპტიკურ ხმას, რომელიც " მგზავრობაში" მოსაუბრე აფხაზის პირითაა გამჟღავნებული.

\* \* \*

ამ პერიოდის გრ. ორბელიანის შემოქმედების განხილვა სრული არ იქნებოდა თუ ჩვენ გვერდს ავუვლიდით პოეტის ერთ-ერთ უთარო ლირიკულ მიძღვნას " გულნი ივერთა" (1832). ეს ლექსი პოეტმა შეიტანა ჯერ 1854 წელს ცალკე დაწერილ ნიკოლოზ I –ის ქებაში (" ტოლუბაშიდან"), ხოლო შემდეგ – თავის პოემაში " სადღეგრძელო" აი ეს ლექსიც:

გულნი ივერთა აქვთ მსხვერპლად მზადა, შენდა შესაფერ – შესაწირავად,

ტამარი შენი არს გულსა ჩვენსა, მოველ მშვიდობის ჩვენდა საკმევად.

კმა არს, რაც ვკარგეთ აქამდის, აწ შენში ვპოვოთ კარგული, ამაღლდეს ქედი ივერის შავ-ბედით დამიწებული.

მტერთა შემუსვრით, შენის მხნეობით, კეთილდღეობით აღგვაყვავილე,

სწავლათა ჰპოვონ აქ თვის სადგური, მისისა ნათლად ჩვენ გაგვანათლე!

მტერი შეძრწუნდეს, რა მოახლოვდეს, შენსა საზღვარსა მხნეობით მცველსა,

თამარის დღენი, დიდების დღენი, უკ- მოუქციე ივერიასა.

ეს სტრიქონები დაწერილია, 1832 წლამდე, არა უგვიანეს 1832 წლისა. ლექსი აღმოჩნდა 1832 წლის შეთქმულთა საქმეებში, სადაც მოთავსებულია ნოვგოროდში პოეტისათვის ჩამორთმეული ხელნაწერები<sup>[6]</sup>. საგამომძიებლო კომისიისათვის მიცემულ ჩვენებაში გრ. ორბელიანს განუცხადებია, რომ მას განზრახული ჰქონია ამ ლექსის შეტანა იმპერატორისადმი ნავარაუდევ მიძღვნაში.

სპეციალურ ლიტერატურაში ორი საწინააღმდეგო თვალსაზრისია გამოთქმული ამ საკითხზე: ზოგს პოეტის განცხადება მიაჩნია არაგულწრფელად, ზოგს პირიქით – სრულიად არ ეეჭვება იგი. საქმის ნამდვილი ვითარება კი ასეთია: გრ. ორბელიანმა ზემოთ მოტანილი ტაეპები მართლაც შეიტანა ხელმწიფისადმი მიმართულ სადღეგრძელოში 1854 წელს, შემდეგ კი – პოემის საბოლოო რედაქციაში, ე. ი. მან განახორციელა ის განზრახვა, რომლის შესახებ საგამომძიებლო კომისიის წევრისათვის ( გენერალ-მაიორ ვოლხოვსკისათვის) მოუხსენებია ჯერ კიდევ 1833 წელს. პოეტის გულწრფელობაზე ისიც მეტყველებს, რომ “ გულნი ივერთაში ” უეჭველად ნაგულისხმევია ( დაუსახელებლად) ნიკოლოზ I, რომელმაც “ სწავლის ნათელით ” უნდა “ აყვავილოს ” პოეტის ქვეყანა და ივერია “ უკ-მოუქციოს თამარის დღენი, დიდების დღენი ”.

ამ ლექსის ვრცელი ვარიანტი ავტორმა დაწერა 1854 წელს. იმპერატორის სახელი აქ უკვე დასახელებულია და მასში შეტანილია ე. წ. ყირიმის ომით ( 1853 – 1856 ) შთაგონებული ტაეპი. ეს ვარიანტი უსათაუროა, მაგრამ ერთ-ერთ ხელნაწერში მას ავტორისაგან აშიაზე მიწერილი აქვს: “ ესეც ტოლუბაშის არის ”: მაშასადამე, ამჯერადაც პოეტი მეფის სადღეგრძელოს ვარაუდობს, როგორც თავისი

ერთადერთი პოემის საბოლოო რედაქციის ნაწილს. პოემა „სადღეგრძელო“ კი ძირითადად ჩამოყალიბდა 1870 წელს და იმპერატორისადმი მიძღვნაც შიგ მოხვდა ( სხვა ახალ თავებთან ერთად, რომელთაც პოემის ადრინდელ ვარიანტებში, „ ტოლუბაშის“ სახელით რომაა ცნობილი, არ ვხვდებით). მიძღვნას აქ ჩამოცილებული აქვს ყირიმის ომით გამოწვეული სტრიქონები და თავისი ლაკონიზმით უახლოვდება პირველ ვარიანტს („ გულნი ივერთა“), თუმცა თავსა და ბოლოში დამატებული აქვს სტრიქონები, რომლებიც ოდას კომპოზიციურად და თემატურად პოემისათვის უფრო შესაფერ ნაწილად აქცევენ: „სადღეგრძელოს ბოლო რედაქციის ( 1870) ამ ადგილას ავტორი ამჟღავნებს ტენდენციას–თავისი ნაწარმოები დაუახლოოს ჟუკოვსკის „ მომღერლის“ სათანადო ადგილს. რუსი პოეტის ნაწარმოებში მომღერლის მიერ წარმოდგენილ სადღეგრძელოს მამულისადმი და მეფეთა და წინაპართა ფერფლის პატივსაცემად ( რომელიც იწყება სიტყვებით: Отчизне кубок сей, друзья!) მიჰყვება მეომართა ოთხტაეპიანი შეძახილი За них! За них, всю нашу кровь! ამას მოსდევს მომღერლის სადღეგრძელო ალექსანდრე პირველისადმი: Тебе сей кубок, русский царь! ზუსტად ამგვარი თანმიმდევრობაა დაცული გრ. ორბელიანის პოემის საბოლოო რედაქციაში: ვრცელ სადღეგრძელოს, რომელიც იწყება სიტყვებით:“ ძმანო, აღვავსოთ ფიალა წინაპართ მოსახსენებლად“ მიჰყვება ოთხსტრიქონიანი შეძახილი მხედრებისა („გმირნო, მამულის მადიდნო ...). ხოლო ამას მოსდევს ნიკოლოზ I – ის სადღეგრძელო („ ხელმწიფევ ჩვენო...“). ყოველივე ზემოთ თქმულიდან შეიძლება მხოლოდ ერთადერთი დასკვნის გამოტანა:“ გულნი ივერთა“ ავტორს დაუწერია, როგორც ხელმწიფისადმი განზრახული სადღეგრძელოს ერთ-ერთი პირველი ვარიანტი, იგი ამ ლექსს უყურებდა როგორც ხელმწიფის ქების თავდაპირველ მონახაზს. ამავე დროს, „ გულნი ივერთა“ პოეტს თავიდანვე ნავარაუდევია ჰქონია „ ტოლუბაშის“ ( იმავე „ სადღეგრძელოს)“ ერთ-ერთ ნაწილად, რასაც მას ჟუკოვსკის ნაწარმოებისადმი „ მიბაძვა“ ავალებდა<sup>[7]</sup>.

მაშასადამე, „გულნი ივერთა“ შეუძლებელია დამოუკიდებელ ნაწარმოებად ჩაითვალოს. ავტორს იგი თავიდანვე „ ტოლუბაშის“ შემავალ ნაწილად ჰქონია განზრახული. მაგრამ საკითხავია – რატომ არ მოხვდა „ გულნი ივერთა“ „ ტოლუბაშში“ თავიდანვე? საქმე ისაა, რომ „ ტოლუბაშის“ ვარიანტები დაუმთავრებელია, ისინი, სახელდობრ ვარიანტებია ვრცლად მოფიქრებული პოემისა, რომელმაც საბოლოო სახე მხოლოდ 1870 და 1879 წლებში მიიღო. პოეტი, საერთოდ, დიდხანს ამუშავებდა თავის ნაწარმოებებს, წერდა

ცალკეულ თავებს, სტროფებსაც კი, და შემდეგ აერთებდა მათ. ცალკეული ნაწილების დამოუკიდებლად მოფიქრებისა და ვარიანტებად შეთხზვის ( შემდეგ კი მათი ერთმანეთთან შერწყმის) ასეთი მაგალითები ხშირია გრ. ორბელიანის ლირიკულ ლექსებშიც<sup>[8]</sup>. „ სადღეგრძელოს“ ტექსტუალური“ ისტორიის საფუძველზე ეს ფაქტი უფრო თვალსაჩინოა.

ამიტომ, „ გულნი ივერთა“ არ შეიძლება განსაკუთრებულ დისონანსად მივიჩნიოთ. გრ. ორბელიანის ლირიკაში 1832 წლის შეთქმულებასთან პოეტის იდეური კავშირის თვალსაზრი სით . იგი წარმოიშვა როგორც ჟუკოვსკის პოემის სათანადო ადგილის ქართული ვარიაცია. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ავტორმა „გულნი ივერთა“ გავრცობილი სახით შეიტანა „ სადღეგრძელოში“ 1870 წელს, როცა დიდი ხნის გარდაცვლილი იმპერატორის ქება სრულიად არ იყო სავალდებულო წარჩინებული ქართველი გენერლისათვის – რაიმე თავის მართლების ან ვიზისათვის პოეტს იგი არ დასჭირვებია, რადგან ამის საჭიროება საერთოდ არ არსებობდა. უბრალოდ – ავტორი იცავს ისტორიულ პერსპექტივას: 1826-1828 წწ. რუსეთ-ირანის ომი წარმოებდა ნიკოლოზ I-ის დროს და ამ უკანასკნელის მოხსენიება „ სადღეგრძელოში“ ერთგვარ პოეტურ პარალელს წარმოადგენდა ჟუკოვსკის პოემის სათანადო ადგილას ალექსანდრე I –ის მოხსენიებისა 1812 წლის ამბებთან დაკავშირებით. „ გულნი ივერთა“ დაწერილია ლიტერატურული პროტოტიპისადმი თავისებური მიზანძვით – პოეტს ხომ უნდა სადმე ხაზი გაესვა დროისა და ეპოქისათვის! ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ „ გულნი ივერთა“ პატრიოტულ მოტივსაც შეიცავს – პოეტს ეზმანება „თამარის დღენი, დიდების დღენი“, რომელიც რუსეთის მონარქმა უნდა დაუბრუნოს ივერიას. რუსეთთან შეერთების პროგრესულ მნიშვნელობას ქართველი არისტოკრატის გარკვეული ნაწილი ხედავდა იმაში, რომ რუსეთი საქართველოს მტრებს გაუნადგურებდა, რომ ივერიის საზღვრებს მუსლიმანური სამყარო ამიერიდან ვეღარ გადმოლახავდა. როგორც ჩანს, ეს შეხედულება გრ. ორბელიანს მთლიანად არ შეუცვლია. 1832 წლის შეთქმულების პერიოდშიც, ე. ი. მაშინაც, როცა პოეტის პოლიტიკური რადიკალიზმი და ცარიზმის მიერ საქართველოში დამკვიდრებული ბიუროკრატიული რეჟიმისადმი პროტესტანტული განწყობილება მასში განსაკუთრებით ძლიერი იყო. აკი ასეთი იდეური კომპრომისი, რომელსაც პირველი შეხედვით ერთგვარი წინააღმდეგობის ბეჭედიც აზის, შეიმჩნევა პოეტის დღიურშიც „ მგზავრობა ჩემი...?! მაგრამ ზედმეტად მიგვაჩნია გაზვიადება „ გულნი ივერთას“ ( და, საერთოდ, ხელმწიფის სადღეგრძელოს) მნიშვნელობისა გრ. ორბელიანის

მსოფლმხედველობის ანალიზის დროს. ვინც ამ ნაწარმოების წარმოშობის ისტორიას გაითვალისწინებს, ვერ შეძლებს უფრო დიდი მნიშვნელობა მიანიჭოს მას, ვიდრე სინამდვილეში აქვს. ხელმწიფის სადღეგრძელოს საფუძველზე პოეტის ორთოდოქსალურ მონარქისტად აღიარებას არავითარი საფუძველი არა აქვს, მაგრამ მისთვის გვერდის ავლა ან მიჩქმალვა მართებული არ იქნება<sup>[9]</sup>.

რასაკვირველია, გრ. ორბელიანს არაერთხელ გამოუთქვამს დღიურებსა და წერილებში ნიკოლოზ პირველის ქება. მთელი ნახევარი საუკუნე იმსახურა გრ. ორბელიანმა სამხედრო და სამოქალაქო სარბიელზე, ვითარცა რუსეთის არმიის გენერალმა და ადმინისტრატორმა. პოეტის ეპისტორალური მემკვიდრეობა სავსეა დიტირამბებით საქართველოს სხვადასხვა მთავარმართველებისა და რუსეთის ხელმწიფეთა მისამართით. მაგრამ პოეტის კერძო ბარათებში ამგვარ დიტირამბებთან ერთად არაერთხელ გაისმის შეკავებული ბოდმაც, განსაკუთრებით 70-იან და 80-იან წლებში. ჩვენ უფრო ვრცლად ამის შესახებ მოგვიხდება საუბარი ქვემოთ, გრ. ორბელიანს ცხოვრების მეორე და მესამე პერიოდის დახასიათებისას. აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ " იარაღის " ავტორს საქართველოში ბიუროკრატიული რეჟიმის არც ერთი პერიოდი არ მიაჩნდა ბედნიერ ხანად. " ოთხმოცი წლის განმავლობაში ხომ ვნახეთ, რაც ბრძანდებიან ლუბერნატორები და ვიგემეთ მამობრივი მათი მზრუნველობა ჩვენზე... შორიდან მოსული ჩინოვნიკი, რომელიც არ იცნობს ხალხსა, რომელმანცა არ იცის მისი ენა, ჩვეულება, ცხოვრება, ისტორია, აბა, რისთვის გაიხეთქს თავსა? რა მოაგონდება წარსულის დროებიდან? რა კავშირი აქვს აქაურთა მცხოვრებთა, რომ იფიქროს, გული დაეწოს ხალხის ბედნიერებისა და გულმოსვენებით ყოფაცხოვრებისათვის! სამიათისსი ვერსტიდან მოსულა აქა ჩინოვნიკი მხოლოდ იმისათვის, რომ მიიღოს ჩინები, იმოვნოს აქედამ, იქიდამ ფულები, და გაჰსწიოს მშვიდობიანად თავისვე ქვეყანაში! მე ბევრი მინახავს დიდროანი სასახლეები რუსეთში აქაურის ფულით აშენებული. ქართულ ენას აღარ ასწავლიან ღიმნაზიაში და აღარც სემინარიაში..." ასე სწერდა გრ. ორბელიანი გენ. ნიკო ჭავჭავაძეს 1881 წლის 7 აგვისტოს<sup>[10]</sup>. აქედან ჩანს, რომ თავისი სიცოცხლის მიწურულშიაც გრ. ორბელიანი ისევე ფიქრობს როგორც 1832 წლის შეთქმულების ხანაში . მოვიგონოთ მისი სიტყვები ლექსიდან " ჰე, ივერიავ " ( 1832):

შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის ცხოვრებას,  
მოყვრულად გვმტერობს, გვტაცებს ყოველს, გვიქმს ალერსობას.

ზედმეტი არ იქნება, თუ გავიხსენებთ პოეტის სიტყვებს კონსპექტიდან " საქართველო ჩვენი დროისა", რომელიც ჩვენ მიერ ზემოთ იყო ციტირებული.

\* \* \*

მამულისადმი სიყვარულის, საქართველოს გმირული წარსულის იდეალიზაციის მოტივებთან ერთად გრ. ორბელიანის პოეზიაში- პირველი პერიოდის ნაწერები (1824 –1832) - ფართოდაა წარმოდგენილი თითქმის ყველა ძირითადი მოტივი საერთოდ მისი შემოქმედებისა: სიყვარულისა და მეგობრობის კულტი, ბუნების ხოტბა და სევდა წარმავლობისა ( უკანასკნელი განსაკუთრებით გაძლიერდა მეორე პერიოდში (1833 –1858) და კიდევ უფრო ღრმად გამოიხატა პოეტის ცხოვრებისა და მხატვრული შემოქმედების მესამე პერიოდში.

ჯერ კიდევ " ტოლუბაშის" პირველ ვარიანტში ( 1827) გრ. ორბელიანი პატრიოტიზმთან ერთად დიდ ადგილს უთმობს სიყვარულის თემას. ეს გრძნობა მას მიაჩნია უმაღლეს ადამიანურ თვისებად და ბედნიერებად. " ტოლუბაში" მთავრდება სიყვარულისადმი მიძღვნილი ჰიმნით.

ძმანო, ივიწყეთ მცირეს ჟამს მტერი, ომი და დიდება!  
მოიგონეთ სიყვარული, სიცოცხლისა სიტკბოება,  
რომლისთვისცა შეგიწირავსთ გული და სრულად ცხოვრება,  
შევსვათ ღვინო! მის სადღეგრძელოდ გვეღირსოს ხილვა  
ეგება<sup>[11]</sup>.

\* \* \*

ბედნიერება დღეთა ჩვენთ არს სიყვარულის ყვავილი;  
რა განქრეს მისი სიტურფე, სიხარულს ნულარ მოელი;  
თუმც ძნელ არს მისი მოწყვეტა, მით, რომ არს ეკლით მოსილი,  
მარა სიძნელე სუსტ გულს ჰკლავს და მტკიცე მით არს  
აღზრდილი.

პოეტის აზრით, სიყვარული ვაჟკაცობისა და გამბედაობის წყაროცაა:

ტრფობა ალითა<sup>[12]</sup>, ვისაცა ჩვენს შორის გული ეწოდეს,  
სახე სატრფოის მარადის ვის სულს აღბეჭდვით თან სდევდეს!  
ამა სოფელსა მას რაი! წინა საბრკმელად აღუდგეს?

გულს სიყვარულით, ხელს ხმალით რას არა ადასრულებდეს?

აღსანიშნავია, რომ პოემის ამ პირველ ვარიანტში სიყვარული უკვე გაგებულია, როგორც ადამიანის მთელი არსების მომცველი გრძნობა, როგორც "სულიერი ტკბობა" და უკვდავებასთან ზიარების ერთადერთი საშუალება. თვით უკვდავებასაც ეკარგება აზრი სიყვარულის გარეშე. შორს მყოფი სატრფოს მისამართით პოეტი ამბობს:

რომ სახე შენი, თვალთა დახშულმან, თანა წარვილო იმიერ სოფელს,

მუნ სანუგეშად, მუნ საშვებელად, და რათა მითვე ვჰსცნა უკვდავება.

რაა გინდ მოვკვდე? მაინც შენდამი სულს სიყვარული თანა წარჰყვება!

უკვდავება არს სულის დატკბობა, რომელს დასასულ არა ექმნების!

( " ტოლუბაში ", 1827)

ამ სიტყვებში გამოხატულია სიყვარულის კოდექსი გრ. ორბელიანისა, მისი Arsamatoria-ს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დებულება: სიყვარული ადამიანს არა მარტო სულიერ სიტკბოებას ანიჭებს, არამედ აზიარებს უკვდავებასაც და თვით ეს უკანასკნელი უსიყვარულოდ შეიძლება "საპყრობილედ" იქცეს.

ამასვე იმეორებდა პოეტი 1832 წელს შემდეგ ორტაეპიან ლექსში:

რა უნდა აქვნდეს სულსა უკვდავი,

თუ მასში განჰქრეს კვლავ სიყვარული?

გრ. ორბელიანის სატრფიალო ლირიკაში შორეულად და ბუნდოვნად გამოკრთის რეალური არსებაც, როგორც ადრესატი პოეტის სათუთი მიმართვებისა. ხოლო გრ. ორბელიანის მთავარ სატრფიალო ლექსებში, რომელთა ინიციალების ქვეშ ყოველთვის ცოცხალი არსებანი იგულისხმებიან ( სოფიო ორბელიანი, ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეები და სხვები), ლირიკული პერსონაჟების გარეგნული ნაკვთებიცაა მოხაზული. ასევე იქცევა გრ. ორბელიანი ყარაჩოხელური მონოლოგების ციკლშიც, მაგრამ თუ საკუთარი გატაცების საგნებზე მსჯელობისას იგი სულიერი მშვენიერების ან განსულიერებული ეროტიკის მეხოტბედ გვევლინება, მუხამბაზებში პოეტი იშვიათად სციდლება გარეგანი სილამაზის თაყვანისცემას.

მიუხედავად ამისა, აქაც გრ. ორბელიანი სატრფოსადმი მიმართვის დროს მეტწილად კეთილშობილურ ტონს იცავს.

სიყვარულის გაგებაში გრ. ორბელიანის შეხედულებებს არავითარი ევოლუცია არ განუცდია. ამიტომ, როდესაც გრ. ორბელიანის სატრფიალო ლირიკის შესახებ გვიხდება საუბარი, საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ მის ლირიკაში სიყვარულის გრძნობის სულიერ მხარეს უპირატესი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული პირველ პერიოდშივე, რაც ნათლადაა გამოხატული პოეტის ყველაზე მნიშვნელოვან და ქრონოლოგიურად ყველაზე ადრინდელ ნაწარმოებში " ტოლუბაში" (1827), ამით ყოველგვარი საფუძველი ეცლება მტკიცებას იმის შესახებ, თითქოს გრ. ორბელიანი პირველ პერიოდში უმთავრესად ფიზიკური, ხორციელი, ანუ ეროტიკული სიყვარულის მეხოტბე იყო.

გრ. ორბელიანის სატრფიალო ლირიკის საუკეთესო ნიმუშები ეძღვნება უმთავრესად ნინო ჭავჭავაძეს, შემდეგ სოფიო ორბელიანს და ნაწილობრივ ეკატერინე ჭავჭავაძეს. პოეტის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ გრ. ორბელიანი უიმედოდ ყოფილა შეყვარებული ნინოზე. თავის მიმართებებში ნინოსადმი პოეტი მეტწილად კლდედამოსილია, წრფელი და ფაქიზი გრძნობებით აღვსილი:

როს გხედავ, მნათო! ღიმილით ჩემ კერძოდ წარმოვლენილსა  
ვივიწყებ ყოველთ სიმწარეთ, ბედისგან მოვლინებულსა,  
სულისა დელვა მშვიდდების .....  
(" ნ.....დმი", 1829)

20 –30-იანი წლების თბილისის უმშვენიერეს ქალს, დაქვრივებულ და მტირალ ნინოს, იგი მიმართავს:

მაშ, მოვედ, მნათო! ჩემს გულზედ შეწუხებულის შვენებით,  
ნაცვლად შენსა მე ვიკვნესო, შენის ჭმუნვისა მიღებით.  
თუ ოცნებით ცრემლსა აფრქვევ, ეგე ცრემლი, ოჰ, ვით გშვენის!  
ვითა ნამი ზეციური თვალთა შინა გამობრწყინვის,  
ვარდებრივთა ღაწვთა ზედა მარგალიტნი გარდმოგცვივის.  
თუ შეჰსწყვიტო, შევინანებ, გიმზერ ჩუმად და მიხარის.  
(" მტირალ ნ..... ს", 1829)

გრ. ორბელიანის ტრფობას ნინოსადმი ასაზრდოებდა ძლიერი, მაგრამ თავდაჭერილი ვნება, ზნეობრივი გრძნობის სისპეტაკითა და რაინდული თავშეკავებით გამოუქებული.



ასეთი განცდები ნაწილობრივ ახასიათებს გრ. ორბელიანის ლექსებსაც სოფიო ორბელიანისადმი, რომელზედაც იგი აკვანშივე ყოფილა დანიშნული.

1835 წელს გრ. ორბელიანი სწერდა სალომე ჭავჭავაძეს: „ახ! ჩემი სოფო სად არის, ნეტავ ვახსოვარ თუ შარშანდელს თაოვლსავით არღა ვჰყოფობ იმისათვის. – ბედს უყურეთ, მე ვარ დასავლეთს, ის აღმოსავლეთს, როდისღა უნდა შევიყარნეთ!“<sup>[13]</sup> მაგრამ სოფიოს არ დაუცდია საქმროს ჩამოსვლისათვის და იგი ამ ხანებში რუს მოხელეს, ბეზაკს, გაჰყოლია. სოფიოსადმი მიძღვნილი პოეტის ლექსი „გამოსალმება“. შესანიშნავია სტრიქონები:

ნამდვილი ტრფობა გინა რა სიტყვით ეძებდეს, ვერ ჰპოვებს,  
რათა გამოსთქვას თვის გრძნობა და მისთვის ოხვრით  
მდუმარებს.

ამ ლექსშიაც პოეტი იცავს იმ აზრს, რომ სიყვარულის მუდმივობის პირობა სულიერად ძლიერი ადამიანის არსებაშია, სიშორე არაფერს აკლებს ჭეშმარიტ ტრფობას, ხოლო „უძლურთ გულთ ტრფობა“ მიაგავს მთიდან დაქანებულ წყაროს, რომელიც ველზე გაშლისას თანდათან „უძლურდება“. შესანიშნავია, რომ გრ. ორბელიანს იმავე წელს პეტერბურგს დაწერილ ლექსში „ღამე“ გადმოცემული აქვს შორს მყოფ სატრფოსთან სულიერი გაერთიანების ნახევრად სიზმარეული განცდა.

პოეტის სასიყვარულო კოდექსის თანახმად, სატრფოს სიშორე სრულიად არ ანელებს სიყვარულის გრძნობის ინტენსივობას, იგი ზოგჯერ თვალხილულ ზმანებასა და სულთა თანაზიარებაში გადადის. მაგრამ, ვიმეორებ, გრ. ორბელიანის ლირიკაში სიყვარულის ასეთი გაგება ორგანულად ითავსებს ჯანმრთელ ეროტიზმს, რეალურ ობიექტს და ამ ობიექტის მკაფიო, , პლასტიკურ გამოსახვას. ქართველ რომანტიკოსთა შორის ამ მხრივ გრ. ორბელიანს განსაკუთრებით ენათესავება ნიკ. ბარათაშვილი.

მაგრამ გრ. ორბელიანის სატრფიალო ლირიკა სხვა, უფრო მსუბუქ ტონებსაც გამოსცემს. პოეტს აქვს ლექსები, რომლებშიაც ქალის მარტოოდენ სილამაზეა შექებული, წინ წამოწეულია მხოლოდ ეროტიკული განცდა, ერთგვარი ფრივოლური ელემენტიც კი. ასეთია მისი საალბომო ლექსები: „ს“ (1832), „ვ-სა“ (1832), „ალბომში“ (1832) და ზოგიერთი პატარა ფრაგმენტიც 1831–1832 წლებისა...

გრ. ორბელიანის კალამს ეკუთვნის მთელი ციკლი ლექსებისა, რომლებშიაც გამოხატულია მისი სიყვარული ღზინისადმი, ცხოვრებით ტკბობა და დროს ტარებით გამოწვეული აღტაცება.

პოეტი შეგნებულად მიისწრაფოდა გართობისა და ნადიმის მოყვარულთა წრეში. გრ. ორბელიანის პირადი წერილები შესანიშნავ მასალას გვაწვდიან იმ გარემოს გასათვალისწინებლად, სადაც პოეტს უხდებოდა თავისი ჭაბუკური სიხალისის გამოვლინება. გრ. ორბელიანი თვითონ ახორციელებდა ყოველივე იმას, რასაც თავის მეგობარ ანტონ ორბელიანს ურჩევდა:

ჰე, ჭაბუკო, სიხარულით დღენი შენნი განატარე  
იმხიარულე, შეექეც, ილხინე და შეიყვარე;  
ერთსა წამსაც ნუ დაჰკარგავ, გაქვნიდეს სახე მოცინარე;  
სიცოცხლითა აწვე დაჰსტკბი, მხიარულობს გული ვიდრე.  
(“ ანტონს”, 1829)

განწყობილებათა ამ რკალში ექცევა გრ. ორბელიანის მიერ თარგმნილი “ ლხინიც” პუშკინისა.

ერთსა და იმავე დროს “ ღვინოთი და ეშხით” თრობა აქვს ასახული პოეტს თავის “ მუხამბაზში”( 1829):

\* \* \* \* \*

ზოგჯერ მღიმარე გიმზერ ოდეს ეშხით აღვსილი,  
მრწამს, რომ ღაწვთ ზედა გარდაგვკვრია ნუშის ყვავილი!  
მაშინ მას ზედა დაკონების მკლავს მე სურვილი.  
მაშინ გინდ მომკლა, გეტყვი, თმენის არღა მაქვს ძალი,  
ისმინე, ვდნები, ცნობა არ მაქვს, ვგიჟდები ეშხით,  
ნუ მასმევ ღვინოს, უღვინოდ ვარ მთვრალ შენის ეშხით.

ამ ლექსში გრ. ორბელიანი აგრძელებს ბესიკის, საიათნოვასა და ალ. ჭავჭავაძის ლირიკის ხაზს. როგორც ანაკრეონტული პოეზიის თავისებური ნიმუში, გრ. ორბელიანის “ მუხამბაზიც” ( და სხვა ანალოგიური ემოციის შემცველი ლირიკული გამოთქმები პირველი პერიოდისა) განცდათა სირთულით არ ხასიათდება და პოეტის შემოქმედების პერიფერიას ეკუთვნის. მეორე პერიოდში კი გრ. ორბელიანმა ამ ჟანრის საკუთესო რეალისტური ნიმუშები შექმნა.

ქართული ლხინისადმი სიყვარული გრ. ორბელიანმა გამოხატა “ სადღეგრძელოს” პირველ ვარიანტშიაც ( 1827) და ლექსში “ იარალის” ( 1832). ნამდვილი ბახუსის ჰიმნად შეიძლება ჩაითვალოს ტოლუბაშის სიტყვები:

და შენ, ჰე ღვინოვ! ყოვლად ძლიერო!

ლხინით, შექცევით გულნი აღგვიგზნე!  
გულის ჭირთ მდევნო! ნიჭო ციერო,  
ვინ არს, რომელ ჰგვას და არ ალხინე?

ძალზე პოპულარულია " იარაღის" პირველი სტრიქონები:

ჩემო იარაღი, ნეტავი ოდეს  
ლხინით აღვსილი ვჰსხდეთ ველსა მწვანეს და ა. შ.

გრ. ორბელიანის პირველი " მუხამბაზისა" და " იარაღის" აქ მოტანილი სტროფები წარმოადგენს ერთგვარ introductio- ს პოეტის იმ მუხამბაზებისა და ლექსებისა, რომლებშიაც ავტორმა შემდეგ (მეორე პერიოდში) მთლიანად გააცოცხლა ქალაქის სასიმღერო ფოლკლორი, ძველი თბილისის ქანრული სურათები და ნატურმორტები.

\* \* \*

გრ. ორბელიანის პირველი პერიოდის ლირიკისა და ეპოსში საპატიო ადგილი უჭირავს აგრეთვე მეგობრობის თემას ჯერ კიდევ " სადღეგრძელოს" პირველ ვარიანტში მეგობრობის სადღეგრძელოს წარმოდგენას ტოლუბაში. ეს სადღეგრძელო წინ უსწრებს სიყვარულის ქებას და შვიდ სტროფს შეიცავს. ყველა ის დახვეწილი და აზრობრივად გაღრმავებული, შევიდა პოემის საბოლოო რედაქციაშიც:" მეგობრობასა წმინდასა შევწიროთ სრულად, რაც გვაქვდეს, დავნერგოთ გულსა გრძნობა ეს, და აღთქმა არა გვავიწყდეს... ვიყვნეთ ცოცხალნი მეგობრად, და ვინც ბრძოლასა დაეცეს, ცრემლნი, კურთხევა მეგობართ თან გავაყოლოთ სამარეს!"

" წმინდა მეგობრობის" ეს დეკლარაცია გრ. ორბელიანის ბიოგრაფის კონკრეტული მაგალითებითაა გამართული.

გრ. ორბელიანის პოეტური ქმნილებები იხსნება ანტონ ორბელიანისადმი მიძღვნილი ლექსით, რომელშიც პოეტი სხვათაშორის ურჩევს მას:

მეგობრობასა სიცოცხლე, სიყვარულსა მიეც გული!  
ამათგან ჩვენი ცხოვრება არს ტურფად აღყვავებული.  
წუხილი გვაქვს? მათ მიეყრდნე, მყისვე ჰყონ განქარვებული,  
მოგცენ იმედი, ნუგეში, სიამოვნება, ღიმილი.  
( " ანტონს", 1829)

ლექსში " ჩემს დას ეფემიას" (1835) გრ. ორბელიანი განსაკუთრებული სიყვარულით იგონებს მეგობრებს შორის გატარებულ ხანას. პატიმარ პოეტს თითქოს ზოგი მათგანის ხმაც მოესმა ყაზარმის კედლებში.

გრ. ორბელიანი ყველა თავისი სულიერი სიმძიმის დროს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მეგობრის ხმას, როგორც გამამხნეველ ნუგეშს. და თვითონაც ასევე მზად იყო მეგობრის დასახმარებლად. საერთოდ, მეგობრებისადმი გრ. ორბელიანის უანგარო სიყვარული ფრიად მიმზიდველი ფურცელი მისი ცხოვრების მატრიანეში.

გრ. ორბელიანის პოეზიაში დამუშავებული მეგობრობის თემის ტრადიციის სათავე რუსთაველის პოემაშია.

\* \* \*

გრ. ორბელიანი ბუნების დიდი მომღერალია. XIX საუკუნის ქართულ პოეზიაში მან გააცოცხლა საქართველოს გოლიათი მთების ზვიადი სახე, მთებიდან მდინარეების ხმაური, ფერთა თამაში ცისკრისა და მზის ჩასვლის ჟამს. მანამდე არც ერთ ქართველ პოეტს არ უცდია ასე ახლო მისვლა ბუნებასთან, არავის შეუტანია ეგზომ დინამიკური ელემენტი ლანდშაფტებსა და პეიზაჟებში. როგორც ჭეშმარიტი რომანტიკოსი, იგი ბუნებაში ეძებს თავისი ტკივილებისა და სიხარულის თანაზიარობას, ესმის ყვავილთა ფშვინვა ჟრიაში, მოხიბლულია ცის ტატნობზე ვარსკვლავთა ციმციმით, მზის მოელვარე სხივებით, მთვარიანი ღამეების იდუმალებით. მთელი ქართული პოეზიაა დავალებული გრ. ორბელიანის მიერ ბუნების ამგვარი ამეტყველებისაგან.

გრ. ორბელიანს თავიდანვე ახასიათებდა არაჩვეულებრივი ემოციური მისვლა ბუნებასთან, მისი პლასტიკური აღქმა, შეუკავებელი სურვილი შთაბეჭდილებათა ფიქსაციისა. ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა ბუნების აღწერები გრ. ორბელიანის დღიურში " მგზავრობა ჩემი..." მოვიყვანთ სამი ადგილის ამონაწერს. კაიშაურში ჩამოსული ავტორი ჰყვება:

" საღამო იყო მშვენიერი. მზე მიეფარა მთათა და უკანასკნელნი სხივნი მისნი ცეცხლებრ აღანთებდნენ თოვლიანთა მთათა ათასფრად. წმინდასა ჰაერსა მოჰქონდა სურნელება ყვავილთა. ქვეშე ფერხთა ჩემთა არაგვი შორს, უფსკრულსა შინა, მიმოიკლაკნებოდა თეთრად ძაფსავით და გრიალი მისი ისმოდა საზარლად. საშინელი

მთანი, ერთმანეთზედა აყვანილნი ცათამდის, დიდებულებით მდუმარებდნენ. ვიჯექ კლდესა, უფსკრულსა ზედაგადაკიდებულსა და ვსჭვრეტდი მდინარეთა მთათაგან გარდმოქანებულთა უფსკრულთა შინა დაკარგულთა”.

ანანურში მოსულ პოეტს ისევ იტაცებს ბუნების სანახაობა:“ გზაზე დაგვიღამდა. მთოვარე მშვენივრად ანათებდა თოვლიანთა მთების წვერთა; გარეშე ჩვენსა ყოველივე იყო მდუმარებასა შინა დაფლული, მხოლოდ არაგვი ყვირილითა რბიოდა და აყრუებდა არესა. კაცი, იხილავს რა დიდ-მშვენიერებასა ბუნებისასა, უნებლიეთ მდუმარებს დაფიქრებული. ნათელი მთოვარისა, ძლივს მოწვდენილი ჩვენდამო უფსკრულსა შინა, სიწყვდიადე და მდუმარება ტყეთა, ღრიალი არაგვისა,- ყოველივე ესე აძრწუნებდა გრძნობათა და ენასა ყოფდა უქმად”. ყაზბეგში ავტორის წინაშე უკვე ამომრავებული ბუნების გარნდიოზული პანორამა გადაიშლება:“ აქედამ დაიწყების საკვირველი იგი სიჩქარე თერგისა, რომელიცა ყოველთა მხილველთათვის არს გასაკვირველი, - მიიღებს რა გარდმოქანილთა მთათაგან მდინარეთა, თერგი დუღდების, ჰრისხდების და ვითარცა გაცოფებული ჰყრის ქაფთა და ჰრბის გრიალითა. ვერარასა ძალუმს წინააღუდგეს მისსა გიჟურსა სიჩქარესა. შეხვდებიან მას დიდროანნი, საზარელნი ლოდნი? – ჰხლტების მაღლა და მათზედა გარდაევლების; და მაშინ წარმოუდგების თვალთა მშვენიერ შადრევანად, ანუ მთად აღმასებრ გარდმოფანტულად”.

დღიურის ეს ადგილები წარმოადგენს წინამორბედს მისი შესანიშნავი ლირიკული ქმნილებისა “ საღამო გამოსალმებისა” ( 1841):

მზე ჩაესვენა: მის შუქი გამოსალმის ჟამს კავკასსა,  
თავსა ეხვევა ალერსით, ვით ქალი მამას მოხუცსა!  
ბუმბერაზ მთანი მდუმარედ ცათამდის აყუდებულნი,  
ჰსხედან, ვით დევნი, სპეტაკის ყინულთ გვირგვინით  
შემკულნი!

მათ კლდოვან გვერდთა შავადა ღრუბელნი ზედ დაჰსწოლიან,  
და მრისხანებით ქვეყანას წარღვნითა ემუქრებიან.  
გაზაფხულისა ველითა ტყე შემოსილი სიმწვანით,  
მთებისა კალთებს შეამკობს სატკბო სუნნელთა მოფენით.  
წყალნი მთით დაქანებულნი, აღმასებრ უბსკრულს ჰსცვივიან,  
თერგი ჰრბის, თერგი ღრიალებს კლდენი ბანს ეუბნებიან.

მართალია, ეს ლექსი 1841 წელს ბუნების უშუალო ხილვით არის შთაგონებული, მაგრამ პოეტი ქვეშეცნეულად იმეორებს თავის ადრინდელ შთაბეჭდილებებსაც: პირველი შეხედვით შეიძლება გვეფიქრა, თითქოს ავტორს თავისი დღიურის ზოგი ადგილი რიტმულად გაუმართავს.

“ მგზავრობაში ” გადმოცემული შთაბეჭდილებები უძველეს საფუძვლად “ სადღეგრძელოს ” უკანასკნელ რედაქციაში შეტანილ ზოგიერთ სტროფსაც, რომლებიც ბუნების ხოტბას შეიცავს. აქაც განმეორებულია ცალკეული ფრაზები ზემოთ მოყვანილი პროზაული ადგილებისა:

\* \* \*

სადა შევხართ ლაჟვარდად ცისა კამარას მორთულსა,  
მასზე მავალსა ხელმწიფებრ, მზეს ბრწყინვით განსხივებულსა,  
ღამით ვარსკვლოვანს ფირუხსა, მთოვართი განათებულსა!  
სიცოცხლის მომფენს ჰაერსა სურნელებრ შეზავებულსა!  
სად მთანი ყივის გვირგვინით არიან ცადმდე ასულნი  
და მდინარენი ძახილით ზვირთის ზვირთებზე მსროლელნი,  
სად მონადირე ჰსდევს ჯიხვსა და მის ქვეშ ჰვლენან ღრუბელნი.

“ ტოლუბაშის ” პირველ ვარიანტში ( 1827 ) ბუნების ხოტბა არაა ( ეს ვარიანტი დაიწერა რუსეთს გამგზავრებამდე ), როგორც ჩანს, პირველი ძლიერი შთაბეჭდილება საქართველოს დიადი მთებისაგან პოეტს 1831 წელს მიუღია, ყოველ შემთხვევაში, მყინვარისა და თერგის ბრწყინვალე პროზაული აღწერა ამ ხანას ეკუთვნის. 40–იან და 70 –იან წლებში კი, როდესაც პოეტი “ საღამოს გამოსალმებისას ” წერდა და “ სადღეგრძელოს ” საბოლოო რედაქციას ამუშავებდა, მის პოეტურ ცნობიერებაში კვლავ ამოტივტივებულია 1831 წელს დარიალის ხეობის ზღურბლთან მიღებული შთაბეჭდილებანი. რასაკვირველია, გრ. ორბელიანს ხშირად უხდებოდა კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს დიადი ბუნების ჭვრეტა, მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით ნიშნეულია ის ფაქტი, რომ პოეტი ისევ პირველ შთაბეჭდილებათა წრეში იმყოფება ზემოთ დასახელებული ორი ნაწარმოების შექმნისას. აქვე შევნიშნავთ, რომ გრ. ორბელიანს “ მგზავრობის ” ხელნაწერი 1833 წლის შემდეგ ხელთ არ ჰქონია ( ეს დღიური ჟანდარმერიამ პოეტს ჩამოართვა ნოვგოროდში დაპატიმრების დროს ).

ბუნების სურათს გვიხატავს გრ. ორბელიანი აგრეთვე 1832 წელს დაწერილ ლექსში " ღამე". პოეტის განცდები აქ მთვარიან ღამეშია გალხობილი.

ბუნებასთან პოეტის ასეთი თანაზიარობის მიუხედავად, არ შეიძლება ითქვას, თითქოს გრ. ორბელიანი ზუსტად ხატავდეს რომანტიკულ პეიზაჟს. არც ერთ მის ლანდშაფტს არა აქვს გადაფარებული მისტიკური საბურველი. ბუნების სიდიადით გამოწვეული აღტაცება პოეტისა ყოველთვის უშუალოა, ამასთან, ბუნება თვითონაა შემკული ფერებისა და სურნელების მომაჯადოებელი ძალით, რომელსაც შეუძლია სიტკბოება განაცდევინოს ყველა მომაკვდავს, გზაზე მიმავალ და დაღლილ ადამიანს. გრ. ორბელიანის მიერ ბუნების აღქმის ცალკეული დამთხვევა რომანტიკოსების მიერ ბუნების კულტთან არაა წმინდა ლიტერატურული ფუნქციით გაპირობებული, იგი ორგანული მოვლენაა ქართველი პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაში. ჩვენს შეხედულებას ნათელყოფს თუნდაც ერთი პარალელი: " ღამეში" პოეტი გახარებულია, რომ მთვარით გაშუქებულ არეში მან მოახერხა შორეული და საყვარელი არსების ხილვა და მასთან სულიერი გაერთიანება. ასეთი ბედნიერი ზმანების წუთებში იგი უკმაყოფილოა ცისკრის ჟამის მოახლოებით და აცხადებს: დღისა დაღვსწყველე ნათელი, რომ ურთიერთ გაგვეყარნაო. ნოვალისის ცნობილ "ღამისადმი" ჰიმნებში" აგრეთვე უკუგდებულია " დღის უტიფარი ნათება", რომელიც მკაფიოდ აჩენს საგნებს და ხელს უშლის პოეტის გარდაცვლილი სატრფოს ( სოფიო კიუნის) ზმანებისეური ხილვით დატკბეს მთვარიან ღამით. ამრიგად, ნოვალისის ლირიკაში ღამის ხოტბას თანმიმდევრული და პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

გრ. ორბელიანთან კი იგი მოკლებულია ასეთ განზოგადებულ და მისტიკურ შინაარსს, მეტიც—იგი კერძო ხასიათის ბიოგრაფიულ მომენტად უნდა მივიჩნიოთ. ქართველი რომანტიკოსი, პირიქით, სწორედ სინათლეს, ცისკრის სხივებით განათებულ სამყაროს უძღვნის თავის საუკეთესო სტრიქონებს:

სიბნელეს აქრობ ნათელით, სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას!  
(" სადღეგრძელო")

ესაა თქმული პოეტის ცხოვრების მწუხრის ჟამს. მაგრამ გრ. ორბელიანი ჭაბუკობიდანვე ეტრფოდა დღის ნათელს:

ვითა ღამეში გზასა მავალი

ჰგრძნობს იდუმალად სიამოვნებას,  
ოდეს ვარსკვლავი დილის წინ მსრბოლი  
მთრთოლვარებს ზეცას ლაჟვარდოვანსა  
და მოასწავებს დღესა ნათელსა... (1832).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 1833 წლამდე გრ. ორბელიანს პესიმისტური ლექსებიც უწერია. მაგრამ აღნიშნულ ხანებში სევდის ტონი არაა ძირითადი გრ. ორბელიანის ლირიკისათვის, ამიტომ პესიმისტური მოტივების შემცველ მის ნაწერებს ვეხებით პოეტის შემოქმედების მეორე პერიოდის განხილვისას, როცა პოეტის სევდიანმა განწყობილებამ უფრო ღრმად იჩინა თავი.

\* \* \*

მოკლედ უნდა შევეხოთ გრ. ორბელიანს, როგორც პროზაიკოსსა და მთარგმნელს მისი შემოქმედების პირველ პერიოდში.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობა აქვს “ მგზავრობას” ( 1831) პოეტის ეროვნული და პოლიტიკური იდეალების გაცნობის თვალსაზრისით 1832 წლის შეთქმულების ხანაში. “ მგზავრობის” ერთი ნაწილი ლიტერატურულად დამუშავებული ნაწარმოებია, იგი ავტორს დაუწერია სამგზავრო შენიშვნების საფუძველზე და სტილისტურად დაუხვეწია (“ მგზავრობა” პოეტის 1831-1832 წლების დღიურის შემავალი და პირველი ნაწილია).

“ მგზავრობა”, როგორც დღიურის ლიტერატურულად დამუშავებული ნაწილი, 30- იანი წლების ქართული დოკუმენტალური პროზის საუკეთესო ნიმუშია.

დღიურების უწერია პოეტს პოლონეთსა და ბალტიისპირა ქვეყნებში მოგზაურობისას. როგორც ვთქვით, ამ რკალიდან ლიტერატურული ღირებულება აქვს მხოლოდ “ მგზავრობას”, დღიურის დანარჩენი ნაწილი კი მხოლოდ მწერლის ბიოგრაფიის მასალად გამოდგება.

საყურადღებოა გრ. ორბელიანის მიერ 1824- 1832 წლებში დაწერილი სამი პატარა მოცულობის პროზაული ესკიზი “ ანტონისადმი” ( 1824), “ზამთრისა ქარი გრიალებს” ( 1829) და “ ნ. ე. მ. ” ( 1832): სამივე ზემოთ იყო დასახელებული. ისინი ფსიქოლოგიური მინიატურების ნიმუშებია, სტილისტურად დამუშავებული და ქართული რომანტიკული პროზის საწყისებად შეიძლება ჩაითვალოს.

ნაკლები მნიშვნელობა აქვს გრ ორბელიანის ჩანაწერებს “ ცნობა ლეკების შესახებ” (1830 ) და “ ჰაზრნი მსწავლულთა ჩვენის



პლანეტისა შექმნისათვის, ანუ მიწისა“. არც ერთი ამათგანი საკუთრივ პროზას არ განეკუთვნება. ინტერესს არაა მოკლებული მხოლოდ პროზაული ესკიზი, “ანბავი რიგის ღოშპიტალში ნათქვამი” (1835), რომელშიაც მოთხრობილია თავგადასავალი ობლად დარჩენილი გოგონასი, რომელმაც მრავალი დამცირება, ფიზიკური დასჯა და ტყვეობა გამოიარა და ბოლოს გზად შეხვედრილმა “კურთხეულმან იმპერატრიცამ” იხსნა. ავტორი, ჰუმანურად მსჯელობს და თავისი პერსონაჟის ბედში ხედავს “ყოვლად უზენაესი მსაჯულის სიმართლესა და მის მარჯვენასა უბიწოების მფარველსა”.

გრ. ორბელიანის კონსპექტი “საქართველო ჩემის დროისა” მხატვრული პროზის ჟანრს არ განეკუთვნება, თუმცა მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ავტორის მსოფლმხედველობის შესწავლის თვალსაზრისით. ამ კონსპექტის იდეურად ყველაზე საინტერესო ადგილი ზემოთ იყო მოყვანილი.

ნაყოფიერი იყო გრ. ორბელიანი, როგორც მთარგმნელი 1824 – 1832 წლებში. მისთვის განსაკუთრებით ახლობელი ყოფილა ჟუკოვსკისა და პუშკინის პოეზია.

გრ. ორბელიანს პუშკინის ორი ლექსი აქვს ქართულად გადმოღებული. ესენია “ლხინი” (მიბაძვა პუშკინისა) (1830) და “მიბაძვა პუშკინისა” (1847). პირველი მართლაც თავისუფალი მიბაძვაა პუშკინის რვატაეპიანი ლექსისა Веселый пир (1819) და ქართული აქსესუარითაა გადატვირთული (ჯამი, აზარფეშა, ყანწი და სხვ.), იგი ორგანულად შედის გრ. ორბელიანის იმ ლექსებში, რომლებიც ანაკრეონტულ მოტივებს შეიცავენ. მეორე “მიბაძვა” კი წარმოადგენს პუშკინის ცნობილი ლექსის “Дар напрасный, дар случайный, გავრცობილი სახით გადმოღებას.

გრ. ორბელიანი შერჩევით თარგმნიდა რუს ავტორებს, ხოლო თარგმნის პროცესში, ორიგინალის ქართულად გადმოღებისას, ცდილობდა მიეღო არა დედნის მექანიკური ასლი, არამედ საკუთარი სულიერი ვითარებისათვის შესაფერი ნაწარმოები. ამიტომ უწოდებდა იგი მათ “მიბაძვებს”.

ორიგინალთან ასეთი დამოკიდებულების ძალზე თვალსაჩინო და იდეურად გამართლებულ მაგალითს წარმოადგენს “მიბაძვა” კონდ. რილევის ლექსისა “ნალივაიკოს აღსარება” (1831), რაზედაც ჩვენ თავის ადგილას ვრცლად გვქონდა საუბარი.

აკი მიბაძვის ორბელიანისეულმა მეთოდმა აქცია ეს ნაწარმოები ქართველ შეთქმულთა საპროგრამო მხატვრულ ქმნილებად, პოლიტიკური აგიტაციის მძლავრ იარაღად.

გრ. ორბელიანი პირველი სერიოზული ქართველი მთარგმნელია კრილოვის არაკებისა. 1832 წელს მან თარგმნა სამი

ნაწარმოები შესანიშნავი რუსი დიდაქტიკოსისა " ვირი და ბულბული", " სოფლელნი და მდინარე" და " ნადირთა ჭირი". სამივე თარგმანის ქვეშ აღნიშნულია " კრილოვიდამ", მაშასადამე, აქ მიზაძვას ადგილი არა აქვს.

გრ. ორბელიანის ეს თარგმანი თავისი დროისათვის სანიმუშოდაა შესრულებული. კერძოდ, " ვირი და ბულბული" ქართული თავმნით ლიტერატურის ერთ-ერთი მიღწევაა.

გრ. ორბელიანის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ოთხი პროზაული თარგმანი: " ალლელორია" ( 1824), " სამნი მეგობარნი" ჰერდერისა ( 1832), შვეიცარიელი მწერლის, ცმოკეს, მოთხრობა " მაცთუნებელი" (1832) და " სალამოს ჩაიზედ". პირველში მოთხრობილია აღმოსავლური ამბავი სულთნის ვეზირის და მისი ერთგული მეუღლის ფათმასი, რომელიც ბილწი ზრახვებით მასთან მისულ სულთანს შეარცხვენს და უკანვე გააბრუნებს. მეორე ეტიუდიც დიდაქტიკურ ალეგორიული ხასიათის პატარა ნაწარმოებია, რომლის ბოლოს დამოდვრის ხასიათი აქვს.

" მაცთუნებელში" მოთხრობილია თავგადასავალი ახალგაზრდა ცოლ-ქმრისა, რომელთაც სიზმრად და ცხადად სდევნის ვიღაც დემონური არსება. მოთხრობა ძალზედ ბუნდოვანია, მასში სინამდვილე და ფანტასტიკა ჰოფმანის სტილითაა ერთმანეთთან შეზავებული. გრ. ორბელიანს გულდასმით უსწორებია იგი, მაგრამ მისი საბოლოო სტილისტიკური დახვეწა ვერ მოუხწრია. ოთხივე თარგმანი რუსულიდანაა შესრულებული.

\* \* \*

" შეთქმულების" დამარცხებამ, ჭაბუკობის დროინდელი პოლიტიკური იდეალების კრახმა, პირადად განცდილმა უბედურებამ (ყაზარმაში პატიმრობამ) უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა გრ. ორბელიანზე. აქედან იწყება ახალი ხანა, ანუ მეორე პერიოდი გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებაში. თუ რაოდენ მწვავე იყო ამ პერიოდის დასაწყისი, ამაზე თვითონ გრ. ორბელიანი მოგვითხრობს ლექსში " ჩემს დას ეფემიას" ( 1835), რომელიც იშვიათი ფსიქოლოგიური დოკუმენტია პოეტის იმდროინდელი სულიერი ვითარების გასაცნობად:

\* \* \* \* \*

აწ სად წარვიდნენ ნეტარების წამნი ძვირფასნი,  
რომე აჩრდილიც არა დაჰშთა ჩემდა ნუგეშად,  
რომ გლახ ჩემს გულსა მოსეულნი ჭმუნვათა დასნი

ესრედა ჰგლეჯენ უღონო მსხვერპლს შეუბრალებლად?  
უცებ გრიგალმა უბედობის დამქროლა ესრედ,  
რომ ცა, მომფენი ჩემდა ნათლის ჰფარა ღრუბელთ ქვეშ;  
სიტკბოს ფიალა წარიტაცეს მის წყეულთა ფრთეთ,  
და დამცა უფსკრულს ვაებისა უმწედ, უნუგემ.

ლექსში შესანიშნავადაა გადმოცემული პოეტის განცდები ყაზარმაში პატიმრობისას. ციხიდან გამოსვლისა (როცა მას "ვაების ბჭე გაუღეს") და მძიმე სულიერი განცდების შემდეგ პოეტი თითქოს სამუდამოდ ეთხოვება სიჭაბუკეს, სიხარულისა და მომავლის იმედს. თითოეული ტაეპი მისი პოეტური აღსარებისა დიდი გულწრფელობითა და ღრმა ემოციითაა გამსჭვალული. "ჩემს დას ეფემიას" შეუდარებელი მხატვრული ძალით გამოხატავს იმ გარდატეხის დასაწყისს, როცა გრ. ორბელიანის მთელი არსება სულის სიღრმემდე შესძრა "უბედობის გრიგალის ქროლვამ".

პესიმისტური განწყობილების მოტივი სულ უცხო არ ყოფილა გრ. ორბელიანისათვის მისი ცხოვრებისა და პოეზიის პირველ პერიოდშიც. მაგ., სიბერესა, სულიერ სიცივესა და დროის უღმობელობაზე ლაპარაკობს პოეტი თავის პატარა ეტიუდშიაც "ზამთრისა ქარი გრიალებს" (1829), მაგრამ ამ თემას გრ. ორბელიანისათვის მაშინ მხოლოდ ზოგადფილოსოფიური და თეორიული მნიშვნელობა ჰქონდა, ჭაბუკი პოეტი მხოლოდ წარმოიდგენდა სიცოცხლის დასარულს, "ვარდებრივთა ღაწვთა ადრიან დამქუნარად", "ბაგეთა ზედა გამქრალ ღიმილს" და "თვალთა, სულის სარკეთა, შთაცვივნულს". ეტიუდის ეს ადგილი შერეულად გვაგონებს ანალოგიურ ტირადას პეტრარკას განთქმული დიალოგიდან "ქვეყნიერებისადმი ზიზღის შესახებ".

გრ. ორბელიანის პირველი პერიოდის ლირიკაში სხვა ნიმუშებიც მოიპოვება, რომლებშიაც პესიმისტური აზრებია გამოთქმული. მაგ., ჟუკოვსკის თარგმანს ამოფარებული პოეტი ამბობს:

ჰოი! სოფელო! რად ხარ ესრეთ მდიდარ ოცნებით?  
შენსა მომდევსა ეჩვენები ტურფად, ცთუნებით,  
შენში კეთილსა საცხოვრებლად აქვს წამი ოდენ!  
ჰმუნვა არს უფრო – სიამენი მალიად ფრინვენ.  
( "ჟუკოვსკისადმი", 1830)

უიმედობითა და მელანქოლიითაა შეფერილი ზოგიერთი სხვა ლექსიც ამ პერიოდისა. მაგ., "გაზაფხული" (1832) პოეტი ურწმუნო

სოფლის მუხთლობაზე მსჯელობს, ხოლო " მირზაჯანას ეპიტაფიაში"  
( 1832) ცოცხალ ნაცნობს ათქმევინებს:

მუხთალს ამ სოფელს გასურს ვისაცა იყო ბედნიერ,  
სიყვარულითა და ღვინითა ჩემებრ დაითვერ,  
\* \* \* \* \*

თორემ გონებით გინდ ცა განვლო, ჩემებრ იქმნა მტვერ.

მიუხედავად ყველა ამ მაგალითებისა, შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ თავისი ცხოვრების პირველ პერიოდში გრ. ორბელიანი ღრმად შეედრწუნებინოს სიბერესა და სიკვდილზე თუ ამ სოფლის წარმავლობაზე ფიქრს. მისი " მსოფლიო სევდა" ჯერ კიდევ არ იყო ღრმა და ორგანული პოეტისათვის. ამიტომაც არც ერთ მის ლექსში სოფლის ამაოებაზე მსჯელობა არ გადადის რეზინიაციამდე, იგი ბედისადმი მორჩილებას ოდნავადაც არ გულისხმობს. პირიქით – ამ ხანაში გრ. ორბელიანი ამბოხებისაკენ მომწოდებელი და მებრძოლი პოეტია (" ნალივაიკოს აღსარება", " მისი სახელი კიცხვითა" და სხვ.), ამასთან- სიჭაბუკის დღეებისა და გაზაფხულის მეხოტბე.

მეორე პერიოდში გრ. ორბელიანის სევდას და პესიმიზმს უაღრესად კონკრეტული, ბიოგრაფიული და იმავე დროს საზოგადოებრივი სარჩული აქვს: პოეტის იდეალები დამსხვრეულია, იგი იძულებულია გამოეთხოვოს სამშობლოს თავისუფლების აღდგენის ილუზიას. პოეტი ცდილობს წარსულის შთაბეჭდილებები არ აშფოთებდნენ, დავიწყებას მისცეს ყველაფერი, რაც მის სანუკვარ ოცნებას შეადგენდა:

ჰეი! გონებავ, დაივიწყე ჩემს სანუგეშოდ,  
რაც იყო – იყო, ნუ იგონებ დღესა წარსულსა:  
მის მოგონებით მხოლოდ გულსა მიკლავ უწყალოდ,  
და ფუჭ სიცოცხლეს მაწყევლინებ გამწარებულსა.

სრულიად ლოგიკურია, თუ სწორედ ამ პერიოდში გრ. ორბელიანი წერს შესანიშნავ ლექსს " ჩემი ეპიტაფია", რომელშიაც სიკვდილის თემა დამუშავებულია იშვიათი ემოციური ძალით და არა დრამატულ პათოსს მოკლებული სტილიზაციით, რაც მის ადრინდელ პესიმისტურ გამონათქვამებს ახასიათებდა. ამ ლექსში წარმავლობის გრძნობა ძალზე ხაზგასმულია:

\* \* \* \* \*

ყველა იცვალოს, ყველა მოკვდეს, დამიწდეს,  
და მხოლოდ წრფელი სული, წმინდა, ცხოველი,  
მღვთადა აღვივდეს ნაწილაკი მღვთაებრი.

სწორედ ამ ხანებში, თავისი ცხოვრების მეორე პერიოდში, აქვს თარგმნილი პოეტს ლექსი *Дар напрасный*, რომელსაც “ პუშკინის მიბაძვა” ეწოდება, უეჭველია, გრ. ორბელიანის სულიერ განწყობილებას გამოხატავს ტაეპები:

სიცოცხლე ფუჭო,  
უბრალოვ ნიჭო,  
რად მოუციხარ ჩემთვის ზენასა

და ა. შ.

ჯერ კიდევ ყაზარმაში პატიმრობისას ( 1833) წერს გრ. ორბელიანი ლექსს “ მუხამბაზი” ( “ არავისთვის მე დღეს არ მცალიან”), რომლის პერსონაჟს პოეტი ათქმევინებს 1832 წლის შეთქმულებაზე:

“ ბედმან დაამხო რაყიფნი კაცნი”.

თვითონ გრ. ორბელიანი ამ “ ბედისაგან დამხობილ რაყიფ-კაცებს” ეკუთვნოდა სულიერად და იდეურად, ამიტომ “ წარსული სიზმრად, ხოლო აწმყო – არად” მიაჩნდა. ეს საზოგადოებრივი და ფსიქოლოგიური ნიადაგი კვებავდა გრ. ორბელიანის სევდასა და პესიმიზმს, რამაც უკიდურესი სახე პოეტის ცხოვრების ბოლო წლებში მიიღო.

მაგრამ გრ. ორბელიანი ძლიერი ნების ადამიანი იყო, დაჯილდოებული ცხოვრების დიდი ენერგიით, პარქტიკული მოღვაწეობისადმი მიდრეკილებით, აქტიური სულით, სინამდვილის მძაფრი შეგრძნებითა და დაკვირვების უნარით. მან გადააფასა თავისი ადრინდელი მისწრაფებანი, უსარგებლოდ და სახიფათოდ სცნო ცარიზმის წინააღმდეგ გაბრძოლება, დაადგა შეგუებისა და კომპრომისის გზას, ოფიციალურად აღიარა კიდევ მეფისადმი სამსახურის საჭიროება. მეორე პერიოდი გრ. ორბელიანის ცხოვრებისა, როგორც მკითხველიც დაინახავდა ზემოთ მისი ბიოგრაფიის გაცნობისას, ბრწყინვალე სამხედრო კარიერის ხანაა. თავისი ხმლით გრ. ორბელიანმა ბევრი სარგებლობა მოუტანა მონარქიულ რუსეთს სწორედ ამ პერიოდში. ისიც მაღლა და

ტრიუმფალურად მიიწევდა სამხედრო იერარქიის კიბეზე. ერთ–ერთ ბარათში შეთქმულებთან კავშირს პოეტი თავისი "გამოუცდელობით" ხსნის, რაც იმას მოწმობს, რომ გრ.ორბელიანს თავისი ნამდვილი ბიოგრაფიის მიჩქმალვაც კი სწადია ამ ხანაში. მაგრამ რასაც ფარავდა პოეტის ოფიციალური მდგომარეობა და ბრწყინვალე საომარ გამარჯვებათა მაუწყებელი რელაციები, მის მხატვრულ შემოქმედებაში მჟღავნდებოდა აწმყოზე ჩივილით, " რაყიფი კაცების" მოგონებით, ღრმა შინაგანი სევდით. ოფიცერ გრ. ორბელიანის გარეგანი ცხოვრების პარალელურად, როგორც სრული კონტრასტი, მიმდინარეობდა პოეტ გრ. ორბელიანის შინაგანი ცხოვრება. მაგრამ ქართველი რომანტიკოსის ეს შინაგანი პატრიოტული სამყარო ნაკლებადაა გამომჟღავნებული მეორე პერიოდის მხატვრულ ქმნილებებში. ისიც საგულისხმოა, რომ გრ. ორბელიანის სამხედრო მოღვაწეობის ყველაზე მდიდარი სვებდნიერი ხანა (ავარიის მმართველობის პერიოდიდან (1843წ.) მოყოლებული კავკასიური ომის დასასრულამდე (1859წ.) იმავე დროს ყველაზე უფრო ღარიბია ლიტერატურული პროდუქციის მხრივ: გრ. ორბელიანს ამ წლებში მარტოოდენ ორი ორიგინალური ლექსი " ჰეი, გონებავ" ( 1843წ.) და " მოგონება" ( 1851წ.) და ერთი "მიბაძვა პუშკინისა" ( 1847) აქვს დაწერილი.

ამ ლექსის ძირითადი მოტივებია, პესიმიზმთან ერთად, ყარაჩოხელური ლხინი, მსუბუქი ტრფობა ( ანაკრეონტიზმი) და სიყვარულის გამოტირილი.

მეორე პერიოდში წარმოდგენილი პესიმიზმის ამსახველი ლექსების შესახებ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ. რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას დანარჩენის შესახებაც ამ პერიოდის გრ. ორბელიანის ლირიკაში.

გრ. ორბელიანის პირველი პერიოდის " მუხამბაზსა" და "იარალისში" ასახული ლხინის შესახებ ჩვენ ვთქვით, რომ ამ მოტივის დამუშავებისას გრ. ორბელიანი აგრძელებს ბესიკის, საიათნოვასა და ალ. ჭავჭავაძის ხაზს. მეორე პერიოდის -" მუხამბაზი" ( " არავისთვის მე დღეს არა მცალიან..."), " სავათნავას მიბაძვა", " სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ", " მუხამბაზი" (" სულით ერთნო"...), 1860 – 1861 წწ. დაწერილი "დიმიტრი ონიკაშვილის დარდები" და " მუხამბაზი" (" გინდ მეძინოს") – აღრმავებენ აღნიშნულ თემას. შეიძლება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გაუგებრად გვეჩვენოს პოეტის მიერ ყარაჩოხელური ნადიმისა და ფიზიკური ტრფობის ასეთი ხოტბა იმ დროს, როცა თვითონ ყაზარმის მძიმე დღეებს განიცდიდა და შემდეგ დიდხანს სამშობლოდან იყო გადასახლებული ( პირველი სამი ლექსი

ავლაბრის ყაზარმაშია დაწერილი, ხოლო მეოთხე ქ. ვილნოში), მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ პოეტის ამ ლექსებში ჩვენ საქმე გვაქვს მოგონების არაჩვეულებრივ ინტენსივობასთან და არა რომელიმე უშუალო მომენტის ფიქსაციასთან-გასაგები ხდება მათი წარმოშობის მოტივიც: პოეტი სევდისა და მარტოობის ჟამს აცოცხლებს ნაცნობი თბილისელი მოქალაქეების კოლორიტულ სახეებს, მათი ფსიქოლოგიისა და ყოფის სურათებს,- არსებითად იგი ერთობა!

გრ. ორბელიანი დაახლოებული იყო მშობლიური ქალაქის დემოკრატიულ ფენებთან, ზედმიწევნით იცნობდა და ჭეშმარიტი ჰუმანურობითაც ეპყრობოდა მათ. სიჭაბუკის ხანაში პოეტს ხშირად უქეიფია ყარაჩოხელებთან, ზოგ მათგანს ( მაგ., ლოპიანას) ლხინის მოყვარული თავადის " ადიუტანტსაც" ეძახდნენ ( მას, თურმე დილით ცოცხალი მიჰქონდა ხოლმე პოეტთან). გრ. ორბელიანს არასოდეს არ გაუწყვეტია კავშირი ქალაქის იმ დემოკრატიული ფენების წარმომადგენლებთან, ოღონდ გარკვეული დისტანციის დაცვით, რაც ბუნებრივად იბადებოდა ხოლმე ყაფლანიანთა ბრწყინვალე წარმომადგენელსა და ყარაჩოხელთა შორის. სწორედ ამ დისტანციის წყალობით შეძლო გრ. ორბელიანმა მათი ხასიათების რეალისტური დახატვა. მუხამბაზები გრ. ორბელიანს თავისი პერსონაჟების მონოლოგებად ან სიმღერებად აქვს მოფიქრებული: პოეტი ახშობს, ანეიტრალებს თავის ხმას, თვითონ ყარაჩოხელებს ამეტყველებს. ცნობილია, რომ რომანტიკულ ლირიკასა და ეპოსში ნაკლებ იგრძნობა მანძილი ავტორსა და გმირს შორის. მართალია, გრ. ორბელიანის მუხამბაზებშიაც ზოგჯერ ყარაჩოხელის ნიღაბქვეშ თვითონ ავტორი მჭიმუნვარებს, იგი ლხინსა და ღვინოში ეძებს თავდავიწყებას ან რომელიმე სევდიან მოტივს მღერის, მაგრამ მისი ხმა ძალიან იშვიათად ისმის ამ ჟანრის ნაწარმოებებში. გრ. ორბელიანის მუხამბაზები რეალისტური ხასიათის ქმნილებებია, მიუხედავად მათი ძალზე ტრადიციული ფორმისა. მუხამბაზებში აისახა თბილისის მოქალაქეთა გარკვეული წრის პრიმიტიული ფსიქოლოგია, თავისებური ყოფის დეტალები, მეტყველების მანერა და სტილი, ენობრივი სისადავე და ჟარგონი,- ყველა ძირითადი ატრიბუტი ყარაჩოხელთა ყოფისა და სულიერი ცხოვრებისა. ამიტომ არასოდეს არ უნდა ავუროთ პოეტის ხმა, მისი არქაიზებული პათოსი და აზროვნების მუდამ სერიოზული ხასიათი ( დამახასიათებელი " სადღეგრძელოსა", " გამოსალმებისა", " თამარ მეფის სახისა", " ჩემს დას ეფემიას" და სხვა ამ რიგის ლექსთა ავტორისათვის) რომელიმე ლოპიანასთვის დამახასიათებელი თბილისური სიტყვის მოქცევასა და ინტონაციაში. " სადღეგრძელოს"

ავტორის პოეტიკის თვალსაზრისით, მისი მუხამბაზები სტილიზებული ნიმუშებია – ამ ფორმის თემები და მხატვრული ფაქტურა გრ. ორბელიანს მზამზარეულად აქვს მიღებული ( თუმცა შემდეგ დახვეწილი და უფრო დაწმენდილი).

გრ. ორბელიანს გულწრფელ ჰუმანიზმთან ერთად არ აკლდა ერთგვარი ირონიაც თავისი ლექსების პერსონაჟების მიმართ, იგი მათ დაჰყურებდა ზემოდან, იმ დარდიმანდული ქედმაღლობით, რომელიც ხელს არ უშლიდა პოეტს იმავე დროს დემოკრატი და მათთან ტრაპეზის გამზიარებელი დარჩენილიყო. გრ. ორბელიანის ცხოვრებაში უკანასკნელად განმეორდა ფეოდალურ სასახლეებში ტრადიციულად დამკვიდრებული ჩვეულება არისტოკრატიისა და მომღერალ-მეთარეთა თანამეინახობისა. თუ ოდესღაც გრ. ორბელიანის სისხლიერი წინაპარი, საქართველოს უდიდესი მეფე ერეკლე II საიათნოვას მუხამბაზებს ისმენდა თავის სასახლეში, მისი გვიანი ნაშეირი თვითონ მიდიოდა ქალაქელ მომღერლებთან.

გრ. ორბელიანს საყვედურობდნენ, თითქოს მან ბაზრის კილო შემოიტანა ქართულ პოეზიაში. ეს საყვედური დაუმსახურებელია. გრ. ორბელიანმა მოახდინა მხოლოდ მუხამბაზის ხელახალი კანონიზაცია ( ალ. ჭავჭავაძესთან ერთად) და ისიც გარკვეული მიზნით. გრ. ორბელიანის ამ ჟანრის ნაწარმოებებმა დაიმსახურა დიდი მოწონება ილია ჭავჭავაძისა, რომელმაც ზოგი მათგანი ზეპირად იცოდა და მათ საჯაროდაც კითხულობდა ხოლმე.

გრ. ორბელიანი თავის ლირიკულ გმირებს ხატავს როგორც ლაღი ბუნების ადამიანებს, ნადიმისა და ღვინის მოყვარულ მოქალაქეებს, ამავე დროს თვითეული მათგანი აღჭურვილია ხასიათისა და გარეგნობის ინდივიდუალური ნიშნებით; პოეტი იძლევა უაღრესად კოლორიტული სახეების მთელ გალერეას. ექსპანსიური, მოძრავი და " ქალების ლხინი და თაიგულია" ბეჟანა მკერვალი, რომელიც " ვითა პეპელა სხვადასხვა ყვავილს ზედა დაჰფრინავს და ჰსვამს მათგან სუნნელსა" და " რადგან რაყიფი დიდ-კაცნი დამხობილან", მას " დარჩენია ბურთი და მოედანი". ამიტომ ის არ აპირებს გარეთუბნის ტურფებთან წასვლას და არისტოკრატიულ სალონში " სალომესთან სადილად" მიიქქარის (" არავისთვის დღეს მე არ მცალიან"), მეორე მუხამბაზის მიხედვით, ბეჟანა რომელიც სალომეს " მაკრატლის გვირგვინს" უწოდებს, იმავე დროს სხვებისაკენ იცქირება, ქალებისადმი მისი ტრფობა განურჩეველია, " ვარდიც უყვარს, იაც უყვარს", თანაც პირველს აფრთხილებს: " ნუ გწყინს ვარდო! ყვავილთ მეფევ, რომ ზოგჯერ იასაც ვსუნავ (" სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ"); " ლხინის პაპა" მირზაჯანა მადათაშვილი, " სახით არაბისტნელი ",და " ქუდჩაკეცილი", ღვინისა



და ემხისათვის არის დაბადებული, იგი მუდამ ტოლუბამია და ნადიმი უყვარს მეთარე ალვერდასა და მომღერალ ყოჯაბულბულთან ერთად ( "სულით ერთნო"); დიმიტრი ონიკაშვილი" ცეცხლშია ჩავარდნილი " და ნაბადგახვეული", " ძალსავით ჰგდია ქუჩაში", მაგრამ " ერთის ვისმეს მოაჯირს და ორს ფანჯარას ყარაულობს", სადაც მისი სატრფო უნდა " გამობრწყინდეს მხესავით" და ეს სატრფო" ლამაზ თვალებით შეხედავს" და " სირინოზის ხმას გააგონებს", მაშინ " ემხისაგან გონება გამოცლილი", რომელსაც არ ესმის " მზე ბრწყინავს თუ თოვლი მოდის", " თავს ცამდე აიღებს" და ძალმოცემულს" შეუძლია ქვეყანას ებრძოლოს"; ამის შემდეგ იგი" ყველაზე ჩითმერდინიანია" " ქვე-ქვე გასწევს ორთაჭალისკენ" და იქ დარდიმანდებს შორის სუფრაზე " საკინძეჩამოხსნილი, ხელში ჯამით" სატრფოს სადღეგრძელოს შესვამს (" დიმ. ონ დარდები") . ასევე ჟანრული სურათებია დახატული როგორც სატრფოზე შეყვარებული და ერთგული ყმა, რომელსაც " ათი გზა აქვს და ათივე სატრფოსკენ მიდის"; ძილში მას სატრფო სულში უზის, თვალს თუ გაახელს – წამწამზე. იგი ნატრობს ორთაჭალის ბაღში ნახოს საყვარელმა არსებამ, როცა " დარდიმანდის ლხინში" ტოლუბამადაა და ჯამი უპყრია ხელთ, ან როცა მუმტი-კრივშია,- მაშინ შეიძლება შეუყვარდეს იგი სატრფოს და უთხრას " ძვირფასი ხარო".

ყარჩოხელთა ხასიათები გრ. ორბელიანის მუხამბაზებში დახატულია რეალისტურად, მიუხედავად მათი გარკვეული შელამაზებისა. უწინარეს ყოვლისა, რეალისტურია მათი პორტრეტული დახასიათება, მოქმედების გარემო (ორთაჭალის ბაღები, " მტკვრის პირას ჩარხთან" და ასე შემდეგ), ძალზე მარტივი ფსიქოლოგია, სიყვარული კრივისა და ლხინისადმი; ოღონდ პოეტის ჰუმანიზმს უნდა მიეწეროს ზოგი მათგანის აღჭურვა ხასიათის ზედმეტი კეთილშობილებითა და მოკრძალებით (" გინდ მეძინოს").მაგრამ თავისი პერსონაჟების ნაწილობრივ შელამაზებასთან ერთად გრ. ორბელიანი ზოგიერთ ყარჩოხელს ხატავს ზერელე და ფუქსავატ პირად, რომლისთვის ფამილიარობა და ზოგჯერ უზრდელობაც უცხო არაა. მხოლოდ ყარჩოხელს შეეფერებოდა ქალზე ასეთი მონოლოგი ბეჟანა მკერვალისა:

ქალზე ვარ ისე ფიქრით მოცული,  
ხელში ქობა დამრჩების მოუვლელი,  
მებლანდების თვალეში ზოგის წელი,  
ზოგის ხვევნა ალერსი ტკბილი.

არც “ არაბისტნელის” კომპანიის ნადიმია მთლად დარდიმანდული:

ვითა ბაღი უყვავილოდ, უვარდოდ  
არა მიყვარს ლხინი უეშხ-უსატრფოდ  
მოდო, მნათო, სავსე თასი სალხინოდ  
ჩავგირიგე, თუ გინდ ისე, უპროშტოდ.  
(“ სულით ერთნო”)

ერთ-ერთ ლექსში პოეტს გამოხატული აქვს თავისი გმირის ფამილიარული ხასიათი. მაგალითად, ბეჟანა მკერვალი შემდეგნაირად მიმართავს სალომე ჭავჭავაძეს მისი ასულის, სოფიოს დაბადებაზე:

ექვი ვის აქვს მამა ვინც არს!  
ჩემს ნაკერსა ვცნობ ფრიად შორს!

პოეტი თითქოს გვეუბნება – აი, როგორ ხალხს დარჩენია ბურთი და მოედანი “ რაყიფ-კაცთა დამხოზის” შემდეგ!..

გრ. ორბელიანი იცნობდა არა მარტო ბესიკის, საიათნოვას, დიმიტრი და გიორგი თუმანიშვილების მუხამბაზურ პოეზიას, არამედ, საერთოდ აღმოსავლური, სპარსულ- აზერბაიჯანული პოეზიის ბევრი ცნობილი წარმომადგენლის შემოქმედებასაც. მაგ., დადესტანში, სამხედრო სამსახურში ყოფნისას იგი კითხულობდა საადის რუსულად თარგმნილ ნაწარმოებებს; თვითონ ათარგმნინა აზერბაიჯანულიდან მე –18 საუკუნის თვალსაჩინო პოეტის ვაგიფის თხზულებანი და ა. შ.<sup>[14]</sup>

როგორც ჩანს, ამ უკანასკნელთა ქმნილებებს შორის მას უმთავრესად სატრფიალო ლირიკის ნიმუშები მოსწონდა. გრ. ორბელიანს იზიდავდა მუხამბაზი, როგორც ერთ-ერთი ტრადიციული ფორმა ქალის ფიზიკური ხოტბისა და ანაკრეონტული განწყობილებების გადმოცემისა. ამ ჟანრის საუკეთესო ნიმუში “ გინდ მეძინოს” ყურადღებას იქცევს ძალზე დახვეწილი სახეებით და ფაქიზი გრძნობით გამთბარი შედარებებით. XIX ს. ქართულ პოეზიაში აღნიშნულმა ჟანრმა არც იცის, მაგალითად, ასეთი ემოციურად წმინდა ტაეპები:

რტო აღვისა შენი წელი მგონია,

მაგ წელზედა ცისარტყელა მგონია,  
ეგ თვალები – ცაში ელვა მგონია,  
ვარდის სუნთქვა – შენი სუნთქვა მგონია.

მაგრამ გრ. ორბელიანის მუხამბაზების მხატვრული აქსესუარი ძირითადად აღმოსავლურია, თანაც ბევრი სახე და შედარება პოეტისა სახუმარო ხასიათისაა, ისინი პირდაპირ მონოლოგის წარმომთქმელის დასახასიათებლად ანუ ტიპიზაციისათვისაა გამოყენებული.

აღმოსავლური ხასიათისაა, მაგალითად, მუხამბაზებში რამდენჯერმე შექმნილი "ხალი". "სავათნავას მიბაძვაში" ნათქვამია:

მაგონდების რა მის დაწვზედა ხალი,  
სიყვარულის გულს მეგზვნება ახ ალი!.. (1833)

მუხამბაზი "სულით ერთნო" ამ ხალის მნიშვნელობა ჰიპერბოლურადაა გაზრდილი:

სატრფოს ხალი არს ტახტი სიყვარულის,  
ეს ფიალა იყოს სადღეგრძელო ხალის!

რასაკვირველია, არც ერთი თავისი სერიოზული გატაცების ობიექტს არ შეამკობდა პოეტი ამგვარი შედარებით.

გრ.ორბელიანის მუხამბაზებში ნატამალიც არ მოიპოვება იმ ღრმა და სერიოზული სასიყვარული გრძნობისა, რომელიც ასახულია პოეტის საუკეთესო სატრფიალო ლექსებში. მეორე პერიოდში, როცა გრ. ორბელიანის მუხამბაზების პერსონაჟები ძილშიაც თავიანთ სატრფოებს ხედავენ, თვითონ პოეტმა ორჯერ განიცადა ღრმა იმედგაცრუება სიყვარულში: 1835 წელს გრ. ორბელიანის დანიშნული სოფიო ორბელიანი სხვას გაჰყვა, ხოლო 1851 წელს მან სამუდამოდ გამოიტირა თავისი უნუგემო სიყვარული ნინო ჭავჭავაძისადმი.

1835 წელს რიგაშია დაწერილი ლექსი "სო...ორ...", რომელშიაც, როგორც ჩანს, პოეტი ამაოდ სთხოვდა ერთგულებას თავის სათაყვანებელს. 1835 წლის შემდეგ კი სოფიო ორბელიანის სახელი ქრება მის სატრფიალო ლირიკაში. მაგრამ გრ. ორბელიანს შემდეგაც ჰქონია გატაცებები. 1840 წელს იგი წერს ლექსს "ალბომში ღრაფინია ოპერმანისას", რომელიც მიძღვნილია გორში მდგარ გრენადერთა პოლკის უფროსის მეუღლისადმი. მაგრამ გრ. ორბელიანის

დამოკიდებულება ოპერმანის ქალისადმი, როგორც ჩანს, არ გასცილებია მსუბუქი გატაცებისა და მოწონების ფარგლებს.

გრ. ორბელიანი თავის ნამდვილ სასიყვარულო გრძნობებს ნინო ჭავჭავაძისადმი ამ პერიოდშიაც გამოთქვამს. სოფიო ორბელიანთან ფსიქოლოგიური გამოთხოვების შემდეგ მას კიდევ აქვს იმედი მეორე და, ჩანს, გაცილებით უფრო ძლიერი სიყვარულის აღორძინებისა. აღსანიშნავია, რომ ლექსი სოფიო ორბელიანისადმი დაწერილია რიგაში 1835 წლის ნოემბერს, ხოლო ამავე წლის 13 დეკემბერს პოეტი წერს ლექსს " ან...", რომელიც ნინო გრიბოედოვს ეძღვნება. გრ. ორბელიანი მიმართავს მას:

ან გული რად ვერ გივიწყებს ჩემი სიცოცხლის შვენებას?

რომ უგრძნობლობით ქვა-ქმნილი ვერ სცნობდეს თვისსა ობლობას?

თვით სიშორეცა შემექმნა ეშყის ცეცხლზედ ცეცხლ-დამმართი,  
მიკვირს, ესდენ სიყვარულსა ვითარ იპყრობს გული ერთი?

ვჰსცან ტანჯვით არა გამქრალა გულს შენი ტრფობა ნამდვილი,  
თვარა აქამდის სიმწარის შემაშრებოდა მე ცრემლი.

ნინოს უნდა გულისხმობდეს გრ. ორბელიანი თავის შესანიშნავ ლექსშიაც " საღამო გამოსალმებისა", რომელიც დაწერილია 1841 წლის მაისში, ვლადიკავკაზში. ამ ლირიკულ პიესაში შეუძლებელია ნაგულისხმევი იყოს სოფიო ორბელიანი, რადგან დიდი ხნის გათხოვილ ქალს იგი სატრფოს ვერ უწოდებდა, ხოლო პოეტის ღრმა ემოციური თრთოლვა, ამ ლექსში გადმოცემული, ოპერმანის მეუღლეს სრულიად არ შეეფერება ( გარდა ამისა, გრ. ორბელიანი 1840 წელს დაწერილ ლექსში ამ უკანასკნელს კავკასიისაგან შორს მყოფად გულისხმობს: " და შორს კავკაზსა, და მეც მუნ მყოფსა, ნუ მოგვიგონებ გულსიგრილითაო" - მიმართავს პოეტი მას). " საღამო გამოსალმებისა" - მიმართავს პოეტი მას). " საღამო გამოსალმებისა" კი აგვიწერს გრ. ორბელიანის გამოთხოვებას საყვარელ არსებასთან, რომლის წინაშე იგი ღრმა გრძნობებით არის ანთებული:

ეტლი ჰრბის, სატრფო მშორდების... თანა სდევს ჩემი მას სული,  
ვმზერ... შორს ძლივსლა ჰსჩანს, აღარ ჰსჩანს ... რაღასა ვუმზერ  
შმაგ-ქმნილი?<sup>[15]</sup>

სიშორის ნისლმა მიჰფარა თვალთაგან ეტლი მიმსრბოლი,

და გულით ოხვრა სიმწარის აღმოუტევე უნებლი...

მშვიდობით! ვინცა დამატკბე სიცოცხლის ნეტარებითა,

აწ ვისთვის გული მიკვნესის, სული ჰსწუხს განშორებითა,

აწ დავითი მარტოდ... მშვიდობით! შენს გულს ნუ  
ჰშორდეს მშვიდობა!

ასეთი გულდაკოდის გრძნობითა და ყოვლის მიმტევებელი ტონით გრ. ორბელიანი მარტო ნინო გრიბოედოვზე წერდა. როგორც ამ ლექსში, ისე სხვა, "ნ... ს " ინიციალებით ცნობილ მის ლექსში, პოეტის ვნება გასხვივოსნებულა სულიერი სიფაქიზითა და მარტობაშიც სატრფოსადმი მუდმივი ერთგულების შეგნებით. შეიძლება ითქვას, რომ პოეტს მხოლოდ ნინოსადმი ჰქონია ღრმა სიყვარული.

1843 წლიდან იწყება გრ. ორბელიანის მრავალწლიანი სამხედრო მოღვაწეობა დაღესტანში. 1843 წლიდან 1860 წლამდე, ე. ი. მთელი 17 წლის მანძილზე, გრ. ორბელიანმა დაწერა მხოლოდ ორი ორიგინალური ლექსი – "ჰეი, გონებავ" და " მოგონება", რომელსაც უზის თარიღი " წინანდალი, 1851"<sup>[16]</sup>. ეს უკანასკნელი მიძღვნილია ნინოსადმი. " ზეგარდმო მადლი", ანუ ნინოსადმი სიყვარული, პოეტს თავის სულის სიღრმეში ჰქონია ჩატანილი და სათუთად უტარებია იგი კავკასიის ომის მრისხანე წლებში. მაგრამ ხანდაზმული პოეტის ეს გრძნობა მაინც წარსულის მოგონებითაა შებურვილი. ამიტომაც იგი სწორედ მოგონების სახით გადმოიღვარა უკანასკნელად 1851 წელს. წინანდალში ჩასული პოეტი იგონებს თავის " გულ-მხიარულ ჭაბუკობას" და ბოლოს მიმართავს ნინოს:

დრონი წარვიდნენ...თანა წარიღეს  
გულისა გრძნობა, ძალი ტრფობისა;  
მარამა მე კი მარად მახსოვდეს  
იგივე დრონი ნეტარებისა,  
აწ არც კი მიცნობ,- გულით იცვალე...  
ამ მოგონებამ არ შეგაწუხოს;  
შენ განსვენებით მხოლოდ იცოცხლე  
და მე, თუ გინა, საფლავმა მფაროს.  
( " მოგონება")

ასე გამოიტირა პოეტმა თავისი სიყვარული ნინოსადმი. გრ. ორბელიანს ამის შემდეგ სიყვარულზე აღარ უმღერია.

\* \* \*

ზემოთ მოყვანილი ლექსით იხურება გრ. ორბელიანის შემოქმედების მეორე პერიოდი. მთელი ცხრა წლის გამავლობაში (

1860 წლამდე) პოეტს მხატვრული არაფერი დაუწერია. 1858 წლიდან იწყება მისი ცხოვრების მესამე პერიოდი ( 1858-1883). ესაა გრ. ორბელიანის სამოქალაქო მოღვაწეობისა და ხელახალი პოეტური გამოღვიძების ხანაც.

1859 წელს პეტერბურგიდან დაბრუნებული გრ. ორბელიანი ორი თვით ასრულებდა კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობას. რამდენიმე წელს იგი თბილისის გენერალ-გუბერნატორად იყო. ამ დროს ( 1865) მოხდა გადასახადებისაგან შევიწროებული თბილისელი ამქრების აჯანყება (" ბუნტი"), რომელიც პოეტმა-მთავარმართებელმა ჩააქრო.

1866 წლის შემდეგ გრ. ორბელიანს აღარ უმსახურია.

1871 წლის 7ივლისს გრ. ორბელიანს გადაუხადეს სამხედრო-ადმინისტრაციული მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავი. მის პატივსაცემად გამართულ სადილზე გრ. ორბელიანმა განაცხადა: " გამოიღო რამე სარგებლობა ჩემმა სამსახურმა-მეთქი თუ არა? არ ვიცი. ვიცი მხოლოდ ის, რომ ტახტს კეთილსინდისიერად ვემსახურებოდი ". ამავე წელს თბილისში ჩამოსულმა იმპერატორმა ალექსანდრე II პირადად მიულოცია გრ. ორბელიანს საიუბილეო თარიღი და გადასცა ანდრია პირველწოდებულის ორდენი – უმაღლესი ჯილდო იმპერიაში. პროგრესულ ქართულ ინტელიგენციას და მის პრესას ამ იუბილეში მონაწილეობა არ მიუღია.

70-იან წლებში გრ. ორბელიანი ჩაება ე. წ. " მამათა და შვილთა " ბრძოლაში. მწერლობის საკითხებში იგი იცავს არქაისტულ პოეტიკას, რამაც 70-80 იანი წლების მისი ბარათების ენაზედაც კი იქონია გავლენა – ავტორი ართულებს სინტაქსსა და ორთოგრაფიას. ( 30- 50-იანი წლების ბარათები გაცილებით უფრო მარტივი ენითაა ნაწერი). ამ პერიოდის წერილებში მკითხველის წინაშე წარმოდგება მოგონებებში წარსული ვეტერანი კავკასიის ომისა, აწმყოთი შემფოთებული არისტოკრატი, გულსევდიანი და მხიარული ერთსა და იმავე დროს.

უაღრესად საგულისხმოა ამ პერიოდში პოეტის აქტიური მოღვაწეობა ქართული ლიტერატურისა და კულტურის სარბიელზე. 70-იან წლებში არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხი, რომელსაც გრ. ორბელიანი არ გამოხმაურებოდა. მას აინტერესებდა საქართველოში პოლიტიკური სკოლის დაარსების საკითხი ( 1875), მონაწილეობას იღებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში, გულისყურით ადევნებდა ლიტერატურაში ახალი ნაწარმოებების გამოჩენას და ცნობილია, მაგალითად, თუ

როგორი აღტაცებით კითხულობდა ყაზბეგის მოთხრობებს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი ღვაწლი "ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დადგენისა და გამოცემის საქმეში. 1880–1881 წწ. გრ. ორბელიანი თავმჯდომარეობდა კომისიას, რომელიც რუსთაველის პოემის ხელნაწერებს აჯერებდა ერთმანეთთან. ამ კომისიაში შედიოდნენ გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები: ი. ჭავჭავაძე, რ. ერისთავი, ი. მეუნარგია და სხვ. აღსანიშნავია, რომ გრ. ორბელიანის მოადგილე ამ კომისიაში იყო " შვილთა" ბანაკის მეთაური ილია ჭავჭავაძე.

გრ. ორბელიანი გარდაიცვალა 1883 წლის 21 მარტს და იშვიათი პატივით იქნა დაკრძალული ქაშვეთის ეკლესიაში. დასაფლავების დღეს პოეტის ცხედართან, სხვებთან ერთად, სიტყვები წარმოთქვეს ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა. ილიამ თავის სიტყვაში სხვათა შორის თქვა: "...იგი იყო მპყრობელი ჩვენის ქართული ენისა, იგი იყო მეუფე ჩვენის სიტყვიერების ძალ-ღონისა და სიმდიდრისა. იგი იყო მწერალი და მთქმელი, მაღალი ნიჭით ცხებული".

\* \* \* \* \*

1869 წელს გრ. ორბელიანი ინტენსიურად მუშაობდა " სადღეგრძელოზე". ნაწარმოები გამოქვეყნდა 1817 წელს ჟურნ. " კრებულის" № 1-ში. პოემის სათაური საბოლოოდ ასე გაფორმდა:

სადღეგრძელო

ანუ

ომის შემდგომ ლხინი ერევნის სიახლოვეს.

მკითხველი საზოგადოება და იმდროინდელი სალიტერატურო პრესა გრ. ორბელიანის ამ ნაწარმოებს აღფრთოვანებით შეხვდა.

" სადღეგრძელო" არაა სიუჟეტური ნაწარმოები. იგი წარმოადგენს ლხინის მეთაურისა და მხედრებისმიერ წარმოთქმულ სადღეგრძელოებს, რომელთაგან თითოეული გარკვეული თემის ან ამა თუ იმ ისტორიული გმირისადმია მიძღვნილი. პოემა იწყება ომის შემდეგ, ბინდისას, " ცეცხლებით განათებული" და დადუმებული მიდამოს აღწერით, სადაც ქართველთა ჯარის ბანაკია დაცული. " მთოვარის ნელი შუქით მოფენილ" გარემოში " მორიგი სავსე ფიალით" ჯარი ეთხოვება " ომში დაცემულთ". შემდეგ სადღეგრძელოს ლხინის მოთავე ამბობს იმ " წინაპართ მოსაგონებლად", რომელთა " დაჰსდვეს სიცოცხლე მამულის ასამაღლებლად", და რომელთა " დიდების მოედანი", " მათი სახელი,

მათი ხმალი და საქმენი სახელოვანნი“ კიდევ ცოცხლობენ, თუმცა “ მათი საფლავნი დროს შეუმუსრავს და აღუგვია” თამადა მოუწოდებს ქართველთ “ პატივით მიმართონ თვალნი წარსულთა ძველთა საუკუნეთა”, რადგან “ მათში სახელნი ჰსჩანან ნათელნი გმირთა, მამულის განმადიდეთა”.

“ სადღეგრძელოს” საბოლოო რედაქცია აქამდე იმეორებს “ ტოლუბაშის” პირველ ვარიანტს. შემდეგ იწყება თვითონ ამ “ მამულის განმადიდე გმირთა” ქება. პირველად დასახელებულია მეფე ფარნაოზი ( და არა მხოლოდ ვახტანგ გორგასალი, როგორც I ვარიანტში). პოეტი აღნიშნავს მის დამსახურებას ქართველი ხალხის წინაშე (“ შენ ჰე, ფარნაოზ, ჰქმენ ერთ-მთავრობა, შენ –მოეც ქართველს წიგნი პირველი”). ამას მისდევს “ ქრისტეს ნათელით განათლებული მეფე მირიან”, რომელიც “ ჰბრწყინავს გვირგვინით” და “ ჯვარისა ძალით გარემორტყმული შეჰმუსრავს კერპთა მათის ბომონით”. შემდეგ მკითხველის წინაშე წარმოსდგება სახე“ მუზარადს მგელ-ლომ გამოსახული” ვახტანგ გორგასალისა, “ რომლის შეხედვით სპარსელნი თრთოდნენ”. შესანიშნავ ტაეპებს უძღვნის პოეტი დავით აღმაშენებელს, რომელიც “ გაოხრებულ ივერს” “ ზეცის წყალობად მოვლენია”, ახასიათებს მის დიდ სახელმწიფოებრივ ღვაწლს ქართველი ხალხის წინაშე, უწოდებს “უძლეველ მხედართ მთავარს”, რომელმაც აღადგინა და “ ფენიქსებრ განაახლა ივერი”, თანაც “ შირვან, დერბენდი ხმლით შემოხაზა”. დავით აღმაშენებლის ხოტბას მოსდევს ქება თამარისა,“ რომლის გვირგვინი უპყრავს დიდებას და სათნოებას” და “ მუზნი განადიდებენ მისსა მეფობას”, ხოლო

მის დროშას მოჰსდევს დიდი ორბელი,  
შოთა უკვდავი ბრძენი ჭყონდიდი,  
მხედართ –მთავარი დიდი მხარგრძელი,  
და გამრეკელი, ლომებრ გულადი.

თამარისადმი მიმართულ სადღეგრძელოში გადმოცემულია ერთი სცენა დიდუბეში ლაშქრის თავმოყრისა საქართველოს ყველა კუთხისა და ტომის წარმომადგენელთა დახასიათებით. აქ არიან: კახი ფარშუბით, თუში ხმლით, აბჯრით დამშვენებული ფშავ-ხევსურნი, მკლავით ძლიერი ქართლელი, ფეხმარდი ოსი, ბრძოლაში შეუპოვარი მთიული, სწავლით ქებული მესხი, ზრდილი იმერი, მშვილდოსანი აფხაზი და მკვირცხლი გურული და მეგრელი. თამარი მათ ლოცავს ჯვრით და ამხნევებს ლაშქარს. ქართველნი იღებენ კარნუსს (არზრუმს) და სინოპს, გასცდებიან არეზს, თავრიზს,



ყავლანქუს და " ღვთის რისხვას დასცემენ ყაზმინს"...დავითისა და თამარისადმი მიმართული ქება მოწმობს გრ. ორბელიანის დიდ სიყვარულს ძველი საქართველოს გმირული წარსულისადმი, ქართლის ცხოვრების საუკეთესო ფურცლებისადმი.

თამარის ხოტბის შემდეგ პოეტი ასახელებს ქეთევან დედოფალს, რომელიც სპარსელებმა აწამეს თავრიზში 1624 წელს შაჰ-აბასის ბრძანებით. თეიმურაზ I –ის ცნობილ " ქეთევან დედოფლის წამებასთან" ერთად გრ. ორბელიანის პოემის ეს ადგილი მოკლე, მაგრამ საუკეთესო აღწერაა საქართველოს გამოჩენილი დედოფლის " ტანჯვისა მამულისათვის". ამასთან ერთად " ნათელგვირგვინით მოსჩანან კახეთის მხსნელნი გმირები, ელისბარ, შალვა, ბიძინა მტარვლისგან დატანჯულები". ყიზილბაშთა წინააღმდეგ 1659 წლის კახეთის აჯანყების ამ მეთაურთა სახელები XIX საუკუნის ქართულ პოეზიაში გ. ერისთავის შემდეგ (" ოსური მოთხრობა") გრ.ორბელიანმა მოიხსენია საქართველოს ეროვნულ გმირთა შორის. პოეტი არ ივიწყებს აგრეთვე მარაბდის გმირებს – ცხრა ძმა ხერხეულიძეთა, მეფეთა ერთგულ ამილახვარს ( ზედგინიძეს) და " ოთხ ზაალს", რომლებსაც ერეკლესთვის დიდი სამსახური გაუწევიათ. შემდეგ პოეტი ქრონოლოგიურ უკან დახევას მიმართავს, შეაქებს ვახტანგ VI სჯულმდებულს, " სწავლის მოყვარესა და გონება ამაღლებულს" და დასძენს:

უცხოთა ცის ქვეშ მარტოობს მისი საფლავი ობოლი,  
დაუტირავი ჩვენთაგან, ჩვენთვის კი დამიწებული!

პოემის ეს ნაწილი, მოცულობით ყველა დანარჩენ სადღეგრძელოზე ვრცელი , მთავრდება ერეკლე II- ის ხოტბით. გრ. ორბელიანი უსაზღვროდ შეყვარებულია ძველი საქართველოს ამ დიდ გმირზე. იგი მას " ივერიის ნუგეშ –დიდებას", " თავისის დროის დამშვენებელს" და " მამაცთა შორის საკვირველებას" უწოდებს. ერეკლე დახასიათებულია როგორც " მტერთა შემმუსვრელი", რომლის " დღენი... ემსგავსნეს ჩასვენებულსა ბრწყინვით მზეს". პოეტი ფიქრობს, რომ

მამული ვედარ იხილავს ირაკლის ხმალსა მღელვარეს,  
დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს!

ეს ტაეპები გვხვდება ჯერ კიდევ " ტოლუბაშის" მეორე ვარიანტი, რომელიც, ჩვენი დაკვირვებით, 40-იან წლებშია დაწერილი ( და არა 1826–1827 წლებში, როგორც აქამდე

ფიქრობდნენ). ამ ტაეპებს მიჰყვება ერეკლეს შესანიშნავი ძის, ლევანის, დახასიათება, მოხსენებულია ლეკების დაცემა ყვარელზე, ქართველთა გმირობა, - ქვაბულიშვილების, რატიშვილის, ბოსტას, დავით ბარათაშვილისა და ბებურიშვილის მამაცობანი – და “ კახეთის თვალის ყვარელის გამოხსნა” ლეკებისაგან. შემდეგ შექმნილია დავით სარდალი (ორბელიანი ) “ და ზაქარია, მიწისა მგელი” ( ანდრონიკაშვილი), აგრეთვე “ გუნდნი და გუნდნი ვაჟკაცთა”, “ აზატხანის დამხოზნი” , “ თემურის მეზობლი”, “ ასპინძის გმირები” და სხვანი, “ რომელთ შეჰღებეს მტრის სისხლით მტკვრის ზვირთნი აღელებულნი”. ისტორიულ გმირთა ვრცელი სადღეგრძელო-ხოტბა მთავრდება ალა- მაჰმად-ხანის შემოსევისას სამასი არაგველის გმირობისა და თბილისისათვის ბრძოლის სურათის აღწერით, როდესაც “ წახდა თბილისი და მასთან დაემხო ძველი ივერი”.

ამ ვრცელი სადღეგრძელოს უკანასკნელი სტროფი, რომელსაც მხედრები იმეორებენ, ისტორიული გმირების ღვაწლის ზოგად დახასიათებას შეიცავს:

გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება!  
თქვენთა სახელთა ამაყად წარმოსთქვამს შთამომავლობა!  
თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ-მოედინება,  
მხნეობით აღტაცებული ჭაბუკი ხმალსა მიჰსწვდება!

ამ ტაეპებს მოსდევს სადღეგრძელო ნიკოლოზ I-ისა:

ხელმწიფევ ჩვენო,  
ძლიერო ბრძენო,  
ნიკოლოზ დიდო სულგრძელებითა!  
მხედარნი შენნი,  
ერთგულნი, მხნენი  
ვსვამთ შენს სადღეგრძელოს მოწიწებითა.

შემდეგ ხელმწიფის სადღეგრძელოში გაფანტულია ტაეპები ( ზოგან შეცვლილი და ახალი რედაქციით) ლექსისა “ გულნი ივერთა”. პოეტი შეჰღადადებს რუსეთის მონარქს “ ძველად გამქრალი სწავლის ლამპარი კვალად აღუნთოს” ივერიას, დაუბრუნოს მას “ თამარის დღენი, დიდების დღენი”. როგორც აღნიშნული გვექონდა, პოემის ეს ადგილი- ხელმწიფის სადღეგრძელო - წარმოადგენს გავრცობილ ვარიანტს ლექსისა “ გულნი ივერთა”. პოემაში მას ის ადგილი

უჭირავს, რაც ალექსანდრე I-ის სადღეგრძელოს ჟუკოვსკის " მომღერალში".

თითქოს სრულიად მოულოდნელი იყო ამ პოეტური დაღადისის შეტანა პოემაში 1870 წელს, როცა ნიკოლოზ I დიდი ხნის გარდაცვლილი იყო. მაგრამ აქ ორი გარემოებაა გასათვალისწინებელი: 1. გრ. ორბელიანს თავიდანვე ჰქონია განზრახული პოემის საბოლოო ვარიანტში ( ნაწარმოების დასრულებისას) მონარქის ქების შეტანა. ავტორს ამას თავიდანვე აიძულებდა კომპოზიციური პარალელიზმი ჟუკოვსკის პოემასთან. 2. ეს ქება ერთადერთი ადგილი უნდა ყოფილიყო ნაწარმოებისა, რომელიც მიუთითებდა პოემაში ნავარაუდევ ეპოქაზე, კერძოდ, 1827 წელს ერევნის აღებაზე, რაც ნიკოლოზ I-ის ხელმწიფობის პირველ წლებში მოხდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ტაეპი " ნიკოლოზ დიდო სულგრძელებითა" ბეჭდური სახით პირველად გამოჩნდა გრ. ორბელიანის ლექსების 1844 წლის გამოცემაში ( პოეტის გარდაცვალების შემდეგ). " კრებულში" დაბეჭდილ ტექსტში და 1873 – 1879წწ. გამოცემაში იგი არ მოიპოვება: როგორც ჩანს, პოეტი დიდხანს მერყეობდა ადრესატის უშუალო დასახელებისას, ამიტომაც თავის სიცოცხლეში პოეტს იგი არ გამოუქვეყნებია. შემდეგი სადღეგრძელო მიმართულია მამულისადმი, რომელსაც ავტორი გვიხატავს დედამიწის ულამაზეს კუთხედ:

სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?  
ერი გულადი, პურადი, მეზრძოლი შავის ბედისა?!

მამულის სიყვარულით ანთებული პოეტი მოუწოდებს ქართველთ:

სოფელი იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა,  
თუ ფუჭი მისი სიცოცხლე ვერა რას არგებს მამულსა!  
მის სადიდებლად ჩვენც შევჰხვდეთ უშიშრად ათასს მახვილსა  
და მოვჰკვდეთ, თუ კი სიკვდილით ვადიდებთ მისსა სახელსა!

ამ პოეტური ტირადის მწვერვალია განთქმული სტროფი:

მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას:  
ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობას!  
კაცი ის არის, ვინ არის ზეგარდმო მადლით ცხებული;  
მის მხოლოდ ღვაწლი არს კეთილ, მით მხარე დამშვენებული!

მეგობრობის სადღეგრძელო თავდება მოწოდებით:

ვიყვნეთ ცოცხალი მეგობრად და ვინცა ომში დაეცეს,  
ცრემლნი, კურთხევა მეგობართ თან გავაყოლოთ სამარეს<sup>[17]</sup>.

მომდევნო სადღეგრძელო ეძღვნება სიყვარულს. პოემის I და II ვარიანტები უკვე შეიცავენ ამ ადგილს და ჩვენ მას შევეხეთ პოეტის სატრფიალო მოტივების ანალიზის დროს. მაგრამ სიყვარულისადმი მიძღვნილი სადღეგრძელოს საბოლოო რედაქცია უფრო გავრცელებულია, გაღრმავებული და დახვეწილი, რაც აგრეთვე აღნიშნული გვექონდა ზემოთ. პოემა მთავრდება ბუნების გამოღვიძების აღწერით. ქართულ პოეზიაში იშვიათად მოიპოვება განთიადის ისეთი წარმტაცი სურათი, როგორც გრ. ორბელიანის კალმითაა შესრულებული.

პოეტი მიესალმება " მიძინებული ბუნების" გაღვიძებას, დილის შუქს და მიმართავს მას:

სიბნელეს აქრობ ნათელით, სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას!..

ამრიგად, პოემა იწყება ბინდის დაცემის აღწერით და მთავრდება განთიადის ზეიმის გამოსახვით. ღამისა და დილის კონტრასტული დაპირისპირების ასეთი, თითქოსდა მუსიკალური, სიმფონიის ლეიტმოტივის მსგავსი, განვითარება გრ. ორბელიანის უსიუჟეტო პოემას ერთგვარ კომპოზიციურ მთლიანობას ანიჭებს.

" სადღეგრძელოს" ბოლოში აქვს მიძღვნა ალექსანდრე ორბელიანისადმი. ამ მიძღვნაში პოეტი მოაგონებს თავის ადრესატს, რომ მათი " ძმანი და ტოლნი ვაჟკაცნი" აღარ არიან ცოცხალთა შორის და " ძველთაგან დავშითთ მე და შენო". პოეტის ღრმა მწუხარებას გამოხატავს შემდეგი ელეგიური სტრიქონები:

ან ეს რაცა ვჰსთქვი, რადა ვჰსთქვი, თუ რაც მინდოდა, ვერა ვჰსთქვი?

და ვერ ვჰსთქვი რაცა, ის წყლულად, გულს დაშთა და მით ვიტანჯი!

მაგრამ, თუ ვინმემ აქ ჰპოვა აზრი ნაცნობი გულისა,

ვივიწყებ, რაც ვსვი სიმწარე ეკლიანს გზაზე სოფლისა!..

1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მთავარი მონაწილისათვის სრულიად გასაგები უნდა ყოფილიყო, რის " თქმაც" ეწადა, მაგრამ ვერ თქვა გრ. ორბელიანმა. ალ. ორბელიანს, ალბათ, ჩინებულად

ესმოდა აგრეთვე პოეტის მიერ ნართაულად აღნიშნული მის მიერ “ შესმული სიმწარეც” (გრ. ორბელიანი, უეჭველია, თავის ძველ იარებზე მიუთითებს ამ მიძღვნაში!). უკანასკნელი ტაეპი მიძღვნისა ღრმა პესიმისმითაა გამსჭვალული:

ვკმზერ მწუხარებით მომავალს და ვკსწყევლი ფუჭად წარსულსა!

თანაც ეს სტრიქონები, მთელ მიძღვნასთან ერთად, იდეურად აუქმებს რუსეთის მონარქისადმი მიმართულ პოეტურ ვედრებას.

“ სადღეგრძელო” შესანიშნავი პოეტური ნაწარმოებია, მაგრამ მას თან ახლავს ზოგიერთი თვალსაჩინო ნაკლიც. ესაა: ალაგ-ალაგ სტილისტურად დაუხვეწავი სტრიქონები, სუსტი რითმები, ზედმეტი მჭერმეტყველებისა და დამრიგებლობის ტონი ( რასაც თვით ავტორიც გრძნობს!) და სხვ.

\* \* \*

საქართველოს წარსული დიდების აღდგენის სურვილი, აგრეთვე კაცთმოყვარეობისა და ჰუმანიზმის მაღალი იდეალები, რომლებიც “ სადღეგრძელოშია გამოთქმული – ძირითადი მოტივებია გრ. ორბელიანის პოეტური შემოქმედებისა საერთოდ ამ პერიოდში. ამავე ხანებში წერს გრ. ორბელიანი აგრეთვე თავის საუკეთესო პატრიოტულ ლექსს “ თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში”, სოციალური მოტივის შემცველ განთქმულ “ მუშა ბოქულამეს” და შესანიშნავ “ ფსალმუნს”, რომელიც პოეტის ზნეობრივი იდეალების გამომხატველ ნაწარმოებად უნდა მივიჩნიოთ.

“ თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში” წარმოადგენს ლირიკულ მონოლოგს მშობლიური ქვეყნის ბედზედ ღრმად ჩაფიქრებული მოხუცი პოეტისა, რომელიც ბეთანიის განთქმული ფრესკის წინაშე დგას და მოწიწებით შესცქერის თამარის სახეს; “ ცრემლმორეული ემთხვევა” თამარის “ ფერხთ” და ამბობს:

მიხარის – გიმზერ  
ვკსწუხვარ და გიმზერ  
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,  
არ გამოვფხიზლდე,  
რომ აღარ ვკგრძნობდე,  
ჩემი სამშობლოს სულით დაცემას!...

იგი ევედრება თამარს " მოხედოს ბედკრულს" მის " სატრფოს მამულს" და აკურთხოს ჯვრით, რათა მისი " ივერი აღსდგეს ძლიერი და დადგეს ერთად სხვა ერთა შორის" წმინდა საყდართ, მდიდარი ენით და " სწავლისა შუქით განათებული". თამარის მიერ ნაკურთხი მომავალი საქართველო პოეტს წარმოუდგენია " ზნე-ამაღლებულ" და " სულიერად განახლებულ" ქვეყნად, სადაც " გამქრალია ბნელი უმეცრებისა" და სადაც კვლავ " ისმის სიტყვა ქართული რუსთაველისა". მაგრამ გრ. ორბელიანისათვის დახშული იყო საქართველოს ასეთი მომავლის რწმენა. იგი კითხულობს:

ვაჰ თუ რაც წახდეს  
ველარა აღსდგეს  
ველარ აღყვავდეს ახლის შვენებით!  
და რაც დაეცა,  
ის წარიტაცა  
შავმან ყორანმან, ვით უმწე მსხვერპლი!

ლექსს აქვს ტიპიური რომანტიკული დასასრული:

ჰე, ცრუ სოფელო,  
დაუნდობელო,  
შენში კეთილი სად არს ფერ-უცვლელ?  
დიდება ჩვენი  
ცად სხივ-მიმფენი,  
ნუთუ ესლა გვაქვს, ვჰხედავთ რასაცა?  
დაყრუებულსა,  
გზა შეუვალსა,  
უდაბურს ტყეში ტამარს დარღვეულს,  
სად სახე მეფის  
დიდის თამარის  
ჰსჩანს ძველს კედელზე გამოხატულად!...

გრ. ორბელიანის შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი თემა – საქართველოს მძიმე და დუხჭირი აწმყოს საკითხი და ოცნება " ძლიერი ივერიის" წარსული დიდების აღდგენისა მის უკანასკნელ პატრიოტულ შედეგში სასოწარკვეთილების შეგნებითაა გაშუქებული, სასომიხდილი პოეტი თამარის აჩრდილს შესთხოვს თავის სამშობლოზე კურთხევის გარდმოვლენას, მაგრამ ეჭვით აღვსილს ივერიის ხელახალი აღორძინება არ სჯერა.

მიუხედავად გრ. ორბელიანის პატრიოტიზმის წოდებრივი ფესვებისა და ისტორიულ ასპექტში სრულიად გასაგები შეზღუდულობისა და ცალმხრიობისა, მისმა პატრიოტულმა ქმნილებებმა, უწინარეს ყოვლისა "სადღეგრძელომ", "იარალიმ" და "თამარის სახემ" დიდი როლი ითამაშეს ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების განმტკიცების მხრივ XIX საუკუნეში. ამავე დროს ზემოთ დასახელებულ ნაწარმოებთა მხატვრული ღირსებები დიდი და მრავალფეროვანია.

\* \* \*

გრ. ორბელიანის შემოქმედების მესამე პერიოდში მკაფიოდაა აგრეთვე კაცთმოყვარეობის, ჰუმანიზმისა და ამასთან დაკავშირებით სოციალური უთანასწორობის იდეებიც. "სადღეგრძელოს" საბოლოო რედაქციაში (1870) გამოთქმული აზრები ნიჭისა და ღირსებისადმი პატივისცემის შესახებ (წოდებრივი განსხვავებისაგან დამოუკიდებლად), ადამიანის სიცოცხლის მიზნად "კეთილი საქმისა" და "დაცემულის აღდგენის" აღიარება შემდგომ გაღრმავებას პოულობს ლექსებში "მუშა ბოქულაძე" და "ფსალმუნი".

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირველი ლექსები "მუშა ბოქულაძე". ეს ერთადერთი ლირიკული ქმნილებაა პოეტისა, რომელიც სოციალურ მოტივს შეიცავს. ლექსი წარმოადგენს მონოლოგს მუშისას, რომელიც თვითონვე აგვიწერს და ახასიათებს თავის სულიერ, ფიზიკურ და ნივთიერ მდგომარეობას. ესაა აღსარება შრომისაგან წელში გაწყვეტილი, უილაჯო და ღონემიხდილი ადამიანისა, რომელიც სოციალური ანტაგონიზმის მსხვერპლი გამხდარა. ლექსი იწყება მუშის გარეგნობის აღწერით, მკითხველი ხედავს "ოფლით გასვრილსა და მტვრიანს", "კისერჩაყანგებულს", "ბედით დაჩაგრულ" და "სიყრმიდანვე სიღარიბით დევნილ" პროლეტარს, რომელსაც "სიცოცხლე ტანჯვად გადაქცევია ლუკმა პურის შოვნით". მას განუცდია "ძმის ღალატი, მოყვასთაგან დაჩაგვრა", "იუდასაგან ამბორი" და "საყვარლისაგან წყეული სიყვარული". მუშას "ბედად დაშთენია" "ტანჯვით შრომა, ოფლით ძებნა ლუკმისა", მან იცის, რომ

სიღარიბე მეტად ძნელი ყოფილა  
მე ვმუშაობ... სხვანი კი იმღერიან!

მუშას "ესმის ბაღით ჭიანურის, ლხინის ხმა" და "სავათნავას გულდამწველი სიტყვები", მაგრამ ხმის აყოლება ვერ გაუბედა, "

რცხვენია!“ მე მათი რა ტოლი ვარო!” და თვალში “ ცრემლ-  
მორეული“ თავისთვის კვნესის, თავის ხვედრს სწყევლის:

წყეულ იყროს, ვინცა მუშა აკურთხა,  
მოკლებული ყოველგვარის შვებისა,  
კაცთა შორის კაცად არ მიჩნეული!..

მაგრამ გრ. ორბელიანის მუშა ადამიანურ ღირსებებს  
მოკლებული როდია: მას “ აქვს კეთილის გრძნობა” , იგი,  
მაგალითად, “ გონებაშიზიდული“ ყურს უგდებს ხოლმე “მღვდლის  
ლაპარაკს“ და თუმცა მისი სიტყვები “ ზოგჯერ არ ესმის” , მაინც “  
უხარიან მათი სმენა“; მუშის სიტყვით “ სიღარიბე კაცის გულს  
ახდენს“ და “ სულის სხივსა და გონებას აბნელებს“. მონოლოგი  
მთავრდება “ განცხრომის ძისადმი“ მიმართვით:

ჰე, ძმავ, წადი, შენ შენს გზაზე სიმღერით,  
მე ჩემს ბარგსა როგორმე იქ მოვიხსნი,  
სად მე და შენ ვიქნებით თანასწორნი.

ამრიგად, გრ. ორბელიანის მუშის რწმენით, სოციალური  
უთანასწორობა, ღარიბისა და მდიდრის გათიშულობა მუდმივი და  
ფატალურად გარდუვალი მოვლენაა; ეს რწმენა გამორიცხავს მასში  
აქტიურ სულს, ბრძოლის სურვილს, არსებული სინამდვილის  
შეცვლის იმედს. გრ. ორბელიანის მუშა სოციალურ ფენებს შორის  
დისტანციისა და ზღვარის წაშლას მხოლოდ “ საუკუნოს  
განსასვენებელს ალაგს“, ე. ი. საიქიოში, მოელის.

“ მუშა ბოქულაძე“ ერთსა და იმავე დროს ასახავს როგორც  
თვითონ ავტორის ძალზედ განყენებულ, ზოგად ჰუმანურ  
თვალსაზრისს დაჩაგრული ფენის წარმომადგენლის სულიერ  
ვითარებაზე, ისე კონკრეტულ ისტორიულ სინამდვილეს, 80-იანი  
წლების ქართველი პროლეტარი ბოგანოს შეგნებასაც. მუშა  
ბოქულაძე, ერთი მხრივ, ხაზს უსვამს საკუთარ არსებაში  
ზოგადკაცობრიულ თვისებებს, აგრეთვე რელიგიურ განწყობილებას  
("სულს მიმაგრებს ძალი ნუგეშცემისა, ზეციურის მადლით  
განათებული"), ბოროტისა და კეთილის ბრძოლას თავის თავში და ა.  
შ. ხოლო, მეორე მხრივ, იგი სრულიად მართებულად ხედავს ამ  
“ბოროტებისა“ და “ სულიერი სიბნელის“ სათავეს საზოგადოებაში  
ორი მოპირდაპირე ბანაკის – ღარიბებისა და მდიდრების-  
არსებობაში, საერთოდ-სოციალური დისჰარმონიის ფაქტში:“თვით



მეც, მუშა, ჩემის ღონით, ოფლით, შენთვისა ვარ დაბადებით მსახურადო“, - მიმართავს იგი“ განცხრომის ძეს“.

ნაწილობრივ რეალური ისტორიული საფუძველი მოეპოვება მუშა ბოქულადის პასიმიზმსაც, მის უმოქმედობასა და სოციალური პერსპექტივის უქონლობას, რამდენადაც 80–იანი წლების ქართული პროლეტარი ჯერ კიდევ არ იყო რევოლუციური შეგნებით და მომავალში სოციალური უთანასწორობის მოსპობის რწმენით გამსჭვალული. ამიტომ მის ჩივილს შეუძლია მიიღოს ტიპიური სოციალური პრეტესტის ფორმა ამ დროისათვის და გრ. ორბელიანსაც არ შეეძლო ბქუნებაში არსებული მოვლენის აღნიშვნა. ასეთი რამ, როგორც ცნობილია, არც “ მუშა ბოქულადის“ წინამორბედი ლექსის ავტორის ი. ჭავჭავაძეს აღუნიშნავს, თუმცა “ შრომის ახსნის“ იდეას იგი ჯერ კიდევ 60 – იანი წლების გარიჟრაჟზე ქადაგებდა. მიუხედავად ამისა, გრ. ორბელიანი უეჭველად აჭარბებს, რადგანაც მისი მუშა ბოქულადე დაჯილდოებულია არატიპიური ნიშნებითაც, უწინარეს ყოვლისა-რელიგიური გრძნობით შეფერილი ბრმა მორჩილებით ბედისადმი, სრული სასოწარკვეთილებით, ფაქიზი თვითანალიზით. ყოველივე ეს იმდროინდელი ქართველი პროლეტარისათვის დამახასიათებელი არაა. მუშა ბოქულადე არ გამოთქვამს მკაცრ სამდღურავს განცხრომის ძეთა მიმართ, რომელთაც ემსახურება.

“ მუშა ბოქულადე ღირშესანიშნავი ნაწარმოებია გრ. ორბელიანის ლირიკაში. პოეტმა დაინახა საზოგადოების შინაგანი გათიშულობა და გულწრფელად უთანაგრძნო სოციალური უსამართლობის მსხვერპლთ მუშა ბოქულადის სახით. გრ. ორბელიანის ლექსი აგრეთვე შესანიშნავია თავისი მხატვრული ღირსებებით:“ მუშა ბოქულადე“ ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია ქართული თეთრი (ურთიმო ) ლექსისა, თუმცა თეთრი ლექსის სხვა ნიმუშებიც მოეპოვება მას (“ ჩემი ეპიტაფია“,“ფსალმუნი“ , “ დავბერდი“და სხვ.).

\* \* \*

1864 წელს გრ. ორბელიანმა “ ლერმონტოვიდან“ თარგმნა გოეთეს გენიალური ლექსი “ მგზავრის ღამეული სიმღერა“ (Wanderers Nachtlied, 1799), რომელსაც ლერმონტოვისეული თარგმანის მიხედვით Горные вершины ქართულში სათაურად აქვს “ მთანი მაღალნი“. რუსულ თარგმანსა და გერმანულ ორიგინალთან შედარებით გრ. ორბელიანი პირველი სერიოზული მთარგმნელია მსოფლიო კლასიკოსის ამ შესანიშნავი ქმნილებისა.

სიმშვიდისა და განცხრომისადმი მოწოდება, რომელიც გრ. ორბელიანის ამ თარგმანში ისმის, თვითონ პოეტისათვის

მიუღწეველ ოცნებად დარჩა. იგი ღრმად იყო შემფოთებული ძველი ივერიის დიდების აღდგენის შეუძლებლობით და თავისი წოდების ისტორიული ხვედრით. გრ. ორბელიანის ლირიკული კრებული იხურება პოეტის გარდაცვალების წელს დაწერილი ორტაეპიანი ლექსით, რომელიც მთელი მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ტრაგიკულ ფინალად ჟღერს:

დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ, დაემხო ჩემი სამშობლო,  
გულს მიკლავს უიმედობა, საფლავს ჩავდივარ სიმწარით.

გრ. ორბელიანის ეს თვითგამოტირილი იმავე დროს მთელი ქართული რომანტიკული პოეზიის უკანასკნელი მნიშვნელოვანი პოეტური სიტყვაა, აღსავსე არა მარტო ბიოგრაფიული, არამედ ღრმა საზოგადოებრივი და ისტორიული შინაარსით.

\* \* \*

გრ. ორბელიანის შემოქმედების განხილვა სრული არ იქნებოდა, თუ ჩვენ არ შევხებოდით მის ადგილს ე. წ. "მამათა და შვილთა" ბრძოლაში, აგრეთვე პოეტის შეხედულებებს ენისა და სტილის საკითხებზე.

როგორც ცნობილია, მამათა და შვილთა ლიტერატურული-იდეური ბრძოლა დაიწყო 60-იან წლებში, როდესაც ჟურნ. "ცისკარში" დაიბეჭდა თერგდალეულთა ბელადის ილია ჭავჭავაძის კრიტიკული სტატია "ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვიდგან "შეშლილის" თარგმანზედა" ("ცისკარი", 1861, № 4). ძველ და ახალ თაობათა პირველი ბრძოლა, რომელშიც გრ. ორბელიანს მონაწილეობა არ მიუღია (უეჭველია-სამსახურებრივი მოუცლევლობის გამო) მიმდინარეობდა "ცისკრის" ფურცლებზე 1861-1863 წლებში. თავდაპირველად ეს ბრძოლა უმთავრესად ლიტერატურის საზოგადოებრივი დანიშნულების, აგრეთვე ენისა და სტილის საკითხებს მოიცავდა; ახალი თაობა მოითხოვდა მწერლობის ხალხთან დაახლოებას, ძველი ენობრივი ნორმების, კერძოდ, ორთოგრაფიული და გრამატიკული არქაიზმის უკუგდებას, ისინი ილაშქრებდნენ ანტონ კათალიკოსის ავტორიტეტის წინააღმდეგ, უარყოფდნენ მაღალ სტილს და ა. შ. ყოველივე ეს "მამების" უკმაყოფილებას და გულისწყრომას იწვევდა.

ხელმეორედ პოლემიკა ახალი სიმწვავით დაიწყო 1871 წელს. შეტაკების საბაზი გახდა ისევ ი. ჭავჭავაძის გამოსვლა, კერძოდ, მისი ცნობილი "გამოცანები" (1871 წ. დეკემბერი), რომლებიც

ხელნაწერების სახით გავრცელდა საზოგადოებაში და დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია "მამებს" შორის. "გამოცანებში" იგულისხმებოდნენ ქართველი თავადაზნაურების წარჩინებული წარმომადგენლები – მარშალი რევაზ ანდრონიკაშვილი, გიორგი და ივანე მუხრანბატონები, იასე ჭავჭავაძე, ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი, გრ. ორბელიანი და სხვ. ამ პირთ არ შეუსრულებიათ ახალი თაობის ("თერგდალეულთა") ზეგავლენით სპეციალურად მოწვეული თავადაზნაურობის ყრილობის მიერ გამოტანილი დადგენილება, რომელიც ითვალისწინებდა 1871 წელს საქართველოში ჩამოსულ იმპერატორ ალექსანდრე II-სათვის ადრესის მირთმევას თბილისში უნივერსიტეტის გახსნის შესახებ. მეფისნაცვლისა და თავადაზნაურთა რეაქციული ჯგუფის ზეგავლენით ანდრონიკაშვილს შეუცვლია ადრესის პროექტი და უნივერსიტეტის ნაცვლად უთხოვია თბილისში კადეტთა კორპუსის გახსნა<sup>[18]</sup>. ილიას მერვე გამოცემა ეხებოდა გრ. ორბელიანს. ეს ეპიგრამა, დანარჩენი გამოცანებისაგან განსხვავებით, პოეტისადმი განსაკუთრებული პატივისცემით იყო გამსჭვალული. მიუხედავად ამისა, "გამოცანებმა" გრ. ორბელიანის აღშფოთება გამოიწვია. 1872 წელს მან დაწერა "გამოცანების პასუხი", რომელიც ამჟამად "პასუხი შვილთას" პირველი ვარიანტის სახითაა ცნობილი. იგი ახალი თაობისადმი მიმართული ძალზე დამამცირებელი ეპითეტებით იწყება:

კოლო –ბუზებო,  
ლიბერალებო,  
ჭკუით გლახებო, პატრიოტებო,  
გზა დაკარგულნო,  
წყალ-წადებულნო.  
კატის კნუტებო, სიდგანა კნავით? და სხვ.

გრ. ორბელიანმა თავისი პასუხი დაბეჭდა ჟურნ. "ცისკარში" 1874 წელს სათაურით "პასუხი უღირსთა შვილებთა". ესაა მეორე, საბოლოო ვარიანტი "პასუხი შვილთასი". მკვახე ტონი აქ შერბილებულია, ამოღებულია ძალზე დამამცირებელი ეპითეტებიც, რომლებიც პირველ ვარიანტში გვხვდება ("კოლო – ბუზებო", "კატის კნუტებო", ვირი წავიდა, ვირი მოვიდა" და მისთ.), სამაგიეროდ იგი უფრო გავრცობილია და იდეური თვალსაზრისით საინტერესო მასალას შეიცავს.

ცნობილია ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის საპასუხო ლექსები გრ. ორბელიანის "პასუხზე" ( ილიას "პასუხის პასუხი",

აკაკის " ხარაბუზა ღენერალს", კოლო-ბუზების პასუხი", პატრიოტის აღსარება", ს. მესხის წერილი " ჩვენი მამები და შვილები" და სხვ)<sup>[19]</sup>.

ამგვარად, გრ. ორბელიანი ძველი და ახალი თაობის ბრძოლაში აქტიურად მხოლოდ 70-იან წლებში ჩაება.

გრ. ორბელიანის " პასუხის" ორივე ვარიანტის მიხედვით შეიძლება ნათლად წარმოვიდგინოთ პოეტის შეხედულებანი ახალი თაობის (" შვილების") შესახებ. ყველა მათ გრ. ორბელიანი უწოდებს " ცრუ ლიბერალებსა და პატრიოტებს", რომელნიც " გაბოროტებით სწყევლიან მამებს". ამათი ( მამების) დრო კი, პოეტის შეხედულებით, იყო " დრო მამაცობისა". იგი მოაგონებს შვილებს, რომ

მამანი თქვენნი,  
თავის დროს ძენი,  
თავის დროს იყვნენ სახელოვანნი!  
ოსმალ- სპარსები,  
დალისტნის მთები  
ქებით გეტყვიან დიდთა მათ საქმეთ.

მამებს " სისხლით დაუცავთ მამული თვისი", " ენა, საყდარი სარწმუნოება" შემდეგ " დრო შეცვლილა", სწავლა გამეფებულა" და " შვილებისათვის გაღებულა სახლი სიბრძნისა", მაგრამ მათ არ გაუმართლებიათ მამების იმედი:" სწავლად მისულნი წამხდარან ზნეობით" და სამშობლოში დაბრუნებულთ პედაგოგიურ სარბიელზე მოღვაწეობის დროს " უსასოება და ურწმუნოება უმანკოთ გულში ღრმად ჩაუნერგიათ". " და დაიწყევლა თქვენი აქ მოსვლა და თქვენი სიბრძნის ნაყოფი შხამიო", - ამბობს პოეტი, განსაკუთრებით აღშფოთებულია გრ. ორბელიანი შვილთა ერთი ნაწილის, " ჟურნალისტი მწერლების" მიერ მშობლიური ენის დაკნინების გამო: " მათ უსწავლელთა, ცრუ რუსთაველთა სულ წაგვიბილწეს ენა მდიდარი, ენა მაღალი! მის ძალი, მადლი უწყალოდ წახდა უწმინდურთ ხელშიო" - აცხადებს იგი და დასძენს:"ერის ცხოვრება, მისი დიდება, მის ისტორია დაცულ არს ენით; რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას". ისტორიული ასპექტის გარეშეც ამ სიტყვებს დღესაც არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა.

შემდეგ გრ.ორბელიანი მოითხოვს შვილებისაგან:" აჰა, დიდების და სახელ-ქების ასპარეზია თქვენთვის დაცლილი" და " ხმალის ტრიალით, ძლევის ყიჟინით" რომელიმე " იმ თქვენმა გმირმა" " ხელს ბაირალით ძირს დასცეს ყარსი". პოეტს ეეჭვება ახალი თაობის "

მაღალი ფრაზები“ “ საზოგადოების სულით აღდგენაზე“. “ ერთობისა, ძმობისა და მამულისათვის თავის განწირვის“ შესახებ; “ სიტყვა–სიტყვაა, საქმე კი –სხვაა“, - გნმარტავს იგი. და ბოლოს ახალი თაობის “ სიცოცხლეს ფუჭად მიმავალს“ უწოდებს, აბრალებს მათ “ უქმობას, არარაობასა და უმეცრების ამაცობას“.

ახალი თაობის საუკეთესო ნაწილის მისამართით არც ერთ ამ ბრალდებას არ გააჩნია საფუძველი. “ შვილების“ განსაკუთრებული ღვაწლი ქართველი ხალხისა და მისი კულტურის წინაშე ბოლოს თვითონ გრ. ორბელიანმაც შეიგნო: ცნობილია მამათა და შვილთა ორი ბანაკის მეთაურების, თვითონ გრ. ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის საუკეთესო პირადული და საზოგადოებრივი ურთიერთობანი 80–იან წლებში, როცა თაობათა ბრძოლა დაცხრა და იგი ისტორიის კუთვნილება შეიქმნა.

\* \* \*

გრ. ორბელიანი, საერთოდ, მწვავედ განიცდიდა ქართული ენის დაცემას. ცნობილია მრავალი მისი ბარათი ამ საკითხზე მიწერილი სხვადასხვა პირისადმი. დამახასიათებელია პოეტის შემდეგი სიტყვები: “ ვისაც არ უყვარს თავის სამშობლო ენა, მას, უეჭველია, არ უყვარს თავის მშობელნიცა, თავის წინაპარნიცა, თავის მამულიცა; ენა არის შემნახველი მამა-პაპის ყოფა-ცხოვრებისა, მათი სარწმუნოებისა, ჩვეულებისა, ესე იგი თვით ისტორია“ (წერილი სალომე მიურატისადმი 1877 წ. 12 აგვისტოს თარიღით<sup>[20]</sup>). ენის დაცემის ერთ-ერთ მიზეზად იგი სთვლიდა “ ჟურნალისტი მწერლების“ ( ახალი თაობის გარკვეული ნაწილის) მხრივ ქართულის ნორმების უცოდინარობას. გრ. ორბელიანის კალამს ეკუთვნის სპეციალური კრიტიკული წერილი “ მგზავრობა სვანეთისაკენ, გ.წ.“, რომელიც მან “ ძველი სემინარისტის“ ფსევდონიმით დაბეჭდა ჟურნ. “ ცისკარში“ 1874 წელს ( № 9-10), აგრეთვე სატირული ლექსი “დროების ათი წლის იუბილე“ , მიმართული ს. მესხისა და მისი გაზეთის წინააღმდეგ (1876). ეს ორი პოლემიკური ხასიათის წერილი შუქს ფენს გრ. ორბელიანის შეხედულებებს გრამატიკისა და სტილის საკითხებზე, აგრეთვე მის დამოკიდებულებას თერგდალეულთა მოღვაწეობისადმი 70-იან წლებში.

კრიტიკული “ განხილვა“ ეხება ცნობილი თერგდალეულის გ. წერეთლის მოთხრობას “მგზავრის წერილები, ანუ კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“.წერილის ავტორი აფრთხილებს მკითხველს:“ მე არ შევეხები ავტორის იდეასა,არცა მისსა მიმართუასა. მე ვეძებ ქართულს მოთხრობასში მხოლოდ ქართულის

ენის სიწმინდესა. მსგავსად სხუათა ენათა ქართულსაცა აქვს თავისი თვისება, თავისნი კანონები მართლწერისა და უბნობისა, ესე იგი თვისი დრამატიკა, რომელიცა ასწავლის ყოველსა ამას თეორეტიკულად და რომლისა ზედმიწევნით ცოდნა საჭირო არის მწერალთათვის“. „მწერალმან უნდა იცოდეს ენა, რომელზედაც სწერს, ან ტეორეტიკულად, და ანუ პრაქტიკულად“. გრ. ორბელიანი დამსახურებად უთვლის „ეხლანდელ მწერალთ“, რომ „იგინი გულმხურვალედ“ შეუდგნენ „აღდგენას ჩუენისა და ვრდომილისა ენისა, მაგრამ ზოგიერთის წერასში მოჰსჩანს მრავალი შეცდომილება“, იმის გამო, რომ „მათ არ ჰქონიათ შემთხვევა ღრმად შესწავლებისათვის ქართულისა ენისა“ და „არა არიან ჩვეულნიცა საღმრთოს წერილისა, რომელიცა არის, მართლად, გამოუღვეელი საუნჯე ჩვენის ენისაო“. შემდეგ პოეტი თავს იმართლებს ქალების წინაშე („რომელნიცა ყოველსა დროსა ყოფილან და ახლაცა არიან უკეთესნი ენის დამფასებელნი“) გრამატიკის საკითხებზე რომ უხდება საუბარი და დასძენს: „რა ვჰქმნა, არც მე მაქვს ამასში ბრალი. ეს გახლავსთ ერთი ნამცეცა ნაწილი პლატონის დრამატიკისაო“ (იგულისხმება პლატონ იოსელიანი, ავტორი „ქართული ენის დრამატიკისა“). როგორც პოეტის განცხადებიდან ჩანს, იგი თავისი გრამატიკული ხასიათის შენიშვნებში პლატონ იოსელიანის ნორმებს ემყარება. პლატონ იოსელიანი კი გრამატიკული არქაიზმის დამცველი იყო. გრ. ორბელიანის კრიტიკულ „განხილვაში“ მოიპოვება მთელი რიგი ადგილები, რომლებიც თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებენ პლატონ იოსელიანის შეხედულებებს ქართული ენისა და, საერთოდ, სალიტერატურო მეტყველების ნორმებისა და სტილის შესახებ. გრ. ორბელიანი ამ წერილში იცავს:

1) ძველ ორთოგრაფიას. იგი წერს: „იშვიადსა ენასა აქვს ისეთი სრული ანაბანა, როგორიცა ქართულსა ... მაშასადამე, ამ ასოების უარის-ყოფა, გადაგდება უეჭველად სავნებელი არის ენისათვის...“ „ანტონ კათალიკოსმა, დიდად მცოდნემ ქართულისა ენისა, არა თუ დააკლო, არამედ მიუმატა ასო ღ“.

2) მორფოლოგიაში, მაგალითად, თავგამოდებით იცავს იმ აზრს, რომ „ყოველი შემოქმედებითი ზმნა საზღურებით სქესში პირველი პირი უნდა დაიწეროს ისე, რომ მეორე ასო ზმნისა იყოს ჰ, რადგან ხმის ამოსვლაშიაც სწორედ ასე გვესმის, მაგალ. ვჰსწერ, ვჰგალობ, ვჰკლავ და სხუანი, ხოლო მეორესა და მესამე პირში დაიწერება ასოთი ჰ, მაგალ. ჰსწერ, ჰსწერს, ჰგრძნობს, ჰკლავს და სხუანი“. ასეთივეა დაახლოებით ავტორის შეხედულებანი ქართული სინტაქსის საკითხზე.

3) ქართული სალიტერატურო ენის ნიმუშად გრ. ორბელიანს, უწინარეს ყოვლისა, მიაჩნია " სირიის და ბერძნულის ენით გადმოღებული ქართულად საღმრთო წერილი ესრეთის მშუენიერ სიტყუაობითა და ძლიერებითა". იგი მომხრეა ძველთაგან შემუშავებული არქაული ნორმები უცვლელად დარჩეს.

4) ენაში პროგრესისა და ახალი სტილის მიმართ გრ. ორბელიანი კონსერვატორი რჩება. იგი წერს: " ახალი სტილი ვერასოდეს ვერ შესცვლის ენის ბუნებითსა თვისებასა...ენის თვისება მყოფობს მარადის შეურყეველად. ენა არ არის მოგონებული ერთისა ვისგანმე, რომ მეორესა შეეძლოს ძირიანად შეცულა მისი".

5) ენის დემოკრატიზაცია, რომელსაც თერგდალეულები მოითხოვდნენ, გრ. ორბელიანის ასეთს კორექტივს იწვევს: "ხშირად ამბობენ აწინდელი მწერალნი:" ხალხის ენაზედ ვსწეროთ". მაშ რა ენაზე უნდა დასწერონ ? მაგრამ ეს კი უნდა ახსოვდეთ: ხალხის ენა არის მხოლოდ მასალა შემუშავებული. ვიდრე დახელოვნებული მწერალი მასალას მას არ გადაარჩევს კარგსა უვარგისისაგან, არ გაჰსწმენდს, ან გაამშუენიერებს და დიდებულებითა არ აღიყუანს სალიტერატუროს სამფლობელოში... ტალახი დარჩება ისევ ტალახად".

ყველა ამ პრინციპების უგულებელყოფასა და " ენის წახდენას" ხედავს პოეტი გ. წერეთლის პროზასა და, საერთოდ, "ახალი მწერლების" მეტი ნაწილის მოღვაწეობაში." კიკოლიკის" ენობრივი და სტილისტური შეცდომების აღნუსხვის შემდეგ გრ. ორბელიანი მიმართავს ახალ თაობას: " ყოვლის მხრით ღაღადებდა ყვედრებისა ქართულის ენის წახდენისათვის უნდა გესმოდესთო". მისი შეხედულებით, ქართულ ენას, რომელიც " ესრეთ ლამაზად და დიდებულებით ჰბრწყინავს ჩვენს საღმრთოს წერილში", უფრთხილდებოდნენ და ინახავდნენ შეურყეველად " ბერები მონასტრებში, ეკლესიებში მღუდლები" და "ჩუენი ქალები", ახლა კი რედაქციებში ირყენება იგიო. პოეტი განსაკუთრებით თავს ესხმოდა გაზეთ " დროებასა" და მის რედაქტორ ს. მესხს. პოეტის სატირული ლექსი " დროების ათი წლის იუბილე" (1876) ასე იწყება:

ვერ ისწავლა მესხიმ წერა  
ვერა!.. ვერა!..

ამ ლექსში იგივე საყვედურებია გამოთქმული, რასაც ავტორი გ. წერეთლის მოთხრობის " განხილვაში" გამოთქვამდა ენის " წაბილწვისა" და " გაბაზრების" შესახე. ამგვარი შეხედულებისათვის

გრ. ორბელიანს არ უღალატნია. იგი ბოლომდე დარჩა აგრეთვე ძველი სალიტერატურო ენის ნორმების დამცველი...<sup>[21]</sup>

გრ. ორბელიანი ზოგჯერ ენის დემოკრატიზაციის დამცველის როლშიაც კი გამოჰყავთ. ამის საბუთად მიუთითებენ პოეტის ზოგიერთ გამონათქვამებზე, რომელნიც არ ეთანხმებიან პოეტის თეორიულ დებულებებს, მაგრამ ერთია თეორია და მეორე – მისი პრაქტიკული რეალიზაცია. ჯერ კიდევ ი. მეუნარგია აღნიშნავდა – თვითონ პოეტი არ მისდევდა თავის თეორიას თავის ნაწერებში. თუმცა არც ეს შეხედულებაა მთლად საფუძვლიანი: გრ. ორბელიანი მხოლოდ ზიგიერთი ჟანრის ნაწარმოებებში არ იცავს გარკვეული კანონებით გაპირობებულ თავის სტილს. ასეთია, მაგალითად, I და II პერიოდის (1832 – 1858) კერძო ბარათები, რომელთა გამოქვეყნება მას არ უფიქრია. ეს ბარათები ყოფის დოკუმენტებია, რუსიციზმებით აჭრელებული, ჩვეულებრივი სასაუბრო მეტყველების ნიმუშები. სამაგიეროდ ამ პერიოდში გრ. ორბელიანს თავისი სტილისა და ენის შესაბამისად აქვს დამუშავებული “ დღიურის” ერთი ნაწილი (“ მგზავრობა ჩემი...”), პროზაული ესკიზები და თარგმანების ნაწილი ( ნიმუშები ზემოთ გვაქვს მოყვანილი). საკმარისია მათი თუნდაც ზერელე გაცნობა, რომ დავრწმუნდეთ – რაოდენ დიდი უფსკრულია გრ. ორბელიანის შეგნებულ ლიტერატურულ მეტყველებასა და შემთხვევით დაწერილ კერძო ბარათებს შორის. გრ. ორბელიანის “ სადღეგრძელო” და მისი ლირიკული ლექსები “ ჩემს დას ეფემიას”, “ იარალის”, “ თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში” - ამაღლებული, კეთილშობილი პათეტიკისა და არქაისტული მეტყველების ნიმუშებია. გრ. ორბელიანის ენა და სტილი ამ შედეგებშია გამოხატული. რაც შეეხება პოეტის “ მუხამბაზებს”, მათი ენობრივი სისადავე თვითონ ჟანრის მზამზარეული ფაქტურიდან მომდინარეობს: ესაა ინტონაცია და სასაუბრო მეტყველება ქალაქური ფოლკლორისა, გამოყენებული პოეტის მიერ დაბალი ფენების მოქალაქეთა ტიპიზაციისათვის.

ყოველივე ზემოთ თქმული იმას როდი ნიშნავს, თითქოს გრ. ორბელიანისათვის სრულიად უცხო იყო კომპრომისები ახალი სალიტერატურო ენის ფორმირების წინაშე. თვით პლატონ იოსელიანიც მიესალმა გ. ერისთავის მიერ “ ახალი ენის დაბადებას”, მაგრამ ეს გარემოება არ მოწმობს ცნობილი არქაისტის მიერ საკუთარი პოზიციების დათმობას. გრ. ორბელიანსაც გამოუთქვამს თავისი აზრი ზოგიერთი “მკვდარი სიტყვების” გამოყენების წინააღმდეგ, მაგრამ ეს არ ცვლის ჩვენს საერთო წარმოდგენას პოეტის ენობრივი პოზიციების შესახებ. როგორც ზოგიერთი მისი რეალისტური ლექსი (მაგ., “ მუხამბაზები”), გრ. ორბელიანს



რეალიტურად არ აქცევს, ასევე პოეტის ნაწილობრივი კომპრომისები ახალი სალიტერატურო ენის წინაშე არ მოწმობს მის პრინციპულ გადახრას ენის დემოკრატიზაციისაკენ.

\* \* \*

გრ. ორბელიანის სტილსა და ფორმას თან ახლავს ზოგიერთი ნაკლი. მისი ენა ხშირად მძიმეა, აზრის გამოხატვისას პოეტი აწყდება დაბრკოლებებს, რომელთა გადალახვა მას უჭირს. ამას თვითონ პოეტიც გრძნობს.

გრ. ორბელიანის პოეტური შემოქმედება ასახავს ქართული სალიტერატურო ენის საერთო ვითარებას გასული საუკუნის პირველ ნახევარში, განვითარების იმ ეტაპს, როცა ძველი და ახალი სამწერლობო ენის გაყრის პროცესი დაიწყო.

გრ. ორბელიანის სალექსო ფორმები მოწმობს ევროპული, უმთავრესად რუსული სალექსო კულტურის ზეგავლენას ( მაგ., კომპოზიციის, სტროფიკის სფეროში). ეს ზეგავლენა განსაკუთრებით დაეტყო გრ. ორბელიანის რითმებს: პოეტის ლირიკულ შედევრებშიაც კი ზოგჯერ გამქრალია ქართული კლასიკური ლექსის ზუსტი რითმის კულტურა ( რუსული ვაჟური რითმის მიხედვით გრ. ორბელიანი ხშირად ტაქტთა მხოლოდ ბოლო ხმოვნებს რითმავს, მაგ., გვეპყრას: სუფრას, უძრავად: ორად; გმირი: ძლიერი (" იარაღის"); სასიხარულოდ: მხოლოდ, ესრეთ: ფრთეთ; ქვეშ: უნუგემ; ნელიად: სოფლად; კვალთ: სიხარულით (" ჩემს დას ეფემიას"); უკანასკნელ რითმაში კი მარტო ბოლო თანხმოვნებია შერითმული ( კვალთ: სიხარულთ). ეს ნაკლი შესამჩნევია ალ. ჭავჭავაძის პოეზიაშიც, ნაკლებ შესამჩნევი – ნ. ბარათაშვილთან.

ნაწილობრივ ეს გარემოება უნდა იყოს აგრეთვე მიზეზი იმისა, რომ გრ. ორბელიანი ქართული ურითმო ( თეთრი) ლექსის შესანიშნავ ოსტატად გვევლინება.

შედარებით სწორი რითმებით გრ. ორბელიანს დაწერილი აქვს " მუხამბაზი", მაგრამ ეს აიხსნება ჟანრის სტერეოტიპული, მზამზარეული კადენციით ( ვინავარ: ვინა ვარ; : სადა ვარ: მზადა ვარ და ა. შ.), არასწორი, ყრუ რითმები მის ტაქტებს ზოგჯერ სილაბურ ლექსწყობას უახლოვებენ ( მათი მეტრული პროფილი ყოველთვის მკაფიო არაა, მიუხედავად ზომათა მრავალფეროვნებისა). მაგრამ გრ. ორბელიანის პოეზიის ემოციური სამყარო იმდენად მდიდარია, რომ ზემოთ აღნიშნული დეფექტები ბოლოს მაინც ვერ ანელებენ მისი ლექსების შინაგან დამაბულობასა და დინამიზმს.

გრ. ორბელიანის ლირიკაში დაძლეულია აღმოსავლურ-ირანული ყვავილოვნება სტილისა, პოეტური "სამკაულების" თვითმიზნული სიჭარბე. ყველა კომპონენტი ლექსისა ორგანულად მომდინარეობს თემის ხასიათიდან, მეტწილად ისინი პოეტის შინაგან არსებაში ემოციის ან აზრის აღმოცენების უშუალო შედეგს წარმოადგენს.

ამ უშუალოებითაა აღბეჭდილი გრ. ორბელიანის პატრიოტული პათოსი, ღრმა გრძნობებით აღსავსე მისი სატრფიალო ლირიკა და, ბოლოს, მისი ფერებით მოელვარე პეიზაჟი.

---

<sup>[1]</sup> ჯ.ჭუმბურიძე, გრ. ორბელიანის "სადღეგრძელო" და ვ. ჟუკოვსკის "მომღერალი რუს მეომართა ბანაკში" (თბილისის სახ. უნივ. შრომები, ტ. 53, გვ. 179-204. 1954).

<sup>[2]</sup> აღსანიშნავია ფრაზული პარალელები ამ ლექსისა "აღსარების" ცალკეულ ტაეპებთან. მაგ., "ვიდრე იყო ქედმოდრეკილი..." შდრ. "ქვემოდრეკილი უღელქვეშ" ან "უღელქვეშ დამწარებული" ("აღსარ."). აგრეთვე: "ერი დაღადებს ვაებას" (აღსარ.), გდრ. "განიღვიძე, ისმენდ ვაებას" (ჰე, ივერიავ) და ა. შ.

<sup>[3]</sup> იგულისხმება კახეთის აჯანყება 1812 წ.

<sup>[4]</sup> შდრ. ტაეპი "აღსარებიდან": ... და ვერავინ აღსდგა მფარველად".

<sup>[5]</sup> საკითხისათვის იხ. პ. ინგოროყვას წერილი ("მნათობი", 1940, №2. და "ქართული მწერლობა", 1928, № 6-7).

<sup>[6]</sup> "1832 წლის საქმე", რვ. XXI, 4050 (საქ. არქივი).

<sup>[7]</sup> სხვაგვარად შეუძლებელია აიხსნას თვითონ ავტორის მინაწერის ქების მეორე, ყირიმის ომის დროინდელი (1854წლის) ვარიანტი აშიაზე: "ესეც ტოლუბაშის არის". პოეტს არ შეეძლო "ტოლუბაშში" შეეტანა ხელმწიფის ქება მეორე ვარიანტის სახით, რადგან ეს დაარღვევდა ისტორიულ პერსპექტივას: 1826-1828 წლების რუსეთ-ირანის ომთან დაკავშირებით ყირიმის ომის ამბებზე ლაპარაკი ძალზე სახამუშო ანაქრონიზმი იქნებოდა. ამკარაა გრ. ორბელიანს მხედველობაში ჰქონდა მეორე ვარიანტის ის ნაწილი, რომელიც "გულნი ივერთას" სახით (ვარიანტი) დაუწერია ჯერ კიდევ 1832 წ. მართლაცდა პოემის საბოლოო რედაქციაში ხომ ეს ნაწილი მოხვდა!

<sup>[8]</sup> გავიხსენოთ "აღსარება", აგრეთვე ლექსი "ჰე ივერიავ", რომლის ბოლო სტროფი ავტორს ცალკე ჰქონია დაწერილი ("ცხოვარს ვემსგავსეთ....") და შემდეგ შეუერთებია ლექსისათვის.

<sup>[9]</sup> ამასთან: "ტოლუბაშის" პირველი ვარიანტი დაიწერა 1827 წელს, როცა გრ. ორბელიანის პოლიტიკური რადიკალიზმი მთლად ჩამოყალიბებული არ ყოფილა. საქართველოში ცირიზმის წინააღმდეგ შეთქმულება მხოლოდ 1829 წლიდან მწიფდებოდა.

<sup>[10]</sup> გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. III (ხელნაწერი).

<sup>[11]</sup> ამ სტროფის უკანასკნელი ორი ტაეპი პოემის ბოლო რედაქციაში (1870)

შეცვლილია უფრო სრულყოფილი და მრავლისმთქმელი ტაეპებით: "რომლის შუქი აღგვამაღლებს, რომლით სული გვინათლდება, რომლით კაცი მშვენიერებს, მაშინ

თვით ღმერთს ემსგავსება“. მაგრამ ფრიად დამახასიათებელია, რომ სიყვარულის ასეთი ღრმა გაგება გრ. ორბელიანს მოცემული აქვს ერთ თავის პროზაულ ეტიუდში “ზამთრისა ქარი გრიალებს“, რომელიც მას 1829 წელს დაუწერია ნინოწმიდაში. აი სათანადო ადგილიც: ( სიყვარული ) გვატკობს, გვახარებს თვით ტანჯვასაცა შინა თვისსა და აღგუამაღლებს ყოველთა მდაბალთა და უღირსთა სხვათა ვნებათაგან“.

[12] საბოლოო ვარიანტი:“ სიყვარულისა ალითა“.

[13] “ წერილები”, ტ. I, გვ. 25 ; შდრ. იქვე, გვ. 230, აგრეთვე ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, გვ. 54.

[14] იხ. “ წერილები”, ტ. II, გვ. 63 ( საადის შესახებ) და 163 (“ ვალუფის” შესახებ),

[15] შდრ. გამოთქმა ლექსში “ ნინოსადმი” ( 1830): “ მაშინ მე, შმაგი“... და სხვ.

[16] ჯერ კიდევ 1853 წელს პოლონეთში მყოფ პოეტს სწერდა ნინო ჭავჭავაძე: Когда бог приведет Вас опять в Цинандали, каждое местечко и уголок здесь напоминает вас. როცა მე და კატინა ვთამაშობთ ბილიარდს, მაშინვე ფუცკ მოგვაგონდება.

[17] ეს ადგილი ასევეა “ ტოლუბაშის” I და II ვარიანტებშიც.

[18] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 387 –390; თბ. 1951.

[19] გრ. ორბელიანისა და “ შვილების” პოლემიკა საკმაოდ ამომწურავადაა

შესწავლილი ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევართა მიერ და ამიტომ აქ ზედმეტად ვთვლით დაწვრილებით ვილაპარაკოთ მის შესახებ. ჩვენ სრულიად განზე ვტოვებთ ახალი თაობის მეთაურთა “ პასუხებს“, რადგან ის დიდ ადგილს დაიკავებდა.

[20] ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, 1945, გვ. 105.

[21] ნ. ალანია, ჟურნ “ ივერიის” ერთ- ერთ ნომერში ( ხელნაწერი). ამ მკვლევარის დასკვნით “ ძველი სამწერლო ენის მოტრფიალე პოეტს 80 –იან წლებშიც არ სურდა დრომოჭმული ენობრივი ფორმების განდევნა მართლწერიდან“.

## ნიკოლოზ ბარათაშვილი (1817 –1845)

ნიკოლოზ ბარათაშვილი დიდი ნაციონალური პოეტია, რომლის სახელთან დაკავშირებულია ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი ეპოქა. მისი შემოქმედება ქართული რომანტიკული პოეზიის მწვერვალია.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა, როგორც გენიალურმა მხატვარმა, პასუხი გასცა თავისი დროის მიერ წამოყენებულ ისტორიულ ამოცანებს. მის შემოქმედებაში აისახა ქართველი ხალხის მორალური ძალა, მისი სულიერი განვითარების ახალი ეტაპი მისი შემოქმედება გაიშალა იმ დროს, როცა ქართველი ინტელიგენცია მძიმედ განიცდიდა 1832წ. პოლიტიკური მარცხის შედეგებს და რთულ ისტორიულ სიტუაციაში ცდილობდა ღირებულებათა გადაფასებას. ასეთ ვითარებაში პოეტი ღრმად ჩასწვდა ერის წარსულსა და აწმყოს და იწინასწარმეტყველა მისი მომავალი.

ნ. ბარათაშვილის პოეზია იყო სინთეზი იმ ძიების, ბრძოლისა და ოცნებისა, რაც მის ეპოქაში ახასიათებდა კოლონიური ჩაგვრის ბორკილებში მოქცეულ ქართველ ერს.

რომანტიკოსი პოეტის ტრაგიკული და, ამასთანავე, გმირული მსოფლ შეგრძნება დიდი მრავალფეროვნებით არის გადმოცემული მის პოეტურ ქმნილებებში, რომლებშიაც მთელმა თაობამ დაინახა არა მარტო უმაღლესი იდეალი, არამედ სამოქალაქო პროგრამაც.

ნ. ბარათაშვილის პოეტური სამყარო არაჩვეულებრივად მდიდარია. " მერანის " ავტორი გვიხსნის ცხოვრების არსსა და მიზანს, იგი გვაფიქრებს სამშობლოს ბედზე, ადამიანის მაღალ დანიშნულებებზე, გვინერგავს ადამინის ძალების რწმენას. მას არ სურს, გოეთეს სიტყვებით რომ ვთქვათ, " დაემორჩილოს დროის ბორკილებს " და თავის " მერანში " ქმნის თავგანწირული გმირის დიდებულ სახეს, რომელიც ეხმაურება მსოფლიო ლიტერატურის ისეთ ტიტანურ ხასიათებს, როგორებიც არან პრომეთე და ფაუსტი.

ნ. ბარათაშვილი ჭეშმარიტების დაუცხრომლად მაძიებელი, ფილოსოფიურად მოაზროვნე პოეტია, რომელიც ეპოქის იდეების სიმაღლეზე დგას.

საკაცობრიო იდეალებს მან ორგანულად დაუკავშირა მშობელი ხალხის სულიერი მისწრაფებანი და ქართულ პოეზიას მსოფლიო გასაქანი მისცა არა მარტო იმ მხრივ, რომ თავისი რომანტიკული მსოფლშეგრძნება სრულყოფილ ესთეტიკურ სახეებში გადმოგვცა, არამედ, ამასთან ერთად, საკაცობრიო მოტივებით და იდეებით გაამდიდრა ქართული პოეტური ხელოვნება.

ნ. ბარათაშვილისთვის დამახასიათებელია ფატალური აუცილებლობის დაძლევისა და თავისუფლების გამარჯვების რწმენა და ძლიერი პათოსი, რაც მის პოეტურ აზროვნებას რომანტიკულ-რევოლუციური შინაარსით ავსებს და უდიდეს საზოგადოებრივ მნიშვნელობას ანიჭებს.

ნ. ბარათაშვილი გვევლინება XIX საუკუნის ქართული პოეზიის ნოვატორად. მან დაამსხვრია ძველი მხატვრული აზროვნების ფორმები და გახდა ახალი პოეტური კულტურის ჭეშმარიტი მედრომე.

ეროვნულ-ისტორიული პრობლემატიკით და ერის წინაშე მდგარი საჭირ-ბოროტო ამოცანების გაგებით, ნ. ბარათაშვილი წინამორბედა 60-იანი წლების ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა იმ ბრწყინვალე პლეადისა, რომელსაც ილია ჭავჭავაძე მესვეურობდა.

ნ. ბარათაშვილის პოეზია შეჯამება იყო ქართული მხატვრული აზროვნების ღრმა ისტორიული პროცესისა. მან თავის პოეტურ შემოქმედებაში განასახიერა ქართული ეროვნული ხასიათი, გამოხატა მშრომელი ხალხის დაუშრეტელი ენერჯია, მებრძოლი სული და გამარჯვების რწმენა.

ესაა ნ. ბარათაშვილის ისტორიული დამსახურება ქართველი ერის წინაშე.

\* \* \*

ნიკოლოზ ბარათაშვილის საგვარეულო შტო საქართველოს ისტორიის შორეულ საუკუნეებს უკავშირდება. ბარათაშვილნი უკვე მე-15 საუკუნეში ჩნდებიან ისტორიულ ასპარეზზე; მე-17 საუკუნეს მიეწერება დედის მხრივ პოეტის წინაპრების-ორბელიანთა (ყაფლანისშვილთა) საგვარეულოს განდიდება. ამ გვარის შემოქმედებით მწვერვალად გვევლინება დიდი ქართველი მწერალი და მეცნიერი სულხან-საბა ორბელიანი.

“ზედი ქართლისას” ფურცლებზე პოეტი აცოცხლებს თავისი გვარის ჰერალდიკას. კრწანისის ბრძოლის აღწერისას, პოემის ერთ ვარიანტში, ნ. ბარათაშვილი გვისურათებს თავისი წინაპრების გმირულ ღვაწლს:

ეკვეთნენ სპარსთა ივერთ მხედარნი,  
და მტკვარსა შერთეს სისხლისა ღვარნი!  
ორნივ იბრძვიან გამწარებულნი,  
ორნივ ომებში გაქეზებულნი:  
სომხითის <sup>[1]</sup> გმირნი ყაფლანისშვილნი  
და მათ მომარცხნედ ბარათაშვილნი  
განუმტკიცებენ მკლავთა ქართველთა.

კიდევ უფრო საყურადღებოა, რომ კრწანისის ბრძოლის მთავარი გმირი მეფე ერეკლე იყო ნ. ბარათაშვილის უშუალო წინაპარი. პოეტის დიდება ხორეშან ერეკლე მეფის შვილიშვილი იყო. ნ. ბარათაშვილი აღიზარდა ისეთ წრეში, სადაც ახლო ისტორიული წარსული მთელი სიცხოველით იგრძნობოდა.

პატარა კახის აჩრდილი ყრმობიდანვე თან სდევდა პოეტის შთაგონებას. მან მხოლოდ შემდეგში შეძლო პოეტური საღებავების მოძებნა, რომ დაეხატა გმირი ერეკლე, ხმალშემართული აღა-მაჰმად-ხანის ურდოებზე. ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავის პოემაში სული შთაბერა ზოგ იმ ისტორიულ ამბავს, რომელიც მას ყრმობისას გაეგონა.

ნ. ბარათაშვილის ოჯახში იკრიბებოდნენ გამოჩენილი პიროვნებანი, დიდი პატრიოტები, რომელთა საუბარი გამოუღვევლ საზრდოს აწვდიდა ბავშვის ცხოველ ფანტაზიას. ამ დროის შესახებ ალ. ორბელიანი მემუარებში წერს: “ უწინ მაინც ასე იყო, როდესაც ძველები შეიყრებოდნენ, სულ ძველს ამბავს უბნობდიან, ნამეტნავად მეფის ირაკლისას”<sup>[2]</sup>.

ასეთი იყო ყრმა პოეტის ცნობიერების პირველი გაღვიძება წინაპრების აჩრდილთა შორის. პოეტს თავის თავზე შეეძლო ეთქვა:

რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების,  
საშვილიშვილოდ გარდაეცემის.

\* \* \*

პოეტის მამა-მელიტონ ბარათაშვილი მისი დროის ქართველი ფეოდალური არისტოკრატის უაღრესად ტიპური ფიგურაა. დაბადებული ეროვნული განსაცდელის ჟამს –1795 წელს,-იგი მალე შეგუებია ახალ ბიუროკრატიულ მმართველობას და ოფიციალურ საზოგადოებაში საკმაოდ გამოჩენილი ადგილი მოუპოვებია. თბილისის თავადაზნაურთა წრეებში მელიტონ ბარათაშვილის დიდ გავლენას მოწმობს ის გარემოება, რომ იგი 1833 წ. აურჩევიათ თბილისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლად. აღსანიშნავია, რომ 1835 წლის ბოლოს მისი კანდიდატურა წამოყენებულ იქნა ამავე თანამდებობაზე 1836–1839 სამწლეულისათვის. ამ არჩევნებში მან გაიმარჯვა. იმავე დროს მელიტონი აირჩიეს თბილისის გარეუბნის თავადაზნაურთა წინამძღოლობის კანდიდატად, მელიტონს არა ერთხელ შეუსრულებია თბილისის გარეუბნის მარშლის მოვალეობა.

მელიტონ ბარათაშვილი არ ყოფილა მაინცდამაინც მდიდარი მემამულე. 20–იანი წლების ერთი მისი სამსახურებრივი საბუთის მიხედვით ირკვევა, რომ მელიტონი იყო ასი სული ყმის მფლობელი თბილისისა და ბორჩალოს მაზრებში<sup>[3]</sup>. მაგრამ სიმდიდრით განთქმულ ბევრ მემამულესაც არ ჰქონდა მაშინდელ თბილისში ისეთი გულუხვი და ხელგაშლილი მასპინძლის სახელი, როგორც მელიტონ ბარათაშვილს.

პოეტის პირველი ბიოგრაფის და ყრმობის მეგობართა სიტყვით, ნ. ბარათაშვილის მამას უყვარდა სიუხვე და პურ-მარილი. მისი სადილები განთქმული იყო თბილისში<sup>[4]</sup>. მელიტონის ხელგაშლილობა საყოველთაოდ ცნობილი იყო. მას მუდამდღე ორი ყმა კაცი ჰყავდა დაბანდებული მარტო თევზის საჭერად<sup>[5]</sup>.

უზრუნველი ცხოვრების გამო მელიტონის ოჯახის ნივთიერი მდგომარეობა თანდათან უარესდება. იგი ვალების ქსელში იყო გაბმული. ეს მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა 1835წ. მისმა მძიმე ავადმყოფობამ, რომელიც რამდენიმე თვეს გაგრძელდა. ამასთან დაკავშირებით პოეტის ბიძა ზაქარია ორბელიანი იმავე წლის 18 თებერვალს თბილისიდან სწერდა გრიგოლ ორბელიანს:“ ოჰ, როგორ დალუპა მელიტონმა თავისი სახლი და ცოლშვილი, ერთი გროში არა

აქვს. ან რით უნდა დაიმარხოვს, და ან რით უნდა იცხოვროს ცოლშვილმა იმის შემდეგ, ვინც დარჩება. ეხლაც ზღვაა ამის ხარჯი შინ, ვგონებ 5000 რუბლს ხარჯავდეს წელიწადში და საბოლოოდ კი ფიქრი არ ჰქონია“<sup>[6]</sup>.

გრიგოლ ორბელიანი, შეწუხებული თავისი დის ოჯახის მძიმე მდგომარეობით, საპასუხო ბარათში სწერს თავის ძმას:“ მელიტონის უიმედო ავადმყოფობამ ძალიან შემაწუხა,-მთელი დამე მწუხარებისაგან თვალი არ მომიხუჭავს. რა უნდა ჰქნას საბრალო ეფემიამ, თუ მართლად ეს უბედურება მიადგა! რით უნდა შეინახოს თავისი წვრილი შვილები და ან რით გადიხადოს ვალები, რომელიცა უეჭველად ბევრი დარჩება. ღმერთმან დაიფაროს ამა უბედურებისაგან. ოხ! რა ძნელია მოსათმენად, რომ კაცი ჰხედავდეს ესრეთ გულის საყვარელს დას უკანასკნელ განწირულებაში, და არა შეიძლოს შემწეობა.- მომწერე, გეთაყვა, ზაქარიავ, ყოველივე ეფემიას საქმე დაწვრილებით, ნურას დამიმალავ ჩემს სანუგეშოდ“<sup>[7]</sup>.

მელიტონის დარდიმანდობამ და უსაზღვრო მხარჯველობამ გააღარბა ერთ დროს მდიდარი ოჯახი და იგი ცხოვრების სარბიელზე ახლად გამოსულ პოეტს დააწვა კისრად. კონსტანტინე მამაცაშვილი იგონებს:“ მამა ნიკოლოზისა თფილისში ცხოვრებამ შეიყვანა დიდს ვალებში, შემდეგ კარგის ცხოვრებისა ჩავარდა სიღარიბეში და მოხუცობაში მამულები ვალში გაყიდა. ამის გამო ნიკოლოზს არა თუ ჰქონდა სახლიდან, თითონ ეწეოდა სახლსა თავისი მცირე ჯამაგირიდგან“<sup>[8]</sup>

მამის მფლანგველობა დიდი უბედურება იყო ნ. ბარათაშვილის ოჯახისათვის. ამას თან ერთვოდა მელიტონის გულფიცხოვა და ანჩხლი ხასიათი, რომლის მთავარი მსხვერპლი ოჯახში პოეტის დედა იყო. მგრძნობიარე ნიკოლოზი (ტატო) მწვავედ განიცდიდა დედისადმი მიყენებულ ყოველგვარ უსიამოვნებას და მუდამ მისი ქომაგი იყო.

ზოგიერთი გადმოცემით, პოეტის მამა თავის სიანჩხლესა და გულფიცხოვასთან ათავსებდა კეთილ ბუნებასაც. პოეტის და სოფიო გადმოგვცემს:“ მელიტონი ფიცხი, მაგრამ მეტად კეთილი კაცი იყო, საუცხოო მოსაუბრე, მჭერმეტყველი, კარგად იცოდა გარდა ქართულისა რუსული, სომხური და თათრული ენები და ხშირად თარჯიმანობდა მეფის მოადგილესთან. ხელმწიფე რომ ჩამოვიდა ტფილისში, მელიტონს სთხოვეს თარჯიმნობა. მელიტონის სახლის კარი მუდამ ღია იყო, სტუმრობა უყვარდა. ბევრი ხალხი დადიოდა. მარშლის არჩევნებსა და სხვა საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობას იღებდა და მის სიტყვას დიდი გავლენა ჰქონდა. მისი კანდიდატი იმარჯვებდა ყოველთვის“<sup>[9]</sup>.

მელიტონი თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებული კაცი ყოფილა. თანდაყოლილი ნიჭით დაჯილდოებული. უსწავლია თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. მისი მჭერმეტყველების ტალანტს და მშობლიური ენისა და მწერლობის კარგ ცოდნას აღნიშნავენ მისი თანამედროვენი.

მელიტონი გადაიცვალა 1860 წელს, ზემოთ მოყვანილი მასალები ადასტურებს, თუ რა მძიმე ოჯახური პირობები განუმზადა ბედმა ბავშვობიდანვე მომავალ პოეტს. მაგრამ ამ ოჯახს ჰყავდა თავისი კეთილი სული; ეს იყო პოეტის დედა-ეფემია. მის დედობრივ ალერსში პოულობდა შვებას მომავალი პოეტი, მის მშობლიურ კალთაში იღვიძებდა ბავშვის პირველ ოცნებანი და შთაბეჭდილებანი.

ეფემია ორბელიანი, როგორც ვთქვით, ერეკლე II –ის პირდაპირი შთამომავალია. მისი დედა-ხორეშანი-ქალიშვილი იყო მეფე ერეკლეს ასულის ელენესი. ეფემიას მამა ზურაბ ორბელიანი მეფე ერეკლეს კარზე ნამყოფი და ცოტა ნამსახურიც ყოფილა; მას კარგად სცოდნია საღვთო წერილი და საერო მწერლობა. ხორეშანს მისი სახელოვანი შვილი გრიგოლ ორბელიანი იგონებდა დიდი მოკრძალებით, როგორც “კეთილსა, ნაზსა ჭკვიანს დედას”<sup>[10]</sup>.

მეტად მიმზიდველი ფერებით არის დასურათებული თანამედროვეთა მოგონებებში ნ. ბარათაშვილის დედა, როგორც მეტად მოსიყვარულე ქალი, მეოჯახე, ლამაზი, მაღალი, ქერა, ქართულად იცვამდა. შვილებს თვითონ აწოვებდა ძუძუს<sup>[11]</sup>.

ეფემია ბარათაშვილი სათნო გულისა და ღრმა გონების ადამიანი ყოფილა. მას მჭიდრო სულიერი მეგობრობა ჰქონია თავის ძმასთან – გრიგოლ ორბელიანთან. ამ უკანასკნელის პირად წერილებში მკაფიოდ გამოკრთის მისი მაღალი აზრი თავის დაზე. პოეტის დედის ნათელმა პიროვნებამ შთააგონა გრიგოლ ორბელიანს ბრწყინვალე ლექსი - “ჩემს დას ეფემიას”.

დედამ ბავშვობიდანვე ჩაუნერგა პოეტს ყოველივე მშობლიურის სიყვარული. მანვე გააცნო პირველად ტატოს ქართული ანბანი, რომლის მხატვრული მოხაზულობანი მომწიფებული პოეტის ხელნაწერებში აყვანილია ვირტუოზულობამდე. ბიოგრაფი გადმოგვცემს ადრეულ ცნობას: “ტატოს ერთობ ფაქიზად უვლიდნენ, როგორც სიყრმის შვილს. შინაურებსაც დიდად ჰყვარებიათ, განსაკუთრებით დედას”<sup>[12]</sup>. ეფემია იყო დედა 14 შვილისა, რვა ქალისა და ექვსი ვაჟის, მაგრამ ნიკოლოზისა და ოთხი ქალის გარდა ყველანი მცირე წლოვანნი დაიხოცნენ.

მელიტონის სახლში ხშირად დადიონდნენ: “პოეტი ( ლენერალ-ლეიტენანტი) ალ. ჭავჭავაძე, ორნი ძმანი ნიკოლოზ და მიხეილ



ფალავანდიშვილები... ბევრი მაშინდელის დროის განათლებულნი ქართველნი”.

პოეტის ბიოგრაფიის სანდო წყარო გადმოგვცემს: “მელიტონის ოჯახობა დაახლოებული იყო უფრო ორბელიანებთან: მანანა ორბელიანთან, იოსებ და გრიგოლ ორბელიანებთან. განსაკუთრებით კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახობასთან”<sup>[13]</sup>. ამ პირთა უმეტესობა თვით იყო მონაწილე მე –18 აუკუნის საქართველოს ისტორიული ცხოვრებისა. მოზრდილი ბავშვი ხარბად ეწაფებოდა მათ ნაამბობს მშობლიურ წარსულზე, მწერლობაზე, ძველს ზნესა და ჩვეულებაზე. მის ნორჩ სმენას ესაღბუნებოდა მათი ძველი ქართული, დარბაისლური კილო. მათ წრეში განაგონი ავსებდა დედისა და დიდედის ნაამბობს. მომავალი პოეტის ბავშვური ფანტაზია ფართოვდებოდა. ნორჩ არსებაში ისახებოდა სამშობლოს სიყვარულის პირველი განცდა.

პატარა ტატოს გონების გახსნას ხელი შეუწყო შინაური სწავლის ადრეულად მიღებასაც. პოეტის ბიოგრაფის სიტყვით, “ ბარათაშვილი ექვსი-შვიდი წლის გამხდარა თუ არა, მაშინვე მისთვის შინაურად დაუწყებინებიათ სწავლა... წერა-კითხვა, ლოცვები, ქართული ძველი ზღაპრები და სიმღერები”<sup>[14]</sup>.

პოეტის ძველ, ტრადიციულ პირველდაწყებით სწავლა-აღზრდას არ აკლდა არც მუსიკალური განათლების ელემენტები. შესაძლოა, იგი დედისაგან ისმენდა პირველ მელოდირ ხმებს, რომლებმაც ბავშვში გააღვიძა მუსიკის მძაფრი განცდა, რაც გამოხატულებას პოულობს მის პოეზიაში. მუსიკა პოეტის ძლიერი გატაცებათაგანი იყო მთელი სიცოცხლის მანძილზე.

პოეტის ოჯახი მდიდარი ყოფილა არა მარტო მუსიკალური ინსტრუმენტებით, იქ შემსვლელს თვალში ეცემოდა, პირველ რიგში, წიგნები. პოეტის დის გადმოცემით, მათ მამის “ სახლში ბევრი წიგნი ჰქონდათ. ნიკო საუცხოვოდ ჰკითხულობდა საღვთო წერილს”.

რვა-ცხრა წლის ტატო მშობლებს კალოუზნის სასწავლებელში მიუბარებიათ<sup>[15]</sup>. ეს სკოლა ყოფილა სამრევლო ტიპისა. ასეთი სასწავლებლები იმ საუკუნის პირველ ხანებში, გარდა კალოუზნისა, არსებულა სიონის, ქაშვეთის, მეტეხისა და ანჩისხატის ეკლესიებთან. სწავლა ბუნების წიაღში მიმდინარეობდა, უძველესი ქართული ტაძრის გალავანში, ასწლოვანი ხეების ჩრდილქვეშ.

ტატო უკვე კარგად იცნობდა გარეთუბანს, მის ახლო მიდამოებს, ბაღებით დაჩრდილულს. იგი ფხიზელი თვალთ აკვირდებოდა თბილისის ქუჩებს, რომელთა მდუმარებას ზოგჯერ არღვევდა მრავალფეროვანი მასის ყიჟინა. ეს იყო, ყეენობის, კრივის ან სხვა სახალხო გართობათა დღეს. მაგრამ, როგორც გადმოცემებმა

შემოგვინახეს, ნ. ბარათაშვილის ბავშვობის უპირველესი საყვარელი ადგილი ყოფილა მტკვრის პირი, განსაკუთრებით ანჩისხატის პირდაპირ. იმ დროს მტკვარს ამწვანებული ნაპირები მისდევდა.

დაფიქრებული ბავშვი საათობით ადევნებდა თვალყურს ზვირთების დენას, თითქოს წყალთა დუდუნში, ფოთოლთ შრიალი მომავალ პოეტს ესმოდა გაურკვეველი ბგერები ბუნების საიდუმლო ენისა, რომლის ბრძნული ახსნა პოეტმა შეძლო მხოლოდ შემდეგ, “ ჩინარის” უკვდავ სტრიქონებში.

1827 წ. სექტემბერს ნიკოლოზ ბარათაშვილი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში მიაბარეს.

ოფიციალურ დოკუმენტებში ამ სასწავლებლის მიზანი შემდეგი ფორმულით იყო გამოხატული :“ კეთილშობილთა სასწავლებლის მიზანს:” შეადგენს ადგილობრივ უმაღლეს თავადაზნაურთა აღჭურვა მთავარ მეცნიერებათა შესახებ ზოგადი ცნობებით, მათ სამხედრო და სამოქალაქო სამსახურისათვის მოსამზადებლად”.

1830 წ. კეთილშობილთა სასწავლებელი, სადაც პოეტი სწავლობდა, გიმნაზიად გადაუკეთებიათ. იმავე წლის დასასრულს გიმნაზიასთან დაარსეს პანსიონი, სადაც მისაღებ მოწაფეთა რიცხვი განსაზღვრული იყო. ათი ადგილი პანსიონში გამოყოფილ იქნა იმ მოწაფეებისათვის, რომელნიც საუკეთესო მოწაფეთა მცირერიცხოვან სიაში ჩვენ ვკითხულობთ 12 წლის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელს.

კეთილშობილთა სასწავლებელში დამყარებული სწავლა-აღზრდის სისტემას კარგად გვისურათებს ამ სკოლის შეგირდი დიმიტრი ყიფიანი. “ მთელი მაშინდელი პედაგოგიური სიბრძნე-ვკითხულობთ მის “ მემუარებში”,-ორი უმთავრესი და ამასთან ერთად-ერთი წესით გამოიხატებოდა: გაკვეთილების სწავლა ზეპირად, ე. ი. შეუგნებლად – მექანიკურად და ყოველი დანაშაულისათვის ხელის გულზე სახაზავით ცემა“<sup>[16]</sup>.

მაგრამ აღზრდელთა შორის გამოირჩეოდა რამდენიმე მასწავლებელი, რომელთა ზნეობრივ სახესა და გონებრივ მისწრაფებებს ღრმა კვალი აღუბეჭდია მოსწავლეთა ხსოვნაში.

ასეთი კეთილშობილი და მოწინავე პედაგოგები იყვნენ: ცნობილი მოღვაწე სოლომონ დოდაშვილი – ქართული ენისა და გრამატიკის მასწავლებელი, დემენტევი და მანასიევი. ეს ორი უკანასკნელი რუსულ სიტყვიერებას ასწავლიდა.

არის საფუძველი დავასკვნათ, რომ დემენტევი დემოკრატიულ-რევოლუციურად განწყობილი ადამიანი იყო. იმ დროს, როცა რუსული სიტყვიერების სხვა მასწავლებლები მოწაფეებს ცრუკლასიკურ ოდებს და სენტიმენტალურ იდილიებს აზეპირებინებდნენ, მის გაკვეთილზე ხმამაღლა ჟღერდა პუშკინისა და მიცკევიჩის სირიქონები. მისმა

აღზრდილებმა, როგორც გიმნაზიის მოწაფეთა ლიტერატურული ჟურნალებიდან ნათლად გამოსჰვივის, კარგად შეითვისეს რუსული ენა და ლიტერატურული კულტურა. მათ ფართოდ გაიცნეს ევროპელი კლასიკოსებიც.

განსაკუთრებული ადგილი გიმნაზიის მოწინავე მასწავლებელთა შორის ეჭირა სოლომონ დოდაშვილს. მამულის სიყვარულის იდეას, პროგრესულ-დემოკრატიულ განწყობილებებთან ერთად, იგი ფრთხილად, მაგრამ პრინციპული თანმიმდევრობით ნერგავდა მოსწავლეთა შორის. მან განსაკუთრებით დაიახლოვა ნიკოლოზ ბარათაშვილი.

სოლომონ დოდაშვილი, საქართველოში გადმოსახლებულ რადიკალურად განწყობილ პოლონელ პროფესორებთან ერთად, ხშირი სტუმარი ყოფილა ნ. ბარათაშვილის ოჯახისაც.

ნ.ბარათაშვილი და მისი ამხანაგები სკოლაში სწავლობდნენ ს. დოდაშვილის სახელმძღვანელოს " შემოკლებულ ქართულ გრამატიკას". როგორც ჩანს, სოლ.დოდაშვილმა თავის მოწაფეებს ღრმად შეაყვარა და შეათვისებინა ქართული კლასიკური მწერლობის მდიდარი მემკვიდრეობა. "ვკითხულობდით " ვეფხის ტყაოსანს" და მთელი ადგილები ზეპირად ვიცოდით. ვკითხულობდით აგრეთვე " ვისრამიანს", ჩახრუხამეს, ალ. ჭავჭავაძეს"<sup>[17]</sup>, - ამბობს პოეტის სკოლის ამხანაგი ისარლიშვილი. იონა მეუნარგია გვაუწყებს: პოეტს " ქართულ კატეხიზმოს ასწავლიდა სკოლაში ეფრემ ალექსი-მესხიშვილი, ზედმიწევნით მცოდნე ქართული ენისა, რომელმაც უფრო განამტკიცა ბარათაშვილში სიყვარული კარგის ქართულისა"<sup>[18]</sup>.

ძველი ქართული მწერლობის კვალი მტკიცედ არის აღბეჭდილი ბარათაშვილის შემოქმედებაში. მძლავრ ნოვატორულ მისწრაფებებს ბარათაშვილისათვის სრულიად არ შეუშლია ხელი ძველი ქართული მხატვრული მეტყველებით გაენაყოფიერებინა თავისი ახალი პოეტური სიტყვა. ბარათაშვილის ლექსების ნაჭედობაში ხომ ძველი ოსტატობის მაღლიც გამოკრთის.

ბავშვობისა და ყრმობის წლების გარემოცვამ, რომელშიც მთავარი ადგილი ეჭირა მშობლიური მწერლობის ტრფიალს, დიდად შეუწყო ხელი ტატო ბარათაშვილში შემოქმედებითი აზრის ადრე გაღვიძებას.

მართალია, სკოლაში ტატოს, როგორც ბიოგრაფები გადმოგვცემენ, განსაკუთრებით " ქართული წერა-კითხვა უყვარდა"<sup>[19]</sup>, მაგრამ იგი დანარჩენ საგნებსაც ერთობ წარმატებით დაუფლებია. "სკოლის სხვა თავის ამხანაგებში პირველი იყო", - <sup>[20]</sup>გადმოგვცემს ერთი ბიოგრაფი<sup>[21]</sup>.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა გიმნაზია დაამთავრა 1835წ. უცხოენები, გერმანული და ფრანგული, გიმნაზიის დაარსებიდანვე, 1830

წლიდანვე, იყო შემოღებული. ფრანგული ენა სავალდებულო საგანი იყო. პოეტი რამდენადმე იცნობდა ამ ენებს.

“ნიკოლოზ ბარათაშვილი სკოლაში კარგად სწავლობდა. უმეტესად განსხვავებული იყო ამხანაგებში თავისი მხიარულის ხასიათით, სიმარდით. პირველი მოტანცავე იყო საკუთრად ლეკურისა, ყველასაგან საყვარელი ამხანაგი,-გადმოგვცემს პოეტის მეგობარი კ. მამაცაშვილი (1834-1835წწ.)<sup>[22]</sup>.

შეიძლება ტატოს მოძრავ ხასიათთან და სიცელქესთან იყოს დაკავშირებული ერთი მეტად სავალალო ამბავი პოეტის ადრეული ცხოვრებისა. დაახლოებით გიმნაზიის უფროს კლასებში ყოფნისას ნიკოლოზი კიბიდან ჩამოვარდა და ფეხი მოიტეხა. მეგობართა მოწმობით, “ ტატო იყო ცქვიტი, მხიარული, ჭკვიანი და კეთილი გულის ამხანაგი, ამასთან, კარგი მოქეიფე და მოსწრებული სიტყვის პატრონი, ცოტა დამცინავის კილოთი”<sup>[23]</sup>. ბარათაშვილს ყრმობიდანვე ახასიათებდა უადრესი პრინციპულობა, მისთვის უცნობი იყო ყოველგვარი კომპრომისი. ამხანაგების გადმოცემით, “ბარათაშვილი გიმნაზიაშივე ეპიგრამებს სწერდა”. ეპიგრამები სკოლაშივე გასცილდა ამხანაგური პაექრობის ფარგლებს; სასწავლებლის კედლებშივე ნ. ბარათაშვილის სატირული ისარი მეტისმეტად გამახვილდა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ელფერი მიიღო. მოწაფე-ბარათაშვილი გაბედულად კიცხავს სასწავლებელში გამეფებულ დრაკონულ წესებს. მისი ინიციატივით მოწინავე მოსწავლეები გესლიან ეპიგრამებს უგზავნიან უმაღლეს პირებს. თავისუფალ მოზროვნეთა ამ წრიდან გამოსული, პროტესტანტული სულისკვეთებით აღბეჭდილი, სატირული ნაწერების ავტორი ნ. ბარათაშვილია. ყრმა პოეტი არ ფარავს თავის გულისწყრომას მმართველობის წინააღმდეგ.

აკაკი წერეთელი გადმოგვცემს ნ. ბარათაშვილის სკოლის ამხანაგის პეტრე ბაგრატიონის ნაამბობს,- ბარათაშვილის გაბედულ გალაშქრებას მონარქიის მსახურთა წინააღმდეგ და ყრმა პოეტის სასტიკად დასჯას: თბილისის სააზნაურო სასწავლებელში ვსწავლობდი ერთად ტატო ბარათაშვილთან, პოეტი რომ იყო, და მისი ბრალიც იყო ჩემი რუსეთში ჩამოსვლა და კორპუსში გადასვლა: გამიგონია შაირებით დიდკაცების ლანძღვა? აგვიყოლია ჩვენც, მისი მეგობრები: ის წერდა და ჩვენ ვაგზავნიდით, როცა ფოსტალიონი მოვიდოდა ხოლმე ჩვენს სასწავლებელში, ჩვენ შემოვებხევოდით გარს, უცბათ აუწევდით ჩანთის თავს, სადაც წიგნები ელაგა, და ჩაუგდებდით ხოლმე ჩუმად ჩვენს გალექსილ წერილებს. მიჰქონდა ადრესისამებრ. ერთი ალიაქოთი ატყდა თბილისში, გამოძიება დაინიშნა. ბოლოს გაგვიგეს, დაგვიჭირეს და ბარათაშვილს ჰონორარად ოუდახუთი როზგი მიანიჭეს; ჩვენც ამდენივე

გადაგვიწყვიტეს, მაგრამ მე გავიქეცი, გამოვედი სასწავლებლიდან. კორპუსში გამოგზავნეს და მას აქეთ აქა ვარ სამსახურში“<sup>[24]</sup>.

რამდენად გაბედული და დიდი მნიშვნელობის იყო თავისუფლების მოყვარე ყრმა პოეტის ეპიგრამები, იქიდანაც ჩანს, რომ მთავრობას საქმის ფიცხელი გამოძიება მოუხდენია და მისი ავტორი სასტიკად დაუსჯიათ, უფრო იმიტომ, რომ ერთი ეპიგრამა მიმართული ყოფილა მთავარმართებლის როზენის წინააღმდეგ.

ასე იწყება ყრმა პოეტის განხეთქილება ძველ ქვეყანასთან. იგი გრძნობს, რომ მისი ყმაწვილობის იდეალები ვერ იხარებენ ამ უცხო გარემოში. ყრმა ბარათაშვილის მღვიმარე სულში ძლიერი პროტესტი ცხოვრების ბნელი ძალების წინააღმდეგ.

ასეთი განწყობილებით ამთავრებს ნ. ბარათაშვილი თბილისის გიმნაზიას. მძიმე ატმოსფერო იყო გამეფებული გიმნაზიაში. მაგრამ გიმნაზიის მოსწავლეთა მოწინავე ნაწილი ოფიციალური სწავლით არ იფარგლებოდა და სხვა სულიერ საზრდოს ეძიებდა. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სკოლის გარეშე ლიტერატურული მუშაობა, რომელმაც თავისი გამოხატულება პოვა გიმნაზიის მოწაფეთა ხელნაწერ ჟურნალში. გიმნაზიის უფროსი კლასის მოწაფენი, ტატო ბარათაშვილის თანატოლები, გაერთიანებული იყვნენ ამ ლიტერატურულ წრეში.

\* \* \*

პოეტის ნიჭმა ადრე გაიღვიძა. ტატოს მოწაფეობის ადრეულ წლებში მოუხვეჭია პოეტის სახელი თანაზრდილთა შორის. მოგონებების მიხედვით, იგი ხშირად კითხულობდა ლექსებს სასწავლებელში. ბარათაშვილის ლიტერატურულ აქტივობას აგრეთვე ადასტურებს იმ დროის ქართული მწერლობის ანთოლოგია, რომელიც თბილისის გიმნაზიის მოწაფეებს შეუდგენიათ 1833წ. ამ ანთოლოგიაში მოთავსებულია ნ. ბარათაშვილის ყრმობის დროინდელი ხუთი ლექსი: “ ვარდი და ია”, “ ნარგიზი და ყაყაჩო”, “ ვარდი და ბულბული”, “ კავკასიური მოთხრობა”, და “ შემოღამება მთაწმინდაზე”. ეს უკანასკნელი ლექსი 1833 წელს არის დაწერილი. მასში იგრძნობა ბარათაშვილის განხეთქილება მისი დროის საზოგადოებასთან. პოეტის ოცნებასა და სინამდვილეს შორის უფსკრულია. მისი სული სევდას მოუცავს. მაგრამ ლექსის უკანასკნელ სტრიქონებში კრთის რწმენის ცხოველი სხივიც. მწუხარე პოეტი განთიადის ხილვის მოლოდინში ნახულობს შინაგანი განახლების

წყაროს. ეს რწმენა ბარათაშვილის პოეტური შთაგონების მუდმივი თანამგზავრი ხდება.

“შემოღამება მთაწმინდაზე” ნათლად გვიჩვენებს, თუ რა ადრე იელვა ბარათაშვილში პოეტურმა გენიამ. ჩვენ წინ დგას ღრმა მოაზროვნე თექვსმეტი წლის ყრმა, რომელიც კალმის გაბედული მოსმით ხატავს დამაფიქრებელ სურათებს. გაოცებთ მისი პოეტური აღმაფრენა და შემოქმედებითი დამოკიდებულება.

ლექსს “ შემოღამება მთაწმინდაზე” პოეტის შემოქმედებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამ ლექსით ნ. ბარათაშვილი ჭაბუკური გაბედულებით გადის პოეზიის ფართო გზაზე.

ჩვენამდე მოღწეული მასალებიდან ირკვევა, რომ გიმნაზიის პერიოდში ბარათაშვილისათვის პოეტური შემოქმედება არ ყოფილა ერთადერთი სახე მისი ლიტერატურული მოღვაწეობისა. გიმნაზიის უფროს კლასებში ნ. ბარათაშვილს უსინჯავს კალამი მხატვრულ თარგმანში. მას ქართულიდან რუსულად უთარგმნია ერთი ადგილი კლასიკური ქართული პროზის შედეგის “ ვისრამიანისა”. ამ პერიოდში დაწერილი სტატიები “ პაპიზმის ძალაუფლებაზე” ( 1. პაპიზმის ამაღლება, 2. მისი დამხობა). ეს სტატიები მოწმობს ახალგაზრდა ბარათაშვილის ინტერესს მსოფლიო ისტორიის საკითხებისადმი.

აღნიშნული ნაწერები ბარათაშვილისა მოთავსებული ყოფილა გიმნაზიის მოწაფეთა ჟურნალის, “ თბილისის გიმნაზიის ყვავილის” მეოთხე ნომერში. სამწუხაროდ, ამ ჟურნალის ჩვენამდე მოღწეული კომპლექტიდან დაკარგულია სწორედ ეს ნომერი ისე რომ, ამჟამად შესაძლებლობა გვაქვს გავეცნოთ ახალგაზრდა პოეტის ზემოაღნიშნულ ლიტერატურულ ცდებს. “ თბილისის გიმნაზიის ყვავილის” პირველი ნომერი გამოდის 1835 წ. მაის-ივნისში. ჟურნალი რუსული იყო და მასალის განლაგებით ძლიერ წააგავდა ერთი წლით ადრე დაარსებულ ცნობილ ჟურნალს “ ბიბლიოტეკა დღია ჩტენია”. “ ყვავილში” მონაწილეობდნენ გიმნაზიის V -VII კლასის მოსწავლენი: ნიკოლოზ ბარათაშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, მიხეილ ბებუოვი, ლევან მელიქიშვილი, იასე ანდრონიკაშვილი, გარსევან ვარლამოვი, ალექსანდრე მონასტირსკი, მირიან ჭყონია და სხვ.

ჟურნალი თუმცა რუსულია, მაგრამ მასში ყურადღებას იპყრობს ახალგაზრდა კალმოსნების ინტერესი ქართული კულტურისა და მწერლობისადმი. მაგალითად, ჟურნალის ფურცლებზე ვხვდებით ისტორიულ მიმოხილვას ერეკლე მეორის შესახებ (“ საქართველოს სამეფოს ისტორიიდან”). იგი წარმოადგენს თარგმანს სოლ. დოდაშვილის ქართული “ ნარკვევისას”, რომელიც დაბეჭდილი იყო “ თბილისის უწყებების” ლიტერატურულ დამატებაში.ეს თხზულება გამთბარია ერეკლემეორის სიყვარულით და სამშობლოს გარდასული

დიდების რომანტიკით, ისევე როგორც იასე ანდრონიკაშვილის ნარკვევი "წერილები კახეთზე".

თბილისის გიმნაზიის აღნიშნული ლიტერატურული წრის ყურადღებას ქართული მწერლობისადმი ადასტურებს არა მარტო ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ "ვისრამიანის" თარგმნა. "ყვავილის" ფურცლებზე გვხვდება აგრეთვე თარგმანი სოლომონ დოდაშვილის ცნობილი ნარკვევისა "ქართული მწერლობის მოკლე მიმოხილვა".

"თბილისის გიმნაზიის ყვავილის" გარშემო შემოკრებილ ნიკოლოზ ბარათაშვილის სკოლის ამხანაგებიდან, თავისი ლიტერატურული ინტერესებით ყურადღებას იპყრობს მიხეილ თუმანიშვილი. იგი კარგად იცნობდა დასავლეთევროპულსა და რუსულ ლიტერატურას. თავისუფლად წერდა ლექსებს რუსულად და ქართულად. მან ჯერ კიდევ მოწაფეობის წლებში (1883–34) თარგმნა ნაწყვეტი პუშკინის პოემიდან "კავკასიის ტყვე". მიხეილ თუმანიშვილი გიმნაზიის დამთავრების შემდეგაც მეგობრობდა ნიკოლოზ ბარათაშვილს, ძველ მეგობრებს გამართული ჰქონდათ მიმოწერა და ლექსებითაც კი ეხმიანებოდნენ ერთმანეთს.

აღსანიშნავია, რომ ბარათაშვილი ლიტერატურულ მეგობრებს უმეტესად ნახულობს უფროს თანამედროვეებში. ამ მხრივ შეიძლება დავასახელოთ ალექსანდრე ჭავჭავაძე და პოეტის ბიძა – გრიგოლ ორბელიანი, რომლის მხატვრულ გემოვნებას ნიკოლოზ ბარათაშვილი მეტად აფასებდა.

"თბილისის გიმნაზიის ყვავილი" მკაფიოდ გამოხატავდა გიმნაზიის მოწინავე მოწაფეების ეროვნული გრძნობის სიცხოველეს, ახალგაზრდა ავტორების პოლიტიკური მიმართულების შესახებ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ჟურნალის ფურცლებზე მოთავსებული იყო პატრიოტული ნაწერები მათი ყოფილი მასწავლებლის სოლომონ დოდაშვილისა, რომელიც იმ დროს უკვე დაპატიმრებული იყო.

არა ნაკლებ საყურადღებოა მეორე ფაქტიც. 1833წ. შედგენილ ქართული მწერლობის ანთოლოგიაში, რომელიც თბილისის გიმნაზიის მოწაფეთა ზემოთ აღნიშნული ლიტერატურული წრიდან მომდინარეობდა, ნ. ბარათაშვილის ლექსებთან ერთად მოთავსებული იყო გრიგოლ ორბელიანის, მიხეილ თუმანიშვილის, დავით მაჩაბლის და სხვათა ნაწერები. ამ ვატორთა უმეტესობა კრებულის შედგენის დროს "ავლაბრის ყაზარმებში" იყო გამომწყვდეული" 1832 წლის შეთქმულებაში აქტიური მონაწილეობისათვის. ერთი მათგანი, ალექსანდრე ორბელიანი, სოლ.დოდაშვილთან ერთად, ამ შეთქმულების მესვეურიც იყო. აღნიშნულ კრებულში მოთავსებულია შეთქმულების ატმოსფეროში შექმნილი საპროგრამო პატრიოტული

თხზულებანი – გრიგოლ ორბელიანის ლექსი “ იარალის” და გიორგი ერისთავის პოემა “ ოსური მოთხრობა”.

როგორც ვხედავთ, იდეურ-ეროვნული მოძრაობა მძლავრად იჭრებოდა თბილისის გიმნაზიის კედლებში. სოლომონ დოდაშვილის მიერ პატრიოტული სულისპვეთებით აღზრდილი გიმნაზიის მოწაფეები ხელნაწერ ანთოლოგიაში თავისი თხზულებების გვერდით ათავსებდნენ გრიგოლ ორბელიანის აშკარა მოწოდებას თვითმპყრობელობის დამხობისაკენ.

ამ მოწაფეთა მომავლით დაიმედებული ს. დოდაშვილი წერდა: - “მოწაფენი... აღითქვამენ ფრიად მრავალთა სარგებლობისათვის მამულისა. შესაძლებელ არს რომელ მზისა მაგის ნაპერწკალი მცირე-მცირე გავრცელდეს და ოდესმე აყვავდეს მაღალსა ხარისხსა ზედა სრულებისასა”.

ეჟვს გარეშეა, პატრიოტი პედაგოგი აქ მხოლოდ განათლებას არ გულისხმობდა, რომ მისი ამაგი ამაოდ არ დაიკარგებოდა, მისი აღზრდილი ეროვნულ შეგნებას გამოიმუშავებდნენ და მამულის სასარგებლოდ მოიხმარდნენ.

1835წ. ნ. ბარათაშვილი ამთავრებს გიმნაზიას. ამ დროს ქართველი პატრიოტი მოღვაწეები სამშობლოს გარეთ არაინ გარდახვეწილნი. ყრმა პოეტი დიდად განიუდის მათს ბედს. იგი ოცნებობს ფართო სამოღვაწეო ასპარეზზე მშრომელი ხალხის კეთილდღეობაზე, მაგრამ იძულებულია, მძიმე ოჯახური მდგომარეობის გამო, შევიდეს სახელმწიფო სამსახურში. მას აშფოთებს თავისი ხვედრი.

\* \* \*

ნ. ბარათაშვილმა მუშაობა დაიწყო “ საქართველოს უზენაესი მთავრობის სასამართლოს და განჩინების ექსპედიციაში”, მოხელეთა შორის, სადაც ჯანსაღი აზრი და ცხოვრების მაღალი მიზანი სულიერ სილატაკეს შეეცვალა.

ვიდრე პოეტი ცხოვრებაში შედგამდა ფეხს, მას ცისარტყელას ფერებით ესახებოდა თავისი მომავალი მაგრამ, “ რა სცნა პირველად წუთისოფელი”, მის წინაშე გარდაუვალი ჯებირი აიშართა.

1837 წლის თებერვალს ნიკოლოზ ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანს სწერს: ...” აგერ წელიწად ნახევარია, რაც მე გიმნაზიაში კურსი დავასრულე და ვიმყოფებოდი სუდაირასპრავაში. წარდგენილი ვარ ჩინზე და ჩქარაც მოველი. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ არც პანციონში ყოფნის დროს, когда будущность моя представлялась мне в радужных мечтаниях, და არც მერმე, ვიდრე სამსახურში შევიდოდი, სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური: ჩემი სურვილი იყო ჯარის-კაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომდენ და ახლაც ხანდისხან



კიდევ შთამეპარება ხვალმე გულში. მაშ რაღამ დამიშალა, თუ კი ჩემი სურვილი იყო? აი, რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ კოჭლი ხარო და, თუ არ ინვალიდის კომანდაში, სხვაგან არ მიგიღებენო. მაშინ, როდესაც უკედ მქონდა და კარგადაც მაქვს. ასე რომ, ჩემებურად კიდევ ვხტი და კიდევ ვტანცაობ. მაგრამ რადგანაც შევიტყვე უარი მათი და მით უსიამოვნება, ვსთხოვე უნივერსიტეტში მაინც გაგზავნა, რომ თუ შტატსკი ვიყო, ვიყო... არც ეს შემისრულეს. უბედურებისა გამო, მამაც ამ დროს ავად შეიქმნა და ავადმყოფი ჩემს თხოვნაზე ასე მეტყოდა:” შვილო, ხომ ჰხედავ შენის სახლის გარემოებასო, იქნება მე ვეღარც კი გავაწიო ამ სნეულებასო, შენს სახლს არ უპატრონებო?” ამის შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა მამა ჩემის თხოვნით. დავრჩი ისევ ჩემს მამულში; განვწესდი სამსახურში და დაუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა, ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება. რადგანაც ასე მოხდა, მაშ აქ ეკსპედიციაზე კარგს ადგილს ვერ ვიპოვნიდი. უნდა მართალი ითქვას, რომ ეს ადგილი ყმაწვილის კაცისათვის, ვისაც კი სამოქალაქო სამსახური უნდა, პირველი შკოლაა, ეს არის რომ круг чиновников не выгоден для образования нравственности, მაგრამ ეს თავიზედ არის დამოკიდებული.

ამისთვის გაცნობებთ ჩემს ვითარებას, რომ ჩემი აქ დარჩომა სიზარმაცეში არ ჩამომართოთ. ღმერთმა დამიფაროს! ეგ თვისება სხვისაც მეჯავრება. ჭეშმარიტად არა, ზარმაცი არა ვარ, მაგრამ რა ვქნა, რა გაეწყობა სოფლის ბრუნვას...<sup>[25]</sup>

ბარათაშვილის გატაცება სამხედრო კარიერით – ეს დროის ხარკი იყო. სამხედრო დიდებას მაშინდელი ახალგაზრდობა იდეალად ისახავდა. უფროსი თაობის წარმომადგენლები, საერთოდ, ახალგაზრდობაში ნერგავდნენ მხედრული საქმის სიყვარულს. მაგრამ თუ სამხედრო ხელოვნების დიდი ენთუზიასტი, გრიგოლ ორბელიანი თავის უმცროს ძმას სამხედრო კარიერისაკენ მიუთითებდა, თავისი ძმის თანატოლს – ტატო ბარათაშვილს საუნივერსიტეტო განათლებას უსახავდა მიზნად. იგი ითვალისწინებდა ნიკოლოზ ბარათაშვილის განსაკუთრებულ ნიჭს და გონებრივ მისწრაფებებს და 1835 წლის 25 ივლისს თავის ძმას, ზაქარიას სწერდა:” ურჩიე მელიტონს, რომ ეცადოს на казенном иждивении იმის (ნ. ბარათაშვილის – გ. ა. ) გაგზავნა რომელსამე უნივერსიტეტში. Жаль, очень жаль будет если его умственные способности останутся без развития. – ნეტავი გამოგზავნოს დერპტსკის უნივერსიტეტში, რომელიცა არის უპირველესი რუსეთში. - ძალიან ადვილია ამის აღსრულება, თუკი მელიტონ სთხოვს ბარონს” (ბარონ როზენს – მთავარმართებელს - გ. ა.)<sup>[26]</sup>. უნივერსიტეტში შესვლის განზრახვა, როგორც აღვნიშნეთ. ჰქონია ნ. ბარათაშვილსაც,

მაგრამ ამ წადილმაც უნაყოფოდ ჩაიარა და ბედმა მეოცნებე პოეტი უსულგულო მოხელეთა შორის მოაქცია.

დეკაბრისტული მოძრაობითა და 1832წ. შეთქმულებით დამფრთხალი ხელისუფლება სახელმწიფო სამსახურში ყოველ შემსვლელს აიძულებდა, მიეცა განსაკუთრებული ფიცი და აღთქმა ერთგულებისა. 1836 წ. ბარათაშვილისათვის ჩამოურთმევიათ ასეთი ხელწერილი:“ 1836 წლის ივლისს 4 დღეს მე ქვემოთ ამისა ხელის მომწერი, საქართველოს უზენაესი მთავრობის სასამართლოს და განჩინების ექსპედიციას ვამღევ ამ ხელწერილს მასზედ, რომ როგორც აქამდე არ ვეკუთვნოდი, ისე შემდგომაც არ მივეკუთვნები საიდუმლო საზოგადოებათ”.

სასამართლოსა და განჩინების ექსპედიცია, სადაც მსახურობდა ნ. ბარათაშვილი, ადგილობრივი ხელისუფლების სასამართლოს ფუნქციების აღმასრულებელი ორგანო ყოფილა. პოეტი უშუალო მოწმე შეიქნა საოცარი ბიუროკრატიული წესებისა, რომლებიც თითქოს სპეციალურად შექმნილი იყო ხალხის სატანჯველად, ქართული ენა განდევნილი იყო სახელმწიფო დაწესებულებებიდან და ხალხს საქმე ჰქონდა უვიც მექრთამე თარჯიმნებთან. მექრთამეობა სცილდებოდა ყოველგვარ საზღვარს. ბიუროკრატიულ ხლართებში გახვეული სრულიად მარტივი სასამართლო საქმე ხშირად ფანტასტიკურად იზრდებოდა და რთულდებოდა. ნ. ბარათაშვილი იძულებული იყო ეკითხა გულისა და სულისათვის უსარგებლო ქაღალდების დასტები.

როდესაც ვეცნობით “ ექსპედიციის” ქაღალდების გროვებს, ჰიპერბოლად არ გეჩვენებათ 40 –იანი წლების ქართველი ლიტერატორის, შალვა ერისთავის, დღიურში შეტანილი სიტყვები:“ რაც ეხლა აქ, სასამართლოში, ქაღალდებია, სულ ერთად რომ დააგროვონ, ვგონებ, ერთი საშინელი ქაღალდების მთა გაკეთდეს, მთაწმინდის მთის ოდენა უთუოდ შედგება და სულ ყალბი კლიაუზური მიწერ-მოწერანია, რომელიც დაღუპავს ხალხს”<sup>[27]</sup>.

ნ. ბარათაშვილის ნიჭი არ იფარებოდა თვით ამ ბნელ ბიუროკრატიულ აპარატშიც. მას სამსახურში მოუხვეჭია საერთო ყურადღება.

1839 წლის ივლისში ნ. ბარათაშვილი დანიშნეს მაგიდის უფროსად სათავადაზნაურო მეურვეობის ნაწილში, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ დაწინაურებული იქნა სააპელაციო ნაწილის მაგიდის უფროსად<sup>[28]</sup>.

მოხელის თანამდებობაზე ყოფნისას პოეტმა კიდევ უფრო თვალნათლივ დაინახა ნიკოლოზ პირველის რეჟიმის საშინელება, მეფის ადმინისტრაციის თვითნებობა და დესპოტიზმი, მშობლიური ხალხის ეროვნული და სოციალური ჩაგვრა. პოეტს უხდება ყოფნა

უმიზნო ადამიანთა შორის, მისთვის აუტანელი იყო ქედმოხრილობის სულისკვეთებით გაჟღენთილი ატმოსფერო.

სინმადვილის ამ საშინელ პირობებში“ ცხადათ თუ სიზმრათ“ პოეტს მოესმოდა ხმა იდუმალი:

ეძიე, ყმაო, შენ მხვედრი შენი,  
ვინძლო იპოვნო შენი საშვენი!  
მაგრამ მე ხვედრსა ჩემსა ვერ ვპოვებ,  
და მით კაემანს ვერღა ვიშორებ.

პოეტმა ჯერ კიდევ არ იცის, მის სიცოცხლეს რას განუმზადებს “ ხმა იდუმალი“. ბარათაშვილი, დიდი საქვეყნო საქმისათვის დაბადებული, “ ჩუმი ნაღველით “ ოცნებობს უკეთეს მომავალზე.

წყვიდადის მეუფებაში გაისმის პოეტის ტრაგიკული ამონაკვნესი:“ როს მხვდეს ამ სოფლად ჩემი წილობა?“ იგი სულიერ ძალას იკრებს მოქმედებისა და ბრძოლისათვის.

\* \* \*

ბარათაშვილი რთული და დიდბუნოვანი ადამიანი იყო.

ჩვენ წინ აღმართულია არა მარტო განუმეორებელი პოეტური ტალანტი, არამედ მასთან ერთად ძლიერი, შთაგონებული პიროვნება, რომლის შინაგანი სამყაროს სიმდიდრე გაცეცხობს და გზიბლავთ. არაჩვეულებრივი ნებისყოფა და მიზანსწრაფვა, გრძნობათა სიღრმე და გონების ძალა, სევდა და სიხარული ჰარმონიულად არის გაერთიანებული“ მერანის“ ავტორში. ბარათაშვილის პიროვნება მონოლითურია. მისთვის არ არსებობს საშუალო გრძნობა. პოეტის სულიერ სამყაროს მხოლოდ ძლიერი ვნებანი ფლობენ. ამ ძლიერ ადამიანურ ვნებათა პოეტურ ფორმებში გარდაქმნის მთრთოლვარე წამს იბადება ბარათაშვილის გენია, რაც გვარწმუნებს, რომ დიდი ხასიათის გარეშე არ არსებობს დიდი მხატვარი.

პოეტი, რომელიც თავის შინაგან ბუნებაში ატარებდა დაუღვეველ მარაგს ადამიანური აღტაცებისა და სიხარულისას, წარმოგვიდგება, როგორც ღრმა სევდით მოცული მომღერალი, რომლის ხმაში შემმართებელი და გმირული ტონები ვერ ფარავენ მწუხარ ჟღერას.

ბარათაშვილს სულს უხუთავდა მაშინდელი უბადრუკი სინამდვილე და თბილისის ოფიციალური საზოგადოება ისევე, როგორც ბაირონისა და შელის, პუშკინსა და ლერმონტოვს – ლონდონისა და პეტერბურგის მაღალი წრეები.

თავისი მეგობრის – მაიკო ორბელიანისადმი მიწერილ ერთ წერილში პოეტს სასტიკი განაჩენი გამოაქვს მაშინდელი საზოგადოების მიმართ, იგი გვიხატავს მღელვარე სურათს თავისი სულიერი მარტოობისას: “საყვარელო დაო მაიკო... კიდევ მამნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმის სიმოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი, დიდიხანია ობოლი ვარ. – არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მამძულეობია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაცა, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში! ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არ ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არც თუ განსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი მცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა!”

ბარათაშვილი მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით აფასებს თავისი დროის საზოგადოებას, მაგრამ პოეტში ღვივის ადამინისადმი სიყვარულის ჩაუქრობელი ცეცხლი, მასში ჩქეფს დაუღვევლი წყარო სიცოცხლის ენერჯისა. მისთვის ცხოვრების მშვენიერება ადამინის გარეშე არ არსებობს. პოეტი მაღალ მოწოდებას უყენებს ადამინს და, რადგან მისი დროის საზოგადოება ამ მოწოდებას ვერ პასუხობს, იგი შესტრფის მის მიერ შექმნილ სულიერი მშვენიერების იდეალს.

ბარათაშვილი იმუშავებს მაღალ მორალურ ფილოსოფიას. პოეტი ადამინის ბედნიერების კრიტერიუმად მორალურ სრულყოფას აღიარებს. ეს კონცეფცია ბარათაშვილს გადმოცემული აქვს ზემოთ ნახსენებ ღრმააზროვან ბარათში მაიკო ორბელიანისადმი: “ასეთს რას იფიქრებ, რომ ბოლო არ ჰქონდეს, ასეთს რას მიიღებ, რომ არ დაკარგო? მიჩვენე კაცი, რომ მაღლიერი იყოს ამ წუთის სოფლისა, -დაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა, აი ჭეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კი კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან. სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გრწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან!”

სიამოვნების უმაღლესი განცდისა და ბედნიერების სრულყოფილ გამოხატულებად ბარათაშვილი გვისახავს სულიერ მშვენიერებას.

ზემოთ მოყვანილი ბარათის სტრიქონებში ნათლად ჩანს პოეტის მაღალბუნებოვნება, მისი სპეტაკი ზნეობრივი იდეალები.

თავისი პოეტური ცხოვრებით ბარათაშვილი თვით გვევლინება კეთილშობილი ადამიანის უებრო მაგალითად. თითქოს, ბუნებას

სწაღდა გამოეჩინა მთელი თავისი შემოქმედებითი ძალა, როცა ბარათაშვილს შთაბერა ჩაუქრობელი ცეცხლი პოეტური აღმაფრენისა და დააჯილდოვა კაცობრიობისადმი სიყვარულის ღრმა გრძნობით.

ბარათაშვილის პოეტურ სამყაროში ჩვენ გვხვდება აჩრდილი ბოროტი სულისა, რომელიც მსახვრალი ხელით ამსხვრევს ჭაბუკურ ოცნებას, სულის მშვიდობას ართმევს პოეტს.

თითქოს სიავის ამ მრისხანე სიმბოლოს საპირისპიროდ პოეტის ცხოვრების გზაზე გვეგებება მისი გულთამხილავი მეგობრის, მაიკო ორბელიანის, სხივმოსილი სახე. იგი კეთილი სულია პოეტის მშფოთვარე ცხოვრებისა, პოეტის გრძნობათა მესაიდუმლეა, რომელიც ესალბუნება მისი სახელოვანი მეგობრის სულის იარებს.

ჩვენამდე მოღწეულია მაიკო ორბელიანის პორტრეტი. ღრმა ფიქრით აღბეჭდილი ლამაზი სახე,- ჭკვიანური, ნუშისებრი ქართული თვალები. მის ნატიფ ტანს ორი გრძელი ნაწნავი კიდევ უფრო მოხდენილად აჩენს. ფარული სევდა გამოკრთის ამ შთაგონებული ქმნილებიდან: თითქოს იგი დახატული იყოს იმ დროს, როცა თანაგრძნობით უსმენდა ტატო ბარათაშვილის მწუხარე აღსარებას.

პოეტის წერილები მაიკო ორბელიანისადმი ეპისტოლარული მემკვიდრეობის შესანიშნავი ფურცლებია. მათში აღბეჭდილია არა მარტო პოეტის დაფიქრება ჰარმონიისა და სილამაზის შესახებ, არამედ გამოკრთის ყოველდღიური ცხოვრების განცდები, შეზავებული მახვილი იუმორით. მაიკო ორბელიანი იყო პოეტის უგულითადესი მეგობარი, რომელსაც ყველაზე მეტად უზიარებდა იგი თავის გრძნობებს. მათი ურთიერთობა ლირიზმით აღსავსე მეგობრობის მომხიბვლელი მაგალითია. ხშირად პოეტის ბარათს მომხიბვლელი ქალისადმი თან ახლავს ახალი ლექსი ნიკოლოზ ბარათაშვილისა. ეს ბარათები პოეზიის სურნელებას გამოსცემენ. მაიკო ორბელიანიც ინახავდა მათ, როგორც უძვირფასეს რელიქვიას. მას პოეტი ზოგჯერ უძღვნიდა მთელ რვეულს თავის ლექსებისას. პოეტის ავტოგრაფებს შორის ამჟამად დაცულია ლექსთა მომცრო კრებული, რომელსაც ბარათაშვილის ხელით ასეთი წარწერა აქვს გაეკთებული: "დაო, მაიკო! ეს ლექსები იქონიე ჩემეულად. ვიცი, რომ წარმკითხველი მათი მოიგონებ ბევრთა საამოთა დღეთა ყრმაწვილობისათა და შეიბრალებ შენსა ყარიბსა ძმასა" თ.ნ. ბარათაშვილი" (ბარათი დაწერილია 1841წ.).

მაიკო ორბელიანისადმი მიწერილ ბარათებში გამოთქმული სულიერი მშვენიერების იდეა თავის მაღალ გამოხატულებას პოულობს პოეტის სიყვარულის რომანტიკულ კონცეფციაში.

ნ. ბარათაშვილის თავგადასავალი და მისი ინტიმური ლირიკის ნიმუშები ჩვენ გვიდასტურებს, რომ პოეტი ერთგულია თავისი პოეტური იდეალებისა.

როგორც დანტე ვირგილიუსს, ბარათაშვილი ტრფიალების ღმერთს შეჰყავს ქარიშხლოვან განცდათა სფეროში:

მისთ თვალთა ხარობს სამოთხე ჩემი,  
მისი ღიმია შვების მომცემი,  
ჩემი წარმწყმედი, მაცხოვნებელი,  
განმაბრძნობელი, გამხელებელი!

ვით არ ვადიდო სიტურფის ღმერთა!  
ყოვლნი კეთილნი მან შეიერთა,  
სულსა მოჰბერა ცის ნიჰნი ქვეყნად?  
და თავის მკობად ჰქმნა იგი მგოსნად.

ბარათაშვილის პირველი სიყვარულის განცდა ჩვენთვის ბურუსით არის მოცული. ჩვენ ისიც არ ვიცით, პოეტის სატრფიალო ლირიკის რომელი სამკაულია ამ პირველი გატაცების სახსოვარი.

ყველაზე ადრეული ცნობა ბარათაშვილის პირველ ტრფიალებაზე შემოუნახავს პოეტის ახლო მეგობარის, ლევან მელიქიშვილის, ერთ წერილს გრიგოლ ორბელიანთან. ამ ბარათში, რომელიც დაწერილია პოეტის სიკვდილის რამდენიმე თვის შემდეგ, ლევან მელიქიშვილი ატყობინებს თავის ადრესატს: "არ გამეგება, შენ იცი თუ არა, რომ პირველი სიყვარული საწყლისა, (ნ. ბარათაშვილისა – გ. ა. ) იყო ნინო. არც ის ვიცი, შენთვის ცნობილია თუ არა, რომელი ნინო იყო"<sup>[29]</sup>.

ამჟამად ვიცით, რომ ეს ნინო ორბელიანის ქალი იყო. რა ხასიათი მიიღო პოეტის ამ პირველმა სიყვარულმა, - ჩვენთვის საიდუმლოა ისევე, როგორც შემდეგი გატაცება პოეტისა ფრანგი დელფინა ლაბიელის ქალიშვილით.

შესაძლებელი ხდება დელფინა ლაბიელის შესახებ ზოგი ბიოგრაფიული დეტალის აღდგენა. დელფინა 30-იან წლებში თბილისში ჩამოსახლებული ფრანგი ქალიშვილია. მისი დედა ყოფილა აბრეშუმის საქმის სპეციალისტი და მუშაობდა თბილისის აბრეშუმის სახვევ ფაბრიკაში, რომელიც ჯერ კიდევ 20-იან წლებში დაარსდა საფრანგეთიდან საგანგებოდ მოწვეული კასტელას ხელმძღვანელობით. მადამ ლაბიელის დროს ფაბრიკას ხელმძღვანელობდა ფრანგი ტესერი<sup>[30]</sup>.

ვორონცოვის ლეიბ ექიმი ვ. ს. ანდრეევსკი თავის მოგონებებში გადმოგვცემს, რომ თბილისში 40-იან წლებში ცხოვრობდა აბრეშუმხვევის მოხელე პროვანსელი მადამ ლაბიელი, რომელმაც თავისი ქალიშვილები საქართველოში დააოჯახა<sup>[31]</sup>. მადამ ლაბიელს

თბილისში ჰქონია კაფე, გამდიდრებულა და მაღალ საზოგადოებაში ფეხი მოუკიდია.

აი, ყველაფერი ის, რაც ჯერჯერობით ჩვენ ვიცით დელფინა ლაბიელის ბიოგრაფიის შესახებ.

რაც შეეხება პოეტის დამოკიდებულებას დელფინას მიმართ, ჩვენამდე მოაღწია ცნობამ, რომ პროვანსელი ასულით გამოწვეული ინტიმური მღელვარება გამოხატულია ლექსში " ჩემს ვარსკვლავს"<sup>[32]</sup>.

\* \* \*

ნ. ბარათაშვილი დაუღალავად ზრუნავდა მშობლიური მწერლობის გამდიდრებისათვის, საკუთარი მაგალითით იგი სტიმულს აძლევდა მისი დროის ქართველი საზოგადოების კულტურულ წინსვლას. პოეტს ახარებდა ყოველი ახალი შენამენი ქართული მწერლობისა. 1841 წლის 18 ოქტომბერს იგი თავის ბიძას, გრიგოლ ორბელიანს, სწერს: " ლიტერატურა ჩვენი, ღვთით, დღე და დღე შოულობს ახალთა მოყვარეთა. მრავალნი ყმაწვილნი კაცნი, მოცლილნი სამსახურითგან, მყუდროებაში და მარტობაში, შეეწევიან მამულს ენას, რაოდენიცა ძალუბთ. ესე საზოგადო სული ბუნებითის ენის ტრფიალებისა ყმაწვილთ კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არა სძინავთ გონებით!"<sup>[33]</sup>

ნ. ბარათაშვილის წრე იყო ცენტრი მაშინდელი ლიტერატურული ცხოვრებისა. პოეტის მეგობარი კონსტ.მამაცაშვილი გადმოგვცემს: " ხშირად შევიყრებოდით ხოლმე ამხანაგები ნიკოლოზ ბარათაშვილთან. ჩვენი დროის გატარება იყო ლაპარაკი მაშინდელს ლიტერატურაზედ, სწავლაზედ, სხვადასხვა ჩვენს გარემოებაზედ". ამ ლიტერატურული წრის წევრები იყვნენ გიორგი ერისთავი, მიხ.თუმანიშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ვახტანგ ორბელიანი, კონსტ. მამაცაშვილი, გრ. რჩეულიშვილი, ზაქ. ფალავანდიშვილი, ლუკა ისარლიშვილი, ალ. ჩიქოვანი, დავით მაჩაბელი და სხვ. ცალკე უნდა ითქვას ნ. ბარათაშვილის ურთიერთობის შესახებ მაშინდელ სახელმძღვანელო პოეტებთან – ალექსანდრე ჭავჭავაძესთან და გრიგოლ ორბელიანთან. ამ უკანასკნელთან ნ. ბარათაშვილს ახლოვებდა არა მარტო ნათესაური კავშირი, არამედ დიდი სულიერი მეგობრობა და ლიტერატურული ინტერესები. ალ. ჭავჭავაძის ოჯახში, რომელიც იმ დროს, მანანა ორბელიანის სალონთან ერთად, უბრწყინვალეს ლიტერატურულ კერას წარმოადგენდა, ნ. ბარათაშვილმა პოვა თანამგრძნობელნი, მისი ლექსების დამფასებელნი. ამ ოჯახის მშვენებამ – ალ. ჭავჭავაძის შუათანა ქალმა – უკატერინემ კი მოხიბლა პოეტის გული. პოეტის ადრეული გატაცება ნინო ორბელიანით, აგრეთვე დელფინა ლაბიელით ფერმკრთალდება იმ ღრმა გრძნობის

წინაშე, რომელიც ეკატერინეს წარმტაცმა პიროვნებამ აღძრა პოეტში. ამ ამაღლებული სიყვარულის შედეგია ნ. ბარათაშვილის ინტიმური ლირიკის შესანიშნავი ნიმუშები: "თავადის ჭავჭავაძის ასულს ეკატერინას", "საყურე", "... ნა ფორტოპიანოზედ მომღერალი".

სანგულისხმოა, რომ ნ. ბარათაშვილის გარშემო შემოკრებილ ლიტერატურულ წრეში ჩაეყარა საფუძველი ქართული ჟურნალისა და თეატრის დაარსების აზრს, რომელიც პოეტის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ განხორციელდა. ნ. ბარათაშვილი ზრუნავდა ქართული დრამატურგიის გამდიდრებაზე. 1841 წლის 28 მაისს ნ. ბარათაშვილი გრ. ორბელიანს ატყობინებდა: "ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: კიპიანმა გადმოთარგმნა: Ромео и Джулиета, შექსპირის ტრაგედია, და მე ვთარგმნე Юлии Таретский, ტრადედია ლეიზევიცისა"<sup>[34]</sup>.

განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენად უნდა ჩაითვალოს საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლისადმი დიდი ინტერესი, რომელიც ნ. ბარათაშვილის წრეში გაღვივდა. მათ გადაწყვიტეს საქართველოს "რიგიანი" ისტორიის დაწერა<sup>[35]</sup>. ამ ისტორიის ერთი ნაწილი დაუწერია ნ. ბარათაშვილს. ეს ნაწილი დაკარგულია.

ნ. ბარათაშვილს აქტიური მონაწილეობა მიუღია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წამოწყებაში, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული ისტორიული წყაროების შესწავლა –შეკრებას. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას ნ. ბარათაშვილი კორესპონდენტად დაუნიშნავს საქართველოში.

\* \* \*

ასეთ გონებრივსა და ზნეობრივ გარემოში ყალიბდება ნ. ბარათაშვილის პოეტური ნიჭი. იწყებოდა ძლიერი შინაგანი დუღილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ ცარიზმი აფერხებდა ქართული ეროვნული კულტურის ყოველ გამოვლინებას. მით უმეტეს, ვიწრო იყო სარბიელი ნ. ბარათაშვილის ნიჭისა და სულიერი ძალებისათვის. პოეტს იმის შესაძლებლობაც კი არ ჰქონდა, რომ თავისი ლექსები დაბეჭდილი ეხილა. 40 –იან წლებში ქართული ბეჭდვითი ორგანო არ არსებობდა. ბარათაშვილი შებოჭილი იყო ნიკოლოზ პირველის საშინელი სინამდვილით, მაგრამ ბედი მას კიდევ უფრო დიდ განსაცდელს უმზადებდა. ოჯახის უმძიმესი ნივთიერი პირობების გამო პოეტი იძულებული გახდა დაეტოვებინა თბილისი და სამშობლოს გარეთ, მივიწყებულ პროვინციებში, ეძებნა სამსახური.



1844 წლის ბოლოს ნ. ბარათაშვილმა გადაწყვიტა წასულიყო ნახჭევანში მაზრის უფროსის თანაშემწედ (მაზრის უფროსად იმ დროს მისი მეგობარი ლევან მელიქიშვილი დანიშნეს). იქ ნ. ბარათაშვილის ცხოვრება, როგორც თვითონ პოეტი ერთ წერილში ამბობს, " ტანჯვისა და უსიამოვნების მეტი არ ყოფილა რა". იგი იძულებული შეიქნა მალე დაეტოვებინა ეს მხარე. 1845 წლის მარტში მას კვლავ თბილისში ვხედავთ ახალი სამსახურის ძებნაში გართულს. მისი ოჯახური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, მთელი ოჯახი ერთერთ ნუგეშს პოეტში ხედავდა. როგორც იყო ნ. ბარათაშვილმა მიიღო თელავის მაზრის უფროსის თანაშემწის ადგილი. იგი კიდევაც გამზადებულია წასასვლად, მაგრამ ამ დროს მისმა ნათესავმა – განჯის მაზრის უფროსმა – მამუკა ორბელიანმა – პოეტს თავისი თანაშემწეობა შესთავაზა. ნ. ბარათაშვილი დათანხმდა. იმავე წლის 19 ივნისს იგი უკვე დანიშნეს ამ თანამდებობაზე. განჯაში პოეტის წასვლას მისი ერთი ახლო მეგობარი ასე იგონებს: " ეს თანამდებობა ( განჯის მაზრის უფროსის თანაშემწეობა, - გ. ა. ) ძალიან არ უნდოდა, მაგრამ იმის სახლის გარემოება ისე გამოიცვალა, რომ უნდა მიეღო ეს ადგილი".

1840 წელს დაიპყრობილი განჯა ტიპიური აღმოსავლური ქალაქი იყო. ბარონ ნიკოლაი, რომელსაც 40-იან წლებში დაუთვალიერებია განჯა, თავის დღიურში ამ ქალაქს სასაფლაოს ადარებს. ვინაიდან მამუკა ორბელიანი იშვიათად იყო მაზრაში, ამ ჯერ კიდევ დაუწყნარებელი მხარის მართვა – გამგეობის მთელი სიმძიმე ნ. ბარათაშვილს დააწვა. მაზრაში გავრცელებული ყაჩაღობა კიდევ უფრო ართულებდა პოეტის ისედაც მძიმე პირობებს ამ მივარდნილ მხარეში. ნ. ბარათაშვილი წერილებში ემუდარებოდა ნათესავ-მეგობრებს, რომ ახალი სამსახური ეშოვნათ მისთვის და სამშობლოში გადაეყვანათ, მაგრამ ამის განხორციელება არ მოხერხდა. აუტანელი შრომით დაქანცული პოეტი გახდა ავად ავთვისებიანი ციებით, რასაც თან დაემატა ფილტვების ანთება და გარდაიცვალა განჯაში 1845 წლის 10 ოქტომბერს (ძველი სტილით).

ასე დამთავრდა ნ. ბარათაშვილის ცხოვრების გზა. ახლობელთაგან დაუტირებულ პოეტს საფლავში ჩაყვა სამშობლოსაკენ გადახვეწილის დიდი სევდა. სასაფლაო, სადაც დაკრძალული იყო ნ. ბარათაშვილი, დროთა მსვლელობაში ბაღად აქციეს. პოეტის საფლავის ბედით დაინტერესებულ მის სიყრმის მეგობარს, კონსტ. მამაცაშვილს, განჯიდან სწერდნენ: " პოეტის საფლავი ბაღში იცნობა მხოლოდ იმით, რომ იმაზედ არის ამოსული დიდი, მაღალი, მშვენიერი კიპაროსი, ყოველთვის მწვანეა ზაფხულ-ზამთარში". არავინ იცის, ვინ დარგო, ან ვინ უვლიდა ამ ხეს. თითქოს იგი ბუნების საჩუქარი იყო პოეტის საფლავის დასამშვენებლად. ამ ხის სიცოცხლეს ინახავდა

ციური ცვარი, რომელზედაც პოეტმა თქვა:“ სატრფოს ცრემლის წილ, მკვდარსა ოხერსა დამეცემიან ციური ცვარნი”... თითქოს, ეს მუდამ მწვანე ხე სიმბოლო იყო პოეტის უჭკნობი შემოქმედების და მისი მარადი სიცოცხლისა მშობელი ხალხის გულში.

ნ. ბარათაშვილის უდროო სიკვდილი მძიმედ განიცადა მოწინავე ქართველმა საზოგადოებამ. ლ. მელიქიშვილი გრ. ორბელიანს მწუხარებით სწერდა: “ საქართველომ მასში დაჰკარგა კაცი, რომელსაც იგი უყვარდა სრული პოეტურის სულითა და ამ სიყვარულს ყოველ თავის მოვალეობაზე მაღლა აყენებდა, ყმაწვილი კაცი მშვენიერის ბრწყინვალე ნიჭისა, რომლის იმედი სამშობლოს მეტად ჰქონდა, ვიდრე სხვა ეხლანდელის ჭაბუკ შვილებისა”. მწერალი ალ. ორბელიანი კი დამწუხრებული კითხულობდა:“ სად არის საქართველოს იადონი? ცოდო არ არის ეხლა შორს გზაზედ იყოს... უზადო პოეტო, ყმაწვილო კაცო, ნიკოლოზ ბარათაშვილო! რომელმა მსჯელობამ წაიღო ეგ შენი სხივ-მოსხმული ნათელი სული პოეტობისა?.. გენიის ღმერთი შენს ძილსა უალერსებს!.. ახ, უდროვო იყო ესე ძილი! ობლობისა ცრემლსა იხოცს შენს საფლავზედ საქართველო”.

მოგვიანებით ნ. ბარათაშვილს ლირიკული გვირგვინი დაუწნა გიორგი ერისთავმა.

1893 წ. აპრილში მოწინავე ქართველმა საზოგადოებამ პოეტის ნეშტი განჯიდან თბილისში გადმოსვენა და დიდუბეში დაკრძალა. ნახევარი საუკუნის შემდეგ პოეტის სამშობლოსათვის დაბრუნებას ქართველი ხალხი შეხვდა ეროვნული გრძნობის არაჩვეულებრივი აზვირთებით. პოეტის კუბოს თბილისის სადგურიდან დიდუბემდე მოაცილებდა მრავალათასიანი პროცესია, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენლები. პოლიციის საიდუმლო მოხსენებებში საგანგებოდ აღნიშნავდნენ ეროვნული პოეტის გადმოსვენების სახალხო ხასიათს, ერთ ასეთს დოკუმენტში ვკითხულობთ:“ დედებს მოეყვანათ თავიანთი პატარა შვილები, აჩოქებდნენ კუბოს წინ და თაყვანს სცემდნენ კუბოს, როგორც წმინდანის ნეშტს”.

1938 წლის 19 ოქტომბერს ბარათაშვილის ნეშტი გადმოსვენებულ იქნა დიდუბიდან მთაწმინდის პანთეონში. ქართველმა ერმა ნ. ბარათაშვილის ნეშტი საბოლოოდ დაუბრუნა ქართული მწერლობის პარნასს, იმ მთას, რომელზედაც პოეტი ჭაბუკობიდანვე უნაზესი გრძნობით იყო შეყვარებული.

\* \* \*

ნიკოლოზ ბარათაშვილი დაიღუპა სრულიად ახალგაზრდა, თავისი შემოქმედების განთიადზე, მაგრამ მის მიერ დატოვებული პოეტური საგანძური წარმოადგენს ახალი ქართული მხატვრული კულტურის უდიდეს მოვლენას. ნ. ბარათაშვილის მნიშვნელობა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში კოლოსალურია. "მერანის" ავტორმა თავის შემოქმედებაში აღბეჭდა ქართველი ხალხის ისტორიული პროგრესის ახალი საფეხური, ხალხის დაუცხრომელი სწრაფვა ნათელი მომავლისაკენ. მან, როგორც გაბედულმა ნოვატორმა, დაამსხვრია ძველი მხატვრული აზროვნების ტრადიციები და თავისი ხალხის ეროვნული სულისკვეთების პოეტური გამოხატვით ახალი ქართული მწერლობა მსოფლიო ლიტერატურის სიმაღლეზე აიყვანა.

ნ. ბარათაშვილის შემოქმედების დიდი ისტორიული დამსახურება ქართველი ერის წინაშე შესანიშნავად განსჭვრიტა ილია ჭავჭავაძემ, რომელმაც "მერანის" ავტორის შესახებ თქვა: "ნ. ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განძი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა".

ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში გამოთქმული იყო აზრი, რომლის მიხედვით ბარათაშვილის მხატვრული შემოქმედება აუხსნელ მოვლენას წარმოადგენდა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრისათვის. თითქოს იმ დროს საქართველოსათვის მისი გენია იყო სრულიად მოულოდნელი გაელვება. ეს არ არის მართალი. თუმცა გასული საუკუნის დასაწყისში საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დაკარგა, მაგრამ მისი ეროვნული ცხოვრების კერა არ გაციებულა. ნაცარწყრილი ცეცხლი ღვიოდა ახალი ძალით, იწყებოდა საქართველოს ეროვნული ორგანიზმის გამთლიანების დიდი ისტორიული პროცესი, რომელიც ნ. ბარათაშვილმა ღრმა ინტუიციით განსჭვრიტა. ქართველი ხალხის სწორედ ამ პოტენციალური შემოქმედების ენერჯის მძლავრ გამოვლინებას წარმოადგენდა ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობა ახალ საუკუნეში.

ნ. ბარათაშვილის მხატვრული აზროვნება უაღრესად რთულ ისტორიულ სიტუაციაში ჩამოყალიბდა. გასული საუკუნის 30-40-იანი წლების მანძილზე ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობის გარდატეხებს ჰქონდა ადგილი. ქართველი ხალხის ეროვნული სულისკვეთება თავის ძლიერ გამოხატულებას პოულობდა ლიტერატურაში. მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამ დროს ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები პირველად დაუკავშირდა ჩვენში პოლიტიკური თავისუფლების საერთო

პრინციპებს, რაც ნათლად გამოსჭვივის ბარათაშვილის პოემაში "ბედი ქართლისა".

ნ. ბარათაშვილი სულიერად XIX საუკუნის შვილია. იგი ხარბად ისუნთქავს ახალ იდეებსა და განწყობილებებს და ქართული პოეზიის რეფორმატორად გვევლინება. " მერანის" ავტორმა შეძლო რომანტიკული პოეზიის ჩარჩოებში მოექცია ქართული ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზროვნების მიერ წამოყენებული საკითხები და მათზე ღრმად მოფიქრებული პასუხი გაეცა.

ნ. ბარათაშვილის შემოქმედების სტიქიას ლირიკა წარმოადგენს. მის ლირიკულ შედეგებში აღბეჭდილია პოეტის სულის ქროლვა, აზრის დუღილი, გრძნობათა სიფაქიზე, ხალხის სიყვარულით ნასაზრდოები. ეს ლირიკული ქმნილებანი უმაღლესი პოეტური ოსტატობითაა გამოძერწილი. როცა კითხულობთ ბარათაშვილის ლირიკულ ლექსებს, უნებურად გაგონდებათ ჰაინეს სიტყვები გოეთეს პოეტურ ქმნილებებზე ნათქვამი: " ენით გამოუთქმელი მშვენიერება აქვთ მინიჭებული ამ ლექსებს, ისინი ფლობენ თქვენს გულს, სიტყვა გააღერსებათ, აზრი გკოცნით". ბარათაშვილი ჭეშმარიტი ნოვატორია. მან ახალ სიმაღლეზე აიყვანა პოეტური ფორმა, ახალი შინაარსით აავსო იგი და დიდად გააფართოვა საზღვრები მშობლიური პოეტური ხელოვნებისა. ბარათაშვილმა დაამკვიდრა საკუთარი ხმა პირველი სიმღერისთანავე. საკმაოა ნ. ბარათაშვილის ლირიკისათვის თვალის ერთი გადავლევაც კი, რომ დაინახოთ ქართველი პოეტის არაჩვეულებრივი ორიგინალობა და დამოუკიდებლობა.

ღრმა ლირიკული უშუალოებით აქვს გადმოცემული ნ. ბარათაშვილს საკუთარი სულიერი დრამა, ღრმა საზოგადოებრივი მოტივებით გაპირობებული. სულიერი მოძრაობის მრავალფეროვნების გადმოცემისას პოეტი იჩენს კონკრეტულობას და ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით აერთებს ხშირად განცდებს საგნობრივ სამყაროსთან. ამამია, სხვათა შორის, მიმზიდველი ძალა ბარათაშვილის პოეზიისა. ბარათაშვილი არის ლირიკული კომპოზიციის უბადლო ოსტატი, მას არ სჩვევია პოეტური ფორმის დაუმთავრებლობა. პოეტური თემის ნაბეჭდობით და პლასტიკურობით მისი ლირიკული ქმნილებანი მხატვრულ სრულყოფას აღწევენ.

ბარათაშვილი ავტორია ისეთი რეალისტურ-რომანტიკული ეპიკური ნაწარმოებისა, როგორც არის პოემა " ბედი ქართლისა". პოეტი ამ თხზულებაში გვევლინება მხურვალე პატრიოტად, რომელიც წინასწარმეტყველურად განჭვრეტს საქართველოს ისტორიულ მომავალსაც, ბარათაშვილი ამ პოემით საფუძველს უყრის ახალ ქართულ პოეტურ ეპოსს.

ნ. ბარათაშვილი ღრმა აზრის პოეტია. მისი შემოქმედების ძლიერება განსაკუთრებით იგრძნობა იქ, სადაც პოეტი ადამიანურ ღირებულებათა შესახებ თავის ფილოსოფიურ შეხედულებებს მაღალმხატვრულ განზოგადებებში გამოხატავს. ნ. ბარათაშვილის ფილოსოფიურ ლირიკაში ყოველი ახალი თაობა ამოიკითხავს ახალ აზრს და შთაგონების ახალ წყაროდ აქცევს მას.

ნ. ბარათაშვილის სულიერი ცხოვრება ძალიან ადრე დაიწყო. ადამიანის დანიშნულების საკითხი, სამშობლოს ისტორიული ბედი, აწმყოს სიდუხჭირე და პირადი ხვედრი ნ. ბარათაშვილის წინაშე გარკვეულ პრობლემად დგას შემოქმედების პირველ პერიოდშივე. უკვე მის ადრეულ ლექსში - "შემოდამება მთაწმინდაზე"-ჩანს პოეტის აზროვნების ფართო ჰორიზონტი. პოეტის სულიერ მღელვარებასა და ფაქიზი ფერებით დახატულ ბუნებას შორის დამყარებულია ჰარმონია, იგი მეგობრულ ხელს უწვდის ბუნებას:

მახსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნაღვლიანი,  
კლდევ ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი,  
და წყნარ საღამოს, ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი,  
რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი!

პოეტი, როგორც ეს რომანტიკოსებს სჩვევიათ, ადამიანის ენით ესაუბრება ღრუბლიან მთას და წყნარ საღამოს, რადგანაც ნათესაობას პოულობს მათში. მის მჭიმუნვარე სულს იზიდავს ბუნების მწუხარე იერი.

"შემოდამება მთაწმინდაზე", ნ. ბარათაშვილის ემოციების სიმდიდრესა და მძაფრ მხატვრულ ინტუიციასთან ერთად, გვამცნობს მის ძლიერ ლტოლვას საზოგადოებრივ-ფილოსოფიური საკითხისადმი. ამ ლექსში პოეტის აზრი მისწრაფვის ცის ლაჟვარდისაკენ, მას სურს კოსმოსს გადახადოს ფარდა და ამოიკითხოს მისი საიდუმლოება:

ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული!  
აწცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა  
მოისწრაფიან,  
მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან!  
მე შენსა მჭვრეტელს მავიწყდების საწუთროება,  
გულის-თქმა ჩემი შენს იქითა...ემიებს სადგურს,  
ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება...  
მაგრამ ვერ სცნობენ გლახ მოკვდავნი განგებას ციურს!

ზეცის მიმართ პოეტის ასეთ მძლავრ ტრფიალში არ უნდა დავინახოთ აბსტრაქტული მჭვრეტელობა, ეს არ არის " მიღმა-ქვეყნიურ", ირეალურ სამყაროსკენ სწრაფვა, არამედ სურვილი კაცობრიობის მომავალში გადახედვისა. ამ ლექსში ბარათაშვილი აყენებს ეპოქალურ იდეას ჭეშმარიტების ძიებისას,-ბუნების წვდომის ფაუსტურ აზრს. გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის სიტყვები:" ბარათაშვილს სურს...დაუსრულებელი სივრცე ცისა და ქვეყნისა მოიაროს". პოეტის ფიქრი ვერ აწევს ცის უსასრულო წილს, მაგრამ მას სწამს ძალა ადამიანის შემოქმედებითი აზრისა და მისი მარადი წინსვლა.

სამყაროს შეცნობის ფილოსოფიური წყურვილი ერთი ძირითადი ასპექტია ლექსისა"შემოღამება მთაწმინდაზე", ამ ლექსში, მეორე მხრივ, ყურადღებას იპყრობს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-მორალური მომენტი: ყრმა ბარათაშვილის განხეთქილება მისი დროის საზოგადოებასთან. პოეტის ოცნებასა და თალხი ფერებით მოსილ სინამდვილეს, რაც გამოხატულებაა მისი ოცნებისა უკეთეს მომავალზე. პოეტის ეს ოცნება შეერთებულია ცოდნის მეუფების იდეასთან. ამ ლექსში ჩვენ პირველად გვხვდება ბარათაშვილი ღრმა კაემნით მოცული. ეს კაემანი იმ დროის უკუღმართი ცხოვრების ანარეკლია. აქ ბარათაშვილის შემოქმედებაში მკვეთრად იჩენს თავს რომანტიკული პოეზიის ერთი მთავარი დამახასიათებელი თვისება-პესიმიზმი, მაგრამ ბარათაშვილის ნაღვლიან განწყობილებებში გამოკრთის არა,საერთოდ, ცხოვრების უარყოფა, არამედ შეურიგებლობა და ზიზღი არსებული სოციალური სინამდვილისადმი. ამით აიხსნება, რომ პოეტის პესიმისტურ დაფიქრებას ლექსის ბოლო სტრიქონებში ცვლის ცხოვრების ღრმა რწმენა და იმედი ნათელი მომავლისა:

ჰოი, სადამოვ, მყუდროვ , საამოვ, შენ დამშთი ჩემად  
სანუგეშებლად!

როს მჭმუნვარება შემომესევის, შენდა მოვილტვი  
განსაქარვებლად!

მწუხრი გულისა – სევდა გულისა – ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,  
რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის  
განანათლებს!

მჭმუნვარე პოეტი განთიადის ხილვის მოლოდინში პოულობს  
ნუგეშს და შინაგანი განახლების წყაროს.

\* \* \*

ისეთი ძლიერი გრძნობისა და გონების ადამიანის წინაშე, როგორც იყო ნ. ბარათაშვილი, არ შეიძლებოდა არ დასმულიყო საკითხი თავისი ხვედრის შესახებ საზოგადოებაში. ბარათაშვილი, როგორც აქტიური ბუნებისა და ცხოველი ტემპერამენტის ადამიანი, მიილტვის მოქმედებისაკენ, ის ცხოვრების გულში ეძებს ადგილს. პოეტს სიყრმიდანვე ჩასძახოდა ხმა იდუმალი და ღრმად აფიქრებდა თავის ისტორიულ ხვედრზე. პოეტი მოწოდებული იყო შეესრულებინა დიადი მისია მშობელი ხალხის წინაშე. მაგრამ სინამდვილის ბნელი ძალები გზას უხშობდნენ:

მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვჰპოვებ,  
და მით კაემანს ვერღა ვიშორებ!

ეს კაემანი მწუხარებით აჟღერებს ბარათაშვილის ჩანგს და პოეტი თავის ლექსებში ღრმა სევდითაა მოცული. ნაღვლიანი გამა მისი განცდებისა ძლიერი ექსპრესიით არის გადმოცემული ლექსში “ ჩონგურს”:

შენნი მოთქმანი, კაემნის ხმანი,  
ხანცა ოხვრანი, ხანც ამოსკვნანი,  
წარსულთა დროთა მოგონებითა სულს აფიქრებენ!  
ჰოი, ჩონგურო, ნეტავი ოდეს  
ხმა მხიარული შენგან მსმენოდეს,  
რომ უკუმყროდეს მე სევდიანსა გულისა სენი!  
მაგრამ სად ვნახო შენი ღიმილი,  
სიხარულითა გამოჩენილი?  
მე შენგან მესმის მოკლულის გულის ოდენ ჩივილი!

სხვა ლექსში პოეტი “ მოკლულის გულის”მიზეზედ ასახელებს “ კაცთა სიავეს და ბედის ბრუნვას”. აქ პირად ხვედრს ბარათაშვილი უკავშირებს მისი დროის საზოგადოების “ სიავეს” და სამშობლოს ბედის უკუღმართობას.

ნ. ბარათაშვილის მაღალი მორალური იდეალები ვერ თავსდება უმოქმედობა და უიდეო ცხოვრების ვიწრო სივრცეში. მისი კეთილშობილი მისწრაფებანი, მისი ტანჯვა, სამშობლოს უბედობით გამოწვეული, მისი დაუცხრომელი ძიება ჭეშმარიტებისა გაუგებარი იყო იმდროინდელი საზოგადოებისათვის.ჭაბუკი პოეტის ოცნებები იმსხვრევა და მას ეუფლება ტრაგიკული მარტოობის გრძნობა, რაც განსაკუთრებით ძლიერადაა ასახული ლექსში “სული ობოლი”:

ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,  
ნუ ვინ ჩივის თავის უთვისტომობას!  
საბრალოა მხოლოდ სულით ობოლი,  
ძნელდა პოვოს, რა დაკარგოს მან ტოლი!

პოეტი ვერ ნახულობს თავისი იდეალის თანაზიარს მისი დროის საზოგადოებაში. თავისი ღირსების შეგნების ამაყი განცდა, სულიერი მარტოობის გრძნობა რეაქცია იყო მაშინდელი ოფიციალური საზოგადოების მიმართ, პასუხი იყო იმ ტანჯვისა, რომელსაც მაშინდელი ცხოვრება არგუნებდა პროგრესულად მოაზროვნე პიროვნებებს.

\* \* \*

ბარათაშვილს მუდამ აფიქრებდა ცხოვრების წინააღმდეგობათა ურთულესი პრობლემები. იგი ფილოსოფიურ ლირიკას უდებს სათავეს ქართულ ლიტერატურაში. როგორც ფილოსოფიური აზრის პოეტი, ისწრაფვის სინამდვილის ღრმა შემეცნებისაკენ. მას სწადია ყველაფრის ცოდნა. ბარათაშვილის ბრძნული დაფიქრება ცხოვრების შესახებ შესანიშნავად არის გადმოშლილი ლექსში - "ფიქრნი მტკვრის პირას", სევდიანი და ლამაზი ბუნების წიაღში პოეტის ფიქრი თავს დასტრიალებს ყოფნა-არყოფნისა და ადამიანის დანიშნულების მარადიულ საკითხებს:

ნელად მოღელავს მოდუდუნე მტკვარი ანკარა  
და მის ზვირთებში კრთის ლაჟვარდი ცისა კამარა  
იდაყვ-დაყრდნობილ ყურს უგდებ მე მისსა ჩხრიალსა  
და თვალნი რბიან შორად, შორად, ცის დასავალსა!  
ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?  
მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!.  
არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება  
რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება?..  
მაინც რა არის ჩვენი ყოფა –წუთისოფელი,  
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?  
ვინ არის იგი, ვისთვის გული ერთხელ აღევსოს,  
და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?

პოეტი ღრმად აკვირდებოდა ცხოვრების ყოველ მოვლენას. როგორც დანტე, მალეობლიის კიდეზე დაფიქრებული, ისე ბარათაშვილი, მშობლიური მტკვრის პირად სევდით მოსილი, სვამდა საკითხს სიცოცხლის მიზნის შესახებ. " პოეტის სულს მოსავს შავი



ფერი“, როგორც იტყოდა შელი ბაირონზე. მაგრამ ქართველ პოეტს ჰყოფნის სულიერი ძალები, რათა გაფანტოს სევდის შავი ღრუბლები და გამოძებნოს დიდი ჰუმანური საყრდენი, ოპტიმისტური ფორმულა ცხოვრების აზრისა:

მაგრამ რადგანაც კაცნი გვექვიან – შვილნი სოფლისა,  
უნდა კიდევ მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.  
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,  
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!

ბარათაშვილი ყოველთვის ნახულობს ძალას, რომ დასძლიოს ტრაგიკული უიმედობა. მართალია, მას, როგორც რომანტიკოსს, უმთავრესად თავის სუბიექტურ განცდათა სამყაროში შევყავართ, მაგრამ მისი “მე” არასოდეს არ ეთიშება საზოგადოების ინტერესებს და ბრძნული კრიტიციზმით აფასებს გარე სამყაროს.

ბარათაშვილის ინდივიდუალიზმს მჭიდროდ უკავშირდება მნიშვნელოვანი პრობლემა პესიმიზმისა. პესიმიზმი – ცხოვრების უარყოფა და სასოწარკვეთილება, ევროპული რომანტიზმის ძირითადი ნიშანია, რომელმაც უკიდურესი განვითარება განიცადა რეაქციული რომანტიზმის წარმომადგენელთა ლიტერატურულ პრაქტიკაში.

პესიმიზმი თავის გამოხატულებას პოულობს ბარათაშვილის შემოქმედებაშიც. მისი პოეტური ქმნილებანი ხშიარდ აღბეჭდილნი არიან ტრაგიზმითა და დიდი სევდით, მაგრამ ეს ტრაგიკული უიმედობა, რომელიც გამოწვეულია იმ დროის საშინელი სინამდვილით, სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ პოეტი თითქოს არ ღებულობს ცხოვრებას. პირიქით, ბარათაშვილის შემოქმედებაში ცხოვრება იმარჯვებს. მისი ყოველი ლექსი, როგორც პესიმისტური განწყობილებითაც არ უნდა იყოს დაწერილი, მაინც გაცისკროვნებულია იმედის სხივით და მოქალაქეობრივი დანიშნულების გრძნობით. ჰუმანიზმით არის გამთბარი ბარათაშვილის მთელი შემოქმედება. პოეტის ზრუნვის საგანი, ტრაგიკულ გაფიქრებათა წამშიც, ადამიანია. მისი პოეზიის მამოძრავებელი ღერძი ადამიანურის რწმენაა. ამიტომაც, რომ პოეტი არ ემორჩილება მის წინ აღმარული მაცდური დემონის აჩრდილს - “ ბოროტ სულს” და გაბედულად უკუაგდება მას.

სინამდვილის უკუღმართობით გამოწვეული ტანჯვა ვერ ფარავს პოეტში ცხოვრების სიყვარულის დიდ ენერგიას. იგი ეტრფის სიცოცხლის მშვენიერებას. მას სწამს ისტორიული პროგრესის ძალა და თავის უმაღლეს დანიშნულებად მიაჩნია ემსახუროს საზოგადოების მაღალ იდეალებს. ამ შეგნების საუკეთესო გამოხატულებას

წარმოადგენს პოეტის მუდმივი სწრაფვა განთიადისაკენ, მზისკენ. მზე ბარათაშვილის შემოქმედებაში არის ნათელი მომავლისა და სიკეთის სიმბოლო. მისი ადრეული ლირიკის შედეგში ნუგეზად დასახვა " მზიანი დილისა", რომელიც " ყოველს ბინდს განანათლებს"- ტონის მიმცემია ბარათაშვილის მთელი შემოქმედებისათვის. როგორც დიდი ჰუმანისტი, იგი ნატრობს:

მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარსამოვავლო,  
საღამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოველო.  
მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი,  
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ ტყეთა ფრინველნი და ვარდი.  
( " არ უკიჟინო სატროლო")

ამრიგად, ბარათაშვილის შემოქმედების ანალიზი გვარწმუნებს, რომ მას მთელი სიძლიერით უყვარდა ცხოვრება და ადამინის მაღალ დანიშნულებას ხედავდა " სოფლისათვის ზრუნვაში". თანმიმდევრული პესიმიზმისათვის კი მიუღებელია არათუ საზოგადოების ზრუნვა, არამედ ყოველგვარი დატკობა იმ სიხარულით, რომელსაც ადამინის ცხოვრება იძლევა, თანმიმდევრული პესიმიზმისათვის უცხოა მოქალაქეობრივი, მებრძოლი იდეები, ნათელი ოცნება მომავალზე.

ბარათაშვილის პესიმიზმი გამოწვეულია არა ცხოვრების საერთოდ უარყოფით, არამედ მის გარშემო არსებული სინამდვილის დაგმობით. ბარათაშვილის სევდა იყო სევდა იმ ადამიანისა, რომელიც ეტრფის თავისუფალ ცხოვრებას, მოწოდებულია ისტორიული მისიისათვის, მაგრამ გათანგულია მწარე სინამდვილის ხუნდებში და წართმეული აქვს მოქმედების ასპარეზი. ბარათაშვილის პესიმიზმი პროტესტია ფეოდალურ-ბატონყმური სინამდვილის, თვითმპყრობელობის მიმართ,-იმ შავბნელი ძალების წინააღმდეგ, რომელმაც პოეტს წაართვა სამშობლო, თავისუფლება და ადამინი აქცია მონად. ამ მხრივ მას ბევრი აქვს საერთო მსოფლიო პროგრესულ რომანტიკოსებთან – შელისთან, მიცკევიჩთან, ლერმონტოვთან. პესიმიზმი ბარათაშვილისათვის იყო არა მსოფლგაგება, არამედ განწყობილება, რომელსაც პოეტის სულიერი განვითარების გარკვეულ ეტაპზე სცვლის მებრძოლი სულისკვეთება, გმირული აქტივიზმი.

ნ. ბარათაშვილის სულიერ განვითარებას თუ გადავავლებთ თვალს, დავრწმუნდებით, რომ მისი იდეური დავაჟკაცება მუდმივ მოქმედებასთან და ძიებასთან არის დაკავშირებული. როგორც ვიცით, ჯერ კიდევ ჭაბუკობის განთიადზე მას საკვირველმა და იდუმალმა ხმამ მოუწოდა საკუთარი ხვედრის ძიებისაკენ. ეს არის მთრთოლვარე

წამი პოეტის ცხოვრებაში. ამ დროს ბარათაშვილმა ჯერ კიდევ არ იცის,, რას მოასწავებს ეს იდუმალი ხმა და რას განუმზადებს მის სიცოცხლეს, პოეტს ვერ უპოვია თავისი ხვედრი, მაგრამ იგი სასოწარკვეთილი ჯერ კიდევ არ არის. ჭაბუკი პოეტი იჭვნარევი ეკითხება იდუმალ ხმას:

როს ვსცნა მე შენი საიდუმლობა,  
როს მხვდეს ამ სოფლად ჩემი წილობა?..

მას შემდეგ, რაც ბარათაშვილი გაივლის ყმაწვილობის ნათელ დროს (" ხმა იდუმალი"-1836წ.), ცხოვრების ახლო გაცნობა დაარწმუნებს, რომ ბედი, სინამდვილის შავი აჩრდილი, გზას უღობავს და ხელს უშლის წინმსვლელობაში არა მარტო მას, არამედ მის თანამოდძეებსაც, მთელ ხალხს. ბარათაშვილი გმირულად აღუდგება წინ ამ სინამდვილეს. მისი მღელვარე სული ეძიებს გამოსავალს იმ ბნელი და სუსხიანი გარემოცვიდან, რომელშიაც მოქცეულია იგი. პოეტი თავის ხვედრს განუყოფლად უკავშირებს თანამოდძეთა ბედს.

ბარათაშვილს უმაღლეს იდეად ესახება პიროვნების განთავისუფლება მონობის ბორკილებიდან. პოეტში მტკიცდება რწმენა თავისუფალი, კრიტიკული აზრის გამარჯვებისა ფატალიზმზე, სინამდვილის ბნელ ძალებზე. მას არ მიაჩნია გარდუვალად ბედის საზღვრები, რომელსაც შეუბოჭავს მისი სულის თავისუფლება. პოეტი გაბედულად ილაშქრებს ბედის წინააღმდეგ. ეს ყველაზე ტრაგიკული ფიგურაა ჩვენი მწერლობისა ქართულ პოეზიაში ანთებს ბრძოლის ისეთ ცეცხლს, რომლის სინათლე სწვავდა მთელ საუკუნეს.

ნ. ბარათაშვილის წინაშე დგას მაღალი ამოცანები – ეს არის ისტორიული მოქმედების სარბიელზე ბრძოლა არა სუბიექტური , არამედ ობიექტური მიზნებისათვის. იგი გმირულად სძლევს ცხოვრების წინააღმდეგობას. მას ყოფნის ნებისყოფა ბრძოლით გაარღვიოს მის გარშემო არსებული წყვედი და ნათელისაკენ გაუკაფოს გზა მომავალ თაობებს.

სინამდვილის ბნელ ძალებთან ნ. ბარათაშვილის ტიტანურმა შებრძოლებამ თანამოდძეთათვის თავისუფლების მოსაპოვებლად თავისი პოეტური გამოხატულება " მერანში" პოვა. " მერანი" ბარათაშვილის მხატვრული გენიის ყველაზე სრულყოფილი გამოვლენაა, მისი შემოქმედებითი ინტენსივობის უმაღლეს შედეგს წარმოადგენს.

ცხოვრების მიზნის შეცნობის პრობლემა, რომელიც პოეტის წინაშე დგას ლექსებში " შემოდამება მთაწმინდაზე" და " ფიქრნი მტკვრის პირას", თავის საბოლოო ფილოსოფიურ -მხატვრულ

გადაწყვეტას "მერანში" პოულობს. ბარათაშვილი უკვე 40 –იან წლებში ქემმარიტების ძიებას, ცხოვრების მიზანს ხედავს განმათავისუფლებელ ბრძოლაში, ისტორიულ ქმედებაში სამშობლოს საკეთილდღეოდ.

" მერანში" დაყენებული პრობლემის გადაჭრა ღრმად რეალისტურია. აქ პროექტი ამხვერვეს მისტიკურ–ირაციონალურ მსოფლშემეცნებას. " მერანის" დიდი ჰუმანიზმის წყარო ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, მის კულტურასა და ნებისყოფაში უნდა ვეძიოთ. ქართული მატრიანების სტრიქონებში, მდიდარ ხალხურ შემოქმედებაში და ჩვენი მხატვრული აზროვნების დიდებულ ძეგლებში ასახულია ქართველი ხალხის უდიდესი ნებისყოფა, გამოწრთობილი თავისუფლებისათვის ბრძოლის გრძელ გზაზე.

ქართველი ხალხის გმირულმა ფანტაზიამ კავკასიის ქედზე აზიდა ამირანის უკვდავი სახე, როგორც სიმბოლო ჩვენი ქვეყნის ისტორიული გამძლეობისა. რუსთაველის ჰუმანიზმს, ამირანის გმირულ სულს, " ლილეოს" მქუხარე ხმებს უხილავი ძაფებით უკავშირებდა " მერანი". ასეთია ეროვნული ფესვები " მერანისა". მაგრამ ბარათაშვილის გენიალობა ისაა, რომ მან თავისი ქვეყნის პოეტური აზროვნების ეროვნული სული ორგანულად შეადულა ეპოქის მოწინავე მსოფლმხედველობასთან, ახალ მხატვრულ-ინტელექტუალურ კულტურასთან. " მერანის" იდეა ცხოვრების დამკვიდრების იდეაა. თავისი ძლიერი პროტესტანტიზმით " მერანი" ერთგვარად ეხმაურება მანფრედის, ჩაილდ-ჰაროლდის, კაენის მხატვრულ სახეებს.

ქართველი პროექტი მიდის იმ ნათელ რეალისტურ რწმენამდე, რომ ცხოვრების აზრი არის ისტორიული ქმედება, რომელიც გზას უკაფავს მომავალ თაობას. იგი " მერანში" ბრწყინვალედ ასახულებს სოციალური ოპტიმიზმისა და ისტორიული პროგრესის იდეას.

" მერანი" უადრესად დიდი ეროვნული მოვლენაა, რომლის იდეური ძირები, როგორც ვთქვით, საზრდოობს ქართველი ხალხის ჰუმანისტური მსოფლმხედველობით და ეროვნული ოპტიმიზმით. მაგრამ საინტერესოა გამოვარკვიოთ კონკრეტულად, თუ როგორ ამოიზარდა ეროვნულ სამყაროში " მერანი".

სახელი " მერანი" ბარათაშვილს შესაძლებელია ამოღებული ჰქონდეს " ვეფხისტყაოსნიდან". რუსთაველი ორგზის ხმარობს სიტყვა მერანს:

ანაზღად მოყმე გამოჩნდა, კუმტი, პირგამქეშავია;  
ზედა ჯდა შავსა ტაიჭსა, მერანი რამე შავია.

და კიდევ:

შესხდეს მეფე და ავთანდილ მის ყმისა მისაწვევლად,  
იგი ლალი და უკვდავი მივა ტანისა მრხევლად:  
ტაიჭი მიუქს მერანსა, მიეფინება მზე ველად.

მერანის სახელის "ვეფხისტყაოსნიდან" მომდინარეობა მით უფრო საფიქრელია, რომ ძველ ქართულ ლიტერატურულ სამყაროში და ხალხური შემოქმედების ძეგლებში იშვიათად გვხვდება ეს სახელი. ქართულ მწერლობასა და ფოლკლორში დიდი გავრცელება ჰქონია სიტყვებს: ცხენი, ტაიჭი, ჰუნე, რაში. ბარათაშვილი არც ერთ მათგანს არ იყენებს ლექსის მთავარი მხატვრული სახის განსახიერებისას, ირჩევს "მერანს".

არ არის გამორიცხული ის შესაძლებლობაც, რომ რუსთაველის გმირის, ტარიელის მერანით თავდავიწყებულ ლტოლვას მიეცეს პირველი პოეტური შთაგონების ნაპერწკალი ბარათაშვილისათვის "მერანის" პოეტური კონცეფციის შესაქმნელად. ბარათაშვილმა ქართული მითოლოგიური რაშის ნიშანთვისებებით გაამდიდრა მერანის სახე და იგი უბრწყინვალეს მხატვრულ განზოგადებად აქცია. ამის საბუთს გვაძლევს ქართულ ზღაპრულ ეპოსში გავრცელებული "რაშის" შედარება "მერანთან". როგორც ქართული ეპოსის რაში, ისევე ბარათაშვილის მერანიც მფრინავია. პოეტი მერანს მიმართავს: "ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა". რაშიც და პოეტის მერანიც ზებუნებრივი თვისებების მქონე არსებანია: მათ შეუძლიათ გადალახონ ყოველგვარი წინააღმდეგობა ("გაკვეთე ქარი, გააპე წყალი, გადაიარე კლდენი და ღრენი"), ბოლოს, ქართული ზღაპრული რაშიც და ბარათაშვილის მერანიც ერთგვარად მესაიდუმლენი არიან ადამინისა. თავისთავად ცხადია, რომ პოეტმა მხოლოდ ცალკეული ელემენტები გარდაქმნა ეროვნული მითოლოგიიდან და შორეულად გამოეხმაურა რუსთაველის გენიალურ ქმნილებას. არსებითად, მერანის სახე ბარათაშვილმა სულ სხვა შინაარსით აავსო და იგი ახალი პოეზიის მაღალმხატვრულ განზოგადებამდე აიყვანა.

"მერანით" ბარათაშვილის გენიამ შექმნა მოქალაქეობრივი შეგნების ისეთი განუმეორებელი მხატვრული დოკუმენტი, რომელიც ბევრად სცილდება თავისი საზოგადოებისა და დროის ფარგლებს. ეს ლექსი ქართველმა ხალხმა მიიღო, როგორც ეროვნული შეგნების მხატვრული სიმბოლო. მან ძლიერი ბიძგი მისცა ჩვენში მთელი საუკუნის პოეტურ შემოქმედებას.

რაში მდგომარეობს ნოვატორული არსი ამ გენიალური ლექსისა? როგორ მხატვრულ განხორციელებას პოულობს მასში ავტორის მთავარი იდეა, რა პრინციპებს ეყრდნობა ფორმისა და შინაარსის ჰარმონიული ერთიანობა " მერანში"? კრიტიკული აზრის დაუცხრომელი წინსწრაფვა, ისტორიული პროგრესის რწმენა და პიროვნების განთავისუფლების იდეა –მამოძრავებელი ღერძია ბარათაშვილის " მერანისა". ამ მისწრაფებათა განხორციელებაში, მერანის თავგანწირულ ქროლვაში მთელი სისრულით ვლინდება პოეტის მებრძოლი სულისა და გაუტეხელი ნებისყოფის ძალა.

გრძნობის სილამაზე და აზრის სიდიადე " მერანში" მიღწეულია ლექსის სტრუქტურისა და პოეტური მასალის ორგანიზაციის უაღრესად ორიგინალური მეთოდით.

პოეტი უარყოფს აღმოსავლური პოეზიის სახეთა და სამკაულთა ბრჭყვიალა ფერებს და ქმნის გამირული პიროვნების იდეას, რომელსაც ასახიერებს, როგორც ლექსის ცენტრალურ მოქმედ ძალას. საინტერესოა " მერანის"სათაურის ისტორიაც. ბარათაშვილის ლექსი, რომელიც ტრადიციულად ჩვენს ცნობიერებაში " მერანის" სათაურით არის განმტკიცებული და რომელიც იწყება სიტყვით:" მირბის, მიმაფრენს",-უსათაუროა. ერთი ავტოგრაფის მიხედვით, მისი ნამდვილი სათაური ყოფილა არა " მერანი" არამედ " თავგანწირული მხედარი". სათაური " მერანი" შემდეგში დაკანონდა, განსაკუთრებით 60-იანი წლებიდან, იგი ავტორისეული სათაური არ არის. ეს გარემოებაც სუბიექტის აქტივობაზე მიუთითებს: ამრიგად, " მერანში" ბარათაშვილს სურს ფანტაზიის დიდი გაქანებით გამოხატოს ძლიერი სულის სწრაფვა, ბრძოლის სტიქია. პოეტის ნებისყოფის განმახორციელებლად მერანი გვევლინება. ეს მხატვრული სახე პოეტს გაუთვალისწინებია თვალუწვდენელი სივრცისათვის. ამიტომ აურჩევია მას ფრთოსანი რაში გრძნეული თვისებებით. იგი პოეტის მუდმივი თანამგზავრი და მესაიდუმლეა." ბარათაშვილს სურს,- წერს ილია ჭავჭავაძე,- საზღვარი ბედისა გაარღვიოს და ნიავს მისცეს თავისი შავად მღელვარე ფიქრი",რომ დაუსრულებელი სივრცე ცისა და ქვეყნისა მოიაროს. ბაირონის კანმა ამისათვის ლუციფერი აირჩია, გიოტეს ფაუსტმა – მეფისტოფელი და ჩვენმა პოეტმა- თავისი " მერანი", ე. ი. თავისი სულის ქროლვა".

მხატვრულ – სტრუქტურული კონცეფცია, რაც საფუძვლად უდევს " მერანს", მდგომარეობს ლექსისი ძირითადი იდეის – განმათავისუფლებელი ბრძოლის – დინამიკურ განვითარებაში; ლექსი იწყება ექსპრესიული სურათით, პოეტის ნებისყოფა განხორციელების პროცესშია:

მირბის, მიმფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,  
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!  
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,  
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!  
გაკვეთე ქარი , გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი,  
გასწი, გაკურცხლე და შემიმოკლე მოუთმენელსა სავალნი დღენი!  
ნუ შეეფარვი, ჩემი მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა,  
ნუ შემობრალებ დაქანცულობით თავგანწირულსა შენსა  
მხედარსა!

პოეტის ქროლვა კოსმიურ სამყაროში თავიდანვე ბადებს მხატვრული სახის გრანდიოზულობის განცდას. პოეტს თან სდევს, როგორც სიმბოლო სიკვდილისა, შავი ყორანი. ამის შემდეგ ღრმა აზრის შემცველი თემატიკური რკალის რიგი. პირველი რკალი გამოხატავს ძირითად მოტივს, ეს არის ნებისყოფის ყველაზე ძლიერი გამოვლინება: მიზნის მისაღწევად, ქვეყნის საეკთილდღეოდ უძვირფასეს ადამიანურ ღირებულებათა დათმობა. მედგარი ბრძოლა მოითხოვს თავგანწირვასა და მსხვერპლს: პოეტი უნდა განშორდეს სამშობლოს, მეგობრებს, მშობლებსა და სატრფოს:

რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა,  
ნულა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს,  
ტკბილმოუბარსა.

ბარათაშვილი უდიდესი ლირიკოსის ინტუიციით გრძნობს, რომ იგი ამით ეხება ჩვენი სულის უნაზეს სიმებს, მან იცის, რომ მამული, მშობლები, მეგობრები და სატრფო უმაღლესი ღირებულებანია ადამიანისათვის და ამ თემას ლექსში ძირითად მოტივად აქცევს. პოეტი მეორედ უბრუნდება ამ მოტივს სრული გადაწყვეტილების ფორმით:

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ  
საფლავებს შორის,  
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი  
მწუხარის;  
შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელითა შორის ტიალის  
მინდვრის,  
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით, მიწას  
მომაყრის!

ბარათაშვილი აქ არ სვამს წერტილს, იგი ამ უაღრესად ადამინურ მოტივს მესამედ იმეორებს სხვა ინტონაციით, უკვე კონტრასტული დაპირისპირებით:

სატრფოს ცრემლის წილ მკვარსა ოხერსა დამეცემიან  
ციურნი ცვარნი,  
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივალალებენ სვავნი  
მყივარნი!

როგორც ვხედავთ, ნ. ბარათაშვილი ვირტუოზულად ავითარებს ლექსის იდეას და ჩვენს ემოციებში ღრმად იჭრება. იგი ჰარმონიულად ათანხმებს ამ განცდებთან ფილოსოფიურ გააზრებას. პოეტის პანთეიზმი მთელი სისრულით მჟღავნდება, როცა იგი ბუნების ულამაზეს მოვლენებს-ცის მნათობებს და ზღვის ტალღებს უერთებს თავის ფიქრებს:

სად დამილამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო,  
მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა მე  
საიდუმლო!

ამას მოჰყვება შეცნობა თავისი ბრძოლისა და გაქანების მთელი მშვენიერებისა, რასაც პოეტი წარმტაცი ტაქტით გადმოგვცემს:

კვნესა გულისა, ტრფობის ნაშთი, მივცე ზღვის ღელვას!  
და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გიჟურსა ლტოლვას!

თემატიკურ კვანძს პოეტი მხოლოდ აქ ხსნის, იგი განსაზღვრავს თავისი გმირული ბრძოლის მიზანს:

გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი,  
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!  
დაე მოვკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!  
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი!

ტრაგიკული სიძლიერითა და უდრეკი ნებისყოფით არის აღსავსე პოეტის ეს შემახილი ბედის მიმართ. პოეტი ამაღლებულია იმის შეგნებით, რომ იგი არ ყოფილა და არც არასოდეს იქნება ბედის მონა. მისთვის უცხოა სიკვდილის შიში. იგი ამარცხებს თვით სიკვდილს.

როგორც ვხედავთ, აქ ლექსის ძირითადი პრობლემის გადაწყვეტაა რასაც მოსდევს მოქმედების შეფასება და დასკვნა. პოეტს სწამს, რომ მისი ბრძოლა გაუკაფავს გზას მომავალ თაობებს:



ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება!  
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო მაინც დარჩება;  
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,  
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!

“მერანის” ყოველი სტრიქონიდან მოჰქრის თავისუფლების უძლეველი სტიქია. ეს არის დიადი ჰიმნი, ადამიანის შემოქმედებითი ძალის სადიდებლად თქმული, მასში ასახულია გმირული თვისებები იმ ხალხისა, რომელმაც პოეტი წარმოშვა.

“ მერანში ” ბარათაშვილმა თავისი ქვეყნის პატრიოტული სულისკვეთება, ბრძოლისა და თავისუფლების იდეა მხატვრული განზოგადების მიუღწეველ სიმაღლეზე აიყვანა.

ღირიკული ქმნილების ისეთი რთული კომპოზიცია, რაც “ მერანს ” ახასიათებს, მოითხოვდა არა მარტო არაჩვეულებრივ პოეტურ ძალას, არამედ თავისი დროის მოწინავე მხატვრული კულტურის სიმაღლეზე დგომას და ეროვნული შემოქმედების მდიდარი ტრადიციების ათვისებას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ერთი ღირსება “ მერანისა ”, კერძოდ, და ბარათაშვილის პოეზიისა – საერთოდ, პოეტი ახერხებს მაღალი რომანტიკული განწყობილებანი დაუკავშიროს კონკრეტულ ადამიანურ მოვლენებს, ფილოსოფიური აზრი გამოხატოს საოცარი სისადავით. “ მერანი ” შეუდარებელი ნიმუშია კონკრეტულობის ჰარმონიული შეთანხმებისა ზოგად რომანტიკულ აპერცეფციასთან: პოეტი, ცის თვალუწვდენელ სივრცეში გაქროლებული, ბრძოლის სტიქიაში შესული, ახერხებს დაილაპარაკოს ბუნებრივი, ადამიანური ხმით და შეარხოს მკითხველის მთელი სულიერი სამყარო. ამიტომ არის, რომ “ მერანის ” პოეტური ფრაზა გამსჭვალულია ფილოსოფიური აზრით და იმავე დროს კონკრეტულ –გრძნობადია. პოეტური გამოსახულების ეს თავისებურება, რომელიც სრულყოფილად გადმოგვცემს დიად იდეას ახალ ენობრივ ფორმებში, ქმნის “ მერანის ” ხალხურ ხასიათს.

ცალკე უნდა ითქვას “ მერანის ” ინტონაციის ორიგინალობისა და სიმდიდრის შესახებ. პოეტს სურს გადმოგვცეს მისი შემმართებელი ბრძოლის სტიქია და რიტმული ტალღების დენით, ინტონაციის მრავალფეროვნებით, მხატვრული თქმის პლასტიკურობით ქმნის “ მერანში ” პოეტურ ექსპრესიას, რომელშიც უნაზეს ტონებთან ერთად ისმის მერანის გრიგალისებური ქროლვა.

ბარათაშვილი შეგნებულად ერიდება წინამორბედი პოეტის მხატვრული კონცეფციის განმეორებას. აღმოსავლურ

მეტაფორმულობას, შინაგან რითმებს, რადგან ისინი არ ეგუებიან მისი პოეტური ფრაზის ხასიათს. " მერანის" თვით რითმაც სტრიქონის შინაგანი დინამიკით ცოცხლობს.

მეტად საგულისხმოა მეტრის პრობლემის თავისებური გადაწყვეტაც " მერანში". ამ ლექსის ორკესტრული ხმიერება ძლიერია და ისე სწრაფი, რომ პოეტს სიტყვათა რიტმულ დენაში ერთგვარი ტალღობრივი პრინციპი შეაქვს. ამის საფუძველია " მერანის" სტროფული კონსტრუქციის თავისებურება: სხვადასხვა მეტრის-შავთელურისა და მცირე ბესიკურის შენაცვლება.

\* \* \*

ნ.ბარათაშვილის პოეტურ შემოქმედებაში, მის სულიერ ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს სიყვარულის გრძნობას და მორალურ იდეალებს. ახალ ქართულ პოეზიაში ბარათაშვილი ქმნის ამაღლებული სიყვარულისა და სულიერი მშვენიერების კულტს. იგი უმღერის ჰარმონიულ და ყოვლისშემძლე სიყვარულს.

ნ.ბარათაშვილის სიყვარულის ფილოსოფია ორგანულად გამომდინარეობს პოეტის საეთო რომანტიკული მსოფლმხედველობიდან. ამ მხრივ მისი შეხედულება სრულიად არ წარმოადგენს სიყვარულის პლატონური გააზრებისა და, მით უმეტეს რელიგიური ექსტაზის ნაყოფს. ბარათაშვილი ერთი წუთითაც არ გამორიცხავს სიყვარულის გრძნობაში ხორციელ მხარეს, მაგრამ, როგორც მოაზროვნე, პოეტი წინა პლანზე აყენებს ჰარმონიული სიყვარულის იდეას. ბარათაშვილის წარმოდგენით, ჭეშმარიტი სიყვარული არ ეყრდნობა განსჯის კაზუსტიკას, არამედ მთლიანად გრძნობიდან გამომდინარეობს. პოეტი სწორედ გრძნობის სილამაზისა და კეთილშობილების პრობლემას სვამს. მას სიყვარული არ წარმოუდგენია მხოლოდ სქესთა ერთმანეთისადმი ლტოლვის შიშველ ფორმად. ბარათაშვილი სიყვარულს უყურებს, როგორც ადამინის ცხოვრების ღრმა მოვლენას და არა გრძნობათა უბრალო თამაშს, ამიტომ იგი თავის მეგობრებს ურჩევს:

არ შეემჰსჭვალათ მოკისკასეს, კეკელა ქალსა,  
სულის დამტყვევებელს და გრძნობათა ცრულ  
მომღერალსა!  
აშვიკის ენა მას ახარებს, მას ასულდგმულებს,  
ხოლო სიყვარულს გული მისი ვერ მიიკარებს!  
(“ჩემთა მეგობართ“)

ნ. ბარათაშვილი სიყვარულის გრძნობას მოსავს ნათელი შარავანდდით და გვიხატავს მას ადამიანური ცხოვრების უმშვენიერეს განცდად. პოეტი უარყოფს სიყვარულის აღმოსავლურ გაგებას, რომელსაც მხოლოდ ხორციელი სილამაზე და უმთავრესად ეროტიზმი ედვა საფუძვლად და ქართულ ლიტერატურაში ამკვიდრებს სიყვარულის რომანტიკულ კონცეფციას.

ჭეშმარიტი სიყვარულის წყაროდ ნ. ბარათაშვილი სთვლის მშვენიერ სულს. პოეტის ეს შეხედულება ორგანულად გამომდინარეობს მისი მორალური ფილოსოფიიდან, ჰუმანისტური მსოფლმხედველობიდან. თუ ბარათაშვილის ლექსებს და მის კერძო წერილებს ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ მას ადამიანის ბედნიერების საზომად მორალური, სულიერი სრულყოფა მიაჩნია.

ეს შეხედულება ბარათაშვილს გადმოცემული აქვს მაიკო ორბელიანთან მიწერილ ერთ ზემოთ მოყვანილ ღრმაზნოვან ბარათში - " დაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა, აი ჭეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კი კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან. სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გრწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან!" როგორც ვხედავთ, პოეტის სულის მშვენიერებას, გულის უმანკოებას უმაღლეს ადამიანურ ღირებულებად სახავს. ამ ასპექტში სჭვრეტს იგი სიყვარულის გრძნობასაც. სიყვარულში პოეტი ეძებს ცხოვრების აზრს, ბედნიერებისა და სიხარულის წყაროს. პოეტის სიყვარული მისი სულის იდეალური სიღრმიდან არის ამოხეთქილი. იგი დიდ მიზანს უსახავს ამ გრძნობას. მშვენიერება, კეთილშობილი და მდიდარი სული. მხოლოდ ასეთი სულთა კავშირი შობს ჭეშმარიტ სიყვარულს, მარადიული სილამაზით მოსილს:

სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების  
და, ვით ყვავილი, თავის დროზე მსწრაფლად დაჰკნების,  
აგრეთვე გულიც, მხოლოდ მისდა შენამსჭვალევი,  
ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცები!  
მშვენიერება ნათელია, ზეცით მოსილი,  
რომლით ნათლდება ყოვლი გრძნობა, გული და სული,  
და კაცთა შორის, ვით კერძოსა ღვთაებობისა,  
რად გრწამს, არ იყოს საუკუნო მადლი ტრფობისა?  
თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს,  
მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს.  
მხოლოდ კავშირი ესრეთთ სულთა შობს სიყვარულსა,  
ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსა!  
მხოლოდ მათ შორის არის გრძნობა, ესთ სანუკველი,

რომ მის უტკბილეს არც თუ არის სასუფეველი!  
მას ცისა სხივით აცისკროვნებს მშვენიერება  
და უკვდავებით აგვირგვინებს ჭეშმარიტება!  
(“ რად ჰყვედრი კაცსა”)

ასეთი მაღალი იდეალი სიყვარულისა მიგვითითებს არა მარტო ნ. ბარათაშვილის დიდ კეთილშობილებაზე, მის ფაქიზ გრძნობებზე, არამედ იმ ჰუმანისტურ მსოფლმხედველობაზეც, რომელიც ასაზრდოვებს მთელ მის შემოქმედებას. ბარათაშვილი სიყვარულში ხედავდა ადამინის ჭეშმარიტ დანიშნულებას,- იმ დროს, როცა მისი დროის ოფიციალურ საზოგადოებაში სიყვარულის განცდა ანგარებისა და ქვენაგრძნობის საგნად იყო გამხდარი.

ნ. ბარათაშვილმა სიყვარულის განცდა უმაღლეს ადამინურ ღირებულებად დასახა და ჩაუმქრალი შარავანდედით შემოსა იგი თავის პოეზიაში.

ამასთან ერთად, არ უნდა დავივიწყოთ, რომ სიყვარულის გრძნობა ბარათაშვილის შემოქმედებაში არასოდეს არ იქცევა მისტიკურ მსახურად სატრფოს საკურთხევის წინაშე. ჩვენი პოეტის ინტიმურ ლირიკაში ჩქეფს ჯანსაღი სიყვარულის ძლიერი წყარო. ბარათაშვილის ლექსებში არაჩვეულებრივი მომხიბვლელობითა და ზნეობრივი სისპეტაკით არის გადმოცემული ტრფიალების სილამაზე. თავის ინტიმურ მღელვარებას იგი სტიქიურ ძალად აქცევს პოეტურ სტრიქონებში:

მიყვარს თვალები, მიბნედილები,  
ემხისა ცეცხლით დაქანცულები!

მის სატრფიალო ლირიკაში ჩვენ ყოველთვის გვხვდება ფაქიზი გრძნობითა და პლასტიკურობით დახატული სურათი:

შენნი დალალნი ყრილობენ გველად  
სპეტაკს მკერდზედა, ტრფობისა ველად,  
და თვალთა ჩემთა ადავრიშებენ  
ხან ნუგეშისთვის, ხან დასაწველად!

ნ. ბარათაშვილი სიყვარულის საგნის აღწერაში იჩენს არაჩვეულებრივ სიფაქიზესა და შინაგან ტაქტს. პოეტი ნახულობს უნაზეს სახეებს და ფერებს ტრფიალების განცდის გადმოსაცემად. ამ მხრივ სანიმუშოა “ საყურე”

ვითა პეპელა  
არხევს ნელნელა

სპეტაკს შრომანას, ლამაზად ახრილს,  
ასე საყურე,  
უცხო საყურე,  
ეთამაშება თავისსა აჩრდილს  
ნეტავი იმას,  
ვინც თავისს სუნთქვას  
შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს!  
შენის შერხევით,  
სიო – მობერვით  
გულისა სიცხეს განიგრილებდეს  
ჰოი, საყურეო,  
გრძნობით ამრევო,  
ვინ ბაგე შენს ქვეშ დაიტკბარუნოს?  
მუნ უკვდავების  
შარბათი ვინ სვის?  
ვინ სული თვისი ზედ დაგაკონოს?

ლექსი შესრულებულია ისეთი აბსოლუტური ჰარმონიითა და პოეტური ჰაეროვნებით, რომ იგი შეიძლება გაბედულად ჩავთვალოთ მსოფლიო სატრფიალო ლირიკის ნიმუშად.

არ შეიძლება აქვე არ შევჩერდეთ ბარათაშვილის ცნობილ ლექსზე - " ვპოვე ტაძარი", რომელშიც მან სიყვარულის თემა ყველაზე რელიეფურად დაუკავშირა საზოგადოებრივ გარემოს. ამ ნაწარმოებში პოეტი ძლიერი შთაგონებით გვიხატავს თავის სულიერ დრამას:

ვპოვე ტაძარი შესაფარი, უდაბნოდ მდგარი;  
მუნ ენთო მარად უქრობელი წმიდა ლაპარი.  
ანგელოსთაგან იკრობა მუნ დავითის ქნარი,  
და განისმოდა ციურთ დასთა გალობის ზარი!

მწირი სოფლისა, დამაშვრალი მისითა ღელვით,  
მუნ ვეძიებდი განსვენებას წრფელთა ზრახვით;  
გულსა, მოკლულსა კაცთ სიავით და ბედის ბრუნვით,  
ლამპარი წმიდა განმიტფობდა ციურის სხივით!

მაგრამ საწუთრო განა ვისმეს დიდხანს ახარებს?  
განქრა ტაძარი – და უდაბნო ჩემდა მდუმარებს;  
მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არ ასადარებს,  
მის ნაცვლად სევდა და წყვდიადი დაისადგურებს!

ვერღა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!

ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი!  
ესრეთ დამიხშო უკუღმართმა ნუგეშის კარი,  
და დავალ ოზლად, ისე მწირი, მიუსაფარი!

ამ ლექსში ხშირად ხედავენ მხოლოდ და მხოლოდ უიმედო სიყვარულის იდეას. ეს არ არის მართალი. ბარათაშვილის შინაგანი დრამის საფუძველი არ არის მართალი. ბარათაშვილის შინაგანი დრამის საფუძველი არ არის მხოლოდ და მხოლოდ ინტიმური განცდა სიყვარულისა. “ზედის ბრუნვა”, “კაცთა სიავე”, მთელი საზოგადოებრივი გარემო იქცევა სულიერი ტანჯვის მიზეზად. ამ ლექსში სიყვარულის პირადული განცდა დაკავშირებულია საზოგადოებრივ მოტივთან. ინტიმური მხარე მხოლოდ საბაზია, რომ პოეტმა თავისი სულიერი ტრაგედიის სოციალური საწყისები გამოავლინოს. ნ ბარათაშვილის “საზარი ცა” არ არის მხოლოდ უიმედო სიყვარულის შედეგი. ცხოვრების ქარიშხალი იჭრება თვით უდაბნოში და უნგრევს პოეტს სიყვარულის ტაძარს. ბარათაშვილის ამ ლექსში სიყვარულის თემა მჭიდროდ არის გადახლართული საზოგადოებრივ მოტივთან.

\* \* \*

ნ. ბარათაშვილის რომანტიკულ მსოფლმხედველობა რელიეფურად მჟღავნდება არა მარტო სოციალურ – მორალური საკითხების გადაჭრაში, არამედ ბუნების შემეცნებაშიც. ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობა ბარათაშვილის შემოქმედების ერთი მთავარი პრობლემათაგანია. მის პოეზიაში მოცემულია ბუნების ლირიკული ათვისება. იგი ბუნებაში ხედავს მესაიდუმლეს და თანამგრძნობელს. მთაწმინდის კლდეებს, ცის ლაჟვარდს, მტკვარსა და ჩინარს პოეტი ესაუბრება, როგორც სულიერ მეგობრებს. ბუნების მოვლენებში ბარათაშვილი ხედავს თავის განწყობილებათა გამოძახილს:

მახსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნაღვლიანი,  
კლდევ ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი,  
და წყნარ საღამოს, ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი,  
როს ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი!

საღამოს თალხი ფერები ესაღბუნება პოეტის სულს. ასევე ეტრფოდნენ მოწყენილ ბუნებას და განსაკუთრებით ღამეს სხვა რომანტიკოსებიც. გერმანელი რომანტიკოსის ნოვალისისათვისაც საყვარელი პეიზაჟი იყო მთვარით განათებული ღამე და მდუმარე ტყე. მაგრამ, ამასთან ერთად, ნოვალისსა და ბარათაშვილს შორის დიდი

სხვაობაა. გერმანელი რომანტიკოსი, გამომდინარე თავისი რეაქციული შეხედულებიდან, ბუნებას მისტიკურად გაიაზრებს და ბუნებაში ღვთაებრივ აბსტრაქციას ეძებს, მაშინ როცა "მერანის" ავტორს ბუნების წარმოსახვაში შეაქვს ჰუმანისტური იდეა. გავიხსენოთ "შემოღამება მთაწმინდაზე", სადაც პოეტის გული იმედით შეხარის გათენებას, გავიხსენოთ "ფიქრი მტკვრის პირას", რომელშიც პოეტი ტრაგიკული დაფიქრების წამშიც საზოგადოებაზე ზრუნავს და ადამიანის მოქალაქეობრივ დანიშნულებაზე გვესაუბრება. ბუნება ხელს უწყობს ბარათაშვილის მხატვრული შთაგონების გაღვიძებას. მისი პანთეიზმი – ეს არის ძლიერი განცდა და სიყვარული ბუნების სილამაზისა. "ჩინარის" ავტორს შეეძლო გაემეორებინა გოეთეს სიტყვები: "ბუნების მარცვალი განა ადამიანის სულში არ ინახება?" ბარათაშვილი ბუნებას მეტყველ ენას უდგამს იმისათვის, რომ დაამყაროს ჰარმონია ბუნებასა და ადამიანს შორის. ეს არის პოეტის შინაგანი ლტოლვა ბუნების კანონების წვდომისა, ბუნების ღრმა შემეცნებისა. ამავე დროს, ბარათაშვილის თავისებური პანთეიზმი საშუალებაა, რომ პოეტმა მიმზიდველ ფორმებში, მეტი ლირიკული სიმძაფრით გადმოგვცეს თავისი ბრძნული აზრები სიცოცხლეზე, ადამიანზე, ბუნებაზე. მან ბუნების ფილოსოფია ყველაზე მკვეთრად გადმოგვცა "ჩინარში". ამ ლექსში პოეტმა ბუნებას ენა ჩაუდგა და აამეტყველა:

განმარტოებულს ფრიალოს კლდეზე სდგას ალვის ხისა  
ნორჩი ახალი,  
მრავალ – შტოვანი, მაგრილობელი, ჰაეროვანი, ტურფა, მაღალი.  
საამო არის მის ჩრდილში ოცვნა და მისთა ფოთოლთ შრიალთა  
სმენა,  
და წყალთ დუდუნზე უკუღმართისა ამა სოფლისა ჭირთა  
დათმენა!  
მოქშუის მტკვარი, მოქრის ნიავი და შრიალით არხევს ჩინარსა,  
და გადმოსცემენ სახიობასა, ტკბილის ოცნებით დამადინარსა!  
მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ  
შორის,  
და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის!

პოეტის ამ სიტყვებში ასახულია ბუნების დიადი თანხმოვანება. იგი კითხულობს ბუნების იდუმალ ზრახვებს და პოეტური ენით გვეუბნება, რომ მტკვარი ეტრფის ჰაეროვან ჩინარს:

მაგრამ ჩინარი, მაღლად მჩინარი, დგას მედიდურად და სიმაცით,  
და მხოლოდ თავსა გარდმო – გარდილებს სევდიანისა

შერხევის სახით.

მტკვრის იდუმალ ლტოლვას ჩინარის მიმართ პოეტი ადარებს ტანჯვას მიჯნურისას, რომელსაც მოსდებია " ტრფიალებისა ცეცხლი ციური". როგორც ვხედავთ, ბუნების სახეების ჩვენებით პოეტი გადაგვიშლის ადამინის შინაგან სამყაროს. უნებურად გაგონდებათ ჰაინეს სიტყვები: " ბუნებას ეწადა საკუთარი სახის ხილვა და წარმოშვა გოეთე".

ბარათაშვილი ბუნების დიდი მხატვარია. XIX საუკუნის ჩვენს ლიტერატურაში მან ერთმა პირველთაგანმა შემოიტანა ღრმა გრძნობა ბუნებისა და გამოხატა ქართული პეიზაჟის წარმტაცი სილამაზე. ბარათაშვილს ხიბლავდა თბილისის პეიზაჟი, მისი ისტორიული ადგილები, მისი შემოგარენი. პოეტის ბიოგრაფი გადმოგვცემს, რომ " ბარათაშვილი ხშირად წავიდოდა ხოლმე თავის ამხანაგებით ნარიყალისკენ, კრწანისის ბაღებისკენ, მამადავითის მახლობლივ"<sup>[36]</sup>. მთაწმინდა იყო პოეტის საყვარელი ადგილი. შთამაგონებელი იყო ყოველივე, რასაც კი სწვდებოდა ამ მთიდან პოეტის თვალი. მტკვრის კლდოვან ნაპირებზე თუ ნარიყალას ჩამონგრეულ ქონგურებზე იგი კითხულობდა თავისი ქვეყნის გმირულ ისტორიას. ა. წერეთლის " განთიადი" გამოძახილია ბარათაშვილის ლექსისა " შემოღამება მთაწმიდაზე".

ნ. ბარათაშვილის პეიზაჟურ მხატვრობაში პირველი ადგილთაგანი ეკუთვნის არაგვის ნაპირების ცნობილ ადწერას პოემაში " ბედი ქართლისა". პოეტი ისტორიულ მოვლენას გვიშლის დიდებული ბუნების ფონზე. აქ ბარათაშვილი არაჩვეულებრივი ძლიერებით გადმოგვცემს არაგვის ხეობის მშვენიერებას. პოეტი ცხოველ სულს შთაბერავს ბუნების სურათებს, მის ხმებსა და ფერებს და ერთი ამოსუნთქვით ამბობს ამ ჰარმონიული ქვეყნის სიმღერას:

მორბის არაგვი არაგვიანი,  
თან მოსძახიან მთანი ტყიანნი,  
და შეუპოვრად მოუთამაშებს  
გარემო თვისსა ატეხილს ჭალებს.  
ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო,  
მობიბინენო,შვებით მომზირნო,  
ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს,  
ოდეს შვენება თქვენი იხილოს,  
რომ თქვენს ბუჩქებში არა ჩამოხდეს,  
რაც უნდა გზასაც ეშურებოდეს,  
როგორ იქნება არ განისვენოს?



სამჯერ ხომ მაინც გადაჰკრავს ღვინოს,  
ცხენს მოაძოვებს, თვალს მოატყუებს,  
გამოიღვიძებს - შუბლს განიგრილებს,  
ერთს ქართველურად კიდევ შესძახებს,  
არაგვო, მაგ შენს ამწვანებულ მთებს,  
და მერმე თუნდაც დაუგვიანდეს,  
იგი იმისთვის აღარ დაღონდეს!

რა შთაგონებულად, როგორ განუმეორებელ, უზადო, პლასტიკურ სახეებშია გადმოცემული ადამიანისა და ბუნების ჰარმონიული ერთიანობის ხილვა. აქ ღრმად არის ნაგრძნობი ქართველი ადამიანის ლაღი და ლამაზი შინაგანი სამყარო! პოეტი სიყვარულით გადმოგვცემს მომხიბლავ ხასიათს ქართველი კაცისას, რომელმაც იცის ცხოვრების სიხარულის მძაფრი განცდა და მშობლიური ბუნების მშვენიერებით აღტაცება! აქ ბარათაშვილი ეხმაურება რუსთაველს. ჩვენ წინ გაიღვებს გრაციოზული სურათი ავთანდილის სიმღერისა მდელოთა შორის, როდესაც ქართველ გმირს გარინდებით უსმენს მთელი ბუნება.

არაგვის ნაპირების პოეტური ხილვა არ წარმოადგენს ჩვეულებრივ პეიზაჟურ მხატვრობას, ამ სურათში მხოლოდ რომანტიკული განწყობილება როდი ბატონობს. აქ წარმოგიდგებათ ადამიანის ცხოვრება რეალისტური სიციხოველით. ბარათაშვილი გადაგვიშლის საქართველოს ბუნების დიდებულ წიგნს, რომლის ყოველი ფურცელი ახალი ძალით განგვაცდევინებს სამშობლოს სიყვარულს.

მსოფლიო პოეზიის ისტორიაში იშვიათი შემთხვევაა, რომ მოცულობით ლექსთა მცირე კრებული, რომელიც დაგვიტოვა ნიკოლოზ ბარათაშვილმა, აღსავსე იყოს ასეთი მრავალფეროვანი იდეებით და ერთმანეთისაგან განსხვავებული თემატიკით. შეიძლება ითქვას, რომ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ყრმობის პერიოდის ლექსებს, ნ. ბარათაშვილის თხზულებათა მომცრო წიგნაკის სახით ჩვენ გვაქვს პოეტური შედევრების კრებული, რომლის ყოველი ახალი გადაკითხვისას ყოველ ლექსს ახლებურად განიცდის მკითხველი, ახალ აზრს და ემოციას იწვევს. ეს არის თვისება უძვირფასესი ქვისა, რომლის ყოველი ახალი კუთხით ცქერა თქვენ თვალწინ გიშლით ფერთა ახალ გამას. მითუმეტეს, ბარათაშვილის ლირიკული შედევრები, როგორც ესთეტიკური ფენომენები, წარმოადგენენ აზრისა და ემოციის ურთულეს შენადნობს, პოეზიის მაღლით აღბეჭდილს.

ჩვენ განვიხილეთ ბარათაშვილის ლირიკის მთავარი ნიმუშები. ახლა შევჩერდებით ლექსებზე "ნაპოლეონ" და "ჩემი ლოცვა",

რომლებიც არა ნაკლები სიძლიერით, ვიდრე სხვა თხზულებანი, წარმოგვისახავს პოეტის გონების ძალას და მისი სულიერი ცხოვრების მრავალფეროვნებას.

ნაპოლეონის თემა დამახასიათებელია ყველა დიდი ევროპელი და რუსი რომანტიკოსის შემოქმედებისათვის. ბაირონმა, პუშკინმა, ლერმონტოვმა თავისი ხარკი გადაუხადეს ამ თემას.

ისევე როგორც პოეტურ იდეას, ნ. ბარათაშვილი ამ თემასაც ღრმად ორიგინალურად აშუქებს. იგი ქართველ პოეტს გადაწყვეტილი აქვს ადამინის სურვილთა დაუკმაყოფილებლობის და ბედთან იმპერატორის დამოკიდებულების ფილოსოფიურ ასპექტში. ამ ლექსის საიდუმლოების გასაღებს ჩვენ ვხედავთ ერთი წლით ადრე დაწერილ ლექსში " ფიქრი მტკვრის პირას" (1837წ.). პოეტი აქ სვამს კითხვას:

“მაინც რა არის ჩვენი ყოფა –წუთისოფელი,  
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?  
ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,  
და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?  
თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმაღლეს  
ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება,  
შფოთვენ და დრტვიან და იტყვიან: “როდის იქნება,  
ის სამეფოცა ჩვენი იყოს?” და აღიძვრიან  
იმავე მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!..

ნ. ბარათაშვილის ლექსის -“ნაპოლეონ“-პირველივე სტრიქონები ეხება მეფეთა დიდების და მათი “აღუვსებელი” სურვილის საკითხს. როგორც ბარათაშვილის პოეტური აპერცეფციისათვის დამახასიათებელია, იგი თავიდანვე ფართო მასშტაბით მოხაზავს ადრულ თემას: ნაპოლეონი გონების თვალს მიმოავლებს განვლილ ბრძოლათა და მისი მშფოთვარე ცხოვრების გზას, რომ შეაჯამოს თავისი ისტორიული ქმედობა:

“ნაპოლეონმა გარდმოავლო თვალი ფრანციას,  
და ჰსთქვი:“ აბაო ხელმწიფებამ რა შემიძინა?  
და რა იხილა თვისს დიდების მსხვერპლი თვის წინა,  
მისს მოღრუბლულს შუბლს შუქი რაღაც გარდაეფინა.

და აი ქართველი პოეტი პირქუშ იმპერატორს გვიხატავს ერთი წამით შუბლგახსნილს, რადგან მას “ სურვა აღუხდა” და საოცრად ისახელა თავი. მაგრამ, შუქი, რომელიც იმპერატორის შუბლს გადაეფინა – ეს წამიერი მოვლენა იყო. იგი კვლავ დრტვინავს. “ მაგრამ მე გვამში სული ვერღა მომთავსებია!” -წამოიძახებს მშფოთვარე

იმპერატორი. მართალია, ბედს მისთვის დაუწნავს დიდების გვირგვინი, დრო და ისტორია მის სასარგებლოდ მოქმედებს: " ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი", -ამბობს იგი. მაგრამ თვითკმაყოფილი იმპერატორის სულს ეწვეთება ეჭვის შხამი:

"მაგრამ, ვინ იცის, იქნება რომ ბედსაც მოვსწყინდე,  
და სხვა მან ჩემის სახელითა დააგვირგვინოს?!"

მაგრამ ნაპოლეონს სწამს, რომ ბედი არ უორგულებს მას, რადგან იგი თვით ბედის გაწვრთნილია. ნაპოლეონისათვის ჩვეული განდიდების წყურვილი, რომელიც მას არ ტოვებდა თვით ელბას კუნძულზე, გაისმის სიტყვებში:

" თვითონ სამარეც მევიწროვოს თუ ტოლი მყვანდეს"! ნაპოლეონის გააზრება ზოგადად ადამიანის სურვილთა " აღუვსებელი საწყაულის" ასპექტში - ეს ერთი მხარეა ბარათაშვილის ლექსისა. მეორე პრობლემა, რომელსაც ეხება პოეტი, ეს არის დიდი ადამიანისა და ისტორიული პირობების ურთიერთობა,

ნაპოლეონის გრანდიოზული ფიგურა შექმნა ისტორიულმა პირობებმა, მისმა დრომ, ჟამმა. აკი თვით ნაპოლეონი ამბობს: " ჟამი ჩემიაო..." ბედი ბარათაშვილის ლექსში გააზრებულია არა როგორც ფაქტიურად გარდუვალი აუცილებლობა, ზეგარდმო გარდმოვლენილი უცვლელი ძალა. ეს რომ ასე არ იყოს გაგებული, ნაპოლეონში არ აღიმკვრებოდა, თუმც წამიერად, სკეპსი თავისი ბედის მიმართ,

აქ პოეტს ბედი წარმოსახული აქვს, როგორც ისტორიული სინამდვილის კონკრეტული გამოვლინება, რომელსაც დიდი ნიჭით და შორსმჭვრეტელობით დაჯილდოებული პიროვნება ალღოს აუღებს და თავის სასარგებლოდ გამოიყენებს. ამიტომაც, რომ ნაპოლეონს მტკიცედ სჯერა თავისი ძალებისა, სჯერა რომ იგი სხვაზე მეტად " ძლიერად, მეცნიერად", ე. ი. ისტორიის კანონების ღრმა გაგებით იხელმწიფებს.

ნაპოლეონის დაუოკებული ტემპერამენტის გადმოსაცემად ბარათაშვილი არ ზოგავს პოეტურ პალიტრას და ძლიერი საღებავებით ხატავს განთქმულ მხედართმთავარს:

"ბევრი დღე გავა, რომ ჯერ ბევრი ვერ ვსცნათ ჩვენ მისი!  
თვითონ სიკვდილიც მას უებროდ აღმოგვიჩინებს:  
დამქრალი ცეცხლი და ზღვის ღელვა წარმოგვიდგინებს  
მისს ცეცხლსა სულსა და ზღვა გულსა განსაკვირველებს!

ნაპოლეონის შესახებ დაწერილ ლექსებს შორის ბარათაშვილის ლექსი განსაკუთრებულ ადგილს იჭერს თავისი ორიგინალური კონცეფციით.

ნ. ბარათაშვილის " ჩემი ლოცვა" თავისი პრობლემატურობით აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ერთი წაკითხვით, ლექსი რელიგიური გრძნობით შეფერილ რომანტიკულ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ საკმაოა მის ქვეტექსტში ჩაღრმავება, რომ დავინახოთ პოეტის მიერ ამქვეყნიური ცხოველმყოფელი სილამაზის თაყვანისცემა. ლოცვა, როგორც სულიერი ექსტაზის გამოვლინება, ყოველთვის იქცევა რომანტიკოსების ყურადღებას. ლექსის " შემოდამება მთაწმინდაზედ" ერთ ვარიანტში ვკითხულობთ:

" ვითა უბიწო და მშვენიერი სული ლოცვითა მოიქანცება,  
და სახე მისი ამქვეყნიური, მით უფრო მშვენი გაციურდება".

ქარიშხლოვან განცდებს და ვნებათა ღელვას მოუქანცავს პოეტის სული, იგი ეძებს განსვენებას, მაგრამ " ლოცვაში" ისმის არა ღვთისმორწმუნის ღაღადისი, არამედ განწირული ხმა ცხოვრებაზე შეყვარებული ადამიანისა, რომელსაც განუვლია ქარიშხლიანი გზა და ეძიებს ნავთსაყუდელს, არა სინამდვილის მიღმა, არამედ ცხოვრებაში. ამიტომაც, რომ პოეტი მოულოდნელად სცილდება აბსტრაქტულ ცნებას და მიმართავს თვით ცხოვრების ცხოველ ძალას სულიერი ტკივილების დასაამებლად:

" ცხოვრების წყაროვ, მასვ წმიდათა წყალთაგან შენთა,  
დამინთქე მათში სალმობანი გულისა სენთა!  
არა დაჰქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა,  
არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა!

ეს არის პოეტის ლტოლვა ნამდვილი, ადამიანური ცხოვრებისაკენ, მას სრულიად არ სურს განერიდოს საზოგადოებას, არამედ სურს თავი დააღწიოს შავბნელი სინამდვილის მღვრიე ტალღებს და დაეწაფოს ცხოვრების წმინდა წყაროს, ეს არის წადილი სულიერი განახლებისა, ძალთა მოკრებისა მომავალი ბრძოლისათვის " მსახვრალი ბედის" წინააღმდეგ.

პოეტმა გულწრფელად წარმოთქვა თავისი აღსარება. მას მეტი სათქმელი არაფერი აქვს, მაგრამ მისი დუმილიც მშფოთვარე სულის ღაღადისია:

"მაშა დუმილიც მიმითვალენ

შენდამი ლოცვად!”

ამ ღრმააზროვანი სტრიქონით ასრულებს პოეტი ლექსს, რომელიც არაჩვეულებრივი სიძლიერით გამოხატავს ბარათაშვილის სულიერ კათარზისს. პოეტი თითქოს თავისი ძლიერი შინაგანი მღელვარების თანამონაწილედ ხდის მკითხველს, რომლის არსება მთლიანად მოუცავს ლექსით გამოწვეულ ძლიერ ემოციებს და ღრმად დაფიქრებული რჩება ბარათაშვილის წიგნის დახურვის შემდეგაც.

ძველქართული მეტყველების ელემენტები<sup>[37]</sup>, კლასიკური ეროვნული ჰიმნოგრაფიის ჟღერადობა და ბიბლეიზმები ქმნიან ამ ლექსის მთლიან კოლორიტს და ხელს უწყობენ ფორმისა და შინაარსის თანხმოვანებას.

“ ჩემი ლოცვა” ერთი წაკითხვით თითქოს დიდი სულიერი წონასწორობით და სიდინჯით წარმოთქმული პოეტური აღსარებაა, მაგრამ მასში იგრძნობა შემოქმედის მიერ გადატანილი ტანჯვა, რაც მთელი სიძლიერით მჟღავნდება შემდეგ შექმნილ ლირიკულ თხზულებაში.

ნ. ბარათაშვილი თავისი დროის დიდად განათლებული პიროვნება იყო. საკმაოა ჩავუღრმავდეთ “ მერანს”, როგორც ესთეტიკურ ფენომენს, რომ დავრწმუნდეთ – ასეთი ტიპის ლექსის შექმნა შეეძლო მხოლოდ ისეთ შემოქმედს, რომელსაც ღრმად ჰქონდა ათვისებული არა მარტო მდიდარი ეროვნული მხატვრული კულტურის ტრადიციები, არამედ იმ დროის დასავლეთისა და რუსეთის პოეტური ხელოვნება. ილია ჭავჭავაძემ და სხვა ქართველმა მოღვაწეებმა სრულიად სამართლიანად გაიზიარეს ბარათაშვილი, როგორც ბაირონის, გოეთეს და ლერმონტოვის სრულიად მონათესავე შემოქმედი, თავისი ეპოქის დიდი პოეტური მესიტყვე.

როგორც ბიოგრაფიულ ნარკვევში იყო თქმული, ბარათაშვილი ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს სწავლობდა გერმანულ და ფრანგულ ენებს.

პოეტის ფართო გონებრივ ინტერესებზე მეტყველებს ჩვენამდე მოუღწეველი მისი ისტორიული ნარკვევი კათოლიციზმის ისტორიიდან, რომელიც მას “ თბილისის გიმნაზიის ყვავილში” დაუბეჭდია.

ცნობილია, რომ ნ. ბარათაშვილს თავისი სულიერი განწყობილების გადმოსაცემად კერძო ბარათებში მოჰყავს ლერმონტოვის პოეტური სტრიქონები. ბარათაშვილს რუსულიდან უთარგმნია აგრეთვე ცნობილი სასიმღერო ლექსი “ როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა”, რომლის სიტყვები და მუსიკა შექმნა მოცარტმა, ეს ლექსი თარგმნეს რუსულად “ კლიუჩ”-ის სახელწოდებით და ფართოდ

იყო გავრცელებული რუსეთში, იგი ლევ ტოლსტოის უსაყვარლესი მუსიკალური ნაწარმოები ყოფილა.

რომანტიკული პოეზიის პროგრესული ნაკადისათვის დამახასიათებელია ინტერესი ფოლკლორული მოტივებისადმი, ხალხური შემოქმედებისადმი. ეს ტენდენცია ბარათაშვილის პოეზიაშიც შეინიშნება. მისთვის, როგორც ევროპული მხატვრული კულტურით აღჭურვილი შემოქმედისათვის, უცხოა ქალაქური, აღმოსავლური პოეზიის მოტივები. პოეტის არც ერთი ლექსი არ ატარებს მინიშნებას რომელიმე აღმოსავლურ, სპარსულ-თურქულ ჰანგზე, იმ დროს, როდესაც გრიგოლ ორბელიანისათვის და, მით უმეტეს, ალ. ჭავჭავაძის ლექსებისათვის აღნიშნული ტენდენცია დამახასიათებელია. თუ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი რომელიმე ჰანგზე იმღერება, იგი იქნება ან ღრმად ეროვნულ-ხალხური ან ევროპული ხასიათისა. ევროპული მუსიკის მოტივზე სასიმღერო ლექსები ჩვენ ზემოთ დავასახელებთ, ქართულ ჰანგზე იმღერებოდა პოეტის სიცოცხლეშივე ღრმა აზრისა და ემოციის შემცველი "სულო ბოროტო". შემდეგში იგი საფუძვლად დაედო ზ. ფალიაშვილის "დაისის" ცნობილ არიას, რომელიც აღბეჭდილია ბეთჰოვენისეული ტრაგიკული განცდით.

მეორე ლექსი "მადლი შენს გამჩენს, ლამაზო" მთლიანად წმინდა ქართულ ხალხურ კილოზეა აგებული როგორც თავისი ფორმით, ისევე, შინაარსითაც.

მთელ ქართულ რომანტიკულ პოეზიაში ჩვენ მაგალითი არა გვაქვს ასეთ ყოველმხრივ ხალხურ მოტივებზე დაწერილი ლექსისა. ეს ლექსი შთაგონებულია ბარათაშვილის დროს გავრცელებული ქართული ლექსის ტექსტით და მოტივით.

1845 წლის 9 თებერვლით დათარიღებულ წერილში ამ ლექსის შესახებ პოეტი შემდეგს სწერს თავის ადრესატს: "აი ამ ქართულს ლექსს გიგზავნი მდაბიურად დაწერილს, როგორღაც ფიქრში მამივიდა.- მე ვარ და ჩემი ნაბადი, იმის ხმაზედ"<sup>[38]</sup>.

ჩანს, სამშობლოდან მოშორებულს, მარტოობაში მყოფ პოეტს აგონდებოდა მშობლიური ჰანგები. "მე ვარ და ჩემი ნაბადი" ცნობილი ქართული ხალხური სასიმღერო ლექსია:

"მე ვარ და ჩემი ნაბადი გამთენებელი ღამისა,  
დავწვები, ჯავრი ჩამყვება სამი ლამაზი ქალისა,  
ერთია მეტად ლამაზი, მეორე – ლერწამ ტანისა,  
მესამე ასეთი არის დამყენებელი თვალისა"<sup>[39]</sup>

ეს ლექსი, ისევე როგორც მისი სასიმღერო მოტივი, ქართლში ყოფილა გავრცელებული.

საყურადღებოა ისიც, რომ ხალხურ კილოზე დაწერილი ლექსი "მადლი შენს გამჩენს" პოეტის ჩვენამდე მიღწეული უკანასკნელი ნაწარმოებია (1845წ.). პოეტი იმავე წელს გარდაიცვალა.

\* \* \*

ნიკოლოზ ბარათაშვილის მემკვიდრეობის უმთავრესი ნაწილი ლირიკული შემოქმედებაა, მაგრამ მან დაგვიტოვა პოეტური ეპოსის შესანიშნავი ნიმუშიც - "ბედი ქართლისა", რომელშიც მოცემულია მშობლიური ისტორიის ღრმა მხატვრული შემეცნება. ამ პერიოდში ნ. ბარათაშვილი გაბედულ ნაბიჯს დგამს რეალიზმისაკენ.

ქართლის ბედს ნიკოლოზ ბარათაშვილი ყრმობიდანვე მძაფრად განიცდიდა. მშობლიური ქვეყნის წარსულის სურათები ადრევე იკავებენ განსაკუთრებულ ადგილს მის პოეტურ წარმოსახვაში. ეროვნული გრძნობის ადრეულ გაღვიძებას ხელს უწყობდა პოეტის აღზრდა პატრიოტულ გარემოში. როგორც აღვნიშნეთ, პოეტის ოჯახში იკრიბებოდნენ ისტორიული პიროვნებანი, რომელთა საუბარი გამოუღეველ საზრდოს აწვდიდა ნიჭიერი ბავშვის ფანტაზიას. ყრმა ბარათაშვილი გატაცებით ეწაფებოდა მათ ნაამბობს. ქართლის ბედი და "ომების ღენიის კაცი" მეფე ერეკლე - მათი საუბრის მთავარი თემა იყო.

ოჯახურ წრეში მიღებული შთაბეჭდილებანი ქართლის ბედის შესახებ კიდევ უფრო გაღრმავდა სასწავლებელში, სადაც ბარათაშვილის გონებრივი აღმზრდელი იყო ღრმა მოაზროვნე და თავდადებული პატრიოტი სოლომონ დოდაშვილი. ბოლოს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბარათაშვილის ისტორიულ ეროვნულ შეხედულებათა ჩამოყალიბება მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ სოციალურ-განმათავისუფლებელ იდეებთან, რომლებიც უკვე 30-იანი წლებიდან გარკვევით შეიმჩნევა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებასა და აზროვნებაში.

აღნიშნულმა ფაქტორებმა გაამდიდრეს ბარათაშვილის ისტორიული შემეცნება, გააფართოეს მისი წარმოდგენა მშობლიურ წარსულზე და გაუმახვილეს წინასწარი განჭვრეტის გრძნობა. მაღალ განვითარებას მიღწეულმა პოეტის პატრიოტულმა შეგნებამ ბრწყინვალე მხატვრული განსახიერება პოვა პოემაში "ბედი ქართლისა". ეს შესანიშნავი ეპიკური ტილო ნ. ბარათაშვილმა შექმნა 1839 წელს. თუმცა მასში მე-18 საუკუნის საქართველოს ცხოვრებაა ასახული, მაგრამ პოემა, ამასთანავე, წარმოადგენს 30-40-იანი წლების

საქართველოს წინაშე დასმული საჭირობოტო ეროვნული საკითხების უშუალო პასუხს. თუ რა ძლიერ აღელვებდა ამ პერიოდში " ქართლის ბედი" ჩვენს მოაზროვნე საზოგადოებას და პირველ რიგში თვით ნ. ბარათაშვილს, ეს კარგად ჩანს ერთ ეპიზოდში, რომელსაც პოეტის მეგობარი კონსტ. მამაცაშვილი გადმოგვცემს: "მახსოვს, ერთ ივლისის ღამეს, 1838 წელს, მე და ტატო წავედით სასაქონლოთ გარეთუბანს (ეხლანდელი გოლოვინის პროსპექტი). ტატო ძალიან მხიარულად იყო და თავისებურად მშვენივრად ხუმრობდა; მერმე ჩამოვარდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზე და ტრაგიკულს დასასრულზე მე –18 საუკუნისა, მეფის ირაკლის მოხუცებულობის გამო უღონობაზე, ჩვენის თვითის წახდენაზე, 1795 წელსა, 12 სექტემბერს და სხვ. ამ ლაპარაკის დროს ნიკოლოზს, ყოველთვის მოცინარს და მხიარულს, სახე გამოეცვალა, დაიწყო ხელსახოცით ცრემლების წმენდა და აღელვებულმა მითხრა:

- ჩვენმა უხეირობამ დაგვლუპა! –და ოხვრით დაუმატა:

- ვაი ჩვენო ქართლის ბედო! – დიდხანს დავდიოდით თავჩაღუნულნი და მოწყენილნი"<sup>[40]</sup>.

ამ ამბის დრამატული ტონი თავიდან ბოლომდე გასდევს ბარათაშვილის პოემას, მაგრამ, ამასთან, მისი შესანიშნავი პოეტური ეპოსის სტრიქონები გამთბარია ეროვნული ოპტიმიზმის გრძნობით.

ქართლის ბედის დიდი მოზარე (ვაჟა -ფშაველას გამოთქმა რომ ვიხმაროთ) თავის პოემაში "ბედი ქართლისა" გვაჩვენებს ჩვენი ხალხის გმირულ ნებისყოფას, ქართველი კაცის მომხიბვლელ ხასიათს, საქართველოს მთების, მდინარეებისა და მდელოთა მშვენიერებას. თუ ღრმად ჩავუკვირდებით ამ პოემას, მასში დავინახავთ მთელ საქართველოს.

პოემაში "ბედი ქართლისა" შესანიშნავია არა მარტო ისტორიული ამბის თხრობა, არამედ ქართველი ხალხის აქტიური სულის ჩვენება და ის დიდი ეროვნულ-საზოგადოებრივი პრობლემა, რომელიც თხზულების შინაგან ღერძად გვევლინება.

პოემაში "ბედი ქართლისა" ასახულია საქართველოს გმირული წარსულის დაუვიწყარი მოვლენა – კრწანისის ბრძოლა, რომელიც გადაიხადა ერეკლე მეორემ თბილისის კარებთან 1795 წელს. ნ. ბარათაშვილი მაღალმხატვრული ოსტატობით გვისურათებს ქართველი ხალხის ისტორიის ამ ტრაგიზმით აღსავსე ამბავს.

პოემის პირველივე სტრიქონებიდან ჩვენ გვესმის ერეკლე მეორის შთამაგონებელი ხმა. ეს არის მხცოვანი გმირი მეფის მხურვალე ლოცვა ომის წინ, რასაც მალე ცვლის მისი გამამხნეველები დარიგება ქართველი ჯარის მიმართ:



“ ხედავთ, ვითარის კადნიერებით  
შეკრბების ჩვენზედ უსჯულოება!  
საქართველოს დღეს გარდაუწყდება  
თავისი ბედი და უბედობა!  
დღეს ეჭირება მამულს მხნეობა!  
დღეს მეცა თქვენში ვარ მეორმარი,  
ვითა თქვენგანი ერთი მხედარი:  
დღეს გამოჩნდება, ვინ არს ერთგული,  
ვის უფრო გვიყვარს ძმანო მამული”!

ნ. ბარათაშვილს ექსპრესიით აქვს გადმოცემული ქართველი მხედრების უთანასწორო ბრძოლა კრწანისის ველზე ალა-მაჰმად- ხანის ურიცხვ ურდობთან. ეს არის ბატალური ბუტაფორია. ომის ქარცეცხლი, ნადარის ხმა, აბჯრის მსხვერვეა, სისხლით შეღებილი მტკვარი რეალისტური ცხოველმყოფელობით აქვს დახატული ავტორს. პოემის ფურცლებზე ჩვენ ცოცხლად ვხედავთ პატარა კახს, რომელიც თავისი მაგალითით “ შთაუდგამდა სულს ვაჟკაცობას” ქართულ ჯარს; პოემაში ცოცხლდებიან ისტორიული გმირები კრწანისის ველისა -“ თამაზ ენისენტ მოურავის ძე და იოანე, კახთ აბაშიძე”,

ამ პირველ ბრძოლაში ივერთ ლაშქარს შეუმუსრავს მტერი, მაგრამ:

...რა მეფე ჯარსა უყურებს,  
მას გამარჯვება არღა ახარებს:  
ძვირად ადუჯდა იგი ირაკლის!  
მრავალთ ყმაწვილ-კაცთ, ნუგეშთა ქართლის,  
დასდევს აქ თავი მამულისათვის!  
აწ საფლავიგა არსად ჩანს მათთვის;  
ჰაერში განჰქრა მათი სახელი  
და არსად ჟამთა მოწამე ძეგლი  
არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა;  
დუმილნი ჰფარვენ ერთგულთა ძეთა!..

ეს დუმილი პირველმა თვით ბარათაშვილმა დაარღვია, როცა კრწანისის გმირებს თავისი დიდებული პოემით ხელთუქმნელი ძეგლი აუგო. “ ბედი ქართლისას” ავტორს ჰქონდა უფლება დაემშვიდებინა გმირთა აჩრდილები:

მაგრამ, ჰოი გმირნო, ნუ შეშფოთდებით,

თქვენ სახსოვარი გაქვთ თვით განგებით:  
რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების,  
საშვილიშვილოდ გარდაეცემის.

ვერც ქართველი ვაჟკაცების უზენაესი გმირობა და ვერც ზღუდენი ნარიყალისა ვერ აღუდგენენ ალა-მაჰმად-ხანის ურიცხვ ურდოებს. პოემის პირველი კარის დასასრულს ჩვენ ვეცნობით თბილისში შემოჭრილ ირანის მრისხანე შაჰს, რომელიც ეძიებს მას, “ ვინც მის ხელმწიფეობას ძალას ართმევდა”.

პოემის დედააზრი გაშლილია მეორე კარში. აქ მკითხველი მოისმენს ღრმა ისტორიული მნიშვნელობის პაექრობას ქართლის ბედის შესახებ. ნ. ბარათაშვილი წარმოგვიდგენს წარსულის სურათს, ძლიერი დრამატიზმით აღჭურვილს. ამ ამალღებულ ისტორიულ სურათს პოეტი სვამს მშობლიური ბუნების დიდებულ ჩარჩოში. თანდათან, შეუმცდარი მხატვრული ტაქტით, პოემის ფურცლებზე რომანტიკულ ტონებს სცვლის რეალისტური თხრობა. არაგვზე გადამდგარ ჩარდახში გამოჩნდება ორი დიდებული ადამიანი, ერეკლე მეფე და მისი მსაჯული, რომელთა მჭმუნვარე სახეებს ანათებს ჩამავალი მზის სხივები. მღელვარებით მოელით ამ ისტორიულ პიროვნებათა საუბარს. მდუმარებას არღვევს მეფე ერეკლე. იწყება ინტიმური, მაგრამ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თათბირი: “ ირაკლი და მისი მსაჯული, მამულისათვის გულმტკივნეულნი, ქართლისა ბედსა განსამართლებნენ”.

ერეკლე მეორე დიდი სიბრძნით უშლის თვალწინ სოლომონ მსაჯულს ქართლის ცხოვრების ტრაგიკულ ვითარებას, შინაგან ქიშპობას, გარეშე მტრების –სპარსთა, ოსმალთა და ლეკთა მძვინვარებას. მეფე შეურყეველი მაგალითებით უსაბუთებს თავის ერთგულ მსაჯულს სახელმწიფო კრიზისს და ამცნობს თავის გადაწყვეტილებას:

აბა, რას მირჩევ, ჩემო მსაჯულო?  
კარგად იფიქრე, შვილო ერთგულო:  
აწ განთქმულია რუსთა სახელი,  
ხელმწიფე უვისთ ბრძენი და ქველი,

დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა,  
მტკიცე კავშირი,- სარწმუნოება,-  
მას მსურს რომ მივცე მემკვიდრეობა,  
და მან მოსცეს ქართლს კეთილდღეობა!

ბრძენი მეფე ღრმად სწვდება როგორც თავისი ქვეყნის, ისე მეზობელ სახელმწიფოთა განვითარების კანონზომიერებას და დიდი დიპლომატიური მოაზროვნის გონებით განჭვრეტს არა მარტო აწმყოს, არამედ ისტორიულ პერსპექტივასაც. იგი სოლომონ ლეონიძეს უსახავს მომავლის სურათს:

ნუ დაივიწყებ...  
რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება,  
ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება!

ბრძენი მეფის გადაწყვეტილებას წინა აღუდგება მისი მრჩევლის ნებისყოფა. სოლომონ ლეონიძე პატრიოტული გზებით ეპაექრება მეფეს, რომ თავისუფლების “ განსყიდვა” უდიდესი ეროვნული უბედურებაა:

ვეღარ გაუძლო მსაჯულსა გულმან  
და ჰკადრა მეფეს აღშფოთებულმან:  
“ განზრახვა შენი, მეფევ, მაკვირვებს!  
ირაკლიმ იცის, რომე ქართველებს  
არად მიაჩნით უბედურება,  
თუ აქვთ თვისთ ჭერთ ქვეშ თავისუფლება!”

ერეკლე მეორე უსაბუთებს ადეღვებულ პატრიოტს, რომ მეფის გადაწყვეტილება თავისუფლების დალატი კი არ არის, არამედ სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიულად გარდაუვალი ფაქტის შემეცნების ნაყოფია, რომ არსებობს მხოლოდ ორი გზა, ისტორიული აუცილებლობით ნაკარნახევი; ერთს მივყავართ სრული ეროვნული კატასტროფისაკენ, მეორეს – თავისუფლების დროებით დაკარგვით – ეროვნული სიცოცხლის შენარჩუნებისაკენ. ამ მეორე გზაზე ისახება ისტორიული პერსპექტივა საქართველოს მოქცევისა ახალი, პროგრესული განვითარების ორბიტში.

სოლომონ ლეონიძის თავისუფლების აპოლოგიას მეფე პასუხობს:

მე ეგ ყოველივ არ ვიცი განა?  
მაგრამ კეთილთა დღეთა თვის ქართლის,  
რა მოვაგვარო უმჯობეს ამის?  
მაგრამ აბა სთქვი, ქართველთა რა ყონ  
ამ უბედობის და დარღვევის დროს?

მეფე ერეკლე და სოლომონ მსაჯული – მე-18 საუკუნის ეს ორი დიდი ნებისყოფის ადამიანი, მტკიცედ რჩება საკუთარ აზრზე.

ისტორიული დიალოგი მთავრდება და მთვარის შუქზე ჩვენ ვხედავთ დაღონებულ და ფიქრებით მოცულ პატარა კახს:

ამ დროს აღმოხდა ბადრი მთვარე  
და სიამითა მოფინა არე.  
ცამ მოჭედილმა ვარსკვლავებითა,  
მთისა ჰაერმან, სავსემ შვებითა,  
და მთვარის შუქზე არაგვის წყალთა  
თავისუფლებით ჩამომჩხრიალთა,  
გულს აუშალეს დარდები ბატონს,  
ოხვრა დამართეს, ვით კაცსა ლიტონს;  
მას მოაგონდა დრო ყმაწვილობის,  
განტარებული თვისთა კახთ შორის,  
როს ჯერ არ ელო ტვირთი მეფობის,  
დრო ჰქონდა ჟამი უზრუნველობის,  
და საყვარელი კახეთის გმირი  
იყო ნიადაგ მტერთა გამგმირი!  
დიდხანს დაჰყოფდა ბატონი ჩუმად,  
დაფიქრებული მწუხარედ და ღრმად.

ერეკლე მეფის წინ სისწრაფით გაიქროლა მისი ჭაბუკობის წლებმა, განვლილი ბრძოლების სურათებმა, გამარჯვების სახალხო ღრებამ, როცა მეფე სიმაყით შემოდოდა ხოლმე თბილისის კარებში. უეცრად, თითქოს ერთად აჟღერდაო სამეფო მეჯლისის საკრავების ტრიუმფალური ხმები და ოცნებაში წარსული პატარა კახი გამოფხიზლდა. მან ჩვეული სიმტკიცით გასცა განკარგულება, რათა სოლომონ ლეონიძეს თბილისში შესახვედრი მზადება დაეწყო, თვითონ კი გაეშურა კახეთისაკენ.

პოემის ახალ ნაწილში ავტორი სოლომონ მსაჯულს მარტოდ ტოვებს მკითხველთან. სოლომონ ლეონიძე, რომელსაც ვხედავთ ქსნის ხეობაში, გზად ოჯახის მოსანახულებლად მიმავალს, ღრმა ფიქრებს შეუპყრია. იგი თავის თავს ესაუბრება. მისი მსჯელობიდან განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს შეხედულება სახელმწიფოებრივი ცხოვრების ფორმაზე. აქ პოეტი სოლომონ ლეონიძეს გამოათქმევინებს საკუთარ პროგრესულ კონცეფციას რესპუბლიკურ – კონსტიტუციური წყობილების შესახებ:

მადლობა, ღმერთო, შენსა განგებას!  
ერთს კაცს მომადლებ ყოვლთა უფლებას,  
და მისს ერთს სიტყვას მონებენ ერნი,

განურჩევლად სულელნი, ბრძენნი,  
და იგი მათს ბედს ისე განაგებს,  
ვითა ამღერდეს იგი კამათლებს!  
მაგრამ შენ, მეფევ, ვინ მოგცა ნება  
სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება,  
მისდევდე შენსა გულისკვეთებას  
და უთრგუნვიდე თავისუფლებას?  
შენ ერმან მოგცა პირველ ღირსება,  
რათა დაუცვა ყოფა-ცხოვრება,  
და რად ივიწყებ, რომე მარადის  
ერსა ეკუთვნის გულის თქმა მეფის!..

ისტორიული მასალებით არ მტკიცდება სოლომონ ლეონიძის რესპუბლიკური მისწრაფებანი. პოეტმა ისტორიულ პიროვნებას შთაბერა მოწინავე იდეა საკუთარი ეპოქისა. უნდა ითქვას, რომ კონსტიტუციურ-რესპუბლიკური იდეები სრულიად არ იყო უცხო ბარათაშვილის ლიტერატურულ-იდეური გარემოსათვის.

სოლომონ ლეონიძის ზემოთ მოყვანილი სიტყვები, რომლებშიც იხატება სიმპათიები რესპუბლიკურ-სახელმწიფოებრივი ფორმისადმი, გვარწმუნებს, რომ ნ. ბარათაშვილი ახლო იცნობდა მისი დროის განმათავისუფლებელ მოძრაობას და თავის ეროვნულ შეგნებას ანაყოფიერებდა დეკაბრისტულიპროგრესული სოციალური იდეებით.

სოლომონ ლეონიძის ფიქრის განვითარება წყდება საკუთარი სახლის ზღურბლთან. იმლება პოემის ახალი ფურცელი. პოემის გმირთა შორის ღირსეულ ადგილს იჭერს ქართველი ქალი – მეუღლე ლეონიძისა:

წინ მოეგება მას თავის ცოლი,  
სათნო სოფიო, სულისა ტოლი;  
ახლაც ბევრს ახსოვს მისი ზრდილობა,  
შვენიერება, გულკეთილობა.

სოფიოს სახის ეს მკრთალი მონახაზი თანდათანობით ცხოველდება ჩვენს თვალში და ისტორიულ სურათად იქცევა, როცა ვეცნობით სოფიოს საუბარს, მის მხურვალე პატრიოტულ გრძნობებს:

ვინლა ჰყავს გულის შემატკივარი,  
მამულს ასული, ახლა თქვენგვარი?

ბარათაშვილამდე ახალ ქართულ ლიტერატურაში არავის გამოუხატავს ასეთი მძლე პოეტური აღმაფრენა და სიყვარული

ქართველი დედის მიმართ, მხოლოდ ორი ათეული წლის შემდეგ ილია ჭავჭავაძემ შეძლო მაღალმხატვრული განზოგადება მიეცა ქართველი ქალის იდეალისათვის და გამოხმაურებოდა " ქართლის ბედის" ავტორს. ილია ჭავჭავაძის " ქართლის დედა" ბარათაშვილის პოეზიის გამოძახილია 60 –იანი წლების უღელტეხილზე.

სოლომონ ლეონიძის და მისი ცოლის საუბრით არ მთავრდება პოემის ეპიკური თხრობა. მისი შინაგანი მხატვრული რკალი მაღალი ოსტატობით არის შეკრული. დიდებულ ისტორიულ სახეს, რომლითაც იხსნება პოემის შესავალი, ჩვენ ვხედავთ თხზულების ფინალშიაც; საქართველოს სახელოვანი მეფე თვალცრემლიანი დაჰყურებს თბილისს:

პლატონი მისნი გარდმონგრეულან,  
სახლნი – სამშობლო დანაცრებულან!

მხოლოდ მტკვრის მწუხარე ხმიანობა არღვევს იავარქმნილი დედაქალაქის მდუმარებას. ამ ტრაგიკული სურათის შთაბეჭდილება ვერ გვავიწყებს პოემის უკანასკნელ სტროფებში გადმოცემული მოკლე ისტორიული ქრონიკა ერეკლე მეფის ახალი ომებისა. ეს თითქოს იმიტომ დასჭირდა პოეტს, რომ უკანასკნელად კიდევ მოეგონებინა მკითხველისათვის პატარა კახის ისტორიული გეზის განუხრელობა და პოემის დედააზრი დაედასტურებინა:

დიდი ხანია გულს ირაკლისა  
გადუწყვეტია ბედი ქართლისა!

სოლომონ ლეონიძე აღელვებული აცნობს თავის მეუღლეს მეფის განზრახვას და ამასთან დაკავშირებულ მომავალს საგანგებოდ წარმტაც ფერებში უხატავს გამოსაცდელად. მაგრამ სოფიო მტკიცედ იცავს ეროვნული თავისუფლებისადმი სიყვარულს:

უწინმც დღე კი დამელევა მე!  
უცხოობაში რაა სიამე,  
სადაცა ვერ ვის იკარებს სული  
და არს უთვისო, დაობლებული?  
რა ხელს ჰყრის პატივს ნაზი ბულბული,  
გალიაშია დატყვევებული?  
და ველად იგი, ამხანაგთ შორის,  
ჭირსაც, ვით ლხინსა, ერთგვარ დამღერის!  
ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,  
თუ მოაკლდება თავისუფლება?

გამოჩენილი ქართველი პატრიოტის მეუღლე მაღალი სულიერი თვისებების ქალად გვეხატება. სოფიოსათვის არ არსებობს თავისი ქვეყნის სიყვარულზე აღმატებული ბედნიერება, მისთვის წმიდათა წმიდაა სამშობლოს თავისუფლება, რომელსაც არ გაცვლის არავითარ დიდებაზე.

პოეტი შენატრის სოფიოს მსგავს ძველ ქართველ დედებს და აღტაცებული მიმართავს მათ კეთილშობილ აჩრდილებს:

ჰოი დედანო, მარად ნეტარნო,  
კურთხევა თქვენდა ტკბილ სახსოვარნო!  
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ  
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ?

\* \* \*

ნ. ბარათაშვილი კარგად იცნობდა მდიდარ მშობლიურ წარსულს. საკმაოა მოვიგონოთ, რომ, გადმოცემის მიხედვით, ზემოთ განხილულ თხზულებაზე ადრე მას დაუწერია ისტორიული პოემა "ივერიელნი", რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. ეს პოემა დაკარგულად ითვლება. რაც შეეხება კრწანისის ბრძოლას, პოეტს ეს ისტორიული ამბავი ცოცხალ მოწმეთაგან ჰქონია მოსმენილი. ბარათაშვილის ოჯახის ახლობლები არა მარტო გარდასულ დროთა უბრალო მომსწრენი იყვნენ, არამედ ისტორიული ინტერესებით აღჭურვილი ადამიანებიც. საკმაოა ამ მხრივ დავასახელოთ პოეტის მამის მეგობრები – მეითარ თარხნიშვილი, ერეკლე მეორის კარის მწერალი ეგნატე იოსელიანი, რომელსაც მეფისაგან მინდობილი ჰქონდა კრწანისის ომში თბილისის ვაჭართა წრის დალატის გამორკვევა, დიდება ხორეშანი – ერეკლეს შვილიშვილი, ბატონიშვილი თეკლე და სხვანი, რომლებიც პოეტის ფანტაზიას ადრევე ამდიდრებდნენ ახლო წარსულის თხრობით. ნ. ბარათაშვილის მეგობრის, ვახტანგ ორბელიანის, პოეტური სტრიქონები სრულიად გვამცნობენ იმ დროის ოჯახურ და საზოგადოებრივ გარემოს:

სული მიკვნესის, გული ჩემი მწარედ ღონდება,  
რა საქართველოს მწარე ბედი მომაგონდება;  
რა მაგონდება, რასაც დედა ნორჩს მომითხრობდა.  
ის ჟამი იყო, საქართველოს სული ხდებოდა...  
აჰა, ირაკლი, გმირთა გმირი, კახი პატარა  
... იბრძვის მთა – ბარში, წინ და უკან, იბრძვის  
ზედ მტკვარზედ,

... მტერთა დროშებით მოცულია ქალაქის კარი.

თავის ეპიკურ თხზულებაში " ბედი ქართლისა" ნ. ბარათაშვილი იჩენს ისტორიული ფაქტების სწორი შემეცნების უნარს. ეროვნული წარსულის მოვლენათა მრავალფეროვნებაში ბარათაშვილი რეალისტი შემოქმედის ინტუიციით არჩევს ტიპიურს და აძლევს მას ბრწყინვალე პოეტურ განზოგადებას. ამით ბარათაშვილი თავის პოემაში აღწევს მხატვრულ ლაპიდარობას. პოეტი ახერხებს რამდენიმე მონახაზით გვაჩვენოს კრწანისის ბრძოლის სურათი, ხოლო სხვა ამბების ლაკონიური გადმოცემით და ბრწყინვალე ისტორიული ტიპაჟის შექმნით პოემაში აღბეჭდილია მთელი ეპოქის სული.

ერეკლე მეორე პოემაში ეროვნული შარვანდედით მოსილი გვევლინება: პოემის ფურცლებზე პატარა კახი განსახიერებულია სწორედ ისე, როგორც იგი არსებობს ქართველი ხალხის წარმოდგენაში: ბრძენი მეფე, სახალხო გმირი, შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი.

ბარათაშვილი გვიჩვენებს მეფე ერეკლეს თავისი მხედრული სტიქიის გამოვლინების მომენტში-ომის ველზე, ჯარის სიყვარულით გარემოცულს და სახელმწიფოს ბედის ბრძნული დიპლომატიური განსჯის დროს. ცნობილია გმირული მომხიბვლელობით აღსავსე ჭაბუკობა პატარა კახისა. პოეტი არ ივიწყებს ამ მნიშვნელოვან მოვლენასაც. ეპიკურ თხრობაში ბარათაშვილი მიმართავს ლირიკულ გადახვევას და მეფის ინტიმურ ოცნებაში აღბეჭდავს მისი ყრმობის წამებას. პოემის უკანასკნელი სურათი – ერეკლე მეფის ყრმობის წამებას. პოემის უკანასკნელი სურათი – ერეკლე მეფის მწუხარე აჩრდილი თბილისის ნანგრევებზე – სიმბოლური გამოხატულებაა ქართველი ერის ტრაგიკული მდგომარეობისა.

ნ. ბარათაშვილის მიერ შექმნილ სახეს დიდი ესთეტიკური და შემეცნებითი ღირებულება აქვს სწორედ იმიტომ, რომ პოეტი თავისი მხატვრული ყურადღების ცენტრში აქცევს ყველაზე ტიპიურსა და ისტორიულად გამართლებულ მოვლენებს, რომლებშიც სრულიად მჟღავნდება მეფური და ადამიანური ღირსებანი პატარა კახისა.

თავისი ისტორიული პოემის დაწერისას, ზეპირგადმოცემათა გარდა, საფიქრებელია, ნ. ბარათაშვილი სარგებლობდა იმ დროს არსებული ისტორიული თხზულებებით და მემუარებით, რომლებიც, უმთავრესად, ხელნაწერთა სახით ინახებოდა საქართველოს სამეფო კართან დაახლოებულ პირთა ოჯახებში.

ამას გვაფიქრებინებს ბარათაშვილის პოემის ზოგი ადგილის სიტყვიერი დამთხვევები, მაგალითად, იოანე ქართველიშვილის



მემუარებთან, რომელშიც საინტერესო ცნობებია დაცული კრწანისის ბრძოლის შესახებ.

გავიხსენოთ “ ბედი ქართლისა”-ს სურათი, რომელშიც აღწერილია სპარსელი უზურპატორის ალა- მაჰმად-ხანის მიერ იავარქმნილი თბილისი:

რა მოახლოვდა ქალაქსა მეფე,  
დიდხანს უჭვრეტდა ცრემლთა აღმჩქეფე!  
პალატნი მისნი გარდმონგრეულან,  
სახლნი –სამშობლო დანაცრებულან.

პოემის ეს სტრიქონები თანხვდებიან იოანე ქართველიშვილის მემუარების შემდეგ ადგილს: “ ალა-მაჰმად-ხანმა ” მოწვა ცეცხლითა პალატანი და სახლნი სამეფონი და სრულიად თბილისი“<sup>[41]</sup>.

თბილისის კარებთან გადახრილი ამ უთანასწორო ბრძოლის არა ერთი და ორი მომენტი პოეტს ისტორიული სიზუსტით აქვს აღწერილი.

პოემის პირველ კარში ომის დაწყების წინ ერეკლე მეორე შემდეგი სიტყვებით მიმართავს ჯარს:

...საქართველოს დღეს გარდაუწყდება  
თავისი ბედი და უბედობა!  
დღეს ეჭირება მამულს მხნეობა!  
დღეს მეცა თქვენში ვარ მეომარი,  
ვითა თქვენგანი ერთი მხედარი.

მართლაც, ისტორიული საბუთით მტკიცდება, რომ მიუხედავად ხანდაზმულობისა, გმირი მეფე არა მარტო მათვარსარდალი იყო, არამედ კრწანისი ბრძოლის შუაცეცხლში იმყოფებოდა. ბრძოლაში უშუალოდ ჩაბმულ მეფეს კრიტიკული მომენტიც კი შეუქმნეს მტრის რაზმებმა –იგი კინალამ ტყვედ ჩააგდეს; მაგრამ თავგანწირული შვილიშვილების – დავით და იოანე ბატონიშვილების მიშველიებამ იხსნა ერეკლე მეორე განსაცდელისაგან.

ისტორიული სიზუსტითაა გადმოცემული პოეტის სიტყვებში ბრძოლის პირველი დღის (10 სექტემბრის) შესახებ:

“ბინდმა გაყარა მებრძოლი მტერი,  
გამარჯვებულნი დარჩნენ ივერნი”,

ერთ პირად წერილში მირიან ბატონიშვილს ერეკლე სწერს: პირველ შებრძოლებაში ალა-მაჰმად-ხანის ურდოებთან ქართველი ჯარი საღამოს ჟამს გამარჯვებული დაბრუნდაო.

ქართველების ჯარი თბილისის მისადგომებთან და სეიდაბადის ბაღებში იყო დაბანაკებული, ალა-მაჰმად-ხანისა კი –სოღანლულში. პირველად ქართველები დაესხმიან თავზე მტერს.

პოემაში ეს მომენტიც სინამდვილით არის ასახული:

შექმნათ მწარე, ძლიერი ომი;  
ვითა ნადირსა მშვიერი ლომი,  
ეკვეთნენ სპარსთა ივერთ მხედარნი,  
და მტკვარსა შერთეს სისხლისა ღვარნი!

თბილისის კარებთან ჯარისკაცებისაგან შემდგარი მტრის ურიცხვი ურდოები ებრძოდა 5000 ქართველ მეომარს. ამ უთანასწორო ბრძოლაში პირველი დღის გამარჯვება, რასაც დიდძალი ქართველი მამულიშვილი ემსხვერპლა, ეჭვს გარეშეა, არ ახარებდა ერეკლეს:

მაგრამ რა მეფე ჯარსა უყურებს,  
მას გამარჯვება არღა ახარებს:  
ძვირად დაუჯდა იგი ირაკლის!  
მრავალთ ყმაწვილთ-კაცთ, ნუგეშთა ქართლის,  
დასდევს აქ თავი მამულისათვის!

პოემაში სიზუსტით არ არის ასახული მხოლოდ კრწანისის ბატალური სცენის ის ეპიზოდი, სადაც ლაპარაკია დამარცხების შემდეგ მეფე ერეკლეს გამაგრებაზე თბილისის ციხეში, რომელიც თითქოს ალა-მაჰმად-ხანის ჯარების მიერ გარშემორტყმული იყო სამ დღეს. პოემის მიხედვით, ალა მაჰმად ხანმა იმედი დაკარგა ციხის აღებისა და უკანვე წასვლას აპირებდა, მაგრამ გამცემლის “ ანგართა ხელთა აჰყარეს მამულს სიმტკიცის ბჭენიო”, ამბობს პოეტი. დამარცხებული მეფე თავისი ამალით მთიულეთისაკენ მიემშურება.

ამჟამად ჩვენ კრწანისის ბრძოლების შესახებ მოგვეპოვება ისტორიული ცნობები, რომლებიც ძირითადადში ერთმანეთს ეთანხმება. ცნობა იმის შესახებ, რომ ალა-მაჰმად-ხანი 10 სექტემბრის დამარცხების შემდეგ თავისი ჯარით უკან გაბრუნებას აპირებდა, ისტორიული საბუთით არ დასტურდება. ასეთი ცნობა მოეპოვება მხოლოდ ალ. ორბელიანს, მაგრამ არც ფაქტიური მასალები, არც ისტორიული სიტუაციის ანალიზი საბუთს არ გვაძლევს ამ ცნობას ვენდოთ. საფიქრებელია, მტრის უკან გაბრუნების განზრახვის შესახებ ალ.

ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის ცნობები ერთი და იგივე წყაროდან მომდინარეობს. თვით ალ. ორბელიანს თავისი პირველი ნაშრომი კრწანისის ბრძოლის შესახებ 1844 წელს დაუწერია, ე. ი. ხუთი წლის შემდეგ ბარათაშვილის პოემის დაწერიდან.

თეიმურაზ ბატონიშვილის შრომა ამავე საკითხზე მას შემდეგ ჩავარდნია ხელში. ცნობილი მემუარისტი არ ეთანხმება თეიმურაზ ბატონიშვილს მთელი რიგი ისტორიული ამბების გადმოცემაში<sup>[42]</sup>.

ყურადღებას იპყრობს ის, რომ ყველაზე მთავარი სახელმწიფოებრივი საკითხის შესახებ თათბირს ერეკლე მეორესა და სოლომონ ლეონიძეს შორის პოეტი გვიხატავს არაგვის ხეობაში. ეს სურათი პოემაში მნიშვნელოვან კომპოზიციურ ელემენტად იქცევა. იგი შესაძლებლობას აძლევს პოეტს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ორი დიდი სახელმწიფო მოღვაწის თათბირი გადმოგვცეს შთამაგონებელ გარემოში, დაგვიხატოს წარმტაცი სურათები არაგვის ნაპირებისა და შექმნას პატრიოტული განცდის მძაფრი ატმოსფერო, რაც მთელი სიძლიერით აგრძნობინებს მკითხველს პოემაში აღძრულ მთავარ იდეას.

ისტორიული რეალიზმის ფხიზელი გაგებით არის ბარათაშვილის პოემაში დასურათებული ამბები და ხასიათები. ეს ითქმის ნ. ბარათაშვილის მიერ შექმნილი სოლომონ ლეონიძის მხატვრული სახის შესახებაც, თუ ამ პერსონაჟს მისივე რეალურ-ისტორიულ პიროვნებას შევადარებთ. საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილია ერეკლე მეორის ამ ღირსეული თანამოღვაწის სახელმწიფოებრივი როლი, როგორც საქართველოს ერთიანობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლისა. ისტორიული თვალსაზრისით, შეუძლებელი იყო უკეთესი პიროვნების მოძებნა მე-18 საუკუნეში, რომელიც ასე სრულად გამოხატავდა იმ პოლიტიკურ პოზიციას, რომელსაც სოლომონ ლეონიძე ავითარებს ერეკლე მეფესთან პაექრობაში. მაღალის გონების კაცი, ერთგული ქვეყნისა, დიდი რჩეული და უცთომლად შემმეცნებელი საქმის. ასე ახასიათებს პლ. იოსელიანი სოლომონ ლეონიძეს. ვუწოდებ მას,- განაგრძობს ისტორიკოსი,- პატიოსნებისა გამო ფაბრიციოდ ქართველთა, და ვითარცა მტკიცე და შეურყეველი, იქნა ნამდვილ ქართველთა ერისა და ისტორიის კატონად<sup>[43]</sup>.

სოლომონ ლეონიძის მაღალპატრიოტულ შეგნებასთან ერთად პოემაში ასახულია მეფის პირადი დამოკიდებულება სახელმწიფო მსაჯულთან. იგი გვეხატება ერეკლეს საყვარელ ადამიანად, მის ერთგულ, უახლოეს სახელმწიფო მრჩეველად. მას მეფე მიმართავს:

“ზევრჯერ რჩევანი შენნი, ვითა წყლულს,

მსალბუნებიან მე შეწუხებულს;  
აწც ჩემს სულის ტვირთს, ჩემს გულის წადილს,  
შენც გაგიმჟღავნებ, ვით საყვარელს შვილს!

ისტორიული მასალები სავსებით ადასტურებს ზემოაღნიშნულ მომენტებს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა იმერეთის მეფის, სოლომონ მეორის, სიგელი, ბოძებული სოლომონ ლეონიძისათვის 1804 წლის ოქტომბერს. “ ბატონის პაპის ჩემის, სანატრელის მეფის ერეკლისაგან,- ვკითხულობთ სიგელში,- შენი სიყვარული ქვეყანაზედ განცხადებული იყო, რომ ერთ-ერთს შვილს შენ ერჩიე, და ბატონყმობის გამოუთქმელი სიყვარული თქვენზე დასრულდებოდა; რადგან მისი მისთანა საყვარელი იყავ და მის სიკვდილს უკან ამალღებულის მისი ოჯახის დამდაბლებას ველარ გაუძელ და ჩვენთან მოსვლა ინებე, ჩვენს სანატრელის პაპის ჩვენის, მეფის ერეკლისაგან, დიდის ჭირნახულობის ჩვენზე ვალი შენ მის სიყვარულზე ასე გარდაგიხადეთ, რომ...საუკუნოდ ყმად ჩვენდა დაგამკვიდრეთ სამეფოსა შინა ჩვენსა იმერეთს და გიბოძეთ... ჩვენი საუფლისწულო კაცხი”...<sup>[44]</sup>

საყურადღებო ფაქტს წარმოადგენს ის, რომ ნ. ბარათაშვილის თანამედროვე მემუარისტი ალექსანდრე ორბელიანი, “ ბედი ქართლისას” დაწერიდან ორი ათეული წლის შემდეგ ეხება პოემაში სოლომონ ლეონიძის პორტრეტის ისტორიული სიზუსტის საკითხს. ისტორიკოსი წერს:“ ნიკოლოზ მელიტონის-მე ბარათაშვილი საქართველოს ბედს რომ ლექსათა წერს, სადაც სოლომონ მსაჯული გამოჰყავს მეფის ირაკლის უბნობაში, ის ლექსთმგოსნობა საუცხოუა, მაგრამ ისტორიისათვის კი არ გამოდგება. მანამ ალა-მაჰმად-ხან მოვიდოდა საქართველოზედ, სამი წლის წინად დაუთხოვნია თავისგნით და ძალიან გასწყრომია და ალა-მაჰმად-ხანის შემდგომ ისევ შეურიგებია, სოლომონ მსაჯულის ორი წიგნი მე მაქვს, თვითონ სოლომონ მსაჯულისაგან შავად დაწერილი მეფე ირაკლისთან, დიახ, დიდი მადლობისა, რომ მეფე ირაკლიმ შეირიგა. თავადს ნიკოლოზს ეს ამბავი რომ სცოდნოდა, იმის დათხოვნაში უფრო საგანგებოს აზრებს გამოხატავდა, მანამ საქართველოში”<sup>[45]</sup>.აღ. ორბელიანის ცნობა ისტორიულ სიმართლეს შეეფერება. როდესაც პოეტს რომელიმე კონკრეტული ისტორიული მოვლენა ხელს უშლის მხატვრული მონაფიქრის თანმიმდევრობით გადმოცემაში და ტიპიურ განსახიერებაში, ის თვითონ ქმნის, ფანტაზიაზე დაყრდნობით, შესაფერ ისტორიულ სურათს.მაგრამ ეს სურათი არ ეწინააღმდეგება სინამდვილის კანონზომიერებას. თუმცა კრწანისის ომის დროს სოლ. ლეონიძე განდევნილი იყო მეფის სასახლიდან, მაგრამ პოეტმა

ანგარიში არ გაუწია ამ მოვლენას და პოემაში სწორედ აღა-მაჰმად-ხანის დროს გამოიყვანა სოლომონ მსაჯული ერეკლე მეფესთან მოთათბირედ. პოეტმა გადაადგილა ფაქტები. ამ გზით ნ. ბარათაშვილმა შექმნა ძლიერი რეალისტური სურათი, რომელშიც შესაძლოა, მხატვრულად შეცვლილია რომელიმე კერძო ისტორიული დეტალი, მაგრამ სისწორით არის შემეცნებული სინამდვილის ძირითადი კანონზომიერება და გადმოცემულია იმ დროის საზოგადოებრივი სულისკვეთება.

თვით პოეტი დიდ სიმპათიას იჩენს თავისი გმირისადმი:

“სადღა არიან აწ ესე კაცნი,  
რომ არ გვალხენენ თათბირნი მათნი!”

გულმხურვალედ წამოიძახებს პოეტი სოლომონ ლეონიძის შესახებ.

ასეთია სოლომონ ლეონიძის ისტორიული სახე და მისი პოეტური გამოხატულება ნ. ბარათაშვილის თხზულებაში.

სოფიოს სახელთან დაკავშირებული პოემაში აღწერილი ამბები, საფიქრებელია, ემყარება პოეტის თანამედროვეთა გადმოცემებს. ბარათაშვილს შეეძლო სოფიო დაეხატა მისთვის ცნობილ რეალურ პიროვნებათა მიხედვით. საკმაოა ერთი მაგალითიც: პოეტი ხომ ყოველდღე ხვდებოდა მე-18 საუკუნის პატრიოტ ქალს, თეკლე ბატონიშვილს.

როცა “ ბედი ქართლისას” ისტორიულ პერსონაჟებზე ვსაუბრობთ, ჩვენ უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ კრწანისის ორ გმირს, რომელნიც პოემის პირველ ფურცლებზევე გვხვდებიან. კრწანისის გმირთა შორის ( თვით ერეკლეს გარდა) პოეტი ზოგ ხელნაწერში მოიხსენიებს თავის წინაპრებს-ბარათაშვილებს და ყაფლანიშვილებს (ორბელიანებს), მაგრამ მათ სახელებს არ აღნიშნავს. ზოგიერთ ვარიანტში კი დასახელებულია ორი გმირი: თამაზ, ენისენტ მოურავის ძე და იოანე, კახთ აბაშიძე. ერეკლე მეფისათვის ეს თავშეწირული ვაჟკაცები კრწანისის ველზე “ განუმტკიცებენ მკლავთა ქართველთა”, მტერს აჩვენებენ თავისი ხმლის მჭრელობას. ვინ არიან ზემოხსენებული გმირები? “ ენისენტ მოურავის ძისა” სახელი გვხვდება მეფე ერეკლეს დაკრძალვის ცერემონიის აღწერაში. “... ამასთან სკიპტრა სახელმწიფო უნდა მოქონდესთ ენისენტ მოურავის შვილს ქემიკშიბაშის (ემიკ-აღას-ბაშს) ნაიბ თამაზს, რომელიც მდებარე იყოს ვერცხლის ფადნოსზედ. ამის შემდეგ მარჯვნივ ჯანდიერის შვილი რევაზ და გურამიშვილი დავით”<sup>[46]</sup>.

კრწანისის ბრძოლის გმირი უნდა იყოს ენისელის მოურავის დავით ჯორჯაძის ძე თამაზი<sup>[47]</sup>.

ბარათაშვილის პოემაში მოხსენებული მეორე გმირი, იოანე კახთ აბაშიძე. როგორც ისტორიული საბუთები გვიდასტურებს, აღა-მაჰმად-ხანის ურდოებთან ბრძოლაში კრწანისის ველზე დაღუპულა. თეიმურაზ ბატონიშვილი თავის მემუარებში გადმოგვცემს: " მოსწყდეს მას ბრძოლისა შინა ( კრწანისის ბრძოლაში – გ. ა.), ხოლო მხედრობისაგან მეფისათა (ერეკლე მეორე) მცირე ოდენდა დატოვეს. ხოლო თავადთაგან მისისათა მოსწყდეს თავადი აბაშიძე იოანე, ძე ნიკოლოზ დიანბეგისა, რომელიც იყო მახლობელი ნათესავი მეფისა ირაკლისა დედისა კერძოთი".

საინტერესო ცნობას იოანე აბაშიძის შესახებ იძლევა აგრეთვე ალ. ორბელიანი: " მეფის ირაკლის დროს იყო სამი ივანე აბაშიძე" აღა-მაჰმად-ხანის ომში მოკლეს ქ. თბილისის აღების დროს. ამას ოთარ ამილახვარის და, ანნა, ჰყავდა ცოლათ, ამასთან ორი შვილი დარჩა, ერთი ვაჟი და მეორე ქალი ეკატერინე: პირველიდანვე ეს ეკატერინე ჰყავდა გიორგი ბაგრატიონ-მუხრანსკის"<sup>[48]</sup>.

თავის პოემაში ბარათაშვილი გვევლინება პოეტური ეპოსის უებარ ოსტატად. მშობლიური ისტორიის მხატვრული წვდომა, ამბის განვითარების ბუნებრიობა და შინაგანი ლოგიკა, კომპოზიციური მთლიანობა, ადამიანის სულიერი სამყაროს ღრმა ცოდნა და ეროვნულ-პროგრესული ტენდენცია ავტორისა ამ თხზულებას ხდის ისტორიული პოემის შესანიშნავ ნიმუშად, რომელიც ტონს აძლევს ეპიკური მხატვრული აზროვნების მთელ ნაკადს მე- 19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში.

როგორც ვთქვით, ამ თხზულებაში გამოსჭვივის მძლავრი მიდრეკილება რეალიზმისაკენ, რომელიც მხატვრული ზომიერებით ერთვის რომანტიზმს, რითაც პოეტი აღწევს დიდ ესთეტიკურ ეფექტს.

პოეტის მხატვრული ფორმა და იდეები ხალხურია. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ " ბედი ქართლისა" და " მერანი" სათავეა ახალი ქართული ლიტერატურისა, რომელიც ხალხური სინამდვილისა და ქართული კულტურის დაუმრობელი წყაროებით საზრდოობს. " ბედი ქართლისას" ხალხური ხასიათი შემჩნეული ყოფილა მის დროსაც. არქაისტ პოეტს, ალ. ჩიქოვანს ნ.ბარათაშვილის პოემის ერთ ხელნაწერზე 1843 წ. მიუწერია შემდეგი სტრიქონები:

ვინცაა შენი მწერავი, ჯერია ეძღვნას მადლობა;

ნიჭთ, ღვაწლთ, მოლექსეთ, ჰაზრთათვის უჩნს დია უცხო ზრდილობა

თუმცა მდაბიო ქართული, ჰმეტობს აქ ზოგან თქმულება;

გარნა უცხოა, კარგია, ამგვარ მამულიშვილობა<sup>[49]</sup>.

ნ. ბარათაშვილისათვის უცხო არ იყო ეროვნული ფოლკლორის სამყარო. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ხალხური მეტყველების მდიდარი სალაროდან შეთვისებული სახეები, გამოთქმები, სიტყვები, ამდიდრებენ მის პოეტურ ინვენტარს. არაგვის პეიზაჟის აღწერას პოეტი იწყებს სტრიქონით: მორზის არაგვი, არაგვიანი. ეს შესანიშნავი გამოთქმა ეხმაურება ხალხური პოეზიის ერთ ნიმუშს:

წყალო, რა უყავ ჩემი მზე,  
შენ წყალო, არა გვიანო?!

ხალხურობა ვლინდება არა მარტო ამ პოემის ენასა და მხატვრულ ფორმაში, არმედ მის შინაარსშიც. პოემაში ასახულია ეროვნულ-ხალხური იდეალები. ყოველივე ეს ამდაფრებს “ ბედი ქართლისას” რეალისტურ ხაზს.

“ ბედი ქართლისას” რეალისტური ხასიათი პოეტის სუბიექტურ განწყობილებას უკანა პლანზე აყენებს. ამიტომ პოემის ავტორის დამოკიდებულება თხზულებაში აღძრულ მთავარ პოლიტიკურ საკითხთან პრობლემად არის ქცეული ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ერეკლე მეფისა და სოლომონ ლეონიძის დიალოგი ასახავს მე-18 საუკუნის დასასრულის ქართული საზოგადოებრივი აზრის ორ მთავარ მიმდინარეობას პოლიტიკური ორიენტაციის საკითხში. ვის მხარეზეა ავტორი ამ უდიდესი ეროვნული საკითხის გადაწყვეტის დროს?

ერთნი ფიქრობენ, რომ პოეტი ერეკლეს პოლიტიკას უჭერს მხარს, მეორენი ცდილობენ დაასაბუთონ პოეტის აზრის იგივეობა სოლომონ ლეონიძის პოზიციასთან, მესამენი პოეტის პოლიტიკურ შეგნებაში ხედავენ გაორებას.

თავის პოემაში ნ. ბარათაშვილი თანაბარი სიმკათიით გვიხატავს ერეკლე მეორესა და სოლომონ მსაჯულს – მოპირდაპირე პოლიტიკური ორიენტაციის ადამიანებს, იგი არ იჩენს მიკერძოებას არც ერთის მიმართ. მაგრამ ეს არ გვაძლევს საბაბს ვიფიქროთ, თითქოს ბარათაშვილის ეროვნული შეგნება გაორებულია და შინაგანი წინააღმდეგობებით აღსავსე. თანაბარი სიმკათიით გამოხატვა საწინააღმდეგო პოლიტიკური მიმართულებისა მის პოემაში წარმოადგენს სინამდვილის კანონზომიერების რეალისტურ ასახვას და ავტორის რთული ეროვნული კონცეფციის მხატვრულ გამოძახილს.

ნ. ბარათაშვილი პრინციპულად ეროვნული თავისუფლების იდეის თავდადებულ მომხრედ გვევლინება. ამ მხრივ იგი ეხმაურება სოლომონ ლეონიძის გრძნობებს და დიდი თანაგრძნობით გვისურათებს მას. მაგრამ იმ ისტორიულ სიტუაციაში, რომელშიც მოქცეული იყო მე -18 საუკუნის საქართველო, ბარათაშვილი ერთადერთ სწორ პოლიტიკურ თვალსაზრისად თვლის ერეკლე მეორის ორიენტაციას.

ნ. ბარათაშვილის ამ ეროვნულმა შეხედულებამ რელიეფური ასახვა პოვა ლექსში " საფლავი მეფის ირაკლისა". პოეტი მიმართავს დიდებული მეფის აჩრდილს:

მოვიდრეკ მუხლთა შენს საფლავს წინ, გმირო მხცოვანო,  
ახ, რად არ ძალუმს განცოცხლება წმიდას აჩრდილსა,  
რომ გარდმოხედო ახალს ქართლსა, შენს პირმშოს შვილსა!  
თაყვანსვცემ შენსა ნაანდერძებს, წინასწარად თქმულს!  
გახსოვს, სიკვდილის ჟამს რომ უთხარ ქართლს დაობლებულს?  
აჰა აღსრულდა ხელმწიფური აწ აზრი შენი,  
და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ შენნი ძენნი.

.....

აწ არღა ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა,  
ვერღა ურყევს მას განსვენებას მისი აღტყველვა;  
შავის ზღვის ზვირთნი, ნაცვლად ჩვენთა მოსისხლე მტერთა  
აწ მოგვიგვრიან მრავალის მხრით ჩვენთა მოძმეთა!  
მშვიდობა შენსა წმიდას აჩრდილს, გმირო განთქმულო,  
უკანასკნელო ივერიის სიმტკიცის სულო!  
აწ მიხვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძნამაგსა,  
და თაყვანსა სცემს შენსა საფლავს, ცრემლით აღნაგსა!

როგორც ვხედავთ, ნ. ბარათაშვილი იზიარებს ერეკლე მეორის ნაბიჯს – რუსეთთან საქართველოს ბედის დაკავშირებას. პოეტი ხედავს, რომ ახალი ხანა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, შექმნილი რუსეთთან კავშირით, საქართველოს აყენებს ეროვნული მთლიანობის გზაზე. მისი მეოხებით ღვივდება სამოქალაქო ცხოვრება, საქართველო იქცევა ერთ ეროვნულ ორგანიზმად. პოეტი გრძნობს, რომ თუ არა ერეკლე მეორის ბრძნული პოლიტიკა, საქართველო იქნებოდა ცალკეულ ნაწილებად დაგლეჯილი, ჩამორჩენილ სახელმწიფოთა მონობაში იგი სრულიად მოსწყდებოდა ახალ მოწინავე კულტურას, ეს იქნებოდა ქართველი ხალხისათვის დიდი ეროვნული უბედურება.



ნ. ბარათაშვილი განსაკუთრებით მნიშვნელობას ანიჭებს განათლების ძალას და კულტურას, რომელიც საქართველოს მოწინავე შვილებს მოჰქონდათ რუსეთიდან სამშობლოში. ლექსში " საფლავი მეფის ირაკლისა" პოეტი ხაზგასმით აღნიშნავს ამ გარემოებას:

ჟამ-ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო  
მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო;  
მათი ცხოველი, ტრფიალებით აღსავსე სული  
უდნობს ყინულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული  
და მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,  
მხურვალეს ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად!  
სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,  
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი!

რა თქმა უნდა, ყოველივე თქმული სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ბარათაშვილი შეურიგდა თავისი ქვეყნის თავისუფლების დაკარგვას. იგი ტრაგიკულად განიცდის თვითმპყრობელობისაგან ქართველი ხალხის დამონებას. იგი ოცნებობდა სამშობლოს თავისუფლებაზე. ამას კიდევ ერთხელ ადასტურებს მისი ლექსი " სუმბული და მწირი". ეს ლექსი ალევორიულ ფორმებში გამოიხატავს ეროვნული თავისუფლების იდეას. სუმბული – საქართველოს სახეა, მწირი–თვით პოეტია, ბულბული–თავისუფლების სიმბოლური გამოხატულება. მწირის შეკითხვაზე სუმბულის მიმართ, - თუ რატომ გაქრა მისი საამო ფერი და წარმტაცი სურნელება, ყვავილი ეპასუხება:

მწირო, ხომ ხედავ, მოვკვლებივარ ჩემს სამშობლოს გულს,  
ჩემთ სწორთა ყვავილთ, მშვენიერს ცას და ჩემსა ბულბულს.  
აგერ მაისი აყვავებს ტურფად ბუნებას,  
მოვა ბულბული და დაუშტვენს სიყვარულის ხმას,  
ხოლო მე ხშული ბნელსა სადგურსა და სევდიანსა,  
ვეღარ ვიხილავ ჩემსა ტურფას და ტკბილს მგოსანსა!

მწირი კვლავ ეკითხება ყვავილს–ნუთუ ის ვერაფერს პოევს საამურს ოქროთი და ვერცხლით შემკულ სადგურში, სადაც მას არ ემოქრება მზისგან დაჰკნობა და სიცოცხლისაგან დაზრობა. სუმბულის პასუხი იგივეა:

მაგრამ მარქვ, რა არს ჩემთვის სახლი დიდ-მშვენიერი,  
ვით გააღიმებს ჩემს შვენებას ხშული ჰაერი:  
არღა მევლება გარე წყარო, ცივი, კამკამი;  
არცა მეცემის დილით გულსა სიცოცხლის ნამი;

გრილი ნიავი ჩემთა ფურცელთ არ უალერსებს  
და მაყვლის ბუტკი მზისა სხივთა არღა უჩრდილებს.

განა ეს აღიარება არ გვაგონებს სოლომონ ლეონიძის სოფიოს  
სიტყვებს ეროვნული თავისუფლების შესახებ?

მწირისა და ყვავილის დიალოგი მთავრდება იმედიანი ოცნებით,  
სუმბული აღტაცებით შესტრფის მომავალ თავისუფლებას:

ახ,როდის ვნახო მეცა ველად ჩემი ბულბული ,  
რომ განვიშალო კვლავ სიტურფით მისი სუმბული!

ამ სიტყვებში ასახულია ბარათაშვილის იმედი და ოცნება  
სამშობლოს თავისუფლებაზე.

“ ბედი ქართლისას”ავტორი ეროვნულ ოპტიმიზმს ორგანულად  
უკავშირებდა საერთო განმათავისუფლებელ იდეებს და საქართველოს  
ეროვნული ორგანიზმის გამთლიანების მიმდინარე ისტორიულ  
პრცესს. იგი ხარბად ისუნთქავდა ეპოქის რევოლუციურ  
განწყობილებებს და გრძნობდა, რომ მისი სამშობლოს  
თავისუფლებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა იმ  
ძლიერ დუდილს, რომელსაც რუსეთისა და ევროპის საზოგადოებრივ  
ცხოვრებასა და მოწინავე აზროვნებაში ჰქონდა ადგილი.

როგორც ისტორიული შორსმხედველობით დაჯილდოებული  
ადამინი, ბარათაშვილი დროის სქელ კრეტსაბმელში ჰვრეტდა თავისი  
ხალხის ეროვნული განთიადს, რომელიც შორეული მომავლის  
ჰორიზონტზე პირველ სხივებს გამოსცემდა.

\* \* \*

როდესაც ნ. ბარათაშვილის “ ბედი ქართლისაზე” გვაქვს  
ლაპარაკი, არ შეიძლება არ გავიხსენოთ მისი პოემა “ ივერიელნი”,  
რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

ბარათაშვილის დროს ბეჭდვითი ორგანო არ არსებობდა, პოეტის  
თხზულებანი ხელნაწერებად ვრცელდებოდა. ამიტომ საფიქრებელია,  
რომ პოეტის არა ერთი თხზულება დაიკარგა. მათ რიგს ეკუთვნის  
აგრეთვე ისტორიული პოემა “ ივერიელნიც”. ამ პოემის შესახებ ცნობას  
გვაწვდის კრნსტ. მამაცაშვილი. იგი წერს: “ ნიკ. ბარათაშვილმა ადრე  
დაიწყო ლექსების წერა. ზოგიერთი ლექსები დაწერილია მაშინ,  
როდესაც სასწავლებელში იყო. ბევრი იმის დაწერილი ლექსები  
დაკარგული არიან, რადგან დაბეჭდვა იმათი მაშინ არ შეიძლებოდა. მე  
მახსოვს იმისი დიდი პოემა, რომელიც ჩემთან წაუკითხავს - “  
ივერიელნი”: ამ პოემაში იყო აღწერილი ჩვენი აჰყვავებული ცხოვრება

10, 11 და 12 საუკუნოებისა. ამ ლექსების გადაკეთება უნდოდა, რომელნიც ისეც მშვენიერი იყო“<sup>[50]</sup>.

ბარათაშვილის დაკარგულ პოემასთან დაკავშირებით ინტერესს მოკლებული არ არის ჩვენი ცნობილი ბიბლიოფილის, ზ ჭიჭინაძის, შემდეგი ცნობაც: “1878 წ. თბილისში, **სოლომონ რაზმაძე**

**(1797 –1860)**

სოლომონ რაზმაძე დაიბადა 1797 წლის 10 ნოემბერს. მამამისი ივანე (იგივე გივი) ერეკლე II–ს ჯერ კიდევ მცირეწლოვანი მოუყვანია ყაბარდოდან და პირადი მზრუნველობით აღუზრდია. გიორგი XII – ის ძე დავითთან ერთად ივანეს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა და მრავალჯერ გამოუჩენია თავი ვაჟკაცობით. მეფისადმი თავდადებული ერთგულებითა და ბრძოლაში გამოჩენილი გმირობით ივანეს სასახლის წევრთა პატივისცემა მოუპოვებია და აზნაურობის წოდება დაუმსახურებია.

ივანეს გარდაცვალების შემდეგ მისი ცოლ-შვილი გიორგი XII – ის ძის დავითის თხოვნით თავის მზრუნველობის ქვეშ აიყვანეს თეიმურაზ ბატონიშვილმა და მისმა მეუღლემ ელენემ.

საქართველოს სამეფოს გაუქმების შემდეგ გიორგი მეფის მრავალრიცხოვანმა მემკვიდრეებმა დაკარგული პოლიტიკური უფლებების დაბრუნება სხვადასხვა გზით სცადეს, ზოგი მათგანი ამას უცხო ძალის დახმარებით ცდილობდა, ზოგმა შინაური შფოთის მოწყობა განიზრახა. მეფის შთამომავალთა ნაწილი შეურიგდა არსებულ მდგომარეობას და რუსეთში გადასახლდა. თეიმურაზი არ დაემორჩილა ხელისუფლების მოთხოვნას რუსეთში გადასახლების შესახებ და სპარსეთში გაიქცა, ხოლო მისი მეუღლე ელენე საცხოვრებლად გორში გადავიდა, სადაც თან წაიყვანა ივანე რაზმაძის ოჯახი.

თეიმურაზი 1810წ. დაბრუნდა სპარსეთიდან საქართველოში და ნებაყოფლობით გამოცხადდა გენერალ ტორმასოვთან, რომელმაც იგი საცხოვრებლად რუსეთში გაგზავნა. ბატონიშვილის ოჯახს თან გაჰყვა სოლომონ რაზმაძე და დედამისი – თამარი.

სოლომონი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, 12 –13 წლისა, 1811 წლის 12 იანვარს ჩავიდა პეტერბურგს. ამ დღიდან მოკიდებული მთელი 21 წლის მანძილზე, 1832 წ. თებერვლამდე, სოლომონი პეტერბურგშია, ცხოვრობს ბატონიშვილებთან, სადაც თეიმურაზის მზრუნველობითა და ხელმძღვანელობით იღებს განათლებას და ეუფლება მეცნიერებას. აქ მას კარგად შეუსწავლია რუსული და ფრანგული ენები.

რუსეთში ცხოვრების მთელ მანძილზე სოლომონ რაზმაძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა თეიმურაზ ბატონიშვილთან, მწიგნობარ იონა ხელაშვილთან და იქ მყოფ სხვა მოღვაწეებთან, იგი ლიტერატურულ საქმიანობაში ეხმარებოდა თეიმურაზ ბატონიშვილს და იყო მისი მდივანი.

1826 წლისათვის პეტერბურგში უკვე არსებობდა 1832 წლის შეთქმულების უჯრედი. შეთქმულების შესახებ სოლომონმა ადრიდანვე იცოდა და იგი დიმიტრი იულონის ძის მიერ მოწყობილ შეთქმულთა შეკრებებს ესწრებოდა.

პეტერბურგში ბატონიშვილებთან შეკრებებზე შეთქმულნი ბაასობდნენ და განიხილავდნენ სხვადასხვა საჭირობოროტო საკითხს.

იბადება კითხვა: შეთქმულთაგან რა მოვალეობა ეკისრებოდა სოლ. რაზმაძეს, რომელსაც არც ყმები გააჩნდა და არც ფული ჰქონდა. მართებულია ის მოსაზრება, რომ სოლ. რაზმაძის შეთქმულთა შორის მუშაობა პეტერბურგში ყველაზე უფრო მის ლიტერატურულ საქმიანობაში უნდა გამოხატულიყო. ამას სოლ. რაზმაძის იმ პერიოდის მთელი ლიტერატურული მოღვაწეობა ადასტურებს.

მთარგმნელობითი მუშაობა სოლომონ რაზმაძეს ადრევე დაუწყია. იგი პირველ ხანებში უმთავრესად სასულიერო და ფილოსოფიური ხასიათის ნაშრომებს თარგმნიდა. ოცდაათიან წლებში, კერძოდ 1831 წლის იანვარში, სოლ. რაზმაძემ თარგმნა 1830 წლის საფრანგეთის რევოლუციური მოძრაობის ერთერთი თვალსაჩინო მონაწილის ოდილიონ ბაროს (1791 –1873) პოლიტიკური ხასიათის მოწოდება: “წიგნი ფენელონისა ლუდოვიკ XIV –სთან მიწერილი და ერთი სიტყვა, რომელი ჰრქვა ოდილიონ ბარრო პარიჟისა ერსა ოქტომბრის 19 –1830წ. ”.

აღნიშნული მოწოდება ოცდაათიანსავე წლებში ფრანგულიდან ითარგმნა რუსულად და იგი მაშინვე აიკრძალა. სოლ. რაზმაძის თარგმანი წინასწარ განზრახული პოლიტიკური მნიშვნელობით არის ნაკარნახევი. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ აღნიშნულ თარგმანს სოლ. რაზმაძემ ორიგინალური ლექსი წაუმძღვარა, რომელშიაც განსაზღვრა თავისი, როგორც მთარგმნელის, ამოცანა. სოლომონმა ამ ლექსში აშკარად განაცხადა, რომ მან მამულისათვის შეწევნის გზად მთარგმნელობა აირჩია და ვარაუდობს, რომ მისი შრომა ქართველებს დაეხმარება “ დესპოტისაგან განთავისუფლების საქმეში. ეს პატარა ორიგინალური ლექსი თავისი შინაარსით მეტად საინტერესოა და ნათლად გამოხატავს სოლ. რაზმაძის იმდროინდელ განყოფილებას. მასში ვკითხულობთ:

ვინა ვალია

თავის დადება  
მამულისათვის  
ყოვლი კაცისგან.  
მის გამო მეცა,  
კადნიერქმნილმან,  
ვსთარგმნე ეს წიგნი  
რუსთა ენისგან,  
დაბეჭდვასაცა  
არარა მრიდა,  
ისწავლონ მისგან  
და მით მწე ექმნან  
მამულსა თვისსა  
და თავი იხსნან  
სკვითთ დესპოტისგან.

პეტერბურგში სოლომონ რაზმაძე, ისე როგორც მთელი იმდროინდელი მოწინავე ქართველი ინტელიგენცია, გატაცებულია რუსული პოეზიით და განსაკუთრებით პუშკინის შემოქმედებით. ამ დროს, საერთოდ, დიდი ინტერესით თარგმნიან პუშკინის ლექსებს თეიმურაზ ბატონაშვილი და მისი მახლობელი პირები. თეიმურაზის ხელნაწერებში შემონახულია ლამაზად გადაწერილი პუშკინის რამდენიმე ლექსი, რომელთა თარგმანები სოლომონ რაზმაძეს ეკუთვნის. რაზმაძე დიდი რუსი პოეტის ერთ-ერთი პირველი მთარგმნელია და საინტერესოა ის ფაქტი, რომ მის მიერ თარგმნილი ორი ლექსი "განღვიძება" და "ღიშპანური სიმღერა" ან "მელოდია" პუშკინის სიცოცხლეშივე გამოქვეყნდა სოლ. დოდაშვილის ხელმძღვანელობით არსებულ გაზეთში. რაზმაძემ პუშკინიდან თარგმნა აგრეთვე ლექსები: "ლხინი", "დემონი", "წინასწარმეტყველი", ნაწყვეტები პოემიდან: "ევგენი ონეგინი" ("ღამეს უვიან მთიებნი ნაზნი"), "რაზბონიკითგან" ("ვით ყვავნი, ორბნი ყორანნი...") და სხვ. სოლომონ რაზმაძის მიერ შესრულებული თარგმანები პუშკინის ქართულად ამეტყველების ერთ-ერთი ადრეული და თუმცა სუსტი ცდა იყო, მაგრამ ისტორიულად მაინც საინტერესო.

პუშკინის თარგმნისას სოლომონ რაზმაძე ცდილობს სათარგმნ მასალაში შეიტანოს ქართული ყოფის დამახასიათებელი ნიუანსი (მაგ., ლექსში "ლხინი"), ამიტომ იგი ზოგჯერ თავისუფალ თარგმანს უფრო წარმოადგენს.

რუსულიდან სოლ. რაზმაძის მიერ შესრულებულ თარგმანებს შორის აღსანიშნავია აგრეთვე ფონვიზინის "პეტერბურხი" ანუ

როგორც მას ორიგინალში ეწოდება :“Послание к слугам моим Шумилову, Ваньке и Петрушке ” დ. ფონვიზინის ამ მკაცრ სატირაში მხილებულია იმდროინდელი უსამართლობა და ჩაგვრა. მისი თარგმანით სოლ. რაზმაძემ გამოამჟღავნა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება საზოგადოებრივ ინდიფერენტიზმთან და პროტესტანტული განწყობილება ბიუროკრატიული ჩინოვნიკური სისტემისადმი. თარგმანში შენარჩუნებულია ორიგინალის მწვავე, გესლიანი ტონი.

სოლ. რაზმაძემ პირველმა გააცნო ქართველ საზოგადოებას ადამ მიცკევიჩის “ფარისი”.

პეტერბურგში ყოფნის პერიოდშივე დაუწერია სოლ. რაზმაძეს პოლიტიკური ხასიათის არაკი “ დათვი და ცხვარი”, რომელიც მეტად გავრცელებული და პოპულარული იყო შეთქმულთა შორის. ამ არაკმა საგამომძიებლო კომისიის ყურადღებაც მიიქცია, რამდენადაც იგი ალეგორიულად გამოხატავდა შეთქმულთა წრის პოლიტიკურ შეხედულებებს, პოლიტიკურ მრწამსს, ანტიცარისტულ სულისკვეთებას. არაკში ნათქვამია, რომ მდინაოე მტკვრის სანაპიროზე“ იდგა მოხუცი - საბრალო ცხვარი“ მშვიდობიან მოხუცს არ ასვენებდა ნადირი. “ ტურა და მგელი, ვერაგი მელი“, რადგან როგორც ამქვეყნიური ბოროტება და წესი, “ ძლიერი სთრგუნავს მარად საწყალსა“. ტყის ბინადარნი ემორჩილებოდნენ ძლიერ დათვს, რომელთანაც საჩივლელად მივიდა განაწამები და გატანჯული ცხვარი. მოისმინა რა ცხვრის ვედრება “ ბრჭყალებიანმა“, ისე მოაჩვენა თავი, თითქოს დიდად შეწუხდა და დაპირდა ცხვარს უსამართლობის ალაგმვას. დათვმა ცხვრის დასაცავად გაგზავნა “ ნადირთა ჯარი“ აფთრის წინამძღოლობით. გახარებულმა და დაიმედებულმა ცხვარმა “ სწრაფლ გაუღო კარი, შეიწია ჯარი და უმასპინძლა...” მალე გარდაიცვალა მოხუცი ცხვარი, რომლის სიკვდილმაც დაამგლოვიარა მთა-ბარი, ხოლო აფთარმა კი, რა გაიგო მისი გარდაცვალება, სწრაფად უბრძანა თავის ჯარს:“ აწვე წარვედით ცხვარის ცოლშვილსა შემოერთყენითო“. ნადირთა ჯარმა აყარა ცხვრის ცოლ- შვილი და გადაკარგა ისინი “ ერთს ჭაობიანს ადგილსა მყრალსა“. აფთრის უსამართლობით შეწუხებულმა და შეშფოთებულმა ცხვრის ოჯახმა მფარველობისა და დახმარებისათვის კვლავ დათვს მიმართა.

რატომ მადლობას ღმერთს არ შესწირავთ,  
რომ თქვენის ქვეყნით გარდმოგასახლეთ?  
თქვენ თქვენს მამულსა ვერ მოუარეთ  
და ამისთვის ჩვენ შემოვიერთეთ.

დათვის უდიდესი პასუხით იმედგაცრუებული ბატკნები მწარე სინანულით ესაყვედურებიან, რომ თქვენის შველითა და დახმარებით, მართალია, ჩვენი მამულიდან მგელი გავდევნეთ, მაგრამ სანაცვლოდ ჩვენ თვითონვე აღმოვჩნდით დატყვევებულნი და ის, რაც ტურა-მგელმა ვერ დაგვაკლო, თქვენ შეგვისრულეთო:

ბატონო დათვო! ჩვენ შემოგჩივლეთ  
ტურა-მგლისაგან და შველა გთხოვეთ  
რადგან ბრძანებით მეფე ძლიერი, -  
უთხრეს ბატკნებმა. - " ახლა მშიერი  
უნდა ვეყარნეთ, რა შევიმატეთ  
თქვენის შველითა, მგელნი განსდევნეთ  
ჩვენის მამულით, ჩვენ კი დავთრგუნეთ  
ერთიანთა და დაგვატყვევეთ.

არაკის დასასრულს ერთვის ფრიად მნიშვნელოვანი პოლიტიკური შინაარსის სენტენცია:

როდის იქნება განათლდნენ კაცნი ქრისტიანულად  
და აღასრულონ სახარებისა სიტყვანი სრულად.  
არ ეჭირებათ მკურნალი მრთელთა  
არამედ სნეულთ და დავრდომილთა.

\*

\*

\*

1831 წლის დასასრულს სპარსეთში რუსეთის გარდაცვლილი ელჩის ნაცვლად დაინიშნა გენერალ-მაიორი სიმონიჩი თეიმურაზ ბატონიშვილის ქვისლი.თეიმურაზის შუამდგომლობით რაზმაძე დანიშნულ იქნა მთარგმნელად სიმონიჩთან. 1832 წლის თებერვალში პეტერბურგიდან გამოსული რაზმაძე მოსკოვისა და თბილისის გავლით სპარსეთს გაემგზავრა.

თბილისში ჩამოსვლისთანავე რაზმაძე შეხვდა სოლ. დოდაშვილს, ელიზბარ ერისთავს და სხვებს. იგი აქტიურად დაუახლოვდა შეთქმულებს, გაეცნო ფილ. კიკნაძის მიერ შედგენილ " აქტი გონიურს "

სოლ. რაზმაძეს შეთქმულთაგან დაევალა კავშირი დაემყარებინა სპარსეთში გარდახვეწილ ალექსანდრე ბატონიშვილთან და, საერთოდ, ხელი მოემართა განზრახულებისათვის.

სპარსეთში გაგზავნის წინ, 1832 წლის მაისის ბოლო რიცხვებში, ელიზბარ ერისთავმა სოლ. რაზმაძის პატივსაცემად გამართა

გამოსათხოვარი სადილი, რომელზედაც მოპატიჟებულნი იყვნენ სოლ. დოდაშვილი, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, გ. ერისთავი, დ. ყიფიანი და სხვ. სადილის დროს საუბარი უმთავრესად პოლიტიკურ საკითხებს ეხებოდა. დიდი აღტაცებით შეისვა საქართველოს განთავისუფლების სადღეგრძელო. ალ. ორბელიანის მიპატიჟებით მონადიმენი ელიზბარ ერისთავის ბინიდან ერეკლე II – ის ასულის თეკლეს ბაღისაკენ გაემართნენ, სადაც განაგრძეს ლხინი და საუბარი. ამ დღის შთაბეჭდილებითა და შთაგონებით შექმნა სოლ. რაზმაძემ თავისი ვრცელი ლექსი "დიანას მეჯლიში".

"დიანას მეჯლიში" რომანტიკული შინაარსის ლექსია, თუმცა პოეტი კლასიციზტური პოეზიისათვის დამახასიათებელი ხერხების გამოყენებით, მითოლოგიური პერსონაჟების, ამურების, ნიმფების და სხვათა მოშველიებით უმღერის ქართველ ქალთა მშვენიერებას, სინაზეს, სიკეკლუცესა და სინარნარეს. პოეტი აღწერს განთიადის წარმტაც სურათს და ამბობს, რომ ამ დროს ოლიმპიდან წამოვიდა უტურფესი დიანა თავისი მხლებლებით "ნიმფთა, ამურთა და მუზათა დასით" და "განანათლა ივერთა მხარე". დიანას მიესალმნენ ივერიელი მნათობნი ქალნი, ჰაეროვანნი, პალადას დარნი", რომელთა სილამაზით თვით დიანაც მოიხიბლა. დაიწყო ღმერთქალის მეჯლისი ქართველ ქალებთან, რომელთაც ემსახურებიან და სავსე ფიალებით აწვდიან სიყვარულის შარბათს. დიანა წარმოთქვამს ქართველ ქალთა სადღეგრძელოს, სადაც ზმებით ჩამოვლილია ქართველი თორმეტი ასულის სახელი. ასე მაგ.:

“ ან კვლავ იამე  
სოფლის სიამე  
მერე განანონ მუზებმა ნანა  
შესვი? გაამოს!  
ნეტარ მას რაღა სურს ამა სოფელსა  
რომელმა იკონა  
ეს ვარდის კონა,  
შესვი. რისთვის ჰფარავ ბროლისა ყელსა?  
შესვი? გაამოს!  
ფიალავ, ფიალა სავსე ნეკტარით  
ვინ შესო ფიალა.  
მას ეტრფიალა...” და ა. შ.

ალ. ორბელიანი მიუთითებდა, რომ ეს ლექსი სოლომონისაგან დაწერილია "თორმეტს მშვენიერს ქართველზეო". მართლაც, ლექსში თორმეტი ქალის სახელი იხსენიება ( მანანა, მაიკო, სოფია, დარია,



მაია, ნინო, ელენე, ანიკო, ( ანა), მელანია, ეკატერინე, კონია და ბაბაღე). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სოლომონი ახსენებს შეთქმულების მონაწილე ქალებს. როგორც ცნობილია, შეთქმულებაში ბევრი ქალი იღებდა აქტიურ მონაწილეობას, მაგალითად, თამარ ბატონიშვილი, ალ. ორბელიანის მეუღლე ეკატერინე, მელანია შანშეს ასული მელნიკოვისა ( ელიზბარ ერისთავის და), მანანა მირმანოვის ასული ორბელიანი და სხვები. მათი დასახელების დამთხვევა სოლ. რაზმაძის ლექსში ჩამოთვლილ სახელებთან შემთხვევით არ უნდა იყოს.

“ დიანას მეჯლიში ” ყურადღებას იპყრობს მოხდენილად შერჩეული მხატვრული სახეებით, შედარებებითა და მეტაფორებით. ლექსი, როგორც ჩანს, მკითხველთა სიყვარულით სარგებლობდა, ჩვენამდე მისი რამდენიმე ხელნაწერი შემონახულა.

\*

\*

\*

თბილისიდან გამგზავრებული სოლომონ რაზმაძე მალე თავრიზში ჩავიდა, სადაც რუსეთის ელჩის ბინაში მოეწყო საცხოვრებლად.

1832 წლის 9 დეკემბერს შეთქმულება გაცემულ იქნა და დაიწყო ფარული ორგანიზაციის წევრთა დაპატიმრება. შეთქმულების ჩაშლა რაზმაძემ დაპატიმრებამდე ორი კვირით ადრე გაიგო და სავარაუდოა, რომ მან წინასწარ ზომები მიიღო საეჭვო წერილებისა თუ სხვა რამ მამხილებელი მასალების მოსასპობად. ამის შემდეგი იყო, რომ მას განჩხრევისას ეჭვმისატანი ბევრი ვერაფერი უპოვეს. იგი მაინც დააპატიმრეს და თავრიზიდან თბილისში გამოგზავნეს. სასამართლოს განაჩენით სოლომონ ივანეს (გივის) ძე რაზმაძეს მიესაჯა რუსეთის იმპერიის რომელსამე შიდა გუბერნიაში სამუდამოდ გადასახლება და იქ სამოქალაქო სამსახურის დაბალ მოხელედ განწესება. სასამართლოს განაჩენი იმპერატორმა 1834 წლის 20 აპრილს დაამტკიცა, ხოლო საქართველოს მართველმა ბარონ როზენმა გადასახლების ადგილად ქ. პენზა დაუნიშნა.

1834 წლის 24 ივნისს თბილისიდან გადასახლების შორსა და მძიმე გზას გაუდგა ქართველი ინტელიგენციის ორი საუკეთესო წარმომადგენელი – სოლომონ დედოდაშვილი (ცოლ-შვილით) და სოლომონ რაზმაძე, რომელთაც მწარე ბედმა არგუნა სამშობლოდან შორს, ნათესავებსა და ნაცნობ-მეგობრებს მოშორებულთ დაელიათ მრავალტანჯული სული.

თბილისიდან გასული იმავე წლის 17 ივლისს ჩავიდნენ ქ. პენზაში. სადაც სამუდამოდ გამოეთხოვენ ერთმანეთს, სოლ. რაზმაძე პენზაში დატოვეს, ხოლო სოლ. დოდაშვილი კი 21 ივლისს ვიატკისაკენ გაამგზავრეს.

\*

\*

\*

XIX საუკუნის პირველ ნახევარში პენზა წარმოადგენდა მსხვილ საგუბერნიო ცენტრს, რომელზედაც გადიოდა სარატოვიდან ტამბოვისა და მოსკოვისაკენ მიმავალი სავაჭრო გზა.ეს გარემოება დიდ როლს ასრულებდა ქალაქში ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარების საქმეში. ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარება ხელს უწყობდა ქალაქის კულტურული დონის ამაღლებას და ამ მხრივ პენზა იმდროინდელი რუსეთის ბევრ საგუბერნიო ქალაქზე მაღლა იდგა.

განაჩენის თანახმად, სოლომონს შესაძლებლობა ეძლეოდა სამსახური დაეწყო გუბერნიის სამოქალაქო უწყებაში დაბალ მოხელედ საერთო უფლებებით, ამასთან, პოლიციას დაევალა მასზე ფხიზელი მეთვალყურეობა. დაახლოებით ჩასვლიდან ერთი თვის შემდეგ რაზმაძე განაწესს პენზის გუბერნიის მმართველობაში სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარიის საქმეთა გადამწერად (“კოპიისტად”).

პენზაში სოლომონი დაქორწინდა და 1845 წ. შეეძინა ვაჟი – ალექსანდრე,შემდეგში ცნობილი მუსიკოსი, მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი, ავტორი რუსული მუსიკის ისტორიისა, მოპასანის ერთ-ერთი მთარგმნელი.

1842 წლის ბოლოს სოლომონმა საგუბერნიო მმართველობისაგან მიიღო პასპორტი, რაც უკვე მას საშუალებას აძლევდა რუსეთის იმპერიაში, სადაც სურდა იქ გადასულიყო საცხოვრებლად და სამუშაოდ ( გარდა საქართველოსა და რუსეთის ორივე დედაქალაქისა), მაგრამ იგი პენზაშივე დარჩა.

1837 წ. ქ. პენზაში დაარსდა გუბერნიის საჯარო ბიბლიოთეკა – სამკითხველო, რომლის ბიბლიოთეკარად რვა წლის მანძილზე (1845–1853) იყო სოლომონ რაზმაძე.

1832 წლამდე პოლიტიკური საქმიანობით გატაცებული სოლომონი მხატვრულ სიტყვას ბრძოლის საშუალებით ხმარობდა და თვითეული მისი თხზულება, ორიგინალური თუ თარგმნილი, პროტესტის და წინააღმდეგობის სულით არის აღსავსე. ასეთი ხასიათის თხზულებები საქართველოს მაშინდელ პოლიტიკურ

მდგომარეობას ეხმაურებოდა. მაგრამ შეთქმულების საქმე ჩაიშალა ფარული საზოგადოების წევრები, იმდროინდელი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, სოლ. რაზმაძის ჩათვლით, რეპრესირებულნი აღმოჩნდნენ. სოლომონ რაზმაძემ მწარედ განიცადა ბედის უკუღმართობა. დაპატიმრება - გადასახლების შემდეგ იგი ღრმა სულიერ დეპრესიას მიეცა.

გადასახლების წლებში პოეტმა შექმნა ღრმა პატრიოტული სევდის გამომხატველი ლირიკული თხზულებები, რომლებშიც მწარე ჩივილი ისმის, გადასახლებული პოეტი მტკივნეულად განიცდის სამშობლოს, მეგობრებისა და ნაცნობ-მოკეთეების სამუდამოდ დაშორებას. მწუხარებისა და სევდის გამოსახატავად პოეტი მისთვის ჩვეულ ხერხს –ალეგორიას მიმართავს. იგი თავის არც ისე შორეულ წარსულს ღრმად უფიქრდება და პოლიტიკური ბრძოლის განვლილ დღეებს იგონებს. საყვარელი დედის მოშორებით აღძრული მწველი განცდა, მამულის სიყვარულით გამოწვეული სულიერი ტანჯვა და მწუხარებაა გამოხატული სოლომონ რაზმაძის მიერ 1835 წლის აპრილში პენზაში დაწერილ ლექსში “ მამულს”. პოეტს სანანებლად გაუხდია დიდი ხნის დაშორების შემდეგ სამშობლოს ხილვით გამოწვეული წამიერი ნეტარება. უღრმესი სევდით დამძიმებული პოეტი მწუხარედ გოდებს:

ნეტამც, მამულო, არ მომდებოდა  
შენის ხილვისა სურვილის ალი,  
ურვის სახმილში არ დადნებოდა  
ეს ჩემი გული, მომაკლდა ძალი.

პენზაშივე დაწერილ ლექსში “ სოფელს” (1841 წლის 22 აპრილი)პოეტი გადმოგვცემს საწუთროსადმი მიმართულ მწუხარებას და მდურვას. სოფელი თავისთავად მშვენიერია თავისი მაცოცხლებელი წყაროებით, ხავერდოვანი ბორცვებითა და ნაყოფიერი მთა-ველებით, მშვენიერია ფერადი ყვავილნარებითა და ნათელი მზის სხივებით, მაგრამ ეს მშვენიერება ვერ ათბობს და ვერ ახარებს პოეტის “ ბედისაგან მოკლულ გულს”, როგორც “ საფლავში მკუდარსა მდებარეს”. პოეტს მისთვის “ უცხო ადგილი ცივი” სამარედ ჰქცევია და იქ იგი “ლასლასებს აჩრდილის დარად”. სამშობლო და დედა – აი, ის ორი საოცნებო, სანუკვარი რამ, რომელთა დაშორებამ გამოიწვია პოეტის ეს უსაზომო სევდა ნაღველი, ამიტომაც, რომ იგი მოთქვამს:

რას ვაქნევ სოფლის მშვენიერებას?

ან სიცოცხლისა ბედნიერებას!  
თუ ველარ ვნახავ გულის სინათლეს,  
ძვირფასის დედის ანგელოს სახეს!

პოეტს მომავლის ყოველგვარი იმედი და რწმენა დაჰკარგვია, ცხოვრება მისთვის ამაოებად ქცეულა და სასომიხდილი ელოდება სიკვდილს, რომელიც მისთვის უკანასკნელი ხსნაა.

ეროვნული ტკივილი არ ასვენებს გულმოკლულ პოეტს. საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური მდგომარეობით, აწმყოთი სასომიხდილი პოეტი სევდიანად გასცქერის დიდებულ წარსულს და რომანტიკული აღტაცებით უმღერის გმირი მეფის – ერეკლე II –ის აღმზრდელ ქვეყანას.

პოლიტიკური ბრძოლის დამარცხების შედეგების, ამ ბრძოლის სავალალო დასასრულის მხატვრულ განზოგადებას იძლევა სოლ. რაზმაძე გადასახლების პირველ წლებში დაწერილ ლექსებში: “ ელბრუსი ” და “ იდინე წვიმავ ”. ამ ლექსებში პოეტი რომანტიკული პოეზიისათვის ნიშანდობლივს, მისთვის ჩვეულ ხერხს – ალეგორიას მიმართავს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლექსი “ ელბურსი ” (1835 წლის 10 თებერვლით დათარიღებული, რომელსაც თან ახლავს “ განმარტება ”)<sup>[1]</sup>.

წეროების გუნდს “ დასავლეთიდან მომფრინველთა ” წინ დაუხვდა იალბუზის მაღალი მწვერვალი და გზა გადაუღობა მათ. სუსტმა ფრინველმა ფრთები შეაღწეწეს მის კალთებს და მიწას დაენარცხნენ. მაგრამ, აი, გამოჩნდნენ “ მხნენი, ძლიერნი არწივები და შეძლეს მისი გადალახვა ”.

თავისუფლებისათვის ბრძოლას და ამ ბრძოლის ტრაგიკულ დასასრულს პოეტი კვლავ ალეგორიულად გამოხატავს ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში “ იდინე წვიმავ ”, აღფრთოვანებული პოეტი მიმართავს წვიმას:

იდინე წვიმავ, იდინე ღვარად,  
ასიამოვნე მღელვარე ყანა,  
მან უშრიალოს შვებისა ნანა,  
პაპანებაში მაშვრალსა მარად.

მაგრამ კვლავ გამოჩნდა “ ბინდი გამწარებული ”, რომელიც “ ქვეყანას ჰლუპავს სიბნელეშია ”. წამით გამოჩნდა პოეტის მასაზრდოებელი და სიცოცხლის ეშხის მომმატებელი იმედი - “ ღრუბელი ნათელიანი ”, რომელშიაც ჩანს, “ თეთრი ჰუნენით ” შებმული “ ეტლი მცხინვარე ”, აქ ზის “ გაზაფხულის მზეზე ”,

ძვირფასი მნათობი და მისი დანახვით განიცადა " მანანა წყნარი, პირად ნარნარი", მაგრამ ნეტარება დიდხანს არ გაგრძელდა და " განშორდა ელვისა დარად", " რითაც მას კაეშნის ცეცხლში დაენტქა სული", პოეტი კვლავ სთხოვს წვიმას, რომ " ღვარად იდინოს" და " განუნელოს გული, გონება აღმოდებული".

მსგავსად ანაკრეონტელი პოეტებისა, ზოგჯერ სოლ. რაზმაძე ცდილობს სამშობლოს დაკარგვით გამოწვეული უნაპირო სევდანალველი გაიქარვოს ღვინოსა და მუსიკაში. ლექსში " დიანას მეჯლიშის" მოტივის ვარიაციას წარმოადგენს.

მუსიკისადმი აშკარა სიყვარული გამოხატა სოლომონ რაზმაძემ 1835 წლის 19 ნოემბერს პენზაში მცხოვრებ თოთხმეტი წლის მეჭიანურე ჟერომ გულემის ალბომში ჩაწერილ ოთხსტრიქონიან ლექსში.

დროთა ვითარებაში პოეტი თანდათან შეურიგდა ხვედრს, მას ახალი ინტერესები უჩნდება, მის შემოქმედებაში ახალი მომენტებია შესამჩნევი. ეს ახალი განწყობილება მკვეთრად მჟღავნდება სატრფიალო ლექსების იმ ციკლში, რომელიც სოლომონს პენზაში დაუწერია და არსებითად სევდის გაქარვებისა და სიამის განწყობილებას გამოხატავს.

სოლომონ რაზმაძისათვის სიყვარული უდიდესი ძალაა, რომლის წინაშეც ქედს იდრეკს სუსტი ძლიერი, დიდი და პატარა. სიყვარულის ცხოველმყოფელი სიმხურვალე ყოველგვარ ყინულს ადნობს და ჭაბუკის გულს მგზნებარე კოცონის ალში ხვევს.

სატრფოს, ქალის სახოტბოდ ნათქვამ სწორედ შვებისა და ნეტარების გამომხატველ ლექსებში სოლომონ რაზმაძე ხშირად იშველიებს რომაულ-ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟებს, მაგალითად, აი, როგორ მიმართავს პოეტი ტრფობის საგანს:

შენში მზეობენ, შენ გამშვენიებენ  
სილამაზეი თვით დიაფასი,  
სინარნარეი პროზერპინასი,  
კანის სინაზე, ჰაეროვნება,  
სირინოზის ხმა გულის მიმღები,  
მისი სმენითა მარადის ვსდნები,  
მინერვას სიბრძნე, ღმობიერება,  
ნიმფთა დასიცა შენ გტრფიალებენ.

პოეტს აქცენტი გადააქვს სიყვარულისაგან მოგვრილ სიამეზე. საყვარელი სახის შეხედვა პოეტის გულს სიამეს მატებს, მიჯნურთან

სიახლოვე ყოველგვარ სევდას ანელებს, კაემნიან ბურუსს არღვევს და იმედით ასულდგმულებს მას.

მომენიავა სიო ცხოველი,  
მან განმიოტა ურვა ყოველი,  
მაპკურა გულსა სიამის ნამი  
და გადამზანა კაემნის ლამი.

სატრფიალო ლექსებში სოლ. რაზმაძეს თანდათან კონკრეტულობა შექვს და მის ლექსებში ჩნდება საყვარელი ქალის სახელი.

პოეტს ჰყავს მომავლის დიდი იმედი – შვილი. ჩვილ ყრმაში იგი ხედავს “ მშობელთ გულის სიხარულს”, სასოებასა და ნუგეშს. იგი უღრმესი სინაზითა და სიფაქიზით უმღერის მას.

აღსანიშნავია, რომ სოლომონ რაზმაძემ, რომელიც დიდხანს იყო მოშორებული სამშობლო მიწა-წყალს და აღიზარდა ძველი მწიგნობრების შემოქმედებაზე, რომლის პოეზიასა და, საერთოდ, მხატვრულ ნაწარმოებებში აშკარად შეინიშნება არქაული სიტყვები და გამოთქმები, ენის ძველი გრამატიკული ფორმები, მაინც განიცადა ცოცხალი, ხალხური ენის ერთგვარი გავლენა. ზემოთქმულის დასადასტურებლად მარტო ლექსი “ მამულს” კმარა. ამ მხრივ ინტერესმოკლებული როდია აგრეთვე სოლომონ რაზმაძის ლექსი “ შენა გფერობს”, რომელიც დაწერილია ხალხურ კილოზე და თავისუფალია ყოველგვარი არქაიზმისაგან.

სამწუხაროდ, სოლ. რაზმაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის უმეტესი ნაწილი დაკარგულია. პირველი პერიოდის ლექსები, საფიქრებელია, რომ სიფრთხილის გამო თვითონვე მოსპო, რაც შეეხება გადასახლებაში დაწერილ ლექსებს და პოეტის სხვა ლიტერატურულ მასალას,- დაიკარგა მისი შვილის ალექსანდრე რაზმაძის არქივთან ერთად.

სოლ. რაზმაძე გარდაიცვალა 1860 წლის 18 მარტს პენზაში, დაკრძალულია იქვე.

---

<sup>[1]</sup> ამ “ განმარტებას” პირველად ყურადღება მიაქცია პროფ. ს. ხუნდაძემ ( იხ. ს.ხუნდაძე, ნარკვევები, გვ. 72 –73).

- მოგვითხრობს იგი,- გაიყიდა გიორგი ჩიქოვანის მდიდარი ბიბლიოთეკა, ეს წიგნები იყიდეს იარმურკის მეწვრიმლებმა,

ფუტობით. ეს წიგნები მეც ვნახე, საიდანაც ამოვიჩიე რამდენიმე ხელთნაწერი წიგნები და ვიყიდე, ეს ხელთნაწერი წიგნები ახლა-წერა-კითხვის სამართველოს ეკუთვნის, რადგანაც ჩემი მრავალრიცხოვანი ხელთნაწერი წიგნების ბიბლიოთეკა მათ დაუთმე. ამ ჩიქოვანის წიგნებში ძალიან ბევრი სიგელგურჯები იყო. მეთვრამეტე საუკუნის დოკუმენტები, გორელის პატრი ტულუკაანთ დავითასაგან ნათარგმნი თომა კემფელის წიგნი, მრავალნიც სხვა ხელთნაწერები... ამავე ძველს წიგნებში მე მოვიპოვე ბარათაშვილის ლექსები, თითქმის ყველა ის ლექსები, რაც კი დაბეჭდილნი არიან. ამავე ძველს წიგნებში ერია ერთი ძველი რაღაც პოემა, რომელიც "ივერიელთა" სახელწოდებით იწყობოდა, მაგრამ ბოლომდე კი არ ჰქონდა მიწერილი დამწერის სახელი. ეს პოემა 20 კაპიკად მამლია მეწვრიმალემ, მაგრამ მე ფული აღარ მეყო და ვიდრე მეორედ ჩავიტანდი და ვიყიდდი, აქ უკვე სხვას ეყიდნა. მაშინ არ ვიცოდი, თუ ვისი იყო ის პოემა, ან ის მაინც მცოდნიყო, რომ ბარათაშვილსაც დაუწერია ერთი ლექსი, სახელწოდებით "ივერიელნი", მაშინ როგორ დავკარგავდი მას<sup>[51]</sup>.

თავისი პოემის საგნად ნ. ბარათაშვილს აუღია მშობლიური ისტორიის ყველაზე ბრწყინვალე ხანა – X –XII საუკუნეები ქართული ისტორიის და კულტურის ამ კლასიკური პერიოდის მიმართ ნ. ბარათაშვილი ყრმობიდანვე იჩენდა ცხოველ ინტერესს. ჩვენთვის დღეს ძნელი წარმოსადგენია, როგორი იყო ამ დიდებული ეპოქის მხატვრული გააზრება დაკარგულ პოემაში. საფიქრებელია, რომ ეს პოემა ბარათაშვილის ერთ-ერთ ადრეულ ნაწარმოებს წარმოადგენდა. როგორც მამაცაშვილის მოგონებიდან ჩანს, პოეტს, ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზით, განუზრახავს ამ პოემის გადაკეთება. დაკარგულ პოემას მამაცაშვილი უწოდებს მშვენიერს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ კონსტ. მამაცაშვილი უწოდებს მშვენიერს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ კონსტ. მამაცაშვილი იყო ორი დიდი პოეტის – ბარათაშვილისა და ლერმონტოვის ახლობელი და მათი შემოქმედების გატაცებული თაყვანისმცემელი, აღჭურვილი ფართო განათლებითა და ლიტერატურული გემოვნებით. რამდენადაც წარსული საუკუნის ისტორიული არქივები და ცალკეულ მწერალთა მთელი ფონდები ჯერჯერობით შესწავლის პროცესშია, - არ უნდა დავკარგოთ იმედი ბარათაშვილის პოემის აღმოჩენისა.

ნ. ბარათაშვილის თხზულებანი იძლევა პასუხს მისი თანამედროვეობის მიერ წამოყენებულ საზოგადოებრივ-ეროვნულ საკითხებზე. ისტორიის ღრმა გრძნობა "ბედი ქართლისას" ავტორს შესაძლებლობას აძლევს ჩასწვდეს წარსულს და გაითვალისწინოს მომავალი. იგი ამავე დროს სრულიადაც არ არის ეროვნულად შეზღუდული მხატვარი. ამ თვალსაზრისით, პოემას "ბედი ქართლისა"

ეხმაურება უბრწყინვალესი ლექსი “ მერანი”. მათი საერთო იდეა გამოხატავს პოეტის მიერ ეროვნული და სოციალური თავისუფლების ღრმა გააზრებას.

\* \* \*

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება ქართული რომანტიკული პოეზიის გვირგვინია.

ტიტანური ბრძოლა ძველი სამყაროს წინააღმდეგ, გმირული შემართება იმ დაბრკოლებათა მიმართ, რომელებიც ხელს უშლიდნენ მისი სამშობლოს წინსვლას, პიროვნების თავისუფლებას – იყო ნ. ბარათაშვილის შემოქმედების უმაღლესი მიზანი.

არაჩვეულებრივმა პოეტურმა ნიჭმა, რომლითაც მხოლოდ რჩეულებს აჯილდოებს ბუნება, ნათელმა მიზნებმა, მედგარმა ნებისყოფამ ძალა მისცეს ბარათაშვილს შეექმნა განუმეორებელი მხატვრული საგანძური. ბარათაშვილის “მერანი” იქცა ეროვნული სიმაყის, იმედისა და ოცნების სიმბოლოდ არა მარტო პოეტის თანამედროვეთათვის არამედ მომავალი თაობებისათვისაც. ამიტომ იყო, რომ ილია ჭავჭავაძემ “ მერანის” ავტორს კაცობრიობის რჩეულთა შორის მიუჩინა ადგილი, ხოლო აკაკი წერეთელმა მას უწოდა “ წინამორბედი ჩვენი ახალი ცხოვრების განთიადისა”.

ბარათაშვილის პოეზია ატარებს ისეთ შთამაგონებელ ძალას, რომ მასზე სრული უფლებით შეგვიძლია გავიმეოროთ დიდროს სიტყვები, ჰომეროსის შემოქმედებაზე ნათქვამი:“მე აქ მესმის ხმა ადამიანისა, რომელიც ფლობს თავისი ხელოვნების გენიას”.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება გარკვეულ ისტორიულ პირობებში წარმოიშვა, მაგრამ პოეტმა გაუსწრო თავის ეპოქას, შექმნა შემოქმედებითი აზრის განუმეორებელი ესთეტიკური განზოგადებანი და ეროვნული პოეტური ხელოვნება საკაცობრიო იდეალების სიმაღლეზე აიყვანა.

---

[1] სომხითი-სამხრეთ საქართველოს ერთი მხრის – ყაფლანიშვილთა ( ორბელიანთა) სამფლობელოს ძველი სახელწოდება.

[2] ა. ვახ. ძე ჯამბაკურ-ორბელიანი, ალა მაჰმად ხანის შემოსვლა თბილისში, 1895, გვ.

II.

[3] “ დროება”, 1881, №206.

[4] ნ. ბარათაშვილის თხზულებანი, 1922 წლის გამოცემა, გვ. VII.



- [5] "საქართველოს ბატონყმობის ფაქტ. მასალები" 1925, ტ. VI, გვ. 328-383.
- [6] გრ. ორბელიანის წერილები, აკ. გაწერელის რედ., ტ. I, გვ. 27.
- [7] იქვე, გვ. III.
- [8] "დროება", 1881, № 206.
- [9] ნ. ბარათაშვილის თხზულებანი, 1922, გვ. 241.
- [10] ი. მეუნარგია, "ქართველი მწერლები", I, 1945, გვ. 30.
- [11] ზ. მთაწმინდელი, ნ. ბარათაშვილი, 1885, გვ. 7.
- [12] "დროება", 1881, № 206.
- [13] ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1922, გვ. 41.
- [14] ზ. მთაწმინდელი, ნ. ბარათაშვილი, 1865, გვ. 5
- [15] კალოუზნის ტადარი იდგა გარეთუბანში, ეხლანდელ კინოთეატრ "რუსთაველის" ადგილზე.
- [16] დ. ყიფიანი, "მემუარები", 1930, გვ. 8
- [17] "ლიტერატურის მატთანე" - 1940, № 1-2, გვ. 387.
- [18] ნ. ბარათაშვილის თხზულებანი, 1922, გვ. XII.
- [19] ზ. მთაწმინდელი, ნ. ბარათაშვილი, 1885, გვ. 7.
- [20] იქვე.
- [22] კონსტ. მამაცაშვილი, მოგონება ნიკოლოზ ბარათაშვილზე, "დროება" 1881, N 206.
- [23] ი. ჭყონია, "ჩემი დღე და სოფელი", "მნათობი", 1932, N 5 -6.
- [24] ნ. ბარათაშვილის თხზულებანი, 1922, გვ. XIV.
- [25] ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1945, გვ. 75-76.
- [26] ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1922 წლის გამოც., გვ. 243.
- [27] საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერების ფონდი, შ. რ. ერისთავის დღიური - 223-2.
- [28] შ. ჩხეტია, ნ. ბარათაშვილი ( მასალები), 1945, გვ. 222.
- [29] საქ. სახელმწ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება, გვ. 111.
- [30] Welbraham, Fravels In the Frans - Caucaalion Provinces, London, 1835.
- [31] «Записки Е. С. Андреевского», Одесса, 1941, т. I გვ. 178
- [32] "ლიტერატურის მატთანე", 1940, N 1 -2, გვ. 387.
- [33] ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1945, გვ. 80.
- [34] ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, გვ. 79.
- [35] გ. ლეონიძე, " ნ. ბარათაშვილის გარშემო", " ლიტერატურის მატთანე", 1940, N 1 გვ. 413.
- [36] ზ. მთაწმინდელი, ნ. ბარათაშვილი, 1885, გვ. 14.
- [37] აღსანიშნავია, რომ პროფ. აკ. გაწერელიამ " ჩემს ლოცვაში" მიაკვლია " აბდულმესიანის" პოეტური სტრიქონის რომინისცენციას, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ბარათაშვილი ზედმიწევნით იცნობდა ქართულ კლასიკურ პოეზიას.
- [38] ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1945, გვ. 93
- [39] კ. უმიკაშვილი, "ხალხური სიტყვიერება", 1937, გვ. 392.
- [40] "დროება", 1881, N 206.
- [41] იოანე ქართველიშვილის მემუარები, ა. იოსელიანის რედ., 1952, გვ. 73.
- [42] ა. ვახ.-ძე ჯამბაუკრ-ორბელიანი. აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა თბილისში, 1895, გვ. 11.
- [43] კლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. აკ. გაწერელის რედ. 1936, გვ. 255.

[44] საქართველოს სიძველენი, ტ. III, საბუთი N587.

[45] ა. ჯ. ორბელიანი, ლექთა დაღესტნიდან გადმოსვლა და სხვა ამბები, გამოც. ს. კაკაბაძისა, 1914, გვ. 12.

[46] ცერემონია ერეკლე მეფის დასაფლავებისა, "ივერია", 1887, N 8890.

[47] პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცემეტისა, გვ. 332. ემიკ-ალა ბაშ თამაზ

ჯორჯაძეში არ უნდა აგვერიოს მეორე ემიკ-ალა-ბაში თამაზ, რომელიც

მოხსენებულია მანუჩარ თუმანიშვილის არზაზე 1783 წელს, ერეკლე მეორის მიერ

მიწერილ ბრძანებაში ( ე. თაყაიშვილი, " სიძველენი", III ,N 551), ეს თამაზი უნდა

იყოს ორბელიანი ( შდრ. ალ. ორბელიანის ნაწერები, 1879, გვ. 225).

[48] ალ. ორბელიანის ნაწერები, 1879, გვ. 117.

[49] ზ. მთაწმინდელი, ნ. ბარათაშვილი, 1881, გვ. 18 –19. ამ ლექსთან ერთად მისივე

ავტორის მიწერილი სიტყვები ნათლად გადმოგვცემს, თუ რამდენად პოპულარული

ყოფილა ჯერ კიდევ ავტორის სიცოცხლეში პოემა " ბედი ქართლისა"- " ლექსი ესე "

ბედი ქართლისა", - ვკითხულობთ აღნიშნულ მინაწერში,- ჯერეთ 1840 წელს მქონდა

გადაწერილი და შემდგომ რა სრულიად გადავწერე, მაშინ ჩემ მიერ წარწერილი

ლექსი ნიკ. ბარათაშვილზე აქვე ზედ დავწერე" ( იქვე, გვ. 18), " ბედი ქართლისა" ნ.

ბარათაშვილს ალ. აავჭავაძის სახლის ბაზზე წაუკითხავს, პოემა იმ დროსვე ცნობილი

ყოფილა თავისი რადიკალური ხასიათით. პოეტის მეგობარი ლევან მელიქიშვილი

1846 წ. გრიგოლ ორბელიანს სწერდა:- " არ ვიცი " ბედი ქართლისა" როგორ უნდა

დაიბეჭდოს, რადგანაც ზოგი ადგილი ძალიან თავისუფლად არის, თუ გასწორდება,

კარგად იცი, ბევრს დაჰკარგავს მთელი პოემა, მაგრამ ამის ამბავსაც შეგატყობინებენ

რასაც ვარჩევთ".

[50] " დროება", 1881,N 206.

[51] ზ. მთაწმინდელი, ნ. ბარათაშვილი, 1885, გვ. 17.

## სოლომონ რაზმაძე

(1797 –1860)

სოლომონ რაზმაძე დაიბადა 1797 წლის 10 ნოემბერს. მამამისი ივანე (იგივე გივი) ერეკლე II–ს ჯერ კიდევ მცირეწლოვანი მოუყვანია ყაბარდოდან და პირადი მზრუნველობით აღუზრდია. გიორგი XII – ის ძე დავითთან ერთად ივანეს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა და მრავალჯერ გამოუჩენია თავი ვაჟკაცობით. მეფისადმი თავდადებული ერთგულებითა და ბრძოლაში გამოჩენილი გმირობით ივანეს სასახლის წევრთა პატივისცემა მოუპოვებია და აზნაურობის წოდება დაუმსახურებია.

ივანეს გარდაცვალების შემდეგ მისი ცოლ-შვილი გიორგი XII – ის ძის დავითის თხოვნით თავის მზრუნველობის ქვეშ აიყვანეს თეიმურაზ ბატონიშვილმა და მისმა მეუღლემ ელენემ.

საქართველოს სამეფოს გაუქმების შემდეგ გიორგი მეფის მრავალრიცხოვანმა მემკვიდრეებმა დაკარგული პოლიტიკური უფლებების დაბრუნება სხვადასხვა გზით სცადეს, ზოგი მათგანი ამას უცხო ძალის დახმარებით ცდილობდა, ზოგმა შინაური შფოთის

მოწყობა განიზრახა. მეფის შთამომავალთა ნაწილი შეურიგდა არსებულ მდგომარეობას და რუსეთში გადასახლდა. თეიმურაზი არ დაემორჩილა ხელისუფლების მოთხოვნას რუსეთში გადასახლების შესახებ და სპარსეთში გაიქცა, ხოლო მისი მეუღლე ელენე საცხოვრებლად გორში გადავიდა, სადაც თან წაიყვანა ივანე რაზმადის ოჯახი.

თეიმურაზი 1810წ. დაბრუნდა სპარსეთიდან საქართველოში და ნებაყოფლობით გამოცხადდა გენერალ ტორმასოვთან, რომელმაც იგი საცხოვრებლად რუსეთში გაგზავნა. ბატონიშვილის ოჯახს თან გაჰყვა სოლომონ რაზმაძე და დედამისი – თამარი.

სოლომონი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, 12 –13 წლისა, 1811 წლის 12 იანვარს ჩავიდა პეტერბურგს. ამ დღიდან მოკიდებული მთელი 21 წლის მანძილზე, 1832 წ. თებერვლამდე, სოლომონი პეტერბურგშია, ცხოვრობს ბატონიშვილებთან, სადაც თეიმურაზის მზრუნველობითა და ხელმძღვანელობით იღებს განათლებას და ეუფლება მეცნიერებას. აქ მას კარგად შეუსწავლია რუსული და ფრანგული ენები.

რუსეთში ცხოვრების მთელ მანძილზე სოლომონ რაზმაძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა თეიმურაზ ბატონიშვილთან, მწიგნობარ იონა ხელაშვილთან და იქ მყოფ სხვა მოღვაწეებთან, იგი ლიტერატურულ საქმიანობაში ეხმარებოდა თეიმურაზ ბატონიშვილს და იყო მისი მდივანი.

1826 წლისათვის პეტერბურგში უკვე არსებობდა 1832 წლის შეთქმულების უჯრედი. შეთქმულების შესახებ სოლომონმა ადრიდანვე იცოდა და იგი დიმიტრი იულონის ძის მიერ მოწყობილ შეთქმულთა შეკრებებს ესწრებოდა.

პეტერბურგში ბატონიშვილებთან შეკრებებზე შეთქმულნი ბაასობდნენ და განიხილავდნენ სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხს.

იბადება კითხვა: შეთქმულთაგან რა მოვალეობა ეკისრებოდა სოლ. რაზმაძეს, რომელსაც არც ყმები გააჩნდა და არც ფული ჰქონდა. მართებულია ის მოსაზრება, რომ სოლ. რაზმადის შეთქმულთა შორის მუშაობა პეტერბურგში ყველაზე უფრო მის ლიტერატურულ საქმიანობაში უნდა გამოხატულიყო. ამას სოლ. რაზმადის იმ პერიოდის მთელი ლიტერატურული მოღვაწეობა ადასტურებს.

მთარგმნელობითი მუშაობა სოლომონ რაზმაძეს ადრევე დაუწყია. იგი პირველ ხანებში უმთავრესად სასულიერო და ფილოსოფიური ხასიათის ნაშრომებს თარგმნიდა. ოცდაათიან წლებში, კერძოდ 1831 წლის იანვარში, სოლ. რაზმაძემ თარგმნა 1830 წლის საფრანგეთის რევოლუციური მოძრაობის ერთერთი თვალსაჩინო მონაწილის ოდილიონ ბაროს (1791 –1873)

პოლიტიკური ხასიათის მოწოდება:“ წიგნი ფენელონისა ლუდოვიკ XIV –სთან მიწერილი და ერთი სიტყვა, რომელი ჰრქვა ოდილიონ ბარრო პარიჟისა ერსა ოქტომბრის 19 –1830წ. “.

აღნიშნული მოწოდება ოცდაათიანსავე წლებში ფრანგულიდან ითარგმნა რუსულად და იგი მაშინვე აიკრძალა. სოლ. რაზმაძის თარგმანი წინასწარ განზრახული პოლიტიკური მნიშვნელობით არის ნაკარნახევი. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ აღნიშნულ თარგმანს სოლ. რაზმაძემ ორიგინალური ლექსი წაუშეშვარა, რომელშიაც განსაზღვრა თავისი, როგორც მთარგმნელის, ამოცანა. სოლომონმა ამ ლექსში აშკარად განაცხადა, რომ მან მამულისათვის შეწევნის გზად მთარგმნელობა აირჩია და ვარაუდობს, რომ მისი შრომა ქართველებს დაეხმარება “ დესპოტისაგან განთავისუფლების საქმეში. ეს პატარა ორიგინალური ლექსი თავისი შინაარსით მეტად საინტერესოა და ნათლად გამოხატავს სოლ. რაზმაძის იმდროინდელ განწყობილებას. მასში ვკითხულობთ:

ვინა ვალია  
თავის დადება  
მამულისათვის  
ყოვლი კაცისგან.  
მის გამო მეცა,  
კადნიერქმნილმან,  
ვსთარგმნე ეს წიგნი  
რუსთა ენისგან,  
დაბეჭდვასაცა  
არარა მრიდა,  
ისწავლონ მისგან  
და მით მწე ექმნან  
მამულსა თვისსა  
და თავი იხსნან  
სკვითთ დესპოტისგან.

პეტერბურგში სოლომონ რაზმაძე, ისე როგორც მთელი იმდროინდელი მოწინავე ქართველი ინტელიგენცია, გატაცებულია რუსული პოეზიით და განსაკუთრებით პუშკინის შემოქმედებით. ამ დროს, საერთოდ, დიდი ინტერესით თარგმნიან პუშკინის ლექსებს თეიმურაზ ბატონაშვილი და მისი მახლობელი პირები. თეიმურაზის ხელნაწერებში შემონახულია ლამაზად გადაწერილი პუშკინის რამდენიმე ლექსი, რომელთა თარგმანები სოლომონ რაზმაძეს ეკუთვნის. რაზმაძე დიდი რუსი პოეტის ერთ-ერთი

პირველი მთარგმნელია და საინტერესოა ის ფაქტი, რომ მის მიერ თარგმნილი ორი ლექსი " განღვიძება" და "ღიშპანური სიმღერა" ან "მელოდია" პუშკინის სიცოცხლეშივე გამოქვეყნდა სოლ. დოდაშვილის ხელმძღვანელობით არსებულ გაზეთში. რაზმაძემ პუშკინიდან თარგმნა აგრეთვე ლექსები: " ლხინი", " დემონი", " წინასწარმეტყველი", ნაწყვეტები პოემიდან: " ევგენი ონეგინი" ( " ღამეს უვიან მთიებნი ნაზნი"), "რაზბონიკითგან ("ვით ყვავნი, ორბნი ყორანნი...") და სხვ.სოლომონ რაზმაძის მიერ შესრულებული თარგმანები პუშკინის ქართულად ამეტყველების ერთ-ერთი ადრეული და თუმცა სუსტი ცდა იყო, მაგრამ ისტორიულად მაინც საინტერესო.

პუშკინის თარგმნისას სოლომონ რაზმაძე ცდილობს სათარგმნ მასალაში შეიტანოს ქართული ყოფის დამახასიათებელი ნიუანსი ( მაგ., ლექსში " ლხინი"), ამიტომ იგი ზოგჯერ თავისუფალ თარგმანს უფრო წარმოადგენს.

რუსულიდან სოლ. რაზმაძის მიერ შესრულებულ თარგმანებს შორის აღსანიშნავია აგრეთვე ფონვიზინის "პეტერბურხი" ანუ როგორც მას ორიგინალში ეწოდება : "Послание к слугам моим Шумилову, Ваньке и Петрушке " დ. ფონვიზინის ამ მკაცრ სატირაში მხილებულია იმდროინდელი უსამართლობა და ჩაგვრა. მისი თარგმანით სოლ. რაზმაძემ გამოამჟღავნა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება საზოგადოებრივ ინდიფერენტიზმთან და პროტესტანტული განწყობილება ბიუროკრატიული ჩინოვნიკური სისტემისადმი. თარგმანში შენარჩუნებულია ორიგინალის მწვავე, გესლიანი ტონი.

სოლ. რაზმაძემ პირველმა გააცნო ქართველ საზოგადოებას ადამ მიცკევიჩის "ფარისი".

პეტერბურგში ყოფნის პერიოდშივე დაუწერია სოლ. რაზმაძეს პოლიტიკური ხასიათის არაკი " დათვი და ცხვარი", რომელიც მეტად გავრცელებული და პოპულარული იყო შეთქმულთა შორის. ამ არაკმა საგამომძიებლო კომისიის ყურადღებაც მიიქცია, რამდენადაც იგი ალევორიულად გამოხატავდა შეთქმულთა წრის პოლიტიკურ შეხედულებებს, პოლიტიკურ მრწამსს, ანტიცარისტულ სულისკვეთებას. არაკში ნათქვამია, რომ მდინაოე მტკვრის სანაპიროზე" იდგა მოხუცი - საბრალო ცხვარი" მშვიდობიან მოხუცს არ ასვენებდა ნადირი. " ტურა და მგელი, ვერაგი მელი", რადგან როგორც ამქვეყნიური ბოროტება და წესი, " ძლიერი სთრგუნავს მარად საწყალსა". ტყის ბინადარნი ემორჩილებოდნენ ძლიერ დათვს, რომელთანაც საჩივლელად მივიდა განაწამები და გატანჯული ცხვარი. მოისმინა რა ცხვრის ვედრება " ბრჭყალებიანმა", ისე

მოაჩვენა თავი, თითქოს დიდად შეწუხდა და დაპირდა ცხვარს უსამართლობის ალაგმვას. დათვმა ცხვრის დასაცავად გაგზავნა "ნადირთა ჯარი" ავთრის წინამძღოლობით. გახარებულმა და დაიმედებულმა ცხვარმა "სწრაფლ გაულო კარი, შეიწია ჯარი და უმასპინძლა..." მალე გარდაიცვალა მოხუცი ცხვარი, რომლის სიკვდილმაც დაამგლოვიარა მთა-ბარი, ხოლო ავთარმა კი, რა გაიგო მისი გარდაცვალება, სწრაფად უბრძანა თავის ჯარს: "აწვე წარვედით ცხვარის ცოლშვილსა შემოერთყენითო". ნადირთა ჯარმა აყარა ცხვრის ცოლ- შვილი და გადაკარგა ისინი "ერთს ჭაობიანს ადგილსა მყრალსა". ავთრის უსამართლობით შეწუხებულმა და შეშფოთებულმა ცხვრის ოჯახმა მფარველობისა და დახმარებისათვის კვლავ დათვს მიმართა.

რატომ მადლობას ღმერთს არ შესწირავთ,  
რომ თქვენის ქვეყნით გარდმოგასახლეთ?  
თქვენ თქვენს მამულსა ვერ მოუარეთ  
და ამისთვის ჩვენ შემოვიერთეთ.

დათვის უდიდესი პასუხით იმედგაცრუებული ბატკნები მწარე სინანულით ესაყვედურებიან, რომ თქვენის შველითა და დახმარებით, მართალია, ჩვენი მამულიდან მგელი გავდევნეთ, მაგრამ სანაცვლოდ ჩვენ თვითონვე აღმოვჩნდით დატყვევებულნი და ის, რაც ტურა-მგელმა ვერ დაგვაკლო, თქვენ შეგვისრულეთო:

ბატონო დათვო! ჩვენ შემოგჩივლეთ  
ტურა-მგლისაგან და შველა გთხოვეთ  
რადგან ბრძანებით მეფე ძლიერი, -  
უთხრეს ბატკნებმა. - "ახლა მშიერი  
უნდა ვეყარნეთ, რა შევიმატეთ  
თქვენის შველითა, მგელნი განსდევნეთ  
ჩვენის მამულით, ჩვენ კი დავთრგუნეთ  
ერთიანთა და დაგვატყვევეთ.

არაკის დასასრულს ერთვის ფრიად მნიშვნელოვანი პოლიტიკური შინაარსის სენტენცია:

როდის იქნება განათლდნენ კაცნი ქრისტიანულად  
და აღასრულონ სახარებისა სიტყვანი სრულად.  
არ ეჭირებათ მკურნალი მრთელთა  
არამედ სნეულთ და დავრდომილთა.

\*

\*

\*

1831 წლის დასასრულს სპარსეთში რუსეთის გარდაცვლილი ელჩის ნაცვლად დაინიშნა გენერალ-მაიორი სიმონიჩი თეიმურაზ ბატონიშვილის ქვისლი. თეიმურაზის შუამდგომლობით რაზმამე დანიშნულ იქნა მთარგმნელად სიმონიჩთან. 1832 წლის თებერვალში პეტერბურგიდან გამოსული რაზმამე მოსკოვისა და თბილისის გავლით სპარსეთს გაემგზავრა.

თბილისში ჩამოსვლისთანავე რაზმამე შეხვდა სოლ. დოდაშვილს, ელიზბარ ერისთავს და სხვებს. იგი აქტიურად დაუახლოვდა შეთქმულებს, გაეცნო ფილ. კიკნაძის მიერ შედგენილ „აქტი გონიურს“

სოლ. რაზმამეს შეთქმულთაგან დაევალა კავშირი დაემყარებინა სპარსეთში გარდახვეწილ ალექსანდრე ბატონიშვილთან და, საერთოდ, ხელი მოემართა განზრახულებისათვის.

სპარსეთში გაგზავნის წინ, 1832 წლის მაისის ბოლო რიცხვებში, ელიზბარ ერისთავმა სოლ. რაზმამის პატივსაცემად გამართა გამოსათხოვარი სადილი, რომელზედაც მოპატიჟებულნი იყვნენ სოლ. დოდაშვილი, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, გ. ერისთავი, დ. ყიფიანი და სხვ. სადილის დროს საუბარი უმთავრესად პოლიტიკურ საკითხებს ეხებოდა. დიდი აღტაცებით შეისვა საქართველოს განთავისუფლების სადღეგრძელო. ალ. ორბელიანის მიპატიჟებით მონადიმენი ელიზბარ ერისთავის ბინიდან ერეკლე II – ის ასულის თეკლეს ბაღისაკენ გაემართნენ, სადაც განაგრძეს ლხინი და საუბარი. ამ დღის შთაბეჭდილებითა და შთაგონებით შექმნა სოლ. რაზმამემ თავისი ვრცელი ლექსი „დიანას მეჯლიში“.

„დიანას მეჯლიში“ რომანტიკული შინაარსის ლექსია, თუმცა პოეტი კლასიციზტური პოეზიისათვის დამახასიათებელი ხერხების გამოყენებით, მითოლოგიური პერსონაჟების, ამურების, ნიმფების და სხვათა მოშველიებით უმღერის ქართველ ქალთა მშვენიერებას, სინაზეს, სიკეკლუცესა და სინარნარეს. პოეტი აღწერს განთიადის წარმტაც სურათს და ამბობს, რომ ამ დროს ოლიმპიდან წამოვიდა უტურფესი დიანა თავისი მხლებლებით „ნიმფთა, ამურთა და მუზათა დასით“ და „განანათლა ივერთა მხარე“. დიანას მიესალმნენ ივერიელი მნათობნი ქალნი, ჰაეროვანნი, პალადას დარნი“, რომელთა სილამაზით თვით დიანაც მოიხიბლა. დაიწყო ღმერთქალის მეჯლისი ქართველ ქალებთან, რომელთაც ემსახურებიან და სავსე ფიალებით აწვდიან სიყვარულის შარბათს. დიანა წარმოთქვამს ქართველ ქალთა სადღეგრძელოს, სადაც ზმებით ჩამოვლილია ქართველი თორმეტი ასულის სახელი. ასე მაგ.:

“ ან კვლავ იამე  
სოფლის სიამე  
მერე განანონ მუზებმა ნანა  
შესვი? გაამოს!  
ნეტარ მას რაღა სურს ამა სოფელსა  
რომელმა იკონა  
ეს ვარდის კონა,  
შესვი. რისთვის ჰფარავ ბროლისა ყელსა?  
შესვი? გაამოს!  
ფიალავ, ფიალა სავსე ნეკტარით  
ვინ შესო ფიალა.  
მას ეტრფიალა...” და ა. შ.

ალ. ორბელიანი მიუთითებდა, რომ ეს ლექსი სოლომონისაგან დაწერილია “თორმეტს მშვენიერს ქართველზეო”. მართლაც, ლექსში თორმეტი ქალის სახელი იხსენიება ( მანანა, მაიკო, სოფია, დარია, მაია, ნინო, ელენე, ანიკო, ( ანნა), მელანია, ეკატერინე, კონია და ბაბალე). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სოლომონი ახსენებს შეთქმულების მონაწილე ქალებს. როგორც ცნობილია, შეთქმულებაში ბევრი ქალი იღებდა აქტიურ მონაწილეობას, მაგალითად, თამარ ბატონიშვილი, ალ. ორბელიანის მეუღლე ეკატერინე, მელანია შანშეს ასული მელნიკოვისა ( ელიზბარ ერისთავის და), მანანა მირმანოვის ასული ორბელიანი და სხვები. მათი დასახელების დამთხვევა სოლ. რაზმადის ლექსში ჩამოთვლილ სახელებთან შემთხვევით არ უნდა იყოს.

“ დიანას მეჯლიში ” ყურადღებას იპყრობს მოხდენილად შერჩეული მხატვრული სახეებით, შედარებებითა და მეტაფორებით. ლექსი, როგორც ჩანს, მკითხველთა სიყვარულით სარგებლობდა, ჩვენამდე მისი რამდენიმე ხელნაწერი შემონახულა.

\*

\*

\*

თბილისიდან გამგზავრებული სოლომონ რაზმამე მალე თავრიზში ჩავიდა, სადაც რუსეთის ელჩის ბინაში მოეწყო საცხოვრებლად.

1832 წლის 9 დეკემბერს შეთქმულება გაცემულ იქნა და დაიწყო ფარული ორგანიზაციის წევრთა დაპატიმრება. შეთქმულების ჩაშლა რაზმამემ დაპატიმრებამდე ორი კვირით ადრე გაიგო და



სავარაუდოა, რომ მან წინასწარ ზომები მიიღო საექვო წერილებისა თუ სხვა რამ მამხილებელი მასალების მოსასპობად. ამის შემდეგი იყო, რომ მას განჩხრეკისას ექვმისატანი ბევრი ვერაფერი უპოვეს. იგი მაინც დააპატიმრეს და თავრიზიდან თბილისში გამოგზავნეს. სასამართლოს განაჩენით სოლომონ ივანეს (გივის) ძე რაზმაძეს მიესაჯა რუსეთის იმპერიის რომელსამე შიდა გუბერნიაში სამუდამოდ გადასახლება და იქ სამოქალაქო სამსახურის დაბალ მოხელედ განწესება. სასამართლოს განაჩენი იმპერატორმა 1834 წლის 20 აპრილს დაამტკიცა, ხოლო საქართველოს მართველმა ბარონ როზენმა გადასახლების ადგილად ქ. პენზა დაუნიშნა.

1834 წლის 24 ივნისს თბილისიდან გადასახლების შორსა და მძიმე გზას გაუდგა ქართველი ინტელიგენციის ორი საუკეთესო წარმომადგენელი – სოლომონ დოდაშვილი (ცოლ-შვილით) და სოლომონ რაზმაძე, რომელთაც მწარე ბედმა არგუნა სამშობლოდან შორს, ნათესავებსა და ნაცნობ-მეგობრებს მოშორებულთ დაელიათ მრავალტანჯული სული.

თბილისიდან გასული იმავე წლის 17 ივლისს ჩავიდნენ ქ. პენზაში. სადაც სამუდამოდ გამოეთხოვენ ერთმანეთს, სოლ. რაზმაძე პენზაში დატოვეს, ხოლო სოლ. დოდაშვილი კი 21 ივლისს ვიატკისაკენ გაამგზავრეს.

\*

\*

\*

XIX საუკუნის პირველ ნახევარში პენზა წარმოადგენდა მსხვილ საგუბერნიო ცენტრს, რომელზედაც გადიოდა სარატოვიდან ტამბოვისა და მოსკოვისაკენ მიმავალი სავაჭრო გზა. ეს გარემოება დიდ როლს ასრულებდა ქალაქში ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარების საქმეში. ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარება ხელს უწყობდა ქალაქის კულტურული დონის ამაღლებას და ამ მხრივ პენზა იმდროინდელი რუსეთის ბევრ საგუბერნიო ქალაქზე მაღლა იდგა.

განაჩენის თანახმად, სოლომონს შესაძლებლობა ეძლეოდა სამსახური დაეწყო გუბერნიის სამოქალაქო უწყებაში დაბალ მოხელედ საერთო უფლებებით, ამასთან, პოლიციას დაევალა მასზე ფხიზელი მეთვალყურეობა. დაახლოებით ჩასვლიდან ერთი თვის შემდეგ რაზმაძე განაწესეს პენზის გუბერნიის მმართველობაში სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარიის საქმეთა გადამწერად (“კოპიისტად”).

პენზაში სოლომონი დაქორწინდა და 1845 წ. შეეძინა ვაჟი – ალექსანდრე, შემდეგში ცნობილი მუსიკოსი, მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი, ავტორი რუსული მუსიკის ისტორიისა, მოპასუნის ერთ-ერთი მთარგმნელი.

1842 წლის ბოლოს სოლომონმა საგუბერნიო მმართველობისაგან მიიღო პასპორტი, რაც უკვე მას საშუალებას აძლევდა რუსეთის იმპერიაში, სადაც სურდა იქ გადასულიყო საცხოვრებლად და სამუშაოდ ( გარდა საქართველოსა და რუსეთის ორივე დედაქალაქისა), მაგრამ იგი პენზაშივე დარჩა.

1837 წ. ქ. პენზაში დაარსდა გუბერნიის საჯარო ბიბლიოთეკა – სამკითხველო, რომლის ბიბლიოთეკარად რვა წლის მანძილზე (1845 –1853) იყო სოლომონ რაზმაძე.

1832 წლამდე პოლიტიკური საქმიანობით გატაცებული სოლომონი მხატვრულ სიტყვას ბრძოლის საშუალებით ხმარობდა და თვითეული მისი თხზულება, ორიგინალური თუ თარგმნილი, პროტესტის და წინააღმდეგობის სულით არის აღსავსე. ასეთი ხასიათის თხზულებები საქართველოს მაშინდელ პოლიტიკურ მდგომარეობას ეხმაურებოდა. მაგრამ შეთქმულების საქმე ჩაიშალა ფარული საზოგადოების წევრები, იმდროინდელი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, სოლ. რაზმაძის ჩათვლით, რეპრესირებულნი აღმოჩნდნენ. სოლომონ რაზმაძემ მწარედ განიცადა ბედის უკუღმართობა. დაპატიმრება - გადასახლების შემდეგ იგი ღრმა სულიერ დეპრესიას მიეცა.

გადასახლების წლებში პოეტმა შექმნა ღრმა პატრიოტული სევდის გამომხატველი ლირიკული თხზულებები, რომლებშიც მწარე ჩივილი ისმის, გადასახლებული პოეტი მტკივნეულად განიცდის სამშობლოს, მეგობრებისა და ნაცნობ-მოკეთეების სამუდამოდ დაშორებას. მწუხარებისა და სევდის გამოსახატავად პოეტი მისთვის ჩვეულ ხერხს –ალეგორიას მიმართავს. იგი თავის არც ისე შორეულ წარსულს ღრმად უფიქრდება და პოლიტიკური ბრძოლის განვლილ დღეებს იგონებს. საყვარელი დედის მოშორებით აღძრული მწველი განცდა, მამულის სიყვარულით გამოწვეული სულიერი ტანჯვა და მწუხარებაა გამოხატული სოლომონ რაზმაძის მიერ 1835 წლის აპრილში პენზაში დაწერილ ლექსში “ მამულს”. პოეტს სანანებლად გაუხდია დიდი ხნის დაშორების შემდეგ სამშობლოს ხილვით გამოწვეული წამიერი ნეტარება. უღრმესი სევდით დამძიმებული პოეტი მწუხარედ გოდებს:

ნეტამც, მამულო, არ მომდებოდა  
შენის ხილვისა სურვილის ალი,

ურვის სახმილში არ დადნებოდა  
ეს ჩემი გული, მომაკლდა ძალი.

პენზაშივე დაწერილ ლექსში " სოფელს" (1841 წლის 22 აპრილი)პოეტი გადმოგვცემს საწუთროსადმი მიმართულ მწუხარებას და მდურვას. სოფელი თავისთავად მშვენიერია თავისი მაცოცხლებელი წყაროებით, ხავერდოვანი ბორცვებითა და ნაყოფიერი მთა-ველებით, მშვენიერია ფერადი ყვავილნარებითა და ნათელი მზის სხივებით, მაგრამ ეს მშვენიერება ვერ ათბობს და ვერ ახარებს პოეტის " ბედისაგან მოკლულ გულს", როგორც " საფლავში მკუდარსა მდებარეს". პოეტს მისთვის " უცხო ადგილი ცივი" სამარედ ჰქცევია და იქ იგი "ლასლასებს აჩრდილის დარად". სამშობლო და დედა – აი, ის ორი საოცნებო, სანუკვარი რამ, რომელთა დაშორებამ გამოიწვია პოეტის ეს უსაზომო სევდა ნაღველი, ამიტომაა, რომ იგი მოთქვამს:

რას ვაქნევ სოფლის მშვენიერებას?  
ან სიცოცხლისა ბედნიერებას!  
თუ ვეღარ ვნახავ გულის სინათლეს,  
ძვირფასის დედის ანგელოს სახეს!

პოეტს მომავლის ყოველგვარი იმედი და რწმენა დაჰკარგვია, ცხოვრება მისთვის ამაოებად ქცეულა და სასომიხდილი ელოდება სიკვდილს, რომელიც მისთვის უკანასკნელი ხსნაა.

ეროვნული ტკივილი არ ასვენებს გულმოკლულ პოეტს. საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური მდგომარეობით, აწმყოთი სასომიხდილი პოეტი სევდიანად გასცქერის დიდებულ წარსულს და რომანტიკული აღტაცებით უმღერის გმირი მეფის – ერეკლე II –ის აღმზრდელ ქვეყანას.

პოლიტიკური ბრძოლის დამარცხების შედეგების, ამ ბრძოლის სავალალო დასასრულის მხატვრულ განზოგადებას იძლევა სოლ. რაზმაძე გადასახლების პირველ წლებში დაწერილ ლექსებში: " ელბურსი" და " იდინე წვიმავ". ამ ლექსებში პოეტი რომანტიკული პოეზიისათვის ნიშანდობლივს, მისთვის ჩვეულ ხერხს – ალეგორიას მიმართავს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლექსი " ელბურსი" (1835 წლის 10 თებერვლით დათარიღებული, რომელსაც თან ახლავს " განმარტება")<sup>[1]</sup>.

წეროების გუნდს " დასავლეთიდან მომფრინველთა" წინ დაუხვდა იალბუზის მაღალი მწვერვალი და გზა გადაუღობა მათ. სუსტმა ფრინველმა ფრთები შეაღწეწეს მის კალთებს და მიწას

დაენარცხნენ. მაგრამ, აი, გამოჩნდნენ " მხენი, ძლიერი არწივები და შეძლეს მისი გადალახვა".

თავისუფლებისათვის ბრძოლას და ამ ბრძოლის ტრაგიკულ დასასრულს პოეტი კვლავ ალეგორიულად გამოხატავს ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში " იდინე წვიმავ", აღფრთოვანებული პოეტი მიმართავს წვიმას:

იდინე წვიმავ, იდინე ღვარად,  
ასიამოვნე მღელვარე ყანა,  
მან უშრიალოს შვებისა ნანა,  
პაპანებაში მაშვრალსა მარად.

მაგრამ კვლავ გამოჩნდა " ბინდი გამწარებული", რომელიც " ქვეყანას ჰლუპავს სიბნელეშია". წამით გამოჩნდა პოეტის მასაზრდოებელი და სიცოცხლის ეშხის მომმატებელი იმედი - "დრუბელი ნათელიანი", რომელშიაც ჩანს, " თეთრი ჰუნენით" შებმული " ეტლი მცხინვარე", აქ ზის " გაზაფხულის მზეზე", ძვირფასი მნათობი და მისი დანახვით განიცადა " მანანა წყნარი, პირად ნარნარი", მაგრამ ნეტარება დიდხანს არ გაგრძელდა და " განშორდა ელვისა დარად", " რითაც მას კაემნის ცეცხლში დაენტქა სული", პოეტი კვლავ სთხოვს წვიმას, რომ " ღვარად იდინოს" და " განუნელოს გული, გონება აღმოდებული".

მსგავსად ანაკრეონტელი პოეტებისა, ზოგჯერ სოლ. რაზმაძე ცდილობს სამშობლოს დაკარგვით გამოწვეული უნაპირო სევდანადველი გაიქარვოს ღვინოსა და მუსიკაში. ლექსში " დიანას მეჯლიშის" მოტივის ვარიაციას წარმოადგენს.

მუსიკისადმი აშკარა სიყვარული გამოხატა სოლომონ რაზმაძემ 1835 წლის 19 ნოემბერს პენზაში მცხოვრებ თოთხმეტი წლის მეჭიანურე ჟერომ გულემის ალბომში ჩაწერილ ოთხსტრიქონიან ლექსში.

დროთა ვითარებაში პოეტი თანდათან შეურიგდა ხვედრს, მას ახალი ინტერესები უჩნდება, მის შემოქმედებაში ახალი მომენტებია შესამჩნევი. ეს ახალი განწყობილება მკვეთრად მჟღავნდება სატრფიალო ლექსების იმ ციკლში, რომელიც სოლომონს პენზაში დაუწერია და არსებითად სევდის გაქარვებისა და სიამის განწყობილებას გამოხატავს.

სოლომონ რაზმაძისათვის სიყვარული უდიდესი ძალაა, რომლის წინაშეც ქედს იდრეკს სუსტი ძლიერი, დიდი და პატარა. სიყვარულის ცხოველმყოფელი სიმხურვალე ყოველგვარ ყინულს ადნობს და ჭაბუკის გულს მგზნებარე კოცონის ალში ხვევს.

სატრფოს, ქალის სახოტბოდ ნათქვამ სწორედ შვებისა და ნეტარების გამომხატველ ლექსებში სოლომონ რაზმაძე ხშირად იშველიებს რომაულ-ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟებს, მაგალითად, აი, როგორ მიმართავს პოეტი ტრფობის საგანს:

შენში მზეობენ, შენ გამშვენებენ  
სილამაზეი თვით დიაფასი,  
სინარნარეი პროზერპინასი,  
კანის სინაზე, ჰაეროვნება,  
სირინოზის ხმა გულის მიმღები,  
მისი სმენითა მარადის ვსდნები,  
მინერვას სიბრძნე, ღმობიერება,  
ნიმფთა დასიცა შენ გტრფიალებენ.

პოეტს აქცენტი გადააქვს სიყვარულისაგან მოგვირულ სიამეზე. საყვარელი სახის შეხედვა პოეტის გულს სიამეს მატებს, მიჯნურთან სიახლოვე ყოველგვარ სევდას ანელებს, კაემნიან ბურუსს არღვევს და იმედით ასულდგმულებს მას.

მომენიავა სიო ცხოველი,  
მან განმიოტა ურვა ყოველი,  
მაპკურა გულსა სიამის ნამი  
და გადამბანა კაემნის ლამი.

სატრფიალო ლექსებში სოლ. რაზმაძეს თანდათან კონკრეტულობა შექვს და მის ლექსებში ჩნდება საყვარელი ქალის სახელი.

პოეტს ჰყავს მომავლის დიდი იმედი – შვილი. ჩვილ ყრმაში იგი ხედავს “ მშობელთ გულის სიხარულს”, სასოებასა და ნუგეშს. იგი უღრმესი სინაზითა და სიფაქიზით უმღერის მას.

აღსანიშნავია, რომ სოლომონ რაზმაძემ, რომელიც დიდხანს იყო მოშორებული სამშობლო მიწა-წყალს და აღიზარდა ძველი მწიგნობრების შემოქმედებაზე, რომლის პოეზიასა და, საერთოდ, მხატვრულ ნაწარმოებებში აშკარად შეინიშნება არქაული სიტყვები და გამოთქმები, ენის ძველი გრამატიკული ფორმები, მაინც განიცადა ცოცხალი, ხალხური ენის ერთგვარი გავლენა. ზემოთქმულის დასადასტურებლად მარტო ლექსი “ მამულს” კმარა. ამ მხრივ ინტერესმოკლებული როდია აგრეთვე სოლომონ რაზმაძის ლექსი “ შენა გფერობს”, რომელიც დაწერილია ხალხურ კილოზე და თავისუფალია ყოველგვარი არქაიზმისაგან.

სამწუხაროდ, სოლ. რაზმაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის უმეტესი ნაწილი დაკარგულია. პირველი პერიოდის ლექსები, საფიქრებელია, რომ სიფრთხილის გამო თვითონვე მოსპო, რაც შეეხება გადასახლებაში დაწერილ ლექსებს და პოეტის სხვა ლიტერატურულ მასალას,- დაიკარგა მისი შვილის ალექსანდრე რაზმაძის არქივთან ერთად.

სოლ. რაზმაძე გარდაიცვალა 1860 წლის 18 მარტს პენზაში, დაკრძალულია იქვე.

---

<sup>[4]</sup> ამ "განმარტებას" პირველად ყურადღება მიაქცია პროფ. ს. ხუნდაძემ ( იხ. ს.ხუნდაძე, ნარკვევები, გვ. 72 –73).

### **მიხეილ თუმანიშვილი (1818 — 1875)**

მიხეილ თუმანიშვილის სახელი XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართული რომანტიზმის ისტორიასთანაა დაკავშირებული, ხოლო ამავე საუკუნის მეორე ნახევრიდან იგი რეალისტური ხელოვნების პრინციპების დამცველად გვევლინება და ერთი პირველთაგანია იმ მცირერიცხოვან მწერალთა შორის, რომლებიც გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან ხელს უწყობს ქართული კროტიკისა და პუბლიცისტიკის განვითარებას.

იმ გვარმა, რომელსაც პოეტი ეკუთვნოდა, ძველიდანვე გამოიჩინა თავი მწერლობაში, ხოლო, ოფიციალური მდგომარეობის მიხედვით, მის წარმომადგენლებს რამდენიმე საუკუნის განმავლობაში (დაახლოებით, მე-15 საუკუნიდან) საქართველოს სამეფო კარის მდივნის თანამდებობა ეჭირათ. ამ თანამდებობას ასრულებდა რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე მიხეილის მამა თავადი ბირთველ თუმანიშვილიც, ხოლო შეერთების შემდეგ, 1802 წელს, იგი დაინიშნა დუშეთის მაზრის თანამსაჯულად; რამდენიმე წლის განმავლობაში ბირთველი ქალაქის უფროსადაც იყო გორში; ბოლოს კი მან თავი დაანება სამსახურს და ხელი მოჰკიდა მეურნეობას.

დედა მიხეილისა, ანა, სომხეთის მელიქის ათანასე მირიმანოვის ასული, თავის დროისათვის განათლებული ქალი ყოფილა და, უმთავრესად, იგი ხელმძღვანელობდა შვილების აღზრდას.

თუმანიშვილის ოჯახში კიდევ ცოცხლობდა ლიტერატურული ტრადიციები: საკმარისია აღვნიშნოთ, რომ თვით ბირთველს საკუთარი ხელით გადაუწერია "ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთი ნუსხა და ზოგიერთი სხვა ძეგლიც, ხოლო მისი უფროსი შვილი ავთანდილი ავტორია ლირიკული ლექსებისა, სატირული ხასიათის რამდენიმე

დიალოგისა და, რაც მთავარია, მას ეკუთვნის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ნარკვევი — „საქართველოს ქალაქის გორის ისტორია“, პეტერბურგში გამოცემული რუსულ ენაზე 1816 წ.

მიხეილ თუმანიშვილი დაიბადა 1818 წლის 19 მაისს. ბავშვობა მან მამაპაპეულ საფელ ხელთუბანში გაატარა. მალე ბირთველის ოჯახი ქალაქში გადმოვიდა საცხოვრებლად და პატარა მიხეილიც 1831 წ. თბილისის გიმნაზიაში შეიყვანეს.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის გიმნაზიაში უხემად მიმდინარეობდა ადგილობრივ მკვიდრთა გარუსების პოლიტიკა, ხოლო სასწავლო პროცესი მკაცრად იყო მოქცეული ოფიციალური პროგრამის ფარგლებში, გიმნაზიელთა ერთი ჯგუფი, პროგრესულად მოაზროვნე მასწავლებლის — სოლ. დოდაშვილის, დემენტევისა და სხვათა ზეგავლენით, ეცნობოდა თავისი დროის მოწინავე პოლიტიკურსა და ლიტერატურულ იდეებს. ამ ჯგუფში მ. თუმანიშვილი თვალსაჩინო როლს ასრულებდა. საკმარისია ითქვას, რომ პირველი ლიტერატურული ალმანახი, ე.წ. „ანთოლოგია“, რომელიც გიმნაზიელებს შეუდგენიათ (დაახლოებით 1833 წ.), გადაწერილია მიხ. თუმანიშვილის მიერ. ასევე, მიხ. თუმანიშვილის ინიციატივით გამოსცეს გიმნაზიელებმა ხელნაწერი ჟურნალი რუსულ ენაზე — „თბილისის გიმნაზიის ყვავილი“ («Цветок Тифлисской гимназии», 1835 — 1836 წწ.).

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც „ანთოლოგიაში“, ისე „ყვავილში“ მოთავსებულია 1832 წლის შეთქმულების მონაწილე მწერალთა ნაწარმოებები (გრ. ორბელიანის, ალ. ორბელიანის, გ. ერისთავის, სოლ. დოდაშვილის და სხვათა). ამ თხზულებათა უმეტესობა აშკარა პოლიტიკურ ტენდენციას შეიცავს, რაც ნათლად მიუთითებს გიმნაზიელთა, მათ შორის მ. თუმანიშვილის, სულიერ განწყობილებაზე.

ლიტერატურული წრის წევრთაგან (ესენი იყვნენ: ლ. მელიქიშვილი, მ. ჭყონია, ი. ანდრონიკაშვილი, მ. ბებუთაშვილი, გ. ვარლამოვი, ე. ვილემსი და სხვ.) მ. თუმანიშვილს ყველაზე ახლო კავშირი ნიკოლოზ ბარათაშვილთან ჰქონდა. ჩანს, რომ ეს ურთიერთობა სკოლის ამხანაგთა უბრალო დამეგობრებას სცილდებოდა და ინტელექტუალური ინტერესების სფეროში გადადიოდა.

1836 წ. მ. თუმანიშვილმა დაამთავრა გიმნაზია და 1837 წლის იანვრიდან მუშაობა დაიწყო ე. წ. „საქართველოს სახაზინო ექსპედიციაში“ (შემდგომ — „სახაზინო პალატა“), ხოლო ერთი წლის შემდეგ იგი გადაიყვანეს „ამიერკავკასიის მხარის მმართველობის დებულების პროექტის შემდგენელ კომისიაში“.

სამსახურის დაწყების პირველ ხანებში მ. თუმანიშვილი, როგორც ჩანს, დროს პოულობდა პოეტური შემოქმედებისათვის და წინანდელ ურთიერთობას არ წყვეტდა ძველ მეგობრებთან. ამავე დროს მეგობართა წრეც გაფართოვდა: მ. თუმანიშვილი დაუახლოვდა კავკასიაში გადმოსახლებულ პოლონელს ფადეი ლადა-ზაბლოცკის, მთავრობისადმი ოპოზიციურად განწყობილ ნიჭიერ ახალგაზრდას. ზაბლოცკიმ პოლონურად თარგმნა მ. თუმანიშვილის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი "ფიალა" და, როგორც მთარგმნელი აღნიშნავს, "თითქოს საკმაოდ მარჯვედ" (ეს თარგმანი შემდეგ დაიბეჭდა ლადა-ზაბლოცკის თხზულებათა ლაიფციგის გამოცემაში). თვით მ. თუმანიშვილი ზაბლოცკის აწვდიდა მასალებს "ქართული ლიტერატურის მოკლე ნარკვევის" დასაწერად პოლონურ ენაზე.

მაგრამ გადის წლები და მ. თუმანიშვილი დროებით სცილდება ლიტერატურას, რადგან სახელმწიფო სამსახური მას თანდათან ბოჭავს; ამას ემატება დაოჯახებაც. მ. თუმანიშვილი მალე მრავალრიცხოვანი ოჯახის მამა გახდა. მის თორმეტ შვილთაგან ორნი — გიორგი და ანასტასია — ქართულ მწერლობაში საკმაოდ ცნობილი პირები არიან.

მ. თუმანიშვილი მალე დაწინაურდა სახელმწიფო სამსახურში. 1858 წლის დეკემბრიდან იგი ხელმძღვანელია კავკასიისა და ამიერკავკასიის მხარის სამოქალაქო მოწყობის საქმეთა განყოფილებისა და ამზადებს მასალებს საგლეხო რეფორმისათვის კავკასიაში. შემდეგ მ. თუმანიშვილი ინიშნება "მემამულეთა გლეხების მომწყობი ამიერკავკასიის კომიტეტის" საქმეთა მმართველად. მართებულად აღნიშნავს პროფ. ალ. ხახანაშვილი, რომ მან "თავის მხრებზე გადაიტანა კავკასიაში საგლეხო რეფორმის შემოღებისათვის საჭირო შავი სამუშაოს მნიშვნელოვანი წილი"<sup>[1]</sup>.

მართალია, მ. თუმანიშვილი თანაგრძნობით შეხვდა საგლეხო რეფორმას და გლეხთა განთავისუფლება გარდაუვალ მოვლენად მიიჩნია, მაგრამ მისი პოზიცია ამ შემთხვევაში მხოლოდ ლიბერალურად განწყობილი თავადაზნაურობის თვალსაზრისს გამოხატავდა.

1864 წლიდან მ. თუმანიშვილი ინიშნება გლეხთა მოწყობის საქმეთა კანცელარიის დირექტორად და "გლეხთა მოწყობის კომიტეტის" საქმეთა გამგედ. 1874 წ. მას ნიშნავენ მეფისნაცვლის მთავარი სამმართველო საბჭოს წევრად.

მ. თუმანიშვილი მონაწილეობას იღებს მრავალ საზოგადოებრივ წამოწყებაში: იგი იყო ქართული თეატრისა და ჟურნალის აღორძინების ერთ-ერთი ინიციატორი, მონაწილეობდა თბილისის პირველი კერძო ბიბლიოთეკის დაარსებაში, ითვლებოდა კომიტეტის



წევრად, რომელსაც უნდა შეედგინა სათავადაზნაურო ბანკის წესდება და პროექტი და სხვ.

მ. თუმანიშვილი გარდაიცვალა 1875 წლის 2 თებერვალს<sup>[2]</sup>.

\* \* \*

მწერლობისადმი სიყვარულმა მ. თუმანიშვილში ადრე გაიღვიძა. ჯერ კიდევ 14 — 15 წლის ყმაწვილი, იგი თავს უყრის ლიტერატურულ ძალებს გიმნაზიაში და, რომლის დიდი ნაწილი თვით მ. თუმანიშვილის ორიგინალურსა და თარგმნილ ლექსებს უჭირავს. "ანთოლოგიაში" მოთავსებულია მის მიერ კრილოვიდან თარგმნილი "ფოთოლნი და ფესვნი", "სირი და ჭვინტა", "ზაყაყნი, მთხოვნელნი მეფისა", ნაწყვეტი პუშკინის პოემიდან "კავკასიის ტყვე", ხოლო ორიგინალური ლექსებიდან — იდილია "მირტილი" და "კახეთს"<sup>[3]</sup>.

მ. თუმანიშვილის ეს ლექსები ჯერ კიდევ მოუმწიფებელ შემოქმედს ამჟღავნებენ და მოწმობენ, რომ მათი ავტორი საკუთარი პოეტური ხმის ძიებაშია.

ამ პერიოდში მ. თუმანიშვილი წერდა რუსულ ენაზეც. მისი რუსული ლექსები, გრაფ გორსკის ხელმოწერით, მოთავსებულია "თბილისის გიმნაზიის ყვავილში". ასეთებია: "პოეტი და ზემთაგონება", "ელეგია", "განმარტოება", "კავკასია", "მეგობარს", "მოგონება" და სხვ.<sup>[4]</sup> ეს ლექსები მოდური ლიტერატურის გავლენის კვალს ამჟღავნებენ; ჭაბუკი ავტორი ცხოვრებაზე გულგატეხილი და პესიმიზმით შეპყრობილი ადამიანის პოზაში წარმოგვიდგება.

როდესაც ამგვარად წერს 17 — 18 წლის ახალგაზრდა და თანაც დაკარგულ ბედნიერებასა და სიჭაბუკის დღეებს დაჟინებით მისტირის, ცხადია, ყოველივე ეს დამაჯერებლად არ ჟღერს და ღრმად განცდილის შთაბეჭდილებას არ ტოვებს. არ ჩანს, რომ ეს იყო დიდი მედიტაციის საფუძველზე წარმოქმნილი ტკივილები. ამ შემთხვევაში პოეტი უფრო თავისი დროის გავრცელებულ განწყობილებებს გამოხატავს.

მ. თუმანიშვილის ამდროინდელ ლექსებში აშკარად იგრძნობა ა. პუშკინის გავლენა როგორც თემატიკის, ისე ფორმის მხრივ. პუშკინის სტანსებს («Брожу ли я в доли улиц шумных») ეხმაურება მ. თუმანიშვილის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი რუსულ ენაზე — "ელეგია"; პუშკინის "კავკასიის" მიბადვითაა გაცოცხლებული კავკაიონის ზვიადი ბუნება მ. თუმანიშვილის ანალოგიური სახელწოდების ლექსში.

ეს ინტერესი პუშკინისადმი შემდეგაც ვლინდება; 1837 — 38 წლებში (ესაა მ. თუმანიშვილის პოეტური სიმწიფის პერიოდი) კვლავ

თავს იჩენს პუშკინის პოეზიის მოტივები და შემთხვევითი არაა, რომ როგორც მთარგმნელი, მ. თუმანიშვილი მხოლოდ პუშკინისადმი ამჟღავნებს საგანგებო ინტერესს. ამ ხენებში მან თარგმნა პუშკინის "კ-სადმი" («Я помню чудное мгновенье»), "ადელს", გადმოაკეთა "ღამე" («Зимний вечер»), "მაჰმადი" («Пророк»), "მუჯასამი" («Черная шаль») და სხვ. მაგრამ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მ. თუმანიშვილს სრულად უთარგმნია "ზაღრისარაის შადრევანი", ხოლო უფრო მოგვიანებით დაუწყო "ქვის სტუმრის" თარგმნაც ("ღამის სტუმარი"), თუმცა ვეღარ დაუსრულებია.

მ. თუმანიშვილი ერთ-ერთი პირველი მთარგმნელია პუშკინისა, მისი საკმაოდ მელოდიური თარგმანები უმეტეს შემთხვევებში გადმოსცემენ დედნის საერთო განწყობილებას.

მ. თუმანიშვილის ორიგინალური ლექსები მრავალრიცხოვანი არაა. უმეტესი მათგანი გამოიცა 1881 წ. მწერლის შვილის — გიორგი თუმანიშვილის ინიციატივით.

ამ ლექსთაგან რამდენიმე იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას, ასეთებია: "უდაბნო", "სალამური", "ჩონგური", "ტირიფი", "ელეგია", "როდის იქნება..." და სხვ.

პოეტის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში "უდაბნო" (რომელიც, ავტორისავე შენიშვნით, ბაირონის მიბაძვას წარმოადგენს) პესიმისტური განწყობილებანი ვლინდება. მ. თუმანიშვილი თავის თავს უდაბნოში განმარტოებით მდგარ, "ციურის ცეცხლით გულჩამომწვარ", რტოებდამჭკნარ ხეს ადარებს:

ეს არს, მოყვასნო, გლახ ჩემი ბედი!  
მეც ეგრეთ ვიქმენ დღეგანამწარი:  
ვერღა მეახლოს ტკბილი იმედი,  
ვეღარ აღყვავდეს მით გული მჭკნარი!<sup>[5]</sup>

ასეთივე პესიმისმითაა აღბეჭდილი მ. თუმანიშვილის ზოგიერთი სხვა ლექსიც, რომლებშიც ავტორი ცხოვრების წარმავლობასა და ამაოებაზე ლაპარაკობს.

პოეტის ასეთ უიმედო განწყობილებას კიდევ უფრო აძლიერებდა იმის შეგნება, რომ "განვლილთა დღეთ და სიტკბოებათ" მოგონებას აღარ შეეძლო დაკარგული ბედნიერების დაბრუნება:

თვალთ დაბინდებულთ ვერღა იხილონ  
გაზაფხულისა დღენი მაშვენნი;  
მოგონებათა ვერ აღადგინონ  
სიჭაბუკისა მხიარულ წელნი.<sup>[6]</sup>  
("ჩონგური")

არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს იმ გარემოებას, რომ მ. თუმანიშვილის პოეზიაში ხანდახან იმედიანი განწყობილებაც იჩენს თავს. ერთ უსათაურო ლექსში, რომელიც უდავოდ ა. პუშკინის ლექსის ("კერნისადმი") მიბაძვას წარმოადგენს, პოეტი "ნუგეშცემული" და დამშვიდებული ადამიანის სახით წარმოგვიდგება:

და დაამშვიდე გრძნებისა ძალით  
სულისა ჩემის აღრეულება  
და ნუგეშცემით და სასოებით  
განსდევნე ფიქრთა შეცთომილება.  
... და აწ უკეთუ ოდესმე ხელნი  
შეეხებიან ჩანგისა ალყას,  
მყის თვალით მომივლენ სიამის ცრემლნი  
და ენა აქებს თავისუფლებას<sup>[7]</sup>.

("ვით

მოგზაური...")

ანალოგიური განწყობილებით ხასიათდება აგრეთვე ლექსი "იქნება ჯერეთ..."

მაგრამ მ. თუმანიშვილის პოეზიის საერთო ტონს მაინც პესიმისტური განწყობილებანი ქმნიან. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი ერთ-ერთი უკანასკნელი ლექსი — "სალამური", რომელიც პოეტის გაცრუებული იმედების რექვიემს წარმოადგენს.

იგონებს რა წარსულ დროს, როდესაც სალამური "არაკრაკებდა სიხარულით და ხმანი მისი განიბნევიდნენ ყრუსა არეს მოუთმენელად", გულგატეხილი პოეტი გამომწვევად მიმართავს "მაცთურ ამაოებას":

იყო დრო... მაგრამ, ჰე, მაცდურო ამაოებავ,  
რად დამინელე ოქროვანი ხატი ოცნების?!  
რად დამდე ჯაჭვი დამონების?! რად მიმიზიდავ  
აღელვებაში ამა სოფლის დაუდგრომელის,  
სადაც გრილდება მგოსანისა მხურვალე გული,  
სადაც ჰსჭკნებიან უწმინდესნი სულის გრძნობანი,  
სად სალამური მექმნა ჟღერით დაყრუებული  
და უპასუხოდ განიფანტნენ ტკბილნი შტკვენანი<sup>[8]</sup>.

ცხადია, პოეტის ზემოაღნიშნული განწყობილებანი, საერთოდ, ახალი არ იყო ქართული რომანტიზმისათვის. ჩვენი რომანტიკოსების უფროსმა თაობამ, ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის სახით, ყოველივე ეს უფრო ადრე გამოხატა. მაგრამ ამჟამად ჩვენთვის

განსაკუთრებით საინტერესოა აღინიშნოს, რომ ლექსი "სალამური" როგორც მოტივის, ისე განწყობილების და, განსაკუთრებით, მიმართვის ფორმის მხრივ დიდად ემსგავსება ნ. ბარათაშვილის "სულო ბოროტოს".

ეს მსგავსება შეამჩნია ჯერ კიდევ მ. თუმანიშვილის ლექსთა კრებულის პირველმა რეცენზენტმა ი. მაჩაბელმა. მაგრამ მანვე შენიშნა, რომ ამ შემთხვევაში ნ. ბარათაშვილის გავლენასთან არა გვაქვს საქმე, რამდენადაც მ. თუმანიშვილის ეს ლექსები, და მათ შორის "სალამურიც", დაწერილია 1837 — 1838 წლებში.

მ. თუმანიშვილის დანარჩენ ნაწარმოებებშიც ("ტირიფი", "როდის იქნება..." და სხვ.) რომანტიკული განწყობილებანი იჩენს თავს. სევდაშემოწოლილი პოეტი ხშირად თავდავიწყებას ცდილობს და ე. წ. ანაკრეონტულ მოტივებს მიმართავს ("ღამე", "ფიალა"); ზოგჯერ პოეტი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ "ანუგემებს ბედსა კაცობრივს ბნელსა და მწირსა" ("როდის იქნება...").

როგორც ვხედავთ, თავისი განწყობილებებით მ. თუმანიშვილი გარკვეულად უახლოვდება ჩვენს დიდ რომანტიკოსებს. ეს კი გამოწვეულია იმით, რომ საქმე გვაქვს ერთი და იმავე ეპოქის და სკოლის პოეტებან, რომელთა მსგავსი განწყობანი და ლიტერატურული ტენდენციები ერთსა და იმავე სოციალურ ნიადაგზე იყო აღმოცენებული.

მიუხედავად ასეთი მსგავსებისა, მ. თუმანიშვილის პოეზიის თემატიკა, საერთოდ, რა თქმა უნდა, განუზომლად შეზღუდულია. მწერლის პოეტიკური ხედვა მხოლოდ, საკუთარი ემოციური სამყაროსაკენაა მიმართული და გარეშე საგნები და მოვლენები მას ნაკლებად აინტერესებს. მ. თუმანიშვილმა ვერ შეძლო ჩაწვდომოდა და პოეზიის ენაზე გადმოეცა ის დიდი პრობლემები, რომლებიც აღელვებდა მის გენიოს მეგობარს ნ. ბარათაშვილს.

მ. თუმანიშვილის ლექსების ნაზი და ნაღვლიანი ტონიც საკმაოდ განსზვავდება არა მარტო ნ. ბარათაშვილის, არამედ, საერთოდ მეგრძოლი რომანტიკოსების ვაჟკაცური და შემმართებელი ტონისაგან.

ამ ლექსებში აშკარად შეიმჩნევა ტენდენცია, რომ საგნები და მოვლენები პოეტის უიმედო განწყობილების მიხედვით იქნეს შერჩეული. ამ მხრივ დამახასიათებელია "გულჩამომწვარი" ხე, "ქდერით დაყრუებული" სალამური, "დაცლილი ფიალა" და სხვ. როგორც ორიგინალური, ისე გადმოკეთებული და თარგმნილი ლექსების სათაურების შერჩევაც შეესაბამება ამ ტენდენციას (მაგალითად: "უდაბნო", "ღამე", "ელეგია" და სხვ.).

მ. თუმანიშვილი, როგორც ლექსის ოსტატი, განსაკუთრებით არ გამოირჩევა, თუმცა მკითხველის ყურადღებას მაინც იქცევს ზოგჯერ

მოხდენილი პოეტური გააზრება, ლექსის მელოდიურობა, უმეტეს შემთხვევაში სრული რითმა. მაგრამ, ბუნებრივია, იგი იჩრდილება დიდი თანამედროვეების — ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის გვერდით და მისი პოეზია, როგორც ეპოქის გარკვეული ტენდენციების გამომხატველი, ამჟამად მხოლოდ ლიტერატურის ისტორიის კუთვნილებასა და წარმოადგენს.

\* \* \*

მ. თუმანიშვილის მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები. უნდა ითქვას, რომ ლიტერატურის, ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებისადმი ინტერესს მ. თუმანიშვილი ჯერ კიდევ გიმნაზიის წლებში იჩენდა: "გიმნაზიის ყვავილში" მოთავსებულია წერილი — "დღესასწაული თელეთობა", კომპილაციური ხასიათის სტატიები: "შეხედულება ძველი სამყაროს მოვლენებზე", "ზოგადი წარმოდგენა შუა საუკუნეების მდგომარეობაზე"; "ყვავილშივეა" მოთავსებული მ. თუმანიშვილის მიერ თარგმნილი სოლ. დოდაშვილის ნარკვევები: "მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა" და "მეფობა ირაკლის მეორისა" (რომლებიც დაბეჭდილი იყო ჟურნალში "სალიტერატურონი ნაწილნი...", 1832, № 1, 2, 3) და სხვ.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ მხრივ მ. თუმანიშვილმა დაგვიტოვა, უმთავრესად შექმნილია გასული საუკუნის 50 — 60-იან წლებში, ე. ი. იმ დროს, როდესაც იწყება კრიტიკული აზრის გამოცოცხლება და მწერლობაში რეალისტური ტენდენციები მკვიდრდება. მ. თუმანიშვილი, რომელიც 40-იანი წლებიდან თანდათან ჩამოშორდა ლიტერატურას, კვლავ ჰკიდებს კალამს ხელს. შორს იყო უკვე ის დრო, როდესაც ჭაბუკს რომანტიკული მისწრაფებები აწვალებდნენ. მ. თუმანიშვილი სწრაფად ერკვევა გართულებულ სოციალურ ურთიერთობაში, ხვდება, რა სახეს იღებს საზოგადოებრივი ყოფა, რა მოთხოვნები უყენებს ეს უკანასკნელი მწერლობას და, სავსებით შეგნებულად იგი რეალისტური ხელოვნების მხარეზე დგაბა. თავის კრიტიკულ-პუბლიცისტურ სტატიებში მ. თუმანიშვილი ლიბერალურად განწყობილი თავადაზნაურობის თვალსაზრისზე მდგომ პროგრესულად მოაზროვნე მწერლად გვევლინება.

უნდა აღინიშნოს, რომ მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან ქართული სალიტერატურო კრიტიკა გარკვეული ლიტერატურული სკოლების ტენდენციების გამომხატველია და, შეიძლება ითქვას, რომ ამ ხანებში, მხატვრული რეალისტური სკოლის დამკვიდრებასთან

ერთად, რეალისტური სალიტერატურო კრიტიკაც ყალიბდება. მართალია, ეს უკანასკნელი ახალი ესთეტიკის პრინციპების ყოველმხრივ დასაბუთებას ჯერჯერობით ვერ ახერხებს, მაგრამ უკვე კატეგორიული განცხადება რეალისტური მწერლობის, რეალისტური მეთოდის საჭიროებასა და უპირატესობაზე ხშირია. მ. თუმანიშვილი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელიც ამ მხრივ მეტად საყურადღებო შენიშვნებს აქვეყნებს.

ჯერ კიდევ 1852 წელს გაზ. "კავკაზში" (№ 41) მან მოათავსა რეცენზია, "მიხაკო და ნინას" სათაურით, რუსი მწერლის მ. ლივენცოვის რომანზე "ქართული იდილია". რეცენზენტი ლიტერატურას სინამდვილის რეალისტური ასახვის თვალსაზრისით აფასებს. იგი წერს: "ჩვენს დროში პოეზია ხომ იქ არის, სადაც ჭეშმარიტებაა; ჩვენს დროში მეოცნებე პოეზიამ ადგილი დაუთმო უბრალოსა, მაგრამ თავისი უბრალოებით მაღალსა და შთაგონებულ არსებითს. ამჟამად ჩვენ გვიტაცებს დიკენსი, გოგოლი, გესნერისადმი ჩვენ რწმენა დავკარგეთ".

ამ დაპირისპირებით დიკენსისა და გოგოლისა გესნერისადმი<sup>91</sup> მ. თუმანიშვილი არსებითად რეალისტურსა და სენტიმენტალისტურ-რომანტიკულ მიმართულებებს უპირისპირებს ურთიერთს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამჟამად მხოლოდ რეალისტური ხელოვნება პასუხობს მკითხველი საზოგადოების მოთხოვნილებასო.

ეხება რა ლივენცოვის ნაწარმოებს, მ. თუმანიშვილი მიუთითებს, რომ ეს "იდილია" პრიმიტიულია; ავტორი არ იცნობს ადგილობრივ ყოფას, ტრადიციას, ზნე-ჩვეულებებს; ყოველივე ამას დამახინჯებულად გადმოგვცემს. ამიტომ, კითხულობს რეცენზენტი: "როტომაა ეს ქართული იდილია?" მწერალი მარტივი დაკვირვების უნარსაც ვერ იჩენს. ლივენცოვი ვერ გვაძლევს ქართველი გლეხის ტიპს; მოთხრობის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, ნინას მამა დიმიტრი, არაფრით არ ჰგავს ჩვენებურ გლეხს: "...მის ვერც ძალზე მდიდრულ ტანსაცმელში, ვერც ხასიათში, ვერც მეტყველების მანერაში თქვენ ვერ იცნობთ ქართველ გლეხს, ხოლო მისი ბინის მოწყობილობაში, რომელიც წარმოადგენს აზიურისა და ევროპულის რაღაც ნარევს, თქვენ ვერ იცნობთ ქართულ სოფლურ სახლს".

შემდეგ რეცენზენტი კიდევ უფრო აზუსტებს თავის მსჯელობას: "თქვენ იცნობთ ქართველ გლეხს, როგორც უბრალო ადამიანს და ბუნებით საკმაოდ ჯიუტს, რომელიც გარკვეულ შემთხვევაშიც კი, როდესაც დოვლათი გააჩნია, თავის თავს ფუფუნების ნებას არასოდეს მისცემს, იმიტომ თქვენ უფდება გაქვთ ყალბად მიიჩნით ფერები, რომლებშიც იდილისტმა გლეხი წარმოგიდგინათ. ხოლო თუ ვინმე დაიწყებს მტკიცებას, რომ არსებობენ, უსათუოდ არსებობენ ასეთი სოფელიც და ასეთი ტიპებიც, მაშინ თქვენ გაბედულად

უპასუხებთ მას, რომ ისინი ან საერთოდ არ არებობენ, ანდა შეიძლება არსებობენ სადმე, მაგრამ გამონაკლისის სახით, და რომ ასეთი სოფელი და ასეთი ტიპები არასოდეს არ მოგვცემენ ნამდვილ წარმოდგენას საერთოდ არც ქართულ სოფლებსა და არც ქართულ ტიპებზე”.

უნდა ითქვას, რომ მ. თუმანიშვილი პირველი კრიტიკოსია ქართულ მწერლობაში, რომელსაც გაცნობიერებული აქვს ტიპიურობის საკითხის მნიშვნელობა და იზიარებს იმ დროისათვის უკვე საკმაოდ გავრცელებულ შეხედულებას ტიპიურის შესახებ. ამიტომაც, რომ იგი ხაზგასმით აღნიშნავს: გამონაკლისი არ შეიძლება იყოს ტიპიური და იგი ვერ მოგვცემს წარმოდგენას საერთოდ ვერც ქართულ სოფელსა და ვერც ქართულ ტიპზეო.

მ. თუმანიშვილი აცხადებს, რომ, ლაპარაკობს რა ლივენცოვის მოთხრობაზე, მას მხედველობაში აქვს აგრეთვე სხვა ნაწარმოებებიც ასეთივე ღირსებისა. კავკასიაზე და კერძოდ საქართველოზე უკვე ბევრი იწერება. ეს მისასალმებელია, რადგან ”ბელეტრისტიკას შეუძლია მოიტანოს დაუფასებელი სარგებლობა. რასაც სამეცნიერო ლიტერატურა ჩვენ გადმოგვცემს მშრალი, თუმცა სწორი ფაქტებით რომელიმე ადგილის, მასზე დასახლებული ხალხის შესახებ, მისი შინაგანი და ისტორიული ცხოვრებით, მას ბელეტრისტიკა გაამშვენებს და მოსავს ცოცხალი ფორმებით”. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი თხზულება, გარდა ახუნდოვის კომედიებისა, არ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, რადგან მათ ავტორებს აკლიათ მთავარი, ”რაც უნდა იყოს ყოველი ნაწარმოების ძირითადი ელემენტი, არ აქვთ მხარის უშუალო, ნამდვილი ცოდნა, მათ ვერ მოახერხეს, თუ არ მოინდომეს, გაეცნოთ იგი, ჩაწვდომოდნენ ღრმად მის შინაგან ცხოვრებას”.

და რეცენზენტი დასძენს, რომ მსგავსი რომანები ხელს უშლიან კავკასიაზე სწორი წარმოდგენის შექმნასო. მ. თუმანიშვილს ესმოდა, რომ კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს ასე ეგზოტიკურად დანახვა აფერხებდა რეალისტური ტენდენციების განვითარებას როგორც რუსულ, ასევე ქართულ მწერლობაში.

ეს თვალსაზრისი, ამ ერთ-ერთ პირველ დაბეჭდილ რეცენზიაში გამოვლენილი, გასდევს მ. თუმანიშვილის ყველა მომდევნო წერილს და ავტორი ბოლომდე რეალისტური ხელოვნების დამცველად რჩება.

\* \* \*

ამავე პერიოდშია უპირატესად დაწერილი მ. თუმანიშვილის სათეატრო წერილები, რომლებშიც იგი გვევლინება პირველი ქართველ თეატრალურ კრიტიკოსად და ერთგვარად ქართული თეატრის მემატაიანის როლსაც კისრულობს.

პირველი წერილი — სათაურით "ქართული თეატრი" — მ. თუმანიშვილმა მოათავსა 1852 წლის "კავკაზის" მე-10 და მე-11 ნომრებში.

მ. თუმანიშვილი ფიქრობს, რომ "სცენიური ხელოვნება არასდროს არ იყო ცნობილი საქართველოში". განათლებას, რომელიც ძველადვე დაეუფლა ამ მხარეს ქრისტიანობასთან ერთად, ყველა სასიცოცხლო ელემენტი არ შემოუტანია და მისი გავლენა უმთავრესად დამწერლობაზე აისახა. ამიტომ გასაგებია, რამდენად მნიშვნელოვანია ადგილობრივი, ქართული თეატრის დაფუძნება.

მ. თუმანიშვილი, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას ამახვილებს ქართული თეატრის რეპერტუარზე და აღნიშნავს, რომ გ. ერისთავმა აქაც გამოიჩინა უნარი, დაწერა პიესები და შემდეგ ამავე ასპარეზისაკენ წააქეზა თავისივე მსახიობები. გაგიგონიათ ოდესმე სახელები ანტონოვისა, ჯაფარიძისა, დვანაძისა, მეიფარიანისა? — კითხულობს რეცენზენტი, — ესენი არიან ჩვენი ლენსკები, კარატიგინები, გრიგორიევი, ჩვენი მსახიობი-მწერლები. უკანასკნელ დროს თითქმის მხოლოდ მათ პიესებს ეყრდნობა ქართული სცენა.

მ. თუმანიშვილის ღრმა რწმენით, "სცენის კაპიტალური საფუძველი" რეპერტუარის გარეშე არ არსებობს. მის ღირსებაზე დიდადაა დამოკიდებული დასის წარმატება, ურთიერთობა თეატრსა და საზოგადოებას შორის.

მაგრამ კრიტიკოსი სვამს კითხვას: საჭიროა თუ არა ადგილობრივ სცენაზე შემოვიტანოთ სიუჟეტები სხვა ხალხის ცხოვრებიდან, მიიღებს თუ არა ქართული სცენა ამ უცხო ზნე-ჩვეულებებს, ინტრიგებს, რომლებიც არაფრით არ ეგუებიან ადგილობრივს? მ. თუმანიშვილი ამ კითხვაზე უარყოფითად პასუხობს: ამ უცხოურის არც შემსრულებლები გამოჩნდებიან და მას ვერც მაყურებელი გაიგებსო. მაყურებელი მხოლოდ მაშინ მოვა მოსასმენად, როდესაც ყოველივე ეს შეფარდებული იქნება ადგილობრივ ზნე-ჩვეულებებთან, მოვლენებთან, იუმორთან. მაგრამ მ. თუმანიშვილი პრინციპულად არც ამ უკანასკნელ მოსაზრებას უჭერს მხარს. იგი, საერთოდ, ილაშქრებს "სესხების" წინააღმდეგ და თვლის, რომ ქართული თეატრის რეპერტუარი ამ გზით ვერ აღორძინდება.

მ. თუმანიშვილი პირველი ქართველი თეატრალური კრიტიკოსია, რომელსაც სავსებით შეგნებული და ჩამოყალიბებული აქვს ქართული ეროვნული დრამატურგიის ხასიათი და მისი მნიშვნელობა.

საინტერესოა მ. თუმანიშვილის მომდევნო მსჯელობაც, რომ კომედიის დამკვიდრებამ ქართულ სცენაზე არ უნდა განდევნოს დრამის სხვა სახეები: "განვსაზღვრეთ რა, რომ ქართული სცენის



დანიშნულება უპირატესად კომიკურია და ამასთანვე დამოუკიდებელი, ამავე დროს არ უნდა შევზღუდოთ იგი დრამატურგიის სხვა სახეებშიც, მაგრამ იმ პირობით, რომ მათთვისაც შინაარსი ვისესხოთ ცხოვრებიდან ამავე მხარისა, რომელიც აღსავსეა ამდენი დრამებით, სახელგანთქმული გადმოცემებით”<sup>[10]</sup>.

ავტორს მიაჩნია, რომ რომელიმე დრამა, აღებული ადგილობრივი ცხოვრებიდან და მხარის მთელი პოეტური კოლორიტით შემოსილი, ამეტყველებული რუსთაველის ძლიერი, მაგრამ ამავე დროს ფაქიზი ენით, ანდა ენით ალ. ჭავჭავაძისა, ნ. ბარათაშვილისა, გრ. ორბელიანისა, იმავე გ. ერისთავისა, გამოიხმობს მწერალთა მთელ თაობას. ამდენად, ქართულ თეატრს კიდევ მეტი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ ხალხის ზნეობის ჩამოყალიბებისათვის, არამედ ეროვნული ლიტერატურის აღორძინებისათვისაც.

ამავე წერილში მ. თუმანიშვილი ეხება გ. ერისთავის კომედიებსაც — ”დავას”, ”ძუნწს”, ”გაყრას” და აღნიშნავს, რომ მათ ავტორს აქვს დაკვირვებისა და მასალის შერჩევის დიდი უნარი. გ. ერისთავმა ”...შემლო ადგილობრივი ცხოვრებიდან დაეჭირა და გადმოეცა დამახასიათებელი, შემლო გაეცოცხლებინა იგი ადგილობრივი კოლორიტით, შეეზავებინა ადგილობრივი იუმორით. ასე, მაგალითად, კომედია ”დავამი” ჩვენს წინ წარმოდგება ქართველი მემამულეების მთელი ცხოვრება, მათ ნამდვილ გარემოში, მთელი ვნებებითა და ინტერესებით, უცნაურობითა და რწმენით. აქ თითოეული სახე მთელი პოემია რამდენიმე თავად და სიმღერად”<sup>[11]</sup>.

მ. თუმანიშვილის მომდევნო სტატია სათაურით ”კვლავ ქართული თეატრის შესახებ” (ფელეტონი) გამოქვეყნდა ”კავკაზშივე” 1855 წელს (№ 8). მასში თითქმის იგივე საკითხებია წამოჭრილი, რაც პირველში და ავტორი არსებითად ისევ ქართული რეპერტუარის საჭირობოროტო საკითხს უბრუნდება.

წერილში კრიტიკოსი მაშინდელი ქართული დრამატურგიის წინსვლის არცთუ მაინცდამაინც სახარბიელო სურათს ხატავს; იგი ხაზს უსვამს, რომ ქართული დრამატურგია ვერ აკმაყოფილებს ქართულ სცენას და ამ უკანასკნელის მზარდ მოთხოვნილებებს კვალდაკვალ ვერ მიჰყვება: ”მაგრამ რეპერტუარი, რეპერტუარი! ბატონებო, რეპერტუარი ჰგოდებს. თავად ერისთავის ორი-სამი პიესა. ამდენივე განსვენებული ანტონოვისა, ესაა და ეს! მაგრამ შეუძლია თუ არა არსებობა თეატრს, თუ იგი რეპერტუარით არ იქნება უზრუნველყოფილი? ამაზე უნდა ვიზრუნოთ განსაკუთრებით ახლა, როდესაც ხალხში იღვიძებს ასეთი მოთხოვნილება და არსებითი რწმენა სცენიური სანახაობისადმი”.

ამიტომ, ბუნებრივია, რომ რეპერტუარის ჩამორჩენილობით შეშფოთებულმა მ. თუმანიშვილმა ენერგიულად მოუწოდა ქართველ მწერლებს ხელი შეეწყოთ ეროვნული თეატრის განმტკიცებისათვის. იგი სტატიას ამთავრებს მიმართვით: ”თქვენ, უპატივცემულესო ქართველო მწერლებო და, თუკი მოიპოვებით, მწერალო ქალებო, თქვენ შემოგდაღადებთ ნორჩი ქართული სცენა! წარმართეთ თქვენი ცოდნისმოყვარული მისწრაფებანი მისდა სასარგებლოდ, უწილადეთ მას თქვენი ნაყოფიერი მოცლილობის ნაწილი, დაასაჩუქრეთ იგი პიესებით...”, მსახიობები შესაფერისად განასახიერებენ თქვენს ქმნილებებს, ხოლო მაყურებლები აღურიცხველი ტაშით მოგიზღავენ სამაგიეროსო<sup>[12]</sup>.

მაგრამ იმის შემდეგ, რაც ქართულმა თეატრმა არსებობა შეწყვიტა, მ. თუმანიშვილის თეატრალურ მოღვაწეობასაც გამოეცალა საფუძველი. მხოლოდ თორმეტი წლის შემდეგ იგი სპეციალურად კვლავ დაუბრუნდა ქართული თეატრის საკითხებს და 1867 წელს გაზ. ”დროებაში” მოათავსა რეცენზია — ”ქართული წარმოდგენა ტფილისში”. ამ წელს თბილისში დაუდგამთ ”მაიკო”, რომელიც შეცდომით გ. ერისთავისათვის მიუკუთვნებიათ, ნამდვილად კი იგი წარმოადგენს პავლე კამენსკის ამავე სახელწოდების რომანის გადაკეთებას პიესად ბეკლემიშევის მიერ. რეცენზენტი იწუნებს პიესას, რადგან მას ქართული არაფერი აცხიაო. ეს რეცენზია წინანდელი წერილების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს. ავტორი კვლავინდებურად ხელოვნების რეალისტურ თვალსაზრისზე მდგომ კრიტიკოსად გვევლინება.

მ. თუმანიშვილი მიუთითებს, რომ ”ვჭხედავთ, ისმიან სახელები და არ ინახვებიან ნამდვილი სახეები”, — სინამდვილე არ ჩანს, ხასიათები ცხოვრებიდან არ არის აღებული, პერსონაჟების მეტყველება მათ მდგომარეობასა და ბუნებას არ შეეფერება. მსახიობებიც შეზღუდულად გრძნობდნენ თავს და ამიტომ იყო, რომ საზოგადოებამაც არ მიიღო პიესაო.

სამაგიეროდ 13 მაისს წარმოდგენილმა ზ. ანტონოვის პიესამ ”ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა” გამოასწორა მდგომარეობა: ”აი რას ნიშნავს ის, როდესაც მწერალი არ გამოუდგება თვალდახუჭვით მიბაძვას და აღრჩეულს ცხოვრებიდან საგანს წარმოავლენს ისე, როგორც არის ის ნამდვილად. რასაკვირველია, საჭიროა, რომ ჰქონდეს იმას ნიჭი აღრჩევისაც და წარმოვლენისაც. უნდა ვჰსთქვათ, რომ ანტონოვის პიესა არ არის არც მეტად ღრმად ნაფიქრები და არც დიდის დრამატიკულის მოძრაობით სავსე. მაგრამ რაც არის იმაში, არის იჭვ-გარეთ მართალი: ეს გრძნობა, ეს ფიქრები, ეს ლაპარაკი უსათუოდ ეკუთვნიან იმ პირთა, რომელნიც პიესაში არიან გამოყვანილნი”<sup>[13]</sup>.

რეცენზენტი მხატვრულ ნაწარმოებს და, კერძოდ, დრამატურგიას დიდ ამოცანებს უსახავს. დრამატულმა ნაწარმოებმა (როგორც ჩანს, უმთავრესად აქ იგი კომედიას გულისხმობს) უნდა ასახოს რთული საზოგადოებრივი ურთიერთობანი და ძველისა და ახლის წინააღმდეგობა.

მ. თუმანიშვილის სათეატრო წერილები, როგორც მიმოხილვიდან ჩანს. უდავოდ ანგარიშგასაწევია ჩვენი წარსული კულტურის გასათვალისწინებლად. ამ წერილებში ავტორმა არა მარტო მთელი რიგი საინტერესო ფაქტები მოგვეწოდა ქართული თეატრის ისტორიიდან, არამედ, რაც მთავარია, განსაზღვრა ეროვნული თეატრის წარმატებისა და წარუმატებლობის მთავარი მიზეზები და პირველმა შეიგნო და დასახა ქართული დრამატურგიის განვითარების ჭეშმარიტი გზა, რომელიც, კრიტიკოსის ღრმა რწმენით, რეალისტური ხელოვნების განვითარებასთან იყო დაკავშირებული.

\* \* \*

ი. კერესელიძის მიერ განახლებულ "ცისკრში" მ. თუმანიშვილმა თანამშრომლობა დაიწყო როგორც პუბლიცისტმა. ჟურნალის განყოფილებაში "სხვა და სხვა ამბავი" იგი ათავსებდა ე. წ. "სალაყბო ფურცელს" მოლაყბის ფსევდონიმით. მ. თუმანიშვილის ამ სტატიებმა განსაკუთრებული გამოხმაურება პოვა: ძველი თაობა მტრულად შეხვდა მოლაყბის პირუთვნელ სიტყვას; სამაგიეროდ ახალმა თაობამ თავისი აღტაცება არ დამალა. კერძოდ, ილია ჭავჭავაძემ ხაზგასმით აღნიშნა ამ სტატიების მნიშვნელობა.

და, მართლაც, მოლაყბე თავის სტატიებში მაშინდელი "ქართველის უბედურების", — როგორც ილია ამბობდა, — მრავალ მხარეს ეხება. ფელეტონებში ნაწილობრივ იგივე საკითხია დასმული, რომელთაც ავტორი ადრინდელ წერილებში იხილავდა; ოღონდ ახლა მ. თუმანიშვილი მამხილებლის როლში გამოდის და მკაცრსა და მიუკერძოებელ სიტყვას ამბობს ქართველი საზოგადოების მისამართით.

ჯერ კიდევ დაუზუსტებელია, თუ რომელი ფელეტონები ეკუთვნის მ. თუმანიშვილს, ქათველ მკვლევართა შორის ამ მხრივ აზრთა სხვადასხვაობაა. მაგრამ მთავარი და მნიშვნელოვანი ის არის, რომ მ. თუმანიშვილი მონაწილეა "სალაყბო ფურცლების" შექმნისა.

პირველი წერილის დასაწყისში ავტორი განმარტავს, თუ რატომ ეძახიან "მოლაყბეს": "ამისათვის რომ, მართლისათვის, რასაც კი სიმართლეზედ ვილაპარაკებ გულმხურვალედ და ხანგრძლივ, მოლაყბე ვარ! ეს ქვეყანა ასეთია, მართალი რომ არ გადის... განა ტყვილია, რომ ქართველების უბედურებით მდგომარეობაში ყოფნის მიზეზნი ისევ თვითონ ქართველები არიან?"<sup>[14]</sup>

თუ ადრინდელ სტატიებში მ. თუმანიშვილი დიდი იმედით შეჰყურებდა ქართული თეატრის მომავალს, ახლა, ეროვნული სცენის მწუხრის მომსწრე, იგი თავისდროინდელ საზოგადოებას მკაცრად ამხელს და უკიჟინებს დიდი კულტურული საქმის დასამარებას. პუბლიცისტი სავსებით მართებულად აღნიშნავს ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილის გულგრილობას თეატრალური საქმისადმი, მაგრამ, გასაგები მიზეზების გამო, გვერდს უვლის ვორონცოვის შემდეგდროინდელი მმართველობის ცინიკურ დამოკიდებულებას ქართული თეატრისადმი. მ. თუმანიშვილი თვლის, რომ თავიანთ ეროვნულ საქმეს ქართველებმა თვით უნდა მიხედონ.

მწარე გამოცდილების მქონე პუბლიცისტი შიშობს, რომ ახლად აღორძინებულ ჟურნალსაც თეატრის ბედი არ ეწიოს და აფრთხილებს მკითხველს, რომ "რედაქციის სიღარიბე არის საზოგადოების სიღარიბე, რადგანაც ლიტერატურა საზოგადოა და არა კერძოობითი. ყოველი ქართველი მოვალე არის თავის სამშობლო ენას მისცეს შემწეობა..."<sup>[15]</sup>

მ. თუმანიშვილი ჩივის, რომ ჟურნალს ხელისმომწერი მცირე ჰყავს, უმრავლესობას შეგნებული არა აქვს ამ ეროვნულ-კულტურული საქმის მნიშვნელობა. პუბლიცისტი სარკაზმით ლაპარაკობს ქარველი საზოგადოების იმ ერთი ნაწილის გადაგვარებაზე, რომელიც თავილობს ყოველივე ეროვნულს: "უკაცრავად კი ნუ ვიქნები და, ჩვენს "ცისკარს" უმეტეს ნაწილად კითხულობენ ბუზები, რა რომ თავისუფლად განისვენებენ ფანჯრებში, მოსამსახურეების ოთახში, იმისი ადგილი იქ არის, კაბინეტში შეტანა როგორ იქნება — ქართულს ენაზედ არის დაბეჭდილი, სხვათა ენაზედ რომ იყოს, აი, ის სხვა არის! ჩვენს ენას ახლა აღარავინ ხმარობს, წამხდარი ენა არის, გასწორება რათ უნდა, სახლის პატრონმა, თავს რომ ჭერი ექცეოდეს, როდი უნდა გამოიცივალოს და გაიახლოს! ამასთანავე ჩვენი ქართული ენა მოდად აღარ გახლავსთ, ადრე, მართალია, დიდს პატივში იყო ჩვენი ენა..."<sup>[16]</sup>

როგორც ვხედავთ, მ. თუმანიშვილი სავსებით შეგნებულად იბრძვის არა მარტო ქართული ჟურნალის საკეთილდღეოდ, არამედ იცავს ქართულ ენასაც, რომელიც, როსიფიკატორული პოლიტიკისა და მოდური გატაცების შედეგად, ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ სათაკილოდ იყო მიჩნეული.

შემდეგ ავტორი ზიზლით ლაპარაკობს ინტელიგენციის იმ ნაწილზე, რომელიც "უქვეშევრდომილეს" გრძნობებს ავლენს მმართველობის წინაშე და საკუთარი, ეროვნული კულტურის შეურაცხყოფით ცდილობს ხელისუფლების გულის მოგებას. ამ მხრივ პუბლიცისტი მეტად დამახასიათებელ სურათს ხატავს: "ერთ დიდ საზოგადოებაში" იმყოფება "ქართულის ენის მოყვარე ქართველი".

ჩამოვარდება ლაპარაკი ქართულ თეატრზე, უმაღლესი პირი (ავტორი, ცხადია, მეფისნაცვალს გულისხმობს) ამბობს, რომ საჭიროა ქართულ ენასა და თეატრს ხელი შევუწყოთო, — ”ამ დროს დაფიქრდება ქართულის ენის მოყვარე ქართველი და მოახსენებს, აი ამ გრძნობიან ლექსებით: ”რა საჭირო გახლავს ქართული თეატრი მაშინ, როდესაც რომ არის რუსული და ამასთანვე ოპერა იტალიანურს ენაზედ (ესე იგი თრინჯულს ენაზედ), ეს იქით იყოს, რომ არავის უნდა ქართველებში”. უმაღლეს პირს ეს სიტყვები ისე საზიზღარად მიაჩნდება, რომ მოარიდებს თავს ქართულის ენის მოყვარეს ქართველს...”<sup>[17]</sup>

”სალაყბო ფურცლების” ავტორი მკითხველის წინაშე წარმოდგება როგორც თავისი დროის მოწინავე ადამიანი, როგორც შეგნებული პატრიოტი-პუბლიცისტი, რომელიც ებრძვის მაშინდელი საზოგადოების მანკიერებას და ცდილობს თანამედროვეთა შორის მიძინებული აზრის გაღვივებას.

ამ სტატიების მამხილებელმა ტონმა ხელი შეუწყო არა მარტო ქართული პრესის გამოცოცხლებას, არამედ, რაც მთავარია, ეროვნული ღირსების და შეგნების ამაღლებას.

დასასრულ უნდა დავსძინოთ, რომ სადა ენით და ძალდაუტანებელი ტონით დაწერილი ”სალაყბო ფურცლები” ქართული ფელეტონის პირველ ნიმუშებად უნდა მივიჩნიოთ. მათი სახით ავტორმა, ქართული მწერლობის ისტორიაში პირველმა, შემოიტანა მკითხველთან გასაუბრების პუბლიცისტური ფორმა და, უნდა ითქვას, რომ ამ წერილების მამხილებელ ტონს ქართული სატირისა და იუმორის მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის.

---

[1] А. Х а х а н о в , Очерки, IV, 1906, გვ. 118.

[2] მ. თუმანიშვილის ბიოგრაფია დაწვრ. იხ. მ. ხელთუბნელის წიგნში — ”სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან”, 1938.

[3] საქართველის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, H — 2684.

[4] ამავე ჟურნალში მ. თუმანიშვილს მოუთავსებია ისტორიული მოთხრობა ”კობის კოშკი”, ”ვისრამიანის” ნაწყვეტის თარგმანი და სხვ.

[5] მ. თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი , რჩეული ლექსები, თბილისი, 1881, გვ. 5.

[6] იქვე, გვ. 12.

[7] მ. თუმანიშვილი, რჩეული ლექსები, გვ. 14 — 15.

[8] იქვე, გვ. 6.

[9] სოლოსონ გესნერი — მე-18 საუკუნის გერმანელი სენტიმენტალისტი, ცნობილი თავისი ”იდილიებით”.

[10] «Кавказ», 1852, №11.

[11] იქვე.

[12] «Кавказ», 1855, № 21.

[13] ”დროება”, 1867, № 21.

[14] ”ცისკარი”, 1875, № 11, გვ. 63.

[15] „ცისკარი“, 1857, № 11, გვ. 66.

[16] იქვე, № 12, გვ. 54 — 55.

[17] იქვე, გვ. 58.

## ალექსანდრე ორბელიანი (1802-1869)

ალექსანდრე ორბელიანი თუმცა პირველხარისხოვან მწერალთა რიგს არ ეკუთვნის, მაგრამ მისი შემოქმედება და მოღვაწეობა იმდენად მრავალმხრივ არის დაკავშირებული მაშინდელ საზოგადოებრივ ვითარებასთან, რომ ქართული ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევარი მას გვერდს ვერ აუვლის.

ა. ორბელიანის პოეტური შემოქმედება, განსაკუთრებით მისი ისტორიული დრამები, აღბეჭდილია რომანტიკული სტილით. მან მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში დაამკვიდრა რომანტიკული დრამა.

\* \* \*

ა. ორბელიანი ცნობილი ფეოდალური გვარის წარმომადგენელია. მწერლის დედა, თეკლე, ერეკლე მეორის უმცროსი ქალიშვილი იყო, იგი თავისი გამჭირაბი გონებით და – ძმებში გამოირჩეოდა. ვაჟურად გამოიწყოილი და იარაღასხმული თეკლე ხშირად თან ახლდა თავის სახელოვან მამას.

თეკლე მძაფრად განიცდიდა საქართველოს პოლიტიკური დამოკიდებულების დაკარგვას. მეფის რუსეთის მთავრობისადმი სიძულვილმა პოეტის დედა და მისი ვაჟები 1832 წლის შეთქმულებაში ჩააბა. თეკლე ბატონიშვილი თავის ლექსებში გამოხატავს ღრმა სევდას სამშობლო ქვეყნის პოლიტიკური თავისუფლების დაკარგვის გამო:

იგლოვ მაღალ ტახტს, ვაი წახდომილს,  
დიდებულს პალატს, მსწრაფლად დამხობილს,  
შვების სიხარულს, ტრფობით შეტკობილს,  
ეტლს დაბრუნებულს, მოყვასთან გმობილს,  
გსურს მყის სიკვდილი, გულ ლახვარ ცემულს,  
არღარა გნებავს სიტყვის გებანი.

სევდა და სამშობლოს სიყვარული მან გადასცა თავის ვაჟებს, მომავალ მწერლებს, ალექსანდრესა და ვახტანგს. გადასახლებიდან

დაბრუნების შემდეგ, 70 წლის ასაკში, თეკლე თბილისში გარდაიცვალა 1846 წელს.

ალექსანდრეს მამა ვახტანგი ერეკლე მეორის სამეფო კარზე გავლენიან პიროვნებად ითვლებოდა. იგი ერთ დროს საგარეჯოს მოურავადაც იყო. ვახტანგი კახეთის 1812 წლის აჯანყების ჩაქრობაში მონაწილეობისას დაიღუპა.

თეკლესა და ვახტანგს სამი ვაჟი ჰყავდათ: ალექსანდრე, დიმიტრი და ვახტანგი. მათ შორის ალექსანდრე უფროსი იყო. ა. ორბელიანი დაიბადა 1802 წლის 24 მაისს (ძვ. სტილით) თბილისში ერეკლე მეორის ოჯახში. მაშინ ა. ორბელიანის მშობლები ერეკლეს მეუღლის, დარეჯანის, სასახლეში ცხოვრობდნენ.

ა. ორბელიანი კეთილშობილთა სასწავლებელში სწავლობდა. თავდაპირველად მას, ისე როგორც ვახტანგს, ხელმძღვანელობას უწევდა ორბელიანთა კარის მწიგნობარი მღვდელი იოსებ ამირიძე და ქართული გრამატიკის კარგი მცოდნე იოანე ქართველიშვილი. როგორც თვით ალექსანდრე აღნიშნავს, მასზე აგრეთვე დიდი გავლენა მოუხდენია გამზრდელ ლომისახარს, რომელიც პატარა ალექსანდრეს ცარიზმის სიმულვილს უწერგავდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ა. ორბელიანს სისტემატური სასკოლო განათლება არ მიუღია. მან მალე მიატოვა სკოლა და თვითგანათლებას მიჰყო ხელი. 1817 წლის დეკემბერში ალექსანდრე ორბელიანი სამხედრო სამსახურში შესულა, თავდაპირველად მას პრაპორჩიკის ჩინი მიუღია. ბატალიონი, რომელშიაც ა. ორბელიანი მსახურობდა, მონაწილეობდა იმერეთის აჯანყების ჩაქრობაში.

ალექსანდრე ორბელიანს, როგორც ეს მისი ”მემუარებიდან” ჩანს, სამხედრო კარიერა სრულიად არ იზიდავდა. 1824 წელს მან სამხედრო სამსახურს თავი მიანება და ხელი მიჰყო მეურნეობის კეთილმოწყობას.

1828 წელს ალექსანდრე ორბელიანი თბილისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლად იყო არჩეული. იგი ქართველ თავადაზნაურობას ხელმძღვანელობდა სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში. 1829 წელს ორბელიანი მრჩევლის თანამდებობაზე მსახურობდა გუბერნიის სამმართველოში.

ოცდათიანი წლები საქართველოში ხასიათდება კულტურულ – პოლიტიკური ცხოვრების გამოცოცხლებით. ამ დროიდან ქართული კულტურის აღორძინების საქმეს მაშინდელმა ინტელიგენციამ ენერგიულად მოჰკიდა ხელი. დღის წესრიგში იდგა საკითხები: სკოლის ქსელის გაფართოების, გაზეთის, ჟურნალის, უნივერსიტეტის, თეატრისა და ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ. ამ დიდ ეროვნულ საქმიანობაში ა. ორბელიანი ერთ – ერთი პირველთაგანი იყო.

სამწუხაროდ, ამ დიდი კულტურული წამოწყებების განხორციელება 1832 წლის შეთქმულების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით შეჩერდა.

ა. ორბელიანმა შეთქმულების ორგანიზაციაში დიდი როლი შეასრულა. შეთქმულთა დაპატიმრების შემდეგ, როგორც აქტიური მონაწილე, იგი დამნაშავეთა მეორე კატეგორიაში ჩარიცხეს, ერთხანს თბილისის საპატიმროში იჯდა, ხოლო 1834 წლის ივლისში რუსეთში გადაასახლეს. მასთან ერთად გადაასახლეს ა. ორბელიანის დედა, ბატონიშვილი თეკლე, ძმები: ვახტანგი და დიმიტრი. ა. ორბელიანი ორენბურგში გადაასახლეს, ხოლო თეკლე და მისი ორი ვაჟი – კალუგაში.

ა. ორბელიანის განთავისუფლებაზე მისი მახლობლები შეუწყობდნენ ზრუნავდნენ. მწერლის ”მემუარებში” აღნიშნულია, რომ კავკასიის მთავარმართებელს ბარონ როზენს იგი იმდენად საშიშ პიროვნებად მიუჩნევია, რომ საქართველოში მის დაბრუნებაზე უარი უთქვამს.

მწერალმა გადასახლებაში 5 წელიწადი და რვა თვე დაჰყო. 1840 წლის გაზაფხულზე იგი სამშობლოში დაბრუნდა. აქედან იწყება მისი საქართველოში მოღვაწეობის ახალი ხანა.

ა. ორბელიანი 1869 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა თბილისში და დიდი პატივით დაასაფლავეს სიონის ტაძარში.

\* \* \*

ა. ორბელიანის შემოქმედება მრავალფეროვანია. იგი ავტორია ლექსების, მოთხრობების, დრამების, მემუარების და პუბლიცისტური წერილების. სამწერლო ასპარეზზე ა. ორბელიანი ლექსებით გამოვიდა. ჯერ კიდევ 1832 წელს მან გამოაქვეყნა ლექსი ”მთავარე”<sup>[1]</sup>, რომელშიც სიმბოლურად წარმოდგენილია საქართველოს მაშინდელი მძიმე მდგომარეობა.

გარდიყარა შემდეგ დროთა ღრუბელი,  
ვნახე მთვარე მოშლილ, იყო სულ ბნელი,  
მელოდა მშვენი, სახე ნათლად მსვლელი,  
ვსთქვი ვნახე რა ესე, იგი თუ ვინა!

პოეტი ვეღარ სცნობს თავის ქვეყანას. იგი სიბნელეს მოუცავს. მას აღარ ადგას მთვარის ნათელი.

ასეთ ალეგორიებს საქართველოს მაშინდელი მდგომარეობის გამოსახატავად მწერლები ხშირად მიმართავდნენ. ამას მოწმობს ამავე



ჟურნალში გამოქვეყნებული გ. ერისთავის პოემა "ოსური მოთხრობა". ცნობილია, რომ ამ პოემაში ალეგორიულად ჩაქსოვილია საქართველოს მაშინდელი ვითარება.

1832 წლის შეთქმულების ლიკვიდაციის შემდეგ ა. ორბელიანი თუმცა გადასახლებაში იმყოფებოდა, მაგრამ ხელიდან კალამი არ გაუშვია. ამ დროის ლექსები უმთავრესად პირადული ხასიათისაა. მათში გამოხატულია პატიმარი პოეტის სევდიანი განწყობილებანი. ამის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ლექსი "სიყრმით უბედური".

ჩემი ნუგეში არს მწუხარება,  
ამითი სული სინაღვლით სტკბება,  
ვცურავ ამაში ვით ოკიანში,  
ხან მღელვარეში და ხან მყუდროში.

1853 წელს ჟურნ. "ცისკარში" ა. ორბელიანმა გამოაქვეყნა ლექსი "რუსთველი". ამ ლექსში დიდი პოეტი აღიარებულია მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენად. სანიმუშოდ მოვიყვანთ ამ ვრცელი ლექსის პირველ ნაწილს:

რუსთაველ!  
ყოვლის ზეციურის მაღლით გაბრწყინებულო!  
ნეტავი მითხრან, ანუ ზეციდგან გადმომძახონ,  
ვინ გადმოაქცია შენზე მეტად კარგი უცხოება  
ნეტარებისა,  
ვინ მოგიტანა დიდ – სულოვნების რტო  
სასუფევლიდან?  
ვინ გადაიპო თავისი გული ლესულ აღმასითა  
და იმაში ანთებული სიყვარული ვინ გაჩვენა?  
ვინ გაჩვენა მომფრინავი სული, დავენებული  
სურვილითა?  
ვინ გაურია შენს მტკინვარე ცრემლში,  
აუარებელში, სიტკბო...  
ის ცრემლი, რომლის მაღაროში შეგუბებულია მეტად წმინდა  
გაბროლვილი?  
ის ცრემლი, რაც ემზახით მიაქვს ცის კამარის მოსარწყავად მთვარე  
სრულსა?  
რომლის მინდორზე ილოცავდი, რომელ ცნობილთა მოგვინეს მზის  
პოდირი?  
რომელს მდინარეს მოუთხრობდი შენს გულის წადილს?  
რომელ მკურნალმა გსვა წამლად უკვდავება შენ?

როგორ, საიდან ტკივილი სცან სოფლის გულისა?

ნეტა რად ილმე ტკინვა მისი, დაუდგრომლისა?

ლექსი მიმართვითი ხასიათისაა, დაწერილია ურითმოდ, მაღალფარდოვანი რიტორიკული სტილით. მიუხედავად ამისა, ეს ვრცელი ლექსი საკმაოდ დინამიკურია, მაღალმხატვრულ სახეებში ოსტატურადაა გამოხატული რუსთაველის შემოქმედების სიდიადე, მისი გენიალობა.

ა. ორბელიანის ლექსებიდან აგრეთვე ყურადღებას იპყრობს "ეპიტაფია – საქართველოს მეფის ირაკლის მეორისადმი". ავტორი მოწოდებით მიმართავს ბაირონს, რათა მისი თაოსნობით "ზეცის მგოსნებმა" ხოტბის ლექსი დაამღერონ ირაკლის საფლავს. ლექსში ირაკლი წარმოდგენილია, როგორც წარსული დროის "ჭკუის ვარსკვლავი" და დიდი მხედართმთავარი.

ა. ორბელიანის ლექსები არქაული ენითაა დაწერილი. მისი პოეზიისათვის საერთოდ დამახასიათებელია მძიმე რიტორიკული სტილი.

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ა. ორბელიანი აქტიურად თანამშრომლობს ჟურნ. "ცისკარში", სადაც აქვეყნებს როგორც მხატვრულ თხზულებებს, ისე პუბლიცისტურ – კრიტიკულ წერილებს. იგი წერს აგრეთვე მემუარებს.

ა. ორბელიანის პროზაული ნაწარმოებებიდან ყურადღებას იპყრობს "უმანკო სისხლი". მასში მოცემულია "დიდი კაცის სახლში აღზრდილი" ქალიშვილების: ანას, ბარბარესა და მართას განდგომილი ცხოვრება თბილისის მთაწმინდის მონასტერში.

ამ ნაწარმოებში მწერალი გადმოგვცემს იმ ხოცვა – ჟლეტის შესახებ, რომელიც სპარსელმა ურდოებმა თბილისის დაპყრობისას მოაწყვეს. ისინი აიჭრნენ მთაწმინდაზე და მონაზვნებს მოსთხოვეს მაჰმადის რჯულის მიღება. ქალებმა სამშობლოს დალატს სიკვდილი არჩიეს. ისინი თავიანთ ხვედრს "შეწყობილი გალობით" შეხვდნენ. ქართველი ქალების ასეთმა გმირულმა საქციელმა მოაჯადოვა სპარსთა ათასისთავი, რომელმაც ზეცას შესძახა: "ოჰ, ღმერთო, რა ბრალი აქვსთ ამ საცოდავებს?! ხოლო გაბოროტებულმა მისმა მოადგილემ ქრისტიანებისადმი ასეთი გამოსარჩლება მაჰმადისა და შაჰის შეურაცხყოფად მიიჩნია და ათასისთავს თავი მოჰკვეთა, შემდეგ კი "მთაწმინდის ყველა მკვიდრნი ერთად დაჰკაფეს".

ძნელია იმის თქმა, ამ ნაწარმოებს რა დაედო საფუძვლად. ეს კი უნდა აღინიშნოს, რომ თავდადების ასეთი მოტივები პარალელს პოულობს ძველ ქრისტიანულ ლიტერატურაში.

ა. ორბელიანი საკუთარი აზრის დაფარვის მიზნით ხშირად მიმართავს ალეგორიას. ამ მხრივ საინტერესოა მის მიერ შეთხზული

ზღაპარი ”არაკი ტარტაროზისა (მოხუცი კაცისაგან ნაამბობი 1859 –სა წელსა, ერთსა ღამეს, ვახშმის შემდეგ)”<sup>[2]</sup>. ზღაპრისათვის დამახასიათებელ ფორმაში მწერალი მოგვითხრობს ”ავი სულეზის” შეკრებას ღამით მაღალ მთაზე, ბურთსაბძელზე. მავნე სულეზში ა. ორბელიანს წარმოდგენილი ჰყავს ხალხის შემავიწროებელი მეფის მთავრობის მოხელეები, ხოლო ტარტაროზში – მათი ბოლოა მმართველები. მწერალი ნაწარმოებში განსაკუთრებით მიუთითებს, რომ ”ივერიაში” ერთმანეთისადმი დაუნდობლობა მეფობს, რაც ეშმაკებს ბატონობის საშუალებას აძლევს.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ა. ორბელიანის ”მემუარები”. მასში გადმოცემულია მწერლის დროინდელი საქართველოს ვითარება. თავის თავგადასავალში მწერალი ოსტატურად აქსოვს მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების დამახასიათებელ სურათებს. ამ მხრივ იგი წარმოადგენს არა მარტო მხატვრულ ნაწარმოებს, არამედ საინტერესო წყაროსაც მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და წარსულის შესასწავლად.

გარდასულ ისტორიულ ამბებს გადმოგვცემს ა. ორბელიანი ”ასპინძის ომში”, ”ქართველების ძველი დრო”, ”ჩვენი ძველი სახლეულობანი” და სხვ. ეს გარდასული ამბები ა. ორბელიანისათვის არის მახლობელი, განცდილი და სანატრელი.

\* \* \*

ა. ორბელიანის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ყველაზე მეტ ინტერესს დრამატურგიული ნაწერები იწვევს. მისი პიესებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ისტორიული დრამები.

ა. ორბელიანის დრამა ”დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ჟამი საქართველოსი” შედგება ოთხი მოქმედებისაგან. დაწერილია იგი 1846 წელს<sup>[3]</sup>. პიესა ისტორიულ დრამას წაროადგენს. მასში გადმოცემულია დავით აღმაშენებლის წინამძღოლობით მეთორმეტე საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს დედაქალაქის თბილისის განთავისუფლება სელჯუკ –მაჰმადიანთა ბატონობისაგან.

დრამის პირველ მოქმედებაში ავტორი გვიხატავს ქართველი პატრიოტების სამზადისს თბილისის განთავისუფლებისათვის. სცენაზე გამოჩნდება თბილისის მამასახლისის, აბულელის ძმა – სერაფიმი, მეუდაბნოე ბერი. ძმები მტკივნეულად განიცდიან საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას. მათ განუზრახავთ იბრძოლონ სამშობლოს განთავისუფლებისათვის. ამ მიზნით ისინი

ჩაბმული არიან განთავისუფლებულ ბრძოლაში, რომელსაც მაშინ დავით აღმაშენებელი მეთაურობდა.

აბუღელის მშვენიერ ასულზე, ელენეზე, ბავშობიდან დანიშნული ყოფილა ლიპარიტი, თურქ – არაბების წინააღმდეგ შეუდრეკელი მებრძოლი, დავით აღმაშენებლის დიდად ერთგული ადამიანი.

ლიპარტი შუამავლის როლს ასრულებს ქალაქში არაღეგალურად მომუშავე ქართველებსა და დავით აღმაშენებელს შორის. იგი ატყობინებს მათ, რომ ”ახლოხანში დავით მეფე დიდგორისთავს გადმოვივლის ჯარებით და დიდმის მინდვრის თავში დიდი ომი მოუხდება თურქებთან”. დიდგორზე ანთებული კოცონი აცნობებდა ხალხს, რომ იწყება გადამწყვეტი ბრძოლა თურქ – არაბებისაგან თბილისის განთავისუფლებისათვის.

თურქები და არაბები დრამაში წარმოდგენილი არიან არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ მთელი კავკასიის ხალხების მტრად, ამიტომ ამ დიადი ბრძოლისათვის ემზადებიან ქართველები, სომხები, როგორც კაცი ისე ქალი. მწერალი პიესაში ავითარებს საქართველოს მეზობელი ხალხების განთავისუფლების აზრს. ლიპარტის სატრფო მთელ მსოფლიოს მიმართავს: ”მთელი ხმელეთის ერნო! თქვენც გულმობიერად მოიხედეთ და ჭეშმარიტი, კეთილსინდისიერი სამართალი მოახდინეთ ივერიასა და თურქებს შორის: ადუღებულის გულით და გამწარებულის ცრემლით გევედრებათ თურქებისაგან მოტყუებით დატყვევებული ივერია!”

დიდგორთან კოცონი დაინთო. კოცონმა ანიშნა ქართველ მებრძოლებს თავმოყრის ადგილი. დრამის მეორე მოქმედებაში მწერალი სწორედ ამ თავმოყრის პროცესს გვიჩვენებს. აქ ვრცელი ადგილი უჭირავს ლიპარტის მონოლოგს, მიმართულს სამშობლოსა და სატრფოსადმი. მისი სულიერი სამყარო გაორებულია, იგი თითქმის თანაბრად იტანჯება სამშობლოსა და აბუღელის ასულის ელენეს სიყვარულით, რაც ერთგვარად ჩრდილს აყენებს მის პატრიოტულ, გმირულ სახეს.

მეომართა რიგები თანდათან დიდდება, ნინოს და ანასტასიას მოჰყავთ ქართველ და სომეხ ქალთა ლაშქარი ”ამაზონის ტანისამოსში” გამოწყობილნი. აქ არის აბუღელი, თბილისის მამასახლისი თავისი მეომრებით, აგრეთვე საომრად გამზადებული ბერები სერაფიმ ბერის ხელმძღვანელობით. დამხდურნი ზეიმით ეგებებიან დავით მეფეს, რომელიც თავის მხლებლებით და ლაშქართურთ მოვიდა, ცოტახნის შემდეგ იმერეთის ლაშქარი მოჰყავს ყივჩაღთა ასულს, დავით მეფის მეუღლეს გურანდუხტს. დავით აღმაშენებელს თან ახლავს თავისი მოძღვარი არსენ იყალთოელი, კათალიკოსი იოანე, გიორგი

ჭყონდიდელი, ეფრემ მცირე, პეტრიწი და სხვ. ყველას გადაწყვეტილი აქვს თავი შესწიროს სამშობლოს თავისუფლებას.

თუ პირველსა და მეორე მოქმედებაში შწერალი გადმოგვცემს ქართველთა სამზადისს თბილისის განთავისუფლებისათვის, მესამე მოქმედებაში უკვე ბრძოლა მიმდინარეობს თურქ – არაბ დამპყრობელებთან. მოქმედების დასაწყისშივე აშკარად ჩანს, რომ თურქებმა შეიტყვეს ქართველების საომარი სამზადისი და საბრძოლველად ემზადებიან.

კრიტიკული მდგომარეობის დროს ომში შემოიჭრება დავით აღმაშენებელი მთელი მეომრებით და მტერს უკან დაახევინებს. დავით მეფე იძლევა ბრძანებას, დაედევნონ მტრის დაშლილ რაზმებს. ბრძოლა კვლავ გააფთრებულ ხასიათს იღებს.

ბოლოს სცენაზე შემოდის ომგადახდილი, გამარჯვებული დავით მეფე თავისი ლაშქრით. მტერმა თბილისი ცეცხლს მისცა, მოაოხრა, მაგრამ სცენაზე ისმის ხალხის მიმართ დავითის გამამხნეველი სიტყვები: ”აღვაშენებ მე”.

მეოთხე მოქმედება წარმოებს მცხეთაში. იგი ძირითადად გამოხატავს ომში დახოცილთა და დასახიჩრებულთა მიმართ უსაზღვრო პატივისცემას და გამარჯვებულთა ზეიმს. ირგვლივ ისმის განთავისუფლებულთა აღფრთოვანებული შემახილები – ”თავისუფლება!”

დრამაში დავით მეფე გადმოგვცემს მის მიერ ქალაქ ანისის განთავისუფლებას და ამის გამო სომეხთა სიხარულს. ზეიმს ესწრებიან როგორც ადგილობრივი სომეხობა, სომეხთა კათალიკოსი, ისე მაჰმადიანთა ახუნდიც. სომეხები თავიანთი ქვეყნის განთავისუფლების გამო აღფრთოვანებას გამოხატავენ. დავით მეფე მათ მიმართავს: ”პატივცემულო ოჰანეს, ეს ჩემი კოცნა მარტო თქვენ, ინდოეთის სომეხებს არ გეკუთვნისთ, სადაც კი სომეხები იყვნენ, იმათთვისაც მითავაზებია, და ეს კოცნა იყოს ნიშანი ჩვენი ერთობისა, რადგან ერთი მამის შვილები ვართ და ერთი სისხლისანი”. დრამაში გარკვევით არის საუბარი კავკასიის ერთა მეგობრობაზე და მათ საერთო ინტერესებზე. დავით მეფე მიმართავს სომეხებს, აზერბაიჯანელებს და ქართველებს: ”იყოს ერთი კავკასია და ერთი კავკასიის ერი საუკუნოდ... ვინც ამას იქით ჩვენი კავშირი დაარღვიოს, წყეულიმც იყოს!” გაერთიანებისაკენ მოწოდებას შემახილებით ყველანი დასტურს აძლევენ. მაჰმადიანთა ახუნდი, ისე როგორც სომეხების კათალიკოსი, დავითის მისამართით აღნიშნავს: ”ამდენი საუკუნოების განყოფილი ძმობა ჩვენი შენ შეაერთე, შენ გვასწავლე სიყვარული და ერთობა...” ყოველივე აქედან აშკარაა, რომ ა. ორბელიანი ამ დრამაში ხალხთა მეგობრობასა და სიყვარულსაც

ქადაგებს. დავით აღმაშენებელი დრამაში დახატულია, როგორც ერის მისწრაფებათა დამცველი და გამომხატველი, მისი თავისუფალი ცხოვრების აღმაშენებელი.

”დავით აღმაშენებელი” ისტორიული დრამაა, მაგრამ ეს პიესა მარტო ისტორიას როდი ეხება, დაკვირვებული მკითხველი კარგად შეამჩნევს, რომ იგი ალეგორიულად გამოხატავს მწერლის თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას.

რაში მდგომარეობს ამ დრამის ისტორიული ხასიათი? როგორც ცნობილია, დავით აღმაშენებელს წილად ხვდა საქართველოს მიწა – წყლის განთავისუფლება თურქ – არაბ დამპყრობთაგან. მან განსაკუთრებით მამაცური და მოხერხებული ბრძოლა გამართა თბილისის განთავისუფლებისათვის.

დრამაში შეუძლებელი იყო დავით აღმაშენებლის დიდი და ხანგრძლივი საქმიანობის ისტორიული პროცესის გაშუქება. მითუმეტეს, რომ მწერალი მიზნად არ ისახავდა გადმოეცა მარტო ისტორიული ვითარებანი.

ა. ორბელიანმა დრამას საფუძვლად მხოლოდ დიდგორის სახელოვანი ბრძოლა დაუდო. ამ ისტორიული მოვლენის საფუძველზე დრამაში ნაჩვენებია მაშინდელი საქართველოს მმართველი კლასი – მაღალი ფეოდალური არისტოკრატია, როგორც სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებული, მებრძოლი კლასი.

აღსანიშნავია, რომ დრამაში არ ჩანს გლეხობა, დემოკრატიული ფენა, როგორც მოქმედი სოციალური ძალა, ეროვნულ – გამათავისუფლებელი მოძრაობა ნაჩვენებია ამ კლასის მონაწილეობის გარეშე.

დრამაში მოქმედი პერსონაჟებიდან ისტორიული პიროვნებებია: დავით აღმაშენებელი და მისი მეუღლე, ყივჩაღთა მთავრის ასული გურანდუხტი. რაც შეეხება მოქმედ პირებს, აბულელს და ლიპარიტს, ასეთი სახელდების ადამიანები ისტორიულ წყაროებში ცნობილია, მაგრამ არა ისეთ პიროვნებებად, როგორადაც ისინი დრამაში არიან წარმოდგენილნი. ავტორს ისტორიული წყაროებიდან მხოლოდ მათი გვარები აუღია. ლიპარიტისა და ელენეს სიყვარული მწერლის შეთხზულია. შეიძლება ითქვას, დრამაში მწერლის ფანტაზიას დიდი ადგილი უჭირავს. დავით აღმაშენებლისა და მისი მეუღლის გარდა, აგრეთვე თუ მხედველობაში არ მივიღებთ არსენ იყალთოელს, ეფრემ მცირეს, ივანე ტარიჭის ძეს, პეტრიწს, რომლებიც პიესაში სილუეტებით ჩანან, - ყველა პერსონაჟი მწერლის მიერაა შეთხზული იმგვარად, რომ მათი ხასიათი დრამის ისტორიულ ფონს სავსებით შეეფერება. თვით ა. ორბელიანი დრამის ბოლოსიტყვაობაში წერს: ”

თუ ნამდვილი ისტორიული რამე გადასცდეს ამ დრამასა, მოგვიტეონ. ამგვარები უამისოდ არ დაიწერება”.

დრამაში ისტორიული ფაქტები ცოტაა და მის ადგილს იჭერს ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი გამომგონებლობა. მაგრამ გამოგონილი სავსებით უნდა შეეფერებოდეს იმ ისტორიულ პროცესს, რომლის გამოსახატავადაც იგი არის მოწოდებული. სამწუხაროდ, ”დავით აღმაშენებელში” ისტორიული კოლორიტი, გარემო, მკრთალად არის ნაჩვენები.

დრამა დავით აღმაშენებლის ხოტბას წარმოადგენს. ა. ორბელიანი მას სამართლიანად გვიხატავს, როგორც დიდ სახელმწიფო მოღვაწეს, მებრძოლსა და მშენებელს. დრამა იმგვარად ვითარდება, რომ მის მიმართ ყოველი მოქმედი პირი ღრმა სიყვარულითა და თანაგრძნობითაა გამსჭვალული. ოდნავადაც კი არ იგრძნობა რაიმე წინააღმდეგობა მეფესა და ფეოდალებს შორის. ეს მაშინ, როდესაც ისტორიულად ცნობილია, რომ დავით აღმაშენებლის მიმართ მრავალი ურჩი დიდებული მტრულად იყო განწყობილი და მეფეს დიდი ბრძოლები მოუხდა მათ ასალაგმავად. მაგრამ ა. ორბელიანისათვის, საერთოდ, არაა დამახასიათებელი წარსული ფეოდალური საზოგადოების ნაკლოვანი მხარეების ჩვენება და კრიტიკა.

აღსანიშნავია, რომ ა. ორბელიანი დრამაში იყენებს ფოლკლორს, ხალხურ გადმოცემას და მის საფუძველზე თხზავს დრამის ერთ შესანიშნავ ეპიზოდს. ამ ეპიზოდის გამო სქოლიოში ა. ორბელიანი შენიშნავს: ”მოხუცებულის პაპიჩემისაგან გამიგონია ჩემს სიყმაწვილეში: ”როდესაც დავით აღმაშენებელს მოუნდომებია ქალაქ თბილისის აღება, დავით აღმაშენებლის ცოლსა და არაბის სარდლის ცოლსა გამოუთხოვნიათ ერთმანეთი საომრათ; ვინც მოერიოს, იმისი იყოს ქალაქი, დავით აღმაშენებლის ცოლსა უჯობნიაო”. თუმცა ისტორიაში არ არის ეს, მაგრამ ამ ორ ქალზე თქმული ასე გავაკეთე დრამისა ამისა მოსახდენად, მგონია შესაფერისი იყოს? – ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ უძველესი ჩვენი ისტორიაც დიდათ აქებს მაშინდელ ქართველს ქალებს და უკანასკნელად მეფის ირაკლის მეორის დროს რამდენი ვაჟკაცობის მაგალითია ჩვენი ქალებისა!”.

ასევე დრამაში საინტერესოა ჩართული დიდმელებსა და თურქ – არაბებს შორის გააფთრებული ბრძოლის ეპიზოდი. დიდმელმა დედაკაცებმა, როდესაც შეატყვეს, რომ ბრძოლაში სიკვდილი მოელოდათ, თავისი ქალიშვილები დახოცეს, რათა მტერს საჯიჯგნად ხელში არ ჩავარდნოდათ. შემდეგ კი, თავიანთ ქმრებთან ერთად, მტერთან ბრძოლაში ჩაებნენ. მწერალი შესანიშნავად გვისურათებს

ომის პროცესში დავით აღმაშენებლის მეუღლის, ყივჩაღთა ასულის გურანდუხტისა და მაჰმადიანთა სარდლის მეუღლის ბრძოლას.

აღსანიშნავია, რომ ავტორი პიესაში ქალს სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ ძლიერ ძალად წარმოგვიდგენს.

”დავით აღმაშენებელი”, როგორც აღვნიშნეთ, არ ეკუთვნის ისეთ ნაწარმოებთა რიცხვს, რომელიც მიზნად ისახავს მარტო ისტორიული ვითარების ჩვენებას. მასში ალევორიული ფორმით გადმოცემულია ის ვითარება, რომელიც საქართველოში 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებით შეიქმნა. დრამის ბოლოსიტყვაობაში თვით ავტორი სწორედ ამაზე უნდა მიუთითებდეს, როდესაც აღნიშნავს: ”ბატონიშვილი დედა ჩემი თეკლე, მეფის ირაკლის მეორის ასული, რომ გარდაიცვალა 1846 – სა წელსა 11-ს წელსა მარტსა, მწუხარების გამო დავწერე ეს თხზულება, იმავე ზაფხულს...”

ამავე ბოლოსიტყვაობაში ა. ორბელიანი იმაზედაც მიუთითებს, რომ ისტორიული დრამისათვის არაა სავალდებულო მარტო ისტორიული წარსულის აღწერა. მართლაც, დრამის ზოგიერთი პერსონაჟის სიტყვებში ჩვენ შევიცნობთ 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა აზრებს. სერაფიმ ბერი ნაწილობრივ მოგვაგონებს შუამთის ბერს, ფილადელფოს კიკნაძეს, 1832 წლის შეთქმულების აქტიურ მონაწილეს. სერაფიმ ბერის მონოლოგები ა. ორბელიანის დროინდელ საქართველოს ვითარებას მოგვაგონებენ, ნაწარმოებში პირველად XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში წამოყენებულია საერთო მტრის წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხთა (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) გაერთიანების იდეა.

სერაფიმ ბერის მონოლოგში გამოსჭვივის ა. ორბელიანის ავტობიოგრაფიული მომენტები. ამ მხატვრულ სახეში ავტორს ჩაუქსოვია უმთავრესად 1832 წლის შეთქმულებაში თავისი მონაწილეობის ზოგი მომენტი.

კომპოზიციურად პიესა სუსტადაა შეკრული. იგი გადატვირთულია ეპიზოდებით და სცენებით, რომელთაც მოქმედების მაგისტრალური ხაზის განვითარებასთან უშუალო კავშირი არა აქვს. ყოველივე ეს საგრძნობლად ანელებს მთავარი მოქმედების განვითარების ტემპს, მის აღმავლობას. ფაქტიურად დრამის მოქმედების განვითარება მთავრდება მესამე მოქმედების ბოლოს, როდესაც თურქ – არაბებმა თბილისი დატოვეს. საერთოდ, დრამაში ძალიან იცვლება მოქმედებანი, კრიტიკული სიტუაციები, ისინი ყოველთვის ვერ არიან სათანადო ოსტატობით მოტივირებული.

პიესაში მოქმედი პირი მრავალია, განსაკუთრებით მეორეხარისხოვანი, რის გამოც პიესა გადატვირთულია არაარსებითი ხასიათის სცენებით. პერსონაჟთა ინდივიდუალური სახეები ავტორს



მკრთალად აქვს დამუშავებული. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დრამაში ხშირია გრძელი, გაჭიანურებული მონოლოგები (სერაფიმ ბერის, ლიპარიტის, აბულელის და სხვ.). დრამას ახასიათებს რიტორიკული, ამალღებული სტილი.

\* \* \*

ა. ორბელიანმა 1862 წელს დაწერა ”ტრაგედია – ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო, ოთხ მოქმედებად”, რომელიც ”ცისკრის” 1864 წლის მარტის ნომერში დაიბეჭდა (1877 წელს ცალკე წიგნად გამოსცა ზ. ჭიჭინაძემ). ეს პიესაც, როგორც სათაურიდანაც ჩანს, ისტორიული ხასიათის ნაწარმოებია, მასში ა. ორბელიანი გადმოვცემს XVIII საუკუნეში ოსმალ –ლეკებისაგან გავერანებულ აღმოსავლეთ საქართველოს ტრაგიკულ მდგომარეობას. ამ დროს სამხედრო ასპარეზზე გამოვიდა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ერეკლე მეორე. მწერალი მას, ქართველ თავდაზნაურობასთან ერთად, წარმოგვიდგენს საქართველოს მხსნელად.

პირველი მოქმედების დასაწყისშივე მეფე თეიმურაზ მეორე, რომელიც თავის ცოლ -შვილთან ერთად გახიზნულია ფშავში, გვაცნობს საქართველოს მძიმე მდგომარეობას. სამშობლოს დაცემას მწვავედ განიცდის 15 წლის ჭაბუკი ერეკლე – მომავალი მეფე. მშობლები, გამზრდელებთან ერთად, მოუწოდებენ ერეკლეს იხსნას საქართველო მოსპობისაგან.

პიესის ცენტრშია ახლად დაქორწინებული ცოლ –ქმრის მელანიასა და სარიდანის მიჯნურობა. მელანიას სტანჯავს ის გარემოება, რომ ერეკლეს მისი ქმარი სარიდანი ომში მიჰყავს. მაგრამ მელანიას პიროვნება გაორებულია. მასში ერთმანეთს ებრძვის სამშობლოსა და ქმრის სიყვარული.

ქვეყნის სიყვარულით ანთებული, ხალხისაგან გამხნეებული ჭაბუკი ერეკლე რჩეული ვაჟკაცებით მთიდან დაემშვება ბარში. საქართველოს მთიანეთი იბრძვის ბარის განთავისუფლებისათვის; ფშაველი მწყემსი ისევე წუხს ბარში ”თავისი ძმების” ტანჯვის გამო, როგორც მეფე და დიდებულები. მთა და ბარი ერთიანდება და მეორე მოქმედება უკვე ბარში იშლება.

ალავერდის ეკლესიაში გაისმის ერეკლეს ხმა – ”ხმალი სისხლით უნდა შეიღებოს”, მთაში და ტყეში გახიზნული ქართველობა სახლებში დააბრუნეს, ვისაც ოსმალური ტანსაცმელი ემოსა, გაიდრო და ცეცხლს მისცა. ქუდზე კაცი გამოვიდა საომრად. ერეკლეს მეთაურობით ქართველობაში გაიღვიძა ეროვნულმა შეგნებამ.

მესამე მოქმედება, მცირე ექსპოზიციის შემდეგ, გადმოგვცემს თელავის ახლოს წარმოებულ ბრძოლას ოსმალ – ლეკების წინააღმდეგ. თავდაპირველად სცენაზე ვხედავთ თელავს, კახეთის მეფის სარეზიდენციო ქალაქს.

სასახლის ბანზე ასული მეფე, დედოფალი და სხვანი ზემოდან დაჰყურებენ თელავის მისადგომებზე გამართულ ბრძოლებს და გადმოგვცემენ ქართველ მეომართა გმირობას. ცოლები აქეზებენ ქმრებს გმირობისათვის. მწერალი განსაკუთრებული ინტერესით გადმოგვცემს ომის მსვლელობის პროცესში ახალგაზრდა ერეკლეს გონივრულ სამხედრო ტაქტსა და თავდაჭერილობას.

ომი გადადის კახეთის სხვა მხარეზე, ბრძოლის მსვლელობის შესახებ ჩვენ ვგებულობთ სცენაზე შემოსულ პირთა ნაამბობით. მესამე მოქმედების ბოლოს ომიდან დაბრუნებული ერეკლე მამას, თეიმურაზს, ახარებს მტრის დამარცხებას.

მეოთხე მოქმედებაში ერეკლეს ვხედავთ დამპყრობთაგან განთავისუფლებულ დედაქალაქში. მისი თბილისში შემოსვლით საძირკველი ჩაეყარა ქართლ – კახეთის გაერთიანებას. მთელი თხზულება გაჟღენთილია ფეოდალურ – არისტოკრატიული მორალის ქადაგებით, მწერალი მისტირის ”დიდ კაცების”, ფეოდალთა ცხოვრებას და იდეალურად ხატავს მათ დამოკიდებულებას ყმა – გლეხობისადმი.

ამ პიესისათვის ა. ორბელიანს წინასიტყვაობა დაურთავს, რომელშიც აღნიშნულია: ”ეს ამბავი, ბატონიშვილის ირაკლის დროისა, იმიტომ ამოვირჩიე მე, რომ იმის ყმაწვილობას მოუხდებოდა ეს ტრადედია. დროც იმისთანა საშინელი იყო მაშინ საქართველოში. მაგრამ რაც სახელი იმ დროს, იმ საშინელებაში იმ თხუთმეტის წლისამ შეიძინა, მგონია იმტოლა ყმაწვილისაგან სხვა მაგალითი არ იყო არსად ქვეყანაზედ!.. მეც ვეცადე, რაოდენ ჩემმა სუსტმა კალამმა შესძლო, რომ მაშინდელი ლაპარაკი, ხასიათი, ზნეობა თუ დრო ამ ტრაგედიაში გამოხატულიყო”. ამ სტრიქონებიდან ნათლად ჩანს ა. ორბელიანის მიზანი. მას გარდასული ცხოვრების ისტორიულ ფონზე თავისი პაპის ერეკლე მეორის ახალგაზრდობისდროინდელი გმირობის ჩვენება განუზრახავს. ავტორი თვით იყო მომსწრე იმ ადამიანების, რომლებიც ერეკლესთან ერთად ომობდნენ, ხოლო მწერლის დედა, ერეკლეს ასული თეკლე, ამ ამბების უშუალო შთამაგონებელი იყო. რადგანაც პიესაში გარდასული ცხოვრების დრამატული მომენტებია გადმოცემული, ამდენად იგი ისტორიული ხასიათის ნაწარმოებია.

აქვე მოჩანს ა. ორბელიანის მიზანდასახულობა. მას ეროვნების ბურჯად მხოლოდ თავადაზნაურობა ჰყავს წარმოდგენილი. მწერალი წინასიტყვაობაში მიუთითებს, რომ იმ დიდი პოლიტიკური კრიზისის

დროს, რომელიც ერეკლე მეორის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისას საქართველოში შეიქმნა, ყველანი ”გაოსმალდნენ, გარდა თავადაზნაურობისა”. ასეთი შეხედულება გლეხობის მიმართ ა. ორბელიანისათვის დამახასიათებელია. ეს არასწორი შეხედულება მას გატარებული აქვს ამ ნაწარმოებში.

ოსმალებისა და ლეკებისაგან ქართლ –კახეთი მოოხრებული იყო, გამუდმებული რბევითა და ხოცვა –ჟლეტისაგან მცხოვრებთა რიცხვი დიდად შემცირდა, ქართველ გლეხებს უცხოეთში ჰყიდდნენ მონებად, გახშირდა ლეკი მარბიელებისაგან განადგურებული, უკაცრიელი სოფლები. პიესაში ასახულია, როგორ ტრაგიკულად დაასრულა თავისი არსებობა თავად სარიდანის ოჯახმა. ქვეყანა კატასტროფის წინაშე იდგა და ალბათ, ამ მოსაზრებით ა. ორბელიანმა პიესას უწოდა ”ტრაგედია – ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო”, თორემ თვით ნაწარმოებს არ შეეფერება ეს სახელი, რადგან პიესის მთავარი გმირი ერეკლე სრულიადაც არ არის ტრაგიკული პიროვნება. მისი ვაჟკაცური შემართება ნაწარმოებს გმირული დრამის ხასიათს აძლევს.

ამ მძიმე ვითარების დროს აიღო ხმალი ჭაბუკმა ერეკლემ. საბრძოლო ასპარეზზე მის პირველ გამოსვლას ასე მოგვითხრობს ცნობილი ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე: ”ხოლო წელსა 1735 მოვიდნენ ლეკნი და ქიზიყი მოარბივეს. მაშინ იყო ძე მეფისა თეიმურაზისა ირაკლი წლისა თხუთმეტისა, რომელმაც შემოიყარა სოფლებიდან ჯარი, ეწია ნეიშნის მინდორში და ძლიერად შემოებნენ ლეკნი, გარნა თვით ეს ყმა, ძე მეფისა თეიმურაზისა ირაკლი, მეორედ შევიდა შინაგან ჯარსა ლეკისასა და პირველად ამან მოკლა კაცი; და ამის მხილველთა კაცთა ერთპირად მიმართავს ყვილითა და წინასწარაქციეს ჯარი ლეკისა, აჰყარეს ტყვენი და საქონელი და მოსწყვიტეს უმრავლესნი. და მოვიდა მალაროს გამარჯვებული, რომლისათვის ფრიად მხიარულ იქმნენ კახნი, იხილეს რა სიმხნე და მამაცობა მემკვიდრისა თვისისა”. ა. ორბელიანის დრამას ეს ისტორიული სინამდვილე უდევს საფუძვლად.

ჩვენამდე მოაღწია ა. ორბელიანის მოგონებამ ”პირველი ამბავი მეფის ირაკლისა მეორესი. თვით მეფის ირაკლის თქმულსა ვიტყვი, იმის სიტყვით” მოგონება ეხება ჭაბუკ ერეკლეს პირველად გამოსვლას სახელმწიფოებრივ ასპარეზზე.

ა. ორბელიანი ამ მოგონებასაც იყენებს პიესაში. მწერალი ისტორიული მონაცემების, მოგონებათა საფუძველზე გზას უხსნის თავის მხატვრულ ფანტაზიას და ქმნის სრულიად ახალ სახეებს და სიტუაციებს.

ომან ხერხეულიძის სიტყვით, 15 წლის ერეკლემ თავისი ძლიერი რაზმით პირველი ბრძოლა ლეკებთან გადაიხადა ”ნეიშნის მინდორში”

(ქიზიყი). დრამაში ეს პირველი ბრძოლა მიმდინარეობს არა "ნეიშნის მინდორში", არამედ თელავთან. მწერალს თავისი მხატვრული ფანტაზიის გასაშლელად ესაჭიროებოდა ისეთი ადგილი, რომელიც ახლოს იქნებოდა მეფის სასახლესთან და საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა ომის მსვლელობისათვის თვალყურის დევნება. ასეთი იყო თელავი, კახეთის სამეფო ხელისუფალთა სარეზიდენციო ქალაქი. აქედან ხელისგულივით ჩანს ალაზნის გაშლილი ველი. მოქმედი პირები ომის მსვლელობას მეფის სასახლიდან მომზირალნი გადმოგვცემენ. თვით მწერალმა კარგად იცის, რომ ეს არის ისტორიული სიმართლე და ამიტომ ამ სცენის დასურათებისას შენიშნავს: "პირველი ომი ირაკლისა ნეიშნის მინდორზე იყო, აქ თელავში მხოლოდ სახესათვის დავესწრე, ნეიშნის ომი არის ქვემოთ". რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ადგილმდებარეობის შეცვლით ისტორიული სინამდვილის არსი არ დამახინჯებულა. საერთოდ კი მწერალი საკუთარი ფანტაზიით მოსავს მის მიერ გამოხატულ პერსონაჟებს (სარიდან, რევაზი, ბესარიონი, მელანია).

დრამაში მთავარი გმირის, ერეკლეს მოქმედება იწყება ფშავეთიდან, როდესაც იგი ჩაება დამონებული სამშობლოს განვითარებისათვის ბრძოლაში. აქ, მთებში, აღნიშნავს მწერალი, "ნაცარში დამალულსავით" ერთი ცეცხლის ნაპერწკალი კიდევ იყო დარჩენილი, ეს იყო ფშავის სიმაგრეებში გახიზნული მეფე თეიმურაზ მეორე, თავისი სახლობით", ამ მთებიდან თავისი მეომრებით, მოსპობის გზაზე შემდგარი ბარის სახსნელად დაეშვა ჭაბუკი. ფშავი – ალავერდი – თელავი – თბილისი, აი ის პირველი ბრძოლის გზა, რომელიც განვლო მომავალმა გმირმა. ეს არის დრამის ძირითადი ხაზი, მწერალი ახერხებს საინტერესო სცენის შექმნას და მოქმედებათა განვითარების ფონზე ერეკლეს პატრიოტული სულისკვეთების ჩვენებას. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ა. ორბელიანი გამსჭვალულია ერეკლესადმი დიდი სიყვარულით და პირველ მოქმედებაში მზამზარეულ ფორმაში იძლევა ერეკლეს ხასიათსა და მის მსოფლმხედველობას, შემდეგ მოქმედებაში ხდება ამ უკვე მოცემული ხასიათის თავისებური სცენური ილუსტირება.

ავტორი თავისი მთავარი გმირის სცენური განსახიერების დროს ყოველთვის ვერ იცავს თანამიმდევრობას. ერეკლეს შესაფერი ადგილი უჭირავს პირველ, მეორე და მესამე მოქმედებაში, მაგრამ მეოთხეში იგი ავტორს თვალთახედვიდან თითქოს ეკარგება. მას გვიჩვენებს მოქმედების დასაწყისში, ხოლო დასასრულს, როცა მთავარი მოქმედების განვითარების შედეგები უნდა გამოჩენილიყო, იგი აღარ ჩანს. მწერალი გაიტაცა ფეოდალთა ინტიმური, მორალური სამყაროს ჩვენებამ და მთავარი გმირი მიივიწყა.

მწერალს სურს აღმოფხვრას წინააღმდეგობა, დაცემულობა, რომელმაც ფეოდალურ ოჯახში იჩინა თავი. იგი ამის ნათელ სურათს ჯერ კიდევ გ. ერისთავის კომედიის "გაყრის" მეშვეობით გაეცნო. ა. ორბელიანი მოუწოდებს ქართველ თავადებს, რომ "მკვიდრად გაერთიანებულიყვნენ ერთმანეთში, ოჯახების განსაძლიერებლად".

ნაწარმოები წარმოადგენს არა მხოლოდ ერეკლეს, არამედ მთელი ქართველი თავადაზნაურობის პანეგირიკს. ეს კლასი აქ, ნაჩვენებია, როგორც მაღალი თვისებების მატარებელი. მის გვერდით მშრალი სქემებივით მოჩანს გლეხოზა (ვარდუა, ნინუა და სხვ.). ისინი თავიანთი ბატონის ერთგულ ყმებად არიან გამოყენებულნი. გამათავისუფლებელ ბრძოლაში კი სრულიად არ მოჩანან როგორც მებრძოლები. პირიქით, პიესის წინასიტყვაობასა და მეორე მოქმედებაში გლეხოზის შესახებ აღნიშნულია, რომ ისინი გაათათრდნენ, გადგვარდნენ, მხოლოდ თავადაზნაურობამ შეინარჩუნა ეროვნული სახე, რაც ისტორიული ჭეშმარიტების დამახინჯებაა. ცხადია, გადაგვარებული ქართველები გლეხებშიც იყვნენ, მაგრამ ეროვნების შემნახველი ძალა, პირველ ყოვლისა, ხალხი, გლეხოზა იყო.

პიესაში ზოგიერთი სცენა კარგად არის მოფიქრებული. სანიმუშოდ უნდა დავასახელოთ მესამე მოქმედების ის ადგილი, სადაც გადმოცემულია ბრძოლის ეპიზოდები. მწერალი ოსტატურად ახერხებს ცოცხალი, ამალღებული სიტუაციების შექმნას. რაც შეეხება მესაფლავეთა სცენას, იგი შექმნილია შექსპირის "ჰამლეტის" მიბაძვით.

ა. ორბელიანის დრამატურგიაში პერსონაჟის ენა ჯერ კიდევ არ არის ინდივიდუალური სახის გამოკვეთის საშუალება. ა. ორბელიანის მიერ შექმნილ პერსონაჟებს საერთოდ აკლია ინდივიდუალური ნიშნები.

"ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო" ეროვნულ – გამათავისუფლებელი სულითაა გაჟღენთილი, მაგრამ ბოლოს, მეოთხე მოქმედებაში, მწერალი ხატავს უიმედო, პესიმისტურ განწყობილებებს, რაც სრულიად არ შეეფერება პიესის საერთო ტონს.

\* \* \*

მართალია, ა. ორბელიანი გადასახლებიდან გაათავისუფლეს, მაგრამ მეფის მთავრობა მას მაინც უნდობლად უყურებდა. მასზე დაწერილი ყოფილა საიდუმლო ზედამხედველობა. ა. ორბელიანს თავის მოგონებაში აღნიშნული აქვს, რომ გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ "ჯაშუშები დამდევენო". ამ მხრივ საინტერესო

მოგონება დაგვიტოვა აკაკი წერეთელმა, თავის "თავგადასავლის" იმ ნაწილში, სადაც იგი ა. ორბელიანის პიროვნებას ახასიათებს. რუსეთიდან დაბრუნებული აკაკი წერეთელი ა. ორბელიანისათვის ივანე კერესელიძეს გაუცვნია. აკაკი ა. ორბელიანის შესახებ წერს: იგი იყო ნამდვილი ქართველი, ბევრის მნახველი, ბევრის გამგონე და ნაღვაწი. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ პოლიტიკურ საკითხებში ისეთ სიფრთხილეს იჩენდა, ისევ უკან არ გამაბრუნონო, რომ ღამით, როდესაც მარტოკა დარჩებოდა მეგობრებთან, მოჰყვებოდა ხოლმე ხმის კანკალით სხვადასხვა ამბებს, მაგრამ მაშინაც დიდი სიფრთხილით სანთლებს აქრობდა, "ბნელაში ჯობიაო". ასე წელგატეხილი მოვიდა იგი საქართველოში.

ა. ორბელიანი პირადი სამეურნეო საქმეებით იყო დატვირთული, ცდილობდა სოფლის მეურნეობაში ტექნიკური გაუმჯობესება შეეტანა. მაგრამ საზოგადოებრივ საქმიანობაზე მას ხელი არ აუღია. ა. ორბელიანმა კვლავ ხელი მიჰყო მწერლობას და საზოგადოებრივ – კულტურულ მოღვაწეობას. მისი დახმარებით აღსდგა ჟურნალი "ცისკარი", იგი მონაწილე იყო იმ შეკრებებისა, სადაც ქართული თეატრის აღდგენის საკითხი შემუშავდა, იგი მოითხოვდა, ქართული გაზეთის დაარსებას, სკოლების გახსნას და სხვ.

ვორონცოვის მმართველობით უკმაყოფილო იყო ა. ორბელიანი. სწამდა, რომ მეფის ამ ბოზოლა მოხელეს "ცბიერად სურდა ჩვენი წახდენა". ა. ორბელიანი ახალი ცხოვრებით გართულ თავადაზნაურობას აფრთხილებდა, რომ მისი მმართველობისადმი კრიტიკული თვალსაზრისით შეეხედა. თუ ჩვენ, წერდა ორბელიანი, ვორონცოვის მიმართულებას გავყვებით, ისეთ მდგომარეობამდე მივალთ, რომ ბოლოს იტყვიან: "ერთ დროს აქ ამ ქვეყანაში ქართველები ცხოვრობდნენ". ა. ორბელიანის ამ სიტყვებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ქართველი თავადაზნაურობა მოხიბლული იყო ვორონცოვის "ცბიერი" პოლიტიკით და მრავალი მათგანი მეფის წყობილებისადმი უდიდეს ერთგულებას იჩენდა.

ა. ორბელიანმა ჟურნ. "ცისკარში" გამოაქვეყნა პუბლიცისტური წერილები. ამ წერილებს მაშინდელი ვითარების შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. წერილში "უწინდელი დროის ბატონყმობა საქართველოში" (დაიბეჭდა "ცისკარის" 1859 წლის ნოემბერში) მან ის აზრი გამოხატა, რომ ძველ ფეოდალურ საქართველოში ბატონყმობა "მამაშვილურ" ურთიერთობაზე იყო აგებული.

1958 წლის "ცისკარში" ა. ორბელიანმა დაბეჭდა სტატია "ჩვენი საქართველოს საზოგადოება", რომელშიაც იგი წერს: "ჩვენ უძლიერეს რუსეთს უპყრივართ სამოცი წელიწადია, იქიდან აქამომდე რავდენს

კარგს მაგალითებსა ვხედავთ აწინდელს დროის ვაჭრობისას ან შემამატებას. მაგრამ ვერა ვისწავლეთ რა და შორს დავრჩით ყველაზედ. ნუ გგონია კარგი იყოს ეს, არა, ეს ამგვარი ჩვენი უწესო ცხოვრება, ანუ ქცევა, იმას მოასწავებს, ბოლოს ასე გავღარიბდეთ, რომ დარიბ გლეხკაცებზედ უფრო მომეტებით, თუ ვაჭრობისათვის არა ვიფიქრებთ”.

მწერალი ბატონყმური საქართველოს ხსნას კლასთა შორის შეთანხმებაში, ვაჭრობის განვითარებასა და განათლების გავრცელებაში, ეროვნული ბურჟუაზიის შექმნაში ხედავს. მას განსაკუთრებით აშინებს საქართველოში სომხური ბურჟუაზიის გავლენის ზრდა. იგი ამავე წერილში დარიგებას იძლევა, რათა თავადაზნაურობამ მიჰბადოს თავად ივანე მუხრანბატონს, რომელიც სხვადასხვა გზით მოხერხებულად ზრდიდა თავის ქონებას.

ა. ორბელიანის მისწრაფებები რომ უფრო ნათელი იყოს, ჩვენ აქ მოვიყვანთ მის მიერ 1861 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული წერილის წინასიტყვაობის ერთ ნაწილს: ”წარსულ წელიწადს, - წერს ა. ორბელიანი, - ”ცისკარში” დაბეჭდილ ჩემს აღწერაში წაიკითხავდით უწინდელს ჩვენ ბატონყმობას და იმ უწინდელს ჩვენ უმანკობას ახლანდელი ევროპული სრული განათლება ზედ რომ დაერთოს და ერთ ზნეობად გადაკეთდეს, მაშინ იტყვიან: ”აი, ზეციური ცხოვრება ქვეყანაზე გადმოვლენილიო”. აქაც ა. ორბელიანი ”უწინდელ ბატონყმობის”, ”ევროპული განათლებისა” და ”ვაჭრობის” შეზრდას მოითხოვს. ამ ”ახალი ცხოვრების” მეთაური, მისი აზრით, კვლავაც თავადაზნაურობა უნდა დარჩეს.

ცნობილია, რომ ა. ორბელიანი თაობათა შორის უთანხმოებისას თავისი მსოფლმხედველობით ე. წ. ”ძველი თაობის” მხარეზე იდგა. იგი თავისებურად აღიარებდა ”სამი სტილის თეორიას” და ქართულ ენას ყოფდა სამ ნაწილად: ”საღმრთო წერილად ანუ ეკლესიურად, დარბაისელთ უბნობად და ... გლეხკაცების ენად”. ა. ორბელიანი ერთმანეთს უპირისპირებს ”დარბაისლურსა” და ”გლეხურ” სასაუბრო ენას. ბოლოს იმ დასკვნამდე მიდის, რომ ისეთი მაღალი საგნისათვის, როგორც მწერლობა, მდაბიოთა ენა ხალხის ენა შეუფერებელია, მხატვრული ნაწარმოები უნდა იწერებოდეს მაღალფარდოვანი, ”საამო” დარბაისლური ენით, რომლითაც მაღალი ფეოდალური არისტოკრატია ლაპარაკობდა. აქედან ჩანს, რომ ა. ორბელიანი ქართულ ენას წოდებათა მიხედვით ანაწილებდა, თითქოს არსებობდა სასულიერო, თავადაზნაურული (”დარბაისლური”) და გლეხური ენა. ეს შეხედულება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

აღსანიშნავია, რომ მაშინ, როდესაც ბატონყმობის შესახებ ქართველ მემამულეთა ”ჰაზრების შეკრება” მიმდინარეობდა, თვით ა.

ორბელიანს ოფიციალურად გამოთქმული აქვს თავისი დამოკიდებულება ბატონყმობის მიმართ. იგი მოითხოვდა, რომ "ადგილი ბატონის საკუთრება არის", "ყმები უმიწოდ" უნდა განთავისუფლდეს, ამასთან ამ ცარიელი თავისუფლების გამოსყიდვით.

\* \* \*

ა. ორბელიანი თავისი დროის სოციალურ საკითხებსაც შეეხო. ამ მხრივ საინტერესოა მისი პიესა "ჟამნი მეფობენ", რომელიც მას 1866 წელს დაუწერია.

ცნობილია, რომ ქართველი თავადაზნაურების დიდი უმრავლესობა საქართველოში საგლეხო რეფორმების გატარებას მტრულად შეხვდა. ისინი, მიჩვეულნი სხვისი შრომით ცხოვრებას, თავიანთი პროექტებით იცავდნენ ბატონყმურ სისტემას და უკიდურეს შემთხვევაში თანახმა იყვნენ გლეხობის უმიწოდ განთავისუფლებისა. მართალია, ზოგიერთნი ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდნენ და თავიანთი გამოსვლებით მხარს უჭერდნენ ბატონყმობის მოსპობას, ყმათა მიწით განთავისუფლებას, მაგრამ მათი რიცხვი საქართველოში ძალიან მცირე იყო. რეაქციულად განწყობილი მებატონეების ასეთ პიროვნებებს სასიკეთოდ სდევნიდნენ. ისინი გულუბრყვილოდ ფიქობდნენ, რომ თავიანთი გამოსვლებით ბატონყმურ ცხოვრებას კვლავ შეინარჩუნებდნენ. ეს მაშინ, როცა 1861 წლის 19 თებერვლის დებულების მიხედვით რუსეთში საგლეხო რეფორმა გატარებული იყო და საქართველოში კი მისი გატარებისათვის სამზადისი მიმდინარეობდა.

პიესაში "ჟამნი მეფობენ" მხატვრულ სურათებში გადმოცემულია საგლეხო რეფორმებისათვის სამზადისის პერიოდი. ნაწარმოებში ნაჩვენებია ისიც, თუ როგორ სარგებლობდნენ მეფის მოხელეები ბატონისა და ყმის კლასობრივი წინააღმდეგობებით.

პირველ მოქმედებაში ა. ორბელიანი გამოხატავს მებატონეთა დამოკიდებულებას საგლეხო რეფორმისადმი. თბილისში მოხუცი მებატონის, ადამის, სახლში თავს იყრიან სხვადასხვა მისწრაფებების მქონე თავადაზნაურთა წარმომადგენლები. ზოგიერთი მათგანი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ბატონყმური ცხოვრება უნდა მოსპოს.

მოხუცი თავადის, ადამის აზრით, თანამედროვე ბატონყმურ საქართველოში სიყვარული სიძულვილმა შეცვალა. ბატონყმობა,



რომელიც წარსულში ყმასა და ბატონს შორის სიყვარულის ხიდსა სდებდა, აჟამად მის ჩატეხვას უწყობს ხელს, რადგან ”ზოგიერთმა მებატონემ ჩვენი გლეხი კაცები სულ წახდინეს, უკანასკნელი სულიც უნდა ამოართონ იმ ღვთის მტრებმა”, ”მებატონეებსა და ყმებს შორის დიდი სისხლია ჩამოვარდნილი”. თავადი ელიზბარი მიუთითებს კონკრეტულ მაგალითებზედაც, თუ მებატონემ უსაფუძვლოდ როგორ დაარბია ერთი გლეხი, ”ისე რომ, იმის სახლში დაგლეჯილი ფარდაგიც აღარ გაუშო”, ხოლო მეორე მებატონემ იმის გამო, რომ ფული ესაჭიროებოდა, რამდენჯერმე ყმებს შეაწერა გადასახადი, ” გლეხი იძულებული შეიქმნა ოჯახიდან უკანასკნელი სპილენძეული გაეყიდა”. თავად ელიზბარს მარჩენალი ხარები წაურთმევია ყმისათვის და გაუყიდა. ასეთი მაგალითები სხვაც ბევრი ყოფილა. მაგრამ ადამისა და ელიზბარის აზრით, ამაში, პირველ ყოვლისა, დამნაშავეა მეფის მთავრობის მიერ შექმნილი ახალი წყობილება, რომელმაც ქართველი თავადაზნაურობა ფუქსავატ ცხოვრებას მიაჩვია, გააღატაკა და გარყვნა.

მაგრამ ადამს ბატონყმობის გაუქმება უსამართლობად მიაჩნია, ამიტომაც აღნიშნავს: ”ძლიერება მოვიდაო და სამართალი ბადიდან ავიდაო”. რა აზრისაა ბატონყმობაზე თავადაზნაურთა ის ნაწილი, რომლის წარმომადგენელიც პიესაში ადამია? ისინი ფიქრობენ, რომ მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს. საქართველო კვლავ უნდა დაუბრუნდეს იმ ”ძველი დროის ბატონყმობას”, როდესაც, მათი აზრით, ყმასა და ბატონს ”მამაშვილური” ურთიერთობა ჰქონდათ.

სცენაზე შემოდიან სხვა თავადები. ისინი ამ ახალი ვითარების გამო ძალიან დამწუხრებულნი არიან. მათ შეშფოთებით აღნიშნავს, რომ ”წუხელის კინაღამ მოსამსახურეები და მოახლეები გაგვექცნენ. საჩქაროთ ჩემმა ქმარმა პოლიციას შეატყობინა, იმათ არ გაუშვეს, თორემ უკერძოთ დავრჩებოდით, სუფრის გამშლელი აღარ გვეყოლებოდა”. აქვე ა. ორბელიანს თავადთა წრიდან წარმოდგენილი ჰყავს მაშინდელი ”განათლებული ახალგაზრდები”, რომლებიც უპირისპირდებიან ძველ თაობას. ისინი სიხარულით ეგებებიან ბატონყმობის გაუქმებას. ძველი თაობა მათ უყურებს, როგორც ფუქსავატ ადამიანებს, რომლებიც არ იცნობენ საქართველოს სინამდვილეს და, საერთოდ, ზერელედ მსჯელობენ.

ამ დროს ირკვევა, რომ ბატონყმობის გაუქმების პროექტს ადგენს ვინმე დავითი. მებატონეთა აღელვებული ბრბო ადამის სახლიდან გარბის, რომ მათი დამპყრობელი დავითი სახლიდან ”ჩამოათრიონ და მოჰკლან”, თუმც მათ არც კი იციან, თუ რა ხასიათისაა ეს პროექტი. ისინი ყველას მტრად თვლიდნენ, ვინც ბატონყმობის ყოფნა –

არყოფნაზე მსჯელობდა და მისი ამათუ იმ ფორმით გაუქმებაზე ფიქრობდა.

მეორე მოქმედებაში ა. ორბელიანი წარმოადგენს მოხუცი ყმაგლეხის ოჯახს. თუ პირველ მოქმედებაში წარსული ბატონყმური ცხოვრების მოტრფიალედ გამოყვანილია მოხუცი თავადი ადამი, აქ ასეთივე მისწრაფებების გამომხატველია მოხუცი ყმა გოგია. ეს უკანასკნელიც ბატონსა და ყმას შორის კვლავ ჰარმონიული დამოკიდებულების დამყარებაზე ოცნებობს.

გლეხის ოჯახი სიხარულს განიცდის იმის გამო, რომ ბატონყმობა უნდა გაუქმდეს. ეფემია თავადების მიმართ დაცინვით ამბობს, რომ იგი, განთავისუფლებული ყმა, "მოირთვება და თავისი ბატონის სახლის წინ ეტლით ჩაივლის", მათ გამოსაჯავრებლად. მისი ქმარი გაბრიელი კი უფრო თამამად ილაშქრებს ბატონის წინააღმდეგ, მაგრამ, მწერლის აზრით, ყველა ყმა ასეთსავე სიხარულს როდი განიცდის ბატონყმობის გაუქმების გამო. ყმა ნიკოლა ბატონების წინაშე მლიქვნელობს. იგი იმ აზრს გამოთქვამს, რომ თვით გლეხობა არის დამნაშავე, რომ ბატონი და ყმა ერთმანეთს სცილდებიან.

თვით ოჯახის მეთაურნი, მოხუცი ყმა გოგია და მისი მეუღლე ეფემია, განაწყენებული არიან იმის გამო, რომ მათი ოჯახის ზოგიერთი წევრი ცუდ დამოკიდებულებას იჩენს ბატონის მიმართ. გოგია მათ მოაგონებს, თუ როგორ "მამაშვილურად" ეპყრობა მას ბატონი.

როდესაც გოგია და მისი სახლობა საუბრობენ, სახლში შემოიჭრება ბატონი ბეჟანი, რომელსაც უკან მოსდევს რუსი ჩინოვნიკი "პაველ პეტროვიჩი" და იასაულები. იგი რუს ჩინოვნიკს მიუთითებს, რათა ურჩი ყმა გაბრიელი დააპატიმრონ, მან საჯაროდ შეურაცხყო ბატონიო. ამ სცენაში აშკარად ჩანს, როგორ უხარია ჩინოვნიკს ბატონსა და ყმას შორის წინააღმდეგობა. მაგრამ მდგომარეობა იცვლება, როდესაც საქმეში ჩაერევა ბატონის ერთგული ყმა, გაბრიელის მოხუცი მამა – გოგია. იგი თავის ბატონს მოაგონებს, თუ როგორი სიყვარული არსებობდა მათ შორის, როგორი თავდადებით უყვარდათ ბატონსა და ყმას ერთმანეთი.

ბატონის გული მოაღბო ერთგული ყმის სიტყვებმა. ბეჟანმა ყმის წინაშე ცრემლები გადმოყარა იმის გამო, რომ ახალ დროში ბატონსა და ყმას შორის წინააღმდეგობებმა იჩინა თავი, სიყვარული სიძულვილით შეიცვალა. მეფის მოხელე "პაველ პეტროვიჩს" კი ხელს არ აძლევს ბატონისა და ყმის შერიგება.

მწერალი აქ ხაზს უსვამს თავის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ წოდებათა შორის წინააღმდეგობა, კლასობრივი ბრძოლა ვნებს საერთო საქმეს და ამით ისინი სამსახურს უწევენ მეფის მთავრობის

მოხელეებს, რომლებიც, სარგებლობენ რა ამ წინააღმდეგობებით, ძარცვავენ გლეხობას და თავადაზნაურობას.

ა. ორბელიანმა ბატონი და ყმა, ბეჟანი და გაბრიელი, შეარიგა, თითქოს ამ გზით შესაძლებელი იყოს იმ დიდი წინააღმდეგობის მოხსნა, რომელიც ბატონსა და ყმას შორის არსებობდა.

მესამე მოქმედების დასაწყისში სტეფანეს სახით ა. ორბელიანი წარმოადგენს პორტრეტს ისეთი ბოროტი ადამიანისას, რომელიც ცდილობს ბატონი და ყმა ერთმანეთს წაჰკიდოს, მათ შორის მტრობა დათესოს.

შემდეგ თბილისის სავაჭრო მოედანზე შემოდიან ყმა ნიკოლა და ვაჭარი ქიტესა, მათ დიალოგში ა. ორბელიანი იმ აზრს გამოხატავს, რომ უბატონოდ დარჩენილი გლეხი ხელში უვარდება ვაჭრებს. ამიტომ, მისი აზრით, "განთავისუფლებული" გლეხი საჭიროა გამოფხიზლდეს და ჩაუკვირდეს თავის მდგომარეობას, რომ "უპატრონოდ" ანუ უბატონოდ დარჩენილი საჯიჯგნი არ გახდეს, ერთ მხრივ, ვაჭრობის, ხოლო, მეორე მხრივ, ბიუროკრატი მოხელეებისა.

საგულისხმოა, რომ მწერალი გვიხატავს მათხოვრად ქცეულს, გაუბედურებულ ყმას პეტრეს. რამ მიიყვანა იგი ამ მდგომარეობამდე? მოურავს დაურწმუნებია ბატონი, თითქოს იგი ურჩი ყმა იყოს, ვითომ მას სურს გასცილდეს თავის ბატონს. ამის გამო განრისხებულ თავადს დაუწიოკებია პეტრეს ოჯახი, ყმას მიუტოვებია დარბეული სახლ – კარი და გაქცეულა. ახლა ჩვენს წინ დგას დასნეულებული, მათხოვრად ქცეული ყმა, პეტრე.

სასაფლაოზე მათხოვარ პეტრეს შემთხვევით წააწყდება ბატონის ქალიშვილი – ანგელიკა, რომელიც პიესაში წარმოდგენილია, როგორც დიდად ჰუმანური და ყმების მოსარჩლე.

საინტერესოა, როდესაც ანგელიკა დასნეულებულ პეტრეს ბატონყმობის გაუქმებას ახარებს, ბატონისაგან გაუბედურებულ ყმას ეს სრულიადაც არ ჰგვრის სიხარულს. იგი ა. ორბელიანს წარმოდგენილი ჰყავს, როგორც "კეთილი" და "გულჩვილი" ყმა. პეტრე წუხს "ღარიბ მებატონეებზე", რომლებსაც ყმები აღარ ეყოლებათ და "ლუკმა პურიც გაუწყდებათ". ამას გარდა, მას არ სურს ბატონი და ყმა ერთმანეთს დასცინოდნენ, რადგან ამით დაირღვევა "ერთობა და სიყვარული ქართველისა".

ანგელიკა მხარში ამოუდგება დასნეულებულ პეტრეს, გაქცეული ყმა უბრუნდება მიტოვებულ ოჯახს. ამის შემხედვარე "ახლანდელი განათლებული ახალგაზრდობა" შემახილებით მიმართავს ბატონის ასულს: "საქართველოს დედავ, დედავ, აი ჩვენი დედა ანგელიკა! ახლა

ჩვენც შეუდგეთ კეთილ აზრებს, ჩვენის ქვეყნის, ჩვენი ხალხისთვის, გასწით ჩქარა კეთილსა აზრისათვის. ჟამნი მეფობენ”...

ანგელიკას და პეტრეს დამოკიდებულებას პიესაში ავტორი მაგალითად წარმოუდგენს თავისი დროის საზოგადოებას. მწერლის აზრით, განათლებული ახალგაზრდობა მათ გზას უნდა გაჰყვეს.

ა. ორბელიანი პიესის ბოლო მოქმედებაში აღნიშნავს, თუ საიდან შექმნა მან თავადის ქალის ანგელიკას პორტრეტი. იგი წერს: ”რაც თვისება აქ სწერია ამ ქალისა მე ამისთანა ქალი ვიცი, მაგრამ შესაწუხებლად აღარ არის და ამისთანა კაციც ვიცი, ბატონისაგან აკლებული. გარდა ამეებისა, ეს მთელი თხზულება ჩვენში არის მოკრეფილი და აქ რიგზედ შეწყობილი. თუ რომ ნამდვილიდგან გადავსულვარ რასმე, დიახ ცოტას, მცირეს, ისიც ფრაზები სურათისათვის, რომელიც უამისოდ არ იქნებოდა, თორემ აქ ხსენებულ საგნებს, ანუ აზრებს და ანუ საქმეებსა, ვიცი ჩვენში გაუვლია.”

ა. ორბელიანი ამით აღნიშნავს, რომ სცენებში მან მაშინდელი ბატონყმური სინამდვილე გადმოქცვა. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ნაწარმოებში მართლაც არის ცხოვრებიდან აღებული მომენტები, მაგრამ მწერალი მათ ტენდენციურად აშუქებს.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ქართველი თავადაზნაურების უმრავლესობა ბრძოლას უცხადებს ყველას, ვინც ბატონყმობის ამა თუ იმ ფორმით ”გაუქმებას” მხარს უჭერდა. პიესაში ცოცხლად არის გადმოცემული გონებრივად ჩამორჩენილი და გაბოროტებული მებატონეების უკანასკნელი გაბრძოლება ბატონყმობის დასაცავად. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა უკანასკნელი მოქმედება, როდესაც მებატონეთა ბრბო მიუვარდება ბატონყმობის ”გაუქმების” პროექტის შემდგენელს, დავითს, ტომით ქართველს (ეს დავით დიმიტრი ყიფიანი უნდა იყოს). ცნობილია, რომ სწორედ დ. ყიფიანს დაავალეს ბატონყმობის ”გაუქმების” პროექტის შედგენა. მიუხედავად ამისა, რომ ეს პროექტი მებატონეთა ინტერესებს გამოხატავს, ქართველი თავადაზნაურების დიდი ნაწილი დ. ყიფიანის უკმაყოფილო იყო, რადგან მას ისინი, როგორც ბატონყმობის ”გაუქმების” პროექტის შემდგენელს, თავიანთ მტრად თვლიდნენ. ისტორიულადაც ცნობილია, რომ ქართველმა თავადაზნაურობამ დიმიტრი ყიფიანი აიძულა ხელი აეღო პროექტის შედგენაზე. ხოლო მაშინდელ ხელისუფალთა და თავადაზნაურთა ერთი ჯგუფის თანხმობის შემდეგ იგი კვლავ შეუდგა პროექტის შედგენას. ზემოაღნიშნული სცენები სავსებით შეეფერება ისტორიულ სინამდვილეს.

მაშინდელი ცხოვრებიდანაა აღებული სცენებში გამოხატული პერსონაჟების უმრავლესობა. ისინი გამოკვეთილ პორტრეტებს წარმოადგენენ, მათი მეშვეობით ჩვენ შევიცნობთ ბატონყმური ცხოვრების უარყოფით მხარეებს.

ა. ორბელიანი ილაშქრებს ყმებისადმი ცუდი დამოკიდებულების წინააღმდეგ, ყმაგლეხობის შემავიწროებელ მეზატონებს გვისურათებს, როგორც ბოროტ ადამიანებს. ასევე გმობს იგი ბატონების წინააღმდეგ ყოველგვარ ბრძოლას. ა. ორბელიანი სრულიადაც არ თანაუგრძნობს იმ ყმებს, რომლებიც აჯანყებას აწყობენ და იბრძვიან თავისუფლებისათვის. ამგვარი ხასიათის ბრძოლას მწერალი გმობს. მისი იდეალია მოხუცი ადამი და ანგელიკა, თვინიერი ყმა პეტრე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ანგელიკა თავისი მისწრაფებებით მოგვაგონებს "მონანიე აზნაურს", რომელიც შემდეგ ქართულ მწერლობაში (ეკ. გაბაშვილი) უფრო სრული სახით ჩამოყალიბდა.

აშკარაა, რომ ა. ორბელიანი ამ დრამატულ ნაწარმოებში გამოხატული მისწრაფებებით უპირისპირდებოდა დ. ჭონქაძის, ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის იმ მიმართულებას, რომელიც მათ ბატონყმობის შესახებ თავიანთ ნაწარმოებებში განავითარეს. დ. ჭონქაძის "სურამის ციხის" შესახებ ა. ორბელიანმა წერილიც კი დაწერა სათაურით "დასტურს დასტური", რომელშიც ის აზრი განავითარა, რომ "სურამის ციხეში" გამოხატული ბატონყმური ცხოვრება სინამდვილეს არ შეეფერება, ბატონსა და ყმას შორის მაშინ ასეთი ბრძოლა არ წარმოებდა.

ა. ორბელიანის დრამა "ჟამნი მეფობენ" თავისი იდეური მიმართულებით უპირისპირდება ილიას ნაწარმოებს – "გლახის ნაამბობს". აღსანიშნავია, რომ ორივე ნაწარმოებში ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლ ყმას ჰქვია გაბრიელი. ოღონდ ა. ორბელიანის გაბრიელი ქედს იხდის ბატონის წინაშე, ხოლო "გლახის ნაამბობის" გაბრიელი შეურიგებელია ბატონთან. ახლა ამ მხრით ჩავუკვირდეთ ა. ორბელიანის მიერ ამ დრამატულ ნაწარმოებებში გამოყვანილ მეორე ყმაგლეხს, პეტრეს. როგორც აღვნიშნეთ, ბატონმა მისი ოჯახი დააწიოკა, აიძულა იგი თავის სახლიდან გაქცეულიყო და პატიოსანი მშრომელი, აწ დასწეულელებული, მათხოვრად ქცეულიყო. ძნელი არაა შეამჩნიოთ, რომ პეტრეს თავგადასავალი ერთგვარად მოგვაგონებს "გლახის ნაამბობის" გაბრიელის თავგადასავალს. მაგრამ ისინი სულ სხვადასხვა ხასიათის ადამიანები არიან. პეტრე შეურიგდა თავის ბატონს, ბატონყმურ ცხოვრებას, დაუბრუნდა ოჯახს, გაბრიელი კი ჰკლავს თავის დამღუპველ ბატონს და ემიჯნება ბატონყმურ ცხოვრებას.

აქ შეიძლება გავიხსენოთ აგრეთვე ნიკოლას ("ჟამნი მეფობენ") ნათქვამი: "კარგი მებატონე კარგია და ცუდი ღმერთმა შეინახოს", ახლა მოვუსმინოთ ყმას "კაკო ყაჩაღიდან", ზაქრო ასე ახასიათებს ბატონს: "თავადის შვილი კარგი რა არის, ავი რა იყოს". ცხადია, აქ ორ მოპირდაპირე მსოფლმხედველობასთან გვაქვს საქმე. "გლახის ნაამბობის" მეორე თავში გაბრო გადაჭრით ამბობს, რომ "ბატონყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება". ცხადია, ბატონყმური ცხოვრების გაგებაში ა. ორბელიანი და ი. ჭავჭავაძე ერთმანეთს უპირისპირდებიან.

ა. ორბელიანი ფიქრობს, რომ კლასებს შორის სიყვარული არის ის მთავარი საფუძველი, რომელმაც ბატონი და ყმა ერთმანეთთან "მამაშვილურად" უნდა შეაკავშიროს. ამიტომაც იგი თავის მხატვრულ თუ პუბლიცისტურ ნაწარმოებებში ცდილობს ერთმანეთს დაცილებული ბატონი და ყმა კვლავ დაახლოოს და ამ გზით ბატონყმური ცხოვრება გააკეთილშობილოს და შეინარჩუნოს.

საზოგადოებრივი წყობის შესანიშნავ ნიმუშად ა. ორბელიანს სავაჭრო კაპიტალიზმთან შეზრდილი, "მამაშვილურ სიყვარულზე" აგებული ბატონყმური ცხოვრება მიაჩნდა, ხოლო საქართველოს ეროვნულ მედრომედ – ქართველი თავადაზნაურობა. ასეთი თვალსაზრისია გატარებული ა. ორბელიანის მხატვრულ შემოქმედებასა და პუბლიცისტურ – კრიტიკულ წერილებში.

\* \* \*

ა. ორბელიანი საქართველოს წარსულს რომანტიკოსის თვალსაზრისით უყურებს. მისი ისტორიული დრამები თავისი იდეური და მხატვრული მიმართულებით რომანტიკული დრამებია. ამ ნაწარმოებებში მოცემულია წარსული ფეოდალური საზოგადოების იდეალიზაცია. ამავე დროს ა. ორბელიანის შემოქმედებაში მაღალი ფეოდალური წრის წარმომადგენელნი ავტორის მისწრაფებებს გამოხატავენ. რელიგიური მოტივები, პათეტიკური ხასიათის მონოლოგები, რიტორიკული სტილი ამ ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელია.

ა. ორბელიანის რომანტიკული დრამები ("დავით აღმაშენებელი", "ირაკლი მეორის დრო...") თავიანთი მხატვრული აღნაგობითაც უპირისპირდება კლასიციკური დრამის პრინციპებს. მის დრამებში უარყოფილია ადგილის, დროისა და მოქმედების ერთიანობის კანონი. "დავით აღმაშენებელში" ერთგვარად შერეულია ტრაგიკულთან კომიკური. ა. ორბელიანის დრამები თავისი შინაარსით ჰეროიკული ხასიათისაა, მაგრამ დრამაში "ბატონიშვილის ირაკლის პირველი

დრო” შეიმჩნევა სენტიმენტალური ხასიათის განწყობილებები. ყოველივე ეს დამახასიათებელი იყო რომანტიკული დრამისათვის.

რაც შეეხება ა. ორბელიანის დრამატურგის ენას, შეიძლება ითქვას, რომ იგი არ არის არქაული, რადგან დრამატული ნაწარმოების ბუნება ისეთია, რომ იგი არქაულობას ვერ ითმენს. ამ მხრივ ა. ორბელიანის დრამატურგის ენა განსხვავდება მისი ადრეული დროის ლექსების ენისაგან, რომელიც საკმაოდ მძიმეა.

ა. ორბელიანი ”დავით აღმაშენებლის” ბოლოსიტყვაობაში წერს, რომ ეს ოთხმოქმედებიანი პიესა, თუ საჭიროდ დაინახონ, შეიძლება ”სამ მოქმედებად წარმოადგინონ”, მაგრამ ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობა ა. ორბელიანის დრამატული ნაწარმოებების სცენაზე დადგმის შესახებ. ”დავით აღმაშენებელი” ისეთ დროს არის შექმნილი, როდესაც საქართველოში მუდმივი თეატრი არ არსებობდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ა. ორბელიანის ისტორიული პიესები საკითხავ დრამებს წარმოადგენს. განსაკუთრებით ეს ითქმის ”დავით აღმაშენებელზე”, რომელშიც 40 მოქმედი პირია გამოყვანილი და მასიურ სცენებშიაც ორასამდე ადამიანი მონაწილეობს. ამავე დროს მოქმედებები იმგვარადაა გამართული, რომ მაშინდელ სცენურ პირობებს არ ითვალისწინებს.

საქართველოში ორმოციან წლებში ნაწარმოებები ხშირად ხელნაწერების საშუალებებით ვრცელდებოდა. ჩვენ მოგვეპოვება რამდენიმე ცნობა იმის შესახებ, რომ მაშინდელ თავადთა ოჯახებში ა. ორბელიანის დრამები პოპულარობას არ იყვნენ მოკლებულნი. ა. ორბელიანი თავის მოგონებაში აღნიშნავს: ”ჩემი ტრადედია ”ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო, ანუ თავდადება ქართველებისა” ”ცისკარში” რომ გამოვეცი, იმაზედ ხომ რამდენი მადლობა იყო, რამდენი გულმომობიერი ცრემლი დაბნეულიყო იმის წაკითხვაზე. ერთს დარბაისელთან გ... მივედი სანახავათ, კარების გაღების უმაღლ დამიძახა: ”ეს რა გვიყა, რომ შენმა ირაკლის ტრადედია იმდენი გვატირა? მე ჩემის მხრით მადლობას გეტყვი...” ამასთანავე ცრემლები მოერია თვალებში. რამდენმა კიდევ ბევრმა მითხრეს ამ გვარათ<sup>[4]</sup>. შესაძლებელია, რომ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში გაზ. ”დროების” თანამშრომელს, როდესაც ა. ორბელიანის ”ბატონიშვილის ირაკლის პირველ დროს” ცალკე წიგნად გამოცემის გამო წერდა: ”ეს ტრადედია სავსეა ნამდვილის გრძნობითა და მამულის სიყვარულით. როგორც ტრადედია კი ეს თხზულება სუსტია, თუმცა შიგადაშიგ სწორეთ ხელოვნური და დრამატული სცენები ურევია; მაგიერად წაკითხვის დროს მკითხველი ნამდვილ სიამოვნებას იგრძნობს”<sup>[5]</sup>. ჩვენი აზრით, ა. ორბელიანის პიესები ”საკითხავ დრამებს” წარმოადგენს.

ა. ორბელიანმა უარყო ფსევდო – კლასიკური დრამატურგია, რომელიც ჩვენში ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ბოლო წლებში და შემდეგ XIX საუკუნის პირველ ნახევარში უმთავრესად თარგმანების გზით შემოვიდა. ა. ორბელიანი ქართული დრამატურგიის ისტორიაში რომანტიკული დრამის შემქმნელია. მას ამ მხრივ საქართველოში წინამორბედი არ ჰყავდა.

ა. ორბელიანი თავისი შემოქმედებით ამხელდა საქართველოში მეფის მთავრობის პოლიტიკურ სისტემას. იგი თანამიმდევრულად იცავდა საქართველოს ეროვნული თავისუფლების იდეას. ეს მისი დამსახურებაა. ახალ ცხოვრებასთან, სავაჭრო კაპიტალიზმთან შეზრდილი ”მამაშვილური” ბატონყმობა იყო მისი იდეალი. ამით იგი ცხოვრების განვითარებას უკან ეწეოდა. ეს იყო მისი შემოქმედების ნაკლი.

---

<sup>[1]</sup> “სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი”, 1832, N 2.

<sup>[2]</sup> ჟურნ. “ცისკარი”, 1860 N 2.

<sup>[3]</sup> პიესა “დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ჟამი საქართველოსი” 1891 წელს ცალკე წიგნიდან გამოსცა ზ. ჭიჭინაძემ.

<sup>[4]</sup> ა. ორბელიანის მოგონებები, ა – 1634.

<sup>[5]</sup> გაზეთი “დროება”, N 60, 1878.

## დავით მაჩაბელი (1814 – 1873)

დავით მაჩაბელს, ნიკოლოზ ბარათაშვილის ყრმობის მეგობარს, სოლომონ დოდაშვილის მოწაფეს, 1832 წლის ქართველ თავად – აზნაურთა შეთქმულების მონაწილეთა ახლობელ თანამზრახველს, როგორც პოეტს და შემოქმედს, ნაკლებად ვიცნობთ. აღსანიშნავია, რომ თავის დროზე დავით მაჩაბელი ”პოპულარული იყო, როგორც ნიჭიერი მელექსე... რომლის ლექსი სხვა მის თანამედროვე პოეტებისაგან გაირჩევა მუსიკალობით...”<sup>[1]</sup>

დავით მაჩაბელი დაიბადა 1814 წელს სოფელ თამარაშენში. მომავალი პოეტის მამა ბარძიმ მაჩაბელი თავის დროისთვის გავლენიანი და შეძლებული მემამულე იყო. ოჯახში მიღებულ პირველდაწყებითი განათლების შემდეგ დავით მაჩაბელი სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში, სადაც დაუახლოვდა ნიკოლოზ ბარათაშვილს, მიხეილ თუმანიშვილს და სხვ. ”1832 წ. შეთქმულების მასალებიდან ირკვევა (მაჩაბელი ამ შეთქმულებაში ერია), რომ მოწაფე მაჩაბელს, როგორც ნიჭიერ ახალგაზრდას და პოეტს, პირადად ხელმძღვანელობდა თვით სოლომონ დოდაშვილი... ამავე მასალებიდან ჩანს, რომ ჯერ კიდევ ყრმა



დავითი ცხოვრობდა ცნობილ მწიგნობარ ეფრემ ალექსი - მესხიშვილთან”<sup>[2]</sup>.

საინტერესოა რომ გიმნაზიის მოწაფე – დავით მაჩაბელი – მონაწილეობდა შეთქმულთა საქმიანობაში და მის ლექსებს შეთქმულნი თავიანთ კრებებზე კითხულობდნენ.

1832 წელს სოლომონ დოდაშვილის ხელმძღვანელობით არსებულ ”თბილისის უწყებების” სალიტერატურო ნაწილში გამოქვეყნდა დავით მაჩაბლის ლექსი ”თოვლი”, რომელიც საინტერესოა როგორც თავისი მხატვრობით, ასევე იდეური ჩანაფიქრით. ლექსში ავტორი გვიხატავს ზამთრის ალეგორიულ სურათს. ნაჩვენებია, თუ როგორი ძალმომრეობით სპობს მკაცრი ზამთარი შემოდგომას, თუ როგორ ”წარუღო მან ნაყოფთა სრულად ძალია”, როგორ ”მოსძრა, მოწვა და გალია” მთისა და ველის ყვავილები. ასეთია ამ სოფლის ბუნება, იგია ”შემცვლელი მიწყვივ სახისა... ბრწყინვალედ შემმოსი, სხვისი ჩამცმელი თალხისა”. ძალადობა, ძლიერისაგან სუსტის ჩაგვრა, დამორჩილება და უსამართლობა პოეტს აქვს გამოხატული ლექსის შემდეგ სტრიქონებში:

ძლიერი მძლავრობს მას ზედა, ვისოდენ თვით მოერევის.

მაღალს სხვა მაღლობს, თანდისთან ზედ მოდის, ცაში ერევის,

მუნ ღვთისა სწორი არვინ არს: ძალუმს მეტობა მერე ვის?

ეგრეთ ამ მძლავრსაც სხვა მძლავრობს, სხვა უმეტესი ერევის.

ამ ლექსში აშკარად გამჟღავნებულია ქვეყნად არსებული სოციალური უთანასწორობა და იგი მეზრძოლი იდეითაა გაჟღერებული. დავით მაჩაბლის აღნიშნული ლექსი გიმნაზიის მოსწავლეებმა თავიანთ ხელნაწერ ჟურნალ ”თბილისის გიმნაზიის ყვავილში” შეიტანეს.

სამწუხაროდ, ”თბილისის უწყებების სალიტერატურო ნაწილი მალე დაიზურა, შეთქმულების მონაწილენი დააპატიმრეს და გადაასახლეს და დავით მაჩაბლის მუზაც კარგა ხნით დადუმდა.

დავით მაჩაბელმა თბილისის გიმნაზია დაასრულა 1835 წელს და უბრალო მოხელედ დაიწყო სამსახური თბილისის მთავარ მმართველობაში. მალე იგი სამხედრო სამსახურში შევიდა და ერთგვარ წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ მამის გარდაცვალების გამო იძულებული იყო სამხედრო და სამოქალაქო სამსახურისთვისაც თავი დაენებებინა და სამუდამოდ სოფლად დასახლებულიყო. 1839 წლიდან იგი იშვიათად ჩამოდის თბილისში.

პირველი ლექსის გამოქვეყნებიდან ოცი წლის შემდეგ დავით მაჩაბელი კვლავ გამოჩნდა სალიტერატურო ასპარეზზე. 1852 წლის

აპრილში გიორგი ერისთავის "ცისკარში" გამოქვეყნდა დ. მაჩაბლის ლექსი "ვარდი", რომელიც იმდენად პოპულარული გამხდარა, რომ 1864 წელს განმეორებით დაიბეჭდა ივანე კერესელიძის "ცისკარში". ჟურნალის სარედაქციო შენიშვნაში აღნიშნული იყო: "ეს საგანგებო ლექსი დაბეჭდილი იყო თავად გიორგი ერისთავისაგან გამოცემულს "ცისკარში" და ჩვენ ისე მოგვწონს, როგორც სანიმუშო ქმნილება, რომ ჩვენგანით გამოცემულს ჟურნალშიაც ვბეჭდავთ, რადგან ბევრმაც ისურვა ამისი წაკითხვა. ავტორისაგან ხელმეორედ თვალგადავლებულია და ამ დღეებში მივიღევით ჩვენის თხოვნით" ("ცისკარი", 1864, N 6).

დავით მაჩაბლის ლექსი "ვარდი" "ვარდბულბულიანის" ცნობილი თემის ახლებური გამოუქებაა. წინააღმდეგ აღმოსავლურ და აქედან ქართულ პოეზიაში გავრცელებული ვარდისა და ბულბულის ცალმხრივი მიჯნურობისა, დავით მაჩაბლის სიუჟეტთან ლექსში გამოყვანილი ვარდი და ბულბული ერთმანეთის სიყვარულით სულდგმულობენ, ოღონდ შეერთებას ხელს უშლის გარეშე ძალა.

ლექსის დასასრულს ღრმა ოპტიმიზმით გამსჭვალული პოეტი აცხადებს, რომ მიჯნურთა საქმე საბოლოოდ დამარცხებული არ არის და მომავალში იგი კვლავ იჩენს თავს,

რადგან "ელის ახალსა გაზაფხულს ფესვი, ღვთით დამკვიდრებული..."

როგორც ჩანს, ვარდისა და ბულბულის ბედში ავტორი ადამიანთა თუ ქვეყნის ბედს ჰკრეტს. იგი პირდაპირ აცხადებს, რომ "ვარდი ჯერ აყვავებული, მერე გამხმარი, შიშველი, ყოვლის ფრით გამქისებული... ქვეყანასა ჰგავს". მაღალმხატვრულობასთან ერთად ალეგორიულმა ხასიათმა უდავოდ დიდი როლი ითამაშა ამ ლექსის პოპულარობაში.

დავით მაჩაბლის შემოქმედებაში ერთ – ერთი მთავარი მოტივი სიყვარულის გრძნობაა. ჟურნალ "ცისკარში" გამოქვეყნდა მისი ლექსები: "ლოცვა ტრფიალისა" (1853, N 4), "ალერსი" (იქვე). "უმანკოება" (1853, N4), "ჩემს მინერვას" (1864, N5) და სხვ. სატრფიალო ლექსებში უდავოდ იგრძნობა ბესიკისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიის გამოძახილი. დავით მაჩაბელი ამ ლექსებში მწარედ ჩივის სატრფოს განშორებას, უმდერის "წმინდას სიყვარულს, მის სიტკბოებას, ტრფობით მხნეობას". სიყვარულში იგი ისეთ ძალას ხედავს, რომელიც აგულოვნებს მას და ბრძოლის ველზე რისხვად აქცევს. თავის სატრფოს პოეტი ამგვარად მიმართავს:

შენი ტრფიალი მქმენ უძლეველად;  
კეკლუცთ, დაჩაგრულთ პატივის მცველად,  
სიბრძნის მსახურად, სიმართლის მთქმელად  
და წმინდის მცნების თავ შემწირველად.

დავით მაჩაბლის ისეთი ლექსები, როგორცაა "ქართლოს ძუელად", "კალამი", "ჩონგური", "დიდი პარასკევი", "ჩემი ლოცვა",

”პირველი მაისი” და სხვ. დიდი მოწონებით სარგებლობდნენ მის თანამედროვეთა შორის. ამ ლექსებში ავტორი ლირიკული გზნებით უმღერის სიცოცხლესა და გაზაფხულს, ქართველი ხალხის ბრძოლასა და თავდადებას სამშობლოსათვის. დავით მაჩაბელი, რომელიც, როგორც ვთქვით, მიუხედავად თავისი მცირეწლოვანებისა, მონაწილეობას იღებდა 1832 წლის ქართველ თავად –აზნაურთა შეთქმულებაში და ახლოს იყო შეთქმულებთან, რადიკალურად იცვლის თავის შეხედულებას და ამკარად ქადაგებს საქართველოსა და საერთოდ მთელს კავკასიაში რუსეთის დამკვიდრებას. ამ საკითხისადმი მიძღვნილ მის ნაწარმოებებში ნათლად ჩანს ავტორის სურვილი – გაამართლოს რუსეთის მეფის არმიის მოქმედება და გვერდი აუაროს უარყოფითი მხარეების ჩვენებას. ამ მხრივ ნიშანდობლივია დავით მაჩაბლის ვრცელი ლექსი ”ქართლოსი” და პოემა ”მთიული”.

ლექსში ”ქართლოსი” ავტორი იგონებს ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულს, ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ როგორ დაიღალა ქართლოსი გამუდმებულ ბრძოლებში და როგორ ამოუდგა მას მხარში ერთმორწმუნე რუსეთი, რომელმაც იხსნა იგი დაღუპვისაგან. რუსი და ქართველი ეხლა ერთად იბრძვის მტრების წინააღმდეგო.

პოეტი აქ, რასაკვირველია, გამოხატავს იმ საზოგადოების აზრს, რომელიც რუსეთ – საქართველოს ურთიერთობაში პროგრესულ მხარეს ხედავდა.

განსაკუთრებით საინტერესოა დავით მაჩაბლის ისტორიული პოემა ”მთიული”, რომელშიაც აღწერილია რუსეთის ჯარების მიერ ჯიქეთის დაპყრობა, კერძოდ, ადლერის აღება. პოემის მიზანია გაამართლოს რუსეთის შემოჭრა კავკასიის მხარეში, რამდენადაც მას, ავტორის რწმენით, შემოჰქონდა ევროპული კულტურა.

ნაწარმოების მთავარი გმირია ახალგაზრდა ჯიქი, სოსლან –ბაია, რომელსაც გამოუვლია მრავალი ტანჯვა - წამება, ტყვეობა, უცხოობა და საბოლოოდ სამშობლოში დაბრუნებულა.

სოსლანი თავის სამშობლოს უსაზღვრო პატრიოტია. იგი თავდადებით იბრძვის ჯიქეთის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ამასთან, პირველსავე ბრძოლებში დამარცხების შემდეგ მას უმიზნოდ მიაჩნია შემდგომი სისხლისღვრა და მზად არის მიიღოს რუს ოფიცერთა საზავო წინადადება.

პოემის უკანასკნელ ნაწილში მოთხრობილია რუსეთის მხედრობის საბოლოო გამარჯვება, როცა აღებული იქნა ადლერის ციხე – სიმაგრე და გამარჯვების ნიშნად აშენდა სულიწმინდის სახელობის ეკლესია, ხოლო ადლერს ეწოდა კონსტანტინოვკა. პოეტი დარწმუნებულია, რომ რუსეთი, როგორც ქრისტიანული რელიგიის დამცველი, დაეხმარა და ხელს უწყობს ჯიქეთში სწავლა – განათლების

შეტანას და ქვეყნის უკეთეს მომავალს. აქვე პოეტი გულწრფელად დასტირის რუსეთის ორი დიდი პოეტის ტრაგიკულ დაღუპვას. ეს პოეტები ა. ს. პუშკინი და ა.ა. ბესტუჟევი – მარლინსკი.

პოემის უკანასკნელი ნაწილი წარმოადგენს მიმართვას ქართველებისადმი, სადაც პოეტი კვლავ უბრუნდება რუსეთთან ურთიერთობის საკითხს და რუსეთ – საქართველოს კავშირს თვლის დადებით მოვლენად, რომელიც საწინდარია ქვეყნის განახლების, კულტურული და საზოგადოებრივ –ეკონომიკური წინსვლისა. პოეტი ქართველებს მოაგონებს სამშობლოს გმირულ წარსულს და იმ სიკეთეს, რაც რუსეთ – საქართველოს კავშირს მოჰყვამ.

ნაწარმოების მთავარი გმირი სოსლან ბაია მწერლის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ შეხედულებათა გამომხატველია. მისი აზრები ავტორის გრძნობა განწყობილებათა მხატვრული ხორცშესხმაა. ნაწარმოების მთავარი ტენდენციაა, როგორც აღვნიშნეთ, გაამართლოს რუსეთის დამკვიდრება საქართველოსა და კავკასიაში.

1864 წელს დ. მაჩაბელმა ჟურნალ ”ცისკარში” გამოაქვეყნა ”ქართული ზნეობა”, რომელიც, როგორც ჩანს, მას ვრცლად ჰქონია მოფიქრებული. სამწუხაროდ, ამ ნაწარმოების მხოლოდ ერთი ნაწილი გამოქვეყნდა, იგი შეეხება ქართულ გალობას. წერილში ავტორი ახასიათებს მუსიკასა და ქართულ ხალხურ სიმღერებს, მიმოიხილვას მის ისტორიას და ვრცლად ჩერდება ქართული საეკლესიო გალობის საკითხებზე.

დავით მაჩაბელი ტრაგიკულად დაიღუპა 1873 წელს.

---

<sup>[1]</sup> ლიტერატურის მატჩანე, წიგნი 1-2, თბილისი, 1940 (გიორგი ლეონიძე – “ნიკოლოზ ბარათაშვილის გარშემო),

გვ. 427.

<sup>[2]</sup> იქვე, გვ. 428.

## ვახტანგ ორბელიანი (1812 – 1890)

XIX საუკუნის ქართველი რომანტიკოსის ვახტანგ ორბელიანის შემოქმედება თითქმის მთლიანად საქართველოს წარსულზე ოცნებითა და სევდითაა აღსავსე. მისი პოეზია, დიდი ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ”ერთი გულსაკვდომი, მაგრამ გულწრფელი გოდებაა წარსულისათვის, თითო სიტყვა მის უკეთეს ლექსებისა თითო ცალკე მარგალიტია ცრემლისა, ღრმად ნატკენ გულისაგან წარმოდგინებული”<sup>[1]</sup>.

ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანი დაიბადა 1812 წლის 5 აპრილს. დედა მომავალი პოეტისა, თეკლე ბატონიშვილი, საქართველოს მეფის ერეკლე II –ის საყვარელი ასული იყო. მამა, ვახტანგ ორბელიანი, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა. კახეთის გლეხთა აჯანყების დროს იგი მარკიზ პაულიჩს ახლდა და მოჰკლეს ერთ –ერთ ბრძოლაში.

მამით ობოლი ვახტანგ ორბელიანი თავის ორ ძმასთან - ალექსანდრესა და დიმიტრისთან ერთად იზრდებოდა დედის უშუალო მზრუნველობის ქვეშ. ეს ის დრო იყო, ”როცა ჯერ კიდევ ცხოვრებას ზედ ეჩნეოდა წყლულნი და დაკოდილებანი მეთვრამეტე საუკუნისა, და მეცხრამეტე საუკუნის ქარს ვერ გაეფანტა მათ მიერ მოვლენილი ნაღველი, მწუხარება და სასოწარკვეთილება. ჯერ კიდევ თითო –ოროლა ოჯახში ცოცხალი იყო ხსოვნა მეთვრამეტე საუკუნისა, რომელმაც სული დალია 1795 წ. 11 სექტემბერს სოღანლულს”<sup>[2]</sup>. საქართველოს წარსულის ერთ –ერთი თვალცრემლიანი ჭირისუფალი თეკლე ბატონიშვილი იყო, რომელიც მცირეწლოვან მგრძნობიარე ვახტანგს სიყვარულით მოუთხრობდა ქართველი ხალხის გმირული ბრძოლების სასახელო ეპიზოდებს, სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანების მოწამეობრივ ცხოვრებას, მებრძოლი მეფის – ერეკლე II – ის ომებსა და თავგადასავალს.

პოეზიის თაყვანისმცემელი და თვითონ პოეტი მეფის ასული შვილებს შთააგონებდა ერის და ქვეყნის სამსახურს, სამშობლოსადმი ერთგულებასა და მისი დიდი წარსულისადმი პატივისცემას.

ვახტანგ ორბელიანმა დედის ხელმძღვანელობით შეისწავლა ქართული წერა – კითხვა და საკმაოდ გაიწაფა ფრანგულ ენაშიც.

1820 წელს რვა წლის ვახტანგ ორბელიანი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში შეიყვანეს, სადაც 1827წლის შემოდგომამდე სწავლობდა. აქედან იგი პეტერბურგის პაჟთა კოპუსში გადავიდა. 1828 წელს, პეტერბურგში ჩასვლისთანავე, ვ. ორბელიანი რუსეთის ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილ ქართველ ბატონიშვილთა წრეში მოხვდა და მალე იგი 1832 წლის შეთქმულების წევრი გახდა.

სუსტი აგებულების ვ. ორბელიანმა ვერ აიტანა ჩრდილოეთის სუსხიანი და მკაცრი ჰავა, იგი ხშირად ავადმყოფობდა, რის გამოც დედამ ჯერ ხანგრძლივი შვებულებით ჩამოიყვანა სამშობლოში, შემდეგ კი მას სწავლა აღარ განუგრძია და ამით დამთავრდა მისი სასკოლო განათლება. ცოდნას მოწყურებული ჭაბუკი ხარზად დაეწაფა თვით განათლებას და უმეტეს დროს ქართული, ფრანგული და რუსული წიგნების კითხვაში ატარებდა. ვ. ორბელიანის ყრმობის მეგობარი, კ. მამაცაშვილი, იგონებს, რომ 1830 – 1831 წლებში, ჯერ

ისევ სრულიად ახალგაზრდა ვახტანგი თავის გონიერებით, განვითარებით და გარეგნული მიმზიდველობით ირჩეოდა თავის ტოლებში და ქართულ საზოგადოებაში. პატარა ჯგუფი ქართველი რჩეული ახალგაზრდობისა, რომელთაც ვახტანგი მეთაურობდა, ხშირად ხვდებოდა ერთმანეთს, უმეტესად ბატონიშვილ თეკლესთან, და საუბრობდა ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. ამ პერიოდს ეკუთვნის ვ. ორბელიანის მიერ რუსულიდან თარგმნილი კარატიგინის კომედია "Знакомый незнакомец", რომლის დადგმა იმჟამად უსახსრობის გამო ვერ მოხერხდა.

1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ვახტანგ ორბელიანი დააპატიმრეს და, როგორც ამ შეთქმულების აქტიური მონაწილე, გადაასახლეს ქ. კალუგაში. აქ იგი განაწესეს კალუგის სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარიაში დაბალ მოხელედ.

ოთხი წელი გაატარა ვ. ორბელიანმა გადასახლებაში და მთელი ამ ხნის განმავლობაში მას ერთი წუთითაც არ დავიწყებია საყვარელი სამშობლო, რომლის თავისუფლება და ბედნიერება პოეტის უწინდესი საოცნებო იყო. ამავე წლებს ეკუთვნის ვ. ორბელიანის პირველი პოეტური ცდები.

1834 წელს ვ. ორბელიანი წერს ლექსს "გამოსალმება". სამშობლოს სიყვარულის უსაზღვრო გრძნობით გამთბარ ამ პატარა ლექსში პოეტი ღრმა სულიერი ტკივილებით ემშვიდობება სამშობლოს "ზურმუხტ ველებს", "ამაყ, ახოვან, ცად მიბჯენილ მთებსა და მოცინარე, მოკამკამე წყლებს", პოეტი მტკიცე ფიცს დებს, რომ არასოდეს დაივიწყებს თავის საყვარელ სამშობლოს და მარად მზად იქნება მისთვის თავდასადაბად.

მშვიდობით, ჩემო გამომზრდელიო, ჩემო მამულო!

მშვიდობით, მაგრამ შენთან მრჩება ოცნება

ტკბილი...

გმირთ ძეთ სამარევ, იმათ წმინდა სისხლით

მორწყულო,

სადა გინდ ვიყო, რაც გინდ ვიყო, ვარ შენი

შვილი!-

მიმართავს ვ. ორბელიანი მშობლიურ ქვეყანას.

გადასახლებაში მყოფი ახალგაზრდა პოეტის სამშობლოსთან დაშორების მძაფრი განცდა და მაღალი პატრიოტული მისწრაფებანი თავის პოეტურ გამოსახულებას პოულობენ კალუგაში დაწერილ ლექსებში. გულდათუთქული პოეტის ღრმა სულიერი დელჯაა გადმოცემული ლექსში "წინგი მოწერილი რუსეთიდან". შორს, "შეუწყნარსა და წყვდიადს მხარეს" განდევნილი პოეტი წუხს, რომ უცხოობაში მას აწამებს "ჭმუნვა მკვლეელი" და ვერ ახარებს "ღამით

მთვარე, დღე მზე ცხოველი”, ვერ ხედავს სანუკვარ სამშობლოს და როგორც უსხვიო ყვავილი, ისე ჭკნება, რადგან

თუ ნერგს მოაკლდა ნამი ცისა, ცვარი არ ერგო,  
ვინ ჰკითხავს: ”რისთვის აღარ ხარობ და ჰხმები ნერგო?”  
სამშობლო ქვეყნით გარდახვეწილს, გულსა დამშვრალსა,  
სწყურხარ, როგორც სწყურს ცის ნათელი სხივი ბნელ თვალსა,  
ვით განდევნილთა – თვის ქვეყნითა მის მღერა ტკბილი,  
ვით უდაბურში, მზით დამწვარში, მგზავრს წყარო, ჩრდილი!

განდევნილებში მწუხარე პოეტს მარად თვალწინ ედგა ”ჩვენი მამული, მშვენიერი ჩვენი ქვეყანა, ჩვენის სამშობლოს მშვენიერი მთანი და ბარნი” და ”წარსულთ დღეთა ყოფა – ცხოვრება” (”მოგონება”), იგი ალეგორიულად ვარდსა და ვარსკვლავებს ადარებს სამშობლოს და მის განახლებას, მის კვლავ ხილვას ნატრობდა.

განვლო სამშობლოდან გადასახლების მწარე ჟამმა და პოეტი 1838 წელს დაბრუნდა საქართველოში. კვლავ ეღირსა ”ლოდინით დაბერებულ გულს” ეხილა ”ისევ ცისკარი, მოჭედილი ვარსკვლავებითა, ისევ მთა – ბარნი, შემოსილნი ყვავილებითა”, კვლავ მივიდა პოეტი მდინარე ალაზნის ნაპირებთან; სამშობლო, თუმცა ”კი იყო მაინც ტურფა და მშვენიერი”, მაგრამ მან პოეტს ”მწარე ოცნება ვერ მიუძინა”, რადგან მის ”მშვენიერს მკერდს ქვეშ წმინდა გული ძლივს – და უძგერდა”.

ადრეული ხანის ამ რამდენიმე ლექსში ვახტანგ ორბელიანმა უკვე თითქმის მთელი სისავსით გამოამჟღავნა ის სულისკვეთება, ოცნება და მოვლენებისადმი დამოკიდებულება, აზრები და შეხედულებანი, რაც მას შემდეგ მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე არ შეუცვლია და რაც იყო მისი შემოქმედების პოეტური მრწამსი.

გადასახლებიდან დაბრუნებული პოეტი 1838წლის ივნისში ჩარიცხეს პრაპორშჩიკად ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში, დაიწყო ლირიკოსი პოეტის სამხედრო კარიერა და იგი წლების მანძილზე ეწევა მხედრულ ცხოვრებას. სხვადასხვა დროს ვ. ორბელიანი აქტიურ მონაწილეობას იღებდა თერგისა და დაღესტნის ოლქებში წარმოებულ ბრძოლებში და 1853 – 1855 წლებში თურქეთის წინააღმდეგ ჩატარებულ საომარ ოპერაციებში. ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის ვ. ორბელიანს აჯილდოებენ სამხედრო ხარისხითა და ოქროს ხმლით. 1860 წელს მას გენერალ – მაიორობა მიენიჭა და დაინიშნა კავკასიის არმიაში. მალე ოჯახური პირობების გამო ვ. ორბელიანი თავს ანებებს სამხედრო სამსახურს და სამოქალაქო

სამსახურში შედის. დაახლოებით ამ პერიოდში ისხამს ფრთებს მისი მხატვრული შემოქმედება.

ვახტანგ ორბელიანის შემოქმედების ღრმა ანალიზი და დახასიათება ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში პირველად მოგვცა ილია ჭავჭავაძემ. ქართული რომანტიზმის ნიჭიერ წარმომადგენელს ილიამ XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ერთ –ერთი მნიშვნელოვანი ადგილი მიანიჭა.

სტატიაში "წერილები XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე" ი. ჭავჭავაძემ აღნიშნა: "თ. ვახტანგ ორბელიანს ამ ორმოცდაათიან წლებში განსაკუთრებულ მიმართულებით თავი არ უჩენია. მან სამოციან წლებიდან მიიქცია ყურადღება საზოგადოებისა და როგორც ამ წლების ხანაში, ისეც მერმე, თითქმის მარტო ერთი სფერო აუჩინა თავის პოეზიას და მით მოიპოვა სახელი და ადგილი ჩვენს აზრთა მსვლელობის ისტორიაში... მართალია, სამოციან წლებში გამოსულთ მწერალთა დაიწყეს გახსენება წარსულისა და ჩაუდგეს ქვაკუთხედი იმ ხიდს, რომელიც ჩასტყდა წარსულსა და აწმყოს შუა, და რომლის ხელახლად გადებას სცდილობს დღევანდელი დღე, მაგრამ ისე სულით და გულით არავინ მისცემია ამ წარსულის ნატვრას და სიყვარულს, როგორც თ. ვახ. ორბელიანი, ამისთანა ერთგული მოყვარეც წარსულისა საჭიროა იქ, საცა იგი დავიწყებულია, იმიტომ, რომ ერის დაცემა იწყება იქიდან, სადაც, თავდება წარსულის ხსოვნა. და ამიტომაც ნუ გვიკვირს, რომ ვახ. ორბელიანმა თითქმის მთელი თავისი პოეტური ძალ –ღონე სულ ამ საგანს მოახმარა და ამით განმსჭვალული ცოტად თუ ბევრად იმ სფეროდე მივიდა, რომელსაც "რომანტიზმს" ემახიან... ვ. ორბელიანის შემოქმედებისადმი ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს "აჩრდილის" ავტორის მიერ 1894 წელს დაწერილი "მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ვახტანგის ძისა თავ. ჯამბაკურიან – ორბელიანისა". თვითონ ის ფაქტი, რომ ჭავჭავაძემ თავს იდო პოეტის ბიოგრაფიის დაწერა, მეტყველებს იმ დიდ პატივისცემაზე, რასაც იგი იჩენდა ვახტანგ ორბელიანისადმი. "მოკლე ბიოგრაფიაში" ი. ჭავჭავაძემ მთელი სისრულით დაახასიათა ვახტანგ ორბელიანის პიროვნება. მან ვ. ორბელიანის პოეზიის მიმართულება და იდეურობა მართებულად ახსნა იმ საზოგადოებრივ – პოლიტიკური ატმოსფერით, რომელშიც აღიზარდა მომავალი პოეტი. მიმოიხილავს რა ეპოქას, ილია ჭავჭავაძე ასკვნის: "საკვირველი არ არის ამის შემდეგ, რომ ჩვენი პოეტი თ. ვახტანგ ორბელიანი ასეთი გულწრფელი ტრფიალია თავის სამშობლო ქვეყნისა, ასე გულმწუხარე მგოდებელია მის წარსულის დიდებისა, ასე გულაყრილია აწმყოზე" ი. ჭავჭავაძემ დაწვრილებით განიხილა ვ. ორბელიანის პოეზიის სევდის მიზეზი, დაახასიათა იგი, როგორც



”ნამდვილი ლირიკოსი რომანტიული სკოლისა” და მაღალი შეფასება მისცა მის შემოქმედებას.

სიცოცხლის მიწურულში (1884 წ.) ვ. ორბელიანმა ერთ –ერთ თავის დაუმთავრებელ ლექსში (”პოეტს”) გადმოგვცა მთელი თავისი პოეტური მრწამსი. აქ მან მკვეთრად გაილაშქრა აშუღური პოეზიის წინააღმდეგ. დაგმო აღმოსავლურ – სპარსული ”ყარაჩოდღური” სტილობრივი გამოსახვა, მუხამბაზური პოეზია, რომელიც, პოეტის აზრით, დეკლასიური წრეების განწყობილებებს გამოხატავდა. ამ ლექსში ვ. ორბელიანი აცხადებდა:

მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა,  
კინტოთ კილო, კილო შუა – ბაზრისა;  
იმ კილოთი რა იმღერო, პოეტო,  
თუ არ ღვინო, ტოლუბაში და კინტო,  
მათ დუდუკი, დიპლიპიტო და ზურნა,  
მათ უაზრო ლაზღანდარობა, ყიჟინა?  
მე არ მიყვარს სურათები ამგვარი.  
მუხამბაზით სხვას რას იტყვი, მითხარი?  
მე მომეცი კილო რუსთაველისა,  
გაფურჩქენილი, ვით ყვავილი ველისა,  
მოკამკამე, როგორც წყარო მცინარი,  
ვით მდინარე, მშვენივრად მომდინარი.

საპირისპიროდ მუხამბაზური პოეზიისა პოეტმა ”რუსთაველის კილო” მიიჩნია პოეზიის მაღალ დანიშნულებათა გამოსახატავად და მას დააკისრა სოციალურ უკუღმართობათა ხილება:

შეგვიყვანე გლეხის კაცის სახშია,  
იმათ ბაღში და იმათ ვენახშია;  
დაგვანახვე, რით სწუხს, რით ხარობს გლეხი;  
ჩარჩებს დაეც რისხვა ღვთისა და მეხი...  
და ჩვენც მაღლა გვამხილე, რაც გვჭირს ავი,

სიზარმაცე და უმეცრება შავი!

დასასრულ პოეტი კვლავ ილაშქრებს მუხამბაზური პოეზიის წინააღმდეგ და გადაჭრით გამოხატავს მას:

რისთვის მინდა და რაში ვაქნევ კინტოს,  
იმის დუდუკს და იმის დიპლიპიტოს,  
ან ლოპიანს, ან დიმიტრი ონიკოვს?  
ჩემი გული სხვა გვართ სურათებს ითხოვს.  
მაინც ამ ხმით ვცდი, როსმე რამ გიამბოთ,  
მდაბიური, - იქნება, ზოგთ გიამოთ.

რომანტიკული პოეზიის ერთ – ერთი უმთავრესი სტილური ნიშანი არის ბუნების სიმშვენიერის ტრფიალი და გაიდეალება. მიუღებელი აწმყოთი გამოწვეული მძაფრი სულიერი ტკივილების დასაყუჩებლად რომანტიკოსები თავდავიწყებით მიმართავდნენ ბუნებას, რომელიც მათ ესახებოდათ თავიანთი სევდისა და მწუხარების ერთგულ მოზიარედ.

ვ. ორბელიანი ბუნებას უცქერის, როგორც არსებას, ბუნების საიდუმლო სიჩუმეში, მის სინარჩარეში პოეტის ოცნება ფართოდ შლის ფრთებს, სცილდება ”ამ ბინძურსა და ცოდვილს ქვეყანას”, განიცდის ”უნაზეს სულიერ სიმშვიდეს” და ტკბილს განსვენებას. ბუნება არის ყოველგვარი სიკეთის შემქმნელი, ” ყოველი არსი მასში ზენა, არს ღმერთა სრული”, მასშია სიცოცხლისა და სიყვარულის აზრი, იგია გამკურნავი ტანჯული გულის, იგია ნუგეში და გამქარვებელი მწუხარებისა. პოეტი ” სოფლისა და ბედისაგან დაჩაგრულ ადამიანთ” მოუწოდებს:

ვინც სოფლისაგან და ბედისგან არს დაჩაგრული,  
დღენი კეთილნი ამ სოფელში ვინც ვერა ნახა,  
ვისიც ამ ქვეყნის მშვენიებისთვის აღარ სძგერს გული,  
ვინცა სიცოცხლე უვარგისად და ცრუდ დასახა,  
ვისაც მაღალი აღარ ესმის ბუნების ენა,-

მან მომცეს ხელი, მას ავიყვან მთასა მაღალსა;  
იქ იმის გული სიცოცხლისთვის კვლავ გაიღვიძებს:

ოღონდ შეჰხედოს დაბლა ვრცელს ველს, მის წინ  
გარდაშლილს,

ველსა ედემსა, ტურფა ედემს, ღვთისგან პირველ ქმნილს,  
მის წინ მთათ რიგთა, დიდებულად ცამდინ აღმართულთ,  
მაღლა ყინულით, ძირს ფურჩვნილის ტყეებით

მორთულთ;

მას ვრცელს ველს შუა შვენიერსა დიდს მდინარესა,  
ზოგან კამკამით, ზოგან მჩქეფრად მომდინარესა;  
შეჰხედოს, ნახოს მისი მდიდარი, ტურფა შვენება,  
და მისი გული სიცოცხლისთვის კვლავ გაიშლება!

(”კახეთს”)

ასეთია მშობლიური ბუნების ზემოქმედების ძალა და მნიშვნელობა, მაგრამ რომანტიკოსი პოეტისათვის არ არსებობს სრული სულიერი სიმშვიდე და ”ის საიდუმლო სიჩუმე ცისა” კიდევ უფრო ძლიერად აღელვებს მის სულსა და გულს, აგონებს სამშობლოს, ”დალუპულ” წარსულს და ამ წარსულის განუმეორებელი სიტკბოების მოგონება მოსვენებას არ აძლევს მის დაუმცხრალ აზრს.

საქართველოს ბუნება ვ. ორბელიანისათვის იმიტომაცაა საყვარელი, რომ იგი მოწმეა სამშობლოს წარსული დიდებისა; ვ. ორბელიანის შემოქმედებაში ლოკალიზებულია ბუნების სიყვარული. თითქოს მშობლიური ბუნების წიაღში ბუდობს პატარა კახის გმირული სული. ვ. ორბელიანს განუსაზღვრელად უყვარს ”ეგ ციხე... საქართველოს დიდებულ წარსულის მოწმე კოშკნი, ტამარი... როსმე მაგარი და ამაყნი, დღეს დარღვეულნი ”, რადგან იგი არის ”მამაკაპათ ისტორიის წმინდა რვეული”

მოგესალმები დიდ ნანგრევთა პატრონი თქვენი,  
დიდის შენობის, როგორც თქვენა, საბრალო შთენი,  
ვდგევარ თქვენ წინა თავმოხრილი, ფიქრით

მოცული,

ვდგევარ და ფიქრში მიახლდება, რაც არს წარსული.  
(”ძველი დმანისი”)

ეს დიდი წარსული, რომელიც ”მდიდარსა ფანტაზიას და ზღაპარს ჰგავს”, დღეს ამ ნანგრევებშია მოქცეული და იგი გამოუთქმელი სევდით ავსებს პოეტის გულს.

ვ. ორბელიანის მთელ შემოქმედებას ასაზრდოებს სიყვარული სამშობლოს წარსულისა, დიადი, ძლიერი და მშვენიერი საქართველო იყო პოეტის შემოქმედების მთავარი თემა. იგი ”ძველი ივერიის” გულწრფელი მომღერალია. აწმყოთი გულმოკლული პოეტი მხოლოდ საქართველოს წარსულში ხედავს ხსნას და ამ წარსულის ტკბილი მოგონება ამშვიდებს მის მღელვარე გრძნობას. იგი მოთქვამს საქართველოს დაკარგულ დიდებაზე, მუხლმოდრეკით ლოცულობს სამშობლოს წარსულზე და იმ გმირებზე, რომელთა სახელებიც წმინდად შენახულა მის გულში. ძველი უკვდავია, დიადი და სათაყვანოა. მის სიძლიერესა და სიდიადეს ვერას აკლებს ჟამთა სრბოლა და უამინდობა. პოეტს ედემად ესახება ათასი წლის უძლეველი შენობა – გელათი, რომელიც მოწმეა იმისა, თუ ”როგორც ამაღლდა საქართველო, როგორც დაეცა”; იგი თავის წიაღში ინახავს ”ზრწყინვალე თამარს” და ”დიდ დავითს”, იგი მათი მცველია და შეუდრეკელი სიმტკიცით დგას, თუმცა

ამ ათას წელში მრისხანებით მე მბერდნენ ქარნი,  
იმროდნენ მათგან ხეობანი, მთანი და ბარნი;  
სეტყვა და მეხი მრისხანენი ძლიერად მცემდნენ,  
ჩემს შერყევასა და დარღვევას თითქოს

ცდილობდნენ.

მაგრამ, ხომ ხედავთ... აწცა მაგრად, ვით ძველად,  
ვდგევარ,

თუმცა ათასის წლის ხავსითა შებურვილი ვარ!

(“არის დაგილი”).

ძველისა და ახლის დაპირისპირებისას ვ.ორბელიანი ყოველთვის წარსულს, ძველს ანიჭებს უპირატესობას და მას ახალზე, აწმყოზე მაღლა აყენებს. ამ მხრივ საინტერესოა ლექსი “ორი შენობა”, რომელშიც შედარებულია ძველი და ახალი საქართველო, კონტრასტების გზით ნაჩვენებია წარსულის უპირატესობა.

პოეტი ხედავს ორ შენობას, ერთი მათგანი ახალია და გარეგნულად წარმტაცი, “თვალს იზიდავს მისი შვენიება”, “წალკოტი ჰყვავის მშვენივრად მის კედელთ გარე”, “ტურფა ასულივით” არის მორთული მისი კედლები, მაგრამ მას, “ვით სუსტ ასულსა, არც ძალი და არც ღონე აქვს”. მეორე მხრით დგას “დღეს უჭერო, უპატრონო, აოხრებული”, უსიამო, “დაჩაგრული, დახავსებული”, ოდესღაც დიდებული, ეხლა კი “შამბით და ეკლით მოცული” შვიდასი წლის წარსულის მქონე შენობა. მაგრამ თუ პირველის დასანგრევად საკმარისია მცირე დრო, თუ მის ნანგრევებთან ერთად “განქრება მისი კვალი და მისი ხსენება”, რადგან “არ აქვს წარსული” და ამიტომაც “მომავალი მას არ ექნება”, სულ სხვაა მეორე, რომელიც დღეს უპატრონოდაა აოხრებული, მაგრამ

მას არ ეშინის არც დროთ დენის, არც ქარიშხლისა:  
თუმცა მტრის ხელით შერყეული, შეგინებული,  
მაინც დგას გმირად, გმირთა ხელით აღშენებული!  
და თუ ოდესმე მის კედელნი დაინგრევიან,  
შთენნი კი მისნი საუკუნოდ მთლად დარჩებიან;  
დარჩება მისი საუკუნოდ ქვეყნად ხსენება,

მაგრამ დიდს წარსულს მომავალიც დიდი ექნება.

მას აქვს წარსული დიდი, გრძელი, და ისტორია,  
იმის წარსული მის კედლებზედ სისხლით სწერია!

მომავლის ეს იმედი, რაც საწყისს დიდ წარსულში და არა აწმყოში პოულობს, თითქმის ყველგან იგრძნობა ვ. ორბელიანის შემოქმედებაში და ამით იგი ძირეულად განსხვავდება როგორც რომენტიკოსებისაგან, რომელთათვისაც ამგვარი იმედი სხვისი უცხო იყო, ისე რეალისტებისაგანაც, რომელნიც თანამედროვეობის პროგრესულ ძალებში ეძებდნენ დიადი მომავლის საწყისებს. ვახტანგ ორბელიანს ყოველივე კარგი გარდასულში ეგულება, მისთვის აწმყო საზარელი და ჭმუნვის მომგვრელია, მაგრამ მაინც მის “სიყრმითვე დამშვრალს გულს მხოლოდ იმედი აცოცხლებს”. ეს იმედია მისი “ზნელის გზის” “მანათობი ვარსკვლავი”, რომელიც მომავლის რწმენას არ უკარგავს პოეტს:

ჩემი მზე არის იმედი, ხვალ ტკბილ საუბარს კვალად  
ვსვამ;

მზეს ნათლად ვხედავ იმედით, დღეს გნახე, კვლად ხვალ  
გნახავ,

ხვალ გნახავ, გისმენ, და ჩემს გულს ნათელი მოეფინება,  
დამშვრალს, დაღალულს სოფლისგან სიცოცხლე  
მოევლინება!

(“როგორც  
განაბნევს”)

მომავლის ასეთი რწმენა პოეტმა ყველაზე სრულყოფილად  
გამოხატა თავის ერთ – ერთ უმშვენიერეს ლექსში “იმედი”. ამ ლექსს  
იმდროინდელმა სალიტერატურო კრიტიკამ მაღალი შეფასება მისცა,  
ხოლო ილია ჭავჭავაძემ მას ქართული პოეზიის “უწარჩინებულესი  
მარგალიტი” უწოდა.

“იმედში” დიდი ადგილი აქვს დათმობილი  
საქართველოს წარსულსა და აწმყოზე ფიქრს; სამშობლოს  
თავისუფლებისათვის ქართველი ხალხის თავგანწირული ბრძოლის  
ასახვას. პოეტს ნუგეშისცემლად და იმედის მომასწავებლად ევლინება  
ჩვენება, მშვენიერი ასულის სახით.

პოეტი ცით მოფრენილ მშვენიერ ასულს ეკითხება ვინაობას,  
ესალმება “ნათლის გულით” და სთხოვს მას, “გაუღიმოს სიმშვიდითა  
ძველსა ივერსა”; იგი უცხო ასულს აცნობს ტურფა სამშობლოს, სადაც,  
“რუსთაველის ლექსნი კვლად ატკობენ ყურსა”, სადაც “ისმენ  
ბესიკისას მღერას ციურსა”. პოეტი მწუხარე თვალებს მიაპყრობს  
დიდებულ პალატთა და ტაძართა ნანგრევებს და მათში მიმოხედავს  
“წმინდა საფლავებს”, რომლებიც ღაღადებენ “ივერიის შავ ბედზე”. ეს  
შავი ბედი “სისხლითა და ცრემლითაა წარწერილი წმინდა ჯვარზე”,  
იგი მეტყველებს იმ დღეებზე, როცა

ერთის ხელითა წმინდათ ტაძართ, პალატთ ვაგებდით  
და მეორეთი მტერსა ვცემდით, ხმაღს არ  
ვაგებდით.

საქართველოს მთელი ისტორია, მამა – პაპათა ვაჟკაცური  
ბრძოლები მოწმობენ ამ ჯვარისათვის თავდადებას:

ჩემი ივერი მშვენიერი არს სისხლის კალო,  
გმირთა აკლდამი, გულთ საკლავი და სავალალო!

არსებულით უკმაყოფილო და გულმოკლული პოეტი მშვენიერ  
ასულს მოუთხრობს ქართველთა წარსულ ისტორიას, მის “მწარე  
ბედს”, სახელოვანი ერეკლე მეფის ხმაღაუგებელ ბრძოლებს. ერეკლე  
მეფე ვ. ორბელიანისათვის წარსულის შარავანდედმოსილი გმირია,  
რომელიც “პატარა დასით”, სამი ათასით “სამოც ათასს წინ  
უხვდებოდა”. პოეტი იგონებს კრწანისის ბრძოლებს და იგი წუხს, რომ

მის თანამედროვეთა ”გაყინულს, გაქვავებულს და უგრძობელს გულს მწარე მოთხრობა წარსულ დროთა არ აცხოველებს”, - დროის უკუღმართობამ ქართველები უგრძობნი გახადა:

ჩვენ არც კი ვიცით, იმ უბედურთ რაც დაგვდეს ვალი,

ჩვენსა გარეშე ვერას ვხედავთ: ბნელი გვაქვს თვალი...

ოღონდ მამათგან დაშთომილი მამული ვსჭამოთ, და ჩვენთ მოყვასთა, ჩვენთ ნათესავთ –ძმათ ცილი ვწამოთ;

ოღონდ კი ჩვენთვის მზე მნათობდეს და ცაში ნუ ჰქუხს, რა გვენადვლება, რაც რომ მოხდა მაშინ სოღანლუხს!...

პოეტი აუგად იხსენიებს იმ ”შვილთ”, რომელთაც არ აღელვებთ და არას აგრძობინებს არაგვისა და მტკვრის ნაპირებში ”დიდი მოთხრობა სისხლით ჩართული”. საქართველომ უდიდესი სამსახური გაუწია დასავლეთის ქრისტიან ერებს, დაიცვა იგი მაჰმადიანთა შემოსევებისაგან, მაგრამ სანაცვლოდ მხოლოდდა ცარიელი ” ტაში და ქება” მიიღო. ამიტომ ქართველთა ისტორიული ღვაწლის დაუფასებლობით გულნატკენი პოეტი მწარე საყვედურით მიმართავს მათ:

და დასავლეთის ქრისტეს ერნო, თქვენ რას შვრებოდით,

როცა ქრისტესთვის თქვენ თვალ –წინა, თქვენს კარს ვწყდებოდით?

და შვილებსაც კი ხშირად გაზისთ შავი ბეჭედი.

არ დაიდუმებს ისტორია, ნუ გაქვსთ იმედი!

მართლმადიდებელთ წმინდა სისხლი კისერს გედებათ,

მაგრამ მოგკითხვენ, მაგიერი როსმე გეგებათ!...

პოეტი ღრმა ტკივილს განიცდის და ღვთის მოსავს, ღრმად მორწმუნეს, ”გულსა და სულს ცეცხლი ედება, რა საქართველო დანგრეული მოელანდება”, ამიტომ იგი უკიდურეს დასკვნამდე მიდის – თვით ღვთის არსებობაშიც კი ეჭვი შეაქვს. მისთვის გაუგებარია, თუკი ღმერთი არსებობს და ”თუ ქვეყანასა წესი მისგან მიენიჭების, თუ ნათელი არს და ნათელი ჭეშმარიტების, - მაშ საქართველო ასე მწარედ რისთვის დაემხო!?” მაგრამ პოეტი აქვე ერკვევა ბურუსიდან და ინანიებს დაუფიქრებლად წამოსროლილ ღვთის გმობას. ამას მიაწერს ”გაშმაგებას” ივერიის უბედობით გამოწვეულს. დამშვიდებულ პოეტს კვლავ იმედის შუქი შემოანათებს, მშვენიერი

ასული "ამგერებული გულით" უახლოვდება მას და წარმოთქვამს სანუგეშო სიტყვებს:

გწამდესო, ღვაწლნი მამა- პაპათ არ განქრებიან,  
გწამდეს, ეს შთენნი დიდებულად კვლავ აღსდგებიან:  
მართლმადიდებელთ ჭემმარიტი, ღმერთი ძლიერი  
მოგფენსთ თვისს სხვისა, თავისს სიუხვეს, და თქვენი

ერი,

ქრისტეს ჯვარისთვის წამებული, კვლავ  
გამრავლდება,

თქვენი სამშობლო დანგრეული კვლავ აღყვავდება.

აღნიშნულ ლექსში საქართველოს წარსულის მოგონებით გამოწვეული სევდის, აწმყოს უნუგეშო და უსასო ყოფის მიუხედავად, საბოლოოდ მაინც ნათლად ჩანს მომავლის იმედი და ამ იმედით გამოწვეული სიხარული. ვ. ორბელიანს სამშობლოს წარსული იდეალურად აქვს წარმოდგენილი. აწმყო ჭმუნვისა და სევდის სადგურია, მაგრამ ეს გარემოება პესიმიზმში მაინც არ აგდებს პოეტს, რადგან "დიდს წარსულს მომავალიც დიდი ექნება".

ვ. ორბელიანი თავის შემოქმედებით, ისტორიული ყოფისა და წარსულის გმირების იდეალიზაციით აფხიზლებდა თანამედროვე საზოგადოებას, აღძრავდა მასში გარდასულ დროთა პათოსს, აღვიძებდა სამშობლოს სიყვარულის დიად გრძნობას. ვ. ორბელიანის ოცნება ხშირად მიმართავს სახელოვან პაპას - ერეკლეს; თუმცა პოეტი უკმაყოფილო იყო ერეკლე მეფის გადაწყვეტილების პრაქტიკული შედეგით, იგი თავისი ლექსებით ისტორიულად ამ აუცილებელი ნაბიჯის დამცველად გამოდის. პოეტი ამართლებს სახელოვანი მეფის პოლიტიკურ ორიენტაციას - საქართველოს რუსეთთან შეერთებას. ამის ნათელი დადასტურებაა ლექსი "ირაკლი და მისი დრო". ერეკლე მეფე წლების მანძილზე გამირულად იბრძოდა მომხდურთა წინააღმდეგ "რჯულისა და მამულისათვის", მაგრამ "მძლავრდება მტერი, მცირდება ერი", "ჰხედავს მამულსა, სისხლით მორწყულსა" და მის წინაშე დგება სამშობლოს გადარჩენის საკითხი. ბრძენი მეფე იღებს ისტორიულ გადაწყვეტილებას "და ჩრდილოეთი აჩვენა თითით":

ბრძანა: "ვიბრძოლებ,

მანამ ვიცოცხლებ;

აღარ ვიქნები, - მას ერს შეერთდით!"

პოეტი გრძნობს, რომ ამ ნაბიჯმა "გადაგვარჩინა" და აღფრთოვანებით ამბობს:

სამშობლოს კუთხეთ

ყოვლის მხრით ჰკითხეთ

და გადაავლეთ მის კვალთა თვალი:

მათ გულს მოგვითხრონ,  
მათ გულს გვამხილონ,  
ირაკლიმ მამულს რაც დასდო ვალი!

ასევე ერეკლე მეფის პიროვნების იდეალიზაციის, მისი ისტორიული ღვაწლის განდიდებისადმია მიძღვნილი "ირაკლი და კობტა ბელადი" და სხვა მთელი რიგი ლექსებისა, სადაც პოეტი ერთმანეთს უპირისპირებს წარსულსა და აწმყოს და კვლავ წარსულის მოტრფიალედ რჩება. ვ. ორბელიანი იმდენად თავდავიწყებული თავყვანისმცემელია ისტორიული წარსულისა, რომ მასში ოდნავ ნაკლსაც კი ვერ ხედავს, ყველაფერი ძველი მისი აღფრთოვანების წყაროა, ყველაფერი რომანტიკულად ესახება და მის ფონზე კიდევ უფრო საშინლად მოჩანს ის სინამდვილე, რომელშიაც პოეტი ცხოვრობდა. იგი გულს მხოლოდ წარსულის სურათების მოგონებით იბრუნებს და მწუხარედ მოთქვამს:

ნუ თუ ჩავიდე ისე საფლავს და დავიმარხო?

ნუ თუ ვერ ვნახო, რაც თვალთა სურთ, გულთ ენატრება,  
რაც, რომ სიზმარში და ცხადადაც სულ მეღანდება!

საქართველოს აწმყოსა და მისი მომავლის სურათები დახატა ვ. ორბელიანმა ლექსში "ორი სიზმარი". პირველად პოეტი ხედავს "შემმუსვრილ ტაძრებს", "უსულო ივერს", რომელსაც გაჰქრობია "სიცოცხლის ცეცხლი", რომელიც "გულხელ დაკრეფილი" და "გაციებული", მაგრამ "მკვდარიც კი ტურფა და მშვენიერია".

მეორედ პოეტი სიზმრად ხედავს, რომ მის წინ დგას გაცოცხლებული, მშვენიერი ივერია. დანგრეული პალატები და ტაძრები აღმდგარა და გაუმარჯვნია "ერს მშრომელსა და ბედნიერსა".

როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ, ვ. ორბელიანს სწამს საქართველოს მომავალი, მაგრამ ეს მომავალი მას ესახება, როგორც წარსულის აღდგენა, განვლილის განახლება, მის მიერვე იდეალიზებულის განმეორება. იგი ყოველგვარი ბოროტების სათავეს აწმყოში ხედავს, ხოლო წარსული, მისი აზრით, ყოველგვარი სოციალური უთანასწორობისა და წინააღმდეგობებისაგან თავისუფალია. პოეტის რწმენით, ძველი ფეოდალური საქართველოს თავადაზნაურობა მკვეთრად განსხვავდებოდა თანამედროვეთაგან. იგი იცავს მოსაზრებას, თითქოს ძველ დროში ბატონსა და ყმას შორის "მამაშვილური" დამოკიდებულება არსებობდა. ვ. ორბელიანი ბატონყმობასაც იდეალურ ერთობად წარმოგვიდგენს და ბატონისა და ყმის ურთიერთობის ასეთ სურათს გვიხატავს:

უყვარს მოხუცსა თავის გლეხნი -ყმანი, -

მისთვის ის ყმანი არის ძმანი, -

მათთან ნადიმი და მათთან ლხენა,



მათ საუბარი, უმზაკვრო ენა.  
ყმას ჰყავს პატრონი, არა ბატონი:  
ერთნი არიან ყმა და პატრონი.

(პოემა "განკითხვა")

დაბალი წოდება, გლეხი თავისი შრომით ქმნიდა დოვლათს, მაღალი წოდება კი სახელმწიფოს მართავდა და მათ შორის სრული "ჰარმონია" იყო – აი, ვახტანგ ორბელიანის ისტორიის "ფილოსოფია", წარსულის სოციალური ვითარების გაგება.

ვ. ორბელიანი თვალნათლივ ხედავდა, რომ ოდესღაც ქვეყნის წარმართველი ფეოდალური კლასი დეგრადაციის გზაზე იდგა და მისი დაღუპვა აუცილებელი იყო. პოეტი მწვავე სატირით დაცინის იმ კლასს, რომლის წარმომადგენელიც თვითონაა და რომელმაც ალღო ვერ აუღო ახალ ცხოვრებას, ისტორიული განვითარების ახალ ეტაპს. თავადაზნაურობა "ზარმაცობას" და "სმასა და ძილს", "დავასა და მტრობას" მისცემია.

ზოგთ დავა-დარაბაში დაჰლუპეს, რაც ებადათ,  
რაც ქველ მამა –პაპათგან მათ დარჩენოდათ ბედად!  
ჩემთ დიდებულთ ძეთ ძენი ბევრნი ეხლაც იღწვიან:  
მარჯვნივ და მარცხნივ ჰფანტავენ... სად? – თითონ არ იციან!  
ჩარჩებს ფულებს ართმევენ. მერე ემალებიან!  
და ან ვალის დაცდასა ცრემლით ევედრებიან!  
მთელის წლის შემოსავალს ერთ – ორს კვირაში სცლიან...  
(„სამშობლო ქვეყნის პასუხი“)

პოეტი წუხს, რომ გმირი წინაპრების შთამომავლებისაგან სამშობლო ელოდა, "მამათა დიდ ღვაწლს დაასრულებდნენ", "შრომას, მშობას, ერთობას, სწავლას დააარსებენ, მუშაობით, ოფლის ღვრით" დანგრეულს აღადგენენ, მაგრამ ამის ნაცვლად, ნახა "შრომის წილ დავა, მტრობა!" ფეოდალური კლასის ნაცვლად ცხოვრების სარბიელს ეპატრონებოდნენ " ძუნწი ჩარჩნი", რომელნიც სამშობლოს "ნაჭერ – ნაჭერ ყიდიან".

ვ. ორბელიანის შემოქმედებაში 80-იან წლებში იჭრება რეალიზმის სხივი. იგი პოეტს მოუწოდებს, შეიხედოს "გლეხი კაცის სახლშია, იმათ ბაღში და იმათ ვენახშია", რომ დაგვანახოს "რით სწუხს, რით ხარობს გლეხი". ვ. ორბელიანი ოთხმოციან წლებში იზიარებს თავისუფალი შრომის პრინციპს და აცხადებს:

ნუ გემნელებათ,  
ნუ გებრკოლებათ,  
ყოველს სიძნელეს შრომითა სძლიეთ,  
ძენო იგონეთ,

ოფლით იშრომეთ:  
ოფლით, შრომითა აღმოცენდება  
ტკბილი ნაყოფი...

(“ზმა სამშობლო ქვეყნისა”)

ვ. ორბელიანმა მიუხედავად ასეთი სურვილისა, ვერ შეძლო ეჩვენებინა, ”რით სწუხს, რით ხარობს გლეხი”, რადგან ნაკლებად იცნობდა მშრომელი გლეხების ცხოვრებას და, საერთოდ, ეს მოტივი მის შემოქმედებაში უფრო დროის, ეპოქის წაბადვით ნაკარნახევი იყო, ვიდრე შინაგანი და განცდილი.

ვ. ორბელიანმა ლექსებში ”კაცი ის არის” და ”ქალი ის არის” გარკვეული კოდექსი ჩამოაყალიბა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი კაცი და ქალი. ავტორი კაცისაგან მოითხოვს, რომ მას უყვარდეს შრომა, იყოს ”ქვრივ – ოხერთ” დამხმარე, უშრობდეს ”მშიერთ, ობოლთა ცრემლებს”:

კაცი ის არის,  
ვისაც გულს ესმის  
ციური სიტყვა: ”ძმობა, ერთობა”  
და სიყვარულით  
აღვსილის გულით  
დავრდომილ ძმათა მოეხმარება.

(“კაცი ის არის”)

ასევე დიდბუნებოვანი უნდა იყოს ქალიც, მან არ უნდა უღალატოს”თავის დიდსა მოვალეობას”, ღრმად უნდა სწამდეს ”სათნოება, სარწმუნოება”.

ვ. ორბელიანის პოეზიაში საინტერესოდ არის წარმოდგენილი შეხედულება ქართველ ქალზე. პოეტის აზრით, ქართველი ქალის ერთგულება და სიყვარული სამშობლოსადმი განუსაზღვრელია, იგი ისტორიულადაა განმტკიცებული და ეს გრძნობა ყველა სხვა გრძნობას ჩრდილავს. ლექსში ” მთის ქალი და მოგზაური”, რომელსაც ატყვია რ. ერისთავის ლექსის – ”სამშობლო ხევსურისა” – გავლენა, ვ. ორბელიანი ერთმანეთს უპირისპირებს სამშობლოსა და ვაჟისადმი სიყვარულს და სამშობლოს სიყვარულს ბევრად მაღლა აყენებს.

უცხოელ მოგზაურს წრფელი გრძნობით შეუყვარდა ქართველი ქალი, სთხოვს მას წაჰყვეს თავის სამშობლოში, სადაც მას დახვდება ”დიდი სასახლე” ”ყვავილთ წალკოტით მორთული”, სიმდიდრე და ფუფუნება, სადაც ქალი იქნება ”მის – დედოფალი” და უზრუნველი ბრწყინვალე ცხოვრებით. მაგრამ ქართველ ქალს, რ. ერისთავის ხევსურის მსგავსად (”სამშობლო ხევსურისა”), არ იტაცებს უცხო ქვეყნის სიმშვენიერე და ფუფუნება, მას მშობლიური მიწა -წყალი და ”მცინვარი მთები” ურჩევნია შორეულ ედემს:

მე ჩემი ქოხი მირჩევნია შენს დიდს პალატსა,  
შენს ყვავილთ წალკოტს, მშვენიერსა და  
გულწარმტაცსა.

მე აქ ვშობილვარ, აქ გავზრდილვარ, აქ უნდა მოვკვდე,  
ჩემი სამარე უნდა იყოს ისევ დიდი კლდე.

ვ. ორბელიანს აქვს რამდენიმე საბავშვო ლექსი და თარგმანი. მისი საბავშვო თხზულებებიდან აღსანიშნავია ლექსი "ვასიკოს თავგადასავალი" და ჟუკოვსკის ცნობილი ზღაპარი "თითისტოლა ბავშვი", რომელიც პოეტმა "პატარა მოსწავლეთათვის" გადმოაკეთა რუსულიდან.

თარგმანებიდან აღსანიშნავია პუშკინის "რა მზე დასავალს ჩაესვენება", "სიცოცხლის რაში", "ქარიშხალი ჰბერავს", "მშვენიერთ დასნი" და სხვ. უნდა ითქვას, რომ ეს თარგმნები უმეტესად თავისუფალ გადმოქართულებას წარმოადგენს და მათში პოეტი ორგანულად აქსოვს სევდას სამშობლოს ისტორიულ წარსულზე და ძველ გმირებზე. პოეტს იმდენად ძლიერ უყვარს თავისი ქვეყნის წარსული და მისი "გულსაამო ზღაპრები", რომ, როგორც კი საშუალებას პოულობს, ნათარგმნ ლექსში საქართველოსთან დაკავშირებული ისტორიული მომენტები შეაქვს:

მიაშბე მე აზათ – ხანთან ომები,  
ის ქართველთ ხმალი დიდებული დროები,-  
იმ დროებზედ ბევრი გაგიგონია,  
და ან ძველი მიმღერე სიმღერები.

ვახტანგ ორბელიანის ლექსის ფორმა არ არის რთული და ორიგინალური, ლექსის მეტრიკის მხრივ იგი არაფრით არ განსხვავდება მისი წინამორბედი ქართველი რომანტიკოსებისაგან, იგი არც რიტმის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. პოეტი ხშირად თოთხმეტმარცვლოვან ბესიკურ და თერთმეტმარცვლოვან ლექსს იყენებს, უფრო იშვიათად თექვსმეტმარცვლოვან შაირს. მისი საუკეთესო ლექსები თოთხმეტმარცვლოვანი ზომითაა დაწერილი.

ვ. ორბელიანის შემოქმედებაში გვხვდება გარეგანი, ჯვარედინი და მიჯრილი რითმები. მიჯრილი რითმების ხმარებისას პოეტი იყენებს ინტერვალთან და უინტერვალო რითმას (მაგ., ვ. ორბელიანის საუკეთესო ლექსი "იმედი" დაწერილია 14 – მარცვლოვანი ლექსის ზომით, უინტერვალო მიჯრილი რითმით).

ჯვარედინი რითმებითაა დაწერილი პოეტის ლექსები: "გამოსალმება", "დახშულის გულით", "ბულბული", "ბაქარ ქართლელს" და სხვ. ზოგჯერ გვხვდება გარემომცველი რითმებიც (მაგ., ლექსებში: "კაცი ის არის", "ხმა სამშობლო ქვეყნისა", "ქალი ის არის" და ა. შ.).

ბგერადობის მიხედვით ვ. ორბელიანი ხმარობს სამმარცვლოვან დაქტილურ (მაგ., ” მოგიწყენია – მოგილხენია”), ორმარცვლოვან ქალურ (”ხელი ძნელი”, ”ძველი – ველი” ) და სპორადულად ერთმარცვლოვან ვაჟურ რითმებს (”ძალს – თვალს”, ”გზას – მას” და ა. შ.); ზოგჯერ ერთსა და იმავე ლექსში ერთდროულად გამოყენებულია დაქტილური რითმის შეერთება (მაგ., ლექსში ”იმედი”) და სხვ.

ვ. ორბელიანის პოეზიაში არ გვხვდება რთული სალექსო სტროფები.

ახალი და ეფექტიანი შედარებები, ალიტერაციები. ამ მხრივ მისი შემოქმედება შედარებით ღარიბია, გაუბრალოებულია მისი ლექსის კომპოზიცია. ჟანრის თვალსაზრისით პოეტი მიმართავს ელეგიას, რაც კარგად გამოხატავს უკმაყოფილო სულიერ განწყობილებას. ელეგიის ჟანრითაა შექმნილი ისეთი საინტერესო ნაწარმოებნი, როგორცაა ”ძველი დმანისი”, ”ვიდექ შენს წინა”, ”რა მზე დასავალს ჩაესვენება” და სხვ. გარდა ელეგიასა, ვ. ორბელიანი იყენებს პოემის ფორმას და ზღაპარს (”რა ნახა ლაზარემ საიქიოს”).

ვახტანგ ორბელიანი გარდაიცვალა თბილისში 1890 წლის 29 სექტემბერს. პოეტი დაკრძალეს სიონის ტაძარში. პოეტის ცხედარს წინ მიუძღოდა გვირგვინი წარწერით მისივე ლექსიდან

სული მიკვნესის, გული ჩემი მწარედ ღონდება,  
რა საქართველოს მწარე ბედი მომაგონდება!

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953, გვ. 240.

[2] იქვე, გვ. 235.

### გრიგოლ რჩეულიშვილი (1820 –1877)

როგორც ცნობილია, გასული საუკუნის პირველ ნახევარში ლირიკა ყველაზე შესაფერისი ჟანრი აღმოჩნდა ჩვენი რომანტიკოსების განწყობილებების გადმოსაცემად. მაგრამ შეუძლებელია ანგარიში არ გაუწიოს ამ პერიოდში შექმნილ ცალკეულ ესკიზებს, მცირე მოთხრობებს, მოგონებებს. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გრ. ორბელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა. გარდა იმისა, რომ გრ. ორბელიანს უთარგმნია დასავლეთ ევროპულ და რუს მწერალთა პროზაული ქმნილებები (ცმოკესი. ჰერდერისა და სხვ.), მას აგრეთვე დაუწერია ორიგინალური მხატვრული ესკიზები - ლირიკული პროზის საუცხოო ნიმუშები და უწარმოებია დიდი ერუდიციითა და ფართო

ინტერესებით აღბეჭდილი დღიურები. მაგრამ, ცხადია, ყოველივე ეს არ მოწმობს ქართული მხატვრული პროზის ინტენსიურ განვითარებას.

მხოლოდ მე –19 საუკუნის 50 –იანი წლებიდან იწყებს აღორძინებას მხატვრული პროზა და თანდათან ივსება ის ხარვეზი, რაც საუკუნის პირველ ნახევარში ასე თვალსაჩინო იყო.

ლიტერატურის ამ საერთო აღმავლობის პერიოდში რომანტიკული პროზაც იჩენს თავს და საკუთარ ტენდენციებს ამჟღავნებს.

მაგრამ რომანტიკული პროზა მე –19 საუკუნის ქართულ მწერლობაში, საერთოდ, დიდად ვერ განვითარდა და ეს სავსებით გასაგები მოვლენაა: ცხოვრება უკვე სულ სხვა მოთხოვნილებებს აყენებდა, რომელთა დაკმაყოფილება რომანტიკულ პროზას აღარ შეეძლო. ახლად აღორძინებულმა, მაგრამ უკვე მტკიცედ ჩამოყალიბებულმა რეალისტურმა პროზამ სავსებით დაჩრდილა იგი.

მაგრამ, უეჭველია, რომ ქართული რომანტიკული პროზა მაინც ყურადღებას იქცევს და განხილვის ღირსია, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი მწერლობის ისტორის თვალსაზრისით.

რიცხვი შემოქმედთა, რომლებიც ამ პროზას ქმნიან, არ არის დიდი, ესენი არიან: ალ. ორბელიანი, ი. კერესელიძე, გრ. რჩეულიშვილი და სხვ. აღნიშნული მწერლები ”ცისკარში” მოღვაწეობენ და ჟურნალს გარკვეულ სახეს აძლევენ. მათ შორის ერთ –ერთი კოლორიტული ფიგურაა გრ. რჩეულიშვილი, რომლის ლიტერატურული მემკვიდრეობა ნათელ წარმოდგენას იძლევა ქართულ რომანტიკულ პროზაზე აღნიშნულ პერიოდში.

გრიგოლ ივანეს (ილარიონის) ძე რჩეულიშვილი დაიბადა 1820 წელს. პირველდაწყებითი სწავლა მან მამის ხელმძღვანელობით მიიღო. შემდეგ იგი შეიყვანეს თბილისის გიმნაზიაში, რომელიც 1838 წელს დაასრულა. ამ დროიდან მოკიდებული გრ. რჩეულიშვილი მსახურობს თბილისის სახაზინო პალატაში ნოტარიუსის თანამდებობაზე. სხვა სამსახურებრივ სარბიელზე, როგორც ჩანს, მას თავისი კარიერა არ უცდია, გარდაიცვალა იგი 1877 წლის 20 სექტემბერს.

\* \* \*

სალიტერატურო ასპარეზზე გრ. რჩეულიშვილი ნათარგმნი ნაწარმოებებით გამოვიდა. 1853 წელს მან დაბეჭდა ”მასკარადის შეცთომილება” (”ცისკარი”, N10, 11), ხოლო 18 57 წლის ”ცოლის სიყვარული” (”ცისკარი 4”)<sup>[1]</sup>.

გრ. რჩეულიშვილმა ჟურნალში გამოაქვეყნა რამდენიმე ლექსი და პროზაული ნაწარმოები – ორიგინალური და გადმოკეთებული.

თავისი დროისათვის საკმაოდ პოპულარული იყო გრ. რჩეულიშვილის სატრფიალო ლექსები. ბევრი მათგანი სიმღერად იქცა (მაგალითად, "მთვარევ, მთვარევ...", "მესალმე ჩემო თვალის სინათლევ!", "რაც შენ დაგშორდი...").

გრ. რჩეულიშვილის ლექსები, გარდა სატრფიალო მოტივისა, სხვა თემებსაც ეხმაურება. ასეთებია: "ამაოება", "მდიდარი" და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ გრ. რჩეულიშვილის ლექსების უმრავლესობა იმეორებს მთელ რიგ მოტივებს, რაც ქართველ რომანტიკოსთა წინა თაობამ დაამუშავა. ამ შემთხვევაში ზოგჯერ პირდაპირ გავლენასთან გვაქვს საქმე. ასე, მაგალითად, ლექსს "ნუთუ ტურფავ...", რომელშიც გატარებულია აზრი, რომ სიყვარული ზეციური გრძნობაა, რომ სიტკბოებასთან ერთად იგი ტანჯვასაც შეიცავს, ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის პოეზიასთან მივყავართ.

გრ. რჩეულიშვილის მეორე ლექსიც – "მდიდარი" შეიცავს ტენდენციას, რომელიც უფრო ადრე აღნიშნულ რომანტიკოსთა პოეზიაში იჩენს თავს. გრ. რჩეულიშვილის აზრით, მდიდარი ის არ არის, "ვინც დიდება იყიდა ფულით, იამპარტავნა მახლობელთან"; ასეთი დიდება წარმავალია:

ყველა პოეტი მოარულ ჩქარათ,  
სიცოცხლის კართან დაიმარხება.

აქ მკითხველი უთუოდ იგრძნობს ალ. ჭავჭავაძის "მუხამბაზი ლათაიურის" გავლენას:

ამა სოფლისა ცხოვრება  
ვერცხლით არ მოიპოვება  
მდიდარნი ბევრნი ყოფილან,  
ოხრად რჩენიათ ქონება.

გრ. რჩეულიშვილის სიტყვით,

იგი არს მდიდარი, ვინც აზრით ვრცელით  
შეფრთოსნა თვისი სული უკვდავი,  
და სასარგებლოდ ქვეყნიერების,  
სიმართლისათვის შესწირა თავი<sup>[2]</sup>.

ამ შემთხვევაში პოეტი უკვე იმ პროგრესულ იდეებს ეხმაურება, რომელებიც ჯერ კიდევ ქართული რომანტიზმის კორიფეებს აღელვებდნენ<sup>[3]</sup>.

გრ. რჩეულიშვილის ლექსები გამოირჩევა ლირიზმით, შინაგანი სითბოთი და ზოგჯერ ორიგინალური მხატვრული სახეებით. ამ ლექსების ავტორს უეჭველად აქვს პოეტური სიტყვის

გრძნობა და ამ მხრივ გრ. რჩეულიშვილი "ცისკარის" ბევრ თანამშრომლებზე მაღლა დგას.

მაგრამ ვერც თარგმანები და ვერც რამდენიმე ლირიკული ლექსი, უმეტეს შემთხვევაში თემატურად შეზღუდული, ნიჭიერი შემოქმედის სახელს ვერ დაუმკვიდრებდნენ გრ. რჩეულიშვილს. მწერლის ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში მისმა მხატვრულმა პროზამ განსაზღვრა.

\* \* \*

გრ. რჩეულიშვილის პროზაულ თხზულებებს სალიტერატურო კრიტიკა პირველ ხანებში ცივად შეხვდა. მაგრამ შემდეგ მწერლისადმი დამოკიდებულება თანდათან შეიცვალა და ამ მოკრძალებულმა შემოქმედმა ერთგვარი პოპულარობაც კი მოიპოვა.

ჯერ უიდევ გრ. რჩეულიშვილის სიცოცხლეში შეეცადნენ გაერკვიათ მისი პროზის ლიტერატურული წყაროები და ამ მხრივ ბევრი უმართებულო მოსაზრებაც გამოითქვა. ერთ –ერთი პირველი, ვინც მწერლის წინააღმდეგ გაილაშქრა და მკაცრად გააკრიტიკა "ანუკა ბატონიშვილი", იყო "კახეთის მეზუკე"<sup>[4]</sup>.

მისი აზრით, მოთხრობის შინაარსი ორსინის ნაწარმოებიდან არის გადმოღებული (თვით ნაწარმოებს არ ასახელებს), ხოლო მოქმედება გადმოტანილია ფლორენციიდან გრემს; ქართველმა მწერალმა მოთხრობის გმირებს შეუცვალა სახელები, ტანსაცმელი და ისინი "გარყვნილების მორევში" შეაცურაო.

მაგრამ კრიტიკოსის ეს განცხადება, რომელსაც მომდევნო ხანის მკვლევარებიც იმეორებდნენ, დაზუსტებას საჭიროებს. ნამდვილად გრ. რჩეულიშვილს გადმოუკეთებია იტალიელი მწერლის ი. ფიორენტინოს ისტორიული რომანი "იზაბელა ორსიანი"<sup>[5]</sup>.

ასეთივე გაუგებრობას ჰქონდა ადგილი გრ. რჩეულიშვილის მეორე ცნობილი ისტორიული მოთხრობის – "თამარ ბატონიშვილის" – ლიტერატურული წყაროს ძიების დროსაც. გამოირკვა, რომ გრ. რჩეულიშვილს უსარგებლია ფრანგი რომანისტის ა. დიუმა – მამის ისტორიული რომანით – "ორი დიანა", თავისებურად დაუმუშავებია მისი სიუჟეტი და ზოგიერთი პერსონაჟი გადმოუკეთებია<sup>[6]</sup>.

ასე რომ, გრ. რჩეულიშვილის ნაწარმოებთა ლიტერატურული წყაროების ძიებას რომანტიკული პროზისაკენ მივყავართ.

მასალა, რომელსაც გრ. რჩეულიშვილი სესხულობს, ძალზე განსაზღვრულია და მწერალი მასაც სავსებით უცვლის სახეს. ი. ფიორენტინოს მოზრდილი რომანი, რომელიც გრ. რჩეულიშვილმა

საინტერესო ნოველად აქცია, დიდად განსხვავდება ამ უკანასკნელისაგან. იტალიელი მწერლის ნაწარმოები ერთგვარად ქრონიკის შთაბეჭდილებას ტოვებს, ავტორი უმთავრესად მშრალ აღწერას და თხრობას მიმართავს. გრ. რჩეულიშვილი კი ყოველთვის გმირების შინასამყაროს დახასიათებას ისახავს მიზნად და ბევრი რამ ამ მხრივ ნიუანსებით აქვს გადმოცემული. ქართველ მწერალს ფიორენტინოს რომანიდან მხოლოდ გარეგნული შტრიხები გადმოაქვს და ხორცს თვითონ ასხამს. მრავალი ცოცხალი დიალოგი და სცენა გრ. რჩეულიშვილის კუთვნილებას შეადგენს. აქ მუდამ ისმის შემოქმედის დამოკიდებული ხმა და უმართებულო იქნებოდა მისთვის ყურადღება არ მიგვექცია.

ასევე შეიძლება ითქვას მეორე ისტორიული მოთხრობის შესახებაც. ასე რომ, ის რაც ქართველ ბელეტრისტს სხვისგან აუღია, თავისებურადაა დამუშავებული; გრ. რჩეულიშვილს იგი საქართველოს სინამდვილისათვის შეუფარდება და მშობლიური ელფერი მიუცია. ამ მოკრძალებულ მწერალს ჰქონდა თავისი დროის შესაფერისი გემოვნება, სხვა შემოქმედის მხატვრული ნიმუშების შეგრძნობისა და საკუთარ სულში გარდაქმნის ნიჭი და ზოგჯერ დეტალის თუ ნიუანსის მიგნებისა და დამუშავების ისეთი უნარი, რაც მხოლოდ ჭეშმარიტ ოსტატებს ახასიათებს.

ამიტომ მოულოდნელი არ უნდა იყოს აკაკი წერეთლის სიმპათიური მოგონება გრ. რჩეულიშვილზე, რომ მას ” დიდი ნიჭი ჰქონდა უცხოდან გადმოქართულებისაო”<sup>[7]</sup>.

მაგრამ ამ ”გადმოქართულებას” თავისი მიზეზები ჰქონდა და ამ მხრივ გრ. რჩეულიშვილის გამონაკლისს არ წარმოადგენს. მე-19 საუკუნის 50 – იან წლებში, როდესაც ქართული მხატვრული პროზა კვლავ იწყებდა აღორძინებას, ბუნებრივია, მას საკუთარ ფეხზე დგომა უჭირდა და იძულებული იყო ზოგჯერ რუსულ – ევროპული მწერლობისათვის მიემართა.

გრ. რჩეულიშვილის პროზის ძირითად წყაროს მაინც საქართველოს წარსული წარმოადგენს. აქედან იღებს მწერალი სათანადო მასალას და აცოცხლებს მას. მატიანეში მოთხრობილი ამბები აძლევს გრ. რჩეულიშვილს ნამდვილ შთაგონებას.

”თამარ ბატონიშვილში” გამოყენებული ისტორიული მასალა ავტორს უმთავრესად ნასესხები აქვს ” ქართლის ცხოვრებიდან”. ამ უკანასკნელით სარგებლობა მწერალს გაუადვილა მატიანის I ნაწილის 1849 წლის მარი ბროსესეულმა გამოცემამ<sup>[8]</sup>. გრ. რჩეულიშვილი ისტორიული ფაქტების გადმოცემის დროს ხშირად პირდაპირ მოჰყვება მატიანეს.



”თამარ ბატონიშვილის” პერსონაჟები, უმეტეს შემთხვევაში, ისტორიულად ცნობილი პირები არიან და იხსენიებიან ”ქართლის ცხოვრებაში”. მხოლოდ ელიზბარს, პეტრე ერთგულამეს, სოფიოს და კიდევ ორიოდ მეორე ხარისხოვან გმირს არ იცნობს ჩვენი მატთანე.

თამარისა და შალვას, რუსუდანისა და ლაშა –გიორგის, ულუ – დავითისა და სოსნას და სხვათა თავგადასავალი მეტ – ნაკლებად ისტორიულ მასალას ემყარება. მწერალი უმეტესად ისტორიულ ფაქტებს მოჰყვება, ოღონდ ქრონიკის მშრალ გადმოცემას ხორცს ასხამს და მხატვრული წარმოსახვით ავსებს.

მაგრამ გრ. რჩეულიშვილს ”ქართლის ცხოვრებიდან” არა მარტო პერსონაჟები და ფაქტები, არამედ მთელი პასაჟებიც აქვს აღებული. ასე, მაგალითად, ჯალალ – ედინის მიერ თბილისის აოხრების სცენა მოთხრობაში დიდად არ განსხვავდება მატთანის სათანადო ადგილისაგან, ხანდახან ტექსტობრივადაც კი მისდევს მას; ასევე, ჯალალ –ედინის საუბარი აქ თან პირდაპირ გადმოღებულია ”ქართლის ცხოვრებიდან”.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ, გარკვეული მხატვრული მოსაზრებებით, მწერალი ხშირად შეგნებულად ცვლის ისტორიულ ხასიათებს (მაგალითად, ივანე ათაბაგის პიროვნებას) და ახდენს ისტორიული ფაქტების გადაადგილებას (რუსუდანის დაქორწინება, ლაშას რომანიული თავგადასავალი, ზაქარია ამირსპასალარის მონაწილეობა ლაშასდროინდელ სამხედრო ექსპედიციებში).

შეუძლებელია იმის უარყოფაც, რომ გრ. რჩეულიშვილი ზოგჯერ ისტორიული ფაქტების უცოდინარობასაც იჩენს. ეპოქის დამახასიათებელ ზოგიერთ აქსესუარზე, რომელთა შესახებ მწერალს ყალბი წარმოდგენა აქვს, ჯერ კიდევ თანამედროვეებმა (ანტ. ფურცელაძემ და სხვ.) მიუთითეს.

გრ. რჩეულიშვილის მიერ მოთხრობაც ”ანუკა ბატონიშვილი” თავის ისტორიულ ნაწილში ”ქართლის ცხოვრებას” ემყარება. ამ შემთხვევაში მწერალს სამსახური გაუწია ”ქართლის ცხოვრების” II ნაწილის 1854 წლის დ. ჩუბინაშვილისეულმა გამოცემამ, რომელიც ერთადერთი ისტორიული წყაროა გრ. რჩეულიშვილისათვის.

იმის თქმა, თუ რამდენად მართებულად არის დახატული ესა თუ ის ისტორიული პირი, თითქმის შეუძლებელია, რადგან მოთხრობაში მთელი სიმძიმე არაისტორიულ, გამოგონილ ამბებზეა გადატანილი, თანაც ეს პირები თვით მატთანეში მკრთალად, ორიოდ სიტყვით არიან წარმოდგენილი. მაგრამ მწერალს ზოგიერთი ისეთი ისტორიული დეტალისათვის ჩაუვლია ხელი, რომელთაც სხვა მკითხველი იქნებ საგანგებოდ არც მიაქცევდა

ყურადღებას, და გამოუყენებია მოთხრობის წამყვან, ძირითად ინტრიგად.

მოთხრობის მიხედვით, მოქმედება წარმოებს კახთა მეფის ალექსანდრე ლევანის ძის დროს (1574 – 1605). მწერალი მოგვითხრობს, რომ ალექსანდრე მეფის და, ბატონიშვილი ანუკა, ღალატობს თავის მეუღლეს – ოთარ ჩოლოყაშვილს და სიყვარულით ასაჩუქრებს მისივე ქმრის მოურავს - უდაბნოელს (ყოფილ ბერს).

გრ. რჩეულიშვილს, ამ შემთხვევაში, ყურადღება მიუქცევია მატიანის ერთი ადგილისათვის, სადაც აღნიშნულია, რომ ალექსანდრე მეფის და, რომელსაც ”ფარულად თანაეყოფოდა ალავერდელი”, ამ უკანასკნელთან ერთად იმერეთს გაიქცა.

მწერალს გამოუყენებია ეს ცნობა, მაგრამ ამბისათვის სხვაგვარი ხასიათი და განვითარება მიუცია, დაახლოებით ისეთი, როგორც ამას ი. ფიორენტიონოს ”იზაბელა ორსინში” ვხვდებით.

მატიანეში ქალის სახელი არ არის აღნიშნული. ალავერდელი, რომელთანაც მას ურთიერთობა ჰქონია, არის სწორედ იმ ოთარ ჩოლოყაშვილის ძმა, რომელიც, მოთხრობის მიხედვით, ანუკა ბატონიშვილის ქმარია.

მოთხრობაში ისტორიულ პირთა როლები შენაცვლებულია: ალავერდელის ადგილზე გამოყვანილია უდაბნოელი, ხოლო ოთარ ჩოლოყაშვილი კეთილშობილი მეუღლის როლს თამაშობს. მატიანის მიხედვით, ალექსანდრემ მიუტევა დანაშაული დასა და ალავერდელს, გრ. რჩეულიშვილის მიხედვით კი, შეურაცხყოფილი მეფე შურს იძიებს.

კრიტიკოსთა ერთი ნაწილი ”ანუკა ბატონიშვილში” საქართველოს წარსულის დამახინჯებას ხედავდა, ხოლო ძველი თაობის ისეთ წარმომადგენელს, როგორცაა ბ. ჯორჯაძე, მოთხრობაში გადმოცემული ამბები, კერძოდ, ანუკას რომანული თავგადასავალი, ქართველი არისტოკრატის შეურაცხყოფად მიაჩნდა. მწერალი ქალი დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ ძველ საქართველოში ასეთ რაიმეს არავინ ჩაიდენდა, მით უმეტეს, ბატონიშვილიო<sup>[9]</sup>.

მაგრამ, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში მწერალი უკეთ იცნობდა ისტორიულ მასალას, ვიდრე მისი კრიტიკოსები.

გრ. რჩეულიშვილის მესამე ისტორიული მოთხრობა – ”ქვირვის ლიმონები”- სინამდვილეში ისტორიულ ფონს არ ქმნის, აქ მხოლოდ რომანული ამბავია გადმოცემული მარტივად და მიმზიდველად.

მიუხედავად ისტორიული მასალის მხრივ შეზღუდულობისა, მოთხრობა რამდენიმე ანაქრონიზმს შეიცავს. ძირითადად ყველა ეს ლაფსუსი თავის დროზე აღნიშნა ა. ორბელიანმა<sup>[10]</sup>.

ა. ორბელიანის შენიშვნათაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ შეცდომებზე მითითება, რომლებიც ისტორიული ეპოქის კოლორიტს არღვევენ.

ასე, მაგალითად, კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ ძველ საქართველოში "კნეინობით" და "კნიაზობით" წოდება არ იყო, რაც მეფეს მიმართავდნენ: "თქვენო დიდებულებავ", არამედ, "ჩვენო ბატონო", "ბატონო მეფევ" და სხვ.

"ქვრივის ლიმონები" გრ. რჩეულიშვილის პირველი ისტორიული მოთხრობაა<sup>[11]</sup>. უნდა ითქვას, რომ შემდგომ მწერალი ზოგიერთ ამ შენიშვნას ითვალისწინებს და სხვა მოთხრობებში ასეთ ანაქრონიზმებს აღარ აქვს ადგილი, მაგრამ სამაგიეროდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვა სახის ლაფსუსები იჩენს თავს ისტორიის სუსტი ცოდნის გამო.

ამრიგად, როგორც წინათ განხილულ მოთხრობებში, ისევე, და უფრო მეტადაც, "ქვრივის ლიმონებში" მხოლოდ გმირთა სახელები და ზოგიერთი პასაჟია ისტორიული. პერსონაჟთა ინდივიდუალობა და ხასიათი ისტორიულ მოვლენათა ფონზე კი არ იშლება, არამედ უმეტესად გამოგონილ, რომანულ ინტრიგათა საშუალებით ვლინდება და ისტორიულ ამბებთან მეტად პირობითი კავშირი აქვს.

გრ. რჩეულიშვილისათვის ეს გარემოება შემთხვევითი არ არის. იგი რომანტიკული ისტორიული პროზის გარკვეულ მანერას უკავშირდება. რომანტიკოსთა უმრავლესობისათვის ისტორია იყო მხოლოდ მასალა, საიდანაც მწერალი ნებისმიერად სასურველს არჩევდა და თავისებურად იყენებდა წინასწარაღებული მიზნისათვის.

ცხადია, ისტორიული პირობების და ისტორიული სიტუაციების გამოყენება ჯერ კიდევ არ წყვეტს მხატვრული ნაწარმოების ისტორიულობის საკითხს. ჭეშმარიტად ისტორიული ნაწარმოები ეხება და ასახავს მოვლენას, რომელსაც თავისთავად, მართლაც, ისტორიული მნიშვნელობა და ღირებულება აქვს. თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით რომანტიკულ პროზას, ვნახავთ, რომ რომანტიკოსები ნამდვილ ისტორიულ ნაწარმოებს ვერ ქმნიან; ისინი ისტორიას იყენებენ მხოლოდ ფონად, რომელზეც შემოქმედის განწყობილებათა სურათი აისახება. მთავარი მნიშვნელობა ენიჭება მწერლის პირად გრძნობებსა და ემოციებს, რომელთაც აღებულ ისტორიულ ეპოქასთან ხშირად არაფერი აქვთ საერთო. გრძნობა, რომელიც მხატვარს აწმყოში ფლობს, მას წარსულში გადააქვს.

გასაგებია, რომ ამ გრძნობას ნაკლები კავშირი აქვს აღებული ისტორიული ეპოქის მოვლენებთან და გმირთა ხასიათიც ისტორიულ ამბებში იშვიათად იშლება. რომანტიკოსები ”ეპოქის სულით გამსჭვალვას” ნაკლებად ახერხებენ. ეს, რა თქმა უნდა, მათი ტალანტის სიმცირით არ აიხსნება, არამედ გარკვეული მხატვრული მეთოდით: როგორც აწმყოში რომანტიკოსს საგანი კი არ აინტერესებს, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ამ საგნის მიერ აღძრული გრძნობა, ასევე იქცევა იგი წარსულის მიმართაც. ისტორიული მოვლენა იმდენადაა მისთვის საყურადღებო, რამდენადაც ხელოვანში გარკვეულ ემოციას აღძრავს და მწერლის გულისყურიც ამ უკანასკნელის დახატვისკენაა მიპყრობილი. ამიტომ შემთხვევითი არ იყო ჰიუგოს განცხადება, რომ ”ერნანში” იგი ხატავს არა ”ისტორიის სიმართლეს”, არამედ ”პოეზიის სიმართლეს”. ჰიუგოსათვის ისტორია იგივეა, რაც ა. დიუმასთვის – ”ლურსმანი, რომელზეც იგი ჰკიდებს სურათს”.

მაგრამ არის მეორე მხარეც. მხატვრული ნაწარმოების ისტორიულ სიმართლეს არამცირედ განსაზღვრავდა ისტორიული მეცნიერების განვითარების დონე ამა თუ იმ ქვეყანაში. ხოლო თუ გავითვალისწინებთ ქართული ისტორიოგრაფიის მდგომარეობას მე –19 საუკუნის 50 – 60 წლებში, გასაგები იქნება, თუ რამდენად შეზღუდული იყო მწერალი, რომელიც ისტორიული მასალის მხატვრულ დამუშავებას ჰკიდებდა ხელს.

ამიტაც უნდა აიხსნას ისტორიული თვალთახედვის ის სიმკრთაღე, რაც გრ. რჩეულიშვილს ახასიათებს. მის მოთხრობებს აკლია ისტორიული პერსპექტივა. მწერალს ნაკლებად ესმის და თითქოს არც აინტერესებს აღწერილ ეპოქათა სოციალური წინააღმდეგობანი. გრ. რჩეულიშვილი ვერ ახერხებს დახატოს მთავარი პერსონაჟები მრავალფეროვან ურთიერთობაში მთელ ხალხთან, ქვეყნის საზოგადოებრივ ყოფასთან.

ამასთან დაკავშირებით მართებულად აღნიშნავდა პროფ. ა. ხახანაშვილი: ”ნაკლებეფანება ამ მოთხრობისა (ლაპარაკია ”ქვრივის ლიმონებზე”-რედ.), როგორც, საერთოდ, ყველა გრ. რჩეულიშვილის ისტორიული რომანებისა, ის არის, რომ ავტორმა ნაკლებად იცის საქართველოს ისტორია, ამახინჯებს ფაქტებს, ჰქმნის თავისებურს გენეალოგიას. მკითხველს მაინც იტაცებს მისი ხელოვნურად გამოგონილი მოთხრობის არაკი, რომანული ინტრიგა, და თუმცა იგი ნაკლებად გვიხატავს მაშინდელ დროს, მაინც ქართული ელფერი აძევს მის შემოქმედებითს ნიჭს და მგრძნობიარე კალამს”<sup>[12]</sup>.

მაგრამ, ასეა თუ ისე, გრ. რჩეულიშვილი მაინც დამწყებია ისტორიული მხატვრული პროზისა ქართულ ლიტერატურაში; მას ამ

მხრივ წინამორბედი არა ჰყავს. მართალია, ისტორიული პროზისადმი ინტერესი საქართველოში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარშიც დასტურდება<sup>[13]</sup>, მაგრამ ამ ინტერესს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე სერიოზული პრაქტიკული გამოხატულება ჩვენს მწერლობაში არ ჰქონია.

\* \* \*

როდესაც მწერლის შემოქმედების, ამ შემთხვევაში გრ. რჩეულიშვილის პროზის, ხასიათზე ვლაპარაკობთ, საგანგებო ყურადღებას ვაქცევთ ე.წ. ”დახასიათების პრობლემას”, რადგან ეს უკანასკნელი უშუალოდ მხატვრულ მეთოდთანაა დაკავშირებული.

რომანტიკულ პროზაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ, განსხვავებით რეალისტური ლიტერატურისაგან, მწერალი ვერ იძლევა ”სოციალურ ტიპებს”, ვერ ახერხებს მოგვცეს გმირის ხასიათის თანდათანობითი ჩამოყალიბება ”წრის” ზეგავლენით, ვერ იძლევა გმირის მოქმედების ”სოციალურ მოტივირებას”.

რომანტიკული გმირი უმეტესად ნაწარმოების დასაწყისშივე ჩამოყალიბებული სახით გვევლინება და ამის მიხედვით გრძელდება ხასიათის მთელი შემდეგი ჩვენება. რომანტიკოსი ნებისმიერად წინასწარ შერჩეულ ხასიათებს გვაწვდის და არა ტიპებს, რომლებიც გარკვეულ გარემოში თანდათან, აუცილებლობის გამო, ამა თუ იმ სახით ყალიბდებიან. ამიტომ რომანტიკოსი უპირატესად საკუთარ შინაგან ხმას, გრძნობას ემორჩილება და ამის მიხედვით წარმართავს გმირის მოქმედებას.

რომანტიკული გმირების ასეთი შერჩევა ნაწარმოების პერსონაჟებს მეტ ტენდენციურობას ანიჭებს, ვიდრე ეს დამახასიათებელია რეალისტური ლიტერატურისათვის. რომანტიკული პროზის აღნიშნული ტენდენციურობა, უპირველეს ყოვლისა, ორი სახის გმირების დაპირისპირებაში მჟღავნდება. რომანტიკოსთა შემოქმედებითს პრაქტიკაში დომინირებული ეს მოვლენა შემთხვევითი არ არის. იგი არა მარტო მხატვრული ხერხია, არამედ გარკვეულ რომანტიკულ თვალსაზრისთანაცაა დაკავშირებული. ეს თვალსაზრისი უკვე კონკრეტულად ჩამოაყალიბა ვ. ჰიუგომ ”კრომველის” წინასიტყვაობაში, რომლის მიხედვითაც სიკეთის გვერდით არსებობს ბოროტება, სილამაზის გვერდით – სიმახინჯე, სინათლის გვერდით – სიბნელე და რომ სინამდვილეში ერთმანეთს ერწყმის ორი ესთეტიკური კატეგორია: ამაღლებული (sublime) და გროტესკული (grotesque).

ჰიუგო მიუითთებდა, რომ ეს საწინააღმდეგო თვისებები არა მარტო სიტუაციებში, არამედ თვით ადამიანებშიც იჩენს თავს. მისი აზრით, პიროვნებებში ასეთი წინააღმდეგობების დანახვა აგვაცილებდა იმ სქემატიზმს, რასაც ადგილი ჰქონდა კლასიციკლურ დრამაში პერსონაჟთა დახატვის დროს.

კეთილმა და ბოროტმა, სილამაზემ და სიმახინჯემ, ამაღლებულმა და გროტესკულმა მხატვრულ ნაწარმოებში მსგავსივე პერსონაჟების სახით პოვეს გამოხატულება და, რაც დრო გადიოდა, ამ დაპირისპირებულთა ჩვენება მით უფრო მექანიკურ ხასიათს იღებდა, გმირი თანდათან ერთი რომელიმე წამყვანი ვნების გამომხატველად იქცეოდა. მიუხედავად ამისა, ეს ერთი წამყვანი გრძნობა, რომელიც ფლობდა გმირს, არ იყო შეზღუდული და ჩარჩოებში მოქცეული. იგი ბუნებრივად ამოძრავებდა პერსონაჟს და მიაქანებდა იქითკენ, საითაც შინაგან სიმართლეს უნდა წაეყვანა, და აქ რომანტიკული გრძნობა მთელი სიღრმით იშლებოდა.

რომანტიკოსთა ამ გზას მიჰყვება გრ. რჩეულიშვილიც, რომლის ისტორიულ თუ სხვა მოთხრობებში გმირთა დახატვის ეს ხერხი თითქმის უცვლელია. მაგალითად, ”თამარ ბატონიშვილი” კონტრასტული ხასიათების სწორედ ასეთ დაპირისპირებაზეა აგებული: ერთი მხრივ – შალვა, თამარი, ელიზბარი, მეორე მხრივ – ივანე ალუთაშვილი, რუსუდანი, ლაშა – გიორგი. ამ პერსონაჟთა შორის წარმოქმნილი წინააღმდეგობანი ქმნიან ნაწარმოების მთავარ ინტრიგას. შალვა, თამარი და სხვები იმ ესთეტიკური კატეგორიის ხორცშესხმას წარმოადგენენ, რომელსაც რომანტიკოსები ”ამაღლებულს” უწოდებენ. ესენი არიან კეთილშობილი ადამიანები, ცხოვრებაში კეთილი საწყისის განსახიერება და, ვინაიდან ეს კეთილშობილება აბსოლუტურია, გასაგებია, რომ მათ არავითარი მანკიერება არ ახასიათებთ; მათ გულს აროდეს შეხებია ანგარება და შური; ისინი მხოლოდ თავიანთ ამაღლებულ ზრახვებს მისდევენ და ეწირებიან კიდევ მათ.

მაგრამ, ვინაიდან სინამდვილეში კეთილის გვერდით ბოროტის არსებობაც იმთავითვე ნავარაუდევია, ცხადია, რომ ამ უზადო ადამიანების კეთილშობილ მისწრაფებებს მავალი წინააღმდეგობა ელობება. ამ წინააღმდეგობას სწორედ მეორე კატეგორიის პერსონაჟები ქმნიან, რომლებიც განასახიერებენ ბოროტსა და დაბალის მცნებებს. მოთხრობაში ასეთ როლს კეთილსინდისიერად ასრულებენ ივანე ათაბაგი და რუსუდანი დედოფალი. მათი წყალობითაა, რომ ბოლოს და ბოლოს დადებითი გმირების ბედნიერება იშლება. ხოლო, რაც შეეხება ლაშა – გიორგის, მასში კეთილი და ბოროტი ებრძვიან ურთიერთს და თავისი

შინაგანი, საპირისპირო თვისებებით იგი იმ სახეს წარმოადგენს, რომელიც უფრო ადრე ჩამოაყალიბეს რუსმა დასავლეთევეროპელმა რომანტიკოსებმა (მაგ., ა. ბესტუჟევი – მარლინსკი ამაღლები, ვ. ჰიუგოს კრომველი, დონ – კარლოსი და სხვ.).

გრ. რჩეულიშვილის გმირები ტიპიურ რომანტიკულ გრძნობას ავლენენ. ისინი ხასიათდებიან გრძნობით, რომელიც ძლიერი და ბოზოქარია, რომელიც ყველაფერს წაღვეს თავის გზაზე და რომელმაც საზღვარი არ იცის. ეს გმირები არა გონების ხმას, არამედ საკუთარ შინაგან მისწრაფებებს ემორჩილებიან ისე, რომ თვით არ იციან და არც ვარაუდობენ, საით წაიყვანოს მათ ეს ძლიერი, სახიფათო გატაცება: დაღუპვისა თუ ბედნიერებისაკენ. და თუკი იციან არ იხევენ და ანგარიშს არ უწევენ მოსალოდნელ შედეგს, რადგან ეს გრძნობა, ამ შემთხვევაში სიყვარულისა, ღვთაებრივი წარმოშობისაა და მასთან ბრძოლა უშედეგოა, - იგი თვით ბედისწერაა.

შალვასა და თამარის ტრაგიკულ სიყვარულში მთელი სიღრმით ცნაურდება ამ ”ვნებიანი, ვულკანური” გრძნობის ძალა. შალვა თითქოს ხორცშესხმული რომანტიკული გრძნობაა, რომლის ყოველ სიტყვასა და ქცევაში მუდგანდება ეს თავდავიწყებული გატაცება; ეს გრძნობა იმდენად ფლობს გმირს, რომ იგი ანგარიშს აღარ აძლევს საკუთარ თავს, წონასწორობას კარგავს და ქრისტიანობისათვის თავდადებული მებრძოლი მკრეხელურ სიტყვასაც კი ამბობს, რათა ღმერთს ”მოჰსთხოვოს სამართალი”. შალვასა და ივანეს დიალოგში ამ რომანტიკული მანერითაა ყოველივე გადმოცემული.

ასეთივე თავდავიწყებით პასუხობს შალვას სიყვარულს თამარიც და თუ მის მოქმედებას გაბედულება აკლია, მხოლოდ იმიტომ, რომ გრ. რჩეულიშვილი უფრო ხის მკითხველი საზოგადოების გარკვეული ნაწილის გულისწყრომას და თამარს ათქმევინებს: ”... მე ვერა ვიქმ იმ საქმეს, რომელიც ჯერ საქართველოში არ მომხდარა...”<sup>[14]</sup> ”ანუკა ბატონიშვილის” გამოქვეყნების შემდეგ ატეხილი ხმაური მწერალს სიფრთხილეს კარნახობდა.

”ანუკა ბატონიშვილიც”, გრძნობის გამოვლენის თვალსაზრისით, ანალოგიურ სურათს იძლევა. ეს ”ვულკანური გრძნობაა”, რომ მოიცავს ანუკას და ადიულტერისაკენ უბიძგებს მას. ანუკა ვერ ახერხებს წინააღმდეგობა გაუწიოს ამ გრძნობას, რადგან ეს უკანასკნელი ნებისყოფის პარალიზებას იწვევს და, როგორც ანუკა აცხადებს, ”აღარ შეუძლია ბრძოლა საკუთარ გულთან”, ”მას სისხლი ეწვის სიყვარულისგან”.

ასეთივეა ტიტკო ამავე მოთხრობაში, ასეთივე არიან სხვა გმირებიც.

ამ თავდავიწყებულმა სიყვარულმა შეიძლება უმძიმესი დანაშაულიც ჩაადენინოს ადამიანს და ამის ნიმუშია გრ. რჩეულიშვილის ორი მოთხრობა "ლუნატიკი" და "შეშლილი"<sup>[15]</sup>.

გრ. რჩეულიშვილის გმირებს, მათ შორის შალვასაც, ბედისწერის დაღი "შუბლზე ატყვიათ". ასეთმა პერსონაჟებმა, საერთოდ, განსაკუთრებით საპატო ადგილი დაიკავეს რომანტიკულ ლიტერატურაში. ბედისწერა, დაუნდობლად სდევნის მათ, წყევლა, რომელიც არ შორდებათ, წარმოშობის საიდუმლოება და არცოდნა საკუთარი ვინაობისა, - ყოველივე ეს ამ რომანტიკულ გმირებს მიმზიდველს ხდიდა. შალვას მთელი დიალოგიც თამართან საიდუმლოებისთვისაა და ბედისწერის გარშემო ტრიალებს. ასეთ დიალოგებში ყველაზე მეტად იგრძნობა გრ. რჩეულიშვილის წერის რომანტიკული მანერა.

შალვა პირველად საყვარელ ქალს უმჟღავნებს თავისი საიდუმლოებრივი წარმოშობის ამბავს და აცხადებს, რომ მას ბედისწერა სდევნის, როგორც მამამისს: "მაშ მე რაღას მოველოდე იმისაგან კეთილსა? ვკვრებო, რომ მეც მწარე ბედი მომელის"...; დღევანდელ დღეს აქვს საიდუმლო კავშირი მამიჩემის უბედურებასთან... მეც მიმიზიდამს მისკენ ჩემი ბედი..."<sup>[16]</sup>

და ეს გმირები იღუპებოდნენ "უსამართლო ბედისწერასთან" ბრძოლაში, ხოლო იბრძოდნენ იმიტომ, რომ "ღირსნი იყვნენ უკეთესი ხვედრისა".

გრ. რჩეულიშვილის მხრივ ამ თავდავიწყებით შეყვარებული გმირების ჩვენებას ქართველი თავადაზნაურობის ერთი ნაწილი სიმპათიურად არ შეხვედრია: ქართველ არისტოკრატთა ეს თავგადასავალი, ცოლქმრული ღალატის ჩვენება და სხვ., რაც გრ. რჩეულიშვილის მხატვრულ პროზაში იყო წარმოდგენილი, მან თავისი ღირსების შეურაცხყოფად მიიჩნია, რადგან ტრადიციულად მხატვრულ ლიტერატურაში მას საკუთარი თავი ამ მხრივ მანამდე არ დაენახა.

რა თქმა უნდა, გრ. რჩეულიშვილი სრულებითაც არ ფიქრობდა ქართველი თავადაზნაურობის ღირსების შელახვას, თვითონ იგი ამავე წოდების შვილი იყო. მწერალი მხოლოდ რომანტიკული პროზის უკვე ცნობილ გზას მიჰყვებოდა.

\* \* \*



მაგრამ, გარდა ზემოაღნიშნულისა, გრ. რჩეულიშვილის მხატვრული პროზა სხვა ტენდენციასაც შეიცავს, კერძოდ, ესაა ღრმა პატრიოტული გრძნობა და შეგნება.

გრ. რჩეულიშვილის ინტერესი ისტორიული მასალისადმი რომანტიკოსის მხოლოდ უბრალო გატაცებით არ არის გამოწვეული, მიდრეკილებით ”ეკზოტიკისადმი, რომელიც დროისადმია მიმართული”. მას უფრო ღრმა, ეროვნული საფუძველი აქვს.

როგორც ცნობილია, მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურას ყოველთვის ახასიათებდა პატრიოტული ტენდენცია, ხოლო რომანტიკოსები, რომლებიც იწყებენ ახალი ქართული მწერლობის ისტორიას, ამ მხრივაც პირველნი არიან და მათგან დიდად არის დავალებული მომდევნო ხანის ლიტერატურა.

რომანტიკული პროზაც, მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით და მკრთალად ვითარდება, მაინც ამბობს თავის სიტყვას.

გრ. რჩეულიშვილის ისტორიულ მოთხრობებსაც თავის დროზე ჰქონდა პატრიოტული რეზონანსი და შემთხვევითი არ არის, რომ ”თამარ ბატონიშვილი” ორჯერ გაილექსა – რაფ. ერისთავისა და ს. გუგუნავას მიერ, ხოლო კ. მესხმა პიესად გააკეთა და იგი დიდხანს შერჩა ქართულ სცენას, როგორც პატრიოტული დრამა.

შეიძლება ითქვას, რომ თვით მწერალი, გატაცებული გმირების რომანული თავგადასავალით, ხშირად ვერ ახერხებდა ამ მხრივ გაემძაფრებინა თავისი ნაწარმოების სიუჟეტი, მაგრამ იგი უთუოდ იყო დაჯილდოებული ღრმა პატრიოტული გრძნობით. აი, როგორ მიმართავს ლაშა – გიორგი ხალხს:

”გახსოვდეთ – ყოველ წამასა, რომ თქვენ გასულხართ საომრად მამულისა და სარწმუნოების დასაცველად, რომელნიც აქამომდე შეურყევლად შეუნახამთ ჩვენს წინაპართ და რომელნიც, ჩვენ ვალი გვადევს, ჩავაბაროთ ეგრეთვე ჩვენს ჩამომავლობასა. ნუ გამოუდგებით ამაოდ ამ ქვეყნიერის სარგებლობას; ნუ დაივიწყებთ, რომ თქვენ იბრძვით იმ ადგილისათვის, სადაც არიან დამარხულნი ჩვენთვის თავგანწირულთა მამა-პაპის ძვალნი, და სადაც თავის დროს ჩვენც უნდა დავიმარხოთ პირნათლად. ნუ გექნებათ დასაღუპავი შური ერთმანეთში, მოიქცით მორჩილებით ისრე, როგორც შვილნი ერთის სახლისანი და მაშინ გამარჯვება ჩვენია” (თამარ ბატონიშვილი). მოთხრობის ასეთი ადგილები უთუოდ აღვივებდნენ მკითხველის პატრიოტულ გრძნობას.

”თამარ ბატონიშვილის” მთავარ გმირს შალვას, როდესაც იგი პირად ბედნიერებას სამუდამოდ გამოეთხოვება, კიდევ რჩება არსებობის მიზანი: საქართველოს კელდღეობას შესწიროს თავი, სამშობლოს თავისუფლებისათვის იბრძოლოს, იმ დროს, როდესაც

მაგალითად, ალფრედ დე –ვინის გმირი სენ –მარი (ამავე სახელწოდების რომანიდან) იარაღს ყრის და ბრძოლა მისთვის ყოველგვარ აზრს კარგავს, როდესაც შეცდომით რწმუნდება, რომ სატრფოს –მარია გონზაგოს იგი აღარ უყვარს. ასე ხატავს ფრანგი რომანისტი გმირს, რომელსაც მხოლოდ სიყვარული ამოძრავებს. მაგრამ გრ. რჩეულიშვილს არ შეეძლო ამ სახით წარმოედგინა თავისი პერსონაჟი, რადგან ქართველი მწერალი პატრიოტულ ტენდენციას გვერდს ვერ აუვლიდა.

ასევე თამარშიც სამშობლოსადმი მოვალეობის გრძნობა ებრძვის შალვასადმი სიყვარულს და პირველი სძლევს მეორეს (თუმცა ეს მომენტი მწერალს მკრთალად აქვს გადმოცემული).

ეროვნული საკითხით დაინტერესება მოჩანს ”ქვრივის ლიმონებშიც”. ეს, უპირველესად, მჟღავნდება რუსეთთან საქართველოს ურთიერთობის საკითხში. ამ შემთხვევაში გრ. რჩეულიშვილი იმავე პოზიციას იზიარებს, რომელზეც იდგა ქართველი ინტელიგენციის მოწინავე თაობა. მწერალი აღიარებს რუს ხალხთან კავშირის აუცილებლობას. რუსეთთან საქართველოს შეერთება მისთვის დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ფაქტია, არათუ დასაშვები, არამედ ისტორიულად აუცილებელიც. გრ. რჩეულიშვილი ახერხებს ამ თვალსაზრისის სათანადოდ მოტივირებას და ყოველივე ამას ერეკლეს პირით გადმოგვცემს. ამ შემთხვევაში მწერალი დიდად არის დავალებული ქართველ რომანტიკოსთა პირველი თაობისაგან, განსაკუთრებით კი ნ. ბარათაშვილის პოემას მოუხდენია მასზე უშუალო გავლენა. აი ეს ადგილიც:

”...არ ვიცი, როდემდის უნდა გაგრძელდეს ამ გვარი მდგომარეობა საქართველოსი! ვინც უკეთესნი შვილნი ჰყავდა მას, თითქმის ყველამ თავი შეაკლა მამულსა... ოც კაცში ხუთი ძლივსდა კვდება ქვემაგებში საშვალ სახლობისა თვისისა, და ნაშთენნი წვებიან ველსა ზედა ბრძოლისასა... რა არის ეხლანდელი ჩვენი ცხოვრება? რა ყოფილა ძველად და რა იქნება მომავალში? -განაგრძელა მეფემ დაფიქრებულმა, თითქოს მარტო თავისთავს ელაპარაკებოდა... - დღეს არის თუ ხვალ საქართველოს მოელება ბოლო, იგი აუცილებლად გათათრდება... თან და თან უკან მიდი. შებეზრდა ხალხიც დაუცხრომელ სისხლის ღვრასა და ტანჯვასა... საქართველოს აღარ შეუძლიან მარტო ბრძოლა ყოველის მხრივ ასივებულ მტრებთან. იგი მოხუცია, მოუძღურდა, ძალა გამოელია ჩემსავით... მე დავიწყე შეკავშირება საქართველოსი რუსეთთან, რუსნი ძლიერნი არიან, - ჩვენი მერჯულენი არიან, იმათ შეუძლიანთ მტრის გაძლოლა, ისინი დაამყარებენ ქართველთ თავის სარწმუნოებაზედ, დაფარავენ

თავის ძლიერის ფრთებით... ვინც უნდა მლანძღოს, ვინც უნდა მაგინოს, მე ამ საქმისათვის მხოლოდ შთამომავლობისაგან მოველი სიმართლეს: იგი დააფასებს ჩემს შრომას, ჩემს მოქმედებას... გულთა მხილავმა ღმერთმა ხომ იცის, რომ მხოლოდ შენი ბედნიერებისათვის დავიწყე რუსეთთან ეს კავშირი და არა ჩემის დიდებისათვის...”<sup>[17]</sup>

მომდევნო ხანის კრიტიკამაც, უპირველეს ყოვლისა, ეს ღირსება დაინახა გრ. რჩეულიშვილის ისტორიულ მოთხოვნებში და შეეცადა მათი საშუალებით მკითხველის ეროვნულ გრძნობაზე კიდევ უფრო მეტად ემოქმედა<sup>[18]</sup>.

ამიტომ შემთხვევითი არ იყო, ს. მაგლობლიშვილი სემინარიის ცხოვრებიდან რომ იგონებდა: ”...კერძოდ ვშოულობდით ” საქართველოს მოამბეს”, ”ცისკრის” და ”დროების” ნომრებსა, ”ქართლის ცხოვრებასა”, დიდ პატივში გვყავდა თხზულება გრ. რჩეულიშვილისა ”თამარ ბატონიშვილი” თითქმის მთელმა სემიანარიამ ზეპირად იცოდა”<sup>[19]</sup>.

\* \* \*

გრ. რჩეულიშვილი, როგორც ხელოვანი, ”ცისკარის” თანამშრომელთა შორის უთუოდ ყურადღებას იქცევს.

ჯერ კიდევ ბ.ბელინსკი აღნიშნავდა: ”ჩვენს ძველ მწერლებს მხოლოდ მხატვრული თვალსაზრისით თუ შევხედავთ, მაშინ არა მარტო რომელიმე სუმაროკოვი, ხერასკოვი, და პეტროვი, ლომონოსოვიც კი – ეს კიდევ ცოტაა - თვით დერჟავინი დაჰკარგავს თითქმის მთელ თავის მნიშვნელობას და აღარ მოგვეჩვენება არამც თუ დიდად, არმედ შესამჩნევ მოვლენადაც კი რუსული პოეზიის სფეროში... და ამიტომ ლიტერატურაზე მსჯელობის დროს, გარდა ესთეტიკური თვალსაზრისისა, საჭიორა აგრეთვე ისტორიულიც”<sup>[20]</sup>.

ასეთი ისტორიული თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ გრ. რჩეულიშვილის პროზასაც. მაგრამ თუ ზოგჯერ თანამედროვე მკითხველის ესთეტიკური მოთხოვნილებების სიმაღლიდან გავსინჯავთ, აღმოჩნდება, რომ ხანდახან ამ უჩინარ რომანტიკოსსაც შეუძლია გვაგრძნობინოს თავი, როგორც ნამდვილმა ხელოვანმა.

მიუხედავად იმისა, რომ გრ. რჩეულიშვილი, როგორც მწერალი, ზოგჯერ გულუბრყვილოა, ხანდახან თავს იჩენს მოუმწიფებელი ოსტატის ხელიც, ხოლო ენა აქა-იქ დაუწმენდავია, - მის პროზაში მაინც არ არის ის, რაც მხატვრის ტალანტს ამჟღავნებს.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მოთხრობის კომპოზიციურად კარგად შეკვრასთან ერთად, მწერალს სიუჟეტის მოხერხებულად განვითარებაც ეხერხება. მართალია, გრ. რჩეულიშვილს არა აქვს ”ბრწყინვალე ტალანტი მოთხრობელისა”, მაგრამ მას მაინც შეუძლია მკითხველის გატაცება. მწერალს ემარჯვება როგორც სიუჟეტის გაკვანძვა, კულმინაციურ წერტილზე აყვანა, ისე კვანძის გახსნა. ხოლო მისი მოთხრობების ეპილოგი, საერთოდ, ყოველთვის კარგი ოსტატის ხელით შესრულებული ტილოს შთაბეჭდილებას ტოვებს.

ვინაიდან გრ. რჩეულიშვილის მოთხრობებს ყოველთვის სასიყვარულო ინტრიგა უძევს საფუძვლად, ამიტომ მოქმედების განვითარების ძირითადი მომენტები რომანულ კოლიზიებთან არის დაკავშირებული. მწერალს არ სჩვევია სიუჟეტის ძირითადი ხაზიდან გადახვევა და ჩართული ადგილებით ნაწარმოების გადატვირთვა. პარალელურ სი უჟეტებს მის მოთხრობებში თითქმის არ ვხვდებით.

როგორც აღვნიშნეთ, მწერალს ემარჯვება ეპილოგის მოხდენილად მოცემა და წერტილის დროულად დასმა. როცა ძირითადი ინტრიგა მთავრდება, ავტორი მეორეხარისხოვანი გმირების ამბავს აღარ აჭიანურებს, გრძნობს, რომ მკითხველის ინტერესი აქ დამთავრდა. ეს მწერლის მხატვრულ ტაქტზე მიუთითებს. საერთოდ, მისი მოთხრობის უკანასკნელი მწუხარე აკორდი ყოველთვის შეეფარდება ნაწარმოების ძირითად მელოდიას. ასეთია ფინალი ”თამარ ბატონიშვილისა”, ”ანუკა ბატონიშვილისა” და სხვ.

გრ. რჩეულიშვილს ეხერხება დიალოგიც, და უპირატესად აქ მყდავნდება მწერლის ფსიქოლოგიური დაკვირვების უნარი. აქ ჩანს არა მარტო ოსტატი მხატვარი, არამედ შემოქმედიც, რომელიც ფლობს ფსიქოლოგიური მოთხრობის სირთულეს და მოხდენილ დიალოგში ახერხებს ადამიანის სულიერი მოძრაობის ნიუანსის გადმოცემას. ამ მხრივ საინტერესოა ”თამარ ბატონიშვილიდან” ”სატრფიალო” სცენა რუსუდანსა და შალვას შორის: ხანდაზმული ქალი, რომელიც ვნებიანი გულისთქმით ეპოტინება დაკარგულ გაზაფხულს, ახალგაზრდა რაინდი, რომელსაც გაჭირვება აიძულებს დახვეწილი ქათინაურები შეაგებოს ადგზნებულ დედოფალს, შემდეგ შეცდომის გამომჟღავნება, - ყოველივე ეს ისეთი უშუალობითა და ბუნებრიობითაა გადმოცემული, რომ მკითხველი გრძნობს, მწერალს აქვს მხატვრის უცდომელი ალლო და ტაქტი. აქ გმირების მიმიკა, ჟესტი და ინტონაციაც კი არის გათვალისწინებული.

ასეთივე ფსიქოლოგიური და მხატვრული სიმართლითაა გადმოცემული სცენები ყიასდინ სულთანსა და სოსნას შორის,

ანუკასა და ტატიკოს შორის და სხვ. დამაჯერებელია გრ. რჩეულიშვილის პერსონაჟების თვითანალიზიც (მაგალითად, ანუკას აღსარება საკურთხეველში). ასევე, მხატვრის ინსტიქტი კარნახობს მწერალს თავისი იდეალური გმირიც არ დაგვიხატოს მხოლოდ და მხოლოდ "უშიში, ვითარცა უხორცო". როდესაც ჯალალ – ლედინი სიკვდილით დასჯას დაუპირებს შალვას, ეს უკანასკნელი თრთის, მასში იღვიძებს სიცოცხლის წყურვილი, შალვას თვალწინ წამით გაიელვებს მთელი წარსული, გაახსენდება, რომ იგი ჯერ კიდევ ასე ახალგაზრდაა, რომ შეიძლება მას კიდევ ელოდა ბედნიერება. მაგრამ სულის სიმტკიცე იხსნის მერყეობისაგან და, დასასჯელად თვალეზახვეული, იგი გადაჭრით უარყოფს ჯალალ –ედინის დამცირებულ წინადადებას. მწერალი ზედმეტი რომანტიკული ცდუნებისაგან დროზე იკავებს თავს და არჩევს, ფსიქოლოგიური სიმართლით წარმოგვიდგინოს გმირი, რადგან ეს გმირი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანია.

ასეთი ფსიქოლოგიური ნიუანსი საკმაოდაა გრ. რჩეულიშვილის მოთხრობებში. მწერალს ეხერხება გმირის გრძნობის ანალიზი და, საერთოდ, შინაგანი სამყაროს დაკვირვებულად და დამაჯერებლად ჩვენება. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ფსიქოლოგიური მოთხრობა მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში გრ. რჩეულიშვილისაგან იღებს სათავეს.

თუ მწერალი ძლიერია ეპილოგში, სამაგიეროდ მისი რომანების ექსპოზიცია სრულებით არ იქცევს ყურადღებას: ის ერთფეროვანი და ხშირად ტრაფარეტულიცაა. ამ მხრივ მხოლოდ "თამარ ბატონიშვილის" დასაწყისი გამოირჩევა, სადაც გმირთა უცნაურ შეხვედრასა და მათი წარსულის გახსნაში მოჩანს რომანტიკული მოთხრობების ექსპოზიციისათვის დამახასიათებელი თავისებურება.

გრ. რჩეულიშვილის მოთხრობები მრავალრიცხოვანი პერსონაჟებით არ ხასიათდება. ეს უმთავრესად მწერლის მხატვრული ტალანტის ვიწრო დიაპაზონით აიხსნება. მას არ შესწევს უნარი მოგვცეს საზოგადოებრივი ცხოვრების უფრო ფართო სურათი. ამიტომ მისი მხატვრული ტილოების მოცულობაც განსაზღვრულია.

მიუხედავად იმისა, რომ გრ. რჩეულიშვილის ყველა მოთხრობა რომანულ ინტრიგაზეა აგებული, სიტუაციათა ერთგვარობას მაინც არ აქვს ადგილი. ეს ხელს უწყობს გმირთა ხასიათის (რაც ყველა ნაწარმოებში თითქმის არსებითად ერთნაირია) უფრო დამაჯერებლად გახსნასა და გადმოცემას.

მწერალი მისდევს გმირთა დახატვის პირდაპირ გზას. ის თითქმის ყოველთვის გარეგნული ნიშნების დახასიათებით იწყებს და შემდეგ მკითხველი მიჰყავს გმირის სულიერი სამყაროსაკენ.

გრ. რჩეულიშვილს სრულებით არ ეხერხება პეიზაჟის დახატვა და არც იძლევა მას. ასევე არ ეხერხება მწერალს ბატალური სცენების აღწერა და საჭიროების შემთხვევაში, თუ ეს მოსახერხებელია, ისტორიულ წყაროს მიმართავს და მას მიჰყვება.

თუ პროზას ჩვეულებრივი გაგებით გააჩნია რიტმი, მაშინ უნდა ითქვას, რომ მისადმი მიდრეკილება მე – 19 საუკუნის პირველ ნახევარში ყველაზე უფრო რომანტიკოსებს ჰქონდათ. გრ. რჩეულიშვილი სიტყვათა განმეორებით ხშირად ქმნის რიტმულობის შთაბეჭდილებას და ამავე დროს აღწევს პათეტიკურ ინტონაციას (სცენა საკურთხეველში "ანუკა ბატონიშვილიდან", შალვასა და ივანეს დიალოგი ტყვედ ჩავარდნის წინ "თამარ ბატონიშვილიდან" და სხვ.), მაგრამ ეს უკანასკნელი იშვიათად იღებს რიტორიკულობის ხასიათს; და უნდა ითქვას, რომ გრ. რჩეულიშვილის პროზაში ეფექტს უპირატესად ქმნის ამაღლებული რომანტიკული პათოსი, რაც მის ყველა ნაწარმოებს თითქმის ბოლომდე გასდევს.

რომანტიკულ ლიტერატურაში უკვე გვაქვს მისწრაფება კონკრეტული მხატვრული სახეებისადმი და ამავე დროს რომანტიკოსებს "სურთ ხატონ სიტყვებით". ამ მხრივ საკმაოდ დაჯილდოებულია გრ. რჩეულიშვილიც ("ვარდის სიწითლე მის ლოყებზედ", "ლაჟვარდი ცა", "მტრედისფერი ცა", "ბრწყინვალე თვალნი, თითქოს შავის აღმასისაგან გამოკვეთილნი" და სხვ.). განყენებული სახეები გრ. რჩეულიშვილს არ ეხერხება. ამას, ალბათ, ისიც უწყობდა ხელს, რომ ქართულ მწერლობას ტრადიციულად მოსდევდა ხატოვანი მეტყველება.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ, თუ გრ. რჩეულიშვილის პროზის ხასიათი აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა, სამაგიეროდ მისი ენის ღირსების შესახებ ორი აზრი არ არსებობდა. მწერლის თვით უმკაცრესი კრიტიკოსებიც კი აღიარებდნენ ამას. მართლაც გრ. რჩეულიშვილის ენა, იმ დროსთან შეფარდებით, საკმაოდ გამართული და ლაპიდალურია. მას ემჩნევა სისადავისაკენ მიდრეკილება, საკმაოდ უახლოვდება სასაუბრო ენას. ეს გარემოება, უპირველეს ყოვლისა, ცხადია, ეპოქის საერთო მოთხოვნითა და მისწრაფებით აიხსნება. მაგრამ ამასთან ერთად გრ. რჩეულიშვილის ენას ზოგიერთი ნაკლიც ახასიათებს. ეს, უწინარეს ყოვლისა, რუსიციზმების შესახებ ითქმის. ამ მხრივ მწერლის ისტორიული მოთხოვნები მეტი სიწმინდით ხასიათდება.

აქვე უნდა ითქვას, რომ მწერლისა და მისი გმირების ენა და სტილი თითქმის ერთგვარია. ამ მხრივ გრ. რჩეულიშვილი ვერ ახერხებს ზღვარის გავლენას. ეს ერთხელ კიდევ მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად ორგანულია მწერლისათვის ყველაფერი ის, რასაც მისი გმირები ავლენენ, და რომ ამ გმირების პირით თვით ავტორის რომანტიული გრძნობა მეტყველებს.

\* \* \*

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გრ. რჩეულიშვილი ერთი პირველთაგანია, რომელიც იწყებს მე – 19 საუკუნის ქართული პროზის აღორძინებას, ხოლო ისტორიული მხატვრული პროზა უშუალოდ მასთან იღებს სათავეს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იგი თითქმის ერთადერთია, რომელიც რომანტიკული პროზის რამდენადმე თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენს ქართულ მწერლობაში.

მართალია, როგორც იტსორიული პროზის დამწყებს, მას უშუალო გავლენა არ მოუხდენია მომდევნო თაობაზე, მან პირველმა გადადგა ნაბიჯი ამ ჟანრისაკენ. ამიტომ გრ. რჩეულიშვილის მოთხრობებს არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ამ მხრივ. მათი ავტორი ერთ – ერთი პირველი აპყრობს საქართველოს წარსულისაკენ პროზაიკოსის მხატვრულ თვალს და ერთ პირველთაგანს სიახლე შემოაქვს ნამდვილი ფსიქოლოგიური მოთხრობის სახით.

ამიტომ ის მოკრძალებული წვლილი, რაც გრ. რჩეულიშვილმა ქართულ მწერლობაში შეიტანა, უეჭველად ყურადღების ღირსია.

მაგრამ გრ. რჩეულიშვილის მხატვრული მემკვიდრეობა ლიტერატურის ისტორიიდან უფრო მკრთალად გამოიყურება, ვიდრე ზოგიერთი მისი თანამედროვე მწერლისა, რომელთაც იგი თავისი მხატვრული ძალით თუ არ აღემატება, ყოველშემთხვევაში არ ჩამორჩება. მწერლის ხმა დროთა მსვლელობაში დაიკარგა და ქართულ ლიტერატურაში გრ. რჩეულიშვილი თითქმის მუდამ ჩრდილში მდგომი პროზაიკოსი იყო.

ეს გარემოება სავსებით გასაგებია: გრ. რჩეულიშვილის პროზის ძირითადი ხასიათი არ პასუხობდა თავის დროის ყველაზე მტკივნეულ საკითხებს. მწერალი თითქმის ვერ ამჩნევდა მის თვალწინ მომხდარ დიდ სოციალურ ძვრებს და უმეტესად წარსულისაკენ იცქირებოდა. ცხოვრება კი უკვე სხვა გზით მიდიოდა და მას უფრო სერიოზული საკითხები ჰქონდა გადასაჭრელი, ვიდრე

გრ. რჩეულიშვილის რომანტიკული პროზა შეიცავდა. 60 – იანი წლების დიდი სოციალური იდეები მწერალს თითქმის არ შეხებია (ამით იყო უმთავრესად გამოწვეული, რომ ახალი თაობის წარმომადგენლები – ი. ჭავჭავაძე, გ. წერეთელი, ა. ფურცელაძე და სხვ. სიმპათიურად არ უყურებდნენ გრ. რჩეულიშვილს). ამ ხანებშიც მწერალი ძველი, ფეოდალური საქართველოს სიყვარულით სუნთქავდა და, როგორც ჩანს, პატრონყმური ინსტიტუტი ყველაზე სრულყოფილ სოციალურ ფორმად მიაჩნდა.

სიყვარულის ტრაგედიას მწერალი სოციალურ წინააღმდეგობამდე კი არ აღრმავებდა, არამედ იგი ადამიანთა შორის შესაძლო კერძო კონფლიქტამდე მიჰყავდა. გრ. რჩეულიშვილის მხატვრული ხედვა უმთავრესად უმაღლესი არისტოკრატის წრით იფარგლებოდა და დაბალი სოციალური ფენები მას ნაკლებად აინტერესებდა. უკეთეს შემთხვევაში, მწერალი მხოლოდ და მხოლოდ ერთგულ ყმათა და მსახურთა სახეებს ხატავდა.

გრ. რჩეულიშვილის ინტერესი აწმყოდან წარსულშია გადატანილი, ხოლო ეს წარსული მწერალს უმთავრესად ისეთ ასპექტში აინტერესებდა, რომ მას არ შეეძლო რაიმე მჭიდრო კავშირი ჰქონოდა თანამედროვე ცხოვრების ყველაზე სასიცოცხლო მოთხოვნილებებთან.

---

<sup>[1]</sup> გარდა აღნიშნულისა, გრ. რჩეულიშვილის სხვა პროზაული თარგმანებიც ეკუთვნის: “ავრორა” (“ცისკარი”, 1864, N1, 2), “ნორმა” (“ცისკარი”, 1865, N7), “აღსარება მარიონ დელორმისა” (“ცისკარი”, 1865, N10, 11, 12-1866, N1, 2, 3, 4, 5). ყველა ეს ნაწარმოები რომანიულ ინტრიგაზეა აგებული, გარდა ამისა, გრ. რჩეულიშვილის მიერ თარგმნილია ანეგდოტური ხასიათის რამდენიმე თხზულება: “მოტყუებული ბრილიანჩიკი” (“ცისკარი”, 1857, N12), “მართლმსაჯულება არაბეთში” (“ცისკარი”, 1866, N2) და სხვ. მის მიერვეა თარგმნილი ისტორიული ხასიათის ნაწარმოები “ალექსანდრე მაკედონელი” (“ცისკარი”, 1865, N7. ) გრ. რჩეულიშვილის აღნიშნული თარგმანებიდან უფრო მნიშვნელოვანია “ნორმა” (რომელიც იტალიელი კომპოზიტორის ვინჩენცო ბელინის ამავე სახელწოდების ოპერის ლიბრეტოდან უნდა იყოს გადმოღებული), “აღსარება მარიონ დელორმისა” (რომელიც თემატიკურად ძალიან უახლოვდება ჰიუგოს “მარიონ დელორმს” და დე-ვინის “სენ – მარს”) და მაინ – რიდის “ავრორა”.

<sup>[2]</sup> “ცისკარი”, 1857, N5, გვ. 8.

<sup>[3]</sup> ასევე, რჩეულიშვილის ლექსი – “სიყვარულო, რა გრძნობა ხარ, რისგანა ხარ შედგენილი” – წარმოადგენს მიბაძვას ალ. ჭავჭავაძის ლექსისას – “სიყვარულო, ძალსა შენსა”. ქართველ რომანტიკოსთა წინა თაობას, კერძოდ ნ. ბარათაშვილის გავლენა, როგორც შემდეგ ვნახავთ, შეინიშნება მწერლის მხატვრულ პროზაზეც.



საინტერესოა აქვე აღინიშნოს, რომ გრ. რჩეულიშვილი გრ. ორბელიანის პოეზიის ერთ-ერთი თავყვანისმცემელი ყოფილა და ამ უკანასკნელის “გაფანტულ ლექსებს” (იხ. გრ. ორბელიანი ლექსები, 1884, რედაქციისაგან).

[4] ანუკა ბატონიშვილის მოთხრობაზე (კრიტიკა), “ცისკარი”, 1861, N 3. თვით “ანუკა ბატონიშვილი” დაიბეჭდა “ცისკარში” 1860 წ., N11.

[5] იხ. И. Фиорентини, Изабелла Орсини, герцогиня Гречиано. Исторический роман. С.П., 1890.

[6] იხ. А. Диума, Две Дианы, Соч., т. XIV- XVI, 1905.

[7] ა. წერეთელი, ჩემი თავგადასავალი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV, 1948 გვ. 74.

[8] თვით “თამარ საქართველოს ბატონიშვილი” დაიბეჭდა “ცისკარში” 1862 წ., N 5, 6, 7, 8.

[9] კნ. წინა ერისთავისა, კრიტიკა ანუკა ბატონიშვილის მოთხრობაზე, “ცისკარი”, 1861, N 1.

[10] ა. ორბელიანი, “ქვრივის ლიმონების” განხილვა ანუ კრიტიკა, “ცისკარი”, 1858, N 4.

[11] დაიბეჭდა “ცისკარში” 1857 წ., N 10.

[12] ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვების ისტორია (მე-19ს.) ტფილისი, 1913, გვ.80.

[13] იხ. გრ. ორბელიანის წერილი ილია ორბელიანისადმი 1843 წლის თარიღით (გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. I, ა. გაწერელის რედ., 1936, გვ. 12).

[14] თამარ საქართველოს ბატონიშვილი, “ცისკარი”, 1862, N5, გვ. 51.

[15] “ლუნატიკი” დაიბეჭდა “ცისკარში” 1860 წ., N9, ”შემოილი” – 1862წ., N4. ორივე მოთხრობა გადმოკეთებულია რუსულიდან, როგორც მართებულად მიუთითა ქართულმა კრიტიკამ გასული საუკუნის 60 –იან წლებში.

[16] თამარ ბატონიშვილი, “ცისკარი”, 1862, N6, გვ. 93.

[17] მართალია, “ზედი ქართლისა” პირველად 1858წ. დაიბეჭდა “ცისკარში”

(“ქვრივის ლიმონები”) გამოქვეყნდა 1957წ.), მაგრამ, ეჭვს გარეშეა, გრ.

რჩეულიშვილი ამ პოემის ხელნაწერ ტექსტს იცნობდა.

[18] ასეთია სტატია ალ. ცაგარელისა – ”ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში” (“დროება”, 1877 N7) და განსაკუთრებით გ. თუმანიშვილის წერილი – ”ჩვენი ძველი გმირების” სერიაში დაბეჭდილი (“დროება”, 1875, N 10).

[19] ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1938, გვ. 46.

[20] В. Белинский, Собр. соч. в трех томах, т. II, Москва, 1948, გვ. 115.

## სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ- ლიტერატურული ვითარება XIX საუკ. 40 –50-იანი წწ. საქართველოში.

მე-19 საუკუნის 40 – 50-იანი წლები საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში მთელი რიგი სიახლით ხასიათდება. აღნიშნულ პერიოდში გარკვეული ცვლილებები იქნა შეტანილი მმართველობის იმ სისტემაში, რომელიც რუსეთთან შეერთების შემდეგ დამკვიდრდა საქართველოში. ამასთან,

კაპიტალისტური განვითარების გზაზე დამდგარ რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობამ საქართველოში დააჩქარა ახალი კლასის- ბურჟუაზიის წარმოშობა და გაძლიერება; უკიდურესობამდე გამწვავდა დამოკიდებულება ყმასა და ბატონს შორის. საწარმოო ძალთა განვითარებამ ბატონყმური ურთიერთობა თავისი არსებობის დასასრულს მიუახლოვა.

ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა გავლენა მოახდინეს ქვეყნის კულტურულ ვითარებაზეც. საჭირო გახდა სწავლა განათლების ქსელის გაფართოება და სხვა კულტურულ დაწესებულებათა დაარსება.

განვითარების ახალი ეტაპი იწყება ქართულ ლიტერატურაში. ნაცვლად რომანტიზმისა, საფუძველი ეყრება კრიტიკულ რეალიზმს როგორც ლიტერატურულ მიმართულებას. 40 – 50-იანი წლები ქართული ლიტერატურის ისტორიაში აღინიშნა, როგორც რეალიზმის წარმოშობის ეპოქა.

რეალიზმი, როგორც შემოქმედებითი მეთოდი, ყველა ქვეყნის ლიტერატურაში ჩამოყალიბდა სოციალურ – პოლიტიკური და კულტურული ვითარების შესატყვისად. ამიტომ მისი ბუნებისა და თავისებურების გასაგებად აუცილებელია აღნიშნული გარემოების გათვალისწინება.

ხალხის უკმაყოფილება და დიდი წინააღმდეგობა ცარიზმს ზოგჯერ აიძულებდა ცვლილება შეეტანა მმართველობის სისტემაში, მაგრამ ძირითადი მიზანი მაინც უცვლელი რჩებოდა: მისთვის საჭირო იყო საქართველოს გადაქცევა მორჩილ კოლონიად და ადგილობრივ მცხოვრებთა რუსიფიკაცია.

როდესაც თავისი ხანმოკლე და უღიმღამო მოღვაწეობის შემდეგ, 1844 წელს, გენერალი ნეიდგარტი განთავისუფლებულ იქნა კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობიდან, იმპერატორმა, ნაცვლად მთავარმართებლობისა, დააწესა კავკასიის სამეფისნაცვალო. მეფისნაცვალს კი მეტი უფლებები გააჩნდა. იგი უშუალოდ იმპერატორს ემორჩილებოდა. იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა თავის სასურველ კანდიდატად ცნო გამოცდილი და ერთგული მოხელე მ. ს. ვორონცოვი. 1845 წლის მარტში ვორონცოვი უკვე თბილისში ჩამოვიდა და მოვალეობის შესრულებას შეუდგა. მ. ვორონცოვის კავკასიაში დანიშვნით დამთავრდა სამხედრო წესებისა და სამხედრო მმართველობის ბატონობა და დაიწყო სამოქალაქო მმართველობის განმტკიცება.

სამხედრო მმართველობიდან სამოქალაქო მმართველობაზე გადასვლა 40 –იანი წლებისათვის უკვე საკმარისად მომზადებულია. თუ მანამდე მეფის მთავრობა შეშფოთებული იყო ადგილობრივ

მცხოვრებთა უკმაყოფილებითა და აღმოსავლეთელი მეზობლების (სპარსეთისა და თურქეთის) მეტოქეობით, 4-იანი წლებისათვის მდგომარეობა სხვაგვარი იყო. აჯანყებათა და შეთქმულებათ ჩახშობა საქართველოში და სპარსეთ – თურქეთის დამარცხება მეფის რუსეთს უადვილდება მმართველობის სისტემა სამოქალაქო რელსებზე გადაეყვანა. ამჯერად მეფის რუსეთს აინტერესებდა არა საქართველოს შეერთება, არამედ მისი შემომტკიცება.

ვორონცოვმა, რომელსაც კარგად ესმოდა ცარიზმის ინტერესები კავკასიაში და ითვალისწინებდა თავის წიამორბედთა უხემ შეცდომებს, ხელი მიჰყო მოქნილი და მშვიდობიანი ღონისძიებების განხორციელებას.

მართვა – გამგეობის საქმეში თავისებური და უფრო მოქნილი მეთოდების შეტანა არ გამომდინარეობდა დაპყრობილ ხალხებთან დამოკიდებულებაში მომხდარი რაიმე რადიკალური გარდატეხიდან, იცვლებოდა მხოლოდ მეთოდები, ხერხები, რათა უფრო ადვილად დაემორჩილებინათ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოყვარე ხალხი.

მეფის რუსეთის მმართველობის სისტემის სიტლანქისა და სიმძიმის შესახებ კ. მარქსი შენიშნავდა: ”რუსეთის მმართველობის სისტემა ყველგან, სადაც კი ის დაკავშირებულია ფეოდალურ დაწესებულებებთან, განა იგივე არ არის, რაც სამხედრო ოკუპაცია, რომელშიც სამოქალაქო ხელისუფლება და იურიდიული იერარქია ორგანიზებულია სამხედრო საწყისებზე და ხალხს აწევს შესანახად?”<sup>[1]</sup>.

კ. მარქსის ეს შეფასება მთელი სისრულით გამოხატავს გასულ საუკუნეში მეფის რუსეთის მიერ საქართველოში დამკვიდრებული მმართველობის სიტემის ხასიათსაც.

მას შემდეგ, რაც მმართველობის თავისი სისტემა დაამკვიდრა საქართველოში, თვითმპყრობელობამ ხელი მოჰკიდა ქვეყნის ეკონომიურ ”დაპყრობასაც”. კავკასია და, კერძოდ, საქართველო მეფის რუსეთს აინტერესებდა არა მარტო სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ როგორც ბაზარი და ნედლეულის წყაროც. მაგრამ, როგორც ვ.ი. ლენინი აღნიშნავს, რუსეთის მიერ კავკასიის ”ეკონომიური დაპყრობა” გაცილებით უფრო გვიან მოხდა, ვიდრე პოლიტიკური დაპყრობა”<sup>[2]</sup>.

კაპიტალისტური განვითარების გზაზე დამდგარ რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობამ ხელი შეუწყო 40-იან წლებიდან საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაშიც გარკვეული ცვლილებები მომხდარიყო. ფეოდალურ – ბატონყმური მეურნეობის რღვევასთან ერთად განმტკიცებას იწყებს ბურჟუაზიული ურთიერთობა.

ვორონცოვი, რომლის საქმიანობა მიმართული იყო კაპიტალიზმის განვითარების სასარგებლოდ, ყოველმხრივ უწყობდა ხელს ვაჭრობა – მრეწველობის გაფართოებას. ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს, რომ რუსეთის ბურჟუაზიას ბატონობა მოეპოვებინა საქართველოს ბაზარზე. ამ მიზნით მან მოახერხა შეღავათიანი საბაჟო ტარიფის დაწესება კავკასიაში, ხელი შეუწყო მიმოსვლის განვითარებას მდინარეებსა და ზღვებზე, სახმელეთო გზების გაყვანასა და სავაჭრო მაღაზიების გახსნას. თბილისში თავისუფლად გრძნობდნენ თავს პეტერბურგიდან და მოსკოვიდან ჩამოსული ვაჭრები. იზრდებოდა ადგილობრივ ვაჭართა რიცხვიც, განსაკუთრებით თბილისში მცხოვრებ სომეხთაგან.

ჩქარი ტემპით ვითარდებოდა ფაბრიკების მშენებლობაც. თუ 1835 წლისთვის საქართველოში მხოლოდ აბრეშუმსახვევი ფაბრიკა იყო, 40-იანი წლებისათვის უკვე რამდენიმე ფაბრიკა – ქარხანა მუშაობდა.

ყურადღებას იქცევს ოღონდ ის ფაქტი, რომ ვაჭრობა – მრეწველობის მესვეურთა შორის მეტად მცირე პროცენტია ქართველები. ”მთელი მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში ა/კავკასიაში ვაჭრობის ისტორია არის რუსული და რუსული ორიენტაციის სომხური სავაჭრო კაპიტალისა და ევროპის (უმთავრესად საფრანგეთის) და აზიის (ირანისა და თურქეთის) სავაჭრო კაპიტალს შორის ა/ კავკასიის ბაზრებზე საკონკურენციო ბრძოლის პროცესი”<sup>[3]</sup>.

მთელი ეს პროცესი, რომელიც ვაჭრობა – მრეწველობის გაფართოებასთან იყო დაკავშირებული, უშუალო გავლენას ახდენდა ქართველი ხალხის ცხოვრებაზე.

ვაჭრობა – ადგილობრივი გაფართოების შედეგად თბილისის ბაზარზე შემოსულმა რუსულმა და ევროპულმა საქონელმა მოხიბლა ქართველი თავადაზნაურობა, რომელიც დღითი დღე მეტად ებმებოდა ევროპული ცხოვრებისათვის დამახასიათებელ დროსტარებაში. ვორონცოვის მოხსნილ პოლიტიკას ამ მხრივაც გარკვეული შედეგები მოჰქონდა.

დროსტარებითა და ფუქსავატური ცხოვრებით გატაცებამ თავადაზნაურობას მოსთხოვა ფული, რამაც აიძულა იგი მევახშე – ვაჭარს დაკავშირებოდა, აეღო ვალი და უმოწყალოდ ეფლანგა თავისი ქონება, ადგილ – მამული. მიკირტუმ – კარაპეტები და მეჯღანუაშვილები ეპატრონებოდნენ ფუქსავატ მემამულეთა ქონებას, ყოველდღიურად იზრდებოდა პირველდამგროვებელთა ქისები.

40 -50-იანი წლები საქართველოში ხასიათდება ფეოდალური წყობილების რღვევით და ბურჟუაზიული ურთიერთობის

განვითარებით. კავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში ფეხს იკიდებს რუსული კაპიტალიზმი, რომელიც, ვ. ი. ლენინის თქმით, "კავკასიას ითრევდა საქონლის ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს – ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, ჰქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის"<sup>41</sup>.

ვორონცოვი ცდილობდა შეემსუბუქებინა თავადაზნაურობის მძიმე კონომიური მდგომარეობა, რომელიც ყოველთვიურად უარესდებოდა სავაჭრო ბურჟუაზიის გაძლიერებისა და ევროპული ცხოვრებით გატაცების შედეგად, ამ მიზნით მან დაარსა საადგილმამულო ბანკი ("პრიკაზი"), სადაც თავადაზნაურობას შეეძლო დაეგირავებინა მამული და აეღო სესხი.

ფუქსავატური გართობით გატაცებული თავადაზნაურობა, რომელიც ალღოს ვერ უღებდა ბურჟუაზიული ცხოვრების საჭიროებას, სესხს სესხზე იღებდა, ხოლო გადახდის შესაძლებლობა არ ჰქონდა; მათი მამულები ვალში იყიდებოდა, ამდენად "პრიკაზის" დაარსება კიდევ უფრო სავალალო გამოდგა მაღალი წოდებისათვის, რომელსაც ახალი კლასი – ბურჟუაზია – ცხოვრების ასპარეზიდან ერეკებოდა.

ვორნოცოვმა, რომელიც მეტად მოხერხებულად ახორციელებდა ცარიზმის პოლიტიკას კავკასიაში, შეძლო მაღალი წოდების ერთი ნაწილის გადაბირება მთავრობის მხარეზე. ამაზე მეტყველებს ქართველ თავადაზნაურთა 1848 წლის 24 აპრილის მიმართვა იმპერატორისადმი, სადაც ლაპარაკია მათი ერთგულების შესახებ.

ცარიზმი, მართლაც, უწყობდა ხელს თავადაზნაურთა მდგომარეობის გაუმჯობესებას, მაგრამ ეკონომიური ცუხოვრება, რომელიც ბურჟუაზიის სასარგებლოდ ვითარდებოდა, არარად ხდიდა ამგვარი ხელშეწყობის შედეგებს. ცხოვრების კანონზომიერი მსვლელობა თავისას აკეთებდა. ინგრეოდა ფეოდალურ - ბატონყმური მეურნეობა.

რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოში ხელუხლებლად იქნა დატოვებული ბატონყმური ურთიერთობა. ქართველი თავადაზნაურობა თავისი უფლებებით თანდათან გაუთანასწორეს რუსეთის არისტოკრატას, ჩააბეს სამხედრო და სამოქალაქო სასმსახურში, აჯილდოებდნენ "ჩინ – მედლებით", სამოქალაქო და სამხედრო სამსახურის ხარისხებით, არავის ჰქონდა უფლება ჩარეულიყო ბატონისა და ყმის ურთიერთობაში. მემამულე თავისი ყმების სრულუფლებიანი ბატონ – პატრონი იყო. 1807 წელს გამოცემული სპეციალური კანონით გლეხებს აეკრძალათ საჩივრის შეტანა თავიანთი ბატონის შესახებ. ყოველი სადავო საკითხი თვით

მემამულეს უნდა გადაეწყვიტა. 40 –იანი წლებისათვის კი ყმების გაროზგვაც ოფიციალურად დაკანონდა.

მემამულე თავის ყმებს უყურებდა, როგორც ნივთს, რომლის გაყიდვის უფლებაც ჰქონდა; გაზეთებისა და სპეციალური განცხადებების საშუალებით არაერთხელ აუწყებდნენ ხოლმე საზოგადოებას ყმების ოჯახების საჯარო ვაჭრობით გაყიდვას.

ახალი ცხოვრების შედეგად ეკონომიურად შევიწროებული თავადაზნაურობა თავისი მდგომარეობის გამოსწორებას ყმაგლეხობის გაძლიერებული ექსპლოატაციით ცდილობდა. გლეხობას თავს დააწვა უამრავი გადასახადი, რომლის გადახდა მას არ შეეძლო.

სოფლებში, სადაც გლეხები ვერ ახერხებდნენ დროზე მოეხადათ ბეგარა მემამულის წინაშე, მეფის მთავრობა აგზავნიდა ეგზეკუციებს, რომლებიც მთელი სისასტიკით უსწორდებოდნენ უმწეო გლეხებს.

უუფლებობა და არაადამიანური შევიწროება გლეხობას აიძულებდა აჯანყებისათვის მიემართა. აღნიშნულ პერიოდში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ადგილი ჰქონდა გლეხთა მასობრივ გამოსვლებსა და აჯანყებებს. აჯანყებულნი მკაცრად უსწორდებოდნენ თავიანთ მებატონეებს და აჯანყებები კლასობრივი ბრძოლის ხასიათს იღებდა.

ფეოდალურ – პატრიარქალურ მეურნეობასა და ბატონმურ ინსტიტუტზე დაყრდნობილი მეფის რუსეთის სახელმწიფოებრივი აპარატი 50 –იანი წლებისათვის აშკარად გაიხრწნა, ყირიმის ომში (1853 –1856წწ) მეფის რუსეთის დამარცხებამ უდავო გახადა ქვეყნის სისუსტე, ”ყირიმის ომმა ცხადყო ბატონყმური რუსეთის სიდამპლე და უძლურება”<sup>[5]</sup>.

ფეოდალურ – მემამულურული მეურნეობის რღვევამ, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებამ და გლეხთა აჯანყებებმა, რაც თანდათანობით უფრო ფართო ხასიათს იღებდა, მთავრობა აიძულა ეფიქრა გლეხთა ზევიდან განთავისუფლებაზე, რაც რუსეთში განხორციელდა 1861წელს, საქართველოში კი – 1864 წელს.

\* \* \*

40 -იანი წლებისათვის საქართველოში, კერძოდ, თბილისში ბევრი სახელმძღვანელო მწერალი და საზოგადო მოღვაწე ეწეოდა შემოქმედებითს მუშაობას. მათი ფიქრები და ყურადღება ქართული ეროვნული კულტურის, ლიტერატურის განვითარებისაკენ იყო მიმართული. მაგრამ არ იყო პირობები შემოქმედებითი მუშაობის

გამლისათვის. თბილისში ამ დროს ქართულ ენაზე არ გამოდიოდა არც ერთი ჟურნალი, არ არსებობდა თეატრი და სხვა.

1845 წელს თბილისში დაარსდა რუსული თეატრი, 1846 წელს – საჯარო ბიბლიოთეკა, 1850 წელს – ქართული თეატრი, 1851 წელს – იტალიური ოპერა; 1852 წელს გამოვიდა ჟურნალი ” ცისკარი”. გაფართოვდა განათლების ქსელიც. როდესაც ასეთი ღონისძიებების გატარებას ვორონცოვი არათუ ხელს არ უშლიდა, არამედ მხარსაც უჭერდა, მას მიზნად ჰქონდა არა ქართული ეროვნული კულტურის აყვავება და განვითარება, არამედ ქართველი ხალხის რუსიფიკაცია უფრო ელასტიური მეთოდებით.

ქართველ მოღვაწეთა დიდ უმრავლესობას სწორად ესმოდა ვორონცოვის საქმიანობა, არ ეგებოდა მის ანკესზე და ფხიზლად აფასებდა მეფისნაცვლის შენიღბულ პოლიტიკას.

სკოლა, თეატრი, პრესა, ყველაფერი, რაც ვორონცოვს თავისი მიზნებისათვის უნდოდა გამოეყენებინა, ქართველ პროგრესულ მოღვაწეთა გონივრული მოქმედებით ეროვნული თვითშეგნების ამალგების, გამოფხიზლებისა და განვითარების რეალურ ძალად იქცა.

მეფის მთავრობა, რა თქმა უნდა, დაინტერესებული არ ყოფილა ხალხში სწავლა – განათლების შეტანით, გარკვეულ ღონისძიებებსაც მიმართავდა ხოლმე მოსწავლეთა რიცხვის შესამცირებლად, მაგრამ სახელმწიფოებრივი აპარატის მოხელეთა, სამხედრო პირთა და სამეურნეო მუშაკთა კადრების აუცილებელი საჭიროება აიძულებდა მას შესაფერი სკოლების დაარსებაზე ეზრუნა.

გვერდს უვლიდა რა სახალხო სკოლების გახსნას, მეფის მთავრობა კავკასიაში საჭიროების მიხედვით აარსებდა სამხედრო და სასულიერო სასწავლებლებს, გიმნაზიებს მაღალი წოდების შვილებისათვის.

გიმნაზიის, სასულიერო სემინარიისა და სამხედრო სასწავლებლების კურსდამთავრებულთა გარკვეული ნაწილი სწავლის გასაგრძელებლად, მათი ”მორჯულების” მიზნით, იგზავნებოდა რუსეთშიც. სკოლების წინაშე იდგა ამოცანა: ვაჟები აღეზარდა ერთგულ მოხელეებად, ქალები - ფრანგული ენისა და სალონების ეტიკეტის მცოდნე ასულებად.

გარდა სასულიერო სემინარიისა, სამხედრო სასწავლებლებისა და გიმნაზიისა, 1845 წლისათვის თბილისში დაარსდა ოთხი კერძო პანსიონი. მათი რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა ვორონცოვის დროს, როცა, თბილისის გარდა, ამგვარი პანსიონები სხვა ქალაქებშიც გაიხსნა.

ოფიციალური სასწავლებლები მოსწავლე ახალგაზრდობას ვერ აძლევდა საჭირო განათლებას. სკოლებში დანერგილი იყო გაზეპირების მეთოდი, აკრძალული იყო წიგნების თავისუფალი კითხვა, მოწაფეებს წასაკითხავად ეძლეოდათ მხოლოდ სახელმძღვანელოები.

მოსწავლეები, რომლებიც ექცეოდნენ პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეების გავლენაში, ახერხებდნენ თვითგანვითარების საშუალებით შეეცნოთ ცოდნა; ჰქონდათ თავიანთი წრეები და ეწეოდნენ შემოქმედებით მუშაობას. ასეთ წრეებში ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა სწავლობდა მშობლიური ქვეყნის ლიტერატურასა და ისტორიას, რაც სკოლების პროგრამებით არ იყო გათვალისწინებული და არც იმდროინდელ პრესაში შუქდებოდა სათანადოდ.

40 – 50-იან წლებისათვის ქართულ პრესას არცთუ ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა.

1832 წლიდან 1838 წლამდე თბილისში არ გამოდიოდა არც ერთი პერიოდული გამოცემა, არც რუსულ და არც ქართულ ენებზე. 1838 წელს გამოსვლა დაიწყო ყოველკვირეულმა გაზეთმა ” Закавказский Вестник”-მა (გამოდიოდა შაბათობით), რომელშიც იბეჭდებოდა ოფიციალური განკარგულებანი, ინსტრუქციები და ქრონიკები. 1845 წლიდან, იმავე პროგრამით, ქართულ ენაზე გამოსვლას იწყებს ”კავკასიის მხარეთა უწყებანი”, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე პ. იოსელიანი. ” Закавказский Вестник”-ი შემდეგში შეუერთდა გაზეთ ”Кавказ”-ს, რომელიც 1846 წლიდან გამოდიოდა თბილისში. ”კავკაზი” 1850 წლამდე წარმოადგენდა არაოფიციალურ ორგანოს და თავისი პროგრამით იყო პოლიტიკურ –ლიტერატურული შინაარსის, რედაქტორობდა ი. კონსტანტინოვი; 1852 გამოდიოდა კვირაში ერთხელ, ხოლო 1852 წლიდან – კვირაში ორჯერ. ”კავკაზი” ფართო პროგრამით გამოდიოდა და უფრო ამართლებდა გაზეთის დანიშნულებას, ვინემ ყველა მისი წინამორბედი.

XIX საუკუნის 40 -იან წლებში ქართველი ინტილიგენციის ერთ ჯგუფს გადაუწყვეტია გამოეცა ყოველთვიური პოლიტიკურ – ლიტერატურული ჟურნალი ”სინათლე”. მათ, როგორც ჩანს, მიიღეს კიდევაც ნებართვა ჟურნალის გამოცემისათვის და გამოაქვეყნეს სპეციალური ”გამოცხადება”, რომლითაც საზოგადოებას განუარტავდნენ ჟურნალის პროგრამასა და ხელისმომწერის პირობებს.

ქართული ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში გიორგი ერისთავის სახელი მაინც უკვდავი იქნებოდა, თუნდაც მისი ღვაწლი მწერლობითა და ქართული მუდმივი თეატრის დაარსებით



შემოფარგლულიყო, მაგრამ მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი გახდა სხვა დიდი კულტურული წამოწყების ინიციატორი და სულისჩამდგმელიც. მან დააარსა "ცისკარი" – პირველი "სიტყვიერებითი ჟურნალი" საქართველოში.

გ. ერისთავის "ცისკარს" მეტად ღარიბი ტრადიციები ჰქონდა. მის წინამორბედს მხოლოდ "სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათგანი" წარმოადგენდა, რომელმაც მეტად მცირე ხანს იარსება.

გ. ერისთავმა ვორონცოვს ოფიციალურად მიმართა განცხადებით და სთხოვა ეშუამდგომლა იმპერატორის წინაშე, რათა მას ნება დაერთო გამოეცა ქართული სალიტერატურო ჟურნალი "ცისკარი". რამდენიმე დღის შემდეგ, 1851 წლის 12 თებერვალს, მ. ვორონცოვმა ა. ი. ჩერნიშოვს წერილი გაუგზავნა და სთხოვა თავის თავზე აეღო იმპერატორთან შუამდგომლობა "ცისკრის" გამოცემის შესახებ.

ა. ჩერნიშოვმა, მ. ვორონცოვის ბარათის მიღებისთანავე, იმპერატორს წარუდგინა მოხსენება, რომელშიც თავის მხრივ იმეორებდა მ. ვორონცოვის სიტყვებს ქართულ ენაზე ჟურნალის საჭიროებისა და გ. ერისთავის პიროვნების შესახებ. ამასთან, ჩერნიშოვმა მოხსენებითს ბარათს დაურთო საგანგებო ცნობები, რომელთაგან ერთი გ. ერისთავის მოქალაქეობრივი სახის მოკლე დახასიათებას წარმოადგენდა.

იმპერატორმა, რომელიც განსაკუთრებული ნდობით ეპყრობოდა მ. ვორონცოვის შუამდგომლობებს, მაშინვე დააკმაყოფილა თხოვნა. ამასთანავე, გააფრთხილა ჩერნიშოვი, ჟურნალი გამოსულიყო საერთო ცენზურული წესდების საფუძველზე და მასში არ დაბეჭდილიყო პოლიტიკური შინარსის სტატიები.

მიიღო რა "ცისკრის" გამოცემის ნებართავა, გ. ერისთავმა საგანგებო ფურცელზე დაბეჭდა "განცხადება" რუსულ და ქართულ ენაზე.

როგორც განცხადებიდან ჩანს, "ცისკარი" 1851 წელსვე უნდა გამოსულიყო, მაგრამ მისმა გამოცემამ დააგვიანა. "ცისკრის" პირველი ნომერი გამოვიდა 1852 წლის იანვარში. დაგვიანების მიზეზი იყო ხელისმომწერთა სიმცირე, რამაც გ. ერისთავი უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო.

ჟურნალს ჰქონდა ოთხი ძირითადი განყოფილება: პოეზია, პროზა, სწავლა და ხელოვნება, სოფლური სახლის პატრონობა. საკუთარი სტამბის უქონლობა "ცისკრის" გამოცემას აძნელებდა, მაგრამ ვორონცოვმა გ. ერისთავს მისცა საბეჭდი მანქანა და მანაც თავისი სტამბა გამართა. მეშვიდე ნომერი უკვე დაიბეჭდა "საბეჭდსა

შინა გ. ერისთავისა”. ამის შემდეგ, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, ”ცისკარი” გ. ერისთავის სტამბაში იბეჭდებოდა.

გ. ერისთავის რედაქტორობით ”ცისკარი” გამოდიოდა სრული ორი წელი (1852 – 1853 წწ.) და გამოცემულ იქნა 24 ნომერი. 1854 წლიდან ”ცისკარი” აღარ გამოსულა. 1853 წლის მეთორმეტე ნომერში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ჟურნალის გამოსვლა შეწყდებოდა. ჩანს, რომ რედაქცია ფიქრობდა კვლავ განეგრძო ჟურნალის გამოცემა, მაგრამ ხელისმომწერთა საჭირო რიცხვი ვერ შეაგროვა. ამ გარემოებას თან დაერთო სხვა მიზეზებიც: ვორონცოვის თბილისიდან წასვლა, ყირიმის ომი.

გ. ერისთავის ”ცისკარს” თავიდანვე დაჰყვა მანკი, რომლის გამოსწორება რედაქტორს არ შეეძლო. ”ცისკრის” გამოცემის ნებართვაში, რომელიც გ. ერისთავმა მიიღო, ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ჟურნალში არ უნდა დაბეჭდილიყო პოლიტიკური შინაარსის სტატიები და წერილები. ამ გარემოებამ იმთავითვე განსაზღვრა ჟურნალის ბედი. აშკარა იყო, რომ ”ცისკარი” მოწყვეტილი იქნებოდა თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებას და, ამდენად, ჟურნალის ერთ მთავარ დანიშნულებასაც.

გ. ერისთავმა, რომელმაც თავის თავზე გამოსცადა ცარისტული რეჟიმის სიმკაცრე და კარგად იცოდა, რა თვალითაც უყურებდნენ ”ცისკარს” მეფის რუსეთის მოხელეები, თავის ჟურნალს მიზნად დაუსახა ქართული მწერლობის გამოცოცხლება, ქართველ მწერალთა საუკეთესო ქმნილებების გატანა ხალხში და მათი პოპულარიზაცია. იგი იძულებული იყო ”ცისკრის” ფურცლები აევესო გარდაცვლილ მწერალთა თხზულებებით. თანამედროვეთაგან მის ჟურნალს მხოლოდ გრ. ორბელიანის ადრე დაწერილი ლექსები ამშვენებდნენ. დანარჩენ ავტორთაგან თითქმის ყველა მეორეხარისხოვანი პოეტი იყო.

თვითონ გ. ერისთავი კარგად გრძნობდა, რომ საჭირო იყო თანამედროვე მწერლები შემოეკრიბა ჟურნალის გარშემო; იგი საგანგებო მაძლობასაც კი უცხადებდა ჟურნალის ფურცლებზე მათ, ვინც თავიანთი კალმის ნამოდვაწარს მიაწვდიდა ჟურნალს, და სთხოვდა მომავალშიც არ მოეკლოთ ყურადღება ”ცისკრისათვის”. ”ცისკარში” იბეჭდებოდა იმდროინდელ მწერალთა ნაწერებიც, მაგრამ მხატვრულად იმდენად სუსტი, რომ მათ არ შეეძლოთ მეტოქეობა გაეწიათ ძველი და რომანტიკოსთა პირველი თაობის მწერალთა შემოქმედებისათვის. ამიტომ გ. ერისთავის ”ცისკრის” მთავარი დამსახურებაც ამ უკანასკნელთა შემოქმედების გამომზეურება არის. ძველ მწერალთა თხზულებების ბეჭდვა არ შეიძლება ჟურნალს ჩამორჩენად ჩაეთვალოს, ვინაიდან მათ ფართო მკითხველი არ იცნობდა. გ. ერისთავი თავიდან შეიძლება არ ფიქრობდა ძველების

წინაშე დათმობაზე წასულიყო, ამიტომაც, პირველი ნომერი მთლიანად თავისი ორიგინალური და ნათარგმნი თხზულებებით შეავსო, მაგრამ სხვები არც შემდეგ წამოეშველნენ. სხვა გზა არ იყო, მანაც თავის წინამორბედთ მიმართა.

გ. ერისთავის ”ცისკრის” მნიშვნელობის გათვალისწინებისას საჭიროა მოვიგონოთ, რომ ამ ჟურნალის ფურცლებზე პირველად დაიბეჭდა თეიმურაზ პირველის, ვახტანგ მეექვსის, სულხან – საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, დიმ. ბაგრატიონის, ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, გ. ერისთავის და სხვათა მრავალი თხზულებანი, რომელთაგან ბევრი უცნობი იქნებოდა ჩვენთვის დღესაც, ”ცისკრის” ფურცლებს რომ არ შემოენახა.

”ცისკარმა” მკითხველს გააცნო რუსი და ევროპელი მწერლების ბევრი საყურადღებო ნაწარმოებიც. მის ფურცლებზე დაიბეჭდა პუშკინის, მარლინსკის, მიცკევიჩის, ჰიუგოს, კორნელის, შილერის, ბერნარისა და სხვათა ნაწარმოებნი. მთარგმნელთა შორის ყველაზე ნაყოფიერი თვითონ რედაქტორი გ. ერისთავი იყო.

მართალია, გ. ერისთავის ”ცისკარს” არ ჰქონია გარკვეული მიმართულება, უფრო სწორად, მისი მთავარი ამოცანა ყოველი სახის ქართული თხზულების გამომხეურება იყო, მაგრამ თავის დროისათვის ესეც მნიშვნელოვან საქმეს წარმოადგენდა. ”ცისკარი ” იყო ერთადერთი მაშინდელი ჟურნალი, რომლის დანიშნულებას ქართული მწერლობის განვითარება და გამოცოცხლება წარმოადგენდა; მისი პირველი მოვალეობა იყო ეჩვენებინა, რა გვქონდა რათა უფრო ცხადი გაეხადა თუ რა გვესაჭიროებოდა მომავალში.

გ. ერისთავის ”ცისკარმა” გაამართლა თავისი დანიშნულება. მან ძველი ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის უკვდავი ნიმუშები ადვილმისაწვდომი გახადა. ამ ჟურნალმა 50 –იანი წლების მოღვაწეებს, საზოგადოებას, მის ფართო ფენებს აგრძნობინა, რომ ქართველ ხალხს ჰქონდა დიდი ლიტერატურული ტრადიცია, რომელიც ნიჭიერ გამგრძელებლებს ელოდებოდა.

”ცისკრის” ტექნიკური მხარე არაა უნაკლო. ჟურნალში უამრავი კორექტურული და ენობრივი შეცდომაა, წარმოდგენილ პროდუქციას დახვეწილობა და გაშალაშინება აკლია, მასალის შერჩევა და დალაგება გარკვეულ წესს არ მისდევს.

გ. ერისთავმა ჟურნალ ”ცისკრის” გამოცემის უფლება გადასცა ი. კერესელიძეს, რომელმაც 1854 წელსვე ითხოვა ნებართვა ჟურნალის ბეჭდვის გასაგრძელებლად. მან მოისურვა როგორც ჟურნალის სახელწოდების შეცვლა, ასევე ჟურნალის ახალი პროგრამით გამოცემა, ამიტომ მთავრობამ გაუქმებულად ცნო გ. ერისთავის მიერ მასზე

გადაცემული უფლება, რამაც საქმე გაართულა, ი. კერესელიძემაც უკან დაიხია და დათანხმდა ჟურნალის ძველი სახელწოდებითა და პროგრამით გამოცემაზე. ამის შემდეგ, 1855 წლის 30 ნოემბერს, მთავრობისაგან მიღებულ იქნა "ცისკრის" განახლების ნებართვა. ნებართვის მიღების შემდეგ ი. კერესელიძეს ერთი წელი დასჭირდა მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად. "ცისკარმა" გამოსვლა დაიწყო მხოლოდ 1857 წლიდან და იარსება 1875 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში მას უცვლელად ხელმძღვანელობდა ი. კერესელიძე.

"ცისკარი" ი. კერესელიძის რედაქტორობისას შედარებით უფრო მაღალ საფეხურზე დგას, ვიდრე ეს იყო გ. ერისთავის ხელში. ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ი. კერესელიძის "ცისკარში" მოღვაწეობა დაიწყო "თერგდალეულებმა", რომლებმაც ჟურნალი გამოაცოცხლეს.

50 –იანი წლები მნიშვნელოვანია ქართული თეატრის ისტორიაშიც. ხანგრძლივი "შესვენების" შემდეგ კვლავ დადგა ქართული თეატრის აღდგენის საკითხი.

გ. ერისთავმა თავისი კომედიებით მოამზადა საფუძველი ქართული თეატრის აღდგენისათვის, საჭირო იყო მხოლოდ ქართველ ინტელიგენციას შესაფერი ნებართვა მიეღო მეფის მთავრობისაგან.

ვორონცოვის დაინტერესებამ სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებით და რუსული თეატრის დაარსებამ იმედი გაუღვიძა ქართული სცენის მოყვარულთ. მათ იგრძნეს, რომ ყველაზე კარგი მომენტი ქართული თეატრის დაარსებისათვის უკვე დადგა; გადაწყვიტეს ესარგებლათ ქართველ ოჯახებთან ვორონცოვის ახლო ურთიერთობითა და მისი საერთო პოლიტიკით.

ამიტომ იყო, რომ ქართველმა ინტელიგენციამ გადაწყვიტა, მანანა ორბელიანს ეთხოვა ვორონცოვისათვის ქართული თეატრის დაარსება, მასვე უნდა წარედგინა მეფისნაცვლისათვის გიორგი ერისთავი, რომელიც ადრევე ჰყავდათ ნავარაუდები ამ საქმისათვის.

გ. ერისთავი, როგორც ჩანს, იმდროინდელ ინტელიგენციას უცვნია ყველაზე შესაფერ კანდიდატად, რომელსაც სხვებზე უკეთ შეეძლო თეატრის ხელმძღვანელობა; მათ დიდი ხნით ადრე იცოდნენ გიორგი ერისთავის თეატრალური ნიჭის შესახებ, იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჯერ კიდევ 30 –იანი წლებში გამართულ შინაურ წარმოდგენებსა და ლიტერატურულ შეკრებებში. მწერალმა თავისი სატირული ნიჭი გამოამჟღავნა გადასახლების პერიოდშიც. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ სახელი მოიხვეჭა, როგორც სატირული ლექსებისა და კომედიების ავტორმა. ამ დროისათვის გ. ერისთავს უკვე დაწერილი ჰქონდა: "შემლილი" (1839წ.), "დავა" (1840წ.), "გაყრა" (1849წ.) და სხვ. ამიტომ, ბუნებრივია, რომ

მეგობრებმა გადაწყვიტეს თეატრის ხელმძღვანელად სწორედ გიორგი ერისთავი წარედგინათ ვორონცოვისათვის.

ვორონცოვს სიამოვნებით მიუღია გიორგი ერისთავი, რომელსაც მისთვის გაუცვნია "გაყრა"<sup>[6]</sup> (ხელნაწერი). ვორონცოვის დაინტერესება ქართული თეატრით გასაგებია. პირველ ყოვლისა, რუსული თეატრი, რომელიც ენის უცოდინარობის გამო მიუწვდომელი იყო ფართო წრისათვის, ნაკლებ ამართლებდა მიზანს, რომელსაც ვორონცოვი თეატრს უსახავდა, მეორეც – ვორონცოვს შესაძლებლობა ჰქონდა ქართული მოწინავე საზოგადოების გული მოეგო.

გ. ერისთავი მაშინვე დიდი სიყვარულით შედგომია საქმეს. "მისი სამარადისო ნატვრა სრულდებოდა, ქართული თეატრი არსებობდა და "გაყრა" უნდა დადგმოლიყო მის კურთხევაზე, მის საძირკვლის ჩაყრაზე"<sup>[7]</sup>, გიორგი ერისთავს პირველ ყოვლისა, მსახიობთა შეგროვება დაუწყია; მას ბევრი მუდარა არ დაჭირვებია, ყველა სიამოვნებით დათანხმებულა, ვინაიდან იცოდნენ, ქართული თეატრის ბედი ამ პირველ წარმოდგენას უნდა გადაეწყვიტა. მეგობართა წრე თუ ასე კარგი გრძნობით იყო განწყობილი გ. ერისთავისადმი, სამაგიეროდ აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც სცადეს ხელი შეეშალათ მისთვის და მოესპოთ სურვილი ქართული თეატრის დაარსებისა. თეატრის მოწინააღმდეგეთა ამ ჯგუფში, პირველ ყოვლისა იყვნენ: პლ. იოსელიანი, რევაზ ერისთავი და მარიამ ბატონიშვილი, რომლებიც სხვადასხვა ხმებს ავრცელებდნენ სცენისმოყვარულთა დასაშინებლად.

განსაკუთრებით ძნელი იყო თეატრალურ მუშაობაში ქალების ჩაბმა. გ. ერისთავისთვის დიდი დახმარება აღმოუჩენია ქეთევან ერისთავ-ორბელიანისას, რომელ საც თავისი მეგობარი ქალები ჩაუბამს წარმოდგენის მზადებაში. "კნ. ქეთევანმა, - შენიშნავს გ. წერეთელი ქართული თეატრის ისტორიაზე დაწერილ ერთ სტატიაში, - მტკიცე ხასიათი გამოიჩინა, ის არ შეუშინდა არც რ –ს (რევაზ ერისთავის – რედ) ხრიკებს, არც ბატონიშვილის მუქარას, თანაუგრძნობდა თავის ნათესავის ნიჭს, წინდაწინვე გულში ისახავდა, რა დიდი საქმეც იქნებოდა მომავალში ქართული თეატრის დაარსება და, აი, ამ ქალმა მოიმხრო სხვა წარჩინებულის გვარის ქალებიცა, როგორც, მაგალითად ბაბალე ანდრეევსკისა , ან. ოგლობჟიოსი (ორბელიანი – რედ.), კნ. ან. გაგარინისა (ორბელიანი – რედ.). მეორე მხრით, მისი თანამედროვე ამხანაგებიც შეურყეველი ბურჯები გახდნენ გ. ერისთავის საქმის დასამთავრებლად"<sup>[8]</sup>.

წარმოდგენის წინ ვორონცოვს ვ. ბუბუთოვისათვის მიუწვდვია პიესის ცენზურობა. ბუბუთოვისათვის პიესა თვით გ. ერისთავს

წაუკითხავს და ” ბუბუთოვი სიცილით აღარ იყო თურმე”. ამის შემდეგ მას ვორონცოვისათვის მოუხსენებია, რომ პიესაში არაფერია ისეთი, რომელმაც მისი წარმოდგენა დააბრკოლოსო.

წარმოდგენა დიდი წარმატებით ჩატარდა. გიმნაზიის პატარა დარბაზს გაუჭირდა მაყურებელთა დატევა. წარმოდგენას თავის მეუღლით დაესწრო ვორონცოვი, რომელიც, მსახიობთა თამაშით აღფრთოვანებული, სხვა მაყურებელთან ერთად გაცხარებული ტაშს უკრავდა, განსაკუთრებული მოწონება დაუმსახურებია გიორგი ერისთავს, როგორც ავტორსა და მსახიობს. მას დიდი ოსტატობით შეუსრულებია მიკირტუმ გასპარიჩის როლი.

1850 წლის 2(14) იანვარს საფუძველი ჩაეყარა ქართულ რეალისტურ თეატრს. ”გაყრის” წარმატებით წარმოდგენამ როგორც მაყურებელი, ისე მონაწილენი და ინიციატორები დაარწმუნა, რომ ქართული პროფესიული თეატრის დაარსებისათვის ნიადაგი მზად იყო.

”გაყრის” წარმოდგენამ კარგმი შთაბეჭდილება დატოვა არა მარტო ქართველ მაყურებელზე, არამედ მათზედაც, ვინც არ იცოდა ქართული ენა. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა ცნობილი რუსი პოეტის იაკობ პოლონსკის წერილები გაზეთ ”ზაკავკაზსკი ვესტნიკში”, რომლის რედაქციაშიც მუშაობდა იგი იმ დროს.

ი. პოლინსკის თქმით, 1850 წლის 2 იანვარი საქართველოს განათლების ისტორიაში ჩაიწერა, როგორც ღირშესანიშნავი დღე. ამ დღეს, შეიძლება ითქვას დაიბადა ჭეშმარიტი ქართული ლიტერატურა. გიმნაზიის დარბაზში ქართველი მაღალი საზოგადოების კეთილშობილმა პირებმა... პირველად წარმოადგინეს ქართულ ენაზე ქართული ნაციონალური კომედია ”გაყრა”. პიესა იმდენად კარგია, ისე გააკვირვა ყველა მან თავის უბრალოებით, თავის ორიგინალობით და თავის ღრმა იუმორით, რომ ჩვენ არ შეგვიძლია უბრალო შექებით დაგვკმაყოფილდეთ, არამედ მოვალენი ვართ მივცეთ ჩვენს მკითხველებს, რამდენადაც შესაძლებელია, ამ პოეტური ქმნილების დაწვრილებითი გარჩევა და მისი თარგმანიც კი ვაჩუქოთ. პიესის ავტორი თავადი გიორგი ერისთავი, როგორც პოეტი დიდი ხანია ცნობილია საქართველოში, მაგრამ არც ერთს ჩვენგანს, რუსს, არ ჰქონდა წარმოდგენილი, რომ იგი ასეთი კომიკი იქნებოდა. კომედიის შესრულება, რომელშიც თვით პოეტი იღებდა მონაწილეობას... ყოველნაირ შექებაზე მაღლა იდგა. როლების საუკეთესო ცოდნა, კოსტუმები, თამაში – ყველაფერს აღტაცებაში მოჰყავდა მრავალრიცხოვანი მაყურებლები. ერთი სიტყვით, პიესა რომ გაეგოთ და ქართველებივით მოხიბლუდიყავით, ამისათვის საჭირო არ იყო ქართული ენის ცოდნა”!

”გაყრის” რუსული თარგმანი (შესრულებული დ. ყიფიანის მიერ) მალე გამოვიდა. პოლონსკიმ შეასრულა თავისი დაპირება და მისცა მკითხველს მისი მოკლე გარჩევა. ამჯერად ი. პოლონსკი წერდა: ”როცა კომედია ”გაყრა” პირველად ვნახე სცენაზე... თუმცა ქართული ენის არაფერი მესმოდა, მაგრამ პიესის შინაარსი მაინც გავიგე და არ შემეძლო, არ მეცინა... უნებლიეთ გამოვიტანე დასკვნა, რომ კომედია ისე მსუბუქად არის დაწერილი, რომ ადვილად ითამაშება. მოქმედნი პირნი სინამდვილესთან ისე სიმართლით დგანან, რომ მათთვის მიბამვა ძლიერ ადვილია, განსაკუთრებით იმ პირთათვის, რომელნიც ამათ მსგავს ტიპებს შორის გაიზარდნენ.

პიესა ყველას მოეწონა და, რაც ყველაზე უფრო სახარბიელოა, მისი წარმატება არ განისაზღვრება მხოლოდ თეატრის კედლებით, რომლებიც ტაშის გრიალით და ამსრულებელთა სცენაზე გამოძახილით ირყეოდა, არამედ პიესა წარმოადგენის შემდეგ, მეორე დღესვე იქცა სახალხოდ. ბაზარში იმეორებდნენ კომედიიდან ამოღებულ მთელ ფრაზებს, და ისეთ სახლებშიც, სადაც შეიძლება არავითარი წარმოდგენა არა აქვთ იმაზე, თუ რა არის თეატრი. თავად ერისთავის სახელი შეიქმნა ცნობილი და კომედია იქცა ხანგრძლივი მსჯელობის საგნად. რომელი მწერალი, რომელი კომიკი არ ინატრებდა ამას?!”<sup>[9]</sup> ი. პოლონსკიმ 1851 წელს ლექსიც კი დაწერა – ”თბილისის თეატრის გახსნის გამო”. ”გაყრის” პირველ წარმოდგენებს მაღალი შეფასება მისცა აგრეთვე გაზეთ ”კავკაზ“-ის რეცენზენტმაც.

როგორც ვხედავთ, ”გაყრის” ლიტერატურულმა ღირსებებმა, ასევე დადგმის მაღალმა ხელოვნებამ, მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ თავიანთ აღტაცებას ასე დაბეჯითებით გამოთქვამენ მოწინავე რუსი ლიტერატორებიც, რომლებსაც შედარებით ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდათ ჩაწვდომოდნენ პიესის მთელ ღირებას.

წარმატებით წახალისებული გ. ერისთავი მაშინვე შეუდგა მზადებას მეორე კომედიის (”დავა”) წარმოსადგენად. რეპეტიციები კიდევ მეტი ინტერესით მიმდინარეობდა, ხალხიც უფრო სიხარულით მოელოდა მომავალ წარმოდგენას. ქედი მოიხარეს ქართული თეატრის მოწინააღმდეგეებმაც, რომლებმაც თავიანთი დანაშაულის გამოსყიდვა წარმოდგენაში უშუალო მონაწილეობის მიღებით სცადეს; ”დავაში” ონოფრეს როლს ასრულებდა პლატონ იოსელიანი, ხოლო ლომინ გოდაბრელიძისას – რევაზ ერისთავი.

”დავა” წერმოდგენილ იქნა 1850 წლის 3 (15) მაისს მანეჟის თეატრში, პიესაში მონაწილეთაგან ბევრი პირველად გამოდიოდა სცენაზე. ყოველი მათგანი სცენის უბრალო მოყვარული იყო და არა მსახიობის პროფესიით დაინტერესებული. ”დავის” წარმოდგენაც

წარმატებით ჩატარდა. გ. ერისთავმა, სარქის ბუღდანიჩის როლში, კვლავ დიდი მოწონება დაიმსახურა.

გაზეთი "კავკაზი" წერდა: "3 მაისს, თბილისის თეატრში ღარიბთა სასარგებლოდ, სასცენო ხელოვნების კეთილშობილ მოყვარულთა მიერ, წარმოდგენილ იქნა თავად ერისთავის ახალი კომედია "დავა"... ეს იყო ერთ – ერთი ყველაზე უფრო მხიარული საღამო, ჩვენ თბილისში გავატარეთ"<sup>[10]</sup>.

ვორონცოვი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ საჭირო იყო ქართული თეატრის დაარსება და მუდმივი დასის შედგენა. მან გიორგი ერისთავი დანიშნა საგანგებო დავალებათა უმცროს მოხელედ და დაავალა ქართული თეატრისათვის მუდმივი დასის შედგენა. "მაგრამ სად უნდა ეპოვა, - შენიშნავს ი. მეუნარგია, - მომავალი თეატრის დირექტორს ქართული სცენისათვის საჭირო აქტიორები და ნამეტნავად აქტრისები? მაშინ ჯერ კიდევ დაკეტილებში ისხდნენ ჩვენი ქალები და ვინ იქნებოდა ისეთი გულადი, რომელიც თავის ასულის მიცემას გაბედავდა თეატრში და მამა – პაპურ ლეჩაქს აქტრისის წოდებაზე გასცვლიდა?".

გიორგი ერისთავს გადაუწყვეტია სოფლისათვის მიემართა და თავის ნაცნობთა წრეში მოემებნა მომავალი მსახიობები. მას, ვორონცოვის განკარგულებით, მსახიობებზე მისაცემად მიუღია 2.000 მანეთი და გამგზავრებულა გორში. გიორგის ზოგი ჯამაგირით დაუინტერესებია, ზოგიც თბილისში ცხოვრებითა და ვორონცოვის ყურადღებით. მას მალე მოუგროვებია მსურველები, რომელთა შორის იყვნენ: ქალები – სააკაძე, ტატიშვილი, ანტონოვა, ლაფერაშვილი; ვაჟები – დვანაძე, ტატიშვილი, რჩეულიშვილი, კორძაია, ელიოზიშვილი, კიკნაძე. რეპეტიციებს გიორგი სოფელში ატარებდა, შემდეგ თბილისში ჩამოიყვანა აქტიორები და ბევრი მათგანი საკუთარ ბინაში დააყენა, ვინაიდან "ეშინოდა გული არავის შეეცვალა". თბილისში ყოველდღიურად ტარდებოდა რეპეტიციები, რასაც ზოგჯერ ვორონცოვიც ესწრებოდა.

1851 წლის 1(13) იანვარს მანუქის თეატრში წარმოდგენილი იქნა "გაყრა", რომელსაც უამრავი მაყურებელი დაესწრო, მათ შორის ვორონცოვი მეუღლითურთ. ვორონცოვს იმდენად მოეწონა წარმოდგენა, რომ ყოველი შესვენების დროს თავის ლოჯაში იზარებდა მსახიობებს და მადლობას უცხადებდა. გაზეთ "კავკაზის" რეცენზენტი წერდა: "ამ კომედიის დადგმას თბილისის თეატრში აქვს თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა. ასრულებდნენ ქართველი მსახიობები, ასრულებდნენ ქართულ ენაზე, პიესას, რომელიც ქართველის მიერ იყო დაწერილი"<sup>[11]</sup>.



1851 წლის 18 (30) იანვარს წარმოდგენილი იქნა "ბუნწი", 4 თებერვალს – "კომისარი შტატგარეშე ქალაქისა", 17 თებერვალს – "ბებიას თუთიყუშები" ("Бабушкины папугай"), 22 აპრილს – სოლოგუბისა და კარატიგინის პიესა "Дагеротип, или знакомые все лица". გადმოკეთებული გ. ერისთავის მიერ. 1850–1851 წლის სეზონი ქართულმა თეატრმა კარგად ჩაატარა.

გ. ერისთავის დასს მალე შეემატნენ ნიჭიერი დრამატურგები და მსახიობები: ზ. ანტონოვი, ა. მეიფარიანი, ი. კერესელიძე, გ. ჯაფარიძე და სხვები. გიორგი ერისთავიც სიხარულით ღებულობდა ყოველ ახალ თანამშრომელს. ქართული დასი საკმაოდ გაძლიერდა, გამდიდრდა თეატრის რეპერტუარი ორიგინალური პიესებით.

რამდენიმე ხნის შემდეგ გ. ერისთავმა ი. კერესელიძე თავის თანაშემწედ დანიშნა სარეჟისორო ნაწილში. ი. კერესელიძე, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ მას თბილისიდან ხანგრძლივი ვადით წასვლა უხდებოდა ხოლმე, ნაყოფიერი მუშაკი აღმოჩნდა ქართული თეატრისათვის. მან თეატრის რეპერტუარს შემატა რუსულიდან გადმოკეთებული და ორიგინალური პიესები, რომლებიც იმ დროს წარმოუდგენიათ.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო თეატრისათვის ზურაბ ანტონოვი, რომელიც, როგორც მსახიობი და დრამატურგი, გ. ერისთავის სკოლას ეკუთვნის. გ. ერისთავი ზურაბ ანტონოვს უსწორებდა პიესებს, უთითებდა გადმოსაკეთებლად ვარგის პიესებზე, აძლევდა ცალკეულ სიუჟეტებს პიესებისათვის. მაგრამ ზ. ანტონოვის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი თავისი მასწავლებლის ბრმა გავლენაში არ მოქცეულა, მან თავის პიესებში ბევრ ახალ მოვლენას მიაქცია ყურადღება და ქართული დრამატურგია გაამდიდრა მეტწილად დაბალი წრის ხალხის ცხოვრების ამსახველი პიესებით. მან ქართული თეატრის რეპერტუარს შესძინა ისეთი პიესები, როგორიცაა: "მე მინდა კნეინა გავხდე", "ქმარი ხუთი ცოლისა". "განა ბიძიამ ცოლი შეირთო?", "ქოროლლი", "მზის დაბნელება საქართველოში", "ქორწილი ხევსურეთში", "ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა" და სხვ.; გ. ჯაფარიძემ – "მაიკო", "იჭვიანი ქმარი", გ. დვანაძემ – "სახლი კუკიაში"; ა. მეიფარიანმა – "ქმრები გავაბით მახეში".

ამგვარად, ქართულ თეატრს, სულ მცირე ხნის შემდეგ, უკვე ჰქონდა საკუთარი რეპერტუარი, ჰყავდა საკმაოდ დახელოვნებულ მსახიობთაგან შემდგარი დასი, ჰქონდა ბინა და ღებულობდა თანხებს საჭირო ხარჯებისათვის. ამას უნდა დაემატოს ვორონცოვის განსაკუთრებული ყურადღება, რომლის წყალობით გ. ერისთავი

ახერხებდა ქართული დასის წინაშე შექმნილი დაბრკოლებების დაძლევას.

არსებული წესის მიხედვით, თეატრს უფლება ეძლეოდა წარმოდგინა პიესა მას შემდეგ, როცა მას განიხილავდნენ იმპერატორის კანცელარიის III განყოფილებაში, რაც მოითხოვდა დიდ დროს და პიესის დაუყოვნებლივ თარგმნას. მაგრამ ვორონცოვმა მოახერხა გვერდი აევლო ცენზურული ბიუროკრატიზმისათვის და ქართული პიესების ცენზორობა დაავალა პლატონ იოსელიანს, რომელიც იმ დროს რედაქტორობდა გაზეთს "კავკასიის მხარეთა უწყებანი".

1851 – 1852 წლის სეზონს ქართული თეატრი მომზადებული შეხვდა. გ. ერისთავის კომედიებთან ერთად დაიწყო წარმოდგენა ზ. ანტონოვის და სხვათა კომედიებისა. 1851 წლის განმავლობაში ნაჩვენები იქნა 22 წარმოდგენა.

იმპერატორისადმი წარმოდგენილ მოხსენებაში ვრონცოვი ქართული თეატრის შესახებ წერდა: "1850 წლის დასაწყისში თბილისის მაღალი საზოგადოების პირებმა პირველად სცადეს ქართულ ენაზე წარმოდგენის გამართვა. ცდა სრული წარმატებით დამთავრდა და აჩვენა, რომ შესაძლებელია სისტემატურად ეწყობოდეს ქართული სპექტაკლები.. და მე თავს უფლებას ვაძლევ ვიფიქრო, რომ თქვენი იმპერატორული უდიდებულესობა კეთილს ინებებს დარწმუნდეს, რომ ასეთ ღონისძიებას შეიძლება ჰქონდეს უფრო სასარგებლო გავლენა მეცნიერებისა და გემოვნების განვითარებაზე, ხასიათის ჩამოყალიბებასა და ადგილობრივ მცხოვრებთა რუსებთან დაახლოებაზე"<sup>[12]</sup>.

ვორონცოვი თავის მოხსენებაში მოხერხებულად მიუთითებს ქართული თეატრით დაინტერესების მიზეზზე, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ იგი მოითხოვდა ქართული თეატრის არსებობის გაგრძელებას, თუმცა თეატრის გასავალი აღემატებოდა შემოსავალს.

მ. თუმანიშვილმა და ვ. სოლოგუბმა სპეციალური წერილები უძღვნეს გაზეთ "კავკაზში" ქართული წარმოდგენების განხილვას. მ. თუმანიშვილი წერდა: "თავადი ერისთავი, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, პოეტია, თუმცა ამასთანავე ერთად დაჯილდოებულია დიდი კომიკური ნიჭით, ერთი უნდა შებრძოლებოდა დრამატული ცხოვრების სიბნელესა და სიცარიელეს საქართველოში და უნდა გაეძლო ამ გამოცდისათვის. თუ როგორ შეძლო მან ამ საგმირო საქმის შესრულება – ამას ჩვენ მისი პირველი მიღწევებით ვხედავთ. იგი კიდევ ბევრს გვპირდება და ეჭვს არ იწვევს, რომ შეასრულებს. მსახიობ ვაჟების – ჯაფარიძის, დვანაძის, კორძაიასა და მსახიობ ქალის ტატიშვილის სახით, მას ჰყავს მოხდენილი შემსრულებელნი

სცენური ხელოვნებისა; ხოლო მსახიობ ანტონოვის სახით კი – ნიჭიერი და გულმოდგინე დრამატურგი. ყველა იგინი ერისთავის მიერ არიან აღზრდილნი; ეჭვი არაა, რომ იგი მათ კიდევ მეტად გაწრთვნის, უჩვენებს მათ შეცდომებს და მის გამოსწორების საშუალებებს”. ეხებოდა რა თეატრის რეპერტუარს, მ. თუმანიშვილი ამბობდა: ”თავისთავად იგულისხმება, რომ რეპერტუარი არის ყველაფრის საფუძველი, მისი საშუალებით მყარდება კავშირი თეატრსა და საზოგადოებას შორისო”.

რეცენზენტის თქმით, ბუნებრივი და დროული იყო ქართული თეატრის რეპერტუარის შევსება ძირითადად კომედიებით, მაგრამ აფრთხილებდა თეატრს, მინიმუმამდე შეემცირებინა ნათარგმნი და გადმოკეთებული პიესების წარმოდგენა. იგი მოითხოვდა ადგილობრივი ცხოვრების ამსახველი პიესების მეტი რაოდენობით წარმოდგენას. ამიტომ იგი იწონებდა გ. ერისთავის კომედიებს: ”კომედია ”დავაში” ჩვენს წინაშე ისახება ნამდვილი მდგომარეობა ქართველ მემამულეთა მთელი ყოფაცხოვრებისა, მთელი თავისი მისწრაფებებითა და ინტერესებით, ჟინიანობითა და რწმენით, აქ რამდენი პირიცაა, იმდენი პოემაა, რამდენიმე თავისა და სიმღერებისაგან შემდგარი. გმირთა გრძელ რიგში, რომელიც იქაა წარმოდგენილი სინამდვილის სინათლეზე, ნამდვილი ენითა და ქცევით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ორი მკვეთრად გამოხატული პორტრეტი, ორი ბედნიერი შემთხვევა, რომელიც ჩართულია პიესაში; ეს არის იაია – ნაღვლიანი ნიმუში იმ დრომოჭმული ქართული მოხუცებისა, რომლებიც მწუხარებით უყურებენ ახალი ცხოვრების ორომტრიალს, და ლომინ გოდაბრელიძე – ტიპი იმერელი თავადისა, ცოცხალი – მუდამ მოძრავი არსება... თანამედროვე ტიპთა ასეთსავე ცოცხალ სურათს წარმოადგენს სომეხი კარაპეტა, კომედია ”მუნწი”<sup>[13]</sup>.

1852 – 1853 წლის სეზონში ქართული თეატრი კვლავ ძველ პირობებში დარჩა: მსახიობებს წლიურად ეძლეოდათ 4000 მანეთი, დამატებით იღებდნენ აგრეთვე ხარჯებს ტრანსპორტისათვის, ხელმძღვანელობა კვლავ გ. ერისთავს ჰქონდა დაკისრებული, წარმოდგენები იმართებოდა თამამშევის ახალ შენობაში, მიუხედავად ამისა, ქართული თეატრის მდგომარეობა აღნიშნულ სეზონში გაცილებით მძიმე იყო. თუ აქამდე მას კონკურენციის გაწევა უხდებოდა მხოლოდ რუსულ თეატრთან და მაყურებელს იკრეფდა იმის გამოც, რომ ბევრმა რუსული ენა არ იცოდა, 1851 წლის შემოდგომაზე თბილისში დაარსდა იტალიური ოპერა, რომელმაც ბევრი მაყურებელი მიიზიდა.

1851 წლის 1 (13) ნოემბერს თამამშევის ახალ შენობაში წარმოდგენილ იქნა ოპერა "ლუჩია დილამერბურ", რომელმაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. ოპერის დასმა ისეთი წარმატებით დაასრულა 1851 –1852 წლის სეზონი, რომ ვორონცოვმა საკმაო თანხები გამოჰყო დამატებით, რათა იტალიიდან კიდევ ჩამოეყვანათ სოლისტები და შეეძინათ საჭირო კოსტუმები. 1853 წელს თბილისში იდგმება აგრეთვე ბალეტი, რომელსაც მაყურებელი გაუჩნდა.

1852 –1853 წლის სეზონი ქართულმა თეატრმა წარმატებით დაასრულა, მან მაყურებელს უჩვენა: სკრიპის "ფაშას თეთრი დათვი", ზ.ანტონოვის "მზის დაბნელება საქართველოში, " ქოროლი", "ხევსურთა ქორწილი" და გ. ერისთავის ორიგინალური და გადმოკეთებული კომედიები.

ბევრი ახალი დადგმა განახორციელა ქართულმა თეატრმა 1852 –1853 წლის სეზონშიც; მაგრამ ამჯერად მას ეკონომიურად მეტად გაუჭირდა სეზონის დამთავრება. თეატრების ახალი დირექტორი – ბოგდანოვი – კარგი თვალთ არ უყურებდა ქართულ თეატრს. ქართული წარმოდგენები ინიშნებოდა იტალიური ოპერის შემდეგ, ან წინ, საგანგებო დღე მას არ ეძლეოდა. ამის გამო მაყურებელი, განსაკუთრებით ქართული ენის არმცოდნე, ან დაგვიანებით მიდიოდა თეატრში (თუ ქართული წარმოდგენა პირველად იყო დანიშნული), ან ბოლომდე არ რჩებოდა (როცა ქართული წარმოდგენა შემდეგ იყო დანიშნული), მაგრამ ასეთი მაყურებელი ადგილს მაინც "იკავებდა" რადგან ბილეთი აღებული ჰქონდა.

1854 წლის 17 თებერვალს თბილისის თეატრების დირექციამ ვორონცოვს წარუდგინა მოხსენება, რომელშიც ხაზგასმით იყო აღნიშნული ქართული თეატრის მიერ გამოწვეული ხარჯების სიმძიმე და მეფის ნაცვალს ურჩევდა, უარი ეთქვა ქართული თეატრის არსებობაზე. გ. ერისთავს დიდი დავა და კამათი ჰქონდა თეატრის დირექციასთან, კერძოდ, ბოგდანოვთან. ამის გამო იყო, რომ მას აბეზღებდნენ კიდევ.

გაეცნო რა თბილისის თეატრების დირექციის ამ მოხსენებას, ვორონცოვმა კვლავ ძალაში დატოვა ქართულ თეატრთან დადებული პირობები. მან, თბილისიდან წასვლის წინ, გასცა განკარგულება, რათა დეფიციტის დასაფარავად საჭირო თანხა გაეცათ და ქართული თეატრის მსახიობებისათვის წლიური ჯამაგირი (4000 მან.) წინასწარ მიეცათ. მაგრამ ეს იყო უკანასკნელი დახმარება, რომელსაც ქართული თეატრი იღებდა. ვორონცოვის წასვლის შემდეგ გ. ერისთავის დასი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

1854 – 1855 წლის სეზონს ქართული თეატრი მეტად ცუდ პირობებში შეუდგა. მას არათუ ეხმარებოდნენ, არამედ ცდილობდნენ მოესპოთ იგი. 1854 წლის 14 (26) ოქტომბერს ქართულმა თეატრმა მაცურებელს უჩვენა ზ. ანტონოვის ”ქოროლი”. როგორც გაზეთი ”კავკაზი” წერდა, წარმოდგენის დროს პარტერში 20 –მდე მაცურებელი იყო, მაშინ, როცა უკანა ადგილებზე ტევა არ იყო და კმაყოფილი მაცურებელი გაცხარებულ ტაშსაც უკრავდა.

გ. ერისთავი დაიქანცა, მისთვის აუტანელი გახდა მუდმივი უსიამოვნება, ოჯახური მდგომარეობაც გაუარესდა, რის გამო თეატრის დირექტორმა ზ. ანტონოვს დაუთმო, ხოლო თვითონ სოფელ ხიდისთავში გადასახლდა. ეს მოხდა 1854 წლის ნოემბერში.

1854 წლის დეკემბერში ქართულმა თეატრმა განიცადა უდიდესი დანაკლისი: გარდაიცვალა ზურაბ ანტონოვი, რომელიც შესცვალა ი. კერესელიძემ ქართული თეატრის მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. ეს იმ დროც, როცა მსახიობთა კოლექტივი შედარებით გამოწრთობილი და გამოცდილების მქონე იყო და ადმინისტრაციის მხარდაჭერის შემთხვევაში შეეძლო განეხორციელებინა ყოველი პიესის დადგმა. შემთხვევითი არ იყო, რომ 1855 წელს გაზეთ ”კავკაზის” მერვე ნომერში რეცენზენტი წერდა: ”ქართველი აქტიორები, ქალებიცა და კაცებიც, ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებენ... აბრამიძე, დვანაძე, ჯაფარიძე, -არ ვიცი, რომელ მათგანს შევასხათ მეტი ქება; პირველი უბადლოა ვაჭარ – მევახშეთა როლებში; დვანაძე – საუკეთესო წარმომადგენელია სოფლური ჩვეულებებისაგან თავდაუღწეველი მემამულის როლში; ჯაფარიძე – მიჯნურის როლების პირველი მოხერხებული შემსრულებელია; ტატიშვილი – საუკეთესოა ჩინის მქონეთა და კეთილშობილი მამების როლებში; ელიოზიშვილი – მდაბიოთა როლებში, ზეინკლოვი – ჯერ კიდევ ბავშვია, იმედს კი იძლევა. მსახიობ ქალებში პირველობა მიეკუთვნება ტატიშვილს, შემდეგ აბრამიძეს.... მათ შეუძლიათ წარმოადგინონ რომელიც გინდათ პიესა”.

1855 წლისათვის ქართულ თეატრს რეპერტუარში ჰქონდა 30-მდე პიესა, რომელთა უმრავლესობა თარგმანს ან გადმოკეთებას წარმოადგენს.

1854 – 1855 წლის სეზონის დასასრულს დაემთხვა იმპერატორ ნიკოლოზ პირველის გარდაცვალება, რის გამო გლოვა გამოაცხადეს და თეატრებს 6 თვით მუშაობა შეაწყვეტინეს. მაგრამ ეს ”შესვენება” არ გამოდგა დროებითი ქართული თეატრისათვის. 1855 წლის 18 აპრილს ბოგდანოვმა აცნობა ქართულ დასს, რომ იგი დათხოვილია. დათხოვილი იქნა იტალიური ოპერის დასიც; შემცირდა რუსული თეატრის მსახიობთა კოლექტივი.

ქართველი მსახიობები კიდევ არ კარგავდნენ იმედს. 1855 წლის 1 სექტემბერს, მსახიობებმა: აბრამიძემ, ლაფერაშვილმა, უზნაძემ, ივანიძემ, ელიოზიშვილმა და სხვებმა ბებუთოვს მიმართეს განცხადებით, რომელშიც განუმარტავდნენ თავიანთი გამოუვალი მდგომარეობის შესახებ, მოაგონებდნენ, რომ მსახიობობა მათ დაიწყეს მეფისნაცვალის – ვორონცოვის – დაპირებით და ანგარიში არ გაუწიეს არავითარ სიძნელეს, მაგრამ ამჟამად სრულიად უმართებულოდ იქნენ დათხოვნილი, ითხოვდნენ, უფლება დაერთოთ მათთვის კვირაში ერთხელ გაემართათ წარმოდგენა, მაგრამ ამის ნებასაც არ აძლევდა რუსული თეატრის დირექცია.

განცხადებაზე ქართველმა მსახიობებმა უარყოფითი პასუხი მიიღეს. მაშინ, 1855 წლის 31 დეკემბერს (ახალი სტილით 1856 წლის იანვარს), ი. კერესელიძემ თვითონ მიმართა ბებუთოვს განცხადებით, რომელშიც იგი აღნიშნავდა, რომ ქართული დასი წარმოდგენებს გამართავს დაქირავებულ დარბაზში, მაგრამ, დეკორაციებსა და სხვა საჭირო საშუალებების უქონლობის გამო, ძნელდება დადგმების განხორციელებაო. იგი ითხოვდა დახმარებას თამამშევის თეატრში წარმოდგენების გამართვისათვის. განცხადების პასუხად ი. კერესელიძემ უარი მიიღო.

ი. კერესელიძე სხვა ახალ დაბრკოლებებსაც წაწყდა. თუ მანამდე ქართული პიესების ცენზურად პ. იოსელიანი ითვლებოდა და პიესების თარგმნა თავიდან აცილებული იყო, ახლა უკვე მოითხოვეს, რომ საერთო წესს დამორჩილებოდნენ. პიესები მე-3 განყოფილებაში უნდა განხილულიყო. მსახიობებმა: ტატიშვილმა, ლაფერაშვილმა, ელიოზიშვილმა, კიკნაძემ და ზეინკლოვმა 1856 წლის 2 (14) კვლავ გაუგზავნეს მოხსენებითი ბარათი გენერალ მურადოვს. ისინი მოკლედ მოაგონებდნენ მას ქართული თეატრის თავგადასავალს და კვლავ სთხოვდნენ მიეცათ ნება კვირაში ერთხელ წარმოდგენების გამართვისა რუსული თეატრის შენობაში. თხოვნას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

1856 წლის 6 (19) ივნისს ი. კეკელიძემ და ნ. ყანდიაშვილმა ისევ მიმართეს მეფის მოადგილის კანცელარიის დირექტორს თხოვნით და ციდილობლნენ მიზნისათვის მიელწიათ, მაგრამ ამაოდ, ქართულმა თეატრმა არსებობა შეწყვიტა

საყურადღებოა, რომ გ. ერისთავი თბილისიდან წასვლის შემდეგაც ყურადღებას არ აკლებდა თავის დაარსებულ თეატრს. დროდადრო თბილისში ჩამოდიოდა და ამხნევებდა თეატრის კოლექტივს, რომელსაც მრავალ დაბრკოლებასთან უხდებოდა ბრძოლა.

გ. ერისთავის საქმის გამგრძელებული ი. კერესელიძე თავის მოგონებაში ამბობს: ”ბოლოს, როგორც იცით, ჩვენი საზოგადოების საქმე, თანაგრძნობაც ცოტა გვექონდა. ხშირად, როდესაც გიორგი ერისთავი ქალაქში ჩამოდიოდა, დადიოდა თეატრში და გვაქეზებდა, მაგრამ ამით რა იქნებოდა: ვალი თავისას თხოულობდა, სახლის ქირა თავს დაგვაწყდა, საჩივარი აგვიტეხეს, ლოყები, სკამები, დეკორაციები დაგვიყიდეს ნახევარ ფასად და ჩემი გრუპპა დარჩა ცარიელი. რო არა დაგვრჩა რა, გრუპპა დაიშალა. ზოგი სად წავიდა ზოგი სად. მე დავრჩი ვალში ჩაფლული. გიმნაზიაში ვმსახურობდი და ჩემი ჯამაგირი სამი წლის განმავლობაში სულ მოვალეებს მიჰქონდათ.”

ასე უსამართლოდ იქნა მოსპობილი მეფის რუსეთის ბიუროკრატიული მმართველობისაგან გ. ერისთავის მიერ დაარსებული და ავტორიტეტმოპოვებული ქართული თეატრი, სწორედ იმ დროს, როცა მას შეეძლო უკეთესი დადგმების განხორციელება. მართალია, წარმოდგენები შემდეგაც იმართებოდა, მაგრამ იშვიათად და არაოფიციალურად, სანამ, 18 79 წელს, კვლავ არ განახლდა მუდმივი ქართული თეატრი.

მიუხედავად იმისა, რომ სულ რამდენიმე წელს არსებობდა გ. ერისთავის მიერ დაარსებული თეატრი, მან მაინც დიდი როლი შეასრულა ქართული თეატრალური ხელოვნებისა და საერთოდ ჩვენი კულტურის განვითარებაში. ეს თეატრი დაარსებიდანვე მაღალი თეატრალური ხელოვნების მოთხოვნის სიმალლეზე იდგა. მსახიობთა კოლექტივი შედგენილი იყო საქმის ნაკლებ მცოდნე, მაგრამ დაინტერესებული ადამიანებისაგან, რომლებიც გამოცდილი ხელმძღვანელის გ. ერისთავის დაუღალავი მუშაობლის წყალობით მალე გახდნენ თავიანთი საქმის ოსტატები და როლების კარგი შესრულებით აღფრთოვანებას იწვევდა მაყურებელში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მ. თუმანიშვილის, როგორც თეატრალური კრიტიკოსის როლი ქართული თეატრის განვითარების საქმეში. იგი იყო ქართული თეატრის ერთგული დამცველი და პირუთვნელი კრიტიკოსი. პოეზიაში რომანტიკოსი, მ. თუმანიშვილი იბრძოდა ქართულ თეატრში რეალიზმის განმტკიცებისათვის. მისი საყურადღებო შენიშვნები მიზანს აღწევდა.

გ. ერისთავის თეატრი იყო ნამდვილი რეალისტური თეატრი, რომელიც მოურიდებლად ამხელდა ჩამორჩენილ და უსამართლობით აღსავსე ცხოვრებას. იგი იბრძოდა დრომოჭმული სოციალური ურთიერთობისა და ბიუროკრატიული მმართველობის თავგასულობის წინააღმდეგ. თეატრის სცენაზე გ. ერისთავმა მახვილი იუმორით სასაცილოდ აიგდო გონებაჩლონგი და ფუქსავატი თავადები, ძუნწი და უზნეო ვაჭრები, უვიცი და მექრთამე მოხელეები.

შემთხვევითი არ იყო, რომ იგი თავის კომედიებში დიდ ყურადღებას აქცევდა საზოგადოების მორალური ამაღლების საკითხს და თავისი იუმორით თავს ესხმოდა ზნეობრივად გადაგვარებულსა და დაკნინებულს. თავის კომედიებს გიორგი ჩვეულებრივ აბოლოებდა სიტყვებით:

მე დავსწერე იმაზედა, ვინც ზნეობით არის მრუდი,  
ჩვენც ვეცდებით და განვდევნით, რაცა არის  
ჩვენში ცუდი.

ამ სიტყვებს თვითონ პოეტი წარმოთქვამდა ხოლმე სცენიდან, წარმოდგენის დასასრულს.

\* \* \*

დიდი სოციალური ძვრების ეპოქაში ლიტერატურა, ცხადია გულგრილი ვერ იქნებოდა არსებითი ხასიათის ცვლილებებისადმი. ცხოვრების სინამდვილე მის წინაშე აყენებდა ახალ და აქტუალურ თემატიკას. თუ ქართველი რომანტიკოსები ძირითადად ეროვნულ მოტივს ავითარებენ, სამშობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეულ სევდა – მწუხარებას გადმოგვცემენ და ახალი პოლიტიკური სიტუაციის შემფასებლად გვევლინებიან, 40 –50-იანი წლებიდან უკვე გამოდის მწერალთა გარკვეული ჯგუფი, რომელიც ყურადღების ცენტრში აყენებს სოციალურ – ეკონომიური მნიშვნელობის იმ მოვლენებს, რომლებიც რადიკალურად ცვლიდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ატმოსფეროს.

მწერალთა ეს ჯგუფი, რომლის მეთაურადაც გ. ერისთავი გვევლინება, მიზნად ისახავს სწორედ ასახოს სინამდვილე, თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების მტკივნეული მხარეები. ახალი თემატიკის შესატყვისად მათ შემოიტანეს ახალი ჟანრები: საყოფაცხოვრებო და სოციალურ -პოლიტიკური კომედია, სოციალური რომანი, ნარკვევი, სატირა და სხვ.

გ. ერისთავის, ზ. ანტონოვის, ლ. არდაზიანის, დ. ჭონქაძის და სხვათა შემოქმედებაში უკვე საქმე გვაქვს ცხოვრების სინამდვილიდან აღებულ ტიპიური ხასიათების ასახვასთან. მათ მიერ დახატული ტიპაჟი კონკრეტული ისტორიული გარემოს უშუალო გამომხატველია. ამ მწერალთა შემოქმედებაში ვეცნობით მდიდარ გალერეას ისეთი პერსონაჟებისას, რომლებიც მკაცრად განირჩევიან ერთმანეთისაგან თავიანთი სოციალური მდგომარეობით. მანამდე



გაბატონებულ რომანტიკულ მეთოდს მათ დაუპირისპირეს ახალი მხატვრული მეთოდი – რეალიზმი.

მას შემდეგ, რაც ქართული თეატრი დაარსდა და მაყურებელს საშუალება მიეცა გაცნობოდა ქართველ დრამატურგთა შემოქმედებას, დაიწყო ამ უკანასკნელის კრიტიკული შეფასებაც. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით თბილისის რუსულმა პრესამ გადადგა. ”ზაკავკაზსკი ვესტნიკსა” და ” კავკაზში” თითქმის სისტემატურად იბეჭდებოდა რეცენზიები. ახალი თეატრალური დადგმების შესახებ. წერილების ავტორები საგანგებო ყურადღებას აქცევდნენ პიესების იდეურ აზრს, მხატვრულ ღირსებასა და ნაკლოვანებებს. თეატრალურმა კრიტიკამ, რომლის წარმომადგენლად გვევლინებიან ქართველი და რუსი ლიტერატორები, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა როგორც თეატრალური ხელოვნების განვითარებაში, ისე ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში.

გ. ერისთავის კომედიების პირველი ჭეშმარიტი შემფასებელი იაკობ პოლონსკი და მიხეილ თუმანიშვილი იყვნენ. 1850 წელს ”გაყრის” რუსული თარგმანის გაცნობის შემდეგ ი. პოლონსკიმ, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, სპეციალური წერილი მიუძღვნა ”გაყრის” სცენაზე წარმოდგენას.

ამ წერილის გამოქვეყნებისას ი. პოლონსკი არ იცნობდა გ. ერისთავის ”შეშლილსა” და ”დავას”, რომლებიც ”გაყრაზე” ადრე შეიქმნა, ხოლო ”მუნწი” და ”წარსული დროების სურათები” შემდეგ დაიწერა. მიუხედავად ამისა, ი. პოლონსკისათვის ცხადი გახდა გ. ერისთავის, როგორც რეალისტის, გამოჩენა სამწერლო ასპარეზზე.

დიდი აღფრთოვანებით შეხვდა გ. ერისთავის კომედიების წარმოდგენას თეატრის სცენაზე ქართველი პოეტი მ. თუმანიშვილიც, რომელმაც 50–იან წლებში ყურადღება მიიპყრო, როგორც ნიჭიერმა თეატრალურმა კრიტიკოსმა და პუბლიცისტმა.

მ. თუმანიშვილს გ. ერისთავის კომედიები იტაცებს ცხოვრების სინამდვილის შეულამაზებელი ასახვითა და ტიპიური სახეების შექმნით. იგი საჭიროდ თვლის ასეთი მიმართულების განმტკიცებას და სხვებსაც მოუწოდებს მიჰყვნენ გ. ერისთავს.

მაგრამ მთავარი ისაა, რომ მ. თუმანიშვილი, როგორც კრიტიკოსი, პირველი იყო ჩვენს მოღვაწეთაგან, რომელიც მოწონებით შეხვდა კრიტიკული რეალიზმის გამოჩენას ქართულ ლიტერატურაში და მაღალი შეფასება მისცა მისი პირველი წარმომადგენლის – გ. ერისთავის – შემოქმედებას. მ. თუმანიშვილმა რეალიზმის უპირატესობა აღიარა ჯერ კიდევ მ. ლივენცოვის მოთხრობის –”ქართული იდილის” – გარჩევისადმი მიძღვნილ სტატიაში<sup>[14]</sup>.

თეატრალური კრიტიკა 50- იან წლებში, საერთოდ, დიდ მხარდაჭერას ამჟღავნებს პირველი რეალისტი დრამატურგების შემოქმედებისადმი. ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ თვით კრიტიკა ჩადგა რეალიზმის სამსახურში და ამ მიმართულებითაც საგულისხმო წინსვლა იყო მოსალოდნელი.

თეატრალური კრიტიკა მხოლოდ რუსულ პრესაში ("კავკაზსკის ვესტნიკ", "კავკაზ") გაიშალა. საგულისხმოა, რომ ქართული თეატრის მუშაობამ შესაფერი გამოხმაურება პოვა "ცისკრის" ფურცლებზე. ეს გარემოება, შესაძლებელია, იმითაც იყოს გამოწვეული, რომ, როგორც თეატრს, ისე ჟურნალს გ. ერისთავი ხელმძღვანელობდა, თუმცა, გ. ერისთავის "ცისკარში" კრიტიკა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, საერთოდ არა გვაქვს. გ. ერისთავის "ცისკარში" ჩვენ ვხვდებით მხოლოდ პ. იოსელიანის ისტორიულ-ლიტერატურული შინაარსის წერილებს ი. თბილელის "დიდმოურავიანისა" და ტ. გაბაშვილის "მოგზაურობის" შესახებ<sup>[15]</sup>. ეს წერილები განმეორებაა იმ წინასიტყვაობებისა, რომლებიც პ. იოსელიანმა დასახელებულ თხზულებათა გადმოცემისათვის მოამზადა.

ყურადღების ღირსია, აგრეთვე, ამავე ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებული როჟე დე – ბოვოარის "საფიას" "თარგმნელისაგან", რომელიც სერდიონ ალექსი – მესხიშვილს ეკუთვნის.

ს. ალექსი მესხიშვილს სურს მოკლედ გადმოგვცეს ის ენობრივი თავისებურებანი, რაც მას თაგრგმნის დროს გამოუყენებია და საჭიროდ თვლის დაკანონდეს მომავალში. მისი შეხედულებით, ქართული ენის ნაკლს, პირველ ყოვლისა, გრამატიკული სქესის განურჩევლობა წარმოადგენს, რის სიმძიმე მეტწილად ნაცვალსახელებში იგრძნობა. ამიტომ მას შემოაქვს გრამატიკული სქესი.

ს. ალექსი – მესხიშვილი ერთი პირველთაგანია, რომელიც ცდილობს ქართული სალიტერატურო ენა ააცდინოს განვითარების სწორ გზას.

ვინც კარგად შეისწავლის იმ მასალას, რომლის მიხედვითაც უნდა გაირკვეს სალიტერატურო კრიტიკის ხასიათი 50 –იან წლებში, მისთვის აშკარა გახდა, რომ კრიტიკის ინტერესის მთავარ საგანს ქართული სამწერლო ენის დადგენის საკითხი წარმოადგენდა.

"ცისკრის" 1857 წლის პირველ და მეორე ნომრებში გამოქვეყნდა სარდიონ ალექსი- მესხიშვილის მიერ თარგმნილი მარმონტელის "მეუდაბნოე", რომლის შესახებ გაზეთ "კავკაზში"<sup>[16]</sup> კრიტიკული წერილი მოათავსა ნ. ბერძენიშვილმა. მას იმავე გაზეთის ფურცლებზე პასუხი გასცა ს. ალექსი - მესხიშვილმა<sup>[17]</sup>. "ცისკარმა" აგრეთვე გამოაქვეყნა ალ. სავანელის წერილი "მკითხველთადმი"<sup>[18]</sup>,

რომელშიაც არჩევს ნ. ბერძენიშვილის სტატიას და იმ აზრისაა, რომ "ცისკარს", როგორც ახალფეხადგმულ ჟურნალს, კრიტიკა მხოლოდ ავნებს. იმოწმებს რა კარამზინს, ალ. სავანელი იმ შეხედულებისაა, რომ კრიტიკის უპირველესი ვალია აქოს ის, რაც ქების ღირსია, ვიდრე ამაგოს ის, რაც მაგებს იმსახურებს. საგულისხმოა ისიც, რომ ალ. სავანელს ს. ალექსი – მესხიშვილი ქართული ენის საუკეთესო მცოდნედ მიაჩნია.

მაგრამ "ცისკრელებმა" იგრძნეს, რომ კრიტიკას გვერდს ვეღარ აუვლიდნენ. კონსერვატორულ – ლიბერალური ბანაკის ცნობილი წარმომადგენელი ა. ორბელიანი იძულებულია რედაქტორისადმი მიმართულ წერილში თქვას: "რახან ასე მოხდა და საკრიტიკოთ გაგხდით ყველანი, თუ ჟურნალის გასქელებამდისინ მოითმენთ, დიახ კარგი, თუ არადა, ნუღარ დაზოგავთ ერთმანეთს და კრიტიკებს მიჰყევით ერთმანეთის წერილებზე. ესეც დიდი სასარგებლო იქნება და ეკალზედ ვარდი აღმოცენდება"<sup>[19]</sup>.

ა. ორბელიანი არ ცდებოდა, კრიტიკა უკვე დაწყებული იყო და გაჩუმება საქმეს არ შველიდა. საჭირო იყო ინიციატივისათვის ბრძოლა. მართლაც, ამის შემდეგ "ცისკრის" ფურცლებზე თითქმის სისტემატურად ქვეყნდება კრიტიკული ხასიათის წერილები. ამ წერილების შესწავლა უდავოს ხდის, რომ საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა მიმართულებასთან, რომელთაგან ერთი - დეკადენტურ რომანტიზმსა და "სამი სტილის" თეორიას იცავს მწერლობაში. ხოლო მეორე – რეალიზმისა და სამწერლო ენის დემოკრატიზაციის დამცველად გამოდის.

ი. კერესელიძის "ცისკარში" გამოქვეყნებულ პირველ კრიტიკულ წერილებს მეტად თავისებური ფორმა აქვთ. ისინი თითქმის არ განირჩევიან პუბლიცისტური სტატიებისაგან. ჩანს, მათ ავტორებს ჯერ კიდევ არა აქვთ სრული წარმოდგენა სალიტერატურო კრიტიკტის დანიშნულებასა და ხასიათზე. ამასთან, ბევრი მათგანი (მსგავსად ა. ორბელიანისა)<sup>[20]</sup> კმაყოფილდებოდა ნაწარმოებთა დაუსაბუთებელი დაწუნება – მოწონებით, ან მხოლოდ წმინდა ენობრივ საკითხებზე მსჯელობდა (ი. ლორთქიფანიძე, ალ. სავანელი, ნოტაბენე, დ. ბაქრაძე და სხვ.)<sup>[21]</sup>. ალ. სავანელი პირდაპირ აცხადებდა, რომ "უპირატესი საგანი ჩვენის ჟურნალისა უნდა იყოს მართლმწერლობა, ფილოლოგიური შენიშვნა და სხვო"<sup>[22]</sup>.

საგულისხმოა, რომ "ცისკრის" თანამშრომლები მეტ დაინტერესებას იჩენენ ორთოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და "სამი სტილის თეორიის" საკითხებისადმი, ვიდრე წმინდა ლიტერატურული მოვლენებისადმი. მაგრამ ეს არც შემთხვევითია –

კონსერვატორულ – ლიბერალური ბანაკი დარწმუნებულია, რომ ენა არ ვითარდება, იგი უცვლელია.

ამიტომ ისინი ფხიზლობენ და მტრულად ხვდებიან არა მარტო სამწერლო ენის სასაუბრო – ხალხურ ენასთან დაახლოების ყოველგვარ ცდას, არამედ მკაცრად იბრძვიან ახალი სიტყვებისა და ახალი ცნებების შემოტანის წინააღმდეგაც. მათთვის მიუღებელია ისეთი ახალი სიტყვები, როგორცაა ”ჟურნალი” და ”რედაქტორი”<sup>[23]</sup>; მიუღებელია, აგრეთვე, ყოველგვარი ორთოგრაფიული ცვლილება, რომელიც ხალხურ მეტყველებას ეყრდნობა<sup>[24]</sup>. საერთოდ, ისინი დიდ ერთგულებას ამჟღავნებენ ანტონ კათალიკოსის გრამატიკული კატეგორიებისადმი.

”ცისკრის” მყუდროება კვლავ ნ. ბერძენიშვილმა დაარღვია. ამჯერად მან ”კავკაზის” ფურცლებზე გაარჩია ”ცისკრის” 1858 წლის ნომრები<sup>[25]</sup>. მართალია, იგი შეცდომას უშვებდა ლიტერატურული მოვლენების ისტორიული თალსაზრისით შეფასებაში და სკეპტიკურად იყო განწყობილი ”ცისკრის” მხატვრული პროდუქციისადმი, მაგრამ საერთოდ მის კრიტიკას უთუოდ დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ”ცისკრის” რედაქციას ამის შემდეგ მეტი პასუხისმგებლობა უნდა ეგრძნო, მეტად უნდა ეზრუნა ჟურნალის გაუმჯობესებისათვის. რედაქტორის ხშირ – ხშირ მობოდიშებას მკითხველისადმი, ჟურნალის ნაკლოვანებათა გამო, არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა ლიტერატურული საზოგადოება.

ნ. ბერძენიშვილს ”ცისკრის” ფურცლებიდან პასუხი გასცა ლ. არდაზიანმა<sup>[26]</sup>. თუ ლ. არდაზიანმა, ერთი მხრივ, ნ. ბერძენიშვილის სტატიის სუსტი მხარეები გამოამჟღავნა, მეორე მხრივ, ”ცისკრის” დასაბუთებული კრიტიკაც მოგვცა. ლ. არდაზიანის აღნიშნული სტატია ფაქტიურად იყო პირველი სერიოზული კრიტიკული სტატია ”ცისკრის” ფურცლებზე. ამიტომაც, იგი იძულებული გახდა, პირველ ყოვლისა, კრიტიკის დანიშნულების განმარტებაზე შეჩერებულიყო, ხოლო შემდეგ მოეცა სურათი იმდროინდელი ლიტერატურისა. ლ. არდაზიანი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ კრიტიკის დანიშნულება მხოლოდ ნაკლოვანებათა და ჩამორჩენილობის დანახვა არაა, რომ მას მოეთხოვება ახსნას მათი მიზეზებიც და სწორი მიმართულება მისცეს მწერლობას.

ლ. არდაზიანის ლიტერატურულ – ენობრივი შეხედულებანი აშკარად უპირისპირდებოდა ”ცისკრელთა” უმრავლესობის თვალსაზრისს. იგი რეალისტური კრიტიკის პოზიციებიდან არკვევდა მეტად საინტერესო და აქტუალურ საკითხებს. ნ. ბერძენიშვილსა და ლ. არდაზიანს შორის გამართულმა პოლემიკამ დაადასტურა, რომ ლ. არდაზიანს თავისი შეხედულება ჰქონდა ლიტერატურისა და

კრიტიკის დანიშნულებაზე. ამ გარემოებას კიდევ უფრო აშკარას ხდის მის მიერ დაწერილი "პროსოდის" მოღწეული ნაწილი, რომელშიც ავტორს განხილული აქვს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა: "განსაზღვრა პოეზიისა", "საგანი პოეზიისა", "საჭიროება პოეზიისა", "განყოფა პოეზიისა" და სხვ.

კიდევ მეტი სიცოცხლე შეიტანა "ცისკარში" იმ პუბლიცისტურმა წერილებმა, რომელთა მიზანი იყო საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამოყალიბებისა და ცრუ – პატრიოტთა ფიზიონომიის გამომზეურება. ამ წერილთა უმეტესობა კულტურის საკითხებისადმი იყო მიძღვნილი და უშუალოდ უკავშირდებოდა ლიტერატურის განვითარების ამოცანებს. ამასთან, ის მკაცრი მამხილებელი ტონი, რომელიც დამახასიათებელია ბევრი მათგანისათვის, ბუნებრივად უწყობდა ხელს კრიტიციზმის გაძლიერებას ლიტერატურაში. ამ მხრივ ყველაზე საყურადღებოა "მოლაყბის" ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილები, რომელთა ბეჭვდა "ცისკარში" 1857 წლიდანვე დაიწყო<sup>[27]</sup>.

თუ რა დიდი ყურადღება დაიმსახურა "მოლაყბის" პირველმა სტატიებმა, ამას მოწმობს 1858 წლის თებერვალსა და მარტში გ. სულხანიშვილისადმი მიწერილი ი. ჭავჭავაძის წერილი: "...ამას წინეთ, - სწერს ილია გ. სულხანიშვილს, - მგონი შენი სტატიები იყო ცისკარში და მოლაყბედ აცხადებდი შენ თავს<sup>[28]</sup>. შენ იყავ თუ სხვა, პირფერობით არ ვიტყვი, კარგი რამ იყო, რაც კი შეეხება ენას, სწორეთ ფენომენი იყო ჩვენს გორიზონტზე. ჰაზრითაც კი არ იყო დასაწუნი. დასაწუნი – მეტეჟი, დასაწუნი კი არა, ძალიან მოსაწონიც იყო. რა მახვილათ დაეცა მოლაყბე ქართველობას, რა კარგად დაიწყო ქართველების უბედურებაზე დაცინება... რა სიხარბით ვკითხულობდი მარტივ სიტყვასა კარგის გულიდამ გამოსულს. უნდა გენახა, რა სიჩქარით გადადიოდა ხელიდამ ხელში ის ბედნიერი "ცისკრის" ნომრები, სადაც მოლაყბის ფურცლები ბრწყინავდნენ..."<sup>[29]</sup>

"მოლაყბის" სტატიები გარკვეულად განსხვავდებოდა სხვა პუბლიცისტთა სტატიებისაგან, როგორც ერთ ისე აზრით.

"მოლაყბის" წერილების სახით ჟურნალში გამოჩნდა ახალი ტიპის ფელეტონი, ავტორი მიზნად ისახავს წინ წამოსწიოს საზოგადოებრივი მნიშვნელობის საჭირობოროტო საკითხები და გაბედულად გამოთქვას თავისი შეხედულება. იგი ვერ იტანს ეგოიზმსა და უმოქმედობას, სიტყვასა და საქმის დაცილებას. ნიჭიერი ფელეტონისტი იწყებს იუმორითა და ირონიით, ამთავრებს სატირითა და სარკაზმით. მაგრამ მკითხველი ყოველთვის გრძნობს სამშობლოს მოყვარული, საზოგადოებრივი წინსვლისათვის მებრძოლი

პუბლიცისტის გულისცემას, წვდება მისი მიზნის კეთილშობილურ ბუნებას.

მოლაყბე – პუბლიცისტი მეტად საჭირო დროს გამოჩნდა. მან გამოაცოცხლა ჟურნალი, მუჯღუგუნნი გაჰკრა ერთმანეთის მაამებლობით გამოტაცებულ ”ცისკრის” ”გულშემატკივართ”, რომლებიც ჯანსაღ კრიტიკას სალონურ რევერანსებზე ცვლიდნენ და პიროვნულ ინტერესებს საზოგადოებრივზე მაღლა აყენებდნენ. ნიჭიერმა პუბლიცისტმა კვლავ გააცოცხლა სიტყვა ”მამული” საზოგადო მოღვაწის ყველაზე დიდ ღირსებად სამშობლოსადმი, ეროვნული მნიშვნელობის საქმისადმი უნგარო და თავდადებული სამსახური გამოაცხადა.

ენამწარე ”მოლაყბის” მოცილებას ბევრი ცდილობდა, მაგრამ არც მას ეძინა, სხვადასხვა ხერხს მიმართავდა, რათა მისთვის წერა არ ეკრძალათ. იგი შეცვლილი ფსევდონიმებით (”თერთმეტი მებუკე”, ”ავყია”) იცავდა ”მოლაყბეს”, ე. ი. თავის თავს და აფრთხილებდა მტრულად განწყობილ საზოგადოებას, რომ, თუ ”მოლაყბეს” გააჩუმებდნენ, მაშინ სხვები გამოჩნდებოდნენ მისი საქმის განსაგრძობად. საგულისხმოა, რომ ”ცისკრის” რედაქცია გარკვეულად ზრუნავდა ”მოლაყბის” დასაცავად<sup>[30]</sup>.

”მოლაყბის” გაბედულება გამოსვლამ თავისი გავლენა მოახდინა ”ცისკრის” პუბლიცისტიკაზე საერთოდ. ჟურნალის ფურცლებზე თანდათან გამოჩნდა წერილები, რომლებიც ცხოვრების დღის წესრიგში მდგომ აქტუალურ საკითხებს ეხებოდნენ და პროგრესულ შეხედულებებს ქადაგებდნენ. ”ცისკარი” უკვე მეტ პატივისცემას იჩენდა ახლის გრძნობისადმი. ამ მხრივ საყურადღებოა მ. რუსეთუმესა და გ. ქართველის წერილები<sup>[31]</sup>.

მ. რუსეთუმე თავის სტატიაში ეხება პეტერბურგულ ქართველ სტუდენტთა მიერ ს. ორბელიანის ”სიბრძნე – სიცრუისას” გამოცემას და დასძენს: ”ღმერთმა გვიცოცხლოს კეთილი სტუდენტები და გვიმრავლოს იმათი ღირსი ამხანაგები; იმათგან ველით საზოგადოდ სასარგებლო საქმეებსა: ისინი უნდა იყვნენ ჩვენი განმანათლებელნი; იმათ უნდა გადმორგონ ჩვენს ქვეყანაში ახალი სწავლა, ახალი აზრი, ახალი მდგომარეობის მოწყობა; ისინი უნდა იყვნენ წინამძღვარნი ჩვენი საზოგადოებისა და მოციქულნი კეთილშინებობითის განათლებისა”<sup>[32]</sup>.

როგორც ვხედავთ, რუსეთუმეს სწორად ჰქონდა გათვალისწინებული ის როლი, რაც შემდეგ მართლაც შეასრულა პეტერბურგის უნივერსიტეტში აღზრდილმა ქართველმა ახალგაზრდობამ ჩვენი კულტურის აღმავლობის საქმეში. მაგრამ მისი

სტატიის გაგრძელება ჟურნალის მომდევნო ნომრებში აღარ დაბეჭდილა. სავარაუდოა, რომ იგი ცენზურამ ჩააჩუმა.

სამაგიეროდ, მოწინავე აზრები გამოხატა თავის სტატიაში გ. ქართველმა, რომელიც, ერთი მხრივ, საყვედურს გამოთქვამდა მ. რუსეთუმეს სტატიის დაუსრულებლობის გამო, მეორე მხრივ კი, ფარდას ხდიდა მექრთამე ჩინოვნიკებსა და გულხარბ მებატონეებს, რომლებიც არ ინდობდნენ არა მარტო თავიანთ ყმებს, არამედ ერთმანეთსაც.

ლიბერალთა ბანკშიც დაიწყო პოზიციების გადასინჯვა, მათ იგრძნეს ზოგიერთ დათმობაზე წასვლის აუცილებლობა, ახლა ისინი მეტ გაბედულებას იჩენენ ლიტერატურული ენის გაგების საკითხშიც. მაგალითად, "სამი სტილის თეორიის" ერთ –ერთი დამცველი დ. ბაქრაძე იძულებულია აღიაროს, რომ ანტონ კათალიკოსის მეშვეობით ქართულ მწერლობაში გზა გაეხსნა სქოლასტიკას "იმ დროს, როდესაც თვით ევროპაში იგრძნეს სქოლასტიკის უსარგებლობა"<sup>[33]</sup>.

ჟურნალის რედაქციამაც შეცვალა თავისი პოზიცია და ნაცვლად "სამი სტილის თეორიისა" წამოაყენა ორი ენის (მაღალი და დაბალი ენის) თანაარსებობის საჭიროება და შესაძლებლობა. მისი აზრით, მაღალი ენით უნდა იწერებოდეს ღვთისმეტყველებისა და ფილოსოფიის საკითხებზე, ხოლო "რაც კი მოსათხრობელი არის რამე, ანბავი თუ ისტორია, რომანი, ლეგანდა, ტრადიცია, - ისე უნდა იწერებოდეს, როგორც საზოგადოებაში ლაპარაკს შეეფერება; თუ არა და, სულ რომ არ დაიწეროს, ისა სჯობია... რაც პირად ლაპარაკს არ შეეფერება, ის არც წერას უნდა შეეფერებოდეს. ლიტერატურის პირველი ღირსება ის არის, რომ ცხოველს, სასაუბრო ენას უახლოვდებოდეს, რამდენადაც კი შეიძლება". ამასთან რედაქცია ყურადღებას ამახვილებს ბარბარიზმების თავიდან აცილების საჭიროებაზე: "ლიტერატურას ვალი აქვს, რომ შემოაცალოს თავისს ენას ყოველი ამგვარი ბირკა... გამარგლოს თავისი ყანა"<sup>[34]</sup>. ამ მძიმე ამოცანის შესრულებას რედაქცია თავის მოვალეობად სახავს და მკითხველს ჰპირდება, მომავალში ყოველ მასალას გამოაქვეყნებს ენობრივ --სტილისტური შესწორებების შემდეგ.

როგორც ვხედავთ, "ცისკრის" რედაქციამ დასთმო კონსერვატული პოზიციები და იგრძნო "სამი სტილის თეორიის" დაცვის უსაფუძლობა, თუმცა საბოლოოდ მაინც ვერ განთავისუფლდა მცდარი შეხედულებებისგან.

"ცისკარი" ბოლომდე დარჩა ისეთ ორგანოდ, რომელიც ერთ გარკვეულ მიმართულებას ვერ ატარებდა თითქმის ვერც ერთ საკითხში. მაგრამ საყურადღებოა, რომ ის იძულებული ხდება მეტი პატივისცემით მოეკიდოს რეალიზმის დამცველებს.

\* \* \*

კრიტიკულმა რეალიზმმა ქართულ ლიტერატურაში ჩამოყალიბება დაიწყო ჯერ კიდევ მაშინ, როცა ფეოდალურ – ბატონყმური სისტემა თავის უფლებას ინარჩუნებდა, როცა ბურჟუაზიული ურთიერთობის შედეგები ჯერ კიდევ სუსტად იგრძნობოდა.

პირველი ქართველი რეალისტების თვალწინ გადაშლილი სოციალური გარემო გარკვეულად განსხვავდებოდა იმ სინამდვილისაგან, რომელიც რეალიზმის თავისებურებას განაპირობებდა დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში. სამაგიეროდ, მსგავსი სოციალური ნიადაგი ჰქონდა რუსულ და ქართულ კრიტიკულ რეალიზმს.

როგორც რუსი, ისე ქართველი რეალისტები თავიანთ კრიტიკულ პათოსს უკავშირებდნენ გლეხურ მოძრაობას, იმ მკაცრ პროტესტს, რომელიც აშკარად იგრძნობოდა მშრომელ ხალხში.

ამ გარემოებამ ისინი ააცდინა იმ სკეპტიციზმს, ევროპულ რეალისტთა ნიშანდობლივ თვისებად რომ იქცა 1848 წლის რევოლუციის შემდეგ. ხალხის ინტერესების დამცველ მწერლობას, ბუნებრივია, ხმა უნდა აემაღლებინა ჩაგვრის ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ. თვითმპყრობელობა და მის მფარველობაში მყოფი მემამულეები, ბურჟუაზია და ბიუროკრატი მოხელეები – აი ის ბოროტი ძალები, რომლებიც სულს უხუთავდნენ მშრომელ ხალხს და რომელთა ნამდვილი სახის ჩვენება დაისახა მიზნად კრიტიკულმა რეალიზმმა რუსულ და ქართულ ლიტერატურაში.

ქართულმა კრიტიკულმა რეალიზმმა თავისი განვითარების პირველ ეტაპზე შეძლო ეჩვენებინა იმდროინდელი სოციალური უკუღმართობა და გაელაშქრა მისი მთავარი წყაროს – ბატონყმობის წინააღმდეგ. ამასთან, მან შეძლებისდაგვარად აჩვენა განვითარების გზაზე მდგარი ბურჟუაზიული ურთიერთობის ანტიხალხური ხასიათიც. ჩვენს რეალიტებს მხედველობიდან არ გამოჰპარვია არც კოლონიური პოლიტიკის წარმართველ მოხელეთა ამორალური მოქმედება, თუმცა ისტორიული გაკვეთილები მათ კარნახობდა მკაცრად არ აემაღლებინათ ხმა ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. მაგრამ მარტო აღნიშნული მომენტებით არ ამოიწურება კრიტიკული რეალიზმის მნიშვნელობა ამ პერიოდში. მან ჩვენს ლიტერატურაში შემოიყვანა ხალხი. მშრომელი ხალხის ცხოვრებითა და მის წარმომადგენელთა სახეებით დაინტერესება კი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 50-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში.



მართალია, პირველმა ქართულმა რეალისტებმა მეტი სისრულით წარმოადგინეს ხალხისათვის საძულველ ადამიანთა სახეები, ვიდრე თვით ხალხი, მაგრამ ეს უკანასკნელიც თანდათანობით იკიდებს ფეხს ჩვენს ლიტერატურაში. ზ. ანტონოვის, ლ. არდაზიანისა და დ. ჭონქაძის მხატვრული შემოქმედება საიმედო საფუძველს ქმნიდა ამ მიმართულებით.

ახალი თემატიკა, ახალი ჟანრები, ახალი მხატვრული საშუალებანი და სასაუბრო ენასთან დაახლოებული სამწერლო ენა – ასეთია ის სიახლენი, რომელიც კრიტიკულმა რეალიზმმა შემოიტანა ჩვენს ლიტერატურაში ახალ, მოწინავე იდეებთან ერთად. ყოველივე ამან შესაძლებლობა მისცა ჩვენს რეალისტებს შეექმნათ ისეთი ტიპიური მხატვრული სახეები, რომლებიც იმსახურებენ ინტერესს. სინამდვილესთან ლიტერატურის დაახლოება და ტიპიური, რეალისტური სახეებით ლიტერატურის გამდიდრება – 40 -50 –იანი წლების ქართული მწერლობის განვითარების მთავარი დამახასიათებელი თვისებებია.

კრიტიკული რეალიზმი 40 -50 –იანი წლების ქართულ მწერლობაში არ არის ერთადერთი მიმართულება, მაგრამ იგი მტკიცედ იპყრობს იმ დროის ლიტერატურულ მწვერვალებს. კრიტიკა და პუბლიცისტიკა რეალიზმის სამსახურში დგება და ხელს უწყობს მას რომანტიზმთან ბრძოლაში. კერძოდ, ლიტერატურულ კრიტიკასა და პუბლიცისტიკაში ეროვნული საკითხის წინ წამოწევა ახალ ამოცანას სახავს კრიტიკული რეალიზმის წინაშე, რაც წარმატებით გადაიჭრა მისი განვითარების მეორე ეტაპზე.

კრიტიკულ რეალიზმს 50 –იანი წლებში, ცხადია, ატყვია გარკვეული შეზღუდულობა; მაგრამ მისი განვითარების პროცესი თანდათან სწორ მიმართულებას იღებს. ამ დროის რეალისტური მწერლობა ვალმოხდელი შეხვდა დიდ მესამოციანელებს, რომელთა სახელთანაცაა დაკავშირებული ქართული კრიტიკული რეალიზმის ძლიერი სკოლის შექმნა.

- [1] **К. МАРКС и Ф. ЕНГЕЛЬС, Соч., т. IX, გვ. 397.**
- [2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. III, გვ. 703.
- [3] პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, 1941, გვ. 12 –13.
- [4] ვ. ი. ლენინი, ტ. III, გვ. 707.
- [5] ვ. ი. ლენინი, ტ. XVII, გვ. 127
- [6] “გაყრა” რუსულად თარგმნა დ. ყიფიანმა და მანვე წაუკითხა ვორონცოვს, რომლის განკარგულებითაც დაიბეჭდა ცალკე წიგნად 1850 წელს.
- [7] ი. მეუნარგია, ქართული მწერლები, 1944, II, გვ. 25.
- [8] გ. წერეთელი, ორმოცდასამი წელი ქართული თეატრისა, ჟურნალი “კვალი”. 1893, №2.
- [9] გაზეთი “Закавказский вестник” 1850, N22.
- [10] გაზეთი “კავკაზი” 1850, N 36.
- [11] «Кавказ», 1851 N1.
- [12] «Акты...» ტ. X, გვ. 881.
- [13] «Кавказ», 1851, N10.
- [14] «Кавказ», 1852, N41.
- [15] “ცისკარი” 1852, N2, 3.
- [16] «Кавказ», 1857, N4.
- [17] იქვე, N 11.
- [18] “ცისკარი”, 1857, N4.
- [19] იქვე, N6,
- [20] იქვე, 1857, N9, 1858, N4.
- [21] იქვე, 1857, N7, 1858, N3, 1860, N8.
- [22] “ცისკარი”, 1858, N2.
- [23] იქვე, 1857, N7.
- [24] იქვე, 1858, N3.
- [25] «Кавказ», 1858, NN41, 43, 49, 50.
- [26] “ცისკარი”, 1859, N9.
- [27] “ცისკარი”, 1857, №11, 12.
- [28] ილიას პირველად გ. სულხანიშვილი მიუჩნევია “მოლაყბედ”.
- [29] ი. ჭავჭავაძე, წერილები, I, ი. ბოცვაძის რედაქციით, 1949, გვ. 16.
- [30] “ცისკარი” 1858, №7; 1859, №1; 1860, №5 და სხვ.
- [31] იქვე, 1860, №3, 8.
- [32] იქვე, №3.
- [33] “ცისკარი”, 1860, №8.
- [34] იქვე, №2.

### **გიორგი ერისთავი (1813 – 1864)**

გამოჩენილ დრამატურგს გიორგი დავითის ძე ერისთავს გასული საუკუნის 40 – 50 –იანი წლების ქართულ მოღვაწეთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

გ. ერისთავი იყო არა მხოლოდ პირველი ქართველი კომედიოგრაფი, რომელმაც თავისი დრამატურგიით სათავე დაუდო კრიტიკულ რეალიზმს ქართულ ლიტერატურაში, არამედ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეც.

\* \* \*

გიორგი ერისთავი ქსნის ერისთავთა შთამომავლობას ეკუთვნოდა. მის წინაპრებს ჯერ ქსნის საერისთავო რეზიდენციაში – სოფელ ახალგორში (დღევანდელ ლენინგორში) უცხოვრიათ, შემდეგ კი სოფელ ოძისში გადასახლებულან. გ. ერისთავი დაიბადა სოფელ ოძისში 1813 წელს.

მომავალი მწერლის მამა, დავით როსტომის ძე, განთქმული იყო სტუმართმოყვარეობით. უკანასკნელად მას მრჩევლის თანამდებობა ეჭირა სახაზინო ექსპედიციაში და საკმაოდ განათლებულ კაცად იცნობდნენ. დედა, მარიამ ივანეს ასული ქობულაშვილი, ქართულ მწიგნობრობაში გათვითცნობიერებული და მეტად სათნო ხასიათის ქალი იყო.

რვა წლამდე გიორგი სოფელში იზრდებოდა. დედამ ასწავლა მას ქართული წერა – კითხვა და მანვე ჩაუნერგა სიყვარული მწერლობისადმი. 1821 წელს მშობლებმა გიორგი მიაბარეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, სადაც ოთხი წელი სწავლობდა. შემდეგ კი დავითს თავისი შვილი ბიძიასათვის – მიტროპოლიტ ვარლამისათვის-გაუგზავნია მოსკოვში. ვარლამს გიორგი, და მასთან ერთად ჩასული თავისი ძმისშვილი ესტატე, ერთ – ერთ კერძო პანსიონში მიუბარებია. მაგრამ ექვსი თვის შემდეგ ესტატე ავად გამხდარა, მოსკოვის ჰავა ვერ აუტანია და ვარლამსაც ორივე ახალგაზრდა სამშობლოში დაუბრუნებია. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ გიორგის სწავლა აღარ გაუგრძელებია, მალე იგი საგანგებო დავალებათა მოხელედ ჩაერიცხა სამხედრო გუბერნატორთან.

სასწავლებლის გარეთ დარჩენილი გიორგი ბეჯითად დაეწაფა თვითგანვითარებას და, დ. ყიფიანთან ერთად, ფრანგული ენის შესწავლასაც იწყებს; როგორც ჩანს, ლექსების წერასაც განგაგრძობდა, რაც მას ჯერ კიდევ თორმეტი წლის ასაკში დაუწყია.

ახალგაზრდა გიორგი მალე ს. დოდაშვილის ლიტერატურული წრის ერთ – ერთი აქტიური წევრი გამხდარა. ეს ის დროა, როცა, - როგორც ი. მეუნარგია შენიშნავს, - ”რუსეთიდან საქართველოში დაბრუნდნენ ჩვენებური ახალგაზრდა

ყმაწვილკაცნი, რომელთაც ჩამოიტანეს ქართული მწერლობის სიყვარული, ქართველი ბატონიშვილებისა და მათ გარეშე პირთაგან შემდგომი პეტერბურგსა და მოსკოვში. ამ ყმაწვილკაცთ ზედ დაერთო ის თაობაც, რომელმაც გამოზარდა კეთილშობილთა სკოლაში და ცოტ – ცოტათი ტფილისში დაარსდა ქართული მწერლობის მოყვარულთა წრე, სადაც დაიბადა შემდეგი ქართული ჟურნალის გამოცემის აზრი. ამათში გიორგი ერისთავს პირველი ადგილი ეჭირა”<sup>[1]</sup>.

გ. ერისთავის პოლიტიკური მსოფლმხედველობისა და პოეტური ნიჭის მომწიფება ხდებოდა მაშინ, როცა ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში წინააღმდეგობა და ერთგვარი დაბნეულობაც კი იგრძნობოდა. ესაა წლები, როცა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მარცხით დამთავრებული აჯანყებების შემდეგ არისტოკრატის წრიდან გამოსული ქართველი მოღვაწეები შეთქმულებას ამზადებდნენ საქართველოში რუსული მმართველობის მოსასპობად.

პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდილი გ. ერისთავი თავისი პოლიტიკური მრწამსით ახლოს იდგა მეფის მთავრობისადმი ოპოზიციურად განწყობილ ადამიანებთან. მათაც, ცხადია, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ეს გარემოება და გ. ერისთავი შეთქმულებაში ჩააბეს. მალე იგი ერთ –ერთი აქტიური შეთქმულთაგანი გახდა და ენერგიულად მოქმედებდა შეთქმულთა რიცხვის ზრდისა და ურთიერთდაახლოებისათვის. ამ მიზნით მან ფილადელფოს კიკნაძისაგან მიიღო და გაავრცელა საიდუმლო ანბანი და ”აკტი გონიური”.

ამ პერიოდში შეთქმულთა იდეებსა და მიზნებს ემსახურებოდა ახალგაზრდა პოეტის ჩანგიც. მართალია, მის იმდროინდელ ლექსებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ მათი იდეური შინაარსის შესახებ შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ პოემა ”ოსური მოთხრობის” მიხედვით, რომელსაც ავტორი შეთქმულთა შეკრებებზე კითხულობდა და რომლის ერთი ნაწილის გამოქვეყნება ს. დოდაშვილმა კიდევაც მოახერხა ჟურნალში.

”ოსურ მოთხრობაში” აშკარად ჩანს ანარეკლი იმ შეხედულებებისა და განწყობილებებისა, რომლებიც ”ფარული საზოგადოების” წევრებისათვის იყო დამახასიათებელი. პოემაში ავტორს მიზნად აქვს დასახული ისე გადმოსცეს ისტორიული ამბავი, რომ იგი უაღრესად თანადროული გახადოს. ამ მხრივ პოეტი წინამორბედია სახელოვანი სამოციანელების, რომლებიც არსებული სინამდვილის წინააღმდეგ ბრძოლის განწყობილებას, ხშირად,

შესაფერი ისტორიული თემატიკის ოსტატური დამუშავებით ქმნიდნენ.

პოემა ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში გადმოცემულია ქართლ –კახეთის ბრძოლა მე-17 საუკუნეში შაჰ-აბასის საქართველოდან განსადევნად, აღწერილია ქართველ გმირთა თავდადება და სიმტკიცე. მეორე ნაწილში კი ნაჩვენებია ზოგიერთ თანამემამულეთა უღირსი საქციელი და გვარეულობათა შორის ჩამოვარდნილი მტრობის სავალალო შედეგები.

ქსნის ხეობის მოკლე აღწერის შემდეგ, ავტორი მოხუცის პირით მოგვითხრობს შაჰ-აბასისაგან მძიმე განსაცდელში ჩავარდნილ კახელთა შესახებ. მათ ოცნებაზე –გამოჩენილიყო ისეთი გმირი, რომელიც იხსნიდა სამშობლოს. და აი, გამოჩნდა ბიძინა ჩოლოყაშვილი, რომელმაც შაჰ-აბასის წინააღმდეგ საბრძოლველად მიიმხრო ელიზბარ და შალვა ერისთავებიც. მათ "სრულად გასწყვიტეს" თათრები, გაასწრო მხოლოდ ხანმა. მაგრამ ასეთი მარცხით განრისხებული შაჰი ლუარსაბ მეფეს შემოუთვლის: "წარმომიგზავნე ერისთავნი ხელეშეკრულიო". მეფემ დიდებულები იხმო და რჩევა ითხოვა. სახელოვან გმირთა დანახვამ მეფე და დიდებულნი კიდევ უფრო ჩააფიქრა, მაგრამ მათ თვით მოითხოვეს ნაბრძანების შესრულება და ერთხმად დასცინეს: **"მამულისათვის როცა ვკვდებით, ვართ მოხარულნი"**.

ქართველთა მოქმედებით განრისხებული შაჰი კიდევ უფრო აღაშფოთა ხელშეკრულ ქართველ ვაჟკაცთა მხნე სახეებმა. მას უნდოდა მუქარით გაეტეხა მათი ნებისყოფა და შემდეგში თავისი მიზნებისათვის გამოეყენებინა ისინი, მაგრამ მოტყუვდა. მათი საქმე და სიტყვა ერთი იყო. ისინი ამართლებენ თავიანთ მოქმედებას და ამაყად მიმართავენ მრისხანე შაჰს:

მაშა თუ ვითარ გვიწოდებენ მხნეთა  
ივერთა,

თუ ვერ განდევნით ჩვენის სამზღვრით  
მამულის მტერთა.

სპარსელებმა უფრო მზაკვრულ ხერხსაც მიმართეს: ბიძინა ჩოლოყაშვილის თვალწინ თავები წააცალეს ერისთავებს, "ეგონათ ამით შეეშინდებოდა და ძმათა თვისთა განშორდებოდა", და როცა ამითაც ვერ დააშინეს, მაშინ "მხნე ბიძინამ" ნაწილ-ნაწილ აკლწეს.

სპარსეთში წარგზავნილი გმირებისათვის მეფეს მხლებლებად გაუყოლებია მოურავის ძმა და ვინმე ჩარაშვილი, რომლებიც გზაზევე შიშს შეუპყრია და უკანვე დაბრუნებულან. მოურავ როინს ვერ აუტანია ძმისა და ჩარაშვილის ასეთი მუხანათობა და ორივე

სიცოცხლისათვის გამოუსალმებია. მაგრამ ამის შემდეგ დაწყებულა სისხლის ღვრა როინის გვარსა და ჩარაშვილებს შორის. როინის გვარის უკანასკნელ გამგრძელებლად დარჩენილა ყანიმათი, რომელიც გადაწყვეტს სიცოცხლე მოუსპოს ჩარაშვილების უკანასკნელ მემკვიდრეს-ბერს. გადაწყვეტილების შესასრულებლად მიმავალ ყანიმათს გზაზე ხვდება ბერის ლამაზი ასული – ზარე, რომელსაც ადრევე შეუტყვია ყანიმათის გადაწყვეტილება. შეხვედრა სიყვარულის ფიცით მთავრდება. ამის შემდეგ შეყვარებულები ერთმანეს ხვდებოდნენ, მაგრამ ერთ –ერთი შეხვედრისას ყანიმათი ვიღაცას მიერ გასროლილმა ტყვიამ განგმირა. ჩანს, რომ მკვლელი ბერი ჩარაშვილი იყო. (თუმცა პოემაში პირდაპირ არაა მითითებული). ამ ამბავმა ზარე ჭკუიდან შეშალა და ბოლოს სიცოცხლესაც გამოასალმა.

”ოსური მოთხრობა” ისტორიულ თემაზეა აგებული, თუმცა ისტორიულ ამბავს ხშირად ცვლის პოეტის ფანტაზიით შექმნილი სურათები. პოემის ძირითადი იდეა პატრიოტიზმია. ავტორის მიზანია მკითხველში გააძლიეროს მამულის სიყვარულის გრძნობა, მთააგონოს მას სამშობლოსათვის თავდადება.

ახალგაზრდა ავტორმა თემის შერჩევის შესანიშნავი უნარი გამომაჟღავნა. როგორც ცნობილია, ეს თემა (შაჰ-აბას მეორის წინააღმდეგ ქართველთა შეთქმულება) შემდეგში კვლავ იქნა გამოყენებული აკ. წერეთლის ვაჟა - ფშაველასა და ანტ. ფურცელემის მიერ.

როგორც აღვნიშნეთ, გ. ერისთავმა თავის პოემაში 1832 წლის შეთქმულთა იდეები ჩააქსოვა. პოემის ცალკეული ადგილები უშუალოდ გამოხატავს შეთქმულთა განწყობილებებს. ეს გარემოება შეუნიშნავი არ დარჩენიათ შეთქმულების მონაწილეებსაც<sup>[2]</sup>.

ერთი შეხედვით, ”ოსური მოთხრობის” მეორე ნაწილი თითქოს სიყვარულის თემაზეა აგებული, მაგრამ არსებითად ეს ასე არ არის. მართალია, აქ აღწერილია ზარესა და ყანიმათის სიყვარულის ტრაგიკული ისტორია, მაგრამ ყოველივე ეს გამოყენებულია მთავარი თემის გასაშუქებლად. პოემის მეორე ნაწილში ავტორი მიზნად ისახავ გვიჩვენოს, რომ ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ერისთავები მარტონი არ არიან, მათი მოსპობით არ ინგრევა გმირთა საბუდარი. კვლავ რჩებიან როინები. როინი იმ დედის ძუძუთია გაზრდილი, რომელმაც შემდეგში ალ. ყაზბეგის ხვეისბერი გოჩა დაავაჟკაცა.

პოემა ”ოსური მოთხრობა” საყურადღებოა ბუნების სურათების რეალისტური აღწერითა და სიყვარულის გრძნობის მაღალადამიანური გაგებითაც.

”ოსურ მოთხრობაში”, მართალია, ხვდებით რომანტიკული პოეზიისათვის დამახასიათებელ განწყობილებებსა და პოეტურ საღებავებს, მაგრამ თავისი არსებითი ნიშნებით ის არის ქართული რეალისტური პოეტური ეპოსის ერთ-ერთი ადრინდელი ნიმუში.

”ოსური მოთხრობა” ყურადღებას იქცევს კომპოზიციური გამართულობითა და პოეტური ენის სისადავითაც. ავტორი აშკარად ამჟღავნებს მისწრაფებას დაუახლოოს სასაუბრო ენას ნაწარმოების არამართო ლექსიკა, არამედ პოეტური სინტაქსი.

\* \* \*

შეთქმულების გაცემიდან რამდენიმე ხნის შემდეგ გ. ერისთავიც დააპატიმრეს. გამოძიებამ იგი მეოთხე თანრიგის დამნაშავედ ცნო, მაგრამ საგამომძიებლო დასკვნაში აღნიშნული იყო მისი მცირეწლოვანებისა და გულწრფელი აღიარების შესახებ. სასჯელის ზომათა დადგენისას მთავრობა დაკმაყოფილდა გ. ერისთავის ფეხოსანთა პირველი კორპუსის ერთ – ერთ პოლკში ჩარიცხვით. 1834 წლის 9 იანვარს თბილისიდან ის გაგზავნეს ვილნოში ფეხოსანთა მესამე დივიზიის უფროსთან.

გადასახლებაში მყოფ ახალგაზრდა პოეტს ცხოვრება უხდებოდა ვილნოში, ბელოსტოკში, კოვნოში, რიგაში და სხვა ადგილებში, იმის მიხედვით თუ სამხედრო ნაწილი, რომელშიც ის მსახურობდა, სად იმყოფებოდა. უცხო ქვეყანაში ყოფნას პოეტისათვის ტყუილად არ ჩაუვლია. გარდა იმისა, რომ კარგად შეისწავლა პოლონური ენა, გაიცნო პოლონური ლიტერატურაც. კერძოდ, დიდი ინტერესი გამოიჩინა სახელოვანი პოლონელი პოეტის ადამ მიცკევიჩის შემოქმედებისადმი და თარგმნა მისი ლექსები.

ვილნოში გ. ერისთავი მოუნახულებია მის ბედში მყოფ პოეტს გრ. ორბელიანს, ისინი ხშირად ხვდებოდნენ და თავიანთ ლექსებსაც აცნობდნენ ერთმანეთს. გადასახლებაში მყოფი გ. ერისთავი 1836 წლის დეკემბერში მოუნახულებია მის ძმას – ივანესაც. 1838 წლის აგვისტოში გ. ერისთავმა მიიღო სამშობლოში ერთი წლით დაბურუნების უფლება და სიხარულით გამოემგზავრა.

შეთქმულების ტრაგიკულმა დასასრულმა ახალგაზრდა პოეტის ოცნებას, ცხადია, ფრთები შეაკვეცა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ნაცვლად შეთქმულებს, მათ შორის გ. ერისთავსაც, ციხის კედლები და სამშობლოსაგან მოცილება ერგოთ. ცხოვრების ამ მკაცრმა დღეებმა თავისი გამოხატულება პოვა გ. ერისთავის პოეზიაში. 1833-1838 წლებში დაწერილ ლექსებში პოეტი

უმთავრესად გადმოქცევს იმ სევდა – მწცხარებას, რომელიც მას პატიმრობისას და გადასახლებაში ყოფნისას დაუფლებია. ამ პერიოდის ლექსები პესიმისტური განწყობილებითაა დამდიმებული, თუმცა ეს პესიმიზმი არაა უსასოო. პოეტის მწუხარება გამოწვეულია სამშობლოსაგან იძულებითი მოწყვეტით. ”ქალაქის ციხეში ჟამსა პატიმრობისასა” დაწერილ ლექსში პოეტი თავის მეგობრებს მიმართავს:

მე აწ სოფელი მოყვასთ მაშორებს,  
და მიხშავს კლიტით მამულის კარებს.  
ვეღარ ვისუნთქავ ჰაერით ტკბილით,  
მისთვის მიბრალეთ გულით ღმობილით.  
მივალ, გარნადა სული აქ მრჩების,  
მუნ სევდის ქოხი ოზლად დამშთების.

(”თ. სვიმონ მაჩაბელის”)

უცხო მხარეში გადახვეწილ პოეტს კიდევ უფრო ძლიერად ეუფლება სამშობლოს სიყვარულის გრძნობა. მისი ოცნება მშვენიერ საქართველოს, საყვარელ თბილისს და იქ მყოფ მეგობრებს დასტრიალებს; მის მოგონებებში მუდამ ცოცხლობს მხიარულებაში გატარებული დღეები, ” როს გული მისი არ სცნობდა ჭმუნვას”. პოეტის მუზა შორიდან ეალერსება მტკვარს-საქართველოს თავგადასავალის უტყვ მოწამესა და ყაბახს- ქართველ ვაჟკაცთა სააზპარეზო ადგილს.

ლექსები ” მტკვრისადმი” და ” ყაბახისადმი” (1836წ.) წარმოადგენდნენ სასიამოვნო მოგონებათა რომანტიკულ ფერებში გადმოცემის საუკეთესო ნიმუშებს. მტკვარი პოეტისათვის გამხდარა სამშობლოსა და მხიარული ახალგაზრდობის სიმბოლო. დიდი გატაცებით იგონებს ის ყაბახსაც, სადაც, არა ერთგზის გაუქარვებია თავისი სევდა და გაღვიძებია მოგონება ივერიის დიდი წარსულისა:

ოდეს რაზედმე ან რისთვისმე რა ვჭმუნვარებდი,  
შენზედ სეირნით მყის კაემანს განვიქარვებდი.  
ვით გრძნების სარკე, ამო სოფელს დამანახებდი,  
ვითა მეგობარს, ხვაშიადს გულის-შენ გარწმუნებდი.

შენსა პირზედან კითხულობდი დროთა ძველთ  
წარსულთ,

შენზედ ჰსწერია მოთხრობანი გმირთა დიდებულთ.  
შენ შთამბერავდი ჩემსა შორის ივერთა ტრფობას  
და ჩანგზედ მღერით დავიწყებდი მამულის მკობას.

(”ყაბახისადმი”)

უცხო მხარეში გ. ერისთავი გულთბილად მიუღიათ, მაგრამ სამშობლოსაგან მოცილებულ პოეტს აღარაფერი ახარებს:



სიღრმისა გული გრძნობიულით ვარ მადლობელი  
ჩემის ესრეთის ალერსითა მიღებისათვის,  
მაგრამ არ ძალმიძს დავივიწყო მხარე მშობელი  
და სიხარულად მიმაჩნია ვიტურო მისთვის.

გ.ერისთავს გადასახლებაში უპოვია თავისი აზრის თანამოაზრენი. ერთ – ერთი მათგანი ყოფილა ჩვენთვის უცნობი პოლონელი პოეტი, მაიორი მიცკევიჩი, რომლის ლექსებს მიუზიდავს ქართველი პატრიოტი. მისი თქმით, მგოსნისათვის უაღრესად სასიამოვნოა ის სადამო, როცა ”ჰპოებს კაცსა ერთისა გრძნობი, ერთის ოცნებით, ერთის ცნობით” (“მაიორ ა. მიცკევიჩს, პოეტს”). მეგობარ პოეტს იგი ურჩევს ”ზარდოს ალერსით” მგრძნობიარე გულში შობილი აზრი. ეჭვს გარეშეა, ეს საერთო აზრი იყო სამშობლოს განთავისუფლება.

ცხოვრების გამოცდილებას პოეტი ხშირად იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ, ვიდრე დრო შესაძლებლობას აძლევს, ადამიანმა უნდა იმხიარულოს, იგემოს სიტკბოება. ასეთი განწყობილება შეინიშნება ჩვენი სახელოვანი რომანტიკოსების პოეზიაშიც.

ამავე პერიოდში გ. ერისთავი მთარგმნელობლით მუშაობასაც ეწეოდა. მას უთარგმნია შილერის ”ხელჯაგვი” (1836წ.), ადამ მიცკევიჩის ” ბაღისსარაია”, ”პილიგრიმი”, ”პატოცკის საფლავზედ” და ” მოგონება” (1838წ.).

\* \* \*

1838 წლის აგვისტოს ბოლოს გ. ერისთავი უკვე საქართველოშია. 1832 წელის შეთქმულების აქტიური მონაწილის თბილისში გამომგზავრების შესახებ სამხედრო მინისტრს დროულად უცნობებია მთავარმართებლისათვის, რომელსაც, თავის მხრივ, საგანგებო მიმართვა გაუგზავნია სამხედრო გუბერნატორისათვის და დაუვალებია, ფხიზელი მეთვალყურეობა დაეწესებია გ. ერისთავზე. ჩანს, ექვსი წლის შემდეგაც მეფის მთავრობას არასაიმედოდ მიაჩნდა ახალგაზრდა შეთქმული და მისი ყოველი ნაბიჯი აღრიცხული ჰქონდათ.

არისტოკრატის ერთი ნაწილის გადაგვარება პირველმა გ. ერისთავმა შენიშნა და სატირას მიმართა. ჯერ კიდევ ადრე, პოლონეთში მყოფი გ. ერისთავი გრ. ორბელიანს წერდა: ”რუსულად დავწერე სატირა ყიამათათ აქაურს ბალზედო”. ამჯერად კი სატირის საგნად მან თავისი წრის წარმომადგენლები აირჩია, ყოფილი სატრფოსა და მის მსგავს ქალთა საქციელი გაკიცხა (“დედა და ქალი”, ”ფიქრი ყმაწვილი ქალისა”).

სატირა ”ფიქრი ყმაწვილი ქალისა” კარგად წარმოგვიდგენს სახეს იმ არისტოკრატი ქალისას, რომელსაც ოცნებად გადაქცევია ”რუსულ გვარად” ცხოვრება. ასეთი ქალები ადვილად თმობენ ისეთ საქრმოებს, რომლებსაც მექრთამე ჩინოვნიკთა მსგავსად არ შეუძლიათ მდიდრულად იცხოვრონ და დრო ატარონ ბალებსა და სეირნობაში:

მართალი მითხრა დედამ, რად გინდა ბეგლარ ქმარად:

იმას არ შეუძლიან ცხოვრება რუსულ გვარად.  
მე შევირთავ ასეთს ქმარს, იყოს ჯერ მაიორი,  
ლამაზი და მდიდარი, არ ჰყვანდეს თანასწორი.  
თვეში ორჯერ მდიდრულსა ვაკეთებდე ბალებსა,  
მერე ხუთშაბათობით ვპატიჟებდე ქალებსა;  
დილით ფაიტონით ყოველთვის დავგულაობდე,  
სადამოს კავალრებით უნდა ვკავალკადობდე.

ხშირი იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა გასათხოვარი ქალიების ბედს ”ახლებური ცხოვრებით გადაგვარებული დედები სწყვეტდნენ. მათი მიზანი იყო სიძეებად ეშოვნათ მდიდარი და გაქნილი მოხელეები, სხვა ”ღირსებებს” კი ანგარიშს არ უწევდნენ. ასეთი დედების ფსიქოლოგია გ. ერისთავმა საკმაო სიზუსტით გვიჩვენა სატირაში ”დედა და ქალი” (”მოდი, აქ დაჯექ, შვილო...”). აღნიშნულ თემას პოეტმა შემდეგაც მიმართა და გააფართოვა სატირული ლექსების ციკლი.

საქართველოში დროებით ყოფნის დროს გ. ერისთავს დაუწერია აგრეთვე ლექსები: ”ვისთვის ვსთქვა ლექსნი...” ”თოვლი” და უთარგმნია მიცკევიჩის ”არამხანის საფლავნი”, ”აკერმანის მინდორი”, პეტრარკას –”კურთხევა”.

\* \* \*

1839 წლის ბოლოს გ. ერისთავი კვლავ დაბრუნდა პოლონეთში და 1841 წლამდე დაჰყო სამხედრო სამსახურში.

1841 წლის 3 ივნისს იგი შტაბს-კაპიტნის ჩინით გაუთავისუფლებიათ სამხედრო სამსახურიდან, მაგრამ 1842 წლის გაზაფხულამდე მაინც ვერ ბრუნდება სამშობლოში.

საქართველოში ჩამოსული გ. ერისთავი ერთ ხანს არ მსახურობს და ოჯახურ საქმეებს აგვარებს, თანაც შემოქმედებით მუშაობას ეწევა. 1842 წლის 31 ოქტომბერს ნ. ბარათაშვილი მაიკო ორბელიანს სწერს: ”შენ –გაზრდას, მაიკო, თუ გლუხარიჩი (გ. ერისთავი - დ. გ.) ნახო, ჩემს მაგიერ მოიკითხეთ და უთხარ, რა

ღმერთი გაგიწყრა, რომ აგრე ფეხი აიკვეთე ქალაქისკენთქო. როგორ აღარა აგონდება რა სასიამოვნო შენს პოეტურს სულსათქო”. ჩანს, გ. ერისთავს ნ. ბარათაშვილთან ახლო მეგობრობა ჰქონდა. ამას მოწმობს ლექსიც ”თ. ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილის გარდაცვალებაზედ”.

1844 წელს გ. ერისთავმა ცოლად შეირთო იაგორ ალიხანოვის ქალი – ელისაბედი და ხიდისთავში დამკვიდრდა. 1847 წლის აგვისტოში გიორგისა და ელისაბედს შეეძინათ ორი ვაჟი –დავითი და კონსტანტინე. კონსტანტინე მალე გარდაიცვალა, ხოლო დავითი, შემდეგში ცნობილი დრამატურგი, მშობლების დიდი მზრუნველობის ქვეშ იზრდებოდა.

ხიდისთავში გ. ერისთავი ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა. დროდადრო თბილისშიც ჩამოდიოდა და მანანა ორბელიანის სალონის სტუმარი იყო. სწორედ ამ სალონში გააცნო გ. ერისთავმა იმდროინდელ ქართველ მოღვაწეებს თავისი დრამატული ნაწარმოებები, რომელთა წერას მან ჯერ კიდევ 1839 წელს, შვებულეებაში ყოფნის დროს მოჰკიდა ხელი. ამ წელს დაწერა მან “ შეშლილი”, ხოლო მომდევნო წელს (პოლონეთში ყოფნისას) დაასრულა კომედია “დავა”, რომლის წერა საქართველოში (1839 წელს ) დაიწყო.

1849 წელს გ. ერისთავმა დაწერა კომედია “გაყრა”, 1850 წელს – “მუნწი”, ორმოცდაათიანი წლების დასასრულს კი – “ წარსული დროების სურათები”. გარდა ამ ორიგინალური კომედიებისა გ. ერისთავს რუსული ენიდან უთარგმნია და გადმოუკეთებია რამდენიმე დრამატული ნაწარმოები, რომლითაც მან გაამდიდრა ახლად აღორძინებული ქართული თეატრის რეპერტუარი.

მართალია, გ. ერისთავს ლექსების წერისათვის თავი არასოდეს არ დაუნებებია, მაგრამ ორმოცდაათიანი წლების დასასრულიდან მისი სამწერლო მოღვაწეობა უმეტესად დრამატურგიის სფეროში მიმდინარეობდა. იგი ქართული ლიტერატურის ისტორიაში შევიდა, როგორც დრამატურგი და სამუდამოდ დაიმკვიდრა ნიჭიერი შემოქმედის სახელი.

გ. ერისთავის ორიგინალური დრამატურგია მიმდინარეობდა ძირითადად ერთი თემისადმი, ესაა 40 – 50-იანი წლების საქართველოს სოციალური ყოფა, რომლის რეალისტურმა ასახვამ გ. ერისთავს დიდი სახელი მოუხვეჭა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

გ. ერისთავის პირველი კომედია, რომელიც იმთავითვე დიდი ინტერესით მიიღო მკითხველმა, “შემლილი” იყო. “შემლილში” ასახულია მწერლის თანამედროვე ქალთა საზოგადოების მეშჩანური ნაწილის ცხოვრება. ქალთა ამ წრეს გ. ერისთავმა დაუპირისპირა ახალგაზრდა ქალი ტასო და რუსეთში სწავლა-განათლება მიღებული ბეგლარი, რომელიც პოეტური ნიჭითაა დაჯილდოებული.

ქართველი ქალი, ქართველი დედა, ისტორიულად ცნობილი იყო თავისი კეთილშობილებით, ოჯახის სიყვარულითა და პატიოსნებით. ამიტომ ჩვენი კომედოგრაფი სატირის ბასრი იარაღით უმასპინძლდება ყველას, ვინც არცხვენს მის წმინდა სახელს.

ბეგლარს და ტასოს ერთმანეთი უყვართ. თავდაპირველად სასიდედრო – ანახანუმი და მისი რძლებიც დაინტერესებულნი იყვნენ ბეგლარით, როგორც “უცხო საქმროთი”. მაგრამ ბეგლარი ანახანუმს მოსწონდა არა მისი მაღალი ბუნებისა და პოეტური ნიჭის გამო, არამედ იმიტომ, რომ იმედი ჰქონდა ნასწავლი კაცი არზების წერას მიჰყოფდა ხელს და სასამართლოში საქმეებს მოიგებდა. ასეთი ანგარიში ანახანუმს არ გაუმართლდა. ბეგლარმა უარი თქვა არზების წერაზე, არც სასამართლოში წავიდა, არც ის იკადრა, რომ უარი ეთქვა დალალის ვალზე; არზის ქაღალდზე, ნაცვლად საჩივრისა, ლექსები დაწერა. ანახანუმისათვის გაუგებარია ბეგლარის ასეთი მოქმედება. იგი დარწმუნებულია, რომ ბეგლარი ტყუის მასთან, “არ იცის ოჯახის მოვლა”

ანახანუმი მართლ არ არის, მის სიტყვებს გაკვირვებული ნინო დაუმატებს: “მაშ სულ დაგლუპავს, ნეტა რასა ჰგავს! ეტყობა, თავში ჭკუას ვერა ჰსცნობს, იმიტომ ჯავრობს და ვითომ ჩესტნობს”. იგივე ნინო დამწუხრებულ ანახანუმს ურჩევს მოაცილოს ტასო ბეგლარს. ანახანუმს ასეთი რჩევა მოსწონს, მაგრამ წუხს, ქალიშვილი გაუთხოვარი არ დარჩეს. ამჯერად კი ანასტასია აძლევს მას დარიგებას: “მაშ რუსს მიეცი, ჩვენს გლუხარიჩსა, იმ პოლკოვნიკსა თეოდორიჩსა”. მაგრამ მას უფრო ნინოს რჩევა მოსწონს: ტასო მიათხოვოს ბეგლარის ამხანაგს – ვახტანგს. მაგრამ ვარაუდი არ გაუმართლდათ. იორამ მღვდელი ვახტანგმა უარით გამოისტუმრა. შემდეგ თვით ანახანუმმა გამოარჩია სასიძო - ფრიდონი, რომელიც “მაიორია, მერე დრაგუნნი”

სიყვარულით იწვის ბეგლარის უნახაობით შეწუხებული ტასო. სიზმარში თუ ცხადში ბეგლარის სახე უდგას წინ, მის ლექსებს იმეორებს, მასთან შეხვედრებს იგონებს. ასეთი ძლიერი და სპეტაკი

სიყვარული მეშჩანი ქალებისათვის უცხო და გაუგებარია: მათაც შეშლილად გამოაცხადეს საბრალო ტასო.

ტასოზე არა ნაკლებ იტანჯება ბეგლარი, რომელსაც ჰგონია, რომ ტასომ დაივიწყა იგი. გაზაფხულის ერთ მშვენიერ დილას, მაღლობზე, კაკლის ქვეშ მჯდარი ბეგლარი, სიყვარულის ნესტარით დაკოდილი, ტკბება ბუნების მშვენიერებით, მაგრამ აწუხებს ადამიანის სიცოცხლის არარაობა და წარმავლობა. სურს მოწყდეს ამ ქვეყანას და აფრინდეს მაღლა, მაგრამ გრძნობს, რომ ესეც შეუძლებელია.

ტასოსაგან წერილის მიღების შემდეგ ბეგლარი კიცხავს მთელ ქალთა სქესს და ნატრობს, იყოს “სამუშის ქალი”. “ჯალათი მახინჯებისა”, რომ ჯეროვნად შეძლოს მათი დასჯა, მაგრამ იგი დაფიქრდება და თავის თავს ეკითხება - ვინ მოგცა უფლება “დასთრგუნო ქალი... მშვენება?” მას მორალი უფლებას არ აძლევს იყოს შურისმაძიებელი. ის რწმუნდება, რომ მისი პიროვნება გაუგებარია საზოგადოების იმ ნაწილისათვის, რომელთანაც მას ურთიერთობა აქვს; წუხს, რომ ვერ აცდა იმ მკაცრ ბედს, რომელმაც დატანჯა ბევრი ცნობილი შემოქმედი:

და თქვენცა, ერნო, მომღერალთ მტერნო,  
სავსენო შურით,  
ბაირონსა?  
სირონსა?

ტორკვატო ტასი?  
ვერ სცანით ფასი;  
უწოდეთ მტერი,  
ჰქმენით პერობილი,  
მის მღერა ტკბილი,  
ვერ მოიგონეთ!

თქვენში არ იყო, კამოენსი მოკვდა მშიერი?  
თქვენ არ სდევნიდით დიდსა დანტეს,  
იყავით მტერი?

და ოვიდია რომისაგან რისთვის განაძეთ?  
იქნებ მეც ისე მომიძულოთ, არვის  
დაგნანდეთ!

ბეგლარის საცოლეს –ტასოს –სწამს თავისუფალი და წრფელი სიყვარულის აუცილებლობა. იცის, რომ ქალი უნდა თხოვდებოდეს არა სხვების შუამავლობით, არამედ ნამდვილი სიყვარულით. მას არ უნდა ბეგლარის გარდა სხვა საქმრო. ის თავის მეგობარ ქალს

ურჩევს, რომ, როცა აღეგზნება “გულს ტრფობის ცეცხლი”, არ გაანელოს; არწმუნებს, რომ მხოლოდ გრძნობით ვაჭრობაა სირცხვილი და არა ჭეშმარიტი სიყვარული.

საბრალო ტასო, რომელიც ჭკუალატაკმა და გრძნობადაცლილმა ქალებმა შეშლილად გამოაცხადეს, გაბედულ და მაღალ აზრებს გამოთქვამს სიყვარულზე. ჩვენ ვგრძნობთ, რომ ნორმალურ საზოგადოებაში ტასო ერთ – ერთი მისაბადი ქალი იქნებოდა. ტასო შეშლილია მათთვის, ვისთვისაც გაუგებარია სიყვარული და ვინც თხოვდება უფროსების გადაწყვეტილებით, სიყვარულის გარეშე. ანახანუმის რძალი კეკელა თავმომწონედ ამბობს:

ჩვენცა ვყოფილვართ ყმაწვილქალები,  
ჩვენცა გვქონია კარგი თვალები,  
მაგრამ ჩვენს გულსა არა ვკითხავდით,  
საქმროდ ვინ გვინდა, ვისთვის ვოხრავდით.  
გათხოვებასა მაშინა ვცნობდით,  
როცა საყდარში ქმარს წავყვებოდით.  
ვისაც როგორსა ბედი მოგვცემდა,  
მისთვის ჩვენ მხოლოდ გული გვიცემდა.

აშკარაა, თუ როგორ წინააღმდეგობაშია ტასოსა და კეკელას შეხედულებები სიყვარულზე, როგორ მკაცრად დაუპირისპირდა პიროვნება (ტასო) იმ საზოგადოებას, რომელსაც თვითონ ეკუთვნის წარმოშობით.

გ. ერისთავი გვიჩვენებს იმასაც, თუ როგორ მკურნალობენ ტასოსებრ “შეშლილებს”. გადაწყვეტენ, ბეგლარის სიყვარულით სიმშვიდედაკარგულ ტასოს შერთონ ელენეს შვილი, რომელიც არის “უცხო სახისა, აქვს მერე ჯვარი კაპიტნისა”. დაინიშნება ქორწინების დღეც, მაგრამ კომედიის დასასრულს, ლოტოს მოთამაშე ქალები, რომელთაგან ბევრი მონაწილეობას ღებულობდა ტასოს “გაბედნიერებაში”, შეიტყობენ, რომ ტასო მტკავრში გადავარდნილა და თავი დაუხრჩვია. საოცარი სიმახვილით აქვს აღწერილი გ. ერისთავს აღნიშნული სცენა. ჭორების მოსმენას მიჩვეული ქალები არ წყვეტენ თამაშს, თანაც მოსმენილით ერთობიან. ამბის მომტან ყმაწვილს ნინო მიმართავს:

რით გამიხეთქე, გენაცვა, გული  
მე სამგან მქონდა ანბო დასმული!

**ყმაწვილი (გაჯავრებული)**

დღეს ითამაშეთ, ნუ დაიჯერებთ:

ცრემლი მზათა გაქვთ, ხვალაც იტირებთ.

### მელანია

ფეოდესეტ ოსემ... თუ მართალია...  
მაგრამ დედაზედ სამართლიანი.  
ვოსემ დესეტ სემ... ყური არ უგდო,  
საბრალო ქალი ყმაწვილს მიუგდო.  
შესტ დესეტ დევეტ... მე რა გავიგე...

### ნინო

უკაცრავად ვარ, აი მოვიგე.

ამგვარად, გ. ერისთავმა “შეშლილში” ანახანუმისა და მისი რძლების სახით დაგვიხატა მაღალი წოდების მემჩანური ნაწილი, რომელსაც დაუკარგავს ადამიანური მორალი. ამ გმირთა მთელი ცხოვრება და მოქმედება მხოლოდ სიცილს იწვევს და სიცილთან ერთად ზიზღსაც. ამაშია გ. ერისთავის იუმორის სიმძლავრე და სატირული ბუნება.

ტასოსა და ბეგლარის სახით მემჩანთა საზოგადოებას უპირისპირდებიან ზნეობითა და განათლებით მაღალ საფეხურზე მყოფი ახალგაზრდები, რომლებსაც აქვთ მგრძნობიარე გული და შემოქმედი გონება, მაგრამ მათ არ გააჩნიათ შესაფერი ნებისყოფა და ბრძოლის უნარი, რათა თანმიმდევრული ბრძოლა გამოუცხადონ ზნეობრივ დაცემულობას. მათ თითქოს საკუთარი თავის დასასჯელად აქვთ მაღალი ადამიანური ღირსებები.

\* \* \*

სავაჭრო კაპიტალის განვითარებასთან დაკავშირებით ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობის რღვევა და თავადაზნაურთა დაცემა- გადაგვარება უფრო მკვეთრად მოცემულია გ. ერისთავის გვიან დაწერილ კომედიებში: “დავა” (1840წ.), “გაყრა” (1849წ.), “მუნწი” (1850წ.).

გ. ერისთავმა, პირველმა ქართულ ლიტერატურაში, ასახა ეკონომიურად დაცემის გზაზე დამდგარი მაღალი წოდების ბედოვლათობა, გონებრივი შეზღუდულობა და ზნეობრივი სილატაკე. მან პირველმა შეამჩნია, რომ მე -19 საუკუნის 40 –იანი წლებისათვის ქართველმა თავადაზნაურობამ დაკარგა ცხოვრების უნარი, ალღო ვერ აუღო ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას,

ავადმყოფურად ჩაეჭიდა ძველ პატრიარქალურ სამყაროს და ამოდ შეეცადა მის შენარჩუნებას.

გ. ერისთავის რეალისტურმა ალლომ განსჭვრიტა, რომ ჩამორჩენილ ნატურალურ მეურნეობაზე და მის მოტრფიალეთა ბრწყინვალებაზე ლაპარაკი თავისთავად ჩამორჩენილობას ნიშნავდა. მის თანამედროვე მოღვაწეთაგან განსხვავებით, გ. ერისთავმა თვალი გაუსწორა სინამდვილეს, დარწმუნდა, რომ წარსულზე ტირილი, წინაპართა აჩრდილების წინაშე ქედის მოხრა არაფერს იძლეოდა; მან დრომოჭმულსა და ჩამორჩენილს შელამაზება კი არ დაუწყო, არამედ ნამდვილი სახელი უწოდა და რეალისტურ სახეებში ასახა მთელი მისი ავლადიდება.

ეკონომიური სივიწროვის საფუძველზე თავად-აზნაურთა ბანაკში წარმოიშვა განხეთქილება, უთანხმოება და შური. მაღალი წოდების წარმომადგენლები უფრო იოლად ახერხებდნენ ერთმანეთის დალუპვას, ვინემ ნამდვილ მტერთა შებრძოლებას. ქართველი თავადაზნაურობა მეტად მთვლემარე მდგომარეობაში შეხვდა ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების დასაწყისს.

გ. ერისთავი გვიჩვენებს, რომ თავად-აზნაურთა ძველი თაობის ერთი ნაწილი, რომლისთვისაც გაუგებარია ახალი ეკონომიური პროცესი, ხედავს რა მდგომარეობის გაუარესებას, ყოველ ღონეს ხმარობს ხელიდან არ გაუშვას მამული; არ ერიდება სიცრუეს, წაგლეჯას, ოღონდ ხელთ იგდოს რაიმე. ამ გაბოროტებული და დაბნეული წოდების წარმომადგენლები ცდილობდნენ თავიანთი პირადი ინტერესებისათვის გამოიყენონ ბიუროკრატიული აპარატის გაიძვერა და გაქნილი მოხელეებიც, რათა ერთმა მეორის ხარჯზე გაიუმჯობესოს მდგომარეობა. ავადმყოფურ პატივმოყვარეობასა და მტრობას მეტი სისწრაფით მიჰყავს ისინი ისტორიის დადმართისაკენ. ასეთებია: ამირინდო და ონოფრე (“დავა”). ეს ორი ზვიადი თავადი სიმდიდრეს უანგარიშოდ ხარჯავს მექრთამე მოხელეებთან ერთი უმნიშვნელო ადგილის-ჩალიანის დასანარჩუნებლად.

ამ ვაჟბატონემა იციან, რომ დავაში უფრო მეტი ეხარჯებათ, ვინემ ეს სადავო ადგილი ღირს, მაგრამ არც ერთი არ თმობს. ეს უნდათ სასამართლოს მოხელეებსაც. ისინი ერთსა და იმავე დროს ორივესგან იღებენ ქრთამს და ხან ერთს, ხან მეორეს აკუთვნებენ ჩალიანს, რათა დავა არ დასრულდეს.

თავის ბედნიერებას ამირინდო იმაში ხედავს, რომ სასამართლოს მოხელეები თავის მხარეზე ჰყავდეს, თანაც იმაზე ოცნებობს, თუ როდის დაბრუნდება პეტერბურგიდან ნასწავლი შვილი, რომელიც პოეტი ყოფილა, რომ არზები დაუწეროს. მან არ



იცის, რას ნიშნავს პოეტობა, მაგრამ ფიქრობს, ბევრი კანონების ცოდნას უნდა გულისხმობდეს.

ამირინდომ იცის, რომ “კალამი ხმალი გახდა” – “ერთ ასოს დაბლაჯვენ და დარჩა მშიერი”. ამიტომ შვილი მეტად ვერაფრით გაახარებს, თუ არა არზების წერით. მაგრამ აქაც უღალატა ბედმა ამირინდოს. მის მიერ მიცემულ არზის ქალაქადზე ბეგლარმა ლექსი დაწერა, იგი კვლავ ცბიერ სარქისისა და რაფიელის ხელში დარჩა. ისინიც კარგად პარსავენ ამ “მსუქან ცხვარს” და თითო “ტოჩკასა და ზაპეტაიაში” თითო ოქროს ართმევენ. ამირინდომ არ იცის, რას ნიშნავს “ტოჩკა და ზაპეტაია”, მას ჰგონია, ესაა კანონების მთელი არსი.

ამირინდოს ორეულია მისი მოდავე ონოფრეც, რომელსაც “ქალაქის სასამართლოს ფულები” გამოლევია, მაგრამ თავს მაინც არ ანებებს საჩივარს. იგი გამწარებული დარდობს ჩალიანზე. შვილს – მიხეილს – ნაღვლიანად ეუბნება: “წამართო, წამართო! რა ვქნა, ერთი სისხლს მაინც მოვახდენ და...”. მას ადარდებს არა ჩალიანი, არამედ ის, რომ ამირინდომ აჯობა. როდესაც გაიგებს, სადავო ადგილებს “სახელმწიფოდ დასდებენო”, სიამოვნებით იტყვის” “რა მენაღვლება... დეე, დასდვან, ჩემ მოსისხლეს ხომ არ დარჩება...”

ძველი თაობის მეორე ნაწილს დავისა და მოქმედების უნარიც აღარა აქვს, მისთვის წარმოუდგენელია პატრიარქალური ოჯახის დარღვევა და შეცვლა. ის გრძნობს ახალი ცხოვრების დაწოლას, აღსასრულის მოახლოებას, მაგრამ არ იცის რა გზას დაადგეს. მას არ შესწევს უნარი საკუთარ ეზოს გარეთ გავიდეს და რაიმე საშუალებას მიმართოს, უიმედოდ მწუხარებს თავის სავალალო მდგომარეობაზე და საკუთარ სახლში, ძმებთან იჩენს მხოლოდ “ვაჟკაცობას”. ტიპიური სახე ასეთი ჩამორჩენილი და გაუნათლებელი თავადისა გ. ერისთავმა დაგვიხატა ანდუყაფარ დიდებულიძის სახით (“გაყრა”).

ანდუყაფარის მთელი ტრაგედია იმაშია, რომ გაყრას უპირებს, თერგდალეული ძამია” – რუსეთში სწავლამიღებული ივანე; მას აწუხებს იმის შეგნება, რომ არ ძალუძა ხელი ააღებინოს ივანეს თავის გადაწყვეტილებაზე. მამაპაპეული ოჯახის გაყოფა – დანაწილება ანდუყაფარს სამარცხვინოდ ეჩვენება, განადგურების და დაცემის სიმბოლოდ ეხატება. ამიტომაც, უიმედოდ რომ მოთქვამს:

ჰეი ოჯახო, კარგო ოჯახო,

შემდგომ გაყრისა ვის დავენახო!

ახ, ველარ დავცემ კარავსა მკაში,

უნდა ვიმალო მე მამითადში!

გაყრის შემდეგ იგი ველარ ნახავს “სამასი ნამგლის ტრიალსა”, “ზვარიც უნდა გაუყონ”; ესეც არაფერი, მაგრამ თერგდალეული ძამია

“ზვარში აპირებს ვაზების დაჭრას და ვაზების წილ თუთების ჩაყრას” ანდუყაფარს არც ბარამის რჩევა მოსდის ჭკუაში. ბარამის რჩევით, საკმარისია ანდუყაფარმა გლეხებისგან აკრიფოს ოთხასიოდდე თუმანი, ამ ფულით მოისყიდოს სასამართლო და გაყრაზე უარი უთხრან ივანეს. მაგრამ ანდუყაფარი გრძნობს, რომ დღეს თუ არა, ხვალ ივანე მაინც თავისას გაიტანს. “ვთქვათ, ორი წელიწადი არ გაგვყარეს, - ეუბნება ბარამს ანდუყაფარი, - მერე ხომ უნდა გაგვყარონ”. აი, საკუთარი სისუსტის შეგრძნების მაგალითი.

ანდუყაფარს აკვირვებს ივანეს ქცევა და გეგმები: “არ ვიცი, რა ემართებათ ამ რუსეთში, იწამლებიან თუ რა არის. ბიჭო, რასაკვირველია, მოზდოკს მეც ვიყავ, მაგრამ კი არ გავგიჟებულვარ”.

ეს “სახელოვანი მოგზაური”, რომელსაც მოზდოკამდე მიუღწევია, მორალურად ისე დაცემულა, რომ მზადაა ერთი მუთაქისათვის საკუთარი ძმა სასიკვდილოდ გაიმეტოს, ხოლო მინებს ფეხით ამტვრევს, ძმებმა რომ არ ისარგებლონ. ამასთანავე, იგი ახერხებს მთელი ვალები გადასხდელად დააკისროს ივანეს, რომელიც შედარებით გულუბრყვილობას იჩენს გაყრის დროს. გმირთა ასეთი წვრილმანი მოქმედების ჩვენებით მწერალი დიდ სოციალურ მოვლენებში ახედებს მკითხველს.

ძველი თაობის გალერეას ავსებს პავლე დიდებულიძე. პავლეს სახით გ. ერისთავმა შექმნა მეტად ცოცხალი ხასიათი უდარდელი თავადისა, რომელიც ანგარიშს არ უწევს არც თავის მდგომარეობასა და არც საერთო სიტუაციას. მას ჰგონია, რომ ყოველთვის ისე იცხოვრებს, როგორც ცხოვრობს, სადარდებელი სხვა არაფერი აქვს, თუ არა მწევარ – მემებრები, რომელთა დანახვაც კი მთელ საცხოვრებელს ურჩევნია. ოჯახის მოვლა მას ენაგარეცხილი და მოხერხებული ცოლისათვის (მაკრინესათვის) მიუხდვია, თვითონ კი სანადიროდ დაიარება ქორ – მემებრებით.

პავლე ყველაზე უფრო დასრულებული და ცოცხალი სახეა იმ თავადთაგან, რომლებიც გ. ერისთავს გამოყვანილი ჰყავს თავის კომედიებში. მოხერხებულადაა დახატული აგრეთვე ცბიერი კნეინას ტიპი – მაკრინე. ის სულ რამდენჯერმე გამოჩნდება სცენაზე, მაგრამ არ შეიძლება დაგვავიწყდეს მისი გაიძვერა სახე. პავლეს მისამართით წამოსროლილი მისი რეპლიკები სრულ წარმოდგენას გვაძლევს გაღარბებულ და ენაგარეცხილ კნეინაზე.

ფუქსავატობითა და გონების “სიმდიდრით” პავლეს ჩამოჰგავს იმერელი აზნაური ლომინ გოდაბრელიძეც (“დავა”). ლომინი ქარაფშუტა და უვიცია. მას თბილისი უნახავს და გაოცებულია ქალაქური ცხოვრებით, ყველაფერი უცნაურად გაზვიადებულად

მოსჩვენებია. ეს ბრიყვი აზნაური იმისთვის წვალობს და ხარჯავს ფულს, რომ სასამართლომ მეოთხე ცოლის შერთვის ნება დართოს.

ლომინის სახით, გ. ერისთავმა წარმოგვიდგინა “შემოდგომის აზნაურების” წინამორბედი, რომელიც შემდეგ ზ. ანტონოვიმაც გამოიყვანა თავის კომედიებში.

გ. ერისთავმა თანამედროვეთ უჩვენა, რომ თავად-აზნაურთა ძველი თაობა დაცემის გზაზეა დამდგარი, მისი სასიცოცხლო ძალები ამოწურულია, მას უნარი არ შესწევს ბურჟუაზიული ურთიერთობის შესაბამისად წარმართოს თავისი ცხოვრება.

როგორიღაა ახალი თაობა, შვილები? როგორც უკვე გავეცანით კომედია “შეშლილში”, ახლი თაობა უფრო მაღალ მორალურ ღირსებებს ამჟღავნებს, ვიდრე ძველი, მაგრამ არც მას შესწევს უნარი, ხელი ჩასჭიდოს ცხოვრების სადავეს.

“დავაში” ახალი თაობა წარმოდგენილია მიხეილის და ბეგლარის სახით. ეს უკანასკნელი “შეშლილის” გმირის – ბეგლარის განმეორებაა, მისი ორეულია, მაგრამ მცირედ განსხვავებულ ვითარებაში მოხვედრილი.

პეტერბურგიდან სოფელში დაბრუნებული ბეგლარი (“დავა”) თავის თავს “ახალშობილს” ადარებს და წუხს, ვაითუ ვერ შეძლოს “უსვას ნიჩაბი სუსტისა მკლავით” და ვერ გაუძლოს “ზღვის მღელვარებას”. იგი სკეპტიკურად არის განწყობილი საკუთარი მომავლისადმი:

იქნება ბედმან, თვალით ვერ მხედმან,  
უდროთ მოსთვალოს ჩემი ცხოვრება?  
იქნება ერთა, გონების მტერთა,  
მოსწამლონ ჩემი ნიჭიერება?

არც მისი ძველი ამხანაგი მიხეილი უწინასწარმეტყველებს უკეთესს. მიხეილი ადრევე გრძნობს, რომ ბეგლარის პოეტურ ბუნებას მოსწამლავენ: “შენ ხომ პოეზიაზე ხელს არ აიღებ, პოეტებს დიდ ქვეყანაშიაც სულელებს ეძახიან, შენ აქ დაღუპული ხარ, მესტვირეს დაგიძახებენო”.

მიხეილი თითქოს უფრო პრაქტიკული ადამიანია, მას სამხედრო სამსახური აურჩევია, რადგან, მისი თქმით, მეტ მხიარულებასა და უდარდელობას გრძნობს იქ კაცი.

ბეგლარს იმის იმედი აქვს, რომ “სამასხაროს არასა იქმს” მაგრამ ჩვენი კომედიოგრაფი მკითხველსა და მაყურებელს აგრძნობინებს, რომ არ კმარა იყო ბუნებით კეთილი, ნიჭით დაჯილდოებული, და არც ის, რომ “სამსხარაო არა ქნა რა”. საჭიროა მტკიცე ნებისყოფა, მოქმედებისა და ბრძოლის უნარი. ეს

უკანასკნელი თვისება კი გ. ერისთავის კომედიაში დახატულ ახალგაზრდებს აკლიათ.

ბეგლარი და მიხეილი სისულელედ თვლიან თავიანთი მშობლების ერთმანეთთან მტრობას, მაგრამ მთელი სიღრმით ვერ წვდებიან ამ მტრობის სოციალურ ძირებს. ბეგლარის სიტყვით, მათი ასეთი მტრობის მიზეზი გაუნათლებლობაა. დარწმუნებულია, რომ ახალი თაობის წარმომადგენლებს შორის ასეთი რამ არ განმეორდება: “ვგონებ დამერწმუნებით, - ამბობს ბეგლარი, - მე და მიხეილს არ მოგვივა ჩხუბი და არც საჩივარი ერთმანეთზედაო”. ბეგლარი, რა თქმა უნდა, ცდება. მხოლოდ გაუნათლებლობა არ იყო მიზეზი ძველ თაობაში გაბატონებული მტრობისა, ეს მხოლოდ ერთი მომენტი შეიძლება ყოფილიყო; მთავარი მიზეზი ეკონომიური პირობების გაუარესებაში, ბატონყმური ინსტიტუტის რღვევაში მდგომარეობდა.

განათლებული, მაგრამ ცხოვრების უცოდინარი და უნებისყოფო შვილები (ბეგლარი, მიხეილი) მალე მამების ბრმა მორჩილნი ხდებიან. მათ, თავიანთი სურვილის წინააღმდეგ, სასამართლოს უვიც მოხელეებთან ქრთამები მოაქვთ და ერთმანეთს თავაზიანად უთმობენ რიგს მის გადასაცემად. აი, სად გამომჟღავნდა მათი სისუსტე, უხერხულობა და, თუ გნებავთ, ქარაფშუტობაც; იციან, რომ სისულელეს ჩადიან, რომ ორივე ერთისა და იმავე საქმისათვის იხდიან ქრთამს და შედეგიც არ აწუხებთ, მაგრამ მაინც ასრულებენ მშობლების დავალებას.

ნინო (“დავა”) იგივე ტასოა (“შემლილი”), მხოლოდ უფრო ბედნიერ ატმოსფეროში მოხვედრილი. მას სწავლა – განათლება აქვს მიღებული, ინსტიტუტი დაუმთავრებია, არ მოსწონს მშობლების შურიანობა და მთელი არსებით გატაცებულია ბეგლარის სიყვარულით. ნინო, მსგავსად ტასოსი, თავისუფალ და ბუნებრივ სიყვარულს სცემს თავყვანს. ამის გამო არც მას მოელოდა ტასოზე უკეთესი ბედი, მშობლებმა ოთახშიც დაამწყვდიეს იგი და ბეგლარსაც უარი შეუთვალეს, მაგრამ მას უკვე აღმოუჩნდა მხარდამჭერი. ნინო, ტასოსაგან განსხვავებით, მარტო აღარ არის ძველი შეხედულების მქონე ოჯახში, მის გრძნობასა და მისწრაფებებს იცავს ძმა – მიხეილი, რომლის წყალობითაც ნინო და ბეგლარი დაქორწინდებიან, ხოლო ერთმანეთის მოსისხლე ამირინდო და ონოფრე შერიგდებიან.

მიუხედავად ამისა, “შემლილი” და “დავა” აშკარად გვარწმუნებს, რომ ახალი თაობის წარმომადგენლები მოუშნადებელნი არიან ცხოვრებისათვის. მეტ დროს ოცნებას ანდომებენ, ვინემ საქმეს. საკმარისია მცირე დაბრკოლება და წინააღმდეგობა, რომ ისინი დაიბნენ ან დათმობაზე წავიდნენ.

ახალი თაობის უსუსურობა და მისი მოუმზადებლობა პრაქტიკული ცხოვრებისათვის მეტი სიცხადით “გაყრაში” გვიჩვენა ავტორმა.

ივანე (“გაყრა”) უფრო კომიკური სახეა, იგი ოცნებობს ცხოვრების ახლებურად მოწყობაზე, ლაპარაკობს “აგრონომიაზე”, “ირრიგაციაზე” და “გუანოს გაკეთებაზე”. ხედავს, რომ საკმარისი არ არის მხოლოდ სასმელად იყოს ღვინო. საჭიროა იგი ფულსაც იძლეოდეს, რომ არ ეხვეწებოდეს “კაკოვო ნიბუდ მიკირტუმ გასაპარიჩს”. მაგრამ რა გზით? ივანე თავის ცოდნას ვერ უფარდებს ცხოვრების ნამდვილ მითითებებს. მას სურს ზვარში ვაზი აჩეხოს და მის ნაცვლად თუთა დარგოს, ბილიკები გააუქმოს ბაღში და გუები გააკეთოს სესეირნოდ, მოაწყოს “ბესედკები” და სხვა. მას სამშობლოში ბრმად გადმოაქვს რუსეთსა და პოლონეთში ნანახი და გაგონილი, რაც ანდუყაფარის სამართლიან გაკვირვებას იწვევს.

ივანეს ყოველი გეგმა ფულს საჭიროებს, ფულის შოვნის თავი კი მას არ აქვს. ივანეს არც მიკირტუმისავით მომჭირნეობა შეუძლია, არც რამაზივით ქრთამების აღება და ”აბრუნდების” კეთება. იგი თვითონ აცხადებს: ”მე სამსახურის თავი არა მაქვს”, ”მე მინდა ვიხაზეინო”, მაგრამ ”ხაზეინობას” ივანე ვერ ახერხებს, ვინაიდან ძველი სიმდიდრე – მამული – ხელიდან ეცლება, ხოლო ფულის შოვნა არ შეუძლია. მშვენიერი სურათია ”გაყრის” მესამე მოქმედებაში, როცა მწერალი ერთმანეთს ახვედრებს ძმებთან გაყრილ მეოცნებე ივანეს და გაქნილ მევახშეს – მიკირტუმ გასაპარიჩს, რომელიც პირველის ფანტაზიას იდეალური მეურნეობის მოწყობის შესახებ ვაჭრული პრაქტიციზმით აფასებს და ყველაფრის საზომად ფულს აცხადებს. ივანე გულმოკლული ჩაილაპარაკებს: ”მოვიდა სატანა, მოსწამლა ჩემი ფანტაზია”...

დიახ, ეს სატანა იყო ახალი ცხოვრება, რომელიც მეოცნებე არისტოკრატის ფანტაზიას სწამლავდა და არარაობად ხდიდა. მეოცნებე და თავმომწონე ივანე, რომლის შეხედულებით ”საქართველოში სიყვარულის მაგალითი არ ყოფილა! რომანიც არ დაიწერება!... რამან ბეზ ლიუბვი ეტო უჟასნო...” და დასცინის ქართველ ქალებს, თვითონვე უცებ წამოეგება მიკირტუმას ოქროს ანკესზე. ყოველგვარი გაცნობისა და სიყვარულის გარეშე, ფულის გულისათვის ცოლად ირთავს მიკირტუმის ქალს – შუშანას. დამცინავ ივანეს თვითონ დასცინა ცხოვრებამ. მეოცნებე თავადი, მეურნეობის ევროპულ ყაიდაზე მოწყობასა და ყმებთან კეთილგანწყობაზე ფიქრობდა, მევახშის სიძე ხდება და მორცხვად ისმენს სიდედრის – თათელას – დალოცვას: ”ღმერთმა ადას შნო

მოგცეს, ყაირათი და ჭკუა, აღასავით მომგები გქნას, შვილო, თუ ღირსი ვარ”.

აი, ჩვენი იმდროინდელი განათლებული არისტოკრატის ჭეშმარიტი სახე. მას მივირტუმების შნოსა და ნიჭს უსურვებენ და ისიც იძულებულია ეს დარიგება მოკრძალებით მოისმინოს.

მიდიან რა ცხოვრების სარბიელიდან, ანახანუმი (“შეშლილი”), ანდუყაფარი, პავლე, ონოფრე და ამირინდო (“დავა”), მათ ადგილს იჭერენ არა ბეგლარი, ტასო (“შეშლილი”), მიხეილი ნინო, ბეგლარი (“დავა”), ან ივანე (“გაყრა”), არამედ მივირტუმ გასპარიჩი და მისი თანამომძენი. თავადაზნაურთა წოდების როგორც ძველი, ისე ახალი თაობა უმწეოა ბურჟუაზიასთან ბრძოლაში; ძველ ნატურალურ მეურნეობას ოქროს კერპები ანგრევენ.

კომედიაში ”ძუნწი” ავტორი შეეცადა ეჩვენებინა ფეოდალური არისტოკრატის სიცოცხლისუნარიანობა და მისი ზნეობრივი უპირატესობა სავაჭრო ბურჟუაზიასთან შედარებით. არჩილი (“ძუნწი”) არ ჰგავს არც ბეგლარს, არც მიხეილსა და ივანეს. მას თავისი ცხოვრება ისე მოუწყვია, რომ არ აკლია ”პური, ღვინო, ძროხა, ქათამი”. ამიტომ აგი არც ხდება ფულის მონად. მას აწუხებს მხოლოდ სატრფოს – ხამფერას – სიყვარული და თუ აქაც გაიმარჯვებს, ბედნიერი იქნება ყოველმხრივ. ”შენ არ იცი, საყვარელო ხამფერ, - მიმართავს არჩილი ხამფერას, - რა სიამოვნება არის სოფელში მუშაობა! განშორებული ამ ხმიანს ქვეყანას, მე ვარ ყოვლისფერით ბედნიერი. მხოლოდ აკლია ჩემს გულს შენი სიყვარული და თუ შენი სიყვარულით აღივსება ჩემი გული, მე ვიქნებოდი ერთი ბედნიერთაგანი ყმაწვილს კაცებში”. არჩილი, მოცილებული ” ხმიანს ქვეყანას”, უფრო სწორად, ბურჟუაზიულ ქალაქს, თავს ბედნიერად გრძნობს სოფელში, სადაც მეურნეობა, ჩანს, ურიგოდ არ აქვს მოწყობილი და შეუძლია სხვასაც დაეხმაროს პურით.

არჩილს ვერც სიყვარული აჩოქებს ვაჭრის წინაშე. მართალია, მას წინ ეღობება სასიამორო, სომეხი ვაჭარი კარაპეტა, რომელსაც ქართველი თავადი ეჯავრება, მაგრამ არჩილი გრძნობს თავის ძალას. იგი თავდაპირველად თავაზიანად ესაუბრება კარაპეტას და სთხოვს ქალს, მაგრამ როდესაც მისგან დაცინვის მეტს ვერაფერს მოისმენს, მაშინ ეტყვის: ”მშვიდობით, მაგრამ ეს იცოდე, შენს ქალს ვერავინ წამართმევს”. იგი მტკიცე ნებისყოფის მქონე არისტოკრატია, რომელსაც ვერ აშინებენ კარაპეტები. არჩილი ხამფერას ირთავს არა ფულისათვის, არამედ ნამდვილი სიყვარულით. ამიტომ იგი აღწევს მიზანს. არჩილი ალექსანდრე რაინდიძის წინამორბედიცაა. ბევრი რამაა მათში საერთო.

არჩილი რომანტიკული პიროვნებაა, მას სწორად არა აქვს გათვალისწინებული ახალი ცხოვრების თავისებურება. იგი ხოტბას ასხამს თავის პაპის ავთანდილის – ჟანგიან ხმალს, რომელითაც ”ავთანდილ გმირმა ამარცხა სპარსნი” და სურს თვითონ აიღოს ახლა იგი ხელში და ”ლეკთა და სპარსთა” დააჭრას თავები.

არჩილი გვევლინება დაგვიანებულ ”რაინდად”, რომელსაც ბურჟუაზიულმა ცხოვრებამ კარაპეტას სიტყვებით დასცინა: ”ხედამთ ჟანგიან რკინაზედ რასა ბოლდამს!... ჩემი ოქროებს თვალი არ უყურაო”. გ. ერისთავი, რომელმაც არჩილის სახით კარაპეტას დაუპირისპირა საკმაო შეძლებისა და მტკიცე ნებისყოფის მქონე ახალგაზრდა არისტოკრატი, სინამდვილეს მაინც არ ღალატობს და მის მოქმედებას მწარე დაცინვის საგნად ხდის.

ამრიგად გ. ერისთავმა დღის სინათლეზე გამოიტანა მაღალი წოდების ჩამორჩენილობა და ფუქსავატობა. მან, როგორც მხატვარმა, შექმნა ცოცხალი სახეები დეგრადაციის გზაზე დამდგარი თავადაზნაურებისა. იგი იხედება მოვლენათა სიღრმეში. მოხდენილი ამბების ჩართვით, გმირთა რეპლიკების საშუალებით, ავტორი გასაგებს ხდის, თუ რაში და სად უნდა ვეძიოთ მათი უბედურების მიზეზი.

თავად-აზნაურთა ძველი თაობა გონებაგამოფიტული და გულღვარძლიანია, ალღოს ვერ უღებს ახალ ცხოვრებას და ცხოველური სიჯიუტით ეჭიდება ყოველივე ძველს, დრომოჭმულს. ახალი თაობა ზნეობრივად უფრო მაღლა დგას, გრძნობს უფროსი თაობის სიმახინჯეს, არ მოსწონს მისი მოქმედება, მაგრამ თვითონაც არ შესწევს ცხოვრების გარდაქმნის უნარი, მეოცნებე და უხერხემლოა. ბეგლარები და ივანეები უმწეონი არიან აღადგინონ ანდლუყაფარების, პავლეების, ამირინდოებისა და ონოფრეების ბედოვლათობით დაცემული მეურნეობა.

ივანეს (”გაყრა”) რაღაც უნახავს, რაღაც უსწავლია, მაგრამ თვითონაც ვერ აუხსნია, რა ნახა, რა ისწავლა, და რის გაკეთებას აპირებს. მოსაწონი გულწრფელობით აცხადებს, რომ ”მე მინდა ვიხაზეინო; მე სამსახურის თავი არა მაქვს”. მაშ, რით აპირებს ცხოვრებას? რა გზით უნდა გამოასწოროს ძმების უყაირათობა, რასაც იგი სამართლიანად დასცინის? რაზე ამყარებს იმედებს? მოვუსმინოთ თვით ივანეს: ”რა სასიამოვნო არის ყავდეს მებატონეს ერთგული მსახური და ყმები. გოსპოდი! მომეც შეძლება, რომ ყმებმა ისე შემიყვარონ, როგორც გაბრიელმა. კაია პოეზია, ბიტ ღობრიმი. ხოტ ი ბედნიმ პომეშჩიკომ! დაგლოცვენ შენი ყმანი... მეც ვეცდები ... თუმცა ჩემმა იმაშენიკეს... ნო ბოლ ს ნიმ! კაი მამულები მერგო ”.

აი, ივანესა და მისი მსგავსი განათლებული ფრანტების იდეალი. მთელ იმედებს კვლავ ბატონყმურ ურთიერთობაზე ამყარებენ. ამიტომაც, რომ მათ გ. ერისთავი არ ინდობს და მკაცრად დასცინის.

გ. ერისთავის კომედიების იდეური აზრი ისაა, რომ უარყოს ბატონყმური ცხოვრება, რომელიც ყოველგვარი ჩამორჩენილობისა და უბედურების წყაროა; მებატონეთა უზრუნველმა ცხოვრებამ გადააგვარა ანდუყაფარი, პავლე, ამირინდო და ონოფრე, ხოლო ბეგლარები და ივანეები მეოცნებე, ფუქსავატ და ზედმეტ ადამიანებად აქცია.

მებატონეთა ვერაგობას და მათ "საგმირო საქმეებს" გ. ერისთავი მოხერხებულად ამჟღავნებს თავის კომედიებში. ამ მხრივ განსაკუთრებით "გაყრა" არის საინტერესო. როდესაც ანდუყაფარი ცდილობს ქალაქში მის მიერ ნაყიდი მინები მიისაკუთროს, პავლე მაშინვე შეუტევს: "რო იყიდე, შენი პენციიდან მიე თუ? კახიშვილი, რომ აიკლე, იმითი არ წახველ ქალაქსა, შე გაუმადლო?" ამავე კომედიაში ვხედავთ, რომ კახიშვილი გამონაკლისი არ ყოფილა, გლეხების აკლება მებატონისაგან ჩვეულებრივ მოვლენადაა გამხდარი. ამას მოწმობს ყარდაშვერდის დიალოგი გაბრიელთან. ყარდაშვერდი გაბრიელს არიგებს, რომ თავის ბატონს მოურაობა სთხოვოს, ვინაიდან "ვისაც ბატონი აიკლებს, ნახევარი იმისია (მოურავის – რედ.), ერთი სიტყვით, ბატონის მონახევრე არის". ყარდაშვერდი შემთხვევით არ მსჯელობს ასე. იგი უშუალო მოწმეა ასეთი საქმეებისა. ასეთივე გამოცდილება აქვს ანდუყაფარის მოურავს ბარამსაც, რომელიც "გამოსავალს" უჩვენებს ხოლმე თავის ბატონს. არათუ აკლება, ყმების "ტორლით" გაყიდვაც არაა იშვიათი. მებატონეთა მადახასნილობის წყალობით ყმები საჭირო ვაჭრობით იყიდებიან, როგორც ნივთები.

სწორედ აქ არის გ. ერისთავის, როგორც რეალისტი მხატვრისა და მოაზროვნის, სიძლიერე. მან პირველმა ქართულ ლიტერატურაში მიუთითა ბატონყმური ურთიერთობის სისამაგლეზე; ისეთი "დობრი პომეშჩიკებიც", როგორადაც ივანეს მოაქვს თავი, ყმებს საბოლოოდ "ტორლის" საგნად ხდიან. პარაზიტულმა, უდარდელმა ცხოვრებამ მებატონეები გადააგვარა და ადამიანური სახე დაუკარგა მათ.

\* \* \*



ახალფეხადგმული ბურჟუაზიის ცხოვრების სურათებიც ქართულ ლიტერატურაში პირველად გ. ერისთავმა მოგვცა თავის კომედიებში ("გაყრა", "ძუნწი", "წარსული დროების სურათები").

გ.ერისთავის კომედიებში გამოყვანილი ვაჭრები: მიკირტუმ ტრდატოვი ("გაყრა"), კარაპეტა დაბალოვი ("ძუნწი"), ივანე და გაბრიელ მინასოვები, ჯიმშერ აკუნიაიანი ("წარსული დროების სურათები"), - გასული საუკუნის 50-იანი წლების ვაჭართა კლასის ტიპური წარმომადგენლები არიან.

ცნობილია, რომ სავაჭრო ბურჟუაზია განვითარების პირველი ეტაპზე "მორცხვად" და "თავაზიანად" მოქმედებას. მას ჯერ კიდევ არა აქვს შეგნებული თავისი კლასობრივი უპირატესობა ფეოდალურ არისტოკრატიასთან შედარებით; ანგარიშს უწევს ამ უკანასკნელის პრივილეგიებს და ცდილობს ეკონომიურ სიძლიერესთან ერთად მაღალი წოდების უფლებებიც მოიპოვოს.

ბურჟუაზიული ურთიერთობის ღვიძლი შვილები – ვაჭრები – ცხოვრების ასპარეზზე ცარიელი ჯიბით გამოდიან, სამაგიეროდ მათ აქვთ ცხოვრების ალღო და მოქმედების უნარი. ისინი იტანენ შიმშილსა და სიცივეს, დაცინვასა და წყრომას, ოღონდ კაპიკი კაპიკს მიუმატონ და "ოქროს ტახტი" უფრო ძლიერი გახადონ. იციან, რომ მათი მხსნელი მხოლოდ ფულია, ფულის საშუალებით შეუძლიათ გამოჩნდნენ საზოგადოებაში და ადვილად აღარ დაეჩაგვრინონ სხვას. ისე დიდია მათი სიყვარული ფულისადმი და თანაც ისე დაბალია მათი ცოდნა ფულის ფართო მოხმარებისა, რომ საკუთარი "ზანღუკების" მონები ხდებიან. სავახშო კაპიტალის წარმომადგენელთა სულში სიძუნწე და სიცივეა დაბუდებული. ფულის დაგროვების პროცესში მათ არ ახსოვთ არც ცოლი, არც შვილი და არც საკუთარი თავი. მაგრამ გადის დრო და მდგომარეობა იცვლება. გამდიდრებული ვაჭრები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ, აღარ არგიათ ვიწრო ნაჭუჭში ყოფნა და თავის მოჩვენება ღარიბებად. პირიქით, ცდილობენ "კეთილშობილის" სახელი და მეტი გასაქანი მოიპოვონ, ერთმანეთის ქონება შთანთქან, კონკურენტი გააკოტრონ. მათ ოჯახურ ცხოვრებაში ფეხს იკიდებს ბურჟუაზიული "მაღალი ეტიკეტი", ზნედაცემულობა და მტრობა.

სავაჭრო ბურჟუაზიის ცხოვრების მთელი ეს მხარე საკმარისი სისრულით აქვს მოცემული გ. ერისთავს ზემოთ დასახელებულ კომედიებში. მწერალმა ვაჭარი პირველად "გაყრაში" გამოიყვანა. მიკირტუმ ტრდატოვი გაუნათლებელი, მაგრამ მოხერხებული და გაიდვერა მევახშეა. ის შემძვრალა დიდებულიძეთა ოჯახში და არა მარტო მათ ქონებას ეპატრონება, არამედ ახერხებს თავისი მიზნების სასარგებლოდ ამ ოჯახის მესვეურების ამოქმედებას. მიკირტუმს

სწამს ფულის ძალა, იცის, რომ უფულოდ ახლა ვერავინ ვერაფერს გახდება: ”ეს სოფელმა სულ ფული, ფული სხვა ყველამ ტყუილია”, ამბობს იგი. თან არც იმას მალავს, რომ ბევრ უსინდისობასაც სჩადის ფულისათვის:

კტუ ნა სვეტე ჩესნა ბუდით,  
ბუდით ნასიტ ხლება გუდით.

ასეთია მიკირტუმის ”მოდვრება”, რომელსაც კარგად იცნებს პრაქტიკულ მოღვაწეობაში. მან მოახერხა, რომ დიდებულიძეთა ოჯახის ვალი ივანეს რგებოდა ”წილში” და აიძულა ივანე, შეერთო მისი ქალი – შუმანა. მართალია, მიკირტუმს არ მოსწონს ჯიბეცარიელი ”ფრანტი”, მაგრამ უნდა თავისი ქალი კნეინა გახადოს: ”ჩემი შუმანი კნეინა დაუძახონ: კნეინო, კნეინო! ბაზარშიაც დიდი რამ იქნება, დიდებულიძეანთ ხნამე”. ”თვითონაც ”კომისიაში ოქმი შეუტანია”, რათა კნიაზი გახდეს; დიდებულიძეებთან დამყოფრება ამიტომაც სჭირდება.

კარაპეტა დაბალოვი (”ბუნწი”) თავისი ძლიერების შეგნებაში უფრო წინაა წასული, ვინემ მიკირტუმ ტრდატოვი. კარაპეტა წინააღმდეგია თავისი ქალი მისცეს ქართველ თავადს, ის ხელს უშლის ხამფერასა და არჩილის დაქორწინებას. კარაპეტას თვალში დიდი და კარგი კაცია ის, ვისაც ფული აქვს და ვინც ფულის ყადრი იცის; ხოლო ქართველი, მისი თქმით, ”ფულის მტერია, ფულს არ დააყენებს ჯიბეში, როგორც ნიორი ისე აუყროლდება და ისე გადაყრის”. იგი ნატრობს ისეთ სასიძოს, რომელიც ”გინდა ქვრივიც იყოს, ფულის ყაირათი იცოდეს”.

კარაპეტა სიძუნწის განსახიერებაა. იგი წინააღმდეგია იმისა, რომ ოჯახში ნახშირი დაწვას ვინმემ, ყველას ”არწმუნებს”, რომ სიცივე უხდება ადამიანს, ლოყებს ვარდივით აწითლებსო. მის ოჯახში ათი წელია თბილი შეჭამანდი არავის უჭამია. ბნელში ყოფნა ”ურჩევნია”, სანთლების დაწვას, თავის თავსაც კი არწმუნებს, რომ ”ვახშამი მოდნა აღარ არიო”. კარაპეტას თვალში არაფერი არ ფასობს, რასაც შეუძლია თუნდაც ოდნავი ხარჯი გამოიწვიოს. მისთვის ძვირფასია მხოლოდ ოქრო და ვერცხლი, რომელსაც, როგორც განძს, ისე ინახავს და მასთან ალერსით ტკბება.

მომჭირნე დაგროვებულმა კარაპეტამ ჯერ კიდევ არ იცის ფულის ნამდვილი დანიშნულება, იგი თავისი სიმდიდრის მონაა. მარტვილობს მხოლოდ იმიტომ, რომ ფული დააგროვოს. საიქიომიც ფულს ელოდება. სიკვდილი აწუხებს იმიტომ, რომ ფულის ბედი ადარდებს. მაგრამ აქაც ნახა ”გამოსავალი”: როცა ექიმი ეტყვის,

სიკვდილი მოახლოებულიაო, გადაწყვეტილი აქვს გაადნოს თავისი ოქრო და დალიოს, რათა "ვერავენ წაიღოს". აი, განძთა ტიპიური დამგროვებელი, რომელსაც მარქსი "საცვლელი ღირებულების მარტვილს" უწოდებს.

კარაპეტა გრძნობს, რომ დიდი ქონების პატრონია, იცის, რომ შეუძლია ხვალვე გახდეს "პაჩოტნი ღრაჟდანი, ბლუღოროდნიც... დვარაზა ბლუღოროდნიცა", მაგრამ ამისათვის ფული უნდა დახარჯოს, ფულის დახარჯვა კი წარმოუდგენელ დანაშაულად მიაჩნია: "თუ თქვენ ერთი ერთმანეთს მოგაკლოთ, ღორი გავხდეთ", ეფიცება კარაპეტა ფულს. ის იმით კმაყოფილდება, რომ იცის აქვს "ოქროს ტახტი" და შეუძლია "სოფელი თავდაყირა" გადააბრუნოს.

უსიამოვნება და შურიანობა სუფევს ვაჭართა მთელ ცხოვრებაში. შემდეგში ისინი უკვე არა თუ მალავენ თავიანთ ქონებას, არამედ ცდილობენ, რაც შეიძლება მეტად გამოაჩინონ; დიდ "იარანალებსა" და ჩინოვნიკებს ქრთამით იმადლიერებენ, რათა ერთმანეთს უფრო გაბედულად გამოსჭრან ყელი ("წარსული დროების სურათები"). გაიძვერა, მუნწი და ზნედაცემულები არიან გ. ერისთავის ვაჭრები, რომლებიც ცხოვრების სარბიელს ეპატრონებიან.

\* \* \*

გ. ერისთავმა გაბედულად და მკაცრად ამხილა მეფის რუსეთის ბიუროკრატიული აპარატის მოხელეები, რომლებიც მოხერხებულად სარგებლობდნენ ნაციონალურ – კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკით; დრამატურგმა დიდი დამაჯერებლობითა და სიცხადით გვაჩვენა ამ მოხელეთა უმსგავსი მოქმედება, შექმნა ცოცხალი სახეები მექრთამე მოხელეებისა. ისინი სარგებლობენ თავადაზნაურობის დაბნეულობით, ჩამორჩენილობითა და ურთიერთშორის გაჩაღებული მტრობით. მათ წინასწარ იციან, რამდენი საქმე აქვთ გასარჩევი სასამართლოში და რამდენი შემოსავალი ექნებათ ("დავა"). მათ იმდენად შეუწყუხებიან ხალხი, რომ ბევრი ოცნებობს მხოლოდ ისეთ შვილებზე და სასიძოვებზე, რომლებსაც არზების წერა ეცოდინებათ და სასამართლოში შეძლებენ საქმეების მოგვარებას ("შემლილი", "დავა", "გაყრა"). მართალია გ. ერისთავი გვისურათებს მხოლოდ იმას, თუ როგორ თვალთმაქცურად ამრობენ ტყავს მოხელეები თავადაზნაურობას, მაგრამ გასაგები ხდება ისიც, თუ რა დღეში იქნებოდა ღარიბი ხალხი.

მოხელეთა თავგასულობა გ. ერისთავმა უფრო სრულად "დავაში" დაგვიხატა. შეიძლება ითქვას, რომ "დავის" მთავარი იდეური აზრი ამ მოხელეთა უმსგავსო მოქმედების ჩვენებაში მდგომარეობს. შემთხვევითი როდია, რომ პიესის სრული სათაური "დავა ანუ ტოჩკა და ზაპეტაია" არის.

მწელი სათქმელია, ვინ უფრო თავხედი, გაიძვერა და ამასთანავე უვიცია: არზის მწერალი რაფიელ აზამანოვი, სუდის "პერევილჩიკი" სარქის კუმუხტოვი, "სტრაპში" ხარიტონ ვზიატკინი თუ "ზასედატელი" ფილიპე ("დავა").

სარქის კუმუხტოვი და რაფიელ აზამანოვი სარგებლობენ ამირინდოს უცოდინარობით და არწმუნებენ მას, რომ არზაში, რომელიც მისთვის სხვას დაუწერია, შეცდომებია: აკლია, "ტოჩკა და ზაპეტაია", ურომლისოდაც საქმე დაღუპულია. თანაც ისეთ რთულ საქმედ სახავენ მის ჩამატებას, რომ თითოეულში თითო ოქროს იღებენ. თარჯიმანი სარქის კუმუხტოვი, რომელმაც რუსული ენა არ იცის და მეტად უვიციცაა, ირონიულად დასცინის ქართველებს. ქართველი თავადი, მისი თქმით, მსუქანი ცხვარია, რომელიც უნდა გაიკრიჭოს. "სტრაპში" - ხარიტონ ფილიპიჩი - აღფრთოვანებულია სარქისას გაიძვერობითა და ყალთაბანდობით, უწოდებს მას გამოცდილ ჩობანს, თანაც აგრძნობინებს, რომ საჭიროა იზრუნოს მისთვის. თავის მხრივ ჰპირდება, რომ არაფერს მოერიდება: "Я знаю и анрунди, и данрунди и чанрунди", - ამბობს ხარიტონ ფილიპიჩი. იგი იმდენადაა გადაგვარებული, რომ ერთსა და იმავე დროს იღებს ქრთამს ბეგლარისა და მიხეილისაგან, რომლებიც მოდავე მამებს გამოუგზავნიან მასთან. ბეგლარი წუხს, ვაი თუ რაიმე ისტორია მოჰყვეს, ორივე რომ ვაძლევთ ქრთამსო, მაგრამ მიხეილი სამართლიანად არწმუნებს: "Пустьяки, შენგანაც აიღებს, ჩემგანაც, მაგრამ ცალ - ცალკე უნდა მივცეთო".

გ. ერისთავს შეუმჩნეველი არ დარჩენია, რომ ვაჭრებიც გაბმულნი არიან მექრთამე

მოხელეთა ქსელში. ამ მდგომარეობამდე ისინი მიუყვანია ურთიერთშორის გაჩაღებულ მტრობას. გაბრიელ და ივანე მინასოვეები ("წარსული დროების სურათები") სისტემატურად უგზავნიან ძღვენს მაღალი თანამდებობის პირებს. მათ მოსყიდული ჰყავთ რუსი მოხელეები, "ქართველებიც ვინც დიდია, სულ მათ ჯიბეზე ჰკიდია". მაგრამ ვაჭრები, ამ შემთხვევაში, მაინც მეტ წინდახედულობას იჩენენ, ვინემ თავადაზნაურობა. პირველ ყოვლისა, მათ იციან, ვინ უფრო საჭიროა, თანაც მოხერხებულად აგებენ ხაფანგს. ამიტომ მათი ქრთამი უფრო ძღვენის სახეს ღებულობს. ესეც ვაჭრული მოხერხებულობის ნიმუშია. "წარსული

დროების სურათებში” გ. ერისთავი მკაცრად ამხელს ბიუროკრატ მოხელეთა ”საქმიანობას”.

გ. ერისთავის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ბიუროკრატ მოხელეთა გამრავლება მან დაგვიხატა არა როგორც შემთხვევითი საზოგადოებრივი მოვლენა, არამედ როგორც იმდროინდელი სახელმწიფოებრივი სისტემის კანონზომიერი შედეგი.

\* \* \*

გ. ერისთავმა თავისი რეალისტური დრამატურგიით დაიწყო სრულიად ახალი ეპოქა ქართულ ლიტერატურაში. მისი შემოქმედება დიდი შენამატი იყო ქართული ლიტერატურისათვის.

სამწერლო ასპარეზზე გასვლისას გ. ერისთავი ვერ აცდა გაბატონებული ლიტერატურული მიმდინარეობის – რომანტიზმის – გავლენას. მაგრამ ამ პერიოდის ნაწარმოებებშიც გამოვლინდა პოეტის რეალისტური ხედვა, გარემო სინამდვილის შესწავლისა და მისი ობიექტური ასახვის სურვილი.

გ. ერისთავი ბრწყინვალე კომედიოგრაფია. მისი ორიგინალური პიესები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, (”შეშლილი”, ”დავა”, ”გაყრა”, ”ძუნწი”, ”წარსული დროების სურათები”) - კომედიებია. შინაარსობლივი თვალსაზრისით ისინი საყოფაცხოვრებო და სოციალურ – პოლიტიკური კომედიებია. მათი დაცინვის საგანია არა ცალკეულ გმირთა ცხოვრების უმსგავსოება, მიუღებელი ზნე – ჩვეულებანი და სხვა, არამედ უმთავრესად ის საზოგადოებრივი ურთიერთობა და ცხოვრების ის სინამდვილე, რომლის კანონიერ შვილებსაც ეს გმირები წარმოადგენენ.

გ. ერისთავის კომედიათა მიჩნევა მხოლოდ საყოფაცხოვრებო კომედიებად არ იქნებოდა სწორი. გ. ერისთავი დასცინის არა გმირთა ზნეჩვეულებებს, უფრო სწორად, არა მარტო მას, არამედ ძირითადად იმ საზოგადოებრივ ცხოვრებას, რომლის წარმომადგენლებიც ეს გმირებია. ესაა სწორედ ამ კომედიათა მთავარი ღირსება, რომელიც მათ ავტორს კრიტიკული რეალიზმის ჭეშმარიტ დამწყებად ხდის.

გ. ერისთავი, როგორც რეალისტი კომედიოგრაფი, არასოდეს არ ღალატობს სინამდვილეს, მისი გმირები უშუალოდ ცხოვრებიდანაა აღებული, ისინი ტიპიური სახეებია.

გ. ერისთავი მოხდენილად იყენებს ენას, როგორც გმირის სახის შექმნის საუკეთესო საშუალებას და როგორც კომიზმის წყაროს.

გ. ერისთავის სამწერლო ენა თავიდანვე განსხვავდებოდა მის თანამედროვე მწერალთა ენისაგან. მის ლექსებში მეტ – ნაკლებად ჩანს სამწერლო ენის ხალხურ მეტყველებასთან დაახლოების მიდრეკილება. ეს ამოცანა მწერალმა გარკვეულად გადაჭრა თავის ორიგინალურ და თარგმნილ კომედიებში.

კრიტიკული რეალიზმის პრინციპები გ. ერისთავის წინაშე ამოცანას აყენებდა – ხელი აეღო ძველ მწიგნობრულ – არქაულ ენაზე და ჭარბად დასესხებოდა ხალხურ მეტყველებას. ის, ვინც რეალიზმის პრინციპების ჭეშმარიტი დამცველი და გამტარებელია, გვერდს ვერ აუვლის თავის თანამედროვეთა მეტყველებას, ხალხურ ენას; მის წინაშე მთელი სერიოზულობით დგას ხალხისათვის გასაგები ენით წერის საკითხი.

გ. ერისთავის კომედიების ენამ იმთავითვე მიიპყრო ყურადღება. ცნობილი მოღვაწე და მოაზროვნე პლ. იოსელიანი, რომელმაც ”გაყრის” პირველი გამოცემისათვის (1850წ.) დაწერა წინასიტყვაობა, საგანგებოდ აღნიშნავს: ”... მწერლობა ძველთა, გარდა რუსთაველისა, და მცირეთა სხუათა, არა იყო ჩვეულებითისა საუბრისა ენითა, რომელიც არის უნდა იყოს ჭეშმარიტი ენა ხალხისა. ამწერამან ამა პირველისა ქართულ ენაზედ კომედიისა, თავადმან გიორგი დავითის ძემან ერისთავმან, **დაბადა ენა ქართული ახლისა გუარისა მწერლობისათვის.** სახელმან მისმან ქართველთათვის ესრეთივე მიიღო ღირსება, რომლისთვისცა ეკვირვებიან ბერძენთა და რომაელთა კომიკთა არისტოფანეს, კრატინს, პლავტსა, ტერენციოსს, მენანდრსა და სხვათა.

მაქვს იმედი, რომ ესრეთა ჩემგან **ახლისა გვარისა მწერლობისა** მოწონებას არვინ მიიღებს პირმოთმინებით თქმულად და თვითეული კეთილ – გამზრახი ქართველი სიხარულით და სიამოვნებით წაიკითხავს ამ **კომედიასა** და სხვანიცა ახალნი მწერალნი გაბედვით შეუდგებიან მაგალითსა მისსა”.

როგორც ვხედავთ, პლ. იოსელიანმა გ. ერისთავის ენა შეაფასა, როგორც ენა ”ახლისა გვარისა მწერლობისათვის”. ხოლო ეს ”ახალი გვარი” იყო კომედია. იგი სხვებსაც მოუწოდებს მიჰყვნენ გ. ერისთავის მაგალითს, დაწერონ კომედიები.

პლ. იოსელიანის მოწოდებამ ააღელვა ალ. ორბელიანი, რომელიც ”ამტკიცებს”, რომ გ. ერისთავის გმირები ლაპარაკობენ ისე, როგორც მეტყველებენ ცხოვრებაში. მაშასადამე, გ. ერისთავს ”სხვა ქართული არა დაუბადებია რა მწერლობისათვის, ის ქართული იმათი (გმირების – რედ.) საკუთარი ყოფილაო”<sup>[3]</sup>. გ. ერისთავის კომედიების ენა, ცხადია, არ შეიძლება მივიჩნიოთ ახალ სალიტერატურო ენად, რომლის საბოლოო ჩამოყალიბება ილია

ქავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და მათი თანამებრძოლების სახელებთანაა დაკავშირებული. მაგრამ იგი არის გარკვეული ეტაპი ახალი ქართული სალიტერატურო ენისათვის ბრძოლის გზაზე; მან შეარყია არქაული სამწერლო ენის ავტორიტეტი.

გ. ერისთავის კომედიების ენის ნაკლი მდგომარეობს დიალექტიზმებისა და ჟარგონების ჭარბ გამოყენებაში. მას არა ჰყავს ისეთი პერსონაჟი, რომლის მეტყველება, თვით მწერლის შეხედულებითაც, გამართული და გამართლებული იყოს. იგი არც ამ მხრივ გაძლევს დადებით გმირს. მაგრამ გ. ერისთავის დამსახურება ისაა, რომ იგი ერთნაირი შეუბრალებლობით დასცინის როგორც არქაული ენით მეტყველთ, ასევე "ჩარჩული ჟარგონით", დიალექტიზმებითა და ბარბარიზმებით დამძიმებული ენით მოსაუბრეებს.

გ. ერისთავის სურვილი იყო შექმნილიყო სასაუბრო მეტყველებაზე დამყარებული ქართული სალიტერატურო ენა, რომელიც თავისუფალი იქნებოდა არქაული ფორმებისა, ჟარგონებისა და დიალექტიზმებისაგან.

პრაქტიკულად გ. ერისთავს არ განუხორციელებია თავისი ენობრივი პრინციპი. ამ საქმეში მას იქნებ ხელს უშლიდა მისი შემოქმედების ჟანრობრივი ბუნება და მხატვრული მეთოდი. იგი ყველაფერში და ყოველთვის უარყოფის გზით მიდის იდეალისაკენ, რომელიც მკითხველში იქმნებოდა კრიტიკულად ასახული სინამდვილის გავლენით.

გ. ერისთავი ითვალისწინებს, რომ გმირის მეტყველებაში ისახება მისი სოციალური ბუნება, გონებრივი დონე და სულიერი ღირსებები. ამიტომ მას არ უნდა ხელიდან გაუშვას მხატვრული მიზნის მიღწევის ეს საუკეთესო საშუალება. მისი კომედიების თემა, იდეა, კომპოზიცია და ენა ერთი მთავარი მიზნისაკენ არის მიმართული.

გ. ერისთავის კომედიათა გმირები მეტყველებენ ისევე, როგორც მათი პროტოტიპები. ავტორი გვაგრძნობინებს, თუ როგორ ამახინჯებენ ქართულ ენას "რუსეთუმეები" და ბურჟუაზიის ნაშიერნი. ის თავისას მიუზღავს აგრეთვე დიალექტით მოსაუბრე პერსონაჟებს და "დარბაისლური" ქართულით მოლაპარაკე თავადებს.

გ. ერისთავი მკაცრია არა მარტო მათდამი, ვინც უხეშად ექცევა ქართული ენის ლექსიკურ მარაგსა და გრამატიკულ წყობას, არამედ მათ მიმართაც, რომლებიც თავსა და ბოლოს ვერ პოულობენ ლაპარაკში. იაია ჭიორელის სახით გ. ერისთავმა დაგვიხატა გლახა ჭრიაშვილის წინამორბედი.

გ. ერისთავმა თავისი კომედიების ენითაც ყურადღება გაამახვილა იმ სოციალურ ძვრებზე, რასაც ადგილი ჰქონდა გასული საუკუნის 40 – 50-იან წლებში.

გ. ერისთავი თავის კომედიებში ფრთხილად ეკიდება არა მარტო ე. წ. სიტყვა-მოქმედების შესაფერ დახვეწას, არამედ სათანადოდ ითვალისწინებს ქცევა-მოქმედების კანონზომიერებასაც.

გ. ერისთავი საგანგებოდ არჩევს კომედიათა სათაურებს. გარკვეულ მნიშვნელობას აძლევს გმირთა სახელებსა და გვარებსაც. ზოგჯერ იყენებს მეტყველ გვარებს (არზამანოვი, ვზიატკინი), თუმცა პიესის მსვლელობაში პერსონაჟები გვარებით თითქმის არასოდეს არ იხსენიება. მოქმედ გმირთა ჩამოთვლისას ავტორი დაწვრილებით მიუთითებს აგრეთვე გმირთა ვინაობაზე, რაც საშუალებას აძლევს შემსრულებელს მართებულად და ადვილად გაიაზროს თავისი როლი.

\* \* \*

მიუხედავად იმისა, რომ გ. ერისთავი, როგორც დრამატურგი 40-იანი წლებიდან უკვე ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა, მას თავი მაინც არ მიუწეობდა ლექსების წერისათვის. მართალია, თემატიკურად და საერთოდ მხატვრული თვალსაზრისით მის პოეზიას დიდი ევოლუცია არ ეტყობა, მაგრამ იდეურ-შინაარსობლივი თვალსაზრისით მას აშკარად ემჩნევა ახალი ეპოქის გავლენა.

გ. ერისთავის პოეზიის მთავარ თემად ამ პერიოდში სიყვარული და ამ გრძნობით გამოწვეული განცდები ხდება. პოეტი კვლავ გულუხვად წყალობს ე. წ. საალბომო პოეზიას და ეპისტოლარული ფორმის სატრფიალო ლექსებს წერს. ამ მხრივ საყურადღებოა ლექსები: "თეოდოსია მირეცკას", "ალბომში", "მე შენ არ გეტრფი...", "სატრფოლო...", "მოგონება", "გულს", "კნ. სოფიო ერისთავისას", "ე...", "კნ. დარია ბეგთაბეგოვისას", "ე. წ. "გულისადმი", "ბედისადმი" და სხვ.

პოეტი არ ივიწყებს სატირასაც და დროდადრო ჩვეული სიმძაფრით ესხმის თავს მახინჯ მოვლენებს ("ერთი კაცი წვა სნეული", "არაკი", "ილია ორბელიანს"). იგი მკაცრად კიცხავს ზნეობრივ სიმდაბლეს, საზოგადოების ერთ ნაწილში გამეფებულ შურთანობასა და კარიერიზმს, საყურადღებოა პოეტის მიერ იგავ-არაკის დაწერის ფაქტიც.

როგორც ვიცით, გ. ერისთავი თავის კომედიებში ძირითადად სოციალური თემატიკით იფარგლება. მისი პიესები მხოლოდ



მინიშნებით თუ გვითვალისწინებენ ავტორის პოზიციას ეროვნულ საკითხში, ამას, ცხადია, თავისი ობიექტური მიზეზები გააჩნია. სამაგიეროდ, ლექსებში გ. ერისთავი უფრო უშუალოდ გადმოსცემს თავის დამოკიდებულებას სამშობლო ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებასთან. ის კვლავ მძიმედ განიცდის საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას და თავის ხალხის ნაციონალურ-კოლონიურ ჩაგვრას. ყოველივე ეს პოეტს რელიეფურად აქვს გამოხატული ლექსში "ახალ წელს", რომელიც დაწერილია 1854 წლის პირველ იანვარს. ამ დროისათვის სახელმწიფოებრივი დრამატურგი და დაფასებული მოღვაწე თითქოს ნაკლებ უკმაყოფილო უნდა ყოფილიყო ცხოვრებით, მაგრამ ეს ასე არ არის. გარეგნულად თითქოს მშვიდი და ბედნიერი პოეტის გულში ნაღველია ჩაწოლილი, რომლის გაქრობა არაფერს ძალუძს.

პოეტის თქმით, ახალი წელი, "მრავალთა გულებს აშფოთებს" და სასიამოვნო ოცნებებით ატკბობს, მაგრამ მას კი არ ახარებს.

მაგრამ, ახლო წელიწადო, მე კი ვერაფერს ვერას მომიკვლევ,  
რადგანც კეთილსა ამა სოფელს, ნამდვილად ვიცი, მე ვერას მომცემ,  
ვერც სიხარულსა, ვერც მამულსა, ველარც დამჭკნარ გულს ნუგეშს ვერა სცემ.

მართალია, პოეტი მოკლებულია ნათელ ახლო მომავლის იმედს, მაგრამ მაინც შორსაა სასოწარკვეთისაგან, თავისი ხალხის უკეთესი მომავლისადმი სკეპტიკური დამოკიდებულებისაგან. მას სწამს, რომ ეროვნული თავისუფლების დროებით დაკარგვა ისტორიული აუცილებლობით იყო გამოწვეული და "დიდი რუსეთის სკიპტრისაგან დამშვიდებული" ქართველი ხალხი კვლავ აღიდგენს თავის ძალას და მიაღწევს სასურველ მერმისს. ასეთი თვალსაზრისი პოეტის მიერ ისტორიული განვითარების კანონზომიერების შეცნობაზე მიუთითებს, რაც მან მთელი სისრულით გადმოსცა ნაწარმოებში "კავკაზი და უცნობი", რომელიც დაწერილია 1854 წლის იანვარში და ეხმაურება რუსეთ-თურქეთის ომს.

პოეტი ამაყად ალაპარაკებს მოხუც გმირ კავკასს, რომელსაც იცავენ არა მარტო თავისი შვილები, არამედ ვატერლოოს გმირთა შთამომავალნიც.

ორიგინალური ლექსების წერასთან ერთად გ. ერისთავი საკმაოდ დროს უთმობდა რუსული და სხვა ენებიდან ლექსების თარგმნას. თუ რაოდენ ნაყოფიერი იყო პოეტის მოღვაწეობა ამ მიმართულებით, ამას გვიჩვენებს თარგმნილ ნაწარმოებთა დასახელებაც.

40 – 50-იან წლებში გ. ერისთავს უთარგმნია: შილერის – ”განყოფა სოფლისა”, ვ. ჰიუგოს – ”ერთი მინუტის სიჭაბუკე” ” სიმღერა”, ” ერთ ქალს”, ”ო, ნუ კიცხავთ”, რიუკერტის 0–”კარებთან”, ბერანჟეს – ”დიდი კაცის გაცნობა”, ლერმონტოვის – « И скучно и грустно...» სოლოგუბის – ეკ. ერისთავისადმი მიძღვნილი ორი ლექსი და სხვ.

გ. ერისთავის მიერ თარგმნილი ლექსები ავსებენ მის ორიგინალურ პოეზიას. მას არც ერთი ლექსი შემთხვევით არ უთარგმნია. თვითეული მათგანი გამოხატავს პოეტის განწყობილებას გარკვეულ პერიოდში და შესატყვისი მოედებნება მის პოეზიაში

\* \* \*

50-იან წლებში გ. ერისთავი ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევა არა მხოლოდ დრამატურგიისა და პოეზიის სფეროში, არამედ როგორც საზოგადო მოღვაწეც. იგი იყო ნამდვილი წევრი ”რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა” და ”სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოებისა” და აქტიურ მონაწილეობას იღებდა მათ მუშაობაში.

გ. ერისთავის მოღვაწეობას 50-იან წლებში კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის ”ვეფხისტყაოსნის” პოლონურ ენაზე თარგმნა. ამ დიდი საქმის საბაზი გახდა გ. ერისთავის ახლო მეგობრობა თბილისში მყოფ პროგრესულად მოაზროვნე პოლონელ მოღვაწეებთან, კერძოდ, კ. ლაფჩინსკისთან. როგორც ჩანს, გ. ერისთავს ”ვეფხისტყაოსანი” პოლონურ ენაზე უთარგმნია 1850 – 1854 წლებში.

1854 წელს გიორგის გარდაეცვალა მეუღლე და უდედოდ დარჩა პატარა დავითი. ასეთ ოჯახურ მდგომარეობას აუძულებია გიორგი თბილისის დაეტოვებინა და თავის საყვარელ საქმიანობასც მოსწყვეტოდა.

1856 წელს გ. ერისთავმა მეორედ იქორწინა, ცოლად შეირთო დავით თარხან – მოურავის ასული – მართა. მათ შეეძინათ ქალიშვილი, მაგრამ ბავშვი სამწლინახევრის ასაკში გარდაეცვალათ.

ამ წლებში გ. ერისთავს უხდებოდა თავისი მამულების მართვა, რადგან უფროსი ძმა (როსტომი) უკვე გარდაცვლილი იყო, ხოლო უმცროსი (ივანე) გადასახლებული. შემოსავალიც კარგი ჰქონია, მაგრამ ადრე აღებული ვალების გატუმრებას უნდებოდა.

1862 წელს გ. ერისთავი ევროპაში გაემგზავრა. მოგზაურობაში დაჰყო ოთხი თვე და ძალზე ნასიამოვნები

დაბრუნდა. თავისი მოგზაურობა მას აღწერილი აქვს დღიურების სახით, რომელსაც ეწოდება “ჩემი მოგზაურობა ევროპაში 1862 წელსა 13 ივნისიდან”. “მოგზაურობა” არაა სრულად მოღწეული, დღიურები წყდება 1862 წლის 13 აგვისტოს, როცა პოეტი ვენეციაშია.

60-იანი წლებისათვის ქართული კულტურის მესაჭე გ. ერისთავი თითქოს დავიწყებას მიეცა. მაგრამ მისი სახელი მკითხველ საზოგადოებას კვლავ მოაგონა ილია ჭავჭავაძემ, რომელმაც “საქართველოს მოამბეში” გამოაქვეყნა კომედია “შეშლილი” (მეორე ნომერში), ლექსი “თანამგზავრი” (მეხუთე ნომერში) და გ. ერისთავის მიერ თარგმნილი ა. გრიბოედოვის “ვაი ჭკუისაგან” (მეთორმეტე ნომერში).

1864 წლის 9 სექტემბერს (ძვ. სტილით) გიორგი ერისთავი, სისხლის მოწამვლით გარდაიცვალა ქ. გორში. გ. ერისთავის გარდაცვალების გამო გორში დიდძალი ხალხი ჩამოსულა, მათ შორის პოეტის ყრმობის მეგობარი გრ. ორბელიანიც.

ს. მაგლოზლიშვილის გადმოცემით, გ. ერისთავის სიკვდილმა განსაკუთრებით დაამწუხრა ადგილობრივი გლეხობა: “მახსოვს, სოფლიდან ჩამოსული გლეხები ტიროდნენ, დედაკაცები ხომ სულ იხოცებოდნენ ტირილითა. თურმე პოეტის ნაყმევები იყვნენ, რომელსაც ისინი ბატონყმობის გადავარდნამდე გაუთავისუფლებია. შვეტიცვეთ ისიც, რომ პირველი პიონერი ბატონყმობის გადავარდნისა ჩვენში იგი იყო; მეზობელი თავადები, სახლიკაცები, წყევლა-კრულვით იხსენიებდნენ პოეტსა”<sup>[4]</sup>. გ. ერისთავი დასაფლავებულია სოფელ იკორთაში. თავისი დამაარსებლისა და პირველი რედაქტორის გარდაცვალებას ჟურნალი “ცისკარი” გამოეხმაურა ი. კერესელიძის მიერ დაწერილი ნეკროლოგიითა და გ. დვანაძის ლექსით “გ. ერისთავის გარდაცვალებაზედ”<sup>[5]</sup>.

\* \* \*

გ. ერისთავის მეტად შინაარსიანმა ცხოვრებამ და მოღვაწეობამ წარუშლელი კვალი დატოვა ქართული ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში.

გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში გ. ერისთავის სახით ჩვენს ეროვნულ ლიტერატურასა და კულტურას ჰყავდა მრავალფეროვანი და ნიჭიერი მოღვაწე. ის იყო პოეტი, დრამატურგი, მთარგმნელი, პროფესიული ქართული თეატრის ფუძემდებელი და დირექტორი. რეჟისორი და მსახიობი, პირველი ქართული ლიტერატურული ჟურნალის (“ცისკრის”) დამაარსებელი და რედაქტორი.

გ. ერისთავის პოეზია, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე იქმნებოდა, ანაბეჭდია ცხოვრების იმ სინამდვილისა, რომლის უშუალო მონაწილეც პოეტი იყო.

ცხოვრების სინამდვილის უშუალო გაცნობამ და მახვილმა მხატვრულმა ალლომ გ. ერისთავს გაუადვილა ადრევე დაეღწია თავი იმდროინდელ ლიტერატურაში გაბატონებული რომანტიკული სტილისათვის.

იგი გახდა ჭეშმარიტად ეროვნული კომედიოგრაფიის ფუძემდებელი და, ამასთან ერთად, სათავე დაუდო ახალ ლიტერატურულ მიმართულებას-კრიტიკულ რეალიზმს, რომელმაც შემდეგ სამოციანელთა შემოქმედებაში სრულყოფილი სახე მიიღო.

გ. ერისთავი, როგორც რეალისტი, მწერლობას პირველად თავისი სატირით მოეწვინა. მან, როგორც ი. ჭავჭავაძე ამბობს, “ჩვენს პოეზიას ჩაუმატა ის პირწვეტიანი ეკალი, რომელსაც “სატირას” ეძახიან”.

გ. ერისთავი იყო ნაყოფიერი მთარგმნელი და გადმომკეთებელიც. ქართველ მკითხველს მან გააცნო სახელოვანი პოეტის ადამ მიცკევიჩის “ყირიმის სონეტები”, რუსეთისა და ევროპის გამოჩენილ მწერალთა (“გრიბოედოვის, ლერმონტოვის, მარლინსკის, პეტრარკას, ჰიუგოს, ბერანჟეს, რიუკერტის და სხვ.) საყურადღებო ნაწერები.

როგორც ნიჭიერი დრამატურგი და თეატრალური საქმის კარგი მცოდნე გ. ერისთავი მისმა თანამედროვე მოღვაწეებმა ყველაზე ღირსეულ კანდიდატად ცნეს თეატრის ხელმძღვანელის პოსტზე. მანაც გაამართლა ეს იმედი: მტკიცე საფუძველი ჩაუყარა რეალისტურ თეატრს, მოძებნა, აღზარდა და დაავაჟვაცა მსახიობთა და დრამატურგთა კადრები.

გ. ერისთავის დრამატურგია და მის მიერ საფუძველჩაყრილი თეატრი გახდა ქართული კულტურის შემდგომი წინსვლის საყრდენი. გ. ერისთავის ერთ-ერთი დიდი დამსახურება, როგორც ი. ჭავჭავაძე ამბობს, ის არის, რომ მან “შეჰქმნა ქართული თეატრი და სათეატრო მწერლობის მამამთავრად მოგვევლინა. ამით მარტო სიყვარულის და ტრფიალების მორევში მოარული ჩვენი გული და მარტო განტოლვილ ფიქრებში წარსული ჩვენი გონება ჩვენს ცხოვრებას დააკვირდა, მიახედა”.

გ. ერისთავმა ქართული მწერლობისა და კულტურის აღმავლობას უდიდესი სამსახური გაუწია პირველი ლიტერატურული ჟურნალის “ცისკრის” დაარსებითაც. “ცისკარმა” “აკვნობა გაუწია იმ ყმაწვილ მწერლებს, რომელთაც მერე, სამოციან

წლებში, წინანდელ მწერლებთან ერთად, ისეთი ძლიერი ტალღა ჰკრეს ჩვენს აზრთა დენასა” (ილია ჭავჭავაძე).

მართალია, პროფ. ალ. ცაგარელის შეხედულებას, რომ “ჩვენი ლიტერატურის მეორე პერიოდის (40-50-იანი წლები-რედ.) დროშის მატარებელი და ბელადი არის გიორგი ერისთავი”. გ. ერისთავმა შექმნა დრამატურგთა თავისი სკოლა, რომლის გავლენა თვალნათლივ ეტყობა მომდევნო პერიოდის მთელ ქართულ დრამატურგიას.

---

<sup>[1]</sup> ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, II, 1944, გვ. 13.

<sup>[2]</sup> იხ. დიმი. ყიფიანი, მემუარები, 1930, გვ. 141.

<sup>[3]</sup> ალ. ორბელიანი, “რამდენიმე სიტყვა “გაყრის” კომედიაზე”, “ცისკარი”, 1857, № 9.

<sup>[4]</sup> ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1939, გვ. 41.

<sup>[5]</sup> “ცისკარი”, 1864, № 9

### **ზურაბ ანტონოვი (1820 – 1854)**

ახლად აღორძინებული ქართული თეატრისა და დრამატურგიული მწერლობის განვითარების საქმეში გ. ერისთავის შემდეგ ყველაზე დიდი ღვაწლი ზ. ანტონოვს მიუძღვის.

ზურაბ ანტონოვი დაიბადა 1820 წ. 9 (21)<sup>[1]</sup> თებერვალს, ქ. გორში. ზურაბის მამა წვრილი ვაჭარი იყო. ექვსი წლის ზურაბი წერა-კითხვის შესასწავლად მშობლებმა მღვდელს მიაბარეს, ერთი წლის შემდეგ კი – გორის სახაზინო სასწავლებელში შეიყვანეს. მან აქ ნიჭი და სწავლისადმი დიდი სიყვარული გამოიჩინა. ექვსი თვის განმავლობაში მთელი პირველი კლასის პროგრამა ისე დაუძლევია, რომ გადაუყვანიათ მეორე კლასში, რომელიც კვლავ დროზე ადრე დაუსრულებია, მაგრამ მშობლებმა სკოლიდან გამოიყვანეს. მისი სასკოლო განათლება ორი კლასით ამოიწურა.

სასწავლებლიდან გამოსვლის შემდეგ, ათი წლის განმავლობაში, ზურაბი შინ იყო. სწავლას მოწყურებული და ნიჭიერი ახალგაზრდა თვითგანვითარებით იძენდა ცოდნას.

თვრამეტი წლის ზურაბი გორის სამაზრო სამმართველოში იწყებს მუშაობას. მისი ენერგია და ნიჭი ოთხი წლის განმავლობაში მდივნის უსიამოვნო მოვალეობის შესრულებას ემსახურებოდა. მწერლის ერთი ბიოგრაფიის სიტყვით, ამ დროს ”რაც ქაღალდები

გადაწერა თითონ და ან სხვა ქალაქები წაეკითხა, სულ ზეპირად ახსოვდა... იმ ოთხ წელიწადში კანონები ”მამაო ჩვენოსავით” გაიზეპირა და ყველა საქმეებსაც ისეთ რიგათ ჩახვდა, როგორც ათი ან თხუთმეტი წლის ნამსახური კაცი”<sup>[2]</sup>.

ზურაბს და მის ძმას მევახშე მირონ ამიროვის სახით სამუდამო მტერი გაუჩნდათ. მას სურდა ანტონოვებისათვის წაერთმია ერთადერთი შემოსავლის წყარო – ხიდისთავის მამული. ეს დავა ისე გამწვავებულა, რომ ზურაბ ანტონოვს გადაუწყვეტია შური ეძია და გაემწარებინა ყველასათვის საძულველი მევახშე. როგორც მისი ბიოგრაფი გადმოგვცემს, მას შეუყრია გორელები, თვითონ გაძლოლია წინ და ჩარჩი ამიროვისა და მისი ოჯახის წევრებისათვის საფლავები გაუთხრიათ, შესაფერი წარწერებიც გაუკეთებიათ<sup>[3]</sup>. ამ შემთხვევის სინამდვილეს ადასტურებს ს. მაგლობლიშვილის მხატვრული ნარკვევიც ”ორი თვე სოფლად”<sup>[4]</sup>. ისედაც ბოროტი ამიროვი ამ ამბავმა მთლად გააცოფა და სულ იმას ცდილობდა, რომ ზ. ანტონოვი როგორმე თავიდან მოეცილებინა. გაუთავებელმა დავამ ბოლოს ზურაბი ისე გააღარიბა, რომ შემწეობას სთხოვდა ნაცნობებს.

ზ. ანტონოვის ცხოვრებაში სასიხარულო ცვლილება შეიტანა გ. ერისთავის მიერ ქართული პროფესიული თეატრის დაარსებამ. გ. ერისთავის თეატრის დასის წევრთა დიდი უმრავლესობა გორელები იყვნენ, ზურაბის ახლო ნაცნობები. მათი მეოხებით 1851 წლის დამდეგს თბილისში ჩამოსული ზურაბი თეატრს დაუახლოვდა.

ზ. ანტონოვს გ. ერისთავისათვის უთხოვნია დასში მიღება, მასაც დაუკმაყოფილებია მისი სურვილი. სადებიუტოდ მიუცია მიკირტუმ გასპარიჩის როლი (”გაყრა”), რომელსაც თვით გ. ერისთავი წარმატებით ასრულებდა. ზ. ანტონოვს, როგორც ჩანს, დიდი ნიჭი ვერ გამოუჩენია როლების შესრულებაში.

ზ. ანტონოვმა ბოლოს მიაგნო თავის ნამდვილ მოწოდებას. 1851 წლის დასაწყისში მას დაუწერია პიესა ”მე მინდა კნეინა გავხდე” და გ. ერისთავისათვის წარუდგენია. თეატრს მალე მოუმზადებია და იმავე წლის 10 (22) მაისს კიდევ დაუდგამს. მთავარ როლს (მინას შაჰყულოვს) ასრულებდა თვითონ ავტორი. პიესა მაყურებელმა გულთბილად მიიღო და მისი ავტორი ტაშით დააჯილდოვა.

პირველი წარმატების შემდეგ ზ. ანტონოვი ნაყოფიერად მოღვაწეობდა დრამატურგიული მწერლობის ასპარეზზე და გ. ერისთავთან ხელიხელჩაკიდებული იღვწოდა ქართული თეატრის აღმავლობისათვის. მისი ორიგინალური და გადმოკეთებული პიესები, გ. ერისთავის პიესებთან ერთად, ქართული თეატრის რეპერტუარის დასაყრდენი გახდა.

როცა ხუთი წლის დაძაბული მუშაობის შემდეგ, 1854 წლის ნოემბერში, გ. ერისთავი იძულებული გახდა თეატრი დაეტოვებია, მისი ადგილი ზ. ანტონოვმა დაიკავა. მაგრამ უცნაურმა და უდროო სიკვდილმა არ დააცადა მას თავისი ნიჭი სრულად გამოევიწყებია, შემოქმედებით სიმწიფეში შესული დრამატურგი 1854 წლის დეკემბერში სიცოცხლეს გამოესალმა.

ზურაბს მემკვიდრე არ დარჩენია, მან ოჯახის შექმნაც ვერ მოასწრო.

ზ. ანტონოვი მუდამ სიღარიბეში ცხოვრობდა, მაშინაც კი, როცა მისი პიესები თეატრში წარმატებით იდგმებოდა.

1851 წელს ცალკე წიგნად დაიბეჭდა კომედია ”მე მინდა ვნეინა გავხდე”; 1852 წელს – კომედიები: ”განა ბიძამ ცოლი შეირთო”, ”ქმარი ხუთი ცოლისა”, ”ქორწილი ხევსურთა”; 1853 წელს ”ქოროლი”; 1854 წელს – ”ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა”.

ზ. ანტონოვის გარდაცვალების შემდეგ, 1876 წელს, გამოცემულ იქნა მწერლის თხზულებათა კრებული, რომელშიც შესულია ყველა ზემოაღნიშნული პიესა და აგრეთვე ”მზის დაბნელება საქართველოში”. ცნობილია, რომ ზ. ანტონოვი ავტორი იყო სხვა პიესებისაც, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ. ამ კრებულის შემდეგ ზ. ანტონოვის თხზულებანი აღარ გამოცემულა, თუმცა მისი პიესები სცენაზე ხშირად იდგმებოდა.

\* \* \*

ზ. ანტონოვის დრამატურგიის ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში თავის დროზე ზუსტად განსაზღვრა დიდმა ქართველმა მწერალმა ი. ჭავჭავაძემ, რომელმაც აღნიშნა: გ. ერისთავის მიერ ”ფრთაასხმულმა ანტონოვმა, რაკი იგრძნო, რომ მე ჩემი საკუთარი ფრთები მასხიაო, თავის ოსტატს გაასწრო, მის ვიწრო მოედანს ღობეები გაუდგა, სარბიელი გაუდიდა და ეგრეთ-წოდებულ მდაბიო ხალხის ცხოვრება, აკვარგიანობა, მისი ზნე – ჩვეულება ცოტად თუ ბევრად დაგვანახა (ხაზი ჩვენია –ავტ.). მისი ”მზის დაბნელება”, ”ხევსურთა ქორწილი”, თუ ყოველ ამის სრული სურათი არ არის, მწერლობის ამ მხრივ მიმართულების მაგალითი ხომ არის და არის”<sup>[5]</sup>.

ზ. ანტონოვს, როგორც მოაზროვნესა და მხატვარს, ამაღლებს თავისი თანამედროვე ცხოვრებით დაინტერესება, სინამდვილის სურათების რეალისტური ასახვა, ჰუმანური და დემოკრატიული შეხედულებების ქადაგება.

ზ. ანტონოვის პიესების დიდი უმრავლესობა წარმოდგენილი იყო თეატრში თვით დრამატურგის სიცოცხლეში. ზოგიერთი მათგანი ნაკლებად ცნობილია დღევანდელი მკითხველისათვის.

პიესები, რომლებიც ზ. ანტონოვს ეკუთვნის, შემდეგია: "მე მინდა კნეინა გავხდე", "ქორწილი ხევსურთა", "მზის დაბნელება საქართველოში", "ქოროლლი", "ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა" და "კიზიროკი" (რომელიც ავტორის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში დაუწერია და ყველაზე მეტად მოსწონდა). "კიზიროკს" ჩვენამდე არ მოუღწევია, ვერც თეატრში წარმოდგენა მოუსწრიათ მისი.

პიესა "ქმარი ხუთი ცოლისა" ნახევრად ორიგინალური ნაწარმოებია. პიესის პირველი მოქმედება ზ. ანტონოვის შემოქმედების ნაყოფია, ხოლო მეორე მოქმედება გადმოკეთებულია რუსულიდან. პიესას თვით ავტორის მიერ გაკეთებული აქვს შენიშვნა: "მეორე მოქმედება გადაკეთებული არის რუსულიდან". პიესა "განა ბიძამ ცოლი შეირთო..." გადმოკეთებულია რუსულიდან. პიესის პირველ ბეჭდურ გამოცემებში, რომელიც ავტორის მეცადინეობითა და რედაქციითაა გამოცემული, აღნიშნულია: "გარდაკეთებული რუსულიდან ზ. ანტონოვისაგან". ეს შენიშვნა ზ. ანტონოვის თხოულებათა 1876 წლის გამომცემლებს გამოტოვებული აქვთ, რამაც შემდეგ გაუგებრობა გამოიწვია.

ზ. ანტონოვს ეკუთვნის აგრეთვე ჩვენამდე მოუღწეველი პიესები: "თეთრი დათვი ფაშისა", "ქმარი ცოლის მაყარი", "კოტრი ზარაფი", "ჯერ მოკვდნენ, მერე დაქორწინდნენ", "ახ, მართალთ გამკითხავო, შენ მიპატრონე" და "ორი მდგმური ერთ ეზოში". ნაწილი ამ პიესებისა დაუდგამთ კიდევაც თავის დროზე. მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ უმეტესი მათგანი ორიგინალური არ არის, გადმოკეთებულია.

ზ. ანტონოვის ჩვენამდე მოღწეული შვიდი პიესიდან **კომედიებია:** "მე მინდა კნეინა გავხდე", "მზის დაბნელება საქართველოში" და "ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა"; **ვოდევილები:** "ქმარი ხუთი ცოლისა" და "განა ბიძამ ცოლი შეირთო..."; **საყოფაცხოვრებო დრამა** – "ქორწილი ხევსურთა"; **გმირული დრამა:** "ქოროლლი". შინაარსის მიხედვით ანტონოვის კომედიები სოციალურ კომედიათა ჯგუფს ეკუთვნის. თუმცა მათ აქვთ ის ნიშნებიც, რომლებიც მეტწილად სახასიათო კომედიისათვის არის ნიშანდობლივი.

ზ. ანტონოვის დრამატურგიაში ასახულია საზოგადოების თითქმის ყველა სოციალური ფენის ცხოვრება და მდგომარეობა. პირდაპირ თუ არაპირდაპირ მასში გამოვლენილია მწერლის



დამოკიდებულება მათდამი და რაც უფრო საყურადღებოა, მისი თვალი მეტი ინტერესით მიპყრობილია მშრომელი ხალხისაკენ.

თავად – აზნაურთა წარმომადგენლები ზ. ანტონოვს გამოყვანილი ჰყავს სამივე კომედიაში (“მზის დაბნელება საქართველოში”, “ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა”, “მე მინდა კნეინა გავხდე”) და ვოდევილში “ქმარი ხუთი ცოლისა”.

რას წარმოადგენს მაღალი წოდება ზ. ანტონოვის დრამატურგიის მიხედვით?

**ზ. ანტონოვი არ გამოხატავს თავად-აზნაურთა კოლორიტულ სახეებს.** მწერალი მათ ნაკლებად გვიჩვენებს მოქმედებაში, რის გამო იგი უფრო ფერმკრთალ სახეებს ხატავს, ვინემ გ. ერისთავი.

ძველი თაობის წარმომადგენლები მტკივნეულად განიცდიან, რომ წინაპრები უკეთ ცხოვრობენ, შემოსავალიც დიდი ჰქონდათ და კარგი პატივითაც სარგებლობდნენ. ისინი გრძნობენ, რომ დროება შეიცვალა, “ახალი მოდის” ხალხი და ახალი ინტერესები გაჩნდა, მაგრამ ვერ ერკვევიან სოციალურ მოვლენათა არსში და ამის გამო უფრო მეტად ახალი ყოფის დამახასიათებელ ჩვეულებებს უჩივიან.

ძველი, ფეოდალური საქართველოს ღვიძლი შვილები: იოთამ გუჯარამე, დავით ვახუშტამე და გრიგოლ ქებულაშვილი ბედნიერად გრძნობდნენ თავს. იოთამი თბილისის მოურავია, ხოლო დავითსა და გრიგოლს სამეფო კარის მდივნისა და მსაჯულის თანამდებობა უჭირავს. ცხადია, მათ არ უმძიმთ ცხოვრება და არც პატივსა და დიდებას არიან მოკლებულნი.

სხვა ვითარებაა მე-19 საუკუნის 50-იან წლებში, როცა ცხოვრობდნენ თავადი ინდო შერმანამე, აზნაური ზაალ პინტრიშიძე (“მზის დაბნელება საქართველოში”) და თავადი გოგია გაუყრელამე (“ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა”), მათ აღარავინ ეკითხება ქვეყნის მართვა-გამგეობას, ეკონომიურადაც უმწეო გამხდარან და ვეღარც ცხოვრების ახალ წესებში ერკვევიან.

თავადი თუ აზნაური ვაჭრის მოვალე გამხდარა. ამასთან, ისე ხშირად იღებენ სესხს და ისე უმძიმთ მისი გადახდა, რომ ნდობაც დაკარგული აქვთ. მათი გონებრივი ჰორიზონტი ხომ პირდაპირ სასაცილოა. თითოეული მათგანის მსჯელობა სმა – ჭამისა და და ბრიყვული ცრცმორწმუნეობის თემას არ სცილდება (“მზის დაბნელება საქართველოში”).

თავად ინდო შერმანამისა და აზნაურ ზაალ პინტრიშიძის დიალოგი გეურქ კარაპეტოვის ბინაში (“მზის დაბნელება საქართველოში”) მაღალი წოდების გონებრივი გადატაკებისა და და მატერიალური შევიწროების მაჩვენებელია. ისინი ერთმანეთს

აქარბებენ მზის დაბნელებასთან დაკავშირებით "მოსალოდნელი უბედურების" წარმოდგენაში.

ცრუმორწმუნე თავადი და აზნაური ისე ჩამორჩენილნი არიან, რომ არ სჯერათ გრიგოლ ჩემშაკოვის მიერ მზის დაბნელების ნამდვილი მიზეზის ახსნა, მზის დაბნელებას ისინი "უბედური და ცუდი დროით" ხსნიან. მაგრამ რატომ არის უბედური და ცუდი ის დრო, რომელსაც ისინი მოხუცებულობაში შეესწრებიან? აღარა აქვთ უანგარიშო დოვლათი, უჭირთ სტუმარს "კუჭი გაუძღონ".

ზაალის შეხედულებით, დღევანდელი ახალგაზრდები ღვინის უსმელობისაგან ავად ხდებიან და უდროოდ იხოცებიან. "ისინი ჩვენ დაგვცინიან, -ამბობს ის, - ვითომც ბევრ ღვინოს სმენო, ახლა ჩვენი ფერიცა ნახონ და იმათიც: ჩვენ რომ ღვინოსა ვსვამთ და გამოვდივართ გარეთა, წითლად ღაჟღაჟი გაგვაქვს, ისინი რომ ჩაის სმენ, მუცელში ჭაობი უკეთდებათ და იქიდან სიყვითლე შეზდით, მერე შეუათ სიჭლექე, იავადებენ და ისევ უცოლშვილონი ოცდახუთის წლის კაცნი კვდებიან. აბა იმათ ჩვენსავით ღვინო დალიონ, თუ ბევრი არ იცოცხლონ".

ინდო და ზაალი დეგრადაციის გზაზე დამდგარი თავადაზნაურობის ტიპიური წარმომადგენლებია. მათ გნეალოგიურ შტოს ქართულ ლიტერატურაში შემდეგში ლუარსაბ თათქარიძე (ი. ჭავჭავაძის "კაცია ადამიანი?!) ამშვენებს. ინდოსა და ზაალის "გონებრივი მოწიფულობა" და სულიერი იდეალები მემკვიდრეობით აქვს მიღებული ლუარსაბ თათქარიძეს, და ყოველივე ეს მასში უფრო აშკარად ჩანს დიდი მხატვარის კალმის წყალობით.

ინდოსა და ზაალის ორეულია გოგია გაუყრელიძეც ("ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა") მართალია, გოგიას ცხოვრება არ უჭირს, სასმელ – საჭმელი არ აკლია, მაგრამ ყოველივე ეს მისი ძმისწულის გოროდნიჩობის წყალობითაა. მიუხედავად ამისა, გოგია უკმაყოფილოა ახალი ცხოვრებით. მას არ მოსწონს, რომ სადილ – ვახშამის ჭამა გარკვეულ საათებშია "დაკანონებული", "როცა მომშივა, სადილი მაშინ მინდაო"; ვერ ეგუება ჩაის სმას. "თბილ წყალს მუცელს არ ვაჭუჭყიანებინებო", ღვინო მიაჩნია სულისა და ხორცის მარგებლად, უკურნებელი სენის წამლად და ლოცავს "მუხამბაზ ლათაიურის" ავტორს. ის უკმაყოფილოა ახალგაზრდებით, რომელებიც მეტწილად ქალაქის თამაშს მისდევენ, მარხვას არ იცავენ და ქალებში დროს ატარებენ. მოდაზე ჩაცმის სიყვარული ერთ-ერთ მთავარ უბედურებად მიაჩნია მას; ყველგან და ყოველთვის ძველ დროს აქებს, მაგრამ ძველის მოტრფიალე თავადი იმდენად გაუნათლებელი და ჩამორჩენილია, რომ არ ესმის, რას ნიშნავს ლიტერატორი, რა მნიშვნელობა აქვს ისტორიულ ძეგლთა შესწავლას

და სხვ. მას სასაცილოდაც არ ყოფნის მოქმედება იმ ადამიანებისა, რომლებიც ისტორიული ხასიათის მასალებს აგროვებენ.

თუ კომედიაში ”მზის დაბნელება საქართველოში” ავტორმა თავად – აზნაურთა ჩამორჩენილობა ინდოსა და ზაალის დიალოგებით წარმოგვიდგინა, გოგია გაუყრელადის სახით (”ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა”) ყოველივე ეს მოქმედებაში გვიჩვენა (მოვიგონოთ თუნდაც სცენა საუზმობისა, როცა გოგია ჩანგლით ტუჩს გაიხეთქს).

გოგიას არ უნდა რომ აჰყვეს ახალ წესებს, მაგრამ დაცინვისაც ეშინია. ეს აიძულებს მას ჩანგლით ჭამოს, რითაც კიდევ უფრო სასაცილო მდგომარეობაში ვარდება. ამ მცირე დეტალით ავტორი მნიშვნელოვანი მოვლენის ჩვენებას ახერხებს: აშკარას ხდის, რომ ერთი წოდების ორი თაობა ერთმანეთს საგრძნობლად დასცილდა, მაღალწოდებაშივე გარკვეული სხვადასხვაობაა.

თავად-აზნაურთა ძველი თაობის წარმომადგენელია აგრეთვე თავადი დავით სერაშიძე (”მე მინდა კნეინა გავხდე”) და აზნაური სვიმონ გვერდელაძე (”ქმარი ხუთი ცოლისა”).

დავით სერაშიძე ”ღარიბი და ქვრივი თავადი”, ”თვალად, ტანად ძალიან კარგია, მაგრამ ჯიბესთან ცოტა მწყრალია”, მამულები ”პრიკაზში” აქვს დაგირავებული, თან მდიდარი ვაჭრის – მინას შაჰყულოვის – ვალი მართებს. დავითის მძიმე მდგომარეობა მინასას უფრო აწუხებს, ვინემ თვით დავითს; არ იცის რა გზით დაიბრუნოს დავითისგან თავისი ექვსასი თუმანი, ვინაიდან ყმა და მამული სულ ”პრიკაზს” წაურთმევია მისთვის. მინასა გადაწყვეტს შერთოს დავითს თავისი მდიდარი მეზობელი, ღრმად მოხუცებული ქვრივი ბარბარე თულუხჩოვისა. ამით მას სამაჰანკლოც სურს მიიღოს და გავალეებული ექვსასი თუმანიც. დავითი სასტიკ უარზეა, მას აღელვებს კიდევ მინასას ასეთი მოულოდნელი წინადადება, მაგრამ ანგარიშიანობით დასაბუთებული რჩევა თანდათან ჭკუაში მოსდის.

დავითი გრძნობს, რომ მინასას წინადადება არაა მისი ღირების საკადრისი, მან და საპატარძლომაც ქორწინების შესაფერ ასაკს დიდი ხანია გადააცილეს, მაგრამ სხვა გზა არა აქვს. მას მხოლოდ ”ხარისხი” შერჩენია, ქონება კი ხელიდან წასვლია. ”ეჰ რა ვქნაო, ძმაო, - მიმართავს იგი ილიკო გურგენიძეს, - სიღარიბე ძნელია, ვალები დამატყდა, თორემ რაღა დროის ჩემი ცოლია, მერე იმისთანა ბებერი”.

განსაკუთრებული არაფერი შეიძლება ითქვას აზნაურ სვიმონ გვერდელაძეზე, რომელიც არაა ზ. ანტონოვის მიერ შექმნილი სახე. იგი არის მთავარი გმირი გადმოკეთებული ვოდევილის ”ქმარი ხუთი ცოლისა”. მართალია, აღნიშნული ვოდევილის მოქმედება ორიგინალურია, მაგრამ სვიმონის სახე სწორედ მეორე მოქმედებაში ყალიბდება. მისი სახე ზ. ანტონოვს ძირითადად მზამზარეულად აქვს

მიღებული. ამასთან იგი ძალიან ჰგავს გაიძვერობაში დახელოვნებულ ლომინ გოდაბრელიძეს (გ. ერისთავის "დავა").

სვიმონ გვერდელაძე ზნეობრივად გადაგვარებული, ქარაფშუტა აზნაურია. თავის მთავარ საქმედ მას ქალების მოტყუება და მათი შერთვა გაუხდია; დაიარება სხვადასხვა კუთხეში და ყველგან ქორწინდება.

უაღრესად ეპიზოდური სახეა აზნაური ესტატე ბურტყლაძე ("ქმარი ხუთი ცოლისა"), რომელიც არავითარ როლს არ ასრულებს პიესის მსვლელობაში (მიუხედავად იმისა, რომ მისი "დამსახურებაა" სვიმონის დაუსჯელად გადარჩენა).

ამგვარად, ზ. ანტონოვის დრამატურგიის მიხედვით თვად-აზნაურთა ძველი თაობა ეკონომიურად შევიწროვებული, გონებრივად გამოფიტული და ცხოვრების ალღოს მოკლებულია. მას არ გააჩნია არსებობის პერსპექტივა.

როგორიღაა ახალი თაობა? თავად -აზნაურთა ახალი თაობის წარმომადგენლებად ზ. ანტონოვის დრამატურგიაში გვევლინებიან მხოლოდ გაუყრელაძე-გოროდნიჩი, ტასია ("ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა") და ილიკო გურგენიძე ("მე მინდა კნეინა გავხდე").

ტასია მეორე ხარისხოვანი პერსონაჟია. იგი ავტორს სჭირდება მხოლოდ ფონის შესაქმნელად გვიჩვენოს ლიტერატორთა (ღრებაკოვი, იასამანიძე) სახეები. მას მეტად სიტყვამცირე როლი აქვს. მიუხედავად ამისა, ის მაინც ლამაზი, დარბაისელი და თავდაჭერილი ქალის შთაბეჭდილებას ახდენს. მაგრამ მას ვერ ვხედავთ მოქმედების ფართო ასპარეზზე, რის გამო მხოლოდ ეპიზოდურ სახედ რჩება.

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას გოროდნიჩის (გაუყრელაძის) შესახებ. გოროდნიჩის სახე და ხასიათი არაა ნაჩვენები მოქმედებაში, მაგრამ თუ მასზე უფრო სრული წარმოდგენა მაინც გვექნება, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ ვეცნობით მის გარშემო შექმნილ სიტუაციას. გოროდნიჩი ჩვენთვის ნაცნობი ხდება ბიძისა (გოგიას) და სტუმარ ლიტერატორთა წყალობით.

გოროდნიჩი არ ჰგავს თავის ბიძას. მან იცის არა მარტო ის, რომ "ძველი დრო სხვა იყო და ეს დრო სხვა არის", არამედ ცხოვრებისათვის საიმედო გზაც გამოუნახავს. ის არ მისტირის ძველს, კარგად გრძნობს თავს ახალ დროში და იცის, როგორ უნდა იცხოვროს. ცხოვრების ახალ მოთხოვნებს იგი ბრმად არ შეხვედრია, არ დაბნეულა; მოხელის შემოსავლიან თანამდებობაზე ბედნიერად გრძნობს თავს. მას სათანადო განათლებაც აქვს და კომიკურ მდგომარეობაშიც არასოდეს ვარდება. იგი ეკუთვნის თვად-აზნაურთა ახალგაზრდობის იმ ჯგუფს, რომელიც ცხოვრების ბურჟუაზიულ განვითარებას პრაქტიკული თვალით უცქერის, ის

უხერხულად გრძნობს თავს არა ახალი ეპოქის საზოგადოებაში, არამედ თავისი წოდების უფროს წარმომადგენელთა შორის.

ახალი თაობის წარმომადგენელთა შორის თავისებური სახეა თავადი ილიკო გურგენიძე. იგი გვევლინება შედარებით განათლებულ პიროვნებად, რომლისთვისაც ახალ ცხოვრებას თავისი ძუძუ უწოვებია, გრძნობს ახალი ცხოვრების უპირატესობას და, ეტყობა, უნარიც აქვს შეეგუოს და კვალდაკვალ გაჰყვეს მას. მაგრამ ჯერჯერობით მაინც ხელმოკლეა. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ეპოლეტების მეტი არა გააჩნია რა. სიღარიბის მიუხედავად, იგი ოჯახის შექმნას სხვაგვარად უყურებს, ვინემ ეს სინამდვილეში ივანე დიდებულიძემ გააკეთა (გ. ერისთავის ”გაყრა”), ანდა თვით სერაშიძეს სურს გააკეთოს (”მე მინდა კნენა გავხდე”). მას მთელი გულით უყვარს კეკელა და მზად არის შეებრძოლოს ყველას, ვინც სიყვარულის გზაზე გადაეღობება. მას სწამს, რომ ”ცოლქმრობა ერთმანეთის სურვილით და თანხმობით” უნდა იყოს და არა ანგარიშებზე დამყარებული.

თავდ -აზნაურთა ახალი თაობის წარმომადგენლები მეტად მკრთალი ფერებით არიან დახატულნი. მართალია, მათი სახით ავტორი არ ქმნის კომიკურ პერსონაჟებს, მაგრამ მემკვიდრეობითი სისუსტე, უხერხულობა მათ აშკარად ატყვიათ. ვერ ვიტყვით, რომ ავტორი მათ მთელი სიმპათიით უცქეროდეს. ეს გარემოება შეინიშნება არა მხოლოდ დასახელებულ პერსონაჟთა მოქმედების წყალობით, არამედ იმ დახასიათებითაც, რასაც მათ შესახებ ვისმენთ კომედიის სხვა გმირებისაგან. ახალი თაობა ძველთან შედარებით უფრო განათლებულია თითქოს, უფრო პრაქტიკულიც, მაგრამ მაინც ბევრი აკლია იმისათვის, რომ ახალი ცხოვრების სათავეში მოექცეს.

ძველი თაობისგან განსხვავებით, ახალი თაობის წარმომადგენლები აღარ მისდევენ გადაჭარბებულ ქეიფს, ლოთობას და უანგარიშო პურმარილს, ჩაის უფრო ხშირად მიირთმევენ, ვინემ ღვინოს, მაგრამ დროის ფლანგვაში ძველებს მაინც არ ჩამორჩებიან, ღამეებს ათენებენ ბანქოს თამაშსა და ბალებში. როგორც გაუყრელაძე (”ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა”) ამბობს, გათენებამდე ”ბანქოების შლას უნდებიან, მერე... გუთნისდედის სადილობამდინა ძინავთ”. სიმართლეს არაა მოკლებული არც ინდოსა და ზაალის მიერ (”მზის დაბნელება საქართველოში”) ახალი თაობის დახასიათება. ბევრი მათგანი მხოლოდ გარეგნულად ცდილობს ახალ ცხოვრებასთან შეგუებასა და დაახლოებას.

ზ. ანტონოვი დადებით გმირს ვერ პოულობს თავად-აზნაურთა ბანაკში, თუმცა, მისი შეხედულებით, მაღალი წოდება ზნეობრივად გაცილებით მაღლა დგას, ვინემ მისი ძლიერი მეტოქე ცხოვრების

სარბიელზე – სავაჭრო ბურჟუაზია. და ეს თითქოს იმდენად აშკარაა, რომ თვით ვაჭართა წრის წარმომადგენლებიც გრძნობენ. ბარბარეს თვალთმაქცობით შეწუხებული კეკელა (“მე მინდა კნეინა გავხდე”) თავის საქმროს ეუბნება: ”ილიკო, სწორედ ისა სჯობია, დავითთან მოვილაპარაკოთ, თავადის შვილია, არ შეიძლება იმაში კეთილშობილება არ იპოვებოდეს”. კეკელას შეხედულება მთელი სისრულით გაამართლა დავითმა, ხოლო შემდეგ ასეთივე კეთილშობილება გამოავლინა თვით ილიკომ.

\* \* \*

სავაჭრო ბურჟუაზიის წარმომადგენლები ზ. ანტონოვს გამოყვანილი ჰყავს პიესებში: ”მზის დაბნელება საქართველოში”, ”ქორწილი ხევსურთა”, ”მე მინდა კნეინა გავხდე” და ”განა ბიძამ ცოლი შეირთო”.

გეორჯ კარაპეტოვი (“ მზის დაბნელება საქართველოში”) ძველი ვაჭარია. როგორც ფულის მქონე და მევახშე, საკმაოდ ცნობილია, მაგრამ თავისი განათლებით ძალიან ჩამორჩება ახალ ცხოვრებას. ამიტომ ავტორიც საგანგებოდ უწოდებს მას ”ძველ ვაჭარს”. არც მაღალი წოდებისა და არც თავისი წრის ახალგაზრდობა აღარ მოსწონს გეურქას, ამისათვის მას ”საბუთიც” აქვს: ”მისი ჭკუის ხალხს ძვირათ ნახამ”, არ მოსწონს ახალ წესზე შემზადებული საქამანდი და სუფრის წესრიგი. განსაკუთრებით ჩაცმა-დახურვით გატაცება ამწარებს მას.

მდიდარ ვაჭარს სასიძოდ არ მოსწონს თავისი დგმური - განათლებული პორუჩიკი გრიგოლ ჩემშაკოვი, ვინაიდან იგი ჩინოვნიკია და ”ისიც ვოენი”. სამხედრო პირები, გეურქას თქმით, ფულებს ბზესავით ჰფანტავენ, ასეთი ზნის ხალხი, რა თქმა უნდა, მომჭირნე და ძუნწ გეურქას არ შეიძლება მოეწონო. ამიტომაც იგი ვერ დაითანხმა შუამავალად მისულმა მიკირტუმამ. გეურქას არ მოსწონს გრიგოლის არც ჩინი, არც ჯილდოები და არც განათლება. ”მე - ჩინოვნიკი ქალი არ მივცემ, მინდა ჩემი ტოლი ვაჭარი მივცე”, - ასეთია გეურქას დევიზი.

გეურქა დარწმუნებულია თავისი კლასის სიძლიერესა და უპირატესობაში; ასეთი რწმენისათვის საბაზიც აქვს. სესხის მისაღებად მას კარზე ადგანან: თავადი, აზნაური და გლეხი, მისი კაპიტალი ”დაბანდებულია” სოფლად და ქალაქად. მუქთად იგდებს ხელში ხორბალს და სოფლის სხვა სიმდიდრეს.

გეურქა გრძნობს თავის ეკონომიურ უპირატესობას, რაც მას ჭეშმარიტად აქვს, მაგრამ აშკარად ჩამორჩება ახალ ცხოვრებას საერთო

ცოდნით, განათლებით. ეს იცის მისმა ქალიშვილმა მარეხმაც, რომელიც ”პანციონშია” გაზრდილი და სულ სხვაგვარად ფიქრობს და აზროვნებს, ვინემ მისი მშობლები. საყურადღებოა, რომ ავტორი გეურქას პიროვნებას ოჯახურ გარემოში გვიხატავს, მის სიძლიერესა და სისუსტეს ოჯახურ ვითარებაში გვიჩვენებს.

თუ გეორქ კარაპეტოვს და მის საქმიანობას მკითხველი თუ მაყურებელი ოჯახურ გარემოში ეცნობა, სამაგიეროდ კიკოლა ფინაჩოვის (”ქორწილი ხევსურთა”) ”საგმირო საქმეებს” უშუალოდ მოქმედებაში ხედავს. ფინაჩოვი სოფლის წურბელა ვაჭარია, თვალთმაქცი და გაიძვერა. მისი სახით ჩვენს წინ დგას კაცი, რომელიც ფულისათვის ყველაფერს იკადრებს.

კიკოლა ფინაჩოვის სახით ავტორი გვიჩვენებს, თუ რა გზით ხდებიან ვაჭრები დიდი ფულისა და სიმდიდრის პატრონნი. მკითხველისათვის აშკარაა, რომ სავაჭრო ბურჟუაზიის სახით კიდევ ერთი ძლიერი სისხლისმწოველი გაუჩნდა მშრომელ ხალხს.

მევახშე ვაჭრის სახე რელიეფურად არის წარმოდგენილი კომედიაში ”მე მინდა კნენა გავხდე”, - მინას პეტრუზიჩ შაჰყულოვის სახით.

ზ. ანტონოვი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ვაჭართა ოჯახური ცხოვრება მეტად სავალალოა. გადაჭარბებულ სიძუნწეს და ანგარიშიანობას ვაჭართა ოჯახებში უთანხმოება, სიძულვილი და ღალატი შეაქვს. ცხადია, ახალგაზრდა სოფიო სხვის გულს უფრო ახარებს, ვიდრე მოხუცი ქმრის – გალუსტ მინაჩი თანდოვეისას (”განა ბიძიამ ცოლი შეირთო”), რომელსაც ცოლი იმიტომ შეურთავს, რომ ”ნასლედნიკი” იქნებ გაუჩნდეს და ქონება სხვის ხელში არ ჩავარდეს.

არც ბარბარე თულუხჩოვის საქმე მიდის კარგად (”მე მინდა კნენა გავხდე”). მისი სანუკვარი ოცნება – გახდეს კნენა – შეუსრულებელი რჩება. ხოლო ის სიმდიდრე, რომლის იმედიც ფიქრობს ცოლად გაჰყვეს თავადს, აღმოჩნდა, რომ მისი არ იყო. მას უნდოდა კეკელა მოეტყუებია, მაგრამ ბედმა უღალატა. კეკელამ თავისი კუთვნილი ქონებაც მიიღო და ქმარსაც თავის სურვილით გაჰყვა.

ბარბარე თულუხჩოვისას, მსგავსად მიკირტუმას და თათელასი (გ. ერისთავის ”გაყრა”), ჯერ კიდევ დიდ მოვლენად ესახება კნენობა. მაგრამ ასეთი შეხედულებას ზ. ანტონოვის მხოლოდ პირველ კომედიაში (”მე მინდა კნენა გავხდე”) ვხვდებით.

როგორც აღვნიშნეთ, მეტად დაუწყობელია გეურქ კარაპეტოვის ოჯახი (”მზის დაბნელება საქართველოში”). გეურქას დედა (ნენე) და მეუღლე (რევისიმე) ერთმანეთის ცემა-ტყეპაში არიან. ჩანს, ამ მხრივ არც ცოლ-ქმარია ერთმანეთთან ვალში, ხოლო ბებიას და შვილიშვილს

(მარეხი) სულ არ ესმით ერთმანეთის. მშობლების შეუგნებელი მოქმედების გამო შვილი იძულებულია ეშმაკობას მიმართოს, არაგულწრფელი იყოს.

ვაჭართა წრის უფროსი თაობა გაუნათლებელი, ცრუმორწმუნე და ცბიერია.

გარკვეული განსხვავებაა ვაჭართა კლასის ძველ და ახალ თაობებს შორის, უფრო სწორად, განათლების არმქონე ძველ ვაჭართა წრესა და ამ წრიდან გამოსულ განათლებულ ახალგაზრდებს შორის. ამის თქმის უფლებას გვაძლევს კეკელა ("მე მინდა კნეინა გავხდე"), მარეხი და გრიგოლი ("მზის დაბნელება საქართველოში").

კეკელა განათლებული და მგრძნობიარე ქალია. იგი ერთმანეთში არ ურევს ანგარებასა და სიყვარულს, მისი საქმრო ილიკო გურგენიძე ხელმოკლეა, მაგრამ მას არავისში გაცვლის. ილიკოში მას იტაცებს "შშვენება და ზრდილობა", რასაც ყველაზე მეტად აფასებს.

კეკელაში არც ბოროტება იპოვება და არც სიძუნწე, მას მტკიცე ხასიათი და საღი გრძნობები აქვს, იგი ოცნებობს არა კნეინობაზე, არამედ მხოლოდ იმაზე, რომ ილიკოს მეგობარი იყოს.

კეკელას ორეულია მარეხიც ("მზის დაბნელება საქართველოში"). ისიც განათლებული, პანსიონში გაზრდილი ქალია, მას მთელი მთელი გულით უყვარს პორუჩიკის გრიგოლ ჩემმაკოვი, მაგრამ მშობლები ელობებიან გზაზე. სხვა შემთხვევაში მარეხი მშობლების მორჩილი აღმოჩნდებოდა, მაგრამ გონება მახვიდ ქალს კარგად ესმის, რა განსხვავებაა თავს მოხვეულ სიყვარულის შედეგად მომხდარ ქორწინებას შორის.

ავტორი სიმპატიურად ხატავს მარეხის საქმროს-გროიგოლ ჩემმაკოვსაც. გრიგოლი სამხედრო პირია, ნაკითხი და ცოდნის მოყვარული, ზნეობრივად სპეტაკი და მტკიცე. მას აკვირვებს ძველი თაობის (როგორც თავად-აზნაურობის, ისე ვაჭართა საზოგადოების) ჩამორჩენილობა, ცრუმორწმუნეობა და ახლისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება. ძველის მოტრფიალეთ და ახლის მომდურავთ მოურიდელად მიმართავს: "იმას ხომ არ გრძნობთ, თუ ამ ახალმა დრომ აღმოაჩინა საქართველოში სწავლა, ხელოვნება, განათლება და სიბრძნე, რომლითაც ძენი საქართველოში დღე და ღამე ემსგავსებიან ევროპის განათლებულ ხალხთა და მიიღწევიან ფილოსოფიის სწავლამდე. თქვენ ისევე ძველ წესზე მიიწევთ და სამდურავს ამბობთ, ჩვენს ჭკუაზედ არავინ იქცევიათ. აბა რა ჭკუა გაქვთ, რა გელაპარაკოთ, მე გიმარტავთ მზის დაბნელების მიზეზებსა, თქვენ დამცინით".



გრიგოლის მოქმედება თავისუფალია როგორც მაღალი წოდების ფუქსავატობის გამოვლენისაგან, ასევე ვაჭართა კლასისათვის დამახასიათებელი სიმუნწისაგან.

მიუხედავად კლასობრივი განსხვავებისა, გრიგოლი ძალიან ჰგავს ილიკო გურგენიძეს ("მე მინდა კნეინა გავხდე"), მათი ცხოვრების გზებიც თითქმის ერთნაირად მიიმართება. არც გრიგოლი არის მდიდარი, მაგრამ, თუ მარებს მისი მეტი ქმარი არ უნდა (მსგავსად კეკელასი), ეს იმიტომ, რომ "იმისი ზრდილობა და სწავლა უმჯობესი არის ყველას სიმდიდრეზედ". მაგრამ მათ აკლიათ მოქმედების უნარი, ბრძოლის პათოსი, რის გამო მაინც სქემატურ სახეებად რჩებიან.

ზ. ანტონოვის შეხედულებით, ადამიანის ღირების მაჩვენებელია არა წოდებრივი უპირატესობა, არა სიმდიდრე, არამედ ზნეობრივი სისპეტაკე, კეთილშობილება და სწავლა-განათლება.

დადებითი პერსონაჟები (ილიკო გურგენიძე, კეკელა თულუხჩოვი, მარეხ კარაპეტოვი და გრიგოლ ჩემშაკოვი) ზ. ანტონოვის კომედიებში არ არიან წარმოდგენილი როგორც თავიანთი კლასის მემკვიდრენი, ვიწრო კლასობრივი და ეროვნული ინტერესებით შეზღუდულნი. ამიტომაც, რომ მწერალი მათ უფრო სიმპათიურად გვიხატავს, ვინემ უფროს თაობას. მილიციის პროპორჩიკი ილიკო გურგენიძე ჩვენს წინაშე დგას არა როგორც თავადი, მემამულე, ბევრი თუ მცირე მამულისა და ყმის პატრონი, არამედ როგორც მოსამსახურე, ჩინოვნიკი, შედარებით განათლებული პიროვნება; ასევეა გრიგოლ ჩემშაკოვიც. გრიგოლ ჩემშაკოვი წარმომადგენელია არა ვაჭართა ახალი თაობისა, არამედ განათლებულ სამხედრო მოსამსახურეების. რატომ ვუწოდებთ მას ვაჭართა ახალი თაობის წარმომადგენელს? იმიტომ ხომ არა, რომ იგი ჩემშაკოვია? გრიგოლი ავტორის მიერ, არც წარმოშობით და არც საქმიანობით, დაკავშირებული არაა ვაჭრებთან და ვაჭრობასთან. ხოლო კეკელა და მარეხი, რომელნიც ვაჭართა წრიდან არიან გამოსულნი, სრულებით არ გამოდგებიან ამ კლასის ღირების საჩვენებლად. პირიქით, მათი საშუალებით ავტორი ააშკარავებს ვაჭართა კლასის უმსგავსოებას.

ზ. ანტონოვის შეხედულებით, სწავლა-განათლება ადამიანს შესაძლებლობას აძლევს დასძლიოს თავისი კლასის ზნეობრივი სიღატაკე და იქცეს კეთილშობილ მოქალაქედ. ავტორის სიმპათიები სწორედ ამ უკანასკნელთა მხარეზეა. მიკირტუმ მინასოვი გაკვირვებული მიმართავს გეურქას: "ვა, პანციონში გაზრდილი ქალმა ვაჭარი გინდა მისცე". ამით ბევრი რამაა ნათქვამი. პიროვნების ღირსების საზომად ზ. ანტონოვს არც სიმდიდრე მიაჩნია და არც მაღალი წარმოშობა.

\* \* \*

ზ. ანტონოვის დრამატურგიაში ხშირად ვხვდებით სახელმწიფო აპარატის წარმომადგენლებს, ჩინოვნიკებს. მათ შესახებ მწერალს თავისი გარკვეული აზრი აქვს და ყველა მოხელე ერთნაირად როდი ჰყავს დახასიათებული. იგი აქაც თავის საზომს იმარჯვებს. ბევრი მათგანი გაუნათლებელი და უვიცია, ბრმად სცემს თაყვანს თავის უფროსს და მონურად იგრიხება მის წინაშე, ბრძანებას თუ დავალებას შეუგნებლად ასრულებს, თვალი მხოლოდ გამორჩენაზე და წაგლეჯაზე აქვს გამახვილებული. ასეთებია: თბილისის მამასახლისი გოგია ბინდიაშვილი, გზირი კიკოლა ყურშავაძე (“ქმარი ხუთი ცოლისა”), იასაული, მამასახლისი (“ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა”), “ნადზირატელი”, “დესეტნიკი” (“მე მინდა კნენა გავხდე”) და სხვ.

ყველა მათგანი უუფლებოა და ღარიბ ხალხს სწოვს სისიხლს, წანაგლეჯის მიკუთვნებისას კი ერთმანეთს შორის ვერ რიგდებიან. გზირს მამასახლისი ეჯავრება, მამასახლისის – იასაული და მოურავი, თუმცა გარეგნულად დიდ პატივისცემასა და მოკრძალებას იჩენენ უფროსების წინაშე.

მათი მოქმედების დამაჯერებელი სურათი მოცემულია კომედიაში “ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა”, ქვრივი გლეხის ქალის თინათინასა და გზირ-მამასახლისის დიალოგებში.

არიან ისეთი მოხელეებიც, რომლებსაც ცოდნა და განათლება მიუღიათ. მათი ზნეობრივი ღირსება და გონებრივი ჰორიზონტი შეუდარებლად მაღალია. ამ ჯგუფის წარმომადგენლებია: პარმენ იასამანიძე, გრიგოლ ღრეზაკოვი (“ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა”), გრიგოლ ჩემშაკოვი (“მზის დაბნელება საქართველოში”) და ილიკო გურგენიძე (მე მინდა კნენა გავხდე”). ორ უკანასკნელს საკმარისად ვიცნობთ უკვე. რაც შეეხება პარმენ იასამანიძეს და გრიგოლ ღრეზაკოვს, მათ თავისებური ადგილი უჭირავთ ზ. ანტონოვის პიესების პერსონაჟთა გალერეაში. საფუძვლიან განათლებასთან ერთად მათ მაღალი თანამდებობა აქვთ. მწერალს ჰქონდა შესაძლებლობა შედარებით უნაკლო პერსონაჟებად მოეცა მათი სახეები, მაგრამ ეს გზა არ აირჩია. დიდი ცოდნისა და მაღალი თანამდებობის მოხელეები, რომლებიც კეთილ საქმეებს აკეთებენ, აღწერენ და იკვლევენ ისტორიულ ძეგლებს, ხშირად სასაცილო მდგომარეობაში ვარდებიან. მათ აკლიათ სერიოზულობა და თავდაჭერილობა, ვერ აღწევენ თავს შეუფერებელ მოქმედებას.

მაგრამ ისინი დაზღვეულნი არიან, რა თქმა უნდა, ისეთი "აბრუნდებისაგან", რასაც ბინდიაშვილები თუ ყურშავაძეები ჩვეულებრივ საქმედ თვლიან.

იასამანიძეს და ღრეზაკოვს აკლიათ ნებისყოფა. თავიანთი ღირსებისადმი პატივისცემა. მათი ხვეწნა-მუდარა ტასიასადმი, რათა უფლება მიიღონ მისი სახის დასახატავად, ხალხში გაკვირვებასა და დამსახურებულ სიცილს იწვევს. ისინი ლამაზი ქალის ნახვისას სასაცილონი ხდებიან.

ზ. ანტონოვი მოხელეთა საქმიანობისა და მათი ღირების ჩვენების დროსაც გადამწყვეტ მნიშვნელობას სწავლა-განათლებას აძლევს.

საერთოდ, ბიუროკრატ-მოხელეთა კრიტიკა ზ. ანტონოვის კომედიებში უფრო მკრთალადაა წარმოდგენილი, ვინემ გ. ერისთავის პიესებში, მაგრამ მათი "საქმიანობა" ნაჩვენებია ღარიბ ხალხთან ურთიერთობაში.

ზ. ანტონოვის პიესებში მეტად მკრთალად არიან წარმოდგენილი მსახურებიც: არაა ნაჩვენები მათი ცხოვრება, ფიქრები და მისწრაფება. მწერალი მათ ძირითადად ორი მიზნით იყენებს: კომიკური სიტუაციებისა და ახალი სურათების შესაქმნელად. ისინი თავიანთ პატრონებს ატყობინებენ ახალ-ახალ ამბებს, რითაც სიტუაციებს ცვლიან და გვაძლევენ ისეთი მოვლენების გათვალისწინების საშუალებას, რასაც სცენაზე ვერ ვხედავთ. მათი დიალოგი თავიანთ პატრონებთან თითქმის ყოველთვის კომიზმის გამომწვევია.

\* \* \*

ზ. ანტონოვის მთავარი დამსახურებაა დაბალი ფენის ცხოვრებით დაინტერესება, მათი გამოყვანა სცენაზე. მისი მიზანია ასახოს ცხოვრების მთელი სინამდვილე, ყველა სოციალური ფენა და ჯგუფი.

ზ. ანტონოვმა, ამ მხრივ, წინ წასწია ქართული დრამატურგია და ქართული მწერლობა საერთოდ. გ. ერისთავის **რეალიზმი მან გაამდიდრა დემოკრატიზმით**. გარდა იმისა, რომ მან თავისი დრამა "ქორწილი ხევსურთა" საგანგებოდ მთელი ხალხის ცხოვრებას, მათი გრძნობა-ფიქრებისა და ჩვეულებების ასახვას მიუძღვნა, გლახთა სახეები მოგვცა სხვა პიესებშიც.

ბერუა ბასილაშვილის, იორდანე მამულაშვილის ("ქმარი ხუთი ცოლისა"), ბარუა ლაპინაშვილის ("მზის დაბნელება საქართველოში"), ბერუას, ნინიკასა და თინათინას ("ტივით მოგზაურობა

ლიტერატორთა”) სახით ჩვენ გარკვეული წარმოდგენა გვექმნება გლეხთა ცხოვრებაზე, მათ უმწეო მდგომარეობაზე.

პიესის ”ქმარი ხუთი ცოლისა” პირველი მოქმედება ზ. ანტონოვის ორიგინალური ქმნილებაა. იგი საგანგებოდ შექმნა დრამატურგმა და დაუმატა პიესის გადმოკეთებულ მეორე მოქმედებას. მასში ნაჩვენებია მოხელეები (მოურავი, მამასახლისი, გზირი), მათი საქმიანობა, კერძოდ, მათი დამოკიდებულება გლეხობასთან. ამ ურთიერთობის მხატვრული გადაწყვეტის მიზნით ავტორი გვიხატავს გლეხთა სახეებს, გვახედებს მათი ცხოვრებისა და მდგომარეობის თავისებურებაში.

მოხელეთა (იასაული, მამასახლისი, გზირი) თავგასულობა და მათ მიერ გლეხთა შევიწროება მეტი სიცხადით ნაჩვენებია კომედიაში ”ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა”. უფლისციხის მცხოვრებნი აკლებული ჰყავთ მამასახლისსა და გზირს. იმ საბაბით, რომ გამოქვაბულის დასათვალიერებლად მოსულ სტუმრებს პატივისცემა უნდა, ყოველდღე სტაცებენ გლეხებს ქათმებს, ღვინოს, ჰურს და სხვა სანოვაგეს. გაწეული ხარჯისათვის სტუმრები ფულს უხდიან მამასახლისსა და გზირს, მაგრამ ისინი გლეხებს არაფერს უბრუნებენ. თინათინას ყოველი სიტყვა გლეხთა უმწეო მდგომარეობაზე მიუთითებს. იგი მოთმინებიდან გამოუყვანია სოფლის წურბელა მოხელეებს და, როგორც პიესიდან ჩანს, თინათინა გამონაკლისი როდია.

ისამანიძის და ღრეზაკოვის ”ლალის ჯვრების” დამნახავი გლეხი ნინიკა ნატრობს ერთი ჯვარი მასაც ჰქონდეს, რომ გაყიდოს და ”იმ ფულით ერთი ურმის კაი ხარ-კამეჩი” იყიდოს” ნიშანდობლივია იმავე ნინიკას სიტყვები: ”დიდ კაცსა ვერცარა წყალი მოერევა და ვერცარა მიწაო”.

გლეხკაცი შრომობს, ქმნის დოვლათს, მაგრამ ბატონი და მოხელეები სტაცებენ, რის გამო ყველაფერი სანატრელი უხდება. კიდევ მეტი, ხშირად გაროზგვასა და დამცირებასაც ვერ ასცდენია. ამიტომაც, რომ, როცა მაგიდის უქონლობის გამო პარმენ იასამანიძე გადაწყვეტს სახატავი ქალაღი გლეხების ზურგზე გაშალოს და მათ მიმართავს: ”გლეხებო, წაიკუზუნით და ერთმა მე მომიშვირეთ ზურგი და მეორემ მაგასა (აჩვენებს გრიგოლაზედა)”, გლეხებს შიში შეიპყრობთ. შეწუხებული ბერუა პარმენს ეხვეწება: ”ნუ ინებებთ, შენი ჭირიმე, ჩვენს დალუპვასა... იცის ღმერთმა, არაფერი არა დაგვიშავებია რაო “. ბერუა ფიქრობს, რომ ზურგის მიშვერას იმიტომ სთხოვენ, რომ ”უთუოდ რუსულად უნდა დალაზონ”.

ასეთი ჩართული სცენით ზ. ანტონოვი ახერხებს ისტორიულად გაკვეთილს კოლონიური ჩაგვრის ჩაგვრის ნიადაგზე აღმოცენებული

უმსგავსოება. იგი გვაგრნობინებს, რომ, სხვა შევიწროვებასთან ერთად, გლეხის გაროზგვის შემთხვევებიც არაა იშვიათი.

ცხადია, ასეთმა მწარე გამოცდილებამ აიძულა გლეხი ბერუა ლაპინაშვილი (“მზის დაბნელება საქართველოში”) ქალაქში ჩავიდეს და გეურქა კარაპეტოვისაგან ვალი აიღოს. მრავალმხრივ საინტერესოა ბერუასა და გეურქას დიალოგი.

ბერუას სიტყვები გლეხთა მდგომარეობის ცოცხალ სურათს ხატავს. გლეხს სიცოცხლეს უმწარებს მებატონე, სამღვდელოება, მოხელეები, მკითხავეები და ყოველი მუქთახორა. ყველა მათგანი მოხერხებულ მომენტს მხოლოდ და მხოლოდ თავისი ჯიბის გასასუქებლად იყენებს. მზის დაბნელების გამო ზოგს კიდევ უფრო გასთენებია: მღვდელს და მკითხავს უზომო შემოსავალი გასჩენიათ.

უთუოდ ბევრი გასაჭირის მნახველი ბერუა ახალ დროს უფრო ემდურის, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გლეხის მდგომარეობა კიდევ უფრო მიმე გამხდარა. “დიამბეგის, იასაულების შიშით სახლში ქათამი ვერ შემინახავსო”, წუხს ბერუა.

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ გლეხის მოტყუებასა და წაგლეჯაში სხვებს არც ვაჭრები ჩამორჩებიან (“ქორწილი ხევსურთა”), ჩვენ წარმოგვიდგება საკმაოდ სრული სურათი იმდროინდელი სოციალური უკუღმართობისა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზ. ანტონოვის გლეხებს აკლიათ მეზრძოლი განწყობილება. ისინი ერიდებიან მებატონის აუგად ხსენებას, უფრო მეტ გაბედულებას მოხელეთა და ვაჭართა შესახებ მსჯელობისას იჩენენ. მართალია, პიესებში კარგად იგრძნობა ის, თუ რა მდგომარეობაშია გლეხი ბატონყმური ურთიერთობის ეპოქაში, მაგრამ მკაცრი გალაშქრება ამ ურთიერთობის წინააღმდეგ არ გვაქვს და მისი კრიტიკა მოცემულია არაპირდაპირ და მკრთალად. ზ. ანტონოვი ამ შემთხვევაში სიფრთხილეს იჩენს, რათა აშკარად არ დაუპირისპირდეს პრივილეგიურ წოდებას. ზ. ანტონოვის პირობებში მყოფს (დაბალი წრიდან გამოსულს) მეტი გაბედულება საბედისწერო ნაბიჯად უნდა მიეჩნია.

ხევსურთა სოფლის ცხოვრებას მიემღვნა პიესა “ქორწილი ხევსურთა” რომელიც თავისებურ ადგილს იჭერს ზ. ანტონოვის დრამატურგიაში. პიესაში ნაჩვენებია ხევსურთა ცხოვრების სოციალური მხარე და საყოფაცხოვრებო ხასიათის თავისებურებანი.

აიხდება თუ არა ფარდა, სცენაზე ჩანს ხევსურთა სოფელი – შატილი. მეცხვარე ნინიკა ფანტულაური და მისი მწყემსი ბესო ქვაყორაული სამოვრისაკენ ცხვარს მიერეკებიან.

მკითხველი თუ მაყურებელი ხედავს, რომ დრამატურგმა მის წინაშე თავისებური სამყარო გადაშალა, თავისებური ჩვევების მქონე

გმირები აამეტყველა, რომლის მსგავსს ქართული თეატრი და დრამატურგია მანამდე არ იცნობდა. სცენაზე თეთრჩოხიანი და ღიპებდასიებული თავადები და მათი გაქონილი მსახურები კი არ ფუსფუსებენ, არამედ კომბლიანი მწყემსები დააბოტებენ. მოქმედების დასაწყისშივე ნათელი ხდება, თუ როგორი სისწრაფითა და სიძლიერით იპყრობს სიყვარულის გრძნობა ლადი მთის შვილებს; ვხედავთ იმასაც, თუ რამდენად შეზღუდულია ქალის უფლება - თვითონ ამოირჩიოს თავისი გულისსწორი. ამ მომენტს უსიამოვნო დისონანსი შეაქვს ახალგაზრდების ცხოვრებაში, მაგრამ ძნელია მისი გვერდის ავლა, ტრადიცია ხშირად გრძნობასაც აუფერულებს. ნინიკამ მაქანკალი გაგზავნა და ქორწილის დანიშვნაც გადაწყვიტა. დათია ლუმსაურს ვაჟის მაყრები ესტუმრნენ და დედოფლის წაყვანა სურთ, მაგრამ დათიამ საქორწილო რიგი და ქორწილის თავისთან გადახდა მოითხოვა.

ვაჟის მაყრებს სხვა გზა აღარა აქვთ და ქალიც ძალით მიჰყავთ. ჩვენ თვალწინ იშლება ხევსურული ქორწილის თავისებური ცერემონიალი, რომელიც გარკვეულ ინტერესს იწვევს.

საინტერესო სახლია რაჭველი წყალობიკაც. იგი ავტორის მიერ საგანგებოდ არის გამოყვანილი პიესაში. მიუხედავად იმისა, რომ იგი სულ რამდენიმე წუთსაა სცენაზე, მისი საშუალებით დრამატურგი მაინც ახერხებს წარმოგვიდგინოს ცხოვრება იმ ხალხისა, რომელიც სოფელ – სოფელ დაიარება დღიური სამუშაოსათვის და ცოტაოდენ ფულს ასე შოულობს. ვაჭარ კაკოლას მიერ “მოტყუებული” წყალობიკა გახარებულია, რომ ცუდად აწონილ მატყლს ვაჭარმა ორმოცდაათი მანეთი გადმოაყოლა.

“ქორწილი ხევსურთა” ახალი და საინტერესო მოვლენა იყო ქართული დრამატურგიის და თეატრის ისტორიაში. მან თეატრის სცენაზე უფლება მოუპოვა და გზა გაუხსნა დაბალი წრის ხალხის ცხოვრების ამსახველ პიესებს. ამიტომ იყო, რომ კრიტიკა მას იმთავითვე აღფრთოვანებით შეხვდა<sup>[6]</sup>.

რჩება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ზ. ანტონოვი საგანგებოდ იყო დაინტერესებული სცენაზე გამოყვანა და მაყურებლისათვის ეჩვენებინა ყველა საზოგადოებრივი ფენის წარმომადგენელი. მისი დრამატურგია ამ მიმართულებით მეტად მდიდარია. მას მხედველობიდან არ გამორჩენია ქალაქის მცხოვრებთა მრავალფეროვნება ეროვნული თუ სოციალური შემადგენლობის მხრივ უფრო სრულ სურათს ამ მხრივ იძლევა კომედია “მზის დაბნელება საქართველოში”. ჩვენთვის ცნობილ გმირთა გვერდით ძველი თბილისის ქუჩებში ვხედავთ ნაყინით მოვაჭრე გერმანელს, თავლთმაქცობით ფულის შოვნის მსურველ ფრანგს, მთვრალ რუსს,

მეზურნეებს, საზანდრებს, თეთრქუდოსან შარლატანებს და სხვ. ჩვენ თვალწინ ცოცხლდება ძველი თბილისი, აღმოსავლური და დასავლური ფერებით შემკული.

\* \* \*

ზ. ანტონოვის პიესათა შორის, როგორც ჟანრობრივად ასევე შინაარსითაც, განცალკევებულად დგას “ქოროლი”.

“ქოროლი” არ ეხება საქართველოს ცხოვრებას. მოქმედება წარმოებს არზრუმის საფაშოში, მთავარი მოქმედი პირები არიან: არზრუმის ფაშა – ჯაფარი, მისი ქალი გულნარა, სულთანის მდივანი - სულეიმანი, ალია ქოროლი და მისი მეგობარი დემურჩოლი.

ავტორის მიზანია შექმნას დაჩაგრული ხალხის ინტერესების დამცველი გმირის სახე. ქოროლი მუსულმანურ სამყაროში მოხვედრილი არსენა ოძელაშვილია. მართალია, იგი წარმოშობით არაა მდაბიოთა წრიდან გამოსული, ხანის შვილია, მაგრამ შაჰსა და დიდებულთა შორის გამეფებულმა დაბეზღებებმა, რასაც მისი მამის დაბრძავება მოჰყვა, ალიას თვალები აუხილა. მას სძულს პატივმოყვარე და ცბიერი დიდებულები, სასახლეთა ვირთაგვები, რომლებიც თავაშვებულად ცხოვრობენ, ერთმანეთს არ ინდობენ და ღარიბ ხალხს აწვანან შესანახად. სულთანისა და ფაშების ჰარამხანებში ბევრი გული იწამლება, წრფელი სიყვარულით შეპყრობილი ასულები ხშირად სულთანისა და ფაშების გასართობ საგნებად ხდებიან. ასეთი ბედი ელოდა გულნარასაც, მაგრამ იგი იხსნეს ქოროლიმ და მისმა მეგობრებმა.

ქოროლი ცნობილი შურისმაძიებელია. მისი სახელი შორსაა გავარდნილი. უდანაშაულოდ დასჯილი მამის ჯავრს უსამართლო და მდიდრ მოხელეებზე იყრის. მ აგრამ იგი არაა პირადი ანგარებით გატაცებული. იგი მოქმედებს არსენას დევიზით: “მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს”. მას მოსაკლავად დასდევენ ფაშები და მათი მოხელენი, მაგრამ მისთვის ლოცულობენ ქვრივ – ობლები. ამიტომაც, რომ იგი თავდავიწყებით უყვართ მეგობრებს, პატიოსან ადამიანებს.

ქოროლის სახის შექმნა ზ. ანტონოვის დიდი დამსახურებაა. იგი ღარიბი ხალხის დამცველი პირველი გმირია, რომელიც გამოჩნდა ქართული თეატრის სცენაზე. დემურჩოლის საჯაროდ თქმული სიტყვები, რომ ქოროლი ავაზაკი კი არა, მდიდრების მტერი და ღარიბთა მფარველია, რომ ავაზაკნი თვითონ ფაშები და მირზა-

მდივნები არიან, ცხადია, ქუხილივით ისმოდა იმდროინდელი თეატრის სცენიდან.

გამეფებული უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო იარაღად ზ. ანტონოვს მეგობრული სიმტკიცე და შეთანხმებულობა მიაჩნია. ქოროლლი ძლიერია თავისი მეგობრების წყალობით, ხოლო მისი მეგობრები - ქოროლით.

გმირული დრამა “ქოროლლი” მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო გასული საუკუნის 50-იანი წლების დრამატურგიულ მწერლობაში. მასში გამოჩნდა დაჩაგრულთა ინტერესების დამცველი გმირი, რომელიც ლახავს დაბრკოლებებს და იმარჯვებს. დრამას “ქოროლლი” აქვს სუსტი მხარეებიც. კერძოდ, ქოროლლი ნაჩვენებია არა იმ კუთხით, რომლითაც უფრო საინტერესო იქნებოდა სოციალური თუ პოლიტიკური თვალსაზრისით.

\* \* \*

მიზნად დაისახა რა თანამედროვე ცხოვრების ასახვა და ამ სინამდვილის ჩამორჩენილი და დრომოჭმული მხარეების წინააღმდეგ ბრძოლა, ზ. ანტონოვი აღმოჩნდა კრიტიკული რეალიზმის პოზიციებზე.

გ. ერისთავის მიერ მწერლობაში არჩეული გზა სწორად სცნო ზ. ანტონოვმა. მისი საუკეთესო პიესები” “მზის დაბნელება საქართველოში” და “ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა” სწორედ სოციალური კომედიებია.

გმირული და საყოფაცხოვრებო დრამების დაწერამდე ზ. ანტონოვი შემთხვევით არ მისულა. ეს გამოწვეული იყო გარკვეული აუცილებლობით. მან, გააფართოვა რა თავის მასწავლებლის შემოქმედების თემატიკა და გაამახვილა რა ყურადღება უბრალო ხალხის ცხოვრებისადმი, მიმართა ახალ ჟანრს, რომელიც უფრო შეეფერებოდა ხალხის ცხოვრების ჩვენებას.

ზ. ანტონოვი პიესებს წერდა სცენაზე წარმოსადგენად. ამიტომ მათი მხატვრული ღირსება ადვილად არ ამოიკითხება ტექსტიდან, საჭიროა ყურადღება მიექცეს მათ სცენურობას.

ზ. ანტონოვის პიესებისათვის დამახასიათებელია სიუჟეტის მარტივი განვითარება, პარალელური ხაზების სიმცირე. ამდენად, მოქმედების მთლიანობა (ერთიანობა) მთელი სიზუსტითაა დაცული, რაც ავტორს შესაძლებლობას აძლევს ადვილად დაიყვანოს მაყურებლამდე პიესის იდეური აზრი, თუმცა ამით სუსტდება მისი ემოციური ძალა. მოქმედების ერთიანობის დაცვისათვის. განსაკუთრებით კომედიებში, ავტორი გადაჭარბებულ პუნქტუალობას



იჩენს. მისი გმირები სცენაზე ჩნდებიან მაშინვე, როგორც კი ისინი საჭირონი არიან შექმნილი სიტუაციის გასარკვევად. გადახვევები, სხვადასხვა დაბრკოლებები, გართულების შემტანი მოვლენები ზ. ანტონოვის კომედიებში თითქმის არ გვხვდება.

პარალელური ხაზები ზ. ანტონოვის კომედიებში უკიდურესობამდე მოკლებული არიან “ავტონომიურობას”. ავტორი მათ იმარჯვეს მხოლოდ და მხოლოდ ძირითადი სიუჟეტური ხაზის განვითარებისათვის, ფინალის გაგების გასაადვილებლად. ამ მხრივ მეტ თავისებურებას ამჟღავნებენ მისი დრამები (“ქორწილი ხევსურთა” და “ქოროლი”), სადაც პარალელური სცენები ნამდვილად პარალელურ სცენებს წარმოადგენენ, არაპირდაპირი გზით უკავშირდებიან მაგისტრალურ ხაზს. მაგალითად, კაკოლა ფინაჩოვისა და დათია ლუმსაურის შეხვედრის სცენა (“ქორწილი ხევსურთა”).

საყურადღებოა, რომ კომედიებში, ავტორი ძირითადად ფსიქოლოგიურ მოტივაციას მიმართავს, ხოლო დრამებში მთავარი სიმძიმე ლოგიკურ მოტივაციაზეა გადატანილი. ესაა მიზეზი, რომ ზ. ანტონოვის პიესებში არაფერი გვეჩვენება ნაძალადევად. ამ მხრივაც იგი რეალიზმის პრინციპების ჭეშმარიტი დამცველია. მას ვერ იტაცებს გადაჭარბებული ჰიპერბოლოზობა და გაუმართლებელი ეფექტი.

ზ. ანტონოვი კარგად იცნობს სცენურ ტექნიკას, რის გამო გარკვეული ყურადღებით ეპყრობა რემარკების დაზუსტებას, მაგრამ მთავარ ყურადღებას მაინც სიტყვა-მოქმედებას აქცევს.

ზ. ანტონოვის დრამატურგიისათვის დამახასიათებელია **სენტენცია-აფორიზმების გამოყენება**. მწერალი ჭარბად იყენებს რუსთაველის აფორიზმებს, ალ. ჭავჭავაძის, დ. ბატონიშვილისა და სხვათა ლექსებს. მაგრამ მათ გამოყენებას ზოგჯერ მეტად არაბუნებრივი ელფერიც აქვს. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ გრიგოლისა და მარეხის სცენა (“მზის დაბნელება საქართველოში”), როცა მარეხი გრიგოლს ფიცს აძლევს თინათინის სიტყვებით (“ფიცით-გითხრობ”...), ხოლო გრიგოლი უპასუხებს ტარიელის სიტყვებით (“აწ რასაც მე მაღირსებ...”). ასევე არაბუნებრივია ზოგჯერ რემარკებით მითითებული ქცევა-მოქმედებაც, მაგალითად, სიყვარულით შეპყრობილი გმირები შეყვარებულის დანახვისთანავე გულწასულნი ვარდებიან სავარძელზე (გრიგოლი, მარეხი, კეკელა, ილიკო).

ავტორი უხვად იყენებს ხალხურ ზეპირსიტყვიერებასაც, იმარჯვებს ანდაზებსა და ხალხურ ლექსებს, ლექსები, უმეტეს

შემთხვევაში, სიმღერით შესასრულებლად არის გამიზნული (“ქორწილი ხევსურთა” “ქოროლი”, “მზის დაბნელება საქათველოში”).

ზ. ანტონოვი დიალოგებსა და მონოლოგებს კარგად იყენებს, როგორც გმირთა სოციალური ბუნებისა და გონებრივი დონის გამოვლენის საშუალებას, როგორც კომიზმის წყაროს. ზ. ანტონოვის კომიზმი მეტად ბუნებრივია, ამასთან მძაფრი. იგი არ ინდობს თავის გმირებს არა მარტო მიუღებელი მოქმედებისათვის, უზნეობისათვის, კონსერვატიზმისათვის, არამედ უხეირო მეტყველებისათვისაც.

)))))))))ზ. ანტონოვის კომედიებში ყველაზე დამახინჯებული ენით სავაჭრო ბურჟუაზიის წარმომადგენლები ლაპარაკობენ. მათი ლექსიკური მარაგი შევსებულია რუსული, ქართული და სომხური ენებიდან.

სხვაგვარია მეტყველება იმ გმირების, რომლებსაც სწავლა-განათლება მიუღიათ. ასეთებია: გრიგოლი, მარეხი, ილიკო და კეკელა. მიუხედავად ეროვნული სხვაობისა, მათი ქართული მეტყველება ერთნაირია და გამართული.

ცხოვრების კარგი ცოდნა, საზოგადოებრივი მოვლენებისადმი თვალყურის დევნება და მათი განზოგადოების უნარი ზ. ანტონოვს საშუალებას აძლევდა შეექმნა ჭეშმარიტად რეალისტური თხზულებანი.

გადმოცემები გვარწმუნებს, რომ ზ. ანტონოვი მეტად მცირე დროის განმავლობაში წერდა თავის პიესებს. ამასთან, მისი პიესის შექმნის საბაზად მეტად კონკრეტული ამბები და მოვლენები გამხდარა. მის თხზულებათა 1876 წლის გამომცემლები შენიშნავენ: “ხევსურთ ქორწილზე” გაგვიგონია, რომ ერთ დილით შეხვდნენ ხევსურები ქალაქს ჩამოსულები. მივიდა იმათთან რიყეზე, გამოჰკითხა ყოფაცხოვრების ამბავი, დაწერა რამდენიმე მათი ლექსი და იმავე ღამეს დაწერა მთელი ზემოხსენებული პიესა”.

ხოლო მისი კომედიის (“ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა”) ერთ-ერთი გმირის პროტოტიპი, ცნობილი მოღვაწე პლ. იოსელიანი, წერს: “ტკბილია ტივზე ჯდომა და სიარული მტკვრისა გზითა. კნიაზმან გიორგი გაგარინმან, აწ ლოფმიესტერმან, მოინდომა წამოსვლა გორიდან ტფილისს და ვიარეთ იმ გზით მე და მან 1851 წელსა სექტემბრის თვეში. დილით წამოსული მოვედით ს. გომსა. და მეორესა დღესა, 8 რიცხვსა, ქალაქსა ტფილისსა, ტივზედ მჯდომელნი თავისუფლად და დაუბრკოლებლივ ვიკითხავდით წიგნთა და ვწერდით... ესრეთმა ჩვენმა მგზავრობამან მისცა საგანი კომედიის მწერალსა ანტონოვსა და დასწერა ტივით სიარული. კ. ვორონცოვმან... დააჯილდოვა მწერალი და მიიღო თავისდა ყოველივე დასაბეჭდავად წარსაგებელი”<sup>[7]</sup>.

აქ მოყვანილი ორივე შემთხვევა მხოლოდ საბაზი გახდა აღნიშნული კომედიების დაწერისათვის. ავტორს, ცხადია, ადრეც საკმარისი დაკვირვება და შემუშავებული საერთო შეხედულება ჰქონდა შესაფერ მოვლენებზე, რომლებიც კონკრეტულ გამოხატვას ელოდნენ.

თვით ზ. ანტონოვი კომედიას “ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა” ასეთ შენიშვნას უკეთებს: “იქნებ, რომელთამე წამკითხველთაგანს სათნოდ არ აღმოუჩნდეს ეს პიესა, მაგრამ დაფასება ამ პიესის ღირსებისა შეუძლიათ იმ პირთა, რომელთ სურვილისათვისაც არის დაწერილი, და აგრეთვე იმათაცა, რომელთაც ნამდვილ იციან სიუჟეტი ამ პიესისა”.

თავისი ისტორია აქვს დრამას “ქოროლი”. ზ. ანტონოვს აღნიშნული დრამის შექმნისას უსარგებლია ი. ევლახოვის მოთხრობით “შამლიბელის ველი”, რომელიც 1849წელს გამოქვეყნდა სათაურით “Шамлибельская долина”.

ზ. ანტონოვის ორიგინალურ პიესათა ჭეშმარიტ წყაოს თვით ცხოვრების სინამდვილე წარმოადგენს, მათში ჩვენ ვერ შევხვდებით ვერც ერთ ისეთ პერსონაჟს, ვერც ერთ ისეთ სურათს, რომელიც არ შეეფერებოდეს იმდროინდელ სინამდვილეს და მეტ-ნაკლები სისწორით არ ასახავდეს მას.

\* \* \*

ცხოვრების ობიექტურმა სინამდვილემ და გ. ერისთავის მიერ ლიტერატურაში მომარჯვებულმა რეალისტურმა მეთოდმა მოამზადა ნიადაგი, რათა ზ. ანტონოვის შემოქმედებითი ნიჭი თავიდანვე დანიშნულებისამებრ წარმართულიყო. თავისი მოწოდებით იგი კომედიოგრაფი იყო და შესაფერმა გარემომაც საშუალება მისცა მას გამოევიდინა თავისი ნიჭი.

ზ. ანტონოვს არ გაუვლია ის გრძელი და ზიგზაგებიანი გზა, რომლის გავლა წილად ხვდა “გაყრისა” და “მუნწის” ავტორს. მას მომზადებული ნიადაგი დახვდა. მან, როგორც ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, მხოლოდ გააღრმავა და გააფართოვა თავისი მასწავლებლის შემოქმედება.

ზ. ანტონოვმა სამარცხვინო ბოძზე გააკრა პრივილეგიური მაღალი წოდება და ბურჟუაზიაც, რომელიც პირველ ნაბიჯებს დგამდა. ზ. ანტონოვის მთავარი დამსახურება ქართული მწერლობის წინაშე იმაშია, რომ ის დაინტერესდა უბრალო ხალხის ცხოვრებით და ხალხის ინტერესების დამცველი გმირიც გამოიყვანა სცენაზე.

მართალია, მის გამირებში არავინაა ისეთი, რომელშიც შეგნებულად და აქტიურად იბრძოდეს არსებული ცხოვრების წინააღმდეგ, მათი უმეტესობის ინტელექტუალური დონეც დაბალია, მაგრამ, სამაგიეროდ, გამოჩნდა ის წრე, უბრალო ხალხის სახით, სადაც უნდა დავაჟაკცებულებინ ასეთი გამირები. აქეთკენაა მიმართული ზ. ანტონოვის შემოქმედებითი ყურადღებაც.

ზ. ანტონოვმა მაშინდელ მაღალ წოდებას და ვაჭართა კლასის წარმომადგენლებს დაუპირისპირა მათივე წიალიდან გამოსული განათლებული ადამიანები (გრიგოლ ჩეშმაკოვი, ილიკო გურგენიძე, მარეხი, კეკელა), რომლებიც ადამიანის ღირსებას წარმოშობით და სიმდიდრით კი არ ზომავენ, არამედ ზნეობრივი ღირსებითა და გონებრივი განვითარების დონით. ისინი თავისუფალნი არიან იმ უვიცობისა და ბოროტებისაგან, რაც მათი წინაპრებისათვისაა დამახასიათებელი და სამართლიან პროტესტს იწვევს ჩვენში. მაგრამ მათ აკლიათ ბნელით გარემოცული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის პათოსი, სუსტნი არიან და ეს სისუსტე მარტო ავტორის სისუსტე როდია, ეს თვით ეპოქის სისუსტეა. ესაა იმის მიზეზიც, რომ უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებული ქოროლი და მისი მეგობრებიც ავტორმა შედარებით მკრთალად გვიჩვენა.

ზ. ანტონოვი არ სახავს სურათს იმ მომავალი ცხოვრებისას, რომელიც მისაღები იქნებოდა თვით ავტორისათვის. იგი კმაყოფილდება თანამედროვე ცხოვრების მძაფრი კრიტიკით, უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლით, უვარგისისა და დრომოქმულის კომიკურ სახეებში ჩვენებით.

ზ. ანტონოვი არ მისულა კლასთა ბრძოლის იდეამდე. იგი მთელ იმედებს ძირითადად განათლებაზე და მის გავრცელებაზე ამყარებდა. იგი ჩვენ არ გვევლინება, როგორც რომელიმე გარკვეული კლასის აპოლოგეტი. მასში განმანათლებლის ნიშან-თვისებები ჭარბობს.

ზ. ანტონოვი იყო თავისი დროის ნიჭიერი რეალისტი მწერალი, რომელმაც გარკვეული როლი ითამაშა კრიტიკული რეალიზმის ჩამოყალიბების საქმეში. გ. ერისთავთან ერთად მან ქართული მწერლობის წინაშე ახალი სამყარო გადაშალა, ინტერესთა ახალი სფერო შექმნა. მართალი იყო პროფ. ალ. ცაგარელი, რომელიც ჯერ კიდევ სამოციან წლებში შენიშნავდა: “გადაავლეთ თვალი ერისთავისა და ანტონოვის კომედიებს... ყველა ქართველი სარკვესავით შიგ დაინახავს და იცნობს თავის თავს”<sup>[8]</sup>.

გ. ერისთავი ზ. ანტონოვის დიდი მასწავლებელია. ისინი იწყებენ ახალ ეპოქას – ეპოქას კრიტიკული რეალიზმისას.

- [1] ად. თუთაევის ცნობით – 20 თებერვალს. იხ. მისი წერილი “დრამატურგი ზურაბ ნაზარის ძე ანტონოვი”, ჟურნალი “თეატრი და ცხოვრება”, 1910, №12.
- [2] გრ. ანტონოვი, “ზურაბ ანტონოვი და მისნი თხზულებანი”, იხ. თხზულებანი ზ. ნ. ანტონოვისა, 1876, გვ. IV.
- [3] ად. თუთაევი. დრამატურგი ზურაბ ნაზარის ძე ანტონოვი, ჟურნალი “თეატრი და ცხოვრება”, 1910, №2 .
- [4] ს. მგალობლიშვილი, ორი თვე სოფლად, გაზეთი “დროება”, 1884, №130.
- [5] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, 1927, ტ. IV, გვ. 245-246.
- [6] ა. ქ-ძე, ზ. ანტონოვის თხზულებანი, გაზ. ”დროება” 1876, № 33, №34.
- [7] პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1931 გვ. 83.
- [8] ალ. ცაგარელი, წიგნი მიწერილი ქართულს წარმოდგენაზე..., ჟურნალი “ცისკარი”, 1865, №4.

## ივანე კერესელიძე (1826-1892)

ივანე კერესელიძე 50-იანი წლების საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოძრაობის უმუალო გამგრძელებელია. გიორგი ერისთავის შემდეგ ის ჩაუდგა სათავეში ქართულ თეატრსა და ჟურნალს - ეროვნული კულტურის ორ მთავარ ბურჯს და მთელი სიცოცხლე ამ დიდ საქმეს ანაცვალა.

ივანე ივანეს ძე კერესელიძე დაიბადა თბილისში, 1829 წლის 10 ნოემბრს.

1839 წელს ივანე კერესელიძე დედამ კერძო პანსიონში მიაბარა, სადაც იგი ორ წელს სწავლობდა; 1841 წელს თბილისის სასულიერო სასწავლებელში განაგრძო სწავლა, ხოლო 1843 წელს კეთილშობილთა გიმნაზიაში მიიღეს.

1849 წლიდან ი. კერესელიძე მხურვალედ მონაწილეობდა გ. ერისთავის დრამატული დასის პირველ წარმოდგენებში, რომლებიც გიმნაზიის დარბაზში იმართებოდა. გ. ერისთავმა ის თავის თანაშემწედ დანიშნა და, როგორც რეჟისორს, რეპეტიციების ჩატარება მიანდო; ამასთან, ი. კერესელიძე პიესებსაც წერდა და სცენაზეც გამოდიოდა.

ი. კერესელიძე გიმნაზიაში სწავლის დროს გაეცნო, აგრეთვე, ნიკოლოზ ბარათაშვილს, გრიგოლ ორბელიანს, დიმიტრი ყიფიანსა და სხვა გამოჩენილ მწერლებს; გატაცებული იყო ლიტერატურით, თხზავდა ლექსებს, თარგმნიდა პიესებსა და მოთხრობებს.

1850 წელს ივ. კერესელიძემ წარმატებით დაამთავრა გიმნაზია, ხოლო მომდევნო წელს დავით დადიანმა და ეკატერინე

ჭავჭავაძემ ზუგდიდში მიიწვიეს შვილების აღმზრდელად. მთავრის ოჯახში გატარებულმა წლებმა, ეკატერინე და ნინო ჭავჭავაძეებთან მეგობრობამ, მათი მდიდარი ბიბლიოთეკის გაცნობამ, რუს და ქართველ მოღვაწეებთან ურთიერთობამ, დიდი როლი შეასრულა ივ. კერესელიძის საზოგადოებრივ-ლიტერატურული ინტერესების ჩამოყალიბებაში. დადიანებმა გულუხვად დაასაჩუქრეს ივანე და ეს ქონება მან ქართული კულტურის სასარგებლოდ გაამოიყენა.

1854 წლიდან ივ. კერესელიძე მეთაურობდა სახსარსა და მფარველობას მოკლებულ ქართულ დრამატულ დასს. თავდადებული შრომით მან ორი სეზონის ჩატარება შეძლო.

ლიტერატურული ჟურნალის დაარსებაზე ივ. კერესელიძე გიმნაზიაში სწავლის დროსვე ოცნებობდა, ხოლო 1853 წლიდან სამზადისსაც შეუდგა. 1856 წელს "ცისკრის" აღდგენის ნება მიიღო და 1857 წლიდან გამოცემაც დაიწყო. თვრამეტი წლის მანძილზე, 1875 წლამდე, იგი უცვლელად ხელმძღვანელობდა ამ ჟურნალს.

ნებართვის მიღებამდე ივ. კერესელიძემ ხელი მიჰყო ქართული წიგნების გამოცემას და 1852-1856წწ., სხვათა შორის, დაბეჭდა საკუთარი პოემები: "მწყემსის სიყვარული" და "ნაოხარი სოფელი"; სახელმძღვანელოები: "საკითხავი წიგნი ახალმოსწავლეთა ყრმათათვის", "ანბანი ახალმოსწავლეთა ყრმათათვის", "მოკეთე სიტყვა" და სხვ., რომელთა ნაწილს უფასოდ ურიგებდა ხალხს.

1857 წელს ივ. კერესელიძემ ცოლად შეირთო მსახიობი ნინო უზნაძე, რომელმაც ამაგი დასდო მშობლიურ კულტურას, ქართულ ჟურნალისტიკას.

სულ მალე ი. კერესელიძის ოჯახი თბილისის ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების ცენტრად გადაიქცა. ქართული ლიტერატურისა და კულტურის საჭირობოროტო საკითხებზე მოსალაპარაკებლად ამ საქმის ენთუზიასტები ივ. კერესელიძის სახლში იყრიდნენ თავს. აქ იკრიბებოდნენ: გრიგოლ, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, აკაკი წერეთელი, ლავრენტი არდაზიანი, რაფიელ ერისთავი, ბარბარე ჯორჯაძე, დანიელ ჭონქაძე, დ. ბაქრაძე ანტ. ფურცელაძე და სხვ. 1859 წელს ქართველი საზოგადოება აქ შეხვდა გამოჩენილ ფრანგ მწერალს ალექსანდრე დიუმას, რომელმაც გულთბილი სტრიქონები მიუძღვნა გულუხვ მასპინძელსა და მის ლიტერატურულ სალონს.

ივ. კერესელიძე მეტად მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწეოდა. წერდა ლექსებს, მოთხრობებს, პიესებს, კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებს, გამოკვლევებს, თარგმნიდა მეცნიერულ და მხატვრულ

თხზულებებს, ბეჭდავდა წიგნებს და სათავეში ედგა სხვადასხვა საზოგადოებრივ-საქველმოქმედო წამოწყებას, მაგრამ ჩვენი მწერლობის ისტორიაში მისი უმთავრესი დამსახურება მაინც "ცისკართან" არის დაკავშირებული.

ივ. კერესელიძის "ცისკარი" პრინციპულად განსხვავდებოდა წინანდელი ქართული გამოცემებისაგან.

საქმის მკვიდრ ნიადაგზე დასამყარებლად ი. კერესელიძემ, ჯერ კიდევ ნებართვის მიღებამდე, უშუალოდ ხალხთან გააბა კავშირი. იგი სათავეში ჩაუდგა ქართული წიგნის პროპაგანდას; სისტემატურად აქვეყნებდა მოწოდებებს საზოგადოებისადმი, განუმარტავდა მას ჟურნალის როლს მშობლიური კულტურის განვითარებაში, ცდილობდა გაეღვიძებინა ეროვნული გრძნობა, ემოქმედნა თანამემამულეთა ნაციონალურ თავმოყვარეობაზე, ჩაეფიქრებინა ისინი სამშობლოს ბედზე. გარდა სარედაქციო წერილებისა, ივ. კერესელიძემ სპეციალური სტატიები მიუძღვნა ქართული ჟურნალისა და წიგნის გავრცელების საკითხებს.

ივ. კერესელიძის "ცისკარში" ერთნაირი აქტივობით მონაწილეობდნენ სხვადასხვა კუთხის ქართველნი. ჟურნალი საქართველოს ყველა კუთხეში ვრცელდებოდა და თანაბრად აშუქებდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ცხოვრებას. იგი, შეიძლება ითქვას, სრულიად საქართველოს პირველი ბეჭდვითი ორგანო იყო და მან უსათუოდ დიდი როლი შეასრულა საერთო ეროვნული შეგნების გამომუშავებასა და განმტკიცებაში.

1857 წლიდან "ცისკართან" არსებობდა ქართული ლიტერატურის მოყვარულთა არალეგალური წრე, რომელსაც ივ. კერესელიძე მეთაურობდა. ამ წრეში, სხვათა შორის, გერცენის საზღვარგარეთულ გამოცემებსაც იცნობდნენ.

ივ. კერესელიძე დიდი ყურადღებით ეკიდებოდა მდაბიო მკითხველის მოთხოვნებს. ჟურნალს მეტი ტირაჟით ბეჭდავდა, ვიდრე ხელისმომწერთაგან ჰქონდა დაკვეთილი და ზედმეტ ეგზემპლარებს უფასოდ ურიგებდა ხალხს. ასევე უფასოდ გზავნიდა ჟურნალს შორეულ, მთიან და თურქთაგან დაპყრობილ მესხეთ –აჭარაში (სადაც მან, სხვათაშორის, 1869 წელს არალეგალურად იმოგზაურა). ის ნომრები, რომლებშიც დ. ჭონქაძის, ი. ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვათა ნაწერები იყო გამოქვეყნებული, ორმაგი და სამმაგი ტირაჟით გამოდიოდა.

ხელისუფლებისათვის იმთავითვე ცნობილი გამხდარა "ცისკართან" არსებული წრის საქმიანობა და 1857 წელს ჟანდარმერიას ფარული მეთვალყურეობა დაუწესებია აღნიშნული წრისა და პირადად რედაქტორისადმი; იქიდან მოკიდებული ივ.

კერესელიძე პოლიციის საიდუმლო მეთვალყურეობაში იმყოფებოდა.

ხელისუფლება და მისი მსახურნი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ ქართულ ჟურნალს არსებობა შეეწყვიტა, ხოლო არისტოკრატის მომეტებულ ნაწილს არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო თუ უსიცოცხლო, მათი მონა-მორჩილი ჟურნალი იარსებებდა. ივ. კერესელიძე ცდილობდა არა მარტო შეენარჩუნებინა ჟურნალი, არამედ გარკვეული დამოკიდებულობაც მოეპოვებინა მისთვის. ცნობილია, რომ ივ. კერესელიძე საკუთარ ქონებას ახმარდა "ცისკარს"; თვითონ აწყობდა, ბეჭდავდა და ურიგებდა ხელისმომწერთ, -მაგრამ იგი არ დაკმაყოფილდა ჩუმი მუშაობით, არ მიჰყვა თვითდინებას, არამედ სათავეში ჩაუდგა მშობლიური ენისა და ლიტერატურის განვითარებისთვის ბრძოლას, რომელსაც მწვავე ხასიათი ჰქონდა.

ივ. კერესელიძე "მოლაყბის" ფსევდონიმით წერდა. საერთოდ, "ცისკარში" დაბეჭდილი "სალაყბო ფურცლები" ყურადღებას იპყრობს თემატიკის მრავალფეროვნებით, აქტუალობით, პოლიტიკური სიმახვილით. მოლაყბე გულმხურვალედ ლაპარაკობს საზოგადო საქმეზე; მის სიტყვებში მუდამ ისმის საერთო საქმის წარუმატებლობით გამოწვეული გულისტკივილი, რომელსაც იგი თანაგრძნობის გამოწვევის აშკარა სურვილით უზიარებს მკითხველს.

ივ. კერესელიძემ ჩამოაყალიბა ქართული დაწყებითი სკოლის გახსნის პროგრამა და დაასაბუთა დედა ენაზე სწავლების აუცილებლობა. ეს არის დედა ენაზე სწავლებისათვის იმ ბრძოლის დასაწყისი, რომელიც 70 – 80-იან წლებში გაჩაღდა.

"ცისკარს" ბრძოლა უხდებოდა როგორც ოფიციალურ, ისე არაოფიციალურ ცენზურასთან, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული. "მაღალი საზოგადოება" ისეთი თხზულებების წინააღმდეგაც ილაშქრებდა, რომელთა დაბეჭდვა ოფიციალური ცენზურის მიერ ნებადართული იყო. ამ სიძნელეთა მიუხედავად, ივ. კერესელიძე მაინც ახერხებდა ჟურნალში პროგრესულ-დემოკრატიული შეხედულებების გმოთქმას, ცენზურისათვის მიუღებელი ნაწარმოებების გაოქვენებას.

1852 –1856 წლებში ივ. კერესელიძის მიერ დაწერილი თხზულებანი მიზნად ისახავდა ბატონყმობის იდეურ-ზნეობრივი საფუძვლების გაკიცხვას. ივ. კერესელიძე ცდილობდა გამოეწვია სიბრალული ყმებისადმი, დაენახვებინა მკითხველისათვის გლეხთა ადამიანური ღირსებანი, მათი სულისა და გონების მაღალი თვისებები. მაგრამ ივ. კერესელიძის ამ თხზულებათა



გმირები ”ციდან ჩამოსულ ანგელოზებს ჰგვანან”; მათ იდეალური თვისებები აქვთ მინიჭებული. თავისთავად ცხადია, სინამდვილის ასეთი შელამაზება უარყოფით გავლენას ახდენდა ნაწარმოების მხატვრულ ღირსებაზე. ტიპიურ სახეთა ნაცვლად იქმნებოდა იდეალურ ადამიანთა (გლეხთა ) სქემები. ასეთ სერიოზულ ნაკლოვანებათა მიუხედავად, ივ. კერესელიძის ამ თხზულებებს მაინც მნიშვნელობა ჰქონდა. ქართული ლიტერატურის ისტორიაში ისინი გარკვეულ საფეხურს ქმნიან და ქართული რეალისტური ლიტერატურის თანდათანობითი განვითარების გასათვალისწინებლად უთუოდ აუცილებელია ანგარიში გაეწიოს ივ.კერესელიძის ისეთ ნაწარმოებებს, როგორცაა ”მწყემსის სიყვარული” და ”შვილი უმანკოებისა”

”მწყემსის სიყვარული”, რომელშიც 1855 წელს დაიბეჭდა ცალკე წიგნად, გლეხთა სოციალური ცხოვრების ამსახველი პირველი ორიგინალური ნაწარმოებია. ავტორის მიზანია გლეხთა მძიმე მდგომარეობის დახატვა, მათი მაღალზნეობრივი თვისებების ჩვენება და ამით ბატონყმობის უღელში მგმინავი ხალხისადმი სიმპათიის აღძვრა. პოეტი გვიჩვენებს, რომ ”ბუნებით ყველა ადამიანი ერთია” და, ამიტომ, ერთნაირი უფლების ღირსიცაა.

პოემაში აღწერილია შეძლებული მემამულის ასულისა და უშიშარი ჭაბუკი გლეხის სიყვარული. გლეხის სიტყვებში მკაფიოდ ისმის პროტესტი არსებული წყობილებისადმი, ზნეობის დამკვიდრებული ნორმებისადმი. იგი მეამბოხე და მებრძოლია, თავგანწირულია დასახული მიზნის მისაღწევად. მისი რწმენით, ადამიანი ბედს არ უნდა დაემონოს, მდგომარეობას არ უნდა შეურიგდეს და, მიუხედავად იმისა, თუ რა დაბრკოლებებთან მოუხდება შერკინება, გაბედულად უნდა იბრძოლოს პირადი თავისუფლებისათვის. იგი გაიტაცებს სატრფოს და იარაღით იცავს მოპოვებულ ბედნიერებას. ბატონყმური სოფლის ნაღვლიანი ცხოვრების სურათებს პოეტი უპირისპირებს ტყეში გაქცეული გლეხის თავისუფალ ცხოვრებას და ამ კონტრასტით გადმოგვცემს პოემს ძირითად იდეას. ავტორი სანიმუშოდ და სასიქადულოდ სახავს გმირის კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას. მისი იდეალი ამ ამბოხებელი გლეხის მოქმედებაშია განხორციელებული. პოეტი აღფრთოვანებით უმღერის ძალას, მიზნის მიღწევისათვის თავდადებას.

”მწყემსის სიყვარული” მხატვრულად სუსტი ნაწარმოებია. პოეტი იძულებული იყო სიუჟეტი ბუნდოვან გარსში შეეფუთნა და პოემისათვის იდილია ეწოდებინა; მაგრამ ამან მაინც ვერ შეუშალა

ხელი ახალი იდეური ტენდენციის გამოვლინებას მის წარმატებას ხელი შეუწყო ხალხურმა ენამ, ხალხის გნწყობილებასთან შინაარსის სიახლოვემ. დ. ჭონქაძემ "სურამის ციხის" ეპიგრაფად გამოიყენა ამ პოემის ეპილოგი:

მიიღე მხურვალ ჩანგზედ გალობა,  
იკითხე გლეხთაც კარგი ქალობა,  
სოფლელმაც იცის, ჰსცან სიყვარული.  
შენ კი!..

ქრონოლოგიურად ამავე პერიოდს ეკუთვნის ივ. კერესელიძის გადმოკეთებული ხუთმოქმედებიანი დრამა "შვილი უმანკოებისა", რომელიც 1856 წელს სცენაზეც წარმოუდგენიათ, ხოლო 1858 წელს "ცისკარში" დაიბეჭდა (ოთხი მოქმედება).

"შვილი უმანკოებისა" გერმანელი მწერლის ავგუსტ კოცებუს ამავე სახელწოდების თხზულებიდან არის გადმოკეთებული. ივ. კერესელიძე თითქმის ზუსტად მიჰყვება ორიგინალის სიუჟეტურ ხაზს, მაგრამ ამძაფრებს პიესის სოციალურ მხარეს, შეაქვს მასში საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი სურათები, ცდილობს რეალისტურად დახატოს კოცებუს სენტიმენტალურ გმირთა სახეები. მისი თავადი დიასამიძე, მაგალითად, გაცილებით უფრო მკაცრი და შეუბრალებელია, ვიდრე კოცებუს ბარონ ფონ ნოიჰოფი.

პიესის შინაარსი გაშლილია საქართველოს თანამედროვე ცხოვრების ფონზე. გადმომკეთებელი მიზნად ისახავს გვიჩვენოს, რომ გაბატონებული ფენების წარმომადგენლებში, თავადაზნაურებში, ვაჭრებში, მოხელეებში ადამიანობის ნიშანწყალიც არ მოიპოვება და მათგან არავინ უნდა მოელოდეს არათუ თავისუფლებას, ერთ ლუკმა პურსა და ოდნავ სიბრალულსაც კი. მებატონეები უკანასკნელ ლუკმას ართმევენ მხვნელ-მთესველთ. "კაცო, რაღა გუშინ წაუღე ხარჯი ბატონსა, ახლა რომ გვქონოდა, რა კეთილს საქმეს ვიზამდით!"- ეუბნება წვრილშვილის დედა თავის ქმარს. წინააღმდეგ თავადაზნაურთა მტკიცებისა, რომ ბატონყმობას ჩვენში მამაშვილური ხასიათი ჰქონდა, ივ. კერესელიძეს ნაჩვენები აქვს პოლიტიკური და ეკონომიური ჩაგვრის სურათები. "მე ასე მიჭირს და ვიფიქროთ ახლა, რამდენი ფული მიდი-მოდის სტოლზედ ქალაღდის თამაშობაში თბილისის კლუბში", - კვენესის პიესის მთავარი პერსონაჟი გრიგოლი. " ვინ კითხულობს ჩვენს ბედნიერებას, ბევრიც, რომ გვინდოდეს", - ჩივის მეორე გლეხი. "შენ დიდკაცობაზედ რას ლაპარაობ? დიდკაცობა მიქარვას! ყოველნი კაცნი ერთის კაცის შათამომავალნი ვართ"... "რა ცოდვა იქნებოდა,

რომ წამერთმია იმ თავადისათვის... აბა, თქვენ ყოფილიყავით ჩემს ალაგას!” ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართული ასეთი რეპლიკები გაისმა ქართულ სცენაზე 1856 წელს.

თხზულების ბოლო ნაწილში ივ. კერესელიძე სულ უფრო შორდება ორიგინალს, ამწვავებს სოციალურ კონფლიქტს, თავისუფლდება კოცებუს სენტიმენტალიზმისაგან და უთუოდ ამის გამო აკრძალა ცენზურამ პიესის უკანასკნელი მოქმედების ბეჭდვა. ”შვილი უმანკოებისა” ლიტერატურულად ღირშესანიშნავ ნაწარმოებს არ წარმოადგენს, მაგრამ ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების გათვალისწინებისათვის მნიშვნელობა აქვს.

1857 წლიდან მოყოლებული ”ცისკრის” ფურცლები სავსეა ბატონყმობის საწინააღმდეგო ნაწერებით და, უნდა ითქვას, რომ რედაქტორმა საკმარისი სიძლიერით გააშუქა თავისი დროის ეს ყველაზე მწვავე სოციალური პრობლემა. 1858 წლის დეკემბერში, იმპერატორის სიტყვას ამოფარებულმა, მან რადიკალური შეხედულებები გამოთქვა ბატონყმობის მოსპობის აუცილებლობაზე. ივ. კერესელიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის დ. ჭონქაძის ”სურმის ციხის” დაბეჭდვასა და პოპულარიზაციაში.

ბატონყმობის გადავარდნის პირველსავე წლებში ივ. კერესელიძემ გვიჩვენა სოფლიდან გამოდევნილი, ლუკმაპურის საშოვნელად მოხეტიალე გლეხის გაჭირვება და მხურვალე თანაგრძნობა გამოხატა ამ გაპროლეტარებული სოფლელებისადმი. ამ მხრივ ინტერესს იწვევს მისი წერილი ”მატყლის სარეცხი ქარხანა თბილისში”, რომელშიც მუშათა აუტანელი პირობებია აღწერილი. ივ. კერესელიძე კარგად იცნობდა გლეხთა ცხოვრებას, მთელი არსებით თანაუგრძნობდა მათ და შეეძლო დაეხატა წელში გატეხილი სოფლის ავ-კარგი, ”შემოსავლის მეხუთედს გლეხი აძლევს მამულის პატრონს, -წერდა იგი,- მეხუთედი ვაჭარს მიაქვს. დანარჩენს კვლავ მემამულე იყოფს შუაზე, ნახევარს თავის სასარგებლოდ იღებს, მეორე ნახევრიდან, რომელიც მაინც უნდა დარჩეს გლეხკაცსა – მოურავი თავის სამოურავოს იღებს, ზოგს აწყვამი ატყუებს და გლეხკაცი საცოდავი რჩება ხელცარიელი”

ამ პერიოდის პოეტურ შემოქმედებაშიც ივ. კერესელიძე ამხელდა სოციალური სინამდვილის მახინჯ მხარეებს, ებრძოდა ჩაგვრასა და თვითნებობას. ბევრ მის ლექსში მხილებულია ”მეფის წყალობის” თვალთმაქცური ხასიათი. ნაჩვენებია, რომ ჯოჯოხეთურ ჭირ-ვარამში გამოვლილი ხალხი კვლავ დაჩაგრული და მწუხარეა. ეს აზრია გამოხატული ელეგიაში ”მშვიდობიანი სურვილი”, რომელიც ბატონყმობის გაუქმების მეორე წელს დაიბეჭდა.

ივ. კერესელიძის პირველი ლექსი "ზაკავკაზსკი ვესტნიკმა" დაბეჭდა 1854 წელს ("1854 წლის ომზედ"); იქვე პროზაული თარგმანი და კრიტიკული წერილიც მოათავსეს, რომელშიც ნათქვამია, რომ ეს ლექსი "გაჟღენთილია ჭეშმარიტი პატრიოტული გრძნობით".

შემდეგ ივ. კერესელიძის ლექსები იბეჭდებოდა "ცისკარში", "დროებაში", "იმედში", "ივერიაში", "მწყემსსა" და სხვა ჟურნალ-გაზეთებში. 1859 წელს გამოვიდა ლექსთა პირველი კრებული, ხოლო 1878 წელს – მეორე კრებული.

ივ. კერესელიძის შემოქმედების პირველი პერიოდის (1849 – 1858) ზოგიერთი ლექსისათვის დამახასიათებელია წუთისოფლის მდურვა, სიცოცხლის ამაოებაზე ოხვრა, სააქაო ცხოვრების წარმავლობაზე ჩივილი. ზოგჯერ ივ. კერესელიძე ღვინით სავსე აზარფემას, ხეივანში გაშლილ სუფრასა და "ძველქართველურ" დროსტარებასაც უმღეროდა და ამით გარკვეულ ხარკს უხდიდა წინა თაობათა პოეტურ ტრადიციას ("ლხინი ბახუსელთა", "სადილის წინ გალობა" და სხვ.).

მაგრამ სულ მალე ივ. კერესელიძემ ყურადღება მიიპყრო ახალი თემებითა და მოქალაქეობრივი მოტივებით. პოეტს ივ. კერესელიძე ხალხის წინამძღოლად და დამრიგებლად თვლიდა. მისი რწმენით, მწერალი ხალხის ინტერესების სადარაჯოზე უნდა იდგეს, ხალხის მისწრაფებებს იცნობდეს და გამოხატავდეს. მას ღრმად სწამდა პოეტური სიტყვის ძალა, მისი აქტიური საზოგადოებრივი ზემოქმედების უნარი.

1859 წელს დაიბეჭდა ივ. კერესელიძის ალეგორიული სიუჟეტისანი ლექსი "ბედნიერების ძებნა", რომელიც მაშინდელი პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ იყო მიმართული. ნაწარმოებში ნიღაბახდილია თვითმპყრობელური ტირანია. ნაჩვენებია კეთილსინდისიერი მშრომელი კაცის ტრაგედია უსამართლობაზე დამყარებული სოციალური სისტემის პირობებში. პოეტი სამარცხვინო ბოძზე აკრავს მეფის ხელისუფლებას, - მონარქს გველს უწოდებს, ხოლო მის მსახურთ – გველის წიწილებს.

ივ. კერესელიძემ შექმნა მამხილებელ ლექსთა მთელი ციკლი, რომელიც სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს ("ღარიბი", "სიზმარი", "დიდ კაცს", "გადიდკაცებულს", "ჩემს მეგობარს", "ჩინოვნიკი", "ადგილის მძებნელი", "ადგილიდან დათხოვნილი", "დაიძინე, ჩემო ძმაო!", "ოჰ, ქართველო, რა კაცი ხარ" და სხვ.). ეს ლექსები ცხადყოფენ, რომ ივ. კერესელიძე იყო მეფის ბიუროკრატიული აპარატის – ხალხის ჩაგვრისა და დამონების ამ იარაღის შეურიგებელი მტერი. პოეტს მოცემული აქვს

თვითმპყრობელობის ერთგულ მსახურთა ზნეობრივი და გორნებრივი უზადრუკობის საკმაოდ მკვეთრი სურათები.

ივ. კერესელიძე სხვადასხვა მხრიდან უდგება სოციალური უთანასწორობის საკითხს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ქონებრივ და წოდებრივი განსხვავება არის მიზეზი, რომლისგანაც ყოველგვარი ბოროტება წარმოდგება.

მაგრამ ივ. კერესელიძე თამიმდევრული როდი იყო ამ საკითხში. ზოგიერთ მის ნაწერში არასწორად, გადაჭარბებულად არის შეფასებული მეფის "მანიფესტის" მნიშვნელობა და იმპერატორ ალექსანდრე მეორის "დამსახურება". სხვადასხვა შემთხვევებთან დაკავშირებით დაწერილ ლექსებში სულმდაბალ სტრიქონებსაც ვხვდებით ("მეფევ, მობრძანდი იმ გლეხთა შორის, ლოცვა-კურთხევა სად ხშირად იმის" და სხვ.).

ივ. კერესელიძის პოეტური შემოქმედების მთავარი მოტივი პატრიოტიზმია. მისი ფიქრი საქართველოს დასტრიალებს თავს. იგი ცდილობს გააღვივოს თანამემამულეებში ჯანსაღი პატრიოტული გრძნობა და დარაზმოს ისინი ქვეყნის მომავლის გამოსაჭედად.

სამშობლოს გულწრფელმა სიყვარულმა, მისდამი მოვალეობის შეგნებამ და მომავლის რწმენამ გამოხატულება პოვა ლექსში "ნანა"(1855წ.). აკვანში მყოფ ნორჩ თაობას პოეტი ბასრი ხანჯლით ასაჩუქრებს ეს დანათვლა ადვილად აღსაქმელი სიმბოლო იყო იმდროინდელი მკითხველისათვის.

წარსულში პოეტს წინაპართა საგმირო საქმეები იტაცებდა. სამშობლოსადმი მათი ერთგულება, თავგანწირვა და ვაჟკაცობა თანამედროვეთათვისაც სამაგალითოდ მიაჩნდა. უყვარდა ქართული ციხე-კოშკები, დიდი ხელოვნებით ნაგები ეკლესია-მონასტრები, ხიდები და ქალაქები. წარსულის ამ ნაშთებში ივ. კერესელიძე მშობელი ერის ნიჭის, შრომისმოყვარეობისა და ეროვნული შეგნების დადასტურებას ხედავდა და ეს მომავლისადმი რწმენას უმტკიცებდა; გრძნობდა ამ უზადლო ძეგლთა შექმნელი ხალხის უკვდავებას. ამ თვალსაზრისით ივ. კერესელიძის დამოკიდებულება წარსულისადმი თავიდანვე განსხვავდებოდა რომანტიზმის ეპიგონთა მსოფლშეგრძნებისაგან. თუ რომანტიკოსებისათვის წარსულით ტკბობა თვითმიზანი იყო, ივ. კერესელიძისათვის წარსულის თვალის გადავლება მომავლის გამოჭედვის ერთი აუცილებელი მომენტია.

მცირე ხარკი, რომელსაც ის რომანტიზმს უხდის, ახალი ცხოვრების ბრმედშია გატარებული.

ზოგიერთ მის ლექსში სამშობლოს დაჩაგრული მდგომარეობა პოეტური უშუალოებითაა განცდილი და გადმოცემული. ამ პატრიოტულ გრძნობებს გამოხატავს, კერძოდ, ლექსი "სიმღერა" ("მ.-ისა"):

შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი, -  
დაჰკა გრძნობით დაირასა!  
თუ ხარ საქართველოს შვილი,  
ნუ მომაკლებ მაგ ტკბილ ხმასა.  
მაგა ხმამან სანეტარომ  
მომიმატა მწუხარება;  
მასში ისმის სევდიანი  
ჩვენი ქვეყნის მდგომარება.  
მამა-პაპათ ეგ მაგონებს,  
ეგ მიწყლულებს ტანჯულს გულსა.  
ეგ არის, რომ წარმომიდგენს  
ჩემს სამშობლოს დაჩაგრულსა.  
ტურფავ, დაჰკა, დაჰკა გრძნობით,  
შემოსდახე ქართველურად!  
დაჰკა, მაგ ხმას მსურს დავაკლა  
მსხვერპლად თავი ჩემი სრულად.  
შენმა მღერამ დამაღრუბლა,  
მომიმატა მწუხარება;  
მასში ისმის სევდიანი  
ჩემი ქვეყნის მდგომარება.

ქართული პატრიოტული შეგნება რენეგატებთან ბრძოლაში ყალიბდებოდა. ამ ბრძოლამ ივ. კერესელიძის შემოქმედებაშიც პოვა გამოხატულება. გადაგვარებულთა წინააღმდეგ მომართული მისი პოეტური სატირა საკმაოდ ბასრი ქმედითი იყო.

ივ. კერესელიძე მუდამ ხაზს უსვამდა ლიტერატურის მამხილებელ როლს. ერთ ლექსში მეზრძოლ ახალგაზრდა პუბლიცისტს ნიკო ნიკოლაძეს ასე მიმართავდა:

შენი კალამი! კალამია? - არის ისარი!  
განგმირე, ძმაო, ბოროტების გულის ფიცარი!  
შენი ნაწერი! რა ნაწერი? – არის მკვეთელი  
ხმალი უებრო – ბოროტების მარად

მსდევნელი!...

პოლიტიკური სიმახვილით გამოირჩევა პაროდია ”ოჰ, ქართველო, რა კაცი ხარ!” პოეტი ამხელს ზოგიერთ თანამემამულეთა გაუტანლობას; გვიხატავს გაიმპერა, სულმდაბალი ადამიანის დასამახსოვრებელ კარიკატურას.

პრაქტიკული მოღვაწეობითა თუ მხატვრული შემოქმედებით ივ. კერესელიძე ერთგულად ემსახურებოდა ხალხის ბედნიერ მომავალს. მაგრამ მან იცოდა, რომ ნანატრი თავისუფლება შორს იყო, იცოდა, ვერ მოესწრებოდა ოცნების განხორციელებას. პოეტი ჩივის (ლექსი ”ახალი წელი”), რომ ჟამთა სვლას მისთვის სიხარული არ მოაქვს და ყოველ სტროფს ამთავრებს რეფრენით: ” მაშ, რათ მიხარის ახალი წელი?” ამ კითხვაზე (”მაშ, რათ მიხარის ახალი წელი?”) ივ. კერესელიძე იმ დროისათვის (1858 წ.) მეტად მოულოდნელ პასუხს იძლევა:

ჩემთვის იქნება ახალი წელი  
ის დღე, როს ვნახავ მე ჩემსა მამულს  
როდი მოხდოდეს პირთაგან ბნელი...  
მამულის ბედი, მაშ, ვინცა ნახოს,  
მოესწროს მას დროს შვილი რომელი,  
მოვიდეს საფლავს და ჩამომძახოს, -  
იქ მსურს ვიუქმო ახალი წელი...

ეს ლექსი უმოწყალოდ დაუმახინჯებია ცენზურას, მაგრამ პოეტმა მაინც მოახერხა დემოკრატიული მრწამსის გადმოცემა; დაგვიხატა თავისი იდეალი: მონობისაგან განთავისუფლებული სამშობლო, სადაც თანასწორობა და ძმობა, ”ერთგვარმყოფობა, ერთგვარცხოვრება” იქნება დამკვიდრებული. ეს იყო რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის გამოძახილი ჩვენს პოეზიაში, მანიშნებელი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გარიჟრაჟისა.

ხალხის ცხოვრებით დაინტერესებული პოეტი ბუნებაშიც საზოგადოებრივ მოვლენათა ახსნას ეძებს. ვარსკვლავიანი ცა თუ გაზაფხულის მოახლოებით გამოცოცხლებული სამყარო მას ამქვეყნიურ ფიქრებს აღუძრავს. ბუნება მის ბრძოლისა და სულიერი მღელვარების მოწმეა.

ბევრ ლექსში ივ. კერესელიძე აღფრთოვანებით უმღერის სიყვარულს, რომელიც სიცოცხლის ხალისითა და შემოქმედებითი ენერგიით ავსებს ადამიანს. ქალის მშვენიერება მისთვის ბუნების სიდიადის განუყოფელი ნაწილია; ლექსი ”ჩემო თვალის სინათლევ!” ივ. კერესელიძის სატრფიალო ლირიკის ნიმუშია. პოეტი ემოციურად გადმოგვცემს სიყვარულის ძლიერებას:

ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ  
მოგიწყენია,  
ხომ იცი, რომ ეს გული ტახტად მარად  
შენია!  
შენთვის ვმღერ სიყვარულს, შენთვის  
ცეცხლი მგზნებია,  
მითხარ და მსწრაფლ შეგწირო, თუკი  
რამღა მრჩენია...

ივ. კერესელიძემ სცადა ცხოვრებიდან განდგომის მიზეზებიც აეხსნა და ამ საკითხს საკმაოდ ვრცელი პოემა ("მწირო") მიუძღვნა, მაგრამ სიუჟეტის მხატვრულად განვითარება ვერ მოახერხა. ავტორს უნდა ეჩვენებინა, რომ ამა სოფლიდან გასვლის მიზეზი თვით ქვეყნის მოუწყობლობა, აქ გამეფებული უსამართლობაა. რელიგიური გრძნობა მან საზოგადოებრივ ცხოვრებაში განცდილ მარცხს დაუკავშირა. პოეტი ვერ მოერია ძნელ ფილოსოფიურ პრობლემას; ვერ მოახერხა განდგომის დამაჯერებელი მიზეზის გამონახვა და განზოგადოება.

ივ. კერესელიძემ ვერ მიაღწია პოეტურ სრულყოფას. მის ლექსებს დაუმუშავებლობის ბეჭედი ამჩნევია, ბევრი მათგანი კი სრულიად უმწეო და უსუსურია. ზოგან აშკარად ჩანს, რომ ივ. კერესელიძე სათანადოდ არ ზრუნავდა ლექსის მხატვრულ სინატიფზე. თავის დროზე ივ. კერესელიძისპოეზია მაინც საკმაო პოპულარობით სარგებლობდა. მის ლექსებს - "ორთა თვალის სინათლევ", "ქართული სიმღერა", "მ.-იას" ხალხი დიდი ხანია მღერის.

ივ. კერესელიძე სისტემატურად აქვეყნებდა როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილ და გადმოკეთებულ პატარა მოთხრობებსა და ამბებს, მაგრამ მის პროზაულ მემკვიდრეობაში ყველაზე საყურადღებოა "მგზავრის წერილები", რომლებიც, დროგამოშვებით, 1857 წლიდან 1871 წლამდე იბეჭდებოდა "ცისკარში". მასში ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი ყოფისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის ბევრ ცოცხლად გადმოცემულ ეპიზოდს ვხვდებით.

პიესების წერა ივ. კერესელიძემ 1848 –1849 წლებში დაიწყო. გ. ერისთავის თეატრში ივ. კერესელიძის ოთხი პიესა დაიდგა: "აქტიორი", "მარჩიელობა ტფილისში", "სადგურის ზედამხედველი" და "დალესტნის ტყვეები". რუსულიდან



ნათარგმნი "მოჯადოებული თავადი" მას გ. ერისთავის თეატრის დაარსებამდე ჰქონია დასადგმელად გამზადებული.

ივ. კერესელიძის თხზულებანი დაწერილია ხალხური სასაუბრო ენით. "ცისკრის" დაარსებამდე დაბეჭდილ ნაწერებშიც ("მწყემსის სიყვარული", "შვილი უმანკოებისა", "ნაოხარი სოფელი", "ნანა" და სხვ.) იგი ახალი სალიტერატურო ენით სარგებლობდა. საერთოდ, "ცისკარსა" და მის რედაქტორს დიდი ღვაწლი მიუძღვით ახალი სალიტერატურო ენის დამკვიდრებაში. თეორიულადაც ახალი სალიტერატურო ქართულის პრობლემა პირველად ამ ჟურნალში დაისვა, აქ მოიკიდა ფეხი და დაიკავა გაბატონებული პოზიცია, პროზასა, პოეზიასა, კრიტიკასა თუ პუბლიცისტიკაში.

მაგრამ "ცისკარსა" და მის რედაქტორს სერიოზული ნაკლოვანებები ჰქონდათ. მხატვრულად და იდეურად გამართული თხზულებების გვერდით ჟურნალში უსუსური და მანკიერი ნაწერებიც იბეჭდებოდა. რაკი ჟურნალს საკუთარი მატერიალური ბაზა არ გააჩნდა და მისი არსებობა მეტწილად ხელისმომწერთა თანხაზე იყო დამოკიდებული, რედაქტორი იძულებული ხდებოდა ზოგჯერ სუსტი ნაწერებიც დაებეჭდა. ყოველივე ეს ადუნებდა საზოგადოებრივი აზრის განვითარებას, მწერლობაში რეალიზმის გაბატონებას, სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციას. ცხოვრება სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა წინ. ასპარეზზე გამოდიოდნენ რუსეთში ნასწავლი ახალგაზრდები, რომლებიც "ცისკარს" უფრო პროგრესულ მოთხოვნებს უყენებდნენ. 60-იანი წლებიდან აშკარად ჩანდა, რომ "ცისკარი ჩამორჩა.

ივ. კერესელიძე ახალგაზრდობას მოუწოდებდა სამოღვაწეო ასპარეზზე. ახალ თაობისადმი ამგვარ მხურვალე მოწოდებას წარმოადგენს, კერძოდ, მისი წერილი – "რამდენიმე აზრი შესახებ კენჭის გათავებისა", დაბეჭდილი 1861წლის იანვარში. "ახალგაზრდობას თუ გზას არ მივცემთ, - წერდა იგი, - დაინთქმიან იმავე უფსკრულში, რომელშიც გადააგდეს ძველი თაობის კაცთა საზონადობა... აგერ იზრდებიან სხვადასხვა სასწავლებლებში ყმაწვილნი კაცნი, იმ აზრით, რომ შესწირონ თავი თავისი საზოგადო სამსახურსა, უძვირფასეს სამშობლო ქვეყანასა, უსაყვარლეს საქართველოსა. ამათ ახლავე წახალისება, წინ წაყვანა, შემწეობა და ზურგის მიცემა ამიტომ უფრო საჭიროა... არა სჯობია, რომ ეს მოხდეს ეხლავე? ესე იგი, რომ დაძველებული აზრების მქონემ დაუთმოს სარბიელი ახლანდელი დროების აზრების მექონეთა?..". ორიოდ თვის შემდეგ, 1861წლის აპრილის ნომერში, ივ. კერესელიძემ უშენიშვნოდ დაბეჭდა ი. ჭავჭავაძის საპროგრამო

წერილი – ”ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის ”შემლილის” თარგმანზედა”.

საერთოდ ”ცისკარმა” გავლენა მოახდინა ახალთაობის ეროვნულ-პოლიტიკური შეხედულებების ჩამოყალიბებასა და მხატვრულ შემოქმედებაზე. თითქმის ყველა ქართველი სამოციანელი (ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, ნ. ნიკოლაძე, ანტ. ფურცელაძე, პ. უმიკაშვილი, ს. აბაშიძე, ს. მესხი, გ. წერეთელი და სხვ.) ”ცისკარში” გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე. ი. კერესელიძე იყო მათი თხზულებების დამფასებელი და წამხალისებელი. 60-იან წლებში ი. ჭავჭავაძეს ქართული ლიტერატურის საზიანოდ მიაჩნდა ”ცისკრის” რედაქტორის მერყეობა. ივ. კერესელიძის ლიბერალური ”თანხმობის თეორია” ახალთაობისათვის ”ზურგის გამოშლად” იქნა მიჩნეული.

ი. ჭავჭავაძე სამართლიანად აკრიტიკებდა ივ. კერესელიძეს, რომელიც 60-იანი წლების დასაწყისშიც იმავე მეთოდით განაგრძობდა ჟურნალის შენარჩუნებისათვის ბრძოლას, როგორც 5 - 6 წლის წინათ; ურიგდებოდა ნაკლოვანებებს, აწარმოებდა მანევრირებას და, ამის შესაბამისად, გარკვეულ შიშსა და მოკრძალებას იჩენდა ძველი თაობის მიმართ. მაგრამ 1861 წლის პოლემიკის დროს ეს უკვე არსებითად ახალი თაობის მტრების წისქვილზე წყლის დასხმას ნიშნავდა, რადგან ჟურნალის ფურცლებს ი. ჭავჭავაძის მოწინააღმდეგეებსაც უთმობდა.

1861 წლის შემოდგომიდან ი. ჭავჭავაძემ ხელი აიღო ”ცისკარზე”, მაგრამ მის თანამებრძოლებს არც ამის შემდეგ შეუწყვეტიათ ჟურნალთან კავშირი.”ცისკარში” ისინი თავს ესხმოდნენ ივ. კერესელიძესაც.

როგორც ცნობილია, ი. ჭავჭავაძის და მისი თაობის ასპარეზზე გამოსვლამ ახალი ენერჯია და სულისკვეთება შემოიტანა ჩვენს ლიტერატურაში და ”ცისკარზედაც” გავლენა მოახდინა; ივ. კერესელიძემაც იგრძნო, რომ შესაძლებელი იყო ჟურნალის უფრო პროგრესულ-დემოკრატიული გზით წარმართვა. 1862 –1863წწ. მან მტკიცედ მოჰკიდა ხელი ”ცისკრის” გაუმჯობესებას, იდეურად და მხატვრულად მის გადახალისებას. 1863 წელს ჟურნალი ფაქტიურად ახალთაობას (აკ. წერეთელი, ა. ფურცელაძე, რ. აბაშელი, ვჭხ. მაჩაბელი) გადასცა.

ცენზურისა და მკითხველი არისტოკრატის ძალდატანების შედეგად ძველისადმი დათმობის ნიშნები ”ცისკარს” უკვე 1863 წლის ბოლოდან დაეტყო, მაგრამ 1864-1867 წლებში იგი ერთგვარად მაინც ინარჩუნებდა პროგრესულ ტრადიციებს. მომდევნო წლებში

კი ცხოვრების სწრაფმა წინსვლამ იგი თანდათან ჩამოიტოვა ბოლოში.

1875 წელს, 18 წლის არსებობის შემდეგ, "ცისკარი" დაიხურა და რედაქტორ-გამომცემელს აურაცხელი ვალი დაუტოვა; ამ ვალებში მთელი ქონება გაუყიდეს და მწერალი ულუკმაპუროდ დარჩა.

მიუხედავად ამისა ივ. კერესელიძე ჟურნალის აღდგენაზე ოცნებობდა და, მოითქვა თუ არა ოდნავ სული, 1887 წელს სასოფლო-სამეურნეო გაზეთი "ცისკარი" დააარსა და გარს შემოიკრიბა მოწინავე ახალგაზრდობა (ი. დავითაშვილი, ნ. ლეონიძე, ალ. გვარამაძე და სხვ.). მაგრამ, ცენზურისაგან ათვალწუნებისა და უსახსრობის გამო, გაზეთმა ექვს თვეს იარსება და გამომცემელს ახალი ვალები დაატეხა თავს.

ივ. კერესელიძის სიცოცხლე მშობლიური ლიტერატურის სამსახურში გაილია. გაჭირვებით, მძიმე შრომით დაავადმყოფებული მწერალი სიცოცხლის უკანასკნელ წელს თარგმნის ქიშიშიშოვის თხზულებას ინდოეთში ერეკლე მეფის ლაშქრობათა შესახებ და კიდევ ერთხელ ცდილობს აღადგინოს "ცისკარი".

გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, ივ. კერესელიძეს გააცნეს შინაგან საქმეთა მინისტრის მომართვა, რომელშიც მას, როგორც "არაკეთილსაიმედოს", უარს ეუბნებიან ჟურნალის გამოცემაზე.

ავადმყოფი, გაღატაკებული, მაგრამ სულით მტკიცე და უკანასკნელ წუთამდე ლიტერატურით გატაცებული ადამიანის დაუვიწყარი პორტრეტი შემოგვინახა აკ. წერეთელმა თავის "ორ შეხვედრაში". "სუფრაზე ნელ-ნელა გამხიარულდა ივანე, - წერს აკაკი, - დაავიწყდა დარდები, ჩამოაგდო საუბარი საზოგადო საქმეებზე და სრულიად შეიცვალა. ძველად ბერძნებს სწამდათ, რომ ხანდახან განგებ ჩამოდიან ღმერთები და მათ რჩეულ კაცებს შვენიებას უმატებენო. სწორედ მართალია, როცა კაცი მაღალი, ღვთიური რამეთი არის გატაცებული, მაშინ მისი შინაგანი ძლიერება გარეგანათაც იხატება და მშვენიებაც ემატება".

1892 წლის 21 დეკემბერს ივ. კერესელიძე გარდაიცვალა ავლაბრის ერთ მიყრუებულ ქუჩაზე, ნაქირავებ ბინაში (დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში).

**დანიელ ჭონქაძე**

დანიელ ჭონქაძემ ქართული მწერლობის ისტორიაში საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართული ერთადერთი მოთხოვნით. “სურამის ციხეში” კრიტიკულად აისახა ბატონყმური ცხოვრების მაშინდელი სინამდვილე. ცნობილია, რომ XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმის სკოლის ჩამოყალიბებისათვის ნიადაგი ჯერ კიდევ გიორგი ერისთავმა მოამზადა. დ. ჭონქაძემ ეს მიმართულება კიდევ უფრო განამტკიცა და გიორგი ერისთავთან და ლავრენტი არდაზიანთან ერთად სამოციანელთა წინამორბედად მოგვევლინა.

\* \* \*

დანიელ ჭონქაძის წინაპრები ცხოვრობდნენ დუშეთის რაიონის სოფელ ყვავილში. დანიელის მამა გიორგი და პაპა შიო სასულიერო პირები იყვნენ. შიოს არაგვის საერისთავოს გამგებელთა კარზე საკმაოდ დიდი ადგილი ეჭირა. შიოსა და გიორგის, როგორც სასულიერო პირებს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის ხშირად სხვადასხვა ადგილზე უხდებოდათ ცხოვრება, მაგრამ მშობლიურ სოფელ ყვავილთან ყოველთვის მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი.

დანიელ ჭონქაძის წინაპრები სამეფო ყმებად (სახასო ყმები) ირიცხებოდნენ. დანიელის პაპა - შიო არაგვის საერისთავოს გამგებლის, მეფის ძის ვახტანგის კარის დეკანოზი, მოძღვარი ყოფილა.

შიო ჭონქაძე თავისი დროის შესაფერისად განათლებული პიროვნება იყო; მას კარგად ჰქონდა შესწავლილი ძველი ქართული მწერლობა. სხვაგვარად ის ვერც იქნებოდა აღმზრდელად ბატონიშვილების კარზე. მისმა შვილებმა – გიორგიმ და მიტროფანემ განათლება მონასტერში მიიღეს.

მისაქციელთან ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში ბატონიშვილებთან ერთად შიოს უშუალო მონაწილეობა მიუღია და მძიმედ დაჭრილა. შიო ჭონქაძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ბატონიშვილებთან. ისინი შიოს განსაკუთრებით აფასებდნენ. მათი ურთიერთობა არ შეწყვეტილა შემდეგაც, როდესაც აღმოსავლეთი

საქართველო მეფის რუსეთმა შეიერთა და ზოგიერთი ქართველი ბატონიშვილი რუსეთში გაასახლა. ამას მოწმობს მეფის ძის ვახტანგის პირადი წერილები, შიოსადმი პეტერბურგიდან 1806 წელს მიწერილი.

დანიელ ჭონქაძე 1830 წელს დაიბადა სოფელ ყვავილში, მღვდლის – გიორგი ჭონქაძის ოჯახში. გიორგი ჯერ დუშეთის რაიონის სოფლებში მსახურობდა მღვდლად, შემდეგ, ორმოციან წლებში - ოსეთში. დანიელმა ბავშვობა ბატონყმურ სოფელში გაატარა. იგი ბავშვობაშივე ჩაუკვირდა ბატონყმობის უღელში შებმული გლეხობის ტანჯულ ცხოვრებას, რაც შემდეგ მან თავისი მწერლობის საგნად გაიხადა.

ოსების დამორჩილების მიზნით თვითმპყრობელობა ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა; რათა მათში ქრისტიანობის გავრცელება დაეჩქარებინა, შექმნილი იყო სპეციალური “კომისია, რომელსაც ევალებოდა ოსებში ქრისტიანობის გავრცელების ხელმძღვანელობა.

გიორგი ჭონქაძე გამწესებულ იქნა ოსეთში ქრისტიანობის გამავრცელებელ მისიონერად. მას აქ დიდი წინააღმდეგობის გადალახვა უხდებოდა, რადგან მცხოვრებთა გარკვეული ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ მათ მრავალი დაპირებით უხვევდნენ თვალს, ქრისტიანობის გავრცელებას მაინც წინააღმდეგობას უწევდა.

მართალია, გიორგი სამსახურებრივი მოვალეობის გამო მოშორებული იყო თავის სახლ-კარს, მაგრამ იგი მაინც ახერხებდა ოჯახთან მჭიდრო კავშირის დამყარებას. ამ დროს სოფელში მათ ჰქონდათ ერთსართულიანი სახლი – დარბაზი, პატარა ვენახი, ბაღი და სახნავი მიწა. რვა წლის დანიელი, თავის დებთან ერთად, უკვე ჩაბმული იყო სამეურნეო საქმიანობაში.

მამამ 1839 წელს დანიელი შეიყვანა კავკასის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც მან დაასრულა 1845 წელს. ამავე წელს დანიელმა სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში.

დანიელის მამას, გიორგის, მისი მისიონერული მოღვაწეობით უკმაყოფილო პირები 1846 წელს ჩრდილოეთ ოსეთში თავს დაესხნენ და მოკლეს. ამ გარემოებამ ჭონქაძეების ოჯახი უფრო დააქვეითა. დანიელი 1846 წლიდან სემინარიაში საეკლესიო ხარჯზე სწავლობდა,

სემინარიის მმართველობას სურდა იგი სასულიერო პირად აღეზარდა.

დანიელი სემინარიაში კარგ მოსწავლედ ითვლებოდა. 1851 წელს მან თბილისის სემინარია წარჩინებით დაასრულა. ამას მოწმობს სემინარიის ხელმძღვანელობის მიერ გაცემული ატესტატი, სადაც აღნიშნულია დ. ჭონქაძის წარმატებები: ნიჭიერება—ძალიან კარგი, ბეჯითობა—მოუღალავი, ყოფაქცევა—ძალიან კარგი, ღვთისმეტყველების საგნები—ძალიან კარგი, ფილოსოფიური საგნები—ფრიად კარგი, ისტორიული საგნები—ფრიადი, სიტყვიერება ძალიან კარგი, ენები—ძალიან კარგი, ბუნებისმეტყველების, მათემატიკის საგნები—კარგი. ამ ნიშნების საფუძველზე სემინარიის გამგეობამ დანიელ ჭონქაძე ჩარიცხა პირველი ხარისხის კურსდამთავრებულთა ჯგუფში.

დანიელმა ახალგაზრდობაშივე კარგად იცოდა ოსური ენა, რადგან ცხოვრება და სწავლა უხდებოდა ჩრდილოეთ ოსეთში. თბილისის სემინარიის დამთავრების შემდეგ, როგორც ოსური ენის კარგი მცოდნე, დანიელი სტავროპოლის სემინარიაში დანიშნეს ოსური ენის მასწავლებლად, ხოლო 1855 წელს დააკმაყოფილეს მისი დიდი ხნის სურვილი და გადმოიყვანეს თბილისის სასულიერო სემინარიაში იმავე საგნის მასწავლებლად. 1859 წლიდან დანიელი პარალელურად მსახურობდა სასულიერო სინოდის კანტორაში მაგიდის უფროსად.

მომავალმა მწერალმა ახალგაზრდობის აღზრდა გაიხადა თავის პროფესიად. 1855 წლის სექტემბერში დანიელმა სემინარიის მმართველობას მიმართა განცხადებით, რათა იგი სასულიერო წოდებიდან საერო წოდებაში გადაერიცხათ. განცხადება დაკმაყოფილებულ იქნა. დანიელ ჭონქაძე სიკვდილამდე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. მას ჰქონდა “ კოლეჟსკი რეგისტრატორის” დაბალი ჩინი.

1858 წელს დ. ჭონქაძეს სოფ. ყვავილში შეუძენია მამული და ამასთანავე მამის დატოვებული სახლისათვის დაუდგამს მეორე სართული (ეს სახლი ახლაც დაცულია სოფ. ყვავილში). ნამსახურობის სიაში აღნიშნულია, რომ დ. ჭონქაძეს სოფელ არაგვისპირში ჰქონია ვენახი, ხოლო სოფ. ყვავილში ბაღი, სახნავი მიწები და ტყე. ი. გოგებაშვილი, რომელიც თბილისის სასულიერო სემინარიაში დ. ჭონქაძის მოწაფე იყო, თავის მოგონებაში აღნიშნავს, რომ დანიელს

მოზრდილი მამული ჰქონდა დუშეთის მაზრაშიო. ამ მამულით დანიელ ჰონქაძე სიკვდილამდე სარგებლობდა, ზაფხულს თითქმის ყოველთვის სოფელ ყვავილში ატარებდა.

დანიელმა 1854 წელს ცოლად შეირთო ანა ფეოდოროვა, ეროვნებით რუსი, რომელთანაც მას შეეძინა ვაჟი, გიორგი. ანას დიდხანს არ უცოცხლია, იგი დანიელს შეურთავს 16 წლის და 1855 წლის სექტემბერში, როგორც საეკლესიო ჩანაწერშია აღნიშნული, “მშობიერებით 17 წლის ასაკში” გარდაცვლილა. როგორც ირკვევა, დანიელის მეუღლე ჭლექით ყოფილა დაავადებული.

\* \* \*

“სურამის ციხე” გამოქვეყნდა ბატონყმობის გადავარდნის წინა წლებში. ამ დროს ყმაგლეხი ყოველმხრივ შევიწროვებულ, მონურ მდგომარეობაში ცხოვრობდა. ისტორიული საბუთებით ცნობილია, რომ ყმების ყიდვა – გაყიდვა საქართველოში ხშირად მასობრივ ხასიათს იღებდა. ქართველ მებატონეთა მიერ გაყიდული ხმები უცხოეთის ბაზარზედაც გაჰყავდათ. აუტანელ პირობებში ჩაყენებული ყმაგლეხობა ხშირად მებატონეთა წინააღმდეგ აჯანყებებს აწყობდა.

ამ თემაზე ზეპირსიტყვიერებას მრავალი მხატვრული ნაწარმოები შეუქმნია, მაგრამ იმ დროის ერთადერთ ჟურნალ “ცისკარში” ბატონყმობის დაგმობას ჩვენ ვერ ვხვდებით. პირიქით, მის ფურცლებზე იბეჭდება ა. ორბელიანის წერილი “უწინდელს დროს ბატონყმობა საქართველოში”, რომელიც ხოტბას ასხამს ბატონყმურ ურთიერთობას. მართალია, ეს სტატია შეეხება ბატონყმობის ისტორიულ მხარეს, მაგრამ ა. ორბელიანი ამ წერილით გვევლინება ბატონყმობის ინსტიტუტის დამცველად, როგორც წარსულში, ისე აწმყოში. ის წერს: “უწინდელ დროში კაცი იმას ეძებდა, -მებატონე ვიპოვნო და იმას შევეხიზნოვო, იმისათვის რომ მებატონემ თავის ყმასა შვილსავით ყურს უგდებდა და შვილის მსგავსად გული სტკიოდა”<sup>[1]</sup>. ა. ორბელიანი ასაბუთებს, რომ საქართველოში ბატონსა და ყმას შორის კლასობრივი წინააღმდეგობა, ბრძოლა კი არ არსებობდა, არამედ ისეთივე კეთილი დამოკიდებულება სუფევდა, როგორც მამასა და შვილს შორის. შემდეგ ა.

ორბელიანს მიმდევრებიც გაუჩნდნენ. დიმიტრი მეღვინეთ-ხუცესიშვილი წერილში “ბატონყმობა” მსგავს რეაქციულ თეორიას ავითარებს. იგი წერს: “სიტყვა ბატონი უწინარეს ამისა არა იყო სათაკილო. თავმოწონებული გლეხი ამაყად იტყოდა: “ჰე მე უპატრონო ნუ გგონივარ, ბატონიცა მყავს და პატრონიც”. ბატონყმური სიყვარული იყო მტკიცე და შეურყეველი”<sup>[2]</sup>. გორის მაზრის მებატონეთა პროექტში, რომელიც საქართველოში საგლეხო რეფორმების გატარებას ეხებოდა, ბატონყმობაზე ასეთივე “მამაშვილური” თეორია იყო წამოყენებული.

როგორც ჩანს, ეს “თეორეტიკოსები”, მეტი რომ არა ვთქვათ, სრულ გულმავიწყობას იჩენდნენ. მებატონეთა სხვა აღვირახსნილობაზე, უმსგავსოებაზე რომ არ შევჩერდეთ, ისინი მხედველობიდან უშვებდნენ იმ გარემოებას, რომ მეთერთმეტე საუკუნეში საქართველოდან ყოველწლიურად ათასობით ყმა იყიდებოდა. კერძოდ, ცნობილია, რომ ერეკლე მეორეს და განსაკუთრებით იმერეთის მეფეს სოლომონ პირველს დიდი ბრძოლის ჩატარება დასჭირდათ ფეოდალთა წინააღმდეგ, რომ ყმებით ვაჭრობა როგორმე აღმოეფხვრათ.

ჟურნალ “ცისკარში” არა მარტო ა. ორბელიანის წერილებში, არამედ პოეზიაშიც გამოხატულებას პოვებდა ბატონყმობის დაცვის იდეა. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს დ. ბერიძის (ბერიევის) ლექსი “გუთნის დედა”, რომელიც შემდეგ ი. ჭავჭავაძემ სამართლიანად გააკრიტიკა.

ბატონყმობის გაუქმების საკითხი თვით ცხოვრებამ დააყენა, მაგრამ მის განხორციელებას თავადაზნაურების დიდი ნაწილი მაინც წინააღმდეგობას უწევდა. ამ დროს რუსეთში რეფორმების გასატარებლად სამზადისი მიმდინარეობდა, რასაც 1861 წლის 19 თებერვალს ცნობილი მანიფესტი მოჰყვა. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ მოსკოვში თავად-აზნაურთა კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში თვითონვე აღნიშნა, რომ თუ რეფორმებს არ გავატარებთ, გლეხოება თვითონვე ძალით გაითავისუფლებს თავსო. რეფორმა მეფის სურვილს კი არ წარმოადგენდა, როგორც ამას მაშინ ზოგიერთი ფიქრობდა, არამედ გამოწვეული იყო შიშით. 1859 წელს გაზეთმა “კავკაზმა” მეფის სიტყვა დაბეჭდა. “ცისკრის” თანამშრომლებმა მოლაყბემ ამ სიტყვას “ცისკრის” ფურცლებზე თავისებური შეფასება მისცა. იგი ბატონყმობის გაუქმების გამო



სიხარულს გამოუთქვამდა, მაგრამ ამას მეფის წყალობად თვლიდა, რაც, ცხადია, სწორი არ იყო.

\* \* \*

ასეთ ისტორიულ ვითარებაში გამოქვეყნდა ჟურნალ "ცისკარში" (1859 წლის დეკემბრის და 1860 წლის იანვრის ნომრებში) დ. ჭონქაძის "სურამის ციხე", რომელშიც ბატონყმობის დაგმობის ხმამ გაბედულად დაიქუხა.

დანიელ ჭონქაძემ "სურამის ციხეში" ასახა ბატონყმური ცხოვრების სინამდვილე, გვიჩვენა ის ღრმა კლასობრივი წინააღმდეგობა, რომელიც ყმასა და ბატონს შორის არსებობდა. "სურამის ციხეში" მოთხრობილია ორი მთავარი ამბავი: მებატონისა და მისი ყმის – ნოდარის – გამძაფრებული ურთიერთობა და დურმიშხანისა და ვარდუას ტრაგიკული სიყვარული.

ნოდარის მამა, როგორც თვით ნოდარი ამბობს, "საუბედუროდ, ბატონის ყმა" იყო. ერთ დღეს, როდესაც იგი ძნით დატვირთულ ურემს თავდაღმართში წინ მიუძღოდა, ტრაგიკულად დაიღუპა. ბავშვები უპატრონოდ დარჩნენ. ბატონმა იდროვა და ობლები თანდათან შეავიწროვა: "თავდაპირველად ვენახი წაართვა, შემდეგ ყველაფერი – რაც მათ გააჩნდათ, ბოლოს კი დედა თავისი ბავშვებით სასახლეში ხელზე მოსამსახურედ გადაიყვანა".

ბატონის უხეშმა ძალამ გლეხის კიდევ ერთი ოჯახი მოსპო. სოფელში ახალი ნამოსახლარი გაჩნდა. მაგრამ ასე ავაზაკურად ბატონები მარტო ზალიკასა და მის ოჯახს როდი ექცეოდნენ! მთელი საქართველოს გლეხობა ბატონყმობის უღელში იყო შებმული.

დედამ ბევრი იტირა, ბატონს ემუდარა... მაგრამ ამაოდ. "იტირებს, იტირებს და გაჩუმდება"- ასე დასცინოდნენ ყმის ცრემლებს ბატონები. ისინი, როგორც ნოდარი ამბობს, ყმების ტირილზე ჭკუაშემლილივით ხარხარებდნენ.

გულქვა ბატონისათვის ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი. მან ნოდარი და მისი და პირუტყვებივით მიჰყიდა კახელ მღვდელს.

უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი ყმა ქალი სასოწარკვეთილებას როდი მიეცა, მან გადაწყვიტა, როგორმე მხეცი ბატონის ბრწყალებს გაქცეოდა, რაც დიდი სიფრთხილით შეასრულა კიდევ.

ბატონის მდევრებით შეშინებულმა დედამ დღისით ბავშვები მუხის ხეზე დამალა. დიდი ტანჯვა – წვალეების შემდეგ, დააღწიეს რა თავი ბატონის მიერ გამოგზავნილ მდევრებს, ისინი ქალაქში ჩავიდნენ.

ქალაქშიც ბევრი იწვალა ნოდარის დედამ, რომ ბატონისათვის უჩინარი გამხდარიყო, მაგრამ რელიგიური რწმენით შეპყრობილმა გლეხის ქალმა ეს ვერ შეძლო. აღსარების შემდეგ იგი მღვდელმა გასცა. აღსანიშნავია, რომ "სურამის ციხეში" ორჯერ გამოჩნდება სასულიერო პირი – მღვდელი – და მწერალი მას ორივეჯერ უარყოფითი მხრით გვიჩვენებს. პირველ შემთხვევაში ის გამოყვანილია, როგორც ყმებით მოვაჭრე, ხოლო მეორეჯერ – როგორც გაბატონებული წოდების, თავად – აზნაურთა ჯაშუში.

ბატონმა სწორედ მღვდლის მეშვეობით შეძლო გაქცეული ყმების ადგილსამყოფელის მიგნება. ახლა ყმების მიმართ მებატონის სისასტიკე ადამიანობის ყოველგვარ საზღვარს გადაცდა. დასჯის მიზნით დედა და შვილი ხარებივით ჯერ გუთანში შეაბა, შემდეგ კვერში, და გაწამებულ ქალს ტანჯვაში ამოხადა სული. დედის სიკვდილის შემდეგ ცალად დარჩენილი ნოდარი უღლიდან გამოხსნეს.

ბრძოლა ბატონსა და ყმას შორის ისეთ ხასიათს იღებს, რომ მათი შერიგება, შეთანხმება შეუძლებელი ხდება. ყმაგლეხი ნოდარი სწორედ ამ შეურიგებლობას გულისხმობს, როდესაც ამბობს: "გავიდა სამი წელიწადი ჩემი მოყვანის შემდეგ, ბატონიც შემირიგდა, ვგონებ, იმიტომ, რომ პოვა ჩემში სასარგებლო ნივთი, და რა უნდა მოგახსნოთ, ეძებდა ჩემში ერთგულებას და დარწმუნებულიც იყო, რომ მე ვიყავი იმისი ერთგული! ხა! ხა! ხა! ერთგულებას ეძებდა იმაში, რომელსაც დედა მოუკლა უღელში... საკვირველნი არიან, შენმა გაზრდამ, ეგ ხალხი!" წინააღმდეგობა ბატონსა და ყმას შორის კიდევ უფრო ღრმავდება.

ახლა ბატონმა ყმას კიდევ უფრო მეტი უბედურება დაატეხა თავს. გავიდა დრო და ნოდარს გულწრფელად შეუყვარდა ბატონის მოსამსახურე გოგო ნატო და მისი შერთვა გადაწყვიტა, მაგრამ ბატონყმურ ცხოვრებაში მათი ოცნების განხორციელება შეუძლებელი გახდა. მოვუსმინოთ ბატონისა და ყმის საუბარს. ნოდარი ბატონს სთხოვს – ნება დართოს მოსამსახურე გოგო ცოლად შერთოს.

”-ვისზე უნდა დაიწერო ჯვარი? – ეკითხება ბატონი ნოდარს.

-იმას არ გთხოვ - შენი ჭირიმე!- ქალბატონის გოგოზე.

-ქალბატონის გოგოზე?

-დიახ.

-დიახ, - გამაჯავრა მე ბატონმა, - დიახ! თითქოს არ იყვნენ სხვა გოგოები, რომ შინაური არ მოძებნო?

-რა ვქნა, შენი ჭირიმე, ეს მომეწონა და.

-რაო? მოგეწონა, თითქოს ბატონის შვილი იყოს! სხვა კი არა მოგეწონა რა, მამა გიცხონდა?

-ბატონო!

-წადი, დაიკარგე, არ შეიძლება! მოსამსახურეს შინიდან არ გავუშვებ და არც შენ მოგცემ ნებას, შინ მინდიხარ!”

ბოლოს ნოდარი ქალაქს გაგზავნა, სადაც, როგორც ბატონი იდუმალ წერდა, ყმა სამი კვირა დააკავეს. მოსამსახურე გოგო ბატონმა დაიმარტოხელა და ნამუსი ახადა. ამ გზით მან ქალი თვითმკვლელობამდის მიიყვანა.

ასე დამცირებული და შეურაცხყოფილი იყო ყმა ბატონის ხელში. ამიტომაც ნოდარი ბატონების მისამართით ამბობს: ”იმათ ჰგონიათ, რო ჩვენ კაცნი არ ვიყვნეთ, ჩვენ არ შეგვეძლოს სიყვარული და სიძულე, იმათ ჰგონიათ, რო ჩვენ არა გვქონდეს გული, არ გვქონდეს სჯა”. ნოდარის ბატონი ფიქრობდა – ყმას ადამიანური გრძნობა არა აქვს, მას სიყვარული არ შეუძლია, სიყვარულის გრძნობა მხოლოდ მეზატონეთა კლასის კუთვნილებაა. აკი ამიტომაც იგი ყმას ”ძალღის შვილს” ეძახის და მათ, ისე როგორც ძაღლებს, ნასუფრალით კვებავს. ყმას დაუქციეს სახლ- კარი, დედა უღელში მოუკლეს, საცოლე დაუღუპეს, ბუნებრივია, ნოდარის მოთმინების ფიალაც აივსო. მან სამართალი ვერ პოვა და ბატონყმურ უსამართლობას თვითონვე გამოუტანა განაჩენი, ბატონი და მისი მეუღლე მოკლა და გაბორეტებულმა მათი პატარა ბავშვიც მათივე დანაშაულის მსხვერპლი გახადა.

ნოდარმა გაქცევით თავს უშველა. ბატონებმა მას ყმები დაადევნეს, ის ყმები, რომლებიც ნოდარის მდგომარეობაში იყვნენ. ამიტომ, დაჭერის ნაცვლად, მათ გზა ასწავლეს გაქცეულ ყმას.

ასეთია ”სურამის ციხის” მიხედვით ყმაგლეხის – ნოდარის – წამებული ცხოვრება. მაგრამ განა მართო ქართლის გლეხობა იყო ასეთ აუტანელ მდგომარეობაში?

ბატონყმობის უღელქვეშ ასევე გმინავდა საქართველოს სხვა მხარეთა გლეხობაც. ამას მოწმობს დურმიშხანის ცხოვრება.

ასევე გააუბედურა დურმიშხან წამალადის დედა წერეთელმა. დურმიშხანი თავადი წერეთლის ნაბიჭვარია, გლეხის ქალთან შეეძინა ის ბატონის შვილს.

”სისხლის აღრევისათვის” წერეთელმა ქალი საშინლად დატანჯა; მასთან სტუმრად მოსულ ქართლელ მებატონეს მუხრანბატონს ძალღივით აჩუქა დურმიშხანი. ბავშვის მამა დარდიმანდი ბატონიშვილი, იმ დღეს სანადიროდ წავიდა, ხოლო დედამ, მსგავსად ნოდარის დედისა, ბევრი ცრემლი დაღვარა. მაგრამ ბატონის გული დედის წრფელმა ცრემლებმა ვერ მოაღბო. იგი მსხვერპლად შეეწირა თავის შვილის სიყვარულს, ჭლექით დაავადდა და გარდაიცვალა.

დურმიშხანსაც, ისე როგორც ნოდარს, კარგად აქვს ბატონყმურ პირობებში ყმის უბედურება შეგნებული. იგი ვარდუას არიგებს: ”სანამ ჩვენ ბატონის ყმანი ვართ, ჩვენი ბედნიერება არ შეიძლება”. იქვე აღნიშნავს: ”არა, სანამ ჩვენ იმდენი არ გვექნება საცხოვრებელი, რომ სხვის თავდაუკვრელად ვიცხოვროთ, მანამ ჩვენი განთავისუფლება განთავისუფლება არ არის”. დურმიშხანი კარგად გრძნობს, რომ ყმას დამოუკიდებელი ცხოვრების საშუალება უნდა მიეცეს, მან მიწა უნდა მიიღოს, ხოლო თუ ის კვლავ ბატონის ნასუფრალის შემყურედ დარჩება, ასეთი განთავისუფლება გინდ ყოფილა და გინდ არა.

ვარდუას შემწეობით განთავისუფლებულმა დურმიშხანმა ვაჭრობის გზა აირჩია. მას ოცნებად გადაექცა მდიდარი ვაჭარი გამხდარიყო. ამ დროს ჩვენში ვაჭრობა ვითარდებოდა და დურმიშხანმაც თავისი ოცნება სინამდვილედ აქცია.

დანიელ ჭონქაძე ვაჭრობის განვითარებაში პროგრესულ მოვლენას ხედავს; ბატონყმობა მას კაპიტალიზმის განვითარების შემზორკავ ძალად მიაჩნია. იგი კარგად ამჩნევს, რომ თავადაზნაურობა გადატაკების გზაზეა დამდგარი. გავიხსენოთ დანიელ ჭონქაძის კერძო წერილის ერთი დამახასიათებელი ადგილი: ”გამეხარდა ისიც, რომ ჩვენი დაშა გათხოვდა... მეტადრე ის გამეხარდა, რომ ვაჭარს წაჰყოლია. მე მგონია, რომ ვაჭრის ქალი უმჯობესია ისევ ლუკმა პურის მქონე ვაჭარს გაჰყვეს, ვიდრე მშიერ კეთილშობილს. დარწმუნებული ვარ, არ ინანებს, რომ

ვაჭარი ამოირჩია, ღმერთმა ჰქნას მხოლოდ, რომ ზნეობით კარგი კაცი გამოდგეს”. ”მშვიერი კეთილშობილი” – აი, როგორი ეპითეტით ახასიათებს თავადაზნაურობას დ. ჭონქაძე, სამაგიეროდ ”ლუკმა – პური” ვაჭრებს აქვთ და სიმდიდრე მათ ხელშია. ბატონყმობა ყმებს საშუალებას არ აძლევს, რომ სავაჭრო ასპარეზზე გამოვიდნენ, ნოდარი და დურმიშხანი ბატონებს ხელიდან გაუსხლტნენ, ისინი ვაჭრობაში ჩაებნენ და სიმდიდრე დააგროვეს.

ცნობილია, საქართველოში ამ დროს ქართველთაგან ვაჭრობას დაბალი სოციალური ფენა, შევიწროებული ადამიანები (ნოდარი, დურმიშხანი) ჰკიდებდნენ ხელს. თავადაზნაურობა ვაჭრობას თაკილობდა. დურმიშხანი ახალფეხადგმული ქართული სავაჭრო ბურჟუაზიის წარმომადგენელია. ამ მხრივ მისი საქმიანობა პროგრესული ხასიათისაა. იგი ხელს უწყობს საქართველოში ვაჭრობის განვითარებას. ამავე დროს ისიც, ისე როგორც სომეხი ვაჭრები (მიკირტუმა, კარაპეტა, გაქართველებული მეჯღუანაშვილი) დაუნდობელი და ანგარებიანია. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ეროვნებით სხვადასხვანი არიან, მათ კლასობრივი თვალსაზრისით ბევრი რამ აქვთ საერთო.

დ. ჭონქაძე კარგად ამჩნევს კაპიტალიზმის განვითარების ორმაგ ბუნებას. იგი ამახვილებს მკითხველის ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ ვაჭრულმა ურთიერთობამ არსებითად შეცვალა ყოფილი ყმაგლეხის მორალი. იგი თავისი საქმიანობით, ზნეობით ნამდვილი ვაჭარია, - სიყვარულსაც კი ვაჭრულად უყურებს. ყმობიდან განთავისუფლებულმა დურმიშხანმა უღალატა ვარდუას. შეძლებულმა ვაჭარმა ქალს, რომელსაც იგი თავდავიწყებით უყვარდა, სიყვარულის ნაცვლად ფული შეაძლია. დურმიშხანი თავის წერილში ვარდოს შესახებ ქალბატონს სწერს: ”ახლა ჩემ მაგიერ ვარდოს უთხარით, რომ კარგი კაცი ითხოვოს და რაც უნდა, ჩემგან მოითხოვოს”. ფულის ტრფიალით გატაცებულ ვაჭარს არ ესმის, რომ სიყვარულში ვაჭრობა დაუშვებელია, რომ სიყვარული ფულში არ გაიცვლება.

თავის მხრივ ვერაგულად მოიქცა ვარდუაც. დაეთხოვა თავის ქალბატონს და გადაწყვიტა შური იძიოს, სამაგიერო გადაუხადოს დურმიშხანს. ამ მიზნით, მან მკითხაობა შეისწავლა და ტყუილი ხელობად გაიხადა, რომ

ცრუმორწმუნე ადამიანებში სახელი გაეთქვა. "სურამის ციხეში" მკითხაობის სახით ოსტატურად არის ნაჩვენები ცრუმორწმუნეობა და მისი მავნებლური ხასიათი. XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში დ. ჭონქაძე პირველი შეეხო ამ საკითხს.

ვარდუა გაბოროტდა. მისი რჩევით დურმიშხანის ერთადერთ შვილს ზურაბს სურამის ციხეში ცოცხლად დაატანენ. მან უდანაშაულო ახალგაზრდა ზურაბი თავისი შეურაცხყოფილი სიყვარულის მსხვერპლი გახადა. დურმიშხან წამალაძეს თავისი წინდაუხედაობა და ორგულობა ჯერ ვაჟიშვილის და შემდეგ საკუთარ სიცოცხლედ დაუჯდა.

დურმიშხანმა საშინელი უგულობა გამოიჩინა ნოდარის მიმართ, რომელმაც მას დიდი ამაგი დასდო. როდესაც კვლავ ქრისტიანობის გზაზე დამდგარი ნოდარი ოსმალეთში მოღებმა აწამეს და მისი დაჩეხილი გვამი უპატრონოდ დააგდეს ქუჩაში, დურმიშხანი უდარდელად "იდგა ბოსფორის პირზე და ელოდა გემს ყირიმიდან საქუდე კალმუხის ტყავებით, დაკვეთილს ოსმან-ალადგან და იმისგან გადაცემულს დურმიშხანზე". მან არავითარი ყურადღება არ მიაქცია ნოდარს. როგორც დ.ჭონქაძე დაცინვით აღნიშნავს, გვამის დამარხვის ნებაც კი არ გამოითხოვა, უცხოეთში ვაჭრობით გატაცებულ დურმიშხანს სად ეცალა ამისთვისაო!

დურმიშხანი ბატონყმურ მონობაში აღზრდილი ადამიანია. იგი ხომ ჯერ წერეთლის, შემდეგ მუხრანბატონის ყმა იყო. მან თავის თავზე გამოსცადა ბატონყმური ცხოვრების სუსხი, მაგრამ არც თავისი წარსული მდგომარეობა, როდესაც იგი ყმა იყო, და არც თავისი მოძმეები აღარ ახსოვს. მიუხედავად იმისა, რომ დურმიშხანი ქართული აღმავალი ბურჟუაზიის წარმომადგენელი მდიდარი ვაჭარია, მასში ბატონყმური ცხოვრებისადმი მიდრეკილება ჯერ კიდევ არაა აღმოფხვრილი. დურმიშხანს ოცნებად აქვს გადაქცეული თავადთა წრეს დაუნათესავდეს და დაუახლოვდეს. იგი იმ წოდების წინაშე მლიქვნელობს, რომლის ყმაც წარსულში თვითონ იყო. დურმიშხანი შვილს ანათლევიანებს ქაიხოსრო აბაშიძეს, რომელმაც ზურაბს "დაანათლა ერთი კომლი კაცი" დურმიშხანი ნატრობს, რომ ზურაბი შეიქნეს მაღალი სასულიერო თანამდებობის პირი, რომელიც წაიყვანს

“საეკლესიო ჯარს ბატონის მისაშველებლად”. ყოველივე ეს მას სჭირდება საკუთარი გამდიდრებისათვის.

მაგრამ დურმიშხანმა ვერ შეძლო ქართველ თავადებთან მეგობრობის ხიდის გადება. ისინი ყოფილი ყმის, შემდეგ გამდიდრებული ვაჭრის ოჯახთან სიახლოვეს არა კადრულობენ, ზურაბს თავადთა შვილები ახლოს არ იკარებენ. ამის გამო ნაწყენი ზურაბი თავის მამას ეუბნება: “აღარ შემიძლია ამ საშინელ ამპარტავან თავადებში ცხოვრება... თუ ხუმრობაში, ანუ რაშიმე გავერევი იმათში, მაშინვე ჭირსავით მომშორდებიან ხოლმე და დაიწყებენ ბუტბუტს: “კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ-ნახირაო”. დურმიშხანს აოცებს ეს მდგომარეობა და თავის შვილს უსვამს კითხვას: “რატომაო? რითა გჯობიან ისინი, შეძლებით, სილამაზით, გაზრდილობით თუ ვაჟკაცობით?” არც ერთი. განა თავადები დურმიშხანისაგან არ სესხულობენ ფულს?! მაშ, რაშია საქმე? “ჰმ, ჩამომავლობით... ჩამომავლობით...! – ჩაფიქრებით განიმეორა დურმიშხანმა, - აბა, ერთი ჰკითხე, იმათ მამათაგან თავის კაცობით ვინ იშოვნა ყმა და მამული?” ასეთ კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენს დურმიშხანი ბატონების მიმართ. თავადები წოდებრივი ქედმაღლობით დაჰყურებენ დურმიშხანის ოჯახს. სილამაზე, ვაჟკაცობა და სიმდიდრე საკმარისი არ აღმოჩნდა მათთან დაახლოებისათვის.

“სურამის ციხე” გამოეხმაურა ეპოქას, ხალხის ინტერესებს. მან იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სინათლე შეიტანა. ცხადი გახდა, რომ ყმის მდგომარეობა აუტანელია, რომ ბატონსა და ყმას შორის გააფთრებული კლასობრივი ბრძოლა წარმოებს. ნოდარი მშრომელი გლეხობის წარმომადგენელია, რომელიც შელახულ ადამიანურ უფლებას, თავმოყვარეობას, თავისივე მარჯვენით, ბრძოლით იცავს. ყმაგლეხობა მას ბრძოლაში მხარს უჭერს. თვით მწერალი, დ. ჭონქაძე, ამ მშრომელი ყმაგლეხობის მოსარჩლეა და მათი ინტერესების გამომხატველი.

დ. ჭონქაძემდე ბატონყმური ცხოვრების კრიტიკა მოგვცა გ. ერისთავმა თავის კომედიებში, მაგრამ ეს არ იყო ბატონყმობის წინააღმდეგ ისეთი ძლიერი ქუხილი, რომელიც “სურამის ციხიდან” გაისმა. “სურამის ციხე”

ბატონყმური ცხოვრების, ყმაგლეხოზის ბრძოლის ამსახველი ნაწარმოებია.

\* \* \*

”სურამის ციხით” დ. ჭონქაძე მკაცრად დაუპირისპირდა რეაქციულ ”თეორიას” ბატონყმობის შესახებ. ამ ”თეორიის” სულისჩამდგმელი, როგორც აღვნიშნეთ, ა. ორბელიანი იყო. მართალია, ა. ორბელიანს ”სურამის ციხეზე” ოფიციალურად არაფერი გამოუქვეყნებია, მაგრამ დაცულია ა. ორბელიანის ხელნაწერი სათაურით ”დართულს დართული”, სადაც კრიტიკულად განხილულია ”სურამის ციხე”. იგი ამ წერილში წერს: ”ის საკვირველი ოსმანადა! ის გასაშტერებელი რაინდი! ის გულოვანი გმირი? რაო რეებია, ის იმდენი მიკერ-მოკერა, წაყვან-წამოყვანა, გაქცევა-გამოქცევა, მითათრებ-მითათრება, ვაი-ვაება, ანუ მკვლელობა და წყალში დახრჩობა? –იყო მართალია, ერთი საშინელი საცოდაობა, საიდუმლო შურის სიმსხვერპლე, მაგრამ არა ასე, როგორც აღწერს დ. ჭონქაძე, ცოტათი მიმემგვანება იმას, რაც მკვლელობა შემოვიდა ახლა ჩვენში, დაიჯერეთ, სულ შურისაგან არის<sup>[3]</sup>.

ა. ორბელიანი თუმცა ვერ უარყოფს ”სურამის ციხეში” აღწერილ ყმისადმი ბატონის არაადამიანური დამოკიდებულების ფაქტს, მაგრამ ყოველივე ეს მას არ მიაჩნია საერთოდ ბატონყმობისათვის ტიპიურად, დამახასიათებლად. ა. ორბელიანის ასეთი მოსაზრების გაბათილება ჯერ კიდევ ”ცისკარში” 1863 წელს შეძლო ანტონ ფურცელაძემ ”სურამის ციხისადმი” მიძღვნილ კრიტიკულ ნაშრომში. ა. ორბელიანს, რომელიც ფეოდალური საზოგადოების იდეოლოგიის პოზიციაზე იდგა, არ სურს დაინახოს ბატონყმობის პირობებში კლასთა ბრძოლა, მისი გამოვლინების მრავალი მაგალითი, რომლითაც სავსე იყო ჩვენი მაშინდელი ცხოვრება. ეს გასაგებიცაა, რადგან ა. ორბელიანი საერთოდ უარყოფდა კლასთა ბრძოლას და იცავდა მემამულეთა ინტერესებს.

აღსანიშნავია, რომ თვით დ. ჭონქაძე ”სურამის ციხეში” ასახელებს ერთ ტიპს თავადისას, ”კნიაზ ლიბერალს”, რომელსაც ვითომ დიდი გულმოდგინებით სურდა ყმების განთავისუფლება, სინამდვილეში კი



მხოლოდ "მაღალი ფრაზებით" კმაყოფილდება. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ მოთხრობაში "კნიაზ ლიბერალი" მორიგეობის დროს სწორედ ისეთ ადგილებს მოგვითხრობს, სადაც ბატონყმობაზე მსჯელობა არ წარმოებს.

ინტერესს მოკლებული არ იქნება გავიხსენოთ თვით დ. ჭონქაძის წერილის ერთი ნაწილი, რომელიც "სურამის ციხეს" ეხება. დანიელი თავის ცოლისძმას ვანო ფეოდოროვს სწერს: "ხელი მოგვიდე ქართულ ლიტერატურას (აქ ქართულ ენაზე ჟურნალი გამოდის და ახალგაზრდობა მხარს უჭერს მას მთელი თავისი ძალღონით), ეროვნული გრძნობა იღვიძებს და დავწერე ერთი მოთხრობა, სათაურით "სურამის ციხე". ხალხმა მოთხრობა კარგად მიიღო, ზოგიერთ უვიც მემამულის გარდა, რომელსაც ვაწყენინე გლეხის საკითხით. ასეთი წარმატებებით წახალისებულმა დავიწყე ახალი შრომა, მაგრამ ღმერთმა აღარ დამაცალა მისი დამთავრება" მთავარი ის იყო, რომ ხალხმა დიდი სიყვარულით მიიღო "სურამის ციხე", ეს მწერლის დიდი გამარჯვება იყო. რეაქციულად განწყობილ მებატონეებს, რომლებსაც დ. ჭონქაძემ "უვიცი მემამულენი" უწოდა, ცხადია, გლეხობის საკითხის ჭონქაძისებური გაგება არ მოეწონებოდათ და ისინი მწერალს აუმხედრდნენ კიდევ.

სამაგიეროდ ქართული ცხოვრების განახლებისათვის მებრძოლმა ახალგაზრდობამ, ე. წ. "თერგდალეულებმა", "სურამის ციხეს" ღირსეული შეფასება მისცა. აღსანიშნავია, რომ მაშინ, როდესაც ჯერ "ცისკრის" შიგნით, შემდეგ ზოგიერთ "ცისკრელებსა" და "საქართველოს მოამბელებს" შორის პაექრობა მიმდინარეობდა, "თერგდალეული" (ამ შემთხვევაში კირილე ლორთქიფანიძის ფსევდონიმია) "ცისკარში" დაბეჭდილი ი. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილისა და ლ. არდაზიანის ნაწერების გვერდით, როგორც ღირსშესანიშნავს, ასახელებს "სურამის ციხეს"<sup>[4]</sup>.

კ. ლორთქიფანიძის აღნიშნული მითითების შემდეგ, 1863 წლის "ცისკრის" პირველ ნომერში ანტონ ფურცელაძემ პირველმა ვრცლად გაარჩია "სურამის ციხე". ამ კრიტიკულ ნარკვევში მან აღნიშნა, თუ ამ ნაწარმოებს იმ დროისათვის რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

გ. წერეთელმა 1863 წლის "საქართველოს მოამბის" მეხუთე ნომერში გამოქვეყნებულ პოლემიკურ წერილში "ცისკარს რა აკაკანებს" "ცისკრის" რედაქციას, ქართულ

სალიტერატურო კრიტიკას, სხვა საკითხებთან ერთად, მოაგონა "სურამის ციხე". გ. წერეთელი, აკრიტიკებს რა "ცისკრის" მუშაობას, წერს: "ცისკარი" არ იყო ილია ჭავჭავაძეს რომ ქვის სროლით შეხვდა? სად გვიჩვენა მან ის ორი ხასიათი ქალისა და ვაჟისა, რომელიც ასე ღრმად და საკვირველად არიან გამოხატული "სურამის ციხეში"? სად განიკვლია მან ის მიზეზები და გარემოება, რომლებმაც შექმნა ეს ხასიათები, ამისთანა ბოლოს ღირსნი, როგორც ამ რომანშია ნაჩვენები? გადავშალოთ სულ ფურცელ-ფურცლად, მაინც ვერაფერს ვერ ვიპოვით... ვეჭვობ, "ცისკარს" "სურამის ციხის" აზრი სრულებით არ გაუგია. როდესაც "თერგდალეულმა" გაიხსენა "სურამის ციხეზედ", როგორც კარგ თხზულებათაგანზე, რაც რომ "ცისკარში" დაწერილა, მხოლოდ მის შემდგომ გამოვიდა მასზედ ფურცელადის რეცენზია და მერე როგორი! განა ამას რეცენზია ეთქმის?" გ. წერეთელს არ აკმაყოფილებს ა. ფურცელადის მიერ "ცისკარში" გამოქვეყნებული "სურამის ციხის" კრიტიკული ანალიზი. მისი აზრით, ანტონ ფურცელაძე სწორად ვერ აფასებს "სურამის ციხეს". იგი მოითხოვს ამ ნაწარმოების უფრო ღრმად შესწავლას.

შესაძლოა ანტონ ფურცელაძის კრიტიკულ ნარკვევში არ არის მოცემული "სურამის ციხის" ყოველმხრივი ანალიზი, მაგრამ ეს ნარკვევი იმ დროისათვის, როდესაც ჩვენში ჯერ კიდევ ბატონყმობა მძვინვარებდა და "სურამის ციხის" კრიტიკული შეფასება არ მოგვეპოვებოდა, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, მით უმეტეს, რომ ანტონ ფურცელაძე ბატონყმობის საკითხში ყოველთვის რადიკალურ პოზიციაზე იდგა.

გ. წერეთლის სტატიის გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ 1863 წლის "ცისკრის" მეექვსე ნომერში აკაკი წერეთელმა დანიელ ჭონქაძეს მიუძღვნა შესანიშნავი ლექსი "მოგონება". ამ ლექსში იგი ჩინებულადაა დახასიათებული, როგორც ყმაგლეხობის მოსარჩლე და კეთილშობილი ბუნების ადამიანი ამგვარად, ჯერ კიდევ ბატონყმობის იურიდიულად გაუქმებამდე სამოციანელებმა მაღალი შეფასება მისცეს "სურამის ციხეს".

\* \* \*

”სურამის ციხეში” მოთხრობილი ყმის თავგადასავალი ბატონყმური ცხოვრებიდანაა აღებული. პროფ. მ. ზანდუკელი აღნიშნავს: ”ჩემს ბავშვობაში ხშირად ვყოფილვარ სოფელ ნაოზაში. იქ ხშირად გამიგონია ამბავი ”სურამის ციხეში” რომაა აღწერილი. იქ, სოფ. ნაოზის ბოლოზე, არაგვის პირზე, იქაურ მცხოვრებთ არა ერთხელ უჩვენებიათ ადგილი, სადაც დამხრჩვალ ნატუა ვითომც არაგვს გამოერიყოს. ამბობდნენ, რომ ეს ამბავი მლაშურაში მოხდაო.<sup>[5]</sup> ეს მოგონებაც მიუთითებს, რომ მოთხრობაში გადმოცემული ყმის თავგადასავალი სინამდვილეს წარმოადგენს. აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისის მაშინდელ გარეუბანში მართლაც იდგა მუხრანბატონის სასახლე. ამავე უბანში ცხოვრობდნენ ყმაგლეხები წამალაძეები.

თვით დ. ჭონქაძის არქივში დაცულია ერთი ასეთი საბუთი: ”ესე წიგნი მოგეცი მე ქედის უზნელმან ველიაშვილმა დავითელამ და იოანემ მუხრანის მღვდელს ევსტატეს და შვილთა შენთა და ძმათა. ასე რომ ჩვენის ქვეყნისაგან სიღარიბით გარდმოვსცვივდით და მუხრანს მოვედით და ჩვენი შვილი ხანუმა მოგყიდეთ და ფასი სრული ავიღეთ შენგან და პური და ღვინოც ბევრი გვიწყალობეთ და კიდევ ჩემი შვილი დაგილოცეთ. ღმერთმან მოგცეს და გამოგაყენოს და თუ ვინმე წარმოგედავოს ამ გოგოსა, დღეში ერთი აბაზი პურის ჭამის ფასი მოგცეს, შენი რაც მოგიცია და ისე წაიყვანოს. თუ ჩვენმა შვილმა ხანუმამ გათხოვება მოინდომოს, შენი შეკითხვით გათხოვდეს და შენს კედლად დადგეს, შენი მოსამსახურენი იყვნენ და შენს ქვეყანაში, რომ სხვაგან საქმე არ ჰქონდეთ”. ამ დოკუმენტს ბოლოში ასეთი მინაწერიც აქვს: ” ეს ჩემგან ნასყიდი იმერლის გოგო ჩემის შვილის ევატერინესათვის მიმიცია, როგორც ნებადდეს, ისე მოიხმაროს. უღირსი მღვდელი ევსტაფი”<sup>[6]</sup>.

მუხრანის მღვდელი ყმაგლეხის გაჭირვებული მდგომარეობით სარგებლობს და ბავშვს ყიდულობს. უმსგავსოება ამითაც არ თავდება. მღვდელმა ნასყიდი ბავშვი თავის შვილს აჩუქა. ამგვარად, ადამიანი პირუტყვივით ხელიდან ხელში გადადიოდა.

აღსანიშნავია, რომ ეს საბუთი შენახული აღმოჩნდა დ. ჭონქაძის არქივში, როგორც ადამიანით ვაჭრობის სამარცხვინო აქტი. როგორც ჩანს, ასეთი ფაქტიური ცნობები

დ. ჭონქაძისათვის იყო ერთ-ერთი წყარო ბატონყმური წყობილების მსჯავრის დასადებად.

”სურამის ციხეში” დ. ჭონქაძის დროინდელი საზოგადოებრივი მოვლენები, ბატონყმური ცხოვრების სურათები ნაწილობრივ ჩასმულია ძველებური, ხალხური ლეგენდის ჩარჩოში. ამ ლეგენდის მიხედვით ქვეყნის ციხე-სიმაგრის აშენებისათვის საჭიროა უმწიკვლო ადამიანის, ვაჟიშვილის სიმაგრეში ჩატანება. საიდან არის ეს ლეგენდა აღებული? დანიელ ჭონქაძეს რად დასჭირდა თავისი დროის საზოგადოებრივი მოვლენების ძველებურ ლეგენდაში გახვევა?

თქმულება ციხე-სიმაგრეში ცოცხალი ადამიანის ჩატანების შესახებ, როგორც ეს პროფ. ა. ხახანაშვილმაც აღნიშნა, სხვადასხვა სახით გავრცელებული ყოფილა მთელ მსოფლიოში. საქართველოში ”სურამის ციხის” მსგავსი თქმულებანი ადრევე სცოდნიათ, არა მარტო ქართლში, არამედ კახეთშიც. სიღნაღის ციხეზედაც მოგვითხრობენ ”სურამის ციხის” მსგავს ლეგენდას.

როგორც ჩანს, ამ ლეგენდას ქართველთა შორის უფრო პოპულარობა მოუპოვებია. იქნებ იმიტომაც, რომ ქართველი ხალხი სურამის ციხის შენებასა და ნგრევაში საუკუნეთა მანძილზე თავისი ცხოვრების ნგრევისა და აღდგენის სიმბოლურ გამოხატულებას ხედავდა? სურამის ციხის შენებისა და ნგრევის პროცესს მოგვაგონებს მოთხრობის დასაწყისში დ. ჭონქაძის მიერ მითითებული, ერთ დროს ყმების ოფლით ნაშენი, მუხრანბატონის დაქცეული სასახლე.

ჩვენ ზემოთ მივუთითეთ, რომ დანიელ ჭონქაძე ხალხში აგროვებდა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ლეგენდა სურამის ციხეზე მის მიერ ხალხშია ჩაწერილი. საქართველოს ის კუთხე, სადაც დანიელი აღიზარდა, განსაკუთრებით მდიდარია თქმულებებით

”სურამის ციხის” ავტორი უდავოდ კარგად იცნობდა ხალხურ ”არსენას ლექსსაც” ნოდარი იდეურად არსენას ენათესავება, ორივენი ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი ყმები არიან. ოღონდ არსენასთან შედარებით ნოდარი უფრო მკაცრია, თავისი კლასობრივი ინტერესების დაუზოგავი დამცველი. მას სრულიად არ შეეფერება არსენას სიტყვები: ”ათი წელი ყაჩაღად ვარ, კაცის სისხლი არ მაძევსა”, მაგრამ ყმაგლეხის არსენას საბრძოლო ასპარეზი,

დიაპაზონი უფრო ფართოა; იგი ებრძვის არა მარტო ბატონს, ზაალ ბარათაშვილს, არამედ მეფის მოხელეებსა და ვაჭრებსაც – იგი მათში ხედავს ხალხის მტრებს.

ამას გარდა, გამდიდრებულმა ნოდარმა თითქოს დაივიწყა თავისი თანამომემების, ყმათა მდგომარეობა. იგი დურმიშხანის მომავალ სიმამრს ჰპირდება: ოღონდ ქალიშვილი გაატანოს დურმიშხანს და იგი მას "ხვალვე უყიდის ყმებს". ასეთი მსჯელობა სრულიად არ შეჰფერის თავისუფლებისათვის ისეთ მეზრძოლ ყმას, როგორც ნოდარი იყო. ეს იმის შედეგია, რომ ნოდარის პიროვნებაში კლასობრივი შეგნება ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული.

"სურამის ციხეში" შერწყმულია ძველი და ახალი, თქმულება და სინამდვილე. დ. ჭონქაძეს მთავარი ძველი ხალხური თქმულება სურამის ციხეზე გამოუყენებია, ალბათ, ცენზურისათვის თავალის ასახვევად, რომ მოქმედება ვითომ შორეულ წარსულში წარმოებს. თვით თქმულება ნაწარმოებში სინამდვილესთან ორგანულად არის შერწყმული. იგი მოთხრობისადმი ინტერესს აცხოველებს. თავისებურია "სურამის ციხის" კომპოზიცია. მოთხრობა ხალხურ თხრობაზეა აგებული. გასართობად თავშეყრილი ახალგაზრდები, ისე როგორც ეს ხშირად გვხვდება ზეპირსიტყვიერებაში, მორიგეობით ერთმანეთს უამბობენ "მოთხრობას, ანუ ანდაზას... ჩვენი საქართველოს ცხოვრებიდან".

დ. ჭონქაძე "სურამის ციხეში" მოვლენებს დეტალურად არ აღწერს; ცხოვრების რთული პროცესები მოთხრობაში ლაკონურადაა წარმოდგენილი. ნაწარმოებში მთავარი ყურადღება ექცევა ამბის, მოქმედების გადმოცემას და განვითარებას, რაც ნაწარმოებს დიდ სიცხოველესა და დინამიკურობას აძლევს. "სურამის ციხის" პერსონაჟები, პირველ ყოვლისა, მოქმედების ადამიანები არიან.

"სურამის ციხე" ძირითადად დაწერილია სასაუბრო ენით. ამ ნაწარმოებმა უთუოდ ხელი შეუწყო მწერლობაში ხალხური მეტყველების განმტკიცებას, მაგრამ მასში კუთხური გამოთქმები, ლიტერატურული ენის თვალსაზრისით არასწორი ფორმები, იმდენად ხშირია, რომ ეს ნაწარმოები ახალი სალიტერატურო ენის ნიმუშად ვერ ჩაითვლება.

\* \* \*

დანიელ ჭონქაძე, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, მუშაობით ძლიერ იყო დატვირთული. გარდა იმისა, რომ მას ორი თანამდებობის შესრულება, მასწავლებლობა და სინოდის კანტორის მაგიდის უფროსობა, ჰქონდა ნაკისრი, აგრეთვე ოსურ ენაზე თარგმნიდა საეკლესიო წიგნებს. დ. ჭონქაძეს რუსეთის სამეცნიერო აკადემიის მიერ მინდობილი ჰქონდა რუსულ-ოსური ლექსიკონის შედგენა, მუშაობა დაუწყია, მაგრამ ავადმყოფობის გამო ვერ დაუმთავრებია. დანიელის მიერ შედგენილი რუსულ-ოსური ლექსიკონის ნაწილი ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში<sup>[7]</sup>. დანიელს სპეციალური გამოკვლევა ჰქონია დაწერილი ოსების შესახებ, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. იგი აგრეთვე აწარმოებდა ქართული და ოსური ხალხური ნიმუშების ჩაწერას. მის მიერ შეკრებილი ხალხური მასალების ნაწილი დაბეჭდილია<sup>[8]</sup>. დანიელს ოსი ხალხის ცხოვრების, მათი ენის შესწავლის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის.

ჩვენამდე მოაღწია დ. ჭონქაძის ანდერძმა. მასში გამოსჭვივის მწერლის სულიერი განწყობილება. დანიელ ჭონქაძეს დარჩა დაუსრულებელი ნაშრომი, კერძოდ, “ვინ არის დამნაშავე”, რომლის წერა მას “სურამის ციხის” დასრულების შემდეგ დაუწყია. ამ ნაწარმოებშიც დანიელს ყმისა და ბატონის ურთიერთობა აუსახავს. მის ხელნაწერებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ალბათ, დასწვეს, როგორც ჭლექიანის ხელში ნამყოფი.)))))

“სურამის ციხის” დაბეჭდვამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია თავადაზნაურობაში. ზოგიერთმა, როგორც ეს ა. ორბელიანს თავის წერილში აქვს აღნიშნული, თავის თავზე მიიღო “სურამის ციხეში” ასახული მეზატონეთა მოქმედებანი; “ცისკრის” რედაქტორს ივ. კერესელიძეს “სურამის ციხის” დაბეჭდვის გამო ბევრი უსიამოვნება შეხვდა.

“სურამის ციხის” გამოქვეყნების შემდეგ მწერალს დიდხანს აღარ უცოცხლია. იგი ჭლექით დაავადებული გარდაიცვალა 1860 წელს, ოცდაათი წლის ასაკში. დ. ჭონქაძე ანდერძის მიხედვით დასაფლავეს თბილისში, ვერის სასაფლაოზე. ნეკროლოგის ნაცვლად “ცისკრის” რედაქტორმა ივ. კერესელიძემ ჟურნალში დ. ჭონქაძის სიკვდილის გამო განცხადება მოათავსა: “ცისკრის რედაქციამ თავის სამწუხაროდ დაჰკარგა ერთი თავის თანამშრომელთაგანი,

რომელიც მოჰსცემდა ჩვენს ლიტერატურას დიდს იმედს თავის მწერლობით: 16 ივნისს, ამ წლისას, გარდაიცვალა ოცდაათი წლის ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი დანიელ ჭონქაძე. ვისაც ყურადღებით წაუკითხავს ამ განსვენებულის თხზულება “სურამის ციხე”, ის უეჭველად უკეთ დააფასებს რედაქციის დანაკარგსა. ბევრი კარგი კეთილის განზრახვა ჰქონდა, მაგრამ ყოველივე ჩაულამა უდროოდ სიკვდილმა. არ არის ეჭვი, რომ დარჩებოდა დანიელ ჭონქაძეს რამდენიმე თხზულება, რომლისთვისაც გთხოვთ იმასთან დაახლოვებულთ მეგობართაგან გადმოჰსცენ რედაქციაში დასაბეჭდათ და ამასთანავე აცნობონ განსვენებულის ცხოვრების აღწერა, რომლითაც დიდად დაგვავალებენ”. ასეთი მაღალი შეფასება მისცა ჟურნალმა დ. ჭონქაძეს<sup>[1]</sup>.

ამრიგად, დ. ჭონქაძემ “სურამის ციხეში” ბატონისა და ყმის შეურიგებელი კლასობრივი წინააღმდეგობანი გამოხატა. მან ამ მოთხრობით ნათელყო, რომ ბატონსა და ყმას შორის “მამაშვილური” დამოკიდებულება კი არ არსებობდა, არამედ ბრძოლა წარმოებდა, ბრძოლა შეურიგებელი. ამ მძაფრი სოციალური სინამდვილის გამოხატვისას დ. ჭონქაძემ რეალიზმის გზით მიდის, სადა, ნათელი, ხალხური სტილი მისი შემოქმედების დამახასიათებელია. დ. ჭონქაძემ ქართულ მწერლობაში “სურამის ციხით საფუძველი ჩაუყარა კრიტიკულ-რეალისტური პროზის განვითარებასა და განმტკიცებას.

---

<sup>[1]</sup> ჟურნალი “ცისკარი”, 1859, №11.

<sup>[2]</sup> დ. მეღვინეთ-ხუცესიშვილი ბატონყმობა, ხელნაწერთა ინსტიტუტი, II ფონდი, საქმე 2584.

<sup>[3]</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი s 1641.

<sup>[4]</sup> იხ. “ორიოდე სიტყვა” “ცისკარზედ” და ახალი ჟურნალის სარგებლობაზე”, “ცისკარი” 1862, № 9.

<sup>[5]</sup> “სურამის ციხე”, 1932, გვ. 264, პროფ.მ. ზანდუკელის წინასიტყვაობა.

<sup>[6]</sup> საქართველოს ლიტერატურის მუზეუმი, საქმე 4615

<sup>[7]</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, s ფონდი, საქმე 1641.

<sup>[8]</sup> იხ. “Осентинские тексты собранные Д. Чонкадзе и В. Цороевым (записки Академии наук, т.

<sup>[9]</sup> “სურამის ციხემ” ხალხში იმთავითვე დიდი პოპულარობა მოიპოვა გასულ საუკუნეში დ. მესხმა “სურამის ციხე” პიესად გადააკეთა და იგი სცენაზე წარმატებით იდგმებოდა. ჩვენ დროში დრამატურგმა ს.

მთვარაძემ ამ მოთხრობის საფუძველზე დაწერა დრამა “სურამის ციხე”,  
მოთხრობის სიუჟეტიაგრეთე გადატანილ იქნა ეკრანზედაც.

## ლავრენტი არდაზიანი (1815-1870)

ლავრენტი არდაზიანი ქართული რეალისტური პროზის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მან XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, დ. ჭონქაძესთან ერთად, ქართულ პროზას მყარი ნიადაგი შეუქმნა სოციალური ხასიათის რომანებით (“სოლომონ ისაკიძე მეჯღანუაშვილი”, “მორჩილი”).

კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში, ბატონყმური ცხოვრების შინაგანი წინააღმდეგობანი, მეფის მთავრობის ბიუროკრატ მოხელეთა თვითნებობა, ოჯახის პრობლემა, ეს არის საკითხთა ის წრე, რომელიც ლ. არდაზიანის შემოქმედებაში თავისებურ გაშუქებას პოულობს.

\* \* \*

ლ. არდაზიანი დაიბადა 1815 წელს თბილისში. მამა ლავრენტისა – პეტრე - ჯერ ანჩისხატის, ხოლო შემდეგ ქაშვეთის ეკლესიის დეკანოზი იყო. იგი საერო და სასულიერო მწერლობის კარგი მცოდნე ყოფილა.

არდაზიანის ნამდვილი გვარი არდაზიანდაშვილია. ბარათაშვილთა გაყრის აქტში, რომელიც XVI საუკუნეშია შედგენილი, აგრეთვე XVII საუკუნის საბუთებში, ეს გვარი ამ სახითაა წარმოდგენილი. არდაზიანდაშვილების ერთი შტო ბარათაშვილთა აზნაურები ყოფილან, ზოგიერთნი კი გლეხები<sup>[1]</sup>.

პეტრეს ექვსი ვაჟი ჰყავდა. მათ შორის ყველაზე უფროსი იყო ლავრენტი. 1823 წელს მამამ ლავრენტი შეიყვანა თბილისის სასულიერო სემინარიის სამრევლო სკოლაში, სადაც იგი წარმატებას იჩენს. ლავრენტი ასევე ბეჯითად სწავლობდა სემინარიის სამაზრო სასწავლებელში და შემდეგ თვით სასულიერო სემინარიაში. ამავე სემინარიაში სწავლობდნენ ჩვენი ცნობილი საზოგადო მოღვაწეები: პ. იოსელიანი და ს. დოდაშვილი. ლ. არდაზიანთან ერთად სწავლობდა დავით ჩუბინაშვილი (შემდეგში ცნობილი მეცნიერი), სანამ იგი სასწავლებლად რუსეთში გაემგზავრებოდა.

ლავრენტი არდაზიანმა სემინარია 1837 წელს დაასრულა, მაგრამ ატესტატი ვერ მიიღო. მისთვის მიუციათ კურსის მოსმენის მოწმობა. ამისი მიზეზი ნათლად ჩანს თვით ლ. არდაზიანის განცხადებებიდან, რომელიც მას მიუცია 1837 წლის 3 ივლისს თბილისის სემინარიის



რექტორის და საქართველოს ეგზარქოსისათვის. ამ განცხადებაში აღნიშნულია, რომ საჯარო გამოცდების წინ მას სემინარიაში უეცრად გულყრა მოსვლია და უგრძობლად შექმნილა ისე, რომ სიკვდილს ძლივს გადარჩენია. სემინარიის საგამოცდო კომისიას ეს გარემოება არ გამოურკვევია, მხედველობაში არ მიუღია და გამოცდებზე გამოუცხადებლობისათვის იგი მოსწავლეთა პირველი ჯგუფიდან მეორე ჯგუფში გადაურიცხავთ, რის შემდეგაც მისთვის მიუციათ მხოლოდ სემინარიის კურსის მოსმენის მოწმობა. ლ. არდაზიანმა საქართველოს ეგზარქოსს თხოვნით მიმართა: ”მე ამჟამად მკვდარი ვარ! უქმად ჩაიარა მთელი წლების განმავლობაში ყველა ჩემმა შრომამ და მეცადინეობამ. მე უატესტატოდ უთავო ადამიანს ვგვევარ, ხოლო კურსის დამთავრების მოწმობით, იგივე მდგომარეობაში ვარ როგორმაც სხვა მოწაფეები, რომლებმაც დაამთავრეს დაბალი კლასები. ვინაიდან სურვილი მაქვს სწავლა გავაგრძელო უმაღლეს სასწავლებელში, გთხოვთ აღმადგინოთ” და სხვ.

სემინარიის ხელმძღვანელობამ თხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი თქვა, ინსპექტურამ ეგზარქოსს ახსნა-განმარტება მისცა, რომელშიაც ჩანს აშკარა უსულგულო დამოკიდებულება საერთოდ მოსწავლეებისადმი და კერძოდ ლ. არდაზიანისადმი. სემინარიიდან 1837 წელს ლ. არდაზიანმა მიიღო მხოლოდ კურსის დასრულების მოწმობა.

სემინარიის ხელმძღვანელთა მოქმედებით უკმაყოფილო ლ. არდაზიანს ამავე წელს გადაუწყვეტია სასულიერო უწყებიდან გასვლა და რუსეთში სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში სწავლის გაგრძელება. ამის შესახებ განცხადებით მიუმართავს საქართველოს ეგზარქოსისათვის.

სემინარიის გამგეობას ლ. არდაზიანის თავიდან მოცილება სურდა, ამიტომაც იგი თავის უფროსისადმი მიმართვაში აღნიშნავს, რომ ასეთ პირებზე მათ უწყებაში მოთხოვნილება არაა და მისი სასულიერო უწყებიდან განთავისუფლების საწინააღმდეგო მათ არაფერი აქვთ (აღსანიშნავია, რომ დ. ჭონქაძემ და ს. დოდაშვილმაც მოითხოვეს სასულიერო წოდებიდან ამორიცხვა).

ლ. არდაზიანს დიდი სურვილი ჰქონდა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებისა მაგრამ ამის საშუალება მას არ მისცეს. მღვდელობა კი მის ბუნებას სრულიად არ ეგუებოდა.

სემინარიის დამთავრების შემდეგ, წლების განმავლობაში მან სამსახური ვერ იშოვა. 1846 წლის სექტემბერში ლ. არდაზიანი დანიშნეს ”საქართველო-იმერეთის” გუბერნიის სამმართველოში საქმისმწარმოებლად დაბალი ხელფასით. 1851 წელს ნამსახურობისათვის მისცეს ჯერ კოლეგიის რეგისტრატორის

(„კოლეჟსკი რეგისტრატორის“), ხოლო შემდეგ, 1854 წელს, კოლეგიის მდივნის („კოლეჟსკი სეკრეტრის“) ჩინი. ამავე წელს დანიშნეს მაგიდის უფროსის თანამდებობაზე. 1860 წელს ლ. არდაზიანი გადაუყვანიათ „საზოგადოებრივ მზრუნველობათა“ „ამიერკავკასიის პრიკაზში“ მაგიდის უფროსის თანამდებობაზე. აქ მას ნამსახურობისათვის მიუღია კოლეგიის ასესორის ჩინი.

ლ. არდაზიანის ოჯახი ღარიბად ცხოვრობდა, დაბალი ჩინის მოხელის ხელფასი მრავალსულიან ოჯახს ვერ აკმაყოფილებდა. ცნობილი საზოგადო მოღვაწე გ. თუმანიშვილი, რომელიც ლავრენტის პირადად იცნობდა, თავის მოგონებაში წერს: „მე ლავრენტი არდაზიანი ბავშვობისას მახსოვს, როდესაც ის პორტფელით ხელში მიეჩქარებოდა სამსახურში. იგი ჯერ კიდევ არ იყო მოხუცი, მაგრამ მოღუშული, დანაოჭებული და გაწამებული სახე არ იძლეოდა საშუალებას ამ ადამიანში გეცნო ტალანტის მქონე იუმორისტი, როგორც ის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში“ გამოჩნდა“.

მიუხედავად ასეთი მძიმე პირობებისა ლ. არდაზიანი სამწერლო ასპარეზზე ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა.

ლ. არდაზიანის მხატვრული ნაწარმოებები, ორიგინალური თუ თარგმნილი, „ცისკარში“ დაიბეჭდა. 1858 წელს „ცისკარში“ გამოქვეყნდა მის მიერ თარგმნილი „ჰამლეტი“ პროზად. ეს იყო ამ ნაწარმოების პირველი დაბეჭდილი თარგმანი ქართულ ენაზე. ლ. არდაზიანს ჰამლეტი უთარგმნია რუსულიდან, პოლევოის მიერ თეთრი ლექსით შესრულებულ თარგმანიდან. „ჰამლეტი“ საკმაოდ მძიმე არქაული ენითაა ნათარგმნი. თვით არდაზიანი „ჰამლეტის“ შესახებ ამბობს, რომ მან იგი თარგმნა „საღმრთო წიგნურისა და საეროს“ ენითა. იგი იმასაც აღნიშნავს, რომ მისი ნაშრომი ქართულ ენაზე პირველი სუსტი ცდაა „ჰამლეტის თარგმნისა. ცნობილმა პუბლიცისტმა ნ. ბერძენიშვილმაც თავის სარეცენზიო წერილში სამართლიანად მიუთითა, რომ „ჰამლეტის“ არდაზიანისეულ თარგმანში იგრძნობა ენის „სიმძიმე და ბუნდოვანება“.

ლ. არდაზიანი ავტორია პუბლიცისტური და პოლემიკური წერილებისა. ქართული კულტურისა და აზროვნების ისტორიის მკვლევარი მათ გვერდს ვერ აუვლის. ამ წერილებს დიდი მნიშვნელობა აქვს თვით მწერლის მსოფლმხედველობის შესწავლისათვის.

1859 წელს რუსულ გაზეთ „კავკაზში“ ნ. ბერძენიშვილმა მოათავსა ჟურნალ „ცისკრის“ 1858 წლის ნომრების მოკლე მიმოხილვა, სადაც მან მკაცრად გააკრიტიკა „ცისკრის“ ჩამორჩენილობა. ნ. ბერძენიშვილი თავის სტატიაში აღნიშნავდა, რომ ჟურნალი არ ეთანხმება „ეხლანდელი გონების მიდრეკილებას“, „უფერულია“ და

”შეიცავს სტატიებს შემთხვევით შეკრებილს”, მან სამართლიანად მიუთითა, პოეზიასთან შედარებით, პროზისა და დრამატურგიის ჩამორჩენილობაზე. ლ. არდაზიანი გამოექცა ”ცისკარს”. იგი ეთანხმება ბერძენიშვილს, რომ ჟურნალი არ დგას მოწოდების სიმაღლეზე, რომ საჭიროა მისი მუშაობის გარდაქმნა, მაგრამ აქვე ლ. არდაზიანი ეხება იმ დროის საქართველოს კულტურულ პირობებს და მიუთითებს ქართული ჟურნალისათვის საჭირო ძალების ნაკლებობაზე. ლ. არდაზიანი იმედს გამოთქვამს, რომ მომავალში მდგომარეობა გამოსწორდება: ”ორი და სამი კარგნი მწერალნი მოგვეგვრიან ორსა და სამ სხვა კარგთა მწერალთა, ესენიც თავისი მხრით სხვებს დაჰბადებენ... და მაშინ კეთილად წავა საქმე”<sup>[2]</sup>. მაშინდელ პირობებში კი ლ. არდაზიანს ნ. ბერძენიშვილის კრიტიკა ”ცისკარზე” მიაჩნია სასტიკად და ნაადრევად.

საყურადღებოა, თუ როგორ ესმოდა არდაზიანს მწერლობის დანიშნულება. იგი მწერლობას მიზნად უსახავდა საზოგადოებრივი მოვლენების რეალისტურად ასახვას, ხალხის ცხოვრების ავისა და კარგის გადმოცემას. ლ. არდაზიანი წერს: ”პოეზიის მიერ კაცი შეეჭიდება უბედურებასა, დასძლევს მას. მის მიერ კაცი სცნობს ჭეშმარიტებასა, სარგებლობასა და სიკეთესა. კეთილმოქმედებასა და მავნებლობას ბოროტისასა, მის მიერ ძნელი ღვაწლი კეთილმოქმედებისა გარდაექცევა კაცსა სუბუქად და სასიამოვნოდ”.

ამავე წერილში იგი წერს, რომ პოეზიის მიზანია ”გამოხატულისა სიმშვენიერებითა განაღვიძოს, გახსნას და აღზარდოს ჩვენ შორის მოცემული გრძნობა მშვენიერებისა. განავითარებს რა ესრეთ ჩვენსა გრძნობასა, პოეზია მასთანვე გაგვაცნობს ჭეშმარიტებასა და შეგვაყვარებს კეთილმოქმედებასა”<sup>[3]</sup>. წყარო პოეზიისა, ლ. არდაზიანის აზრით, არის ”ბუნება აღვსებული ყოვლითა სიმშვენიერითა, სიკეთითა, სრული, უმეტნაკლო, შერთული საკვირველითა გრძნობითა, ანუ სწორეთ თვით ბუნება არს ერთი, დიდი საკვირველი პოეზია”. არდაზიანი ბუნებაში გულისხმობს ცხოვრებასაც. ლ. არდაზიანი იზიარებს იმ აზრს, რომ ცხოვრება თვით არის მშვენიერი და პოეზიის უშუალო წყარო ცხოვრების მშვენიერებაა. ამ შემთხვევაში მისი ესთეტიკური შეხედულება დავალებული უნდა იყოს ნ. ჩერნიშევსკისაგან. ასეთია ლ. არდაზიანის შეხედულებით მწერლობის სოციალური და ესთეტიკური დანიშნულება.

\* \* \*

XIX საუკუნის ორმოცდაათიანი წლების საქართველო სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარებითა და ფეოდალურ-ნატურალური

მეურნეობის დაშლის პროცესით ხასიათდება. ამ დროს სავაჭრო ბურჟუაზია თანდათან იმართება წელში და ამტკიცებს თავის ძალას.

ლ. არდაზიანის მხატვრულ შემოქმედებაში ბურჟუაზიული ცხოვრების ასახვას დიდი ადგილი უჭირავს. ჯერ კიდევ “ცისკრის” 1859 წლის ნომერში ინიციალებით “ლ. ა.” ხელმოწერილ ლექსში “ფული” გამოხატა მან სავაჭრო ურთიერთობის და ფულის ძალა. ამ ლექსში მწერალს საკმაოდ ტიპიურად აქვს დახასიათებული ფულის თვისებები, სავაჭრო ბურჟუაზიის განმტკიცების პერიოდში მისი ორმაგი ბუნება. მოვიყვანოთ ამ ვრცელი ლექსის ერთი ნაწილი.

უწესოდ გაჩენილო, ურიცხვთ დასამხოხელად,  
იუდას სისხლით სვრილო, ბოროტად სახმარებლად,  
კაცთა ამპარტავნობის ამწეო მეტად მაღლად,  
მაგრამ ამათთან ერთად კეთილს იქ დიად მრავლად.

ბარემ ისევ, ფულეზო,  
ვერცხლის სიამოვნებო,  
ჩვენო თვალის სინათლევ,

გონების მიმტაცებო.

ხშირად გვიყვარს სტუმრობა მარად განურჩეველი,  
ამაო ფუფუნება, ჟამი დაუდგრომელი,  
კაცთ ბუნების აღმძვრებელი და შურით აღმვსებელი,  
სიმართლის დამჩაგვრელი, კაცთხნეობის გამრყენელი.

ამ ლექსის აზრი სავსებით შეესაბამება ”სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის” ავტორის იდეურ მიმართულებას, ისე რომ “ფული” ამ სოციალური რომანის თავისებურ შესავლად შეიძლება ჩაითვალოს.

ლ. არდაზიანის მთავარი ნაწარმოები “სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილია”. მწერალი ამ ნაწარმოებში ასახავს XIX საუკუნის 40-50-იან წლებში სავაჭრო კაპიტალის, ქართველ თავად-აზნაურთა მდგომარეობის შეცვლისა და დაქვეითების პროცესს. ამ ვითარებამ ჯერ კიდევ ადრე გ. ერისთავის კომედიებში პოვა გამოხატულება. ლ. არდაზიანმა ეს საკითხი შედარებით ფართოდ, თანაც თავისებურად გააშუქა პროზაში. იმ დროს, როდესაც სოლომონ მეჯღანუაშვილი სავაჭრო ასპარეზზე გამოდის, საქართველოს დედა-ქალაქი თბილისი ამიერკავკასიის სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა. ლ. არდაზიანი “სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში” აღნიშნავს, რომ თბილისის სავაჭრო მოედანზე ყოველდღიურად ნახავდით “სხვადასხვა თემის ხალხს”. აქ ვაჭრობდნენ – რუსები, ქართველები, სომხები, თათრები, გერმანელები, ფრანგები, ლეკები და სხვ. ესენი არა მარტო ადგილობრივი მოვაჭრენი იყვნენ, მათთვის უცხო არ იყო რუსეთის ბაზარიც. სარქისბეგაშვილი, რომელსაც თბილისში ოცი დუქანი ჰქონდა, ვაჭრობას აწარმოებს არა მარტო საქართველოში, არამედ მოსკოვშიაც. რუსეთის ბაზარს ასევე კარგად იცნობს სოლომონ მეჯღანუაშვილი.

ლავრენტი არდაზიანის რომანი ძირითადად აგებულია მთავარი გმირის სოლომონ მეჯღანუაშვილის თავგადასავალზე. რომანი ასახავს, თუ როგორ ჩამოყალიბდა ჩვენში ვაჭრის სახე ახალ პირობებში, ჯერ კიდევ ბატონყმობის დროს. სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი, მართალია, წარმოშობით ქართველი არაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი, როგორც ჩვენს პირობებში აღმოცენებული სავაჭრო ბურჟუაზიის წარმომადგენელი, საქართველოს მაშინდელი გარდამავალი ცხოვრების პირშია.

სავაჭრო ბურჟუაზია ქართულ სინამდვილეში იყო ის ძალა, რომელმაც შემდეგ ფერი შეუცვალა მთელ ჩვენს ეკონომიურსა და პოლიტიკურ ცხოვრებას.

მეჯღანუაშვილი, როგორც ეს თავდაპირველად დამახასიათებელი იყო სავაჭრო წოდებისათვის, გამოსულია დაბალი სოციალური წრიდან. მისი მამა ქალაქელი მეჯღანე იყო. სოლომონი მაშინ დაიბადა, როდესაც საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა ისტორიას ჩაბარდა და საქართველოს გამგებელი თვითმპყრობელური რუსეთი შეიქმნა. რუსეთთან დაკავშირებამ დააჩქარა საქართველოში სავაჭრო ბურჟუაზიის განმტკიცება. სოლომონმა, როგორც ვაჭარმა, საქართველოში რუსეთის კაპიტალთან ერთად აიდგა ფეხი. იგი წარმომადგენელი გახდა ვაჭართა იმ ფენისა, რომელმაც ჩვენში მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში იწყო ჩამოყალიბება.

სოლომონ მეჯღანუაშვილს, მომავალ მდიდარ ვაჭარს, მშობლებისაგან არაფერი დარჩენია. ძველი თბილისის მივარდნილ კუთხეში – “ციხის უბანში” მათი ბინა უფრო “დათვის სოროს” ჰგავდა, ვიდრე ადამიანის საცხოვრებელს. მათი სახლის მთელი ქონება, რომელიც პატარა სოლომონს მამისაგან დარჩა დამსხვრეული ტახტი, ერთი ხელი ლოგინი, დაგლეჯილი ფარდაგი, ძველი ჭილობი, პატარა ქვაბი, რამდენიმე ჯამი და ორი შამფური. ქმრის გარდაცვალების შემდეგ ულუკმაპუროდ დარჩენილმა სოლომონის დედამ გაიანემ დახმარებისათვის თავდაპირველად “ზავშვის ნათლიას” მიმართა, მაგრამ მისი ცივი მიღებით გულმოკლული გამობრუნდა უკან. ვაჭართა შორის ქალაქში მათი გამკითხავი კაცი არ აღმოჩნდა. ვაჭარმა გასპარ სარქისბეგაშვილმა სოლომონის დედას გარყვნილების გზაზე დაყენება მოუწოდო. სასულიერო პირმა, ტერტერამ, იმისათვის, რომ სოლომონის გარდაცვლილ მამას “რიგი გადაუხადა”, მეჯღანუაშვილების ოჯახში სხვა რომ ვერაფერი მონახა, - ქვაბი, ჯამები, შამფურები, თეფშები და ნოხი წაიღო. ასე მოექცნენ თავის ტომის ლატაკ ადამიანს ქალაქის ვაჭრები და მათი “სულიერი მამა” – ტერტერა. მწერალი ნაწარმოებში აშხელს მათ მტაცებლურ მოქმედებას.

ქალაქში მოხეტიალე მშიერ-მწყურვალე გაიანე პატარა ბავშვით მიადგა სიონის ტაძარს. იგი შეებრალა ახალგაზრდა ქართველ თავადიშვილს ლუარსაბ რაინდიძეს. ლუარსაბმა და მისმა დედამ სხვა ტომის, უპატრონოდ დარჩენილი მშიერი დედა –შვილი სოფლად თავიანთ ოჯახში შეიკედლეს. რაინდიძეების ასეთი ქველმოქმედება შემდეგ სოლომონს სამართლიანად აოცებდა. იგი ლუარსაბ რაინდიძეს “საკვირველ კაცს” ეძახის.

გაიანე და სოლომონი ქართლის სოფელში, რაინდიძის ოჯახში 16 წელიწადს ცხოვრობდნენ. სოლომონს აქ ასწავლიდნენ წიგნის კითხვას, “ვეფხისტყაოსანს”, საერთოდ ცდილობდნენ მისგან განათლებული და კეთილშობილი ადამიანი აღეზარდათ. დარეჯან რაინდიძემ სოლომონის დედას ოჯახში მიღებისთანავე უთხრა: “მე შენით, შენ ჩემით უნდა გამოვიზარდნეთ, ვიცხოვროთ”. მაგრამ რაინდიძის ასეთმა სურვილმა ნაყოფი ვერ გამოიღო. შემდეგ მათი ცხოვრების გზა, როგორც ორი სხვადასხვა კლასის წარმომადგენელისა, გაიყარა, და ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

გარდაიცვალა დარეჯან რაინდიძე, შემდეგ მალე სოლომონის დედაც, და სოლომონმა დატოვა სოფელი, “საკვირველი კაცის”, თავად რაინდიძის ოჯახი. არაფრის მქონე, ჯერ კიდევ ბავშვი, სილატაკისაგან გამოფხიზლებული სოლომონი იწყებს ბრძოლას გამდიდრებისათვის.

სოლომონი ტიპიური მოვლენაა იმ დროის ცხოვრებისათვის. უპატრონოდ დარჩენილმა 16 წლის სოლომონმა მიაშურა თბილისის ბაზარს, სადაც სავაჭრო საქონელთან ერთად პატიოსნების ყიდვა-გაყიდვაც წარმოებდა. ეს ადგილი შეიქმნა აღმზრდელი მრავალი ვაჭრისა, აქ ჩაიყარა ამომავალი ბურჟუაზიის საძირკველი და აქ აიდგა ფეხი სოლომონმაც. იგი აქვე დარწმუნდა, რომ ვაჭრობის სარბიელზე საჭიროა ცბიერება და გაუტანლობა. ისიც ასე იქცევა. სოლომონი ამბობს: “საჭიროა კაცის სისუსტის ცოდნა, ისარგებლე ამ სისუსტით და ქვეშიდან ხალიჩა ისე გამოაცალე, რომ არც კი შეიტყოს ეს. უეცრად დაეცი გაჭირვების დროს და რაც შეიძლება მეტი ააძვრე. გქონდეს შეუზღველობა. მეტი არაფერია საჭირო, რომ ბედნიერი გახდე”. ასეთი მგლური მისწრაფებებით იკაფავდა გზას ჩარჩი სოლომონი, რომ ლატაკს გამდიდრებისათვის მიეღწია.

ლ. არდაზიანი, საუკეთესო მცოდნე ჩვენი მაშინდელი ცხოვრებისა, ცოცხლად, ღრმად და ოსტატურად გვიხატავს სავაჭრო ბურჟუაზიას, კერძოდ, სოლომონ მეჯღანუაშვილის პირველ გამოსვლებს ცხოვრების ასპარეზზე, მისი ვაჭრული სახისა და ფსიქიკის თანდათანობით ჩამოყალიბებას.

პირველი ნაბიჯი, რომელიც ულუკმაპუროდ დარჩენილმა ახალგაზრდა სოლომონმა თბილისის ბაზარზე გადადგა, შუაკაცობა

იყო. გასამრჯელოდ მიღებული “ზაღდადი” მან იმავე დღეს ოქროდ აქცია. ცოტა ხნის შემდეგ ბატკნებით ვაჭრობა დაიწყო. საბრუნავი თანხა, რომელიც სოლომონმა თავდაპირველად ბაზარში “მოაქუჩა”, 6 მანეთს შეადგენდა, ხოლო ერთი თვის შემდეგ ეს თანხა მან 35 მანეთად აქცია. აქ სოლომონმა “მონახა მუქთად ფულების შოვნის” გზა. ამ გზაზე შედგომის სიხარულმა იგი სრულიად გამოცვალა, თავად ლუარსაბ რაინდიძის ოჯახიდან გამოყოლილი პატიოსანი ადამიანის ტანისამოსი გაიხადა და ჩარჩისა ჩაიცვა, ფეხშიშველა დატანტალებს ბაზარში, მთელი დღე მოძრაობაშია, საქმიანობს, “ძილი და მოსვენება არა აქვს” ქალაქში ყველაზე ადრე დგება, უთენია შემოირბენს ქალაქს, რომ იქნებ რამ ჩაუვარდეს ხელში.

შესანიშნავი ოსტატობით აქვს მწერალს გადმოცემული, თუ ჩარჩების, ”შუა-კაცების” მეშვეობით, რომლებიც გლესს ირგვლივ შემოსევიან, სოლომონმა ვარიები გლესს როგორ დასტყუა იაფად და იქვე მოგებით გაჰყიდა.

სოლომონის ვაჭრობის საგანი ხშირად იცვლება. იგი იქით მიისწრაფის, საითაც მეტ მოგებას ნახავს. ბატკნებით, ვარიებით, ხილით დაიწყო ჩარჩობა, მაგრამ შემდეგ მისი სავაჭრო მოქმედების არე თანდათან გაფართოვდა, გასცილდა თბილისის ბაზარს. პირველად იგი ქართლისაკენ გაემშურა პურისა და ქერის შესასყიდად. მაგრამ იგი ამ სავაჭრო ოპერაციებით არ კმაყოფილდება. მალე ჩარჩი იქცა მევახშედაც. სოლომონი სოფელში ფულს ასესხებს, სამ მანეთზე კოდ პურს სარგებელს იღებს. მარტო ერთი სოფელი წელიწადში 200 კოდ პურს აძლევს სარგებელში. მაშინ უკვე “ქართლში მტკვრის ორივე მხარეს არ იყო სოფელი”, რომელსაც მისი “ფული არ მართებოდა”. ქართლიდან მეჯღანუაშვილმა კახეთში გადაინაცვლა, სადაც, სირაჯობას მიჰყო ხელი. შემდეგ ბორჩალოში პირუტყვს ყიდულობდა და ჰყიდდა. მეჯღანუაშვილი დაეუფლა მთელ აღმოსავლეთ საქართველოს. მისი მოვალენი იყვნენ არა მარტო გლეხები, არამედ თავადებიც. სოლომონის ფული მართებს თავად ლუარსაბ რაინდიძესაც, რომლის ოჯახშიც აღიზარდა.

მეჯღანუაშვილი, როგორც ეს სჩვევია აღმავლობის გზაზე დამდგარ სავაჭრო ბურჟუაზიას, უაღრესად პრაქტიკოსია. იგი, პირველ ყოვლისა, ცხოვრების ბაზარს უკვირდება, მის პრაქტიკას ითვისებს და ისე მოქმედებს. აქ შეიგნო მან არა მარტო ის, თუ როგორ მოატყუოს ადამიანი, არამედ ისიც, თუ როგორ უნდა დაატრიალოს ფული. იგი პირველ ხანებში, სანამ საბრუნავი თანხა დიდად გადიდდებოდა, გრძნობს, რომ მისი მოგება ფულის ბრუნვის სისწრაფეზეა დამოკიდებული. “ფული უნდა იყოს მოძრაობაში, - ამბობს სოლომონი, - ფულმა ფული უნდა მოიგოს”. მას ვაჭრობის, ფულის

დაბანდების თავისებური გეგმა აქვს შედგენილი. სოლომონი ზაფხულობით ვაჭრობს ქართლში პურით, შემოდგომაზე – კახეთში ღვინით, ზამთარში ბორჩალოსა და განჯაში – პირუტყვით. ამასთან ერთად იგი მჭიდრო კავშირშია საქართველოს სავაჭრო ცენტრთან – თბილისთან. იგი ჩარჩიც არის, მევახშეც და თბილისელი სოვდაგარიც.

მეჯღანუაშვილის სავაჭრო მარშრუტის გაფართოებასა და სავაჭრო კაპიტალის ოპერაციების ზრდასთან ერთად იცვლება, მატულობს შეძლება, კაპიტალი. ამ ცვლილებებთან ერთად იცვლება მისი საზოგადოებრივი მდგომარეობაც. თბილისის სავაჭრო მოედანზე მას, ფეხშიშველა ჩარჩს, ახლო წარსულში თავში სცემდნენ, ახლა კი მდგომარეობა შეიცვალა. მისი გავლენა გაიზარდა. სოლომონს სოფლად დიდი პატივისცემით ეგებება როგორც ბატონი, ისე ყმაგლეხი.

სოლომონმა შეიგნო მაშინდელი ცხოვრების ვითარება, იგი მიხვდა, რომ ფული ყოვლისშემძლე ძალაა, რომ ის, ღატაკი, უპატრონო ადამიანი, ოქრომ აიყვანა დიდ სიმაღლემდე. ამიტომაც მის არსებაში ფულმა დიდი სიყვარული მოიპოვა; “გროშს გროშზე ადებს”, ენერგიას არ ზოგავს და სინდისზე ხელს იღებს, რომ რაც შეიძლება მეტი ფული მოიგდოს ხელში. “კაცის ენაზედ ვერ ვპოვებ სიტყვასა, - ამბობს სოლომონი, - რომ გამოვთქვა, როგორ შემიყვარდა ოქრო! ღვიძლი შეიქმნა ის ჩემი სულისა! ჩემმა გულმა კარები გაუღო და მაგრა ჩაიკრა იგი”.

კ. მარქსი წერს: “კაპიტალისტური წარმოების წესის ისტორიულ დასაწყისში, თუ თვითეთლი დამწყები კაპიტალისტი გაივლის ინდივიდუალურად ამ ისტორიულ საფეხურს, - გაბატონებულია გამდიდრების წყურვილი და სიძუნწე, როგორც აბსოლუტური ვნებანი”<sup>[4]</sup>.

მეჯღანუაშვილი კაპიტალიზმის განვითარების დასაწყისის პერიოდში შეპყრობილია გამდიდრების სურვილით და მას როგორც დამწყებ ვაჭარს ახასიათებს სიძუნწე. იგი მომჭირნეობით ცდილობს კაპიტალის დაგროვებას: “თოთხმეტი თვის განმავლობაში მხოლოდ პურით ვიკვებებოდი”, - ამბობს სოლომონი. როდესაც ის გამდიდრების საფეხურებზე დიდი წარმატებით ადიოდა, მაშინაც კი შიმშილობდა, მომჭირნეობით ცხოვრობდა. მისი მორალი ვაჭრული მორალია. იგი არათუ სხვას, თავის საკუთარ ცოლ-შვილს, თავის მოამაგეებსაც არ ინდობს. თვითონვე გულახდილად ამბობს: “რა გავაგრძელო მთელი ჩემი მოქმედება ტყუილზედ იყო დაფუძნებული!” ამ შემთხვევაში მისთვის ამაოდ ჩაიარა ბავშვობისას თავად რაინდიძის ოჯახში მიღებულმა დარიგებებმა, “ვეფხისტყაოსნის” კითხვამ.



მეჯღანუაშვილს ცოლ-შვილიც ჩაბმული ჰყავს ვაჭრობაში. ისინი დილიდან საღამომდე ფეხშიშველნი დაეხეტებიან ბაზარში და საპონსა და ასანთს ჰყიდნი. სოლომონმა არ დაინდო “საკვირველი კაცის”, თავად ლუარსაბ რაინდიძის ოჯახიც, რომელმაც ის, ულუკმაპუროდ დარჩენილი, უცხო ტომის ადამიანი, თავის ოჯახში შეიკედლა. გამდიდრების გზაზე შემდგარმა სოლომონმა ლუარსაბ რაინდიძეს ფული ასესხა. ლუარსაბის სიკვდილის შემდეგ მის შვილს, რუსეთიდან ახლად დაბრუნებულ ალექსანდრე რაინდიძეს, დიდი სარგებელი გადაახდევინა, თანაც თავადიშვილს დაცინვით უთხრა: “კნიაზო! ნუ კი გეწყინებათ, მაგრამ ერთი მიბრძანეთ, თქვენი ჭირიმე! ამას მოგახსენებთ, რომ ქართველები დაუდევრები ხართ და არ ფიქრობთ ხვალისათვის. აი, მაგალითები: კურთხეულს მამა-თქვენს ოცდაათი თუმანი მაშინვე რომ გადაეხადა, ეხლა იმისი შვილი ოთხას სამოცდა ცამეტ თუმანსა, ცხრა მანეთს და ხუთ შაურ ნახევარსა არ გადაიხდიდა”. ასე გადაუხადა ამაგი ჩარჩმა მეჯღანუაშვილმა მოამაგე რაინდიძეების ოჯახს.

კაპიტალის დაგროვების პირველდაწყებით პერიოდში თვით ვაჭართა კლასის შიგნით უკვე თავს იჩენს წინააღმდეგობა, რაც ურთიერთკონკურენციაში ვლინდება. ამის მაგალითია ნაწარმოებში მეჯღანუაშვილისა და გასპარ სარქისბეგაშვილის ურთიერთდამოკიდებულება. მართალია, იგი ჯერ კიდევ არ არის ისეთი, რომელიც ბურჟუაზიის განვითარების მაღალი საფეხურისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ ამათი წინააღმდეგობაც შინაგანი წინააღმდეგობის ჩანასახია, რომელიც შემდეგ უფრო ფართო ხასიათს მიიღებს. გასპარ სარქისბეგაშვილი ყოფილი მეწვრილმანეა, შემდეგ გამდიდრებული. მისი ვაჭრობის ფარგლები საკმაოდ ფართოა, იგი მოსკოვსაც სწვდება, სარქისბეგაშვილი ძლიერი კონკურენცია მეჯღანუაშვილისა, ამიტომაც მათ ერთმანეთი სძულთ. სოლომონი ცდილობს სარქისბეგაშვილი ვაჭრობის გზიდან ჩამოიცილოს. მან ეს განზრახვა ვაჭრისათვის დამახასიათებელი ხერხებით შეასრულა კიდევ, თავისი მეტოქე ცივ ქვაზე დასვა ისე, რომ მდიდარ ვაჭარს გასპარ სარქისბეგაშვილს ლუკმა პურის ფულიც კი აღარ შერჩა.

რა შეძლების პატრონია მეჯღანუაშვილი? რას მიაღწია მან ვაჭრობით? ეს კარგა ხანს თვით სოლომონმაც არ იცოდა. მას იმდენი თანხა დაუგროვდა, რომ მისი ბრუნვაში დაბანდებაც კი ვერ შეძლო. ერთ დღეს მან გადაწყვიტა იანგარიშოს, თუ რა შეძლება აქვს, და გამოარკვია, რომ წარსულში ლატაკი სოლომონი დღეს თითქმის მილიონერია. ამ სიმდიდრემ თვით სოლომონ მეჯღანუაშვილი გააოცა.

მან არ იცის, როგორ მოიხმაროს ეს სიმდიდრე, იგი ამიერიდან ისწრაფვის კულტურული ცხოვრებისაკენ, აღარ ძუნწობს, სურს ცოლ-

შვილი კულტურულად, მდიდრულად აცხოვროს, მაგრამ იგი, როგორც ახალფეხადგმული ბურჟუაზიის წარმომადგენელი, ამისათვის მოუმზადებელია. ამ დროს საქართველოში ვაჭართა კლასს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ჩამოყალიბებული თავისი კლასობრივი სახე, თავისი კულტურა, გემოვნება. ამიტომ გასაგებია პირველ ხანებში მეჯღანუაშვილების გზადაბნეულობა, ლტოლვა თავადობისაკენ, რომ რაინდიძე სიძედ მოიკიდოს და სხვ.

მეჯღანუაშვილი სხვისი შთაგონებით თბილისში, სოლოლაკის ქუჩაზე (ეს ქუჩა შემდეგ მართლაც სავაჭრო ბურჟუაზიის საცხოვრებელი ცენტრი შეიქმნა) შეიძენს ორსართულიან სასახლეს, რომელსაც ახლებურად მოაწყობს. მან ცოლ-შვილი მდიდრული ტანსაცმლით შემოსა, მაგრამ თვითონვე გრძნობს, რომ ისინი ახალი ცხოვრებისათვის მომზადებული არ არიან.

თავისი ქალიშვილი თამარი, რომელსაც წარსულში ეცვა, “გახუნებული, მოკლე ჩითის კაბა, ჭუჭყიანი მიტკლის პერანგი და ქუსლებდაყრევიანებული ქოშები შიშველ ფეხებზე”, ახლა ოქროში, ბრილიანტებსა და თვალ –მარგალიტში ჩასვა. მაგრამ ყოველივე ეს სოლომონისათვის ძალზე ხელოვნურია. მეჯღანუაშვილს ძვირფასი ნივთების, სამკაულების, ავეჯის მოსახმარი ღირებულება შეგნებული არა აქვს. მას არ ესმის ამ ძვირფასი ნივთების და საერთოდ მშვენიერების ადგილი ადამიანის ცხოვრებაში. ამიტომაც ხშირად იგი უხერხულ მდგომარეობაში ვარდება; ევროპულ სტილზე გამართულ ოთახებში, როგორც სოლომონი ამბობს, მშვენიერ “ხავერდის ფარდებს დასდებოდა მტკერი, რომელსაც არ მივაქციე ყურადღება, მაგრამ ერთმა სტუმარმა ნათესავმა მამხილა”. ასეთი შეუგნებლობა მისთვის დამახასიათებელია. თვით სოლომონი შენიშნავს: “მე გემოვნების არა გამეგება”.

ლავრენტი არდაზიანი მეჯღანუაშვილისა და მისი ცოლ-შვილის სასაცილო მდგომარეობას გვიჩვენებს, როდესაც მათ ქართველი განათლებული თავადიშვილის ალექსანდრე რაინდიძის გვერდით წარმოგვიდგენს. გავიხსენოთ მეჯღანუაშვილების მდგომარეობა წვეულების დროს ან საოპერო თეატრში. ისინი ოპერაში ხალხის შესახედად დადიან და არა ოპერის მოსასმენად. იტალიელი კომპოზიტორის ბელინის ოპერა “ნორმას” მსვლელობის დროს სოლომონი, ლოჟაში ამპარტავნულად გამოჭიმული, მუშტრის თვალით სინჯავს დამსწრეებს და ტაშს მაშინ უკრავს, როცა მაყურებელი სულგანაბული სმენად არის გადაქცეული, ხოლო მისი მეუღლე სოფო ალექსანდრე რაინდიძესთან საუბარში ოპერის შესახებ ბაზრული კილოთი ამბობს: “მე თეატრი და ჩაცმა მომწონს და არა ღრიალი”.

მეჯღანუაშვილები ახალმა ცხოვრებამ, სავაჭრო ურთიერთობის განვითარებამ წამოსწია წინ. ვაჭრობით, თაღლითობით შექმნილმა ოქრომ შეიყვანა იგი მდიდრულ სასახლეში და სრულიად მოუმზადებელი ოპერის ლოჟაში დასვა. შეიძლება ამ გარემოებამ ათქმევინა სოლომონს: ”მე ამისათვის არ ვიყავი დაბადებული”. სამაგიეროდ სოლომონმა თავისი ვაჟი ისაკი სწავლის მისაღებად გიმნაზიაში მიაბარა და თანაც გადაწყვიტა, რომ თავისი ასული თამარი, რაღაც არ უნდა დაუჯდეს, განათლებულ თავადს რაინდიძეს მიათხოვოს, მაგრამ განათლების მიღებისათვის ვერც სოლომონი და ვერც თავისი შვილი აღმოჩნდნენ საჭირო სიმალლეზე. სოლომონს სურს განათლებაც ფულით იყიდოს. როცა გაიგო, რომ ისაკს სასწავლებელში სწავლა უჭირს, იმის ნაცვლად, რომ შვილი მუყაითი შრომისაკენ წაექეზებინა, გოცებულმა უთხრა: “განა ასეთი რა სასწავლებელია მაგ შენ გიმნაზიაში, რომ ერთი წაკითხვით ვერ დაგისწავლია?” ოქროებით გადიდგულებულმა სოლომონმა თავის ვაჟს ბოლოს ასეთი იმედი მისცა: “შენ ნუ სწუხარ, შენი ამხანაგები შენზე წინ ვერ წავლენ, შენზე სწავლულად ვერ გამოჩნდებიან და შენზე ადრე ჩინს ვერ მიიღებენ”. მართლაც, სოლომონმა, ყოვლისშემძლე ფულის მეშვეობით, ამ დაპირების გამართლება შეძლო, მაგრამ ამით მან თავისი შვილი ისეთსავე უმეცრებაში დატოვა, როგორშიაც თვითონ იყო ჩავარდნილი.

ასეთი იყო გზა XIX საუკუნის ორმოციან და ორმოცდაათიან წლებში სავაჭრო ურთიერთობისა და ვაჭრის ტიპის ჩამოყალიბებისა საქართველოში.

ცნობილი პუბლიცისტი სტეფანე ჭრელაშვილი ჟურნალ “იმედში” მოთავსებულ წერილში “ჩვენი ცხოვრების ღვიძლი შვილი” 1881 წელს მეჯღანუაშვილზე წერდა: “ვინ არის დღეს ჩვენი პირველი კაცი? – რასაკვირველია, ისაკი მეჯღანუაშვილი. ვინ ატრიალებს ჩვენი ცხოვრების ჭახრაკს? - რა თქმა უნდა, მეჯღანუაშვილი! საითკენ არიან ჩვენი თვალები მიქცეულნი სიშურით და თან გაკვირვებით? - მეჯღანუაშვილისაკენ. ერთი სიტყვით, მეჯღანუაშვილი და კიდევ მეჯღანუაშვილი, ეს არის თავი და ბოლო ჩვენი ცხოვრების ბორბლისა”. სტ. ჭრელაშვილის საქართველოში კაპიტალიზმის განვითარება ისტორიულ აუცილებლობად მიაჩნია, ამიტომ მან მეჯღანუაშვილს “ჩვენი ცხოვრების ღვიძლი შვილი” უწოდა.

ლ. არდაზიანი ამ სოციალურ რომანში მარტო მეჯღანუაშვილების ცხოვრების განვითარების აღწერით არ კმაყოფილდება. მას სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარების პროცესში ქართველი თვადაზნაურობის მდგომარეობაც აინტერესებს. რომანში ნაჩვენებია, რომ გამდიდრებულ მეჯღანუაშვილებთან ერთად

თბილისში ცხოვრების სოფლიდან ქალაქში ჩამოსული, ახალი ცხოვრების ფუფუნებით გატაცებული ქართველი თავადაზნაურობა. მათი ცხოვრება დაკნინებულია. ისინი ნაწარმოებში აქა-იქ სილუეტებივით ჩანან, როგორც ნიადაგგამოცლილი, უსაქმო ადამიანები. ასეთებია: “მუჭა ტყუილა”, “მუცელ-ღმერთა” კერპადე, თორნიკე, რომელსაც “პრიკაზში” შესატანი ფული ბანქოში წაუგია, თეიმურაზი, მან სოფლიდან ჩამოტანილი ფული გაფლანგა და სათამაშო ფულის ჩამოსატანად კვლავ სოფელში მიემგზავრება. ამგვარადვე იქცევიან ელიზბარი, რევაზი, და სხვები. მაკრინეს სხვა გზა რომ მოუნახავს, მაჭანკლობა დაუწყია.

ასევე გაკვრით, მაგრამ მაშინდელი დროისათვის დამახასიათებელ სატირულ სახეებში არიან წარმოდგენილნი თვითმპყრობელობის მექრთამე მოხელეები – პრისტავი “აქლემა”, თარჯიმიანი “ნემსიყლაპია” (ქრთამების ყლაპვა უყვარდა) და “დესატნიკი” – “წიპლიონკა”.

ლავრენტი არდაზიანი თავადიშვილთა წრიდან განსაკუთრებული ყურადღებით გვიხატავს რუსეთში სწავლამიღებულ ალექსანდრე რაინდიძეს. იგი ნაწარმოებში, როგორც თავადაზნაურული წრის წარმომადგენელი, სოლომონ მეჯღანუაშვილს, ახალაღმოცენებული სავაჭრო ბურჟუაზიის წარმომადგენელს, უპირისპირდება. მაგრამ რაინდიძის მხატვრული სახე, მეჯღანუაშვილთან შედარებით, უსიცოცხლოა. რაინდიძემ რუსეთში იურიდიული განათლება მიიღო. რუსეთიდან დაბრუნებული ცდილობს თბილისში შესაფერი სამსახური იშოვოს, მაგრამ ამოდ, მისი ადგილი დაიკავა მეჯღანუაშვილის შვილმა ისაკმა, რომელმაც გავლენიანი მამის დახმარებით ძლივს დაამთავრა სასწავლებელი. ალექსანდრე რაინდიძე როგორც განათლებით, ისე ზნეობით გაცილებით მაღლა დგას მეჯღანუაშვილზე, მაგრამ უპირატესობა მაინც ისაკისაა, რადგან იგი აღმავალი სავაჭრო ბურჟუაზიის წარმომადგენელია, რომელსაც ცხოვრების ეკონომიური საჭე ხელში უჭირავს.

ალექსანდრე რაინდიძეს თბილისში კიდევ ჰქონდა ერთი გზა – ეს იყო მეჯღანუაშვილთან შეერთების გზა. სოლომონი მას ათასობით ოქროებს ჰპირდება, ოღონდ მისი ქალიშვილი ცოლად შეერთოს. მაგრამ ამ შემთხვევაში ალექსანდრე არ ჰგავს გ. ერისთავის კომედიის ”გაყრის” პერსონაჟს, მასავით რუსეთში სწავლამიღებული თავად ივანე დიდებულიძეს, რომელიც ვალების გამო იძულებული შეიქმნა ჩარჩმევახზე მიკირტუმას ქალიშვილი შუშანიკა ცოლად შეერთო. რაინდიძემ მეჯღანუაშვილებთან შეერთების გზა უარყო. მან უმჯობესად მიიჩნია მიეტოვებინა ქალაქი და კვლავ სოფელში

დამკვიდრებულიყო. მართლაც, ის ცოლად ირთავს თავისივე წოდების ქალს ელენე არაგვისშვილს, ტოვებს ქალაქს და მიემგზავრება სოფელში, სადაც მამაპაპისეული მამული უპატრონოდ ჰქონდა მიტოვებული.

რაინდიძე მემამულეა, ყმების პატრონი. იგი ცდილობს ბურჟუაზიული ვითარების პირობებში შეინარჩუნოს თავისი მემამულური მდგომარეობა, ბატონყმური მეურნეობა. მერე რით ფიქრობს იგი ამის შესრულებას? იგი დასახლდა სოფელში და "ხელი მიჰყო მეურნეობის გაუმჯობესებას". ქალაქში დარჩენილ ნათესავ ქალს მაკრინეს თავის მდგომარეობაზე სწერს: "მე მივიღე გამგეობა ყმისა და მამულისა. ყოველსავე მივეცი წესი, დავაყენე სწორ გზაზე. ყოველივე ჩემ თვალწინ კეთდება და მე არც მეთაკილება, არც მეზარება. რასაც ხუთი კაცი ხუთ დღეს აკეთებდა, ახლა იმასვე უნდება ორი კაცი ორ დღესა. ამ მცირე ხანს საცა გუთანს არ გაევილო, გაიარა; საცა ბარი არ მოხვედროდა, მოხვდა; საცა ვაზი არ იყო, ვაზით გაივსო. საცა წისქვილი არ იყო, გაკეთდა. მრავალი გავაკეთე, გავამშვენე; ყოველივე აყვავდა. ყმას შეუმსუბუქდა ერთი ნახევრით სამსახური და მადლობელი არიან ჩემი გლეხკაცები, შრომა არ მიფუჭდება. ბუნება უხვად მეწევა; ამიტომ გლეხკაცი მუშაობს გულმოდგინებით, სიტკბოებით, ერთგულად. ჩემი შემოსავალი გავრცელდა, და ამ შემოსავალსა, სარწმუნო ბრძანდებოდეთ, ქალაქში არ წავაგებ ანუ არ გავაბნევ სათამაშო ნივთზე.

"მაგრამ არ გეგონოსთ, რომ მოკლებულნი ვიყვნეთ ჩვენ ყოველ სიამოვნებასა. არა, თქვენ გაქვთ თეატრი, ჩვენი თეატრი ბუნებაა, და ჩვენი თეატრი სჯობია თქვენსას. თქვენი თეატრი არის დახატული, მაგრამ ბუნებისთანა მშვენიერი რად იქნება!"

თავადმა რაინდიძემ, მისი აზრით, გამოსავალი მონახა: როგორც განათლებული მებატონე, ბატონყმურ მეურნეობას უშუალოდ ჩაუდგა სათავეში, გააუმჯობესა, გარდაქმნა, კულტურულად მოაწყო მეურნეობა და ყმებს მდგომარეობა თითქოს შეუმსუბუქა. ამან, რაინდიძის აზრით, თავისი დადებითი შედეგი მიიღო. შრომის ნაყოფიერება ამალდა: "რასაც ხუთი კაცი ხუთ დღეს აკეთებდა, ახლა იმასვე უნდება ორი კაცი დღესა". კლასობრივი წინააღმდეგობა თითქოს მოისპო, ყმები კმაყოფილი არიან თავიანთი მდგომარეობისა. იქ, სოფელში, ყველაფერი ბუნებრივი სიმშვენიერითაა შემოსილი, იგი მაღლა დგას ქალაქის არაბუნებრივ ხელოვნურ სიმშვენიერეზე.

რაინდიძე გაემიჯნა არა ქალაქს, სავაჭრო ბურჟუაზიისგან დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფვის. ამ შემთხვევაში იგი შორდება იმ თავადებს, რომლებიც ვაჭრებისაგან ფულს სესხულობდნენ და ამ გზით მათ თავიანთ ქონებას ხელში უგდებდნენ. რაინდიძე ირწმუნება:

”მე ვალს არ ავიღებ, თუ ავიღებ, ოცდაათ თუმანს (მხედველობაში ჰყავს თავისი მამა, ლ. რაინდიძე, რომელმაც ს. მეჯღანუაშვილისაგან 30 თუმანი ისესხა) ხუთას თუმნამდის არ ვაქცევ”. მისი აზრით, სოფლად იგი ყველაფრით უზრუნვეყოფილია და მისთვის ფულის სესხება საჭირო არ არის. კეთილი მებატონე რაინდიძე განცხრომითს, იდეალურ ცხოვრებას ეწევა სოფელში.

ცხოვრების ვითარების რაინდიძისებური გაგება მცდარია. იგი სოფლის ცხოვრების იდეალიზაციას ახდენს და მას ხელოვნურად ალამაზებს, თითქოს ბატონყმური მეურნეობის პირობებში შესაძლებელი იყოს შრომის მაღალი ნაყოფიერების მიღება, წოდებათა წინააღმდეგობის დაძლევა იმ შემთხვევაში, თუ განათლებული მებატონე, მსგავსი რაინდიძისა, სოფელს უშუალოდ სათავეში ჩაუდგება და რაციონალურად მოაწყობს მეურნეობას. რაინდიძეს ჰგონია, რომ ბურჟუაზიული ურთიერთობის გვერდით შესაძლებელია ბატონყმური მეურნეობის არსებობა. ეს მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფია; სინამდვილეში ორი საზოგადოებრივი სისტემა, ბურჟუაზიული და ფეოდალური, ვაჭრული და ბატონყმური, შეუთავსებელი სისტემებია.

ცხადია, ბატონყმური ურთიერთობის დროს, როდესაც მშრომელი და შრომა მონობაშია, შრომის ნაყოფიერების ამაღლებასა და ამით ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებაზე ფიქრიც კი ზედმეტია. ამ დროის ბატონყმური მეურნეობა, მისი მმართველი ფეოდალური კლასი განწირული იყო და მას ასეთი გზები ვერ იხსნიდა.

რაინდიძეს სწორად არ ესმის საზოგადოებრივი ვითარება, როცა აცხადებს, რომ ევროპა ურწმუნოებამ დაღუპაო, თითქოს ხსნა რელიგიაში იყოს.

რამდენად რეალურია რაინდიძის სახე? იმ დროს, როდესაც ”სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი” დაიბეჭდა, საზოგადოებრივი ცხოვრების რაინდიძისებური გეგმა ქართველ თავადაზნაურობაში არცთუ იშვიათი იყო. ამის მაგალითად გამოდგება ალექსანდრე ორბელიანის შემოქმედება.

ალ ორბელიანი თავადაზნაურობას ურჩევს განათლება მიიღოს, ვაჭრობა ისწავლოს და მიწის მეურნეობა გააუმჯობესოს. რაინდიძეც განათლებული თავადია, რომელიც მეურნეობის კულტურულად გარდაქმნის, გაუმჯობესების ნიადაგზე ცდილობს ბატონყმური მეურნეობა შეინარჩუნოს.

არაა სწორი, როცა პერსონაჟის – რაინდიძისა და მწერლის მსოფლმხედველობას აიგივებენ. ლ. არდაზიანის იდეური მიმართულება არსებითად სცილდება რაინდიძის შეხედულებებს.

ლ. არდაზიანმა ამ ნაწარმოებში დაგვისურათა ცხოვრების ასპარეზზე ვაჭართა კლასის გაბატონების პროცესი. მწერალი გვიჩვენებს, რომ მომავალი სავაჭრო ბურჟუაზიას ეკუთვნის. ერთ დროს გაბატონებული კლასის ჩამომავალი რაინდიძეები დაქვეითების გზაზე დგანან. ბევრმა მათგანმა სწავლა მიიღო, ზოგიერთი გაიტაცა ქალაქურმა ცხოვრებამ, სოფელი მიატოვა და ქალაქს მიაშურა, მაგრამ ქალაქში მათ აღარ დაედგომებათ, რადგან ქალაქს სავაჭრო ბურჟუაზია იპყრობს. საჭიროა თავადაზნაურობამ მიხედოს მის მიერ უპატრონოდ მიტოვებულ სოფლის მეურნეობას და განავითაროს იგი. ქართველ თავად-აზნაურთა სიმდიდრე ვაჭრების, მეჯღანუაშვილებისა და მიკირტუმების ხელში გადადის.

ქალაქი და სოფელი ერთმანეთთან დიამეტრალურ წინააღმდეგობაშია. ქალაქში სავაჭრო ბურჟუაზია მტკიცდება, სოფლად ჩამორჩენილი ბატონყმური მეურნეობაა გაბატონებული. რაინდიძეები მეურნეობის უშუალო ხელმძღვანელობით, მისი კულტურულად გარდაქმნის გზით ფიქრობენ ამ წინააღმდეგობის დაძლევის, სოფლის მეურნეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ასეთი სოციალური ტენდენციები დამახასიათებელია რომანისათვის.

ლ. არდაზიანმა ამ ნაწარმოებში შესანიშნავად დაასურათა კაპიტალიზირებული ქალაქი, მაგრამ ვერ შეძლო მის გვერდით ეჩვენებინა ბატონყმური სოფლის ნამდვილი სახე.

ქართულ ლიტერატურაში მეჯღანუაშვილს ჰყავდა თავისი წინამორბედნი გ. ერისთავის კომედიაში გამოყვანილ ჩარჩ-მევახშეთა (კარაპეტა, მიკირტუმა, მარტირუზა) სახით. მართალია, მეჯღანუაშვილი მათთან შედარებით უფრო გაღრმავებული სახეა ვაჭრისა, მაგრამ მათ შორის ბევრი რამ არის საერთო. რუსულ ლიტერატურაშიაც ცნობილია სოლომონის მსგავსი "საქმის კაცი" ("ობლომოვი" – შტოლცი).

ლ. არდაზიანი დაჯილდოებული იყო ცხოვრების დაკვირვების დიდი უნარით. იგი, როგორც რეალისტი მხატვარი, ღრმად სწავლობდა ჩვენი მაშინდელი ცხოვრების საზოგადოებრივ მოვლენებს. მის მიერ შექმნილი ყველა სახე, საერთო ანარეკლია ჩვენი მაშინდელი – ორმოცდაათიანი წლების საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

მწერალი ასახავს უშუალოდ მის მიერ შემჩნეულს, განცდილსა და გამოკვლელს. პერსონაჟებს, რომლებიც მის ნაწარმოებებში მოქმედებენ, მწერალი უშუალოდ იცნობდა, ცხოვრებაშივე აკვირვებდა მათ მოქმედებას, მისწრაფებას და მხატვრულად აზოგადოებდა. "სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში" არდაზიანმა თავისი პირადი ნაცნობები, ცოცხალი ადამიანები განასახიერა. მეჯღანუაშვილებს,

რაინდიძეებს, კერპაძეებს ავტორი კარგად იცნობდა. ამის შესახებ ლ. არდაზიანის მეუღლეს ეკატერინეს თავისი მამის ოჯახში, მეჯვრისხევში, დაუტოვებია მეტად საინტერესო მოგონება:

”სოლომონ ისაკიჩი ჩვენი მეზობელი იაქუხჩია იყო, ერთი დევივით კაცი, მოუსვენარი ქორვაჭარი, ღარიბი და ლატაკი, რვა ბავშვი ჰყავდა. ხან სუპს უგზავნიდით, ხან პურებს. ბავშვების გამონაცვალს სააღდგომოდ ბევრჯერ გამიგზავნია. ერთხელ იაქუხჩია ისევ შემოვიდა ჩვენსა. დამიტოვა ოთხი თუმანი, ლავრენტის გადაეცი დიდის მადლობითაო. მოვიდა ლავრენტი სასამართლოდან, ნახა ფული და მითხრა: კეკე, თუ თუ ხათრი გაქვს, ეგ ფული წაიღე, ჩაიყვანე იაქუხჩიას ბავშვები ქარვასლაში, ფეხსაცმელები შეუძინე და ჩააცვი, ერთი თუმანიც მის დედაკაცს მიეცი, იქნება ერთი კაბა ჩაიცვასო. მეც ასე მოვიქეცი.

საღამოთი ისევ მოირბინა იაქუხჩიამ, გაჯავრებული იყო. სახეზე ხელს იფარებდა, რაღაცასი რცხვენოდა. სთხოვა ლავრენტის გამომყეო და ის განათლებული გაჰყვა. წაუყვანია იაქუხჩიას ლავრენტი და უჩვენებია ერთი თონე პირთამდი ვერცხლით სავსე და ორი ერბოს ქილა, ოქროთი სავსე.

ის დღე იყო და იაქუხჩია გამდიდრდა, დიდ საქმეს მოჰკიდა ხელი. შეიძინა ქალაქში სახლები და მიწები. ვაჭრებს მისი ძლიერ ეშინოდათ.

ამის შემდეგ ლავრენტი კარგა ხანს წერდა და ”ცისკარში” დაიბეჭდა კიდევაც ”სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი”. მთელი ქალაქი ამ მოთხრობაზე ლაპარაკობდა.

ყველაზე უფრო მას ეს მოთხრობა უყვარდა. მით უმეტეს, რომ მან მტრები გაუჩინა, განსაკუთრებით სომეხ ვაჭრებში, ”ასე გაუნათლებულ ხალხად რად გამოგვიყვანაო”<sup>[5]</sup>. ერთ დროს ლატაკი ქორვაჭარი, შემდეგ გამდიდრებული იაქუხჩია – აი, ვინ არის თურმე მეჯღანუაშვილის პროტოტიპი.

საინტერესოა ”სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის” მხატვრული აღნაგობა. ეს ნაწარმოები უდავოდ ამჟღავნებს მწერლის მხატვრულ ოსტატობას. ნაწარმოებში ამბავი მოთხრობილია პირველი პირით, თვით სოლომონი გადმოგვცემს თავის თავგადასავალს და მასთან დაკავშირებულ ამბებს, ადამიანების ხასიათს. ”სახელი ჩემი სოლომონ, გვარი - მეჯღანუაშვილი”, - ასე იწყება ეს ნაწარმოები და შემდეგ ამბავი რეალისტურ ხაზებში დიდი სიცხოველითა და დინამიკით ვითარდება, ისე რომ, მკითხველში შეუწელებელ ინტერესს იწვევს.

რომანში სოციალური გარემო, სახეები, მოქმედება, თითქმის ყოველი დეტალი დახატულია უაღრესად კოლორიტული,



რეალისტური ტონებით. ნაწარმოებში ამბის გადმოცემის ფონზე იძვრება მთავარი გმირის, სოლომონის ხასიათი. რომანის დამთავრებისას თქვენ წინ აღიმართება გამოქანდაკებული ტიპიური სახე ჩვენი მაშინდელი ჩარჩ-ვაჭრისა, თავისი ვნებებითა და მისწრაფებებით. აქვე უნდა მივუთითოთ, რომ სოლომონში ბოლოს დიდი სულიერი ძვრების შედეგად მოულოდნელი გარდატეხა ხდება. ეს შეინიშნება, როდესაც ავტორი სოლომონს გაკოტრებული ვაჭრის გასპარ სარქისბეგაშვილის ოჯახის მფარველად წარმოგვიდგენს. თითქოს სოლომონს შეებრალა თავისი მტერი, ყოფილი მეტოქე, რომელიც მან ვაჭრული ხრიკებით გზიდან ჩამოიცილა და გააკოტრა. სოლომონმა გალატაკებულ გასპარას სამ ქალიშვილს ისე, რომ მათ ქველმოქმედი ადამიანის ვინაობა ვერც კი გაიგეს, ექვსას სამოცი თუმანი მზითვად მისცა და გაათხოვა.

იმ დროს როდესაც ჟურნალი "ცისკარი" შესაფერი მასალების უქონლობის გამო კრიზისს განიცდიდა, ლ. არდაზიანის ნაწარმოებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. თუ რაოდენ დიდი პოპულარობა და ავტორიტეტი შეუქმნა "სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის" დაბეჭდვამ "ცისკარს", ეს ჩანს ამავე ჟურნალის რედაქციის შემდეგი განცხადებიდან: "წარსული თვის ნომერში დაბეჭდილი იყო ნამდვილი ქართული რომანი, შეთხზული ჩვენის თანამედროვე მწერლის ლავრენტი არდაზიანისაგან. რედაქციაში მოგვდის ამ საგანზე სხვადასხვა პირთაგან წიგნები, სადაც ისმის ხმა ქებისა და მადლობისა, რედაქცია ამ საზოგადო აზრს დაამატებს თავის აზრს და განუცხადებს უფალს არდაზიანს მადლობას ამგვარი შრომისათვის და ჩვენს ლიტერატურაზე ღვაწლის დადებისათვის. კვალად იმედოვნებს, რომ თავის ძვირფას შრომას არ მოაკლებს რედაქციას"<sup>[6]</sup>. ასეთი მაღალი შეფასება მისცა ქართველმა მკითხველმა რომანს "სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი", რომელშიც სამართლიანად დაინახეს მაშინდელი ცხოვრების ცოცხალი და უტყუარი სურათები.

\* \* \*

ლ. არდაზიანი მონაწილე იყო იმ ბრძოლისა, რომელიც სამოციან წლებში თაობათა შორის წარმოებდა. ზოგიერთი მკვლევარი ლ. არდაზიანს უსამართლოდ მიიჩნევს "ძველითაობის" მომხრეთა ჯგუფში. თაობათა შორის უთანხმოებისას ლ. არდაზიანი "თერგდალეულთა" მოწინავე შეხედულებებს ემხრობოდა. ჩვენ აქ არ განვიხილავთ ჟურნალ "ცისკარში" გ. ბარათოვის სახელით ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ გამოქვეყნებულ სტატიებს, რომლებიც არ

ეკუთვნის ლ. არდაზიანს. ეს წერილები მხოლოდ გაუგებრობის შედეგად მიეწერება არდაზიანს.

ლიტერატურულ მუზეუმში დაცულია ლ. არდაზიანის მიერ 1862 წლის მაისში დაწერილი წერილი "ახალნი მნათობნი", რომელიც ძველსა და ახალ თაობას შორის გამართული პოლემიკის გამო არის დაწერილი. ავტორს იგი მოუმზადებია "ცისკარში" დასაბეჭდად, მაგრამ რატომღაც არ გამოქვეყნებულა. მიუხედავად იმისა, რომ ეს წერილი წარმოადგენს ბოლო რედაქციის შავს, მას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს იმ პოზიციის გასარკვევად, რომელიც ლ. არდაზიანმა, როგორც "ცისკრის" უახლოესმა თანამშრომელმა, დაიკავა ახალი თაობის მიმართ. ლ. არდაზიანი შეფასებას აძლევს "ცისკარში" გამოქვეყნებულ ეფთვიმე წერეთლის წერილს და ძირითადად ეხება ჩახრუხადისა და რუსთაველის შემოქმედების შეფასების საკითხს.

ეფთვიმე წერეთლის წერილის შესახებ ლ. არდაზიანი წერს: "წინააღმდეგ ილია ჭავჭავაძისა ვინმე ზემოური იმერელი გორისელი წერეთელი ეფთვიმე (გია მოსთ, მკითხველო, ესეც ახალ მნათობთაგანია) გამოესარჩლა არა თუ ჩახრუხადესა, სხვათაც მრავალთა და შეაზავა ასეთი ფაშარი და მძალე დომხალი, რომ იმისის ჭამით ყელი ამოგვეხანძლა". ცხადია, "სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის" ავტორს ვერ დააკმაყოფილებდა ეფთვიმე წერეთლის ჩამორჩენილი შეხედულებები და იგი ამიტომაც მის წერილს "მძალე დომხალს" უწოდებს.

თუმცა ლ. არდაზიანი ეკამათება ილია ჭავჭავაძეს ჩახრუხადის შემოქმედების გაგებაში, მაგრამ მათი შეხედულებები პრინციპულად ერთმანეთისაგან არ განსხვავდება. ლ. არდაზიანიც იმასვე აღნიშნავს, რომ თანამედროვე საქართველოსათვის ჩახრუხადე არ არის დიდი პოეტი, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩახრუხადე დიდი არ იყო თავისი დროისათვის. მწერლის შემოქმედება ლ. არდაზიანის აზრით, უნდა შეფასდეს ისტორიული თვალსაზრისით. ამავე დროს იგი მოითხოვს მწერლის ღირსების საზომად ხალხის, საზოგადოების თვალსაზრისი იქნეს მიჩნეული, რადგან ხალხი მხოლოდ ჭემმარიტ პოეტს სცემს პატივს და მის ხსოვნას ინახავსო.

ლ. არდაზიანი ამ შეხედულებათა საფუძველზე ერთმანეთს ადარებს რუსთაველსა და ჩახრუხადეს. იგი რუსთაველის შესახებ წერს: "რაც სასმენელი გამეხსნა, მას აქეთ ყოველ დღე და საათს, შინ და გარეთ, ქუჩაში, ბაზარში, გზაში, სოფლებში, ქალაქებში, ბარათ თუ მთაში მესმოდა და მესმის ქება რუსთაველისა დიდისაგან და პატარისაგან, ქალისაგან და ვაჟისაგან, მოხუცისაგან... ყველამ იცოდა და იცის ზეპირ უკვდავი პოემა უკვდავის რუსთაველისა. იმისი ტკბილი და მშვენიერი მაღალი ფილოსოფიით სავსე ლექსები

იხმარებიან ანდაზათ, მაგალითად, სიმღერაში, შესაქცევად. ყველას უყვარს, ყველა პატივისცემით მოიხსენიებს რუსთაველსა. ყველა ქართველს აქვს აგებული თავის გულში სახსოვარი რუსთაველისა, თითქმის თანასწორათ დავით აღმაშენებლის და თამარ მეფესი. აი, თუ ქართველებმა არ იციან ღირსეულად დაფასება ნამდვილის ტალანტისა!”.

ასეთია ხალხის თვალსაზრისი რუსთაველის ”ვეფხისტყაოსნის” მიმართ . ამის შემდეგ ლ. არდაზიანი ეხება ჩახრუხადის შემოქმედებას და აღნიშნავს:”ჩახრუხადეზედ რაღა გამიგონია? არც ქება, არც ძაგება! ჩახრუხადეს სახელი ჯერაც არ მეცოდინებოდა თუ პლატონ იოსელიანსა არ დაებეჭდა იმისი თამარის ქება... სად აის ხმა საზოგადოებისა ჩახრუხადეზე? ხალხი, აღნიშნავს არდაზიანი, კარგად ასხვავებს ჩახრუხადესა და რუსთაველს და მხოლოდ ამ უკანასკნელს თვლის დიდ პოეტად”.

ამავე წერილში ლ. არდაზიანი კონკრეტულად აღნიშნავს ჩახრუხადის შემოქმედების ზოგიერთ დადებითსა და სუსტ მხარეს. ქართული მწერლობის წინაშე მის ისტორიულ დამსახურებად ლ. არდაზიანს ის მიაჩნია, რომ მან ქართულ ლექსთწყობაში შემოიტანა სრულიად ახალი ფორმა ლექსისა – ჩახრუხაული. მაგრამ იმასაც აღნიშნავს, რომ ჩახრუხადის შემოქმედების ენა ბუნდოვანია. მას ”ჰყვარებია ძნელის სიტყვებით გამოთქმა აზრისა”. სწორედ ამის გამო ჩახრუხადის შემოქმედება გაუგებარი შეიქნა ხალხისათვის. იგი დაივიწყა ხალხმა და მას ამჟამად მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა გააჩნიაო. ”მთელი ხალხის განჩინება, - წერს ლ. არდაზიანი, - შეუცთომელი და შეურყეველია”.

აქვე ანტონ კათალიკოსის სამწერლო ენას ლ. არდაზიანი იმავე დახასიათებას აძლევს, რაც მან ჩახრუხადეს მისცა, ლ. არდაზიანი შენიშნავს, რომ ენის საკითხში ანტონ კათალიკოსი ”იმავე სენით არის დაავადებული” როგორითაც ჩახრუხადეო. ლ. არდაზიანის აზრით, ანტონი ”ახირებულად აქებს” ჩახრუხადეს; იგი ქების ღირსი ამჟამად არ არის, რადგან თანამედროვე საზოგადოებისათვის ჩახრუხადე მკვდარი პოეტიაო.

ძველსა და ახალ თაობას შორის უთანხმოებისას ლ. არდაზიანის ადგილის გარკვევისათვის მთავარია სცენები ”მოგზაურო ტფილისის ტროტუარზედ”, რომელიც ბიძია თონიკეს ფსევდონიმით გამოქვეყნდა ჟურნ. ”ცისკრის” 1862 წლის მეექვსე ნომერში. აგრეთვე ის წერილები, რომლებიც ამ ნაწარმოების დაბეჭდვამ გამოიწვია.

”მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზედ” შეიცავს დრამატულ სცენებს. შედგება ვრცელი შესავლისა და ცხრა სცენისაგან. მასში დიალოგის ფორმაში გადმოცემულია რეალისტური, ცოცხალი

სურათები მაშინდელი თბილისის ცხოვრებიდან. ასეთი ხასიათის ნაწარმოებები, სამოციანი წლების ჩვენი დედაქალაქის ცხოვრებას რომ გვიხატავდეს, არც ისე ბევრია.

მწერალი მოგზაურობს მაშინდელი თბილისის ”ტროტუარზე” და ამ მოგზაურობის დროს ნახულს გადმოგვცემს. თითოეულ სცენაში მოქმედებს ორი, სამი, ხან ოთხი პერსონაჟი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ყველა სურათში (სცენაში) თბილისის მაშინდელ მოქალაქეთა უარყოფითი მხარეების გაკიცხვის როლში გამოყვანილია ”ქალაქის ბიჭი”, რომელიც სინამდვილეში დაბალი სოციალური ფენის, გლეხობის წარმომადგენელია.

მწერალი გრძნობს პერიოდული პრესის დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას და ნაწარმოების შესავალში მწუხარებით აღნიშნავს, რომ თბილისში ქართული გაზეთი არ გამოდის. ავტორი ამაში ბრალს სდებს მაშინდელი საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც ”უბრალო ნივთებისათვის” ფულს ფლანგავს, ხოლო ჟურნალს კი არ იწერს. არდაზიანი სიხარულით აღნიშნავს, რომ საქართველოში მალე ორი ჟურნალი იქნება: ”ცისკარი” და ”საქართველოს მოამბე” ნაწარმოების გამირის მეშვეობით მწერალი ასე მოუწოდებს მაშინდელ ქართველ საზოგადოებას: ”უფ. ი. ჭავჭავაძე და ი. კერესელიძე ცდილობენ კარგი ჟურნალები გამოსცენ – ვნახავთ რამდენი ხელის მომწერნი ეყოლებათ! ორივე უნდა შევამაგროთ, თორემ თუ ერთი იმათგანი დაეცა, - დაეცემა უთუოდ ჩვენის მიზეზით, მაშინ ქართული ლიტერატურა წარმატებას ვეღარა ჰპოვებს”...

პირველ სურათში მწერალი დასცინის ახალი ცხოვრების ფუფუნებით, ”მოდებით” გატაცებულ, მაღალი წრის ქართველ ქალებს. ესენი მოხიბლა სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარების პერიოდში ქალაქად შექმნილმა ახალმა ცხოვრებამ. მათ უთავბოლოდ დაუწყეს ფლანგვა თავიანთ ქონებას. მერედა ქართველ თავადაზნაურობას სად გააჩნდა ამისი შესაძლებლობა? – ყიდდა თავის ქონებას, ”პრიკაზიდან” სესხულობდა ფულს, ან, როგორც თვით ლ. არდაზიანი შენიშნავს, ქმრები ”ლაქის თანამდებობას” ასრულებდნენ ფულიანის კარზე. მათი ქონების დიდი ნაწილი ვიღაც ვიგინდარა ვაჭრებს უვარდებოდათ ხელში.

ლ. არდაზიანს ძალიან კარგად ესმოდა მაშინდელი ეკონომიური ვითარება. იგი კარგად ხედავდა, რომ თავადაზნაურობის სავაჭრო ბურჟუაზიის სახით დიდი მტერი გაუჩნდა. ”პირკაზი”, რომელიც ვითომ თავადაზნაურობის დახმარებისათვის დააარსეს, სინამდვილეში ხელს უწყობდა მათს ეკონომიურ გალატაკებას, რადგან ქართველი თავადაზნაურობა ”პრიკაზიდან” მიღებულ სესხს მეურნეობას კი არ ახმარდა, არამედ უთავბოლოდ ფლანგავდა.

სცენების მეორე და მესამე სურათში მწერალი იძლევა "ცრუ განათლებულის" პორტრეტებს, ასეთად მეორე სურათში წარმოდგენილია მეტიჩარა ქართველები, რომლებმაც რუსული არ იციან, მაგრამ ქართულად ლაპარაკს მაინც არ კადრულობენ და რუსულსაც ამახინჯებენ.

მესამე სურათში ურცხვადის სახით მწერალი წარმოგვიდგენს ცრუსა და ურცხვ ადამიანს, რომელიც თვით უვიცია და სხვებს დასცინის, როგორც გაუნათლებელს. ურცხვადე თავხედურად მსჯელობს, ვითომ ამასხარავეებს რუსეთში ნასწავლ ახალ თაობას, "წვეროსნებს, თითქოს ისინი სწავლის ნაცვლად "წვერს გამოუმეებენ" და რუსეთიდან ისე ბრუნდებიან საქართველოში. თვით ურცხვადე "ტროტუარზე" უსაქმოდ დაეხეტება და ყველას არწმუნებს, რომ მას ევროპის გამოჩენილ მეცნიერებთან ვითომ დიდი მიწერ-მოწერა აქვს. ჩამორჩენილი ადამიანები რომ მოატყუოს, უცხოური გვარების კორიანტელს აყენებს: "გოტლიბ შტერნი - ფრანკფურტიდამ, იოდან კლეინ ფიხტე - ბერლინიდამ, მარტინ შაბლაუზენი - ლეიფციგიდამ", აი თურმე ვისთან აქვს მას მიწერ-მოწერა გამართული.

მწერალი ურცხვადეს უპირისპირებს გონიერ პიროვნებას დარბაისლოვს, რომელიც ამხელს მას როგორც ცრუსა და ახალგაზრდობის მოძულეს.

"ქალაქის ბიჭიც" ამხელს და დასცინის ურცხვადის უვიცობას. თავის მხრივ ურცხვადე, როგორც მოძულე მშრომელი გლეხობისა, ასე მიმართავს "ქალაქის ბიჭს": "ჭკუა არა გაქვსთ, წადი იმუშავე, ტალახი ზილე და პური ისე ჭამე".

"ქალაქის ბიჭი" სამართლიანად შენიშნავს თავისი დროის მეცნიერებს, რომ ისინი მშრომელ გლეხობას მაღლიდან კი არ უნდა დაჰყურებდნენ, არამედ ხალხს უნდა ემსახურებოდნენ. მშრომელი გლეხობის წარმომადგენლის ამ სიტყვებს შორიდან ხალხის ხმაც დასტურს აძლევს.

ლ. არდაზიანი ააშკარავებს ურცხვადის მახინჯ სახეს. ამ სურათში მისი სიმპათიები მშრომელი გლეხობის მხარეზეა.

მეშვიდე სცენაში ურცხვადის მსგავსი პორტრეტი წარმოდგენილია ახმახის სახით. მას არასოდეს არ შეუქმნია რაიმე, სამაგიეროდ ხალხს ატყუებს: "ჯერ არა დამიწერია-რა, მაგრამ გულში კი მაქვს, დავწერო. ჩემ თავში ოცი ათასი იდეა ირევა, როგორც ჭიანჭველა, ერთიერთმანეთზე უკეთესი, დასწყევლოს ღმერთმა, არ ვიცი, რომელ ერთს წავავლო ხელი" ახმახი ხალხს თავს აჩვენებს, რომ იგი ლიტერატურით გატაცებული პიროვნებაა. ნამდვილად კი არაფერი გაეგება. მშობლიური ლიტერატურა მისთვის, როგორც გადაგვარებულ, უგვარტომო პიროვნებისათვის, არ არსებობს. იგი

გაკვირვებით წარმოთქვამს: ”ქართული ლიტერატურა ვის ეკადრება, განა არის კი სადმე?” ახმახს თავი მოაქვს დიდ კაცებთან სიახლოვით. იგი კვებნით ამბობს, რომ ”დიდი კაცები” მას ეკითხებიან ყოველივეს, რომ მას ძალა შესწევს ზოგი გააბედნიეროს და ზოგი გააუბედუროს. შიში და მოკრძალება რომ დაენერგოს, ნაცნობებში გაიძახის: დღეს ამა და ამ დიდ კაცთან ვიყავი სადილად მიპატიჟებული, იქ მივედი, აქ ვერ მივედი და სხვა ასეთები.

ახმახი უსაქმური, მოლაყბე და ამავე დროს ბოროტი პიროვნებაა, - სამსახურში მუშაობის ნაცვლად ”მარად ტროტუარზე” მოხეტიალე. მას, როგორც ”განათლებულ” მოლაყბეს, მშვენივრად ახასიათებს ერთი მისი ნაცნობი, რომელიც მას ჩვეულებრივად ”ტროტუარზედ” შემოხვდა: ”დღეს დაიწყო ჩინეთის და იაპონელების ამბავი, ვერ დაასრულა, კუჭმაც ძლიერ შემაწუხა, წაიყვანე სადილად იმ აზრით, ეგების დაესრულებინა, მაგრამ ამ ჩემი ცოდვით სავსემ არ დაასრულა, სადილი კი გამომტყუა”. ასეთია ახმახი, მის ლაპარაკს ბოლო არ აქვს! მსმენელებიც, ალბათ, იმის შიშით, რომ არავისთან დაგვაბეზდოსო, იძულებული არიან მოისმინონ მისი დასასრულებელი ლაყბობა.

ნაწარმოების მეოთხე სურათში ცოცხალი პორტრეტებია მოცემული ცარიზმის მიერ საქართველოში გამოგზავნილი გონებრივად შეზღუდული მოხელეების – ველიკოუმოვისა და ოსტროუმოვის სახით, რომლებიც ჩინოვნიკურ სამსახურში დაბერდნენ, ახლა თავი დაუნებებიათ სამსახურისათვის და თბილისის ”ტროტუარზე” მთვრალეები დაეხეტებიან. ესენი ერთმანეთთან იკვებნიან – მათ, თვითმპყრობელობის ჩინოვნიკებმა, როგორ გაანათლეს ”ჩამორჩენილი” საქართველო. ანალოგიური პორტრეტებია დახატული მეხუთე სცენაშიც.

ლ. არდაზიანი ველიკოუმოვსა და ოსტროუმოვს დასცინის. მათში დიდმპყრობელური შოვინიზმით გამსჭვალულ მოხელეებს განასახიერებს.

ნაწარმოების მეექვსე სცენაში ლ. არდაზიანმა თვითმპყრობელობის მოხელეთა ორპირობა და უსამართლობა დაგვისურათა: მექრთამე მოხელეების ხელში, როგორც ნაწარმოებშია აღნიშნული, ”საწყალი ხალხი” უსამართლოდ იჩაგრება. მაგალითად, ერთი პიროვნება, მიუხედავად იმისა, რომ სიმართლე მისკენ არაა, ბობოლა მოხელისაგან მოითხოვს საქმე მაინც მის სასარგებლოდ გადაწყვიტოს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ემუქრება ბობოლა მოხელეს, რომ მას აფარებულ ”მშვენიერ პირბადეს” ჩამოხდის და ქვეყანას დაანახვებს მის ნამდვილ გამურულ სახეს. შეშინებული მოხელე თავისი პიროვნების გამოაშკარავების შიშით, დაპირებას

ამლევს: "საქმის კარებსა და ფანჯრებს ამოვქოლამ, დავაბნელებ, მერმე ჩრდილოეთის მხრით ერთ პატარა სანათურს გამოვადებ და გარწმუნებთ თქვენ, რომ საქმე ისე გაივლის, როგორც თქვენ გნებავს". მაგრამ თაღლითურ საქმიანობაში პირველ მოხელეს არც მეორე ჩამორჩება. იგი ერთი ხელით თუ გაუკეთებს საქმეს, სამაგიეროდ, მეორე ხელით სხვას გააფუჭებინებს. ასე ასრულებს ის თავის მოვალეობას.

"ქალაქის ბიჭს" კი თვითმპყრობელობის ეს მძარცველი მოხელეობა ჰყავს წარმოდგენილი კალიას სახით, რომელიც მოსავალს ანადგურებს. "ქალაქის ბიჭი" ამ მოხელეთა შესახებ ყველას გასაგონად გაიძახის: "ჩოჩეთს კალია დასცემია. ეხლა აშენდა ჩოჩეთი!".

ამ ნაწარმოებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მეცხრე სცენა, სადაც გამოყვანილია იმდროინდელი ზოგიერთი სწავლული, მოფილოსოფოსო პიროვნება, ანუ, მწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ, "ორი მამებარი ჭემმარიტებისა" და ერთიც – "ტაკიმასხარა". მათ შორის მსჯელობა იმართება ლოგიკისა და ფილოსოფიის საკითხებზე. "ჭემმარიტების მამიებელი" ვითომ ფილოსოფიურ პრობლემებს წყვეტენ, თავს იმტვრევენ, დავა აქვთ გამართული იმაზე, თუ "ვირს დიდი ყურები რათა აქვს". პირველი მამიებელი ამას ასაბუთებს სიმეტრიის კანონით, რომ ბუნებას თავთან შეფარდებით მიუცია ვირისათვის დიდი ყურები. მეორე "მამიებელი ჭემმარიტებისა" ამ აზრის წინააღმდეგია, რადგან ვირის სხეულში საერთოდ არაა წონასწორობა დაცული. ამას ასაბუთებს იმითაც, რომ "ვირს ყურები დიდი აქვს, მაგრამ ფეხები პატარა" და სხვ. ამაში, მისი აზრით, ბუნება არის შემცდარი; იგი დასცინის მათ, ვინც ამტკიცებს, რომ ბუნებაში ყოველივე მიზანშეწონილად და გონიერად არის მოწყობილი.

დავა "მწვავე" ხასიათს ღებულობს, იმართება მსჯელობა – არსებობს თუ არა საგანი, როგორც ობიექტური რეალობა. პირველი "მამიებელი ჭემმარიტებისა" თავის გამართლების მიზნით მოიშველიებს იდეალისტურ გნოსეოლოგიას, მიუთითებს, რომ თვალი, როგორც გრძნობის ორგანო, "გვაცდუნებს", არ არის სანდო. ვირის ფეხების სიპატარავე თვალს ეჩვენება, სინამდვილეში კი ეს ასე არაა. მაგრამ "მეორე მამიებელი მეცნიერი" იმავე იდეალისტური გნოსეოლოგიის საფუძველზე ცდილობს დაამარცხოს თავისი მოწინააღმდეგე. იგი მიუთითებს: თუ მართალია, რომ თვალი გვაცდუნებს, მაშინ არც იმის თქმა შეიძლება, რომ ვირს აქვს დიდი ფეხები და, მაშასადამე, ვირი არის პროპორციულად აგებული და ბუნებაც არ არის შემცდარი. აქვე იმართება მსჯელობა ფორმალური ლოგიკის ერთ-ერთ კანონზე. ერთი მათგანი უარყოფს ფორმალური

ლოგიკის მოთხოვნას, რომ ერთსა და იმავე საგანზე ითქვას: ”ან ჰო, ან არა”.

ასეთია ”ჭეშმარიტების” ამ მაძიებელთა შორის გამართული კამათის ხასიათი. მათი სახით ლ. არდაზიანს მაშინდელი თბილისელი ზოგიერთი სემინარიელი უნდა ჰყავდეს გამოყვანილი. ლ. არდაზიანი მათს ”ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას” დასცინის.

”მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზედ” სამოციანი წლების თბილისის საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლისათვის მნიშვნელოვანი მხატვრული დოკუმენტია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნაწარმოებში მწერლის სიმპათია, ”ქალაქის ბიჭის” სახით, ყმაგლებობისკენაა. შემთხვევითი არაა, რომ იმ მახინჯ მხარეებს, რომლებიც ნაწარმოებშია გადმოცემული, გლეხის ბიჭი დაუნდობლად დასცინის და ჰკიცხავს. იგი ამ მხატვრულ ნარკვევში გამოირჩევა თავისი გონიერებითა და დადებითი მორალური თვისებებით.

ამ ნაწარმოებმა მაშინდელ ქართველ ინტელიგენციაში დიდი დავა გამოიწვია. ბევრმა მასში თავი დაინახა, ახალი თაობის ზოგიერთმა წარმომადგენელმა ეს ნაწარმოები ”მამათა” ბანაკიდან გამოლაშქრებად მიიღო. ამ ნაწარმოების იდეური მრწამსის გაგებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აკაკი წერეთლის წერილს კირილე ლორთქიფანიძისადმი. ა. წერეთლის ეს წერილი ადასტურებს, რომ ლ. არდაზიანს ნაწარმოებში ”მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზედ” რეალური, ცოცხალი ადამიანები ჰყავდა მხედველობაში. იგი ამხელდა მაშინდელი თბილისის გადაგვარებულ ადამიანებს, როგორც საზოგადოებისათვის მავნე პირებს.

მიუხედავად ამისა, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ კირილე ლორთქიფანიძემ ”საქართველოს მოამბეში” ამ ნაწარმოებზე მაინც მოათავსა წერილი, რომელშიც ლ. არდაზიანის ნაწარმოების აზრი სწორად არ იყო გაგებული. კირილე ლორთქიფანიძემ ახალი თაობის მიმართ დაცინვა, რომელსაც ნაწარმოებში უარყოფითი პერსონაჟი (ურცხვაძე) გამოთქვამს, მწერლის მოსაზრებად მიიღო, რაც, ცხადია, არ იყო სწორი. ეს კიდევ უფრო ნათელი შეიქნა, როცა ლ. არდაზიანმა ”ცისკარში” კირილე ლორთქიფანიძის საპასუხო წერილში ”ორიოდე სიტყვა შესახებ თერგდალეულის სტატიისა” თვით გაარკვია ნაწარმოების აზრი და გამოამჟღავნა თავისი თანაგრძნობა ახალი თაობის მიმართ.

ლ. არდაზიანი კარგად იცნობდა როგორც ფილოსოფიას, ისე პოლიტიკური ეკონომიის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს. მას სამსახურებრივი მოვალეობის გამოც უხდებოდა ქალაქის ეკონომიური ცხოვრების დაკვირვება და შესწავლა. ეკონომიური საკითხების ცოდნა ემჩნევა როგორც მის მხატვრულ ნაწარმოებებს ”სოლომონ ისაკიჩ



მეჯღანუაშვილსა” და ”ფულს”, აგრეთვე პოლემარიდან ნათარგმნ ნაწარმოებს ”ყოველივე მოიპოვება შრომით, პოლიტიკური ეკონომიის ნაწილი”, რომელიც დაიბეჭდა ”ცისკრის” 1863 წლის ნომერში. ნაწარმოებში საქართველოს მაშინდელი ვითარებისათვის ლიბერალური აზრებია გამოთქმული. ამიტომაც უთარგმნია ლ. არდაზიანს ეს ნაწარმოები და ზოგიერთი ადგილი ქართული ცხოვრებისათვის შეუფარდებია. პოლემარს ეკონომიური საკითხები მხატვრულ ფორმაში აქვს გადმოცემული.

ლატაკი გლეხი ჟორჟი, რომელიც მეპატონის მიწაზე ცხოვრობს, თავისი მდგომარეობით უკმაყოფილოა, რადგან მის ნაშრომს სხვა ითვისებს. ქარხნის მეპატრონეს შარლს იგი მშრომელთა უფლებებს მშრომელის მიერ შექმნილ საგანზე ასე განუმარტავს: ”ნივთსა... სხვა არა რა ფასი არ სძევს, გარდა იმისა, რომელსაც მისცემს მას შრომა... და ესრეთ თუ ნივთსა აქვს მხოლოდ ის სარგებლობა, რომელსაც მისცემს მას შრომა, რასაკვირველია, ყოვლის სიმართლით უნდა ვთქვათ, რომ თვით ნივთიც უნდა ეკუთვნოდეს იმას, ვინც სდებს მას ფასსა”. მას აღელვებს ის მდგომარეობა, რომ მის ნამუშევარს მემაძულე ითვისებს.

ფაბრიკის მეპატრონე შარლი სხვაგვარ აზრებს ავითარებს. იგი ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის ნიადაგზე დგას და თავის შეხედულებებს ამგვარად აყალიბებს: 1) კაცმა იშრომოს, 2) შრომით კაცი მოიპოვებს ნივთსა, რომლის საშუალებით დააკმაყოფილებს თავის საჭიროებათა, 3) გაცვლა შრომისა გაავრცელებს კაცის კეთილმდგომარეობასა და დააფუძნებს საზოგადოებასა, 4) ამ გაცვლაში ყოველი კაცი არის თავისუფალი, არ არის დამონებული სხვისაგან და ამასთანავე კი ერთი მხარეცა, მეორეცა არიან მტკიცედ შეკავშირებულნი”.

ავტორი ფაბრიკის მეპატრონეს შარლს უპირისპირებს ვაჭარს რობინოს, რომელიც ”არწმუნებდა ყველას, რომ შარლის ქარხანა დასცემდა ვითომ იმათ საფეიქრო ქარხნებსა”. სინამდვილეში, როგორც ავტორი შენიშნავს, მას აწუხებდა თავისი მდგომარეობა. იგი საქონლით ვაჭრობდა და მას შარლის ფაბრიკა მოგებას შეუმცირებდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რობინოს კონკურენციის ემინია, რომ მსხვილი წარმოების გვერდით მას, როგორც მევახშე-ვაჭარს, არსებობა გაუჭირდება. რობინო გლეხობას ატყუებს და ავიწროებს. ლ. არდაზიანი შენიშნავს, რომ ასეთი მევახშე-ვაჭრები მაშინდელ საქართველოშიაც ბლომად იყვნენ.

პოლემარის ამ ნაწარმოების გაგრძელება უკანასკნელად ”ცისკრის” 1863 წლის მერვე ნომერში გამოქვეყნდა. აქვე იყო მითითებული, რომ გაგრძელება შემდეგ ნომერში დაიბეჭდებოდა, მაგრამ როგორც ჩანს, ეს ავტორმა ვერ შეასრულა. ასე რომ, ნაწარმოები

დასრულებული არ არის. რატომ არ გამოქვეყნდა გაგრძელება? უნდა ვიფიქროთ, რომ ნაწარმოების შინაარსი მაშინდელ ხელისუფალთ არ მოეწონათ და მისი ბეჭდვაც შეაჩერეს ისე, როგორც შეაჩერეს მოლაყბის წერილების ბეჭდვა.

ამ დროს ლ. არდაზიანი, როგორც კარგი მცოდნე ქართული და უცხოური მწერლობისა, მიწვეული იყო სამუშაოდ "ცისკარში", ჯერ კიდევ 1862 წლის ოქტომბრის ნომერში რედაქტორმა ივ. კერესელიძემ ლ. არდაზიანზე "ცისკარში" ასეთი განცხადება გააკეთა: "მომავალს წელიწადს ჟურნალი გაიყოფა ექვს ნაწილად. მეორე ნაწილში იქნება უცხო ქვეყნის, ანუ საკუთარი ჩვენი ქართული სიტყვიერება, რომლის მმართველი იქნება ლავ. არდაზიანი"<sup>[7]</sup>. აქედან ჩანს, რომ ლ. არდაზიანი ჟურნ. "ცისკარის" რიგითი თანამშრომელი კი არ იყო, არამედ 1862 წლიდან იგი ქართული და უცხოური სიტყვიერების განყოფილებას ხელმძღვანელობდა. აღსანიშნავია, რომ "ცისკარში" ლ. არდაზიანის გვერდით ერთ-ერთ განყოფილებას ხელმძღვანელობდა გრ. ორბელიანი.

\* \* \*

"სოლომონ ისაკიძე მეჯღანუაშვილის" გამოქვეყნების შემდეგ "ცისკარის" 1863 წლის ნომერში დაიბეჭდა ლ. არდაზიანის საყოფაცხოვრებო ხასიათის ვრცელი რომანი "მორჩილი". ამ ნაწარმოებში მაშინდელ თბილისში მცხოვრებ თავად-აზნაურთა ყოფაცხოვრების ფონზე გაშლილია ოჯახის (ცოლქმრული დამოკიდებულების), სიყვარულის თემა.

ნაწარმოების მთავარი გმირია ნასწავლი ქალიშვილი ალექსანდრა, რომელიც გამიჯნურებულია სამხედრო პირზე, მიხაკოზე. ალექსანდრასა და მიხაკოს გულწრფელად უყვართ ერთმანეთი. მათი სიყვარული შთაგონებულია არა მარტო ხორციელი სილამაზით, არამედ მაღალი სულიერი თვისებებითაც.

მაგრამ ამ გულწრფელ, სპეტაკ მისწრაფებას წინ ეღობება ალექსანდრას მშობლების – კონსტანტინესა და მარიამის – სურვილი. ესენი მაჭანკლის გავლენის ქვეშ არიან მოქცეული, ცდილობენ თავიანთი ქალიშვილი მიათხოვონ მათ მიერ მოწონებულ სასამართლოს ჩინოვნიკს, მდიდარ მებატონეს, თეიმურაზს.

ალექსანდრა მშობლების პატივისმცემელი და "მორჩილი" ქალია, მაგრამ იგი ვერ ეგუება იმ აზრს, რომ ცოლად გაყვეს მისთვის სრულიად შეუფერებელ პირს.

ალექსანდრა თავისუფალი სიყვარულის მოტრფიალე ქალიშვილია, რომელიც ვაჟისა და ქალის, ცოლისა და ქმრის

თანასწორუფლებიანობის პრინციპზე დგას. იგი ოჯახის კეთილდღეობის საფუძველს სიყვარულში ხედავს, მას სამართლიანად მაგს ისეთი ადამიანები, რომლებიც ქალს ოჯახში უყურებენ როგორც მონას, მოსახმარ ნივთს. ალექსანდრამ მოძებნა თავისი შესაფერი საქმრო. მაგრამ მისი სურვილი, მისწრაფება არ აღმოჩნდა საკმარისი. მშობლები მიხაკოს უპირისპირებენ თეიმურაზს, მაჭანკლის დახასიათებით იგი არის დიდი გვარიშვილი, ნასწავლი, მდიდარი, სასამართლოს კეთილშობილი მუშაკი. სინამდვილეში ამ დახასიათებიდან მას რჩება თავისი უშინაარსო გვარიშვილობა და გაქნილი ჩინოვნიკობა.

თეიმურაზი ქართველობას აღარ კადრულობს და "დიდ ხალხში" მოაქვს თავი. იგი ადამიანურ ღირსებას აბუჩად იგდებს. მას ცოლი წარმოდგენილი ჰყავს როგორც მონა-მორჩილი ქმრისა. ამის დასასაბუთებლად იგი ქრისტიანული "სჯულის" მორჩილების მორალს იშველიებს. მისი ასეთი შეხედულებანი ორგანულად დაკავშირებულია მაშინდელ ბატონყმურ ცხოვრებასთან. თეიმურაზი მებატონეთა იმ რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც მეფის სამსახურში შევიდნენ, ქალაქში "ნადვორნი სოვეტნიკები" გახდნენ და ამასთან ერთად შეინარჩუნეს მებატონის მხეცური სახე.

თეიმურაზი თავის ყმებს პირუტყვად თვლის. მათ ცემაში მას "ერთი კონა მათრახები" გაუცვეთია. დაბალი წრის ადამიანებს იგი, როგორც მისი მოსამსახურე გოჩუნა ამბობს, ადამიანებად არა თვლის, თეიმურაზი ფიქრობს, რომ განათლებისათვის მხოლოდ მაღალი წრის ადამიანია დაბადებული. იგი გაიძახის: "მაშ ჩემმა გოჩუნამ რომ იყოლიოს შვილები, ისინიც უნდა გავამეცნიეროთ?" მისი აზრით, მენახშირის შვილები "მამასავით მენახშირედ უნდა დარჩნენ".

მწერალი გმობს თეიმურაზის პიროვნებას და მას უპირისპირებს "მხნეობით და მეცადინეობით" სწავლამიღებულ, ომში გამობრძმედილ სამხედრო პირს, "პოდპოლკოვნიკ" მიხაკოს, რომელსაც თავისი მომავალი მეუღლე გულწრფელი სიყვარულით უყვარს როგორც თავისი თანასწორი.

მიხაკოს არა აქვს დიდი შეძლება, არც ისეთი დიდგვაროვანია, როგორც თეიმურაზი. მაგრამ თავისი ადამიანობით გაცილებით მაღლა დგას თეიმურაზზე. სწორედ ამ თვისებებით შეძლო მან ალექსანდრას მოხიბვლა, მის გულში ღრმა სიყვარულის აღძვრა.

მართალია, ალექსანდრა მოტრფიალეა თავისუფალი სიყვარულისა, იგი ცოლქმრობაში თანასწორობას მოითხოვს, მაგრამ მას არ შესწევს ძალა ყოველთვის და ყველგან თანმიმდევრულად დაიცვას თავისი შეხედულებები, ჩამორჩენილ, გზადაბნეულ

მშობლებს აშკარად წინაღუდგეს, არ დაემორჩილოს მათ მავნე სურვილებს. ასეთმა მორჩილებამ ის კინალამ დალუპა.

თავადაზნაურობის გვერდით ნაწარმოებში ვხვდებით დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებს – შინამოსამსახურეებს. ალექსანდრასა და მიხაკოს სიყვარულის პარალელურად, შედარებით მკრთალად, რომანში გამოხატულია მიხაკოსა და ალექსანდრას მოსამსახურეთა სიყვარული; როსტომსა და მარიკოს ერთმანეთი უყვართ. მოსამსახურეები წარმოდგენილი არიან, როგორც დიდი პატივისმცემელნი და მოსიყვარულენი თავიანთი ბატონებისა. ამ შემთხვევაში გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ თეიმურაზი თავისი შინაყმა გოჩუნათი, რომელსაც იგი "მხეცურად" ეპყრობა და მათ შორის არც სიყვარულია. მიხაკოსა და ალექსანდრას შეუღლებაში დიდი როლი შეასრულეს მოსამსახურეებმა, განსაკუთრებით ალექსანდრას მოსამსახურემ მარიკომ.

ასეთსავე როლში ხშირად ჰყავთ წარმოდგენილი მოსამსახურეები ცნობილ კომედიოგრაფებს (მოლიერს, ლოპე დე ვეგას, გოლდონს და სხვ.) მათს კომედიებში ბატონისა და ქალბატონის სიყვარულის გვერდით ხშირად ჩართულია მოსამსახურეთა სიყვარულიც, და ეს უკანასკნელნი ზოგჯერ გარკვეულ როლს ასრულებენ თავიანთი პატრონების შეუღლებაში. ასეთივე მდგომარეობაა ნ. ერისთავის კომედია "მუნწში"

ლ. არდაზიანი სრულიადაც არაა ძველი, პატრიარქალური, მავნე ოჯახური ტრადიციების, "მორჩილების" იდეის მომხრე. პირიქით, მისი აზრით, ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში სიყვარული, პიროვნების მისწრაფება მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, ბრმა მორჩილებამ შეიძლება ადამიანი დალუპოს.

ოჯახი, ლ. არდაზიანის აზრით, აგებული უნდა იქნეს სიყვარულისა და თანასწორობის პრინციპზე; სადაც ეს არ არის, იქ არც წესიერი ოჯახი შეიქმნება.

ლ. არდაზიანი "სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში", "მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზედ" უთუოდ მოჩანს, როგორც სხვების გამოკვეთის დახელოვნებული ოსტატი. ამ ნაწარმოებებში ყოველი სახე, ტიპი, სიცოცხლითაა სავსე, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით "მორჩილზე". მართალია, მასში ჩვენი მაშინდელი ცხოვრებიდან საინტერესო ამბავი და სახეებია გამოხატული, მაგრამ ამ ნაწარმოებში სიუჟეტი მხატვრული ბუნებრიობით ვერ ვითარდება და განმეორებებსაც აქვს ადგილი. ნაწარმოები გადატვირთულია ეპიზოდებით, ზოგჯერ თავები და ეპიზოდები ერთმანეთთან მექანიკურადაა დაკავშირებული. რომანში ადგილობრივი კოლორიტი მკრთალად მოჩანს. თეიმურაზი, მიხაკო, მარიამი, კონსტანტინე უფრო

სქემებს მოგვაგონებენ, ვიდრე ცოცხალ ადამიანებს. ამ მხრივ, როგორც აღნიშნავენ, გამონაკლისს წარმოადგენს მაჭანკალი ლიფსიმე და მოსამსახურე გოჩუნა. ” მორჩილში” მაჭანკლის სახე მხატვრული ოსტატობითაა დასურათებული.

\* \* \*

როგორია ლ. არდაზიანის სამწერლო ენა? ერთ თავის წერილში ლ. არდაზიანი ასეთ კითხვას სვამს. ” რატომ არ გვივარგა პროზა?” ამ კითხვას იქვე ფართო განმარტებას აძლევს: ”ორგვარი ფორმა გვაქვს ენისა: საღმრთო წერილისა და საერო (სახალხო), ფორმა საღმრთო წერილის ენისა საკუთრად არ არის მიჩნეული ფორმად ქართული ენისა, საღმრთო წერილი გადმოღებულია სიტყვა-სიტყვით ბერძნულ ენიდან. ამიტომ რომ არ შეიძლებოდა ნებსითი თარგმანი ღვთის სიტყვისა. ამასობაში კი უნებლიეთ შემოგვეპარა შიგადაშიგ რომელიმე ფორმა ბერძნული ენისა, სულიერნი მაშინ განსაკუთრებით წერდნენ მიბაძვით ამ წერილის ფორმით, და არავინ მოიფიქრა გარდაეცვალათ ეს ფორმა თავიანთ სიტყვაში საერო ენაზე. ამიტომ ეს ფორმა დარჩა ჩვენამდის უცვალელებელი პროზაში”.

ამავე წერილში ლ. არდაზიანი საღმრთო წერილის ენას უპირისპირებს საერო, სახალხო ენას: “ფორმა საერო ენისა, - წერს არდაზიანი, - სრულებით არ მიემგვანება საღმრთო წერილის ფორმას. საერო ენით ლაპარაკობდა ხალხი, სწერდნენ მოლექსენი და სხვა მწერალნი, მეფენი, მსაჯულნი. საერო ენა განვითარდა: დამტკიცებული სახსოვრები გვიწყვია თვალწინ.

როდესაც შემუსრეს ჩვენში ყოველი საერო სწავლა, წერილები და მწერალნი, მაშინ შეგვრჩნენ მხოლოდ მიმალულნი მონასტრებში საღმრთო სწავლა სულიერ მამათა წერილები. უკანასკნელ საუკუნეებში მრავალნი ერისგანი სწერდნენ უფრო საღმრთო წერილის ფორმით და მცირეოდენ, ისიც მოლექსენი, საეროს ენით. მოლექსენი არ მოწყვეტილან და ეს არი მიზეზი, რომ ჩვენი პოეზია განვითარებულია, მინამ პროზა”.

ბოლოს თავის შეხედულებებს მეტად საინტერესო დასკვნას უკეთებს: გამშვენიერებული პროზა შესაძლებელია მხოლოდ საერო ენაზე. საღმრთო წიგნურის ფორმაზე კი, გინდ ორი ათასს წელიწადს ყოველდღე გამოიცემოდეს ორი ათასი წიგნი, მაინც კიდევ პროზა იოტის ოდენ ვერ წავა წინ: იმიტომ, რომ, როგორც ვთქვით, იმისი ფორმები სრულებით არ მიუდგება ეხლანდელს ჩვენი ენის ფორმებსა. საჭიროა, რომ პროზა, პოეზია იწერებოდეს ერთის ენით. მაშინ დაწინაურდება ლიტერატურა”<sup>[8]</sup>.

ლ. არდაზიანი ერთმანეთისაგან მიჯნავს საეკლესიო, “საღვთო წერილის” ენასა და საერო, სახალხო ენას. მისი აზრით, როგორც პროზის, ისე პოეზიის ენა უნდა იყოს სერო, სახალხო ენა, რადგან იგი არის, არდაზიანის სიტყვებით რომ ვთქვათ, “ნამდვილი ძირეული ფორმა” ქართული ენისა.

არდაზიანი საეკლესიო წიგნების ენას არ თვლის ბუნებრივ ქართულ ენად. ამ ენაში, მისი აზრით, ბევრია ხელოვნური, არაქართული. ამ ენაზე მხატვრული ნაწარმოების, კერძოდ, პროზაული ნაწარმოების წერა შეუძლებლად მიაჩნია. იგი საღვთო წერილის ენას სთვლის ქართული პროზის განვითარების შემბორკავად.

ლ. არდაზიანი ილაშქრებს არქაული, საეკლესიო ენის დამცველთა წინააღმდეგაც. მათ საყურადღებოდ იგი წერდა: “გრძნობენ საღმრთო წიგნურის ენის სიმძიმესა და ურგებლობას და მასთანვე შიშობენ წერასა საერო ენის ფორმით”. მაშინ, როდესაც ჟურნ. “ცისკრის” ფურცლებზე გაბატონებული მდგომარეობა ეგრეთ წოდებული “ძველი თაობის” ადამიანებს, არქაისტებს ეჭირათ, საეკლესიო ენის წინააღმდეგ ასეთი აზრის გამოთქმა არ იყო იოლი. კონსერვატორთა ჯგუფიდან ლ. არდაზიანის ამ წერილის წინააღმდეგ გაილაშქრა ბარბარე ჯორჯაძემ. იგი “ცისკრის” ფურცლებზე წერდა: “ჩვენი საღმრთო წერილის ჰსწავლა არ არის, როგორც ფიქრობენ, გონების დამაბნელებელი, მაშ სხვა ქვეყნებში არ არის საღმრთო წერილები? არ უნდა გვესმოდეს ვინ შექმნა კაცი, ვინ იცნო ღმერთი, ვინ მოგვცა მცნება, სჯული ვისგან დაეწესა, რას ნიშნავს ქრისტიანობა, ვინ გამოიყვანა პირველ მეფედ და მიანიჭა გვირგვინი? რით იციან ესენი, თუ არა საღმრთო წერილებით, და თუ ეს იცის კაცმა, რათ არ იქნება ღვთის სიყვარული, მცნების დამარხვა და პატივისცემა” აქვე ბ. ჯორჯაძე აღშფოთებული ამბობს: “ ნუთუ მხოლოდ საქართველოს ისტორიაა საჭირო და სხვა კი არა”.

ბ. ჯორჯაძე თავს ესხმის ენის საკითხში ლ. არდაზიანის პროგრესულ შეხედულებებს. იგი საეკლესიო წიგნთა ენის უარყოფას მიიჩნევ საღვთო წერილის წინააღმდეგ გალაშქრებად. მან ამით ლ. არდაზიანს საკმაოდ მძიმე მდგომარეობა შეუქმნა.

არდაზიანი თავის ნაწარმოებებს წერს ნამდვილი ხალხური ენით (“მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზედ”, “სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი”, “მორიჩლი”, ლექსი “ფული”). მათი დამახასიათებელია ხალხური სისადავე და სიმართლე, ფრაზა, დიალოგი ხალხური საბაასო ენითაა გამართული. ამას გარდა, იგი ნაწარმოებში ხშირად იყენებს ხალხურ გამოთქმებს, ანდაზებსა და ხალხურ ჰანგზე წარმოქმნილ ლექსებს.

ლ. არდაზიანმა თავისი ნაწერებითვე ჭეშმარიტი გახდა თავისი თეორიული მოსაზრება, რომ ქართული პროზა შეიძლება განვითარდეს მხოლოდ ხალხურ ენაზე. ეს აზრი შემდეგ ქართული პროზის განვითარებამ დაადასტურა.

ამავე დროს ლ. არდაზიანი უპირისპირდება იმ მწერლებს, რომლებიც თავიანთ შემოქმედებაში მხოლოდ მაღალი არისტოკრატიული წრის წარმომადგენლების ცხოვრებასა და მისწრაფებებს გამოხატავდნენ. მწერლობა სისწორით უნდა ასახავდეს ცხოვრებაში მოქმედ ყოველ ადამიანს, განურჩევლად მისი სოციალური მდგომარეობისა. ლ. არდაზიანი სოლომონ მეჯღანუაშვილის პირით ამბობს: “ისტორია მოვალეა მისცეს ადგილი თავის სტრიქონებში გამოჩენილ პირსა, გინა იყოს იგი მეჯღანუას ცოლი”. მართლაც, სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის” მთავარ გმირად დაბალი წრიდან გამოსული სოლომონია გამოყვანილი, ხოლო “მოგზაურობაში” – გლეხი, რომელიც ნაწარმოებში იწოდება “ქალაქის ბიჭად”.

ლ. არდაზიანი დიდი მონდომებით გვიხატავს აღმავლობის გზაზე შემდგარ ვაჭართა კლასს (“სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი”), აგრეთვე ცხოვრებას შინამოსამსახურეებისას, რომლებიც ბატონთა ხელში პირუტყვის მდგომარეობას შენატრიან (“მორჩილში” გოჩუნა). მწერალს განსაკუთრებით მათი ცხოვრება აინტერესებს. იგი ბატონყმური ცხოვრებით ტანჯულ ადამიანებს ესარჩლება.

ლ. არდაზიანი თავის ნაწარმოებებში გაშლილ სოციალურ მოვლენებს უმთავრესად თბილისის ცხოვრების ფონზე გადმოგვცემს. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ იგი ჩვენი დედაქალაქის ცხოვრების ამსახველი პირველი ქართული პროზაიკოსია. მას ეხერხება ცხოვრების რთული მოვლენების სიცხველით გადმოცემა (“სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი”, “მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზედ”) ამას ხელს უწყობს ნაწარმოებებში ჩაქსოვილი მსუბუქი იუმორი. ამ მხრივ გამონაკლისს “მორჩილი” წარმოადგენს, სადაც მკრთალად ჩანს არდაზიანის მხატვრული სტილის ეს ნიშანდობლივი თვისება.

\* \* \*

ლ. არდაზიანმა მთელ თავის სიცოცხლეში მეფის მთავრობის ბიუროკრატიული აპარატის კანცელარიას ვერ დააღწია თავი, რამაც დიდად შეაფერხა მისი ნიჭის განვითარება. 1865 – 1866 წლებში ლ. არდაზიანი მსახურობდა თბილისის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიაში საქმისმწარმოებლად (ამ დროს თბილისის გენერალ-

გუბერნატორად იყო პოეტი გრიგოლ ორბელიანი). 1866 წლის დეკემბრის ბოლოს გენერალ-გუბერნატორის კანცელარია გააუქმეს, თანამშრომლები დაითხოვეს. მათ შორის ლ. არდაზიანიც. თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, 1868 წლიდან სიკვდილამდე ლ. არდაზიანი მუშაობდა თბილისის საოლქო სასამართლოში მდივნის თანამდებობაზე. იგი კანცელარიული მუშაობით იმდენად დატვირთული იყო, რომ დრო აღარ რჩებოდა მწერლობისათვის. თუ როგორ მიძიმე პირობებში უხდებოდა მას ცხოვრება, ამას გვიჩვენებს ლ. არდაზიანის გარდაცვალების შემდეგ სამსახურში მისი უშუალო უფროსის, ნიკო ჭავჭავაძის მიერ სამმართველოსათვის გაგზავნილი მოხსენებითი ბარათი არდაზიანის ოჯახისათვის პენსიის დანიშვნის თაობაზე: “განსვენებული ლ. არდაზიანი გამოირჩეოდა თავისი სამაგალითო ბეჯითობითა და მუყაითი, დაუღალავი შრომით, რომელმაც ის მიიყვანა სამარემდე. მისი მრავალრიცხოვანი ოჯახი სილატაკის გამო ჩავარდნილია საცოდავ მდგომარეობაში” და სხვ.

აკაკი წერეთელი დიდად აფასებდა ლ. არდაზიანის მხატვრულ ნიჭს. “სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილს” აკაკი ქართული პროზის საუკეთესო ნიმუშად თვლიდა. 1862 წელს პეტერბურგიდან საქართველოში ჩემოსვლისას აკაკი წერეთელი ეწვია ჟურნ. “ცისკრის” რედაქტორს ივ. კერესელიძეს. მან აქ პირველად გაიცნო როგორც ივ. კერესელიძე, ისე მასთან მყოფი ლ. არდაზიანი, რომელმაც მასზე სამშობლო ქვეყნის დიდად მოსიყვარულე, სათნო ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა. “თავგადასავლის” ბოლო ნაწილში, სადაც აკაკი ახასიათებს ჟურნ. “ცისკრის” თანამშრომლებს, ამბობს: “ყველაზე შესანიშნავი ნიჭის პატრონი იყო ლავრენტი არდაზიანი. ის იყო სადღაც ჩინოვნიკად, ჩუმი კაცი იყო და სათნო. მის ქართველობას საზღვარი არ ჰქონდა. ერთი შეხედვით არაფრით მოგეწონებოდა, მაგრამ შესანიშნავი მწერალი იყო”. აკაკის ასეთი შეხედულება ბოლომდე შერჩა ლ. არდაზიანზე, როგორც მწერალსა და მოქალაქეზე.

ლ. არდაზიანი გარდაიცვალა 1870 წლის 1 იანვარს, ფილტვების ანთებით, დაკრძალეს ვერის სასაფლაოზე.

\* \* \*

ლავრენტი არდაზიანმა ღრმად ჩაგვახედა მაშინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გვიჩვენა ნიჭიერი მხატვრის თვალთ შენიშნული ჩვენი ქვეყნის კაპიტალიზაციის პროცესი, მისი დამახასიათებელი ნიშნები, ბურჟუაზიის აღმოცენება და განმტკიცება საქართველოში. მწერალმა ამასთან ერთად ქალაქის ცხოვრების ფონზე



გამოხატა თავად-აზნაურთა ყოფაცხოვრება, მათი დაქვეითება და ამხილა ბატონყმური ცხოვრება.

ლ. არდაზიანმა XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში განამტკიცა რომანის ჟანრი, შექმნა ნარკვევის საინტერესო ნიმუში. იგი დაკვირვებული, მახვილი ალღოს მქონე რეალისტი მწერალია. მის მიერ შექმნილმა პერსონაჟებმა შემდეგ გამოხმაურება პოვეს ქართულ მწერლობაში.

\* \* \*

წინამდებარე ტომით სრულდება ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის დიდი მონაკვეთი, რომელიც სათავეს საუკუნის დასაწყისში იღებს და 60-იანი წლების საზღვრამდე აღწევს.

განსხვავებით არსებული ლიტერატურის ისტორიებიდან, რომლებშიც რაფიელ ერისთავის ლიტერატურული მემკვიდრეობა 50-იანი წლების პერიოდშია განხილული, - ჩვენ ქართველი კლასიკოსის შემოქმედების ანალიზი მომდევნო ტომში გადავიტანეთ, რადგან მისი პოეზიის მთავარი და არსებითი ტენდენციები უფრო მოგვიანებით იჩენს თავს.

თუ წინამდებარე ტომში განხილული გვაქვს რომანტიზმის განვითარების კანონზომიერებანი და ქართული რეალიზმის პირველი პერიოდი, მომდევნო ტომში ნაჩვენები იქნება 60-იანი წლების უღელტეხილზე გაღრმავებული და საუკუნის მანძილზე განვითარებული ქართული კრიტიკული რეალიზმის მძლავრი პროცესი, როგორც ქართული მხატვრული აზროვნების ახალი, უმნიშვნელოვანესი ეტაპი, მჭიდროდ დაკავშირებული ქართველი ხალხის გამათავისუფლებელ, დემოკრატიულ ტრადიციებთან.

---

<sup>[1]</sup> თ. ჟორდანიას, ქრონიკები, ტ. II, გვ. 349.

<sup>[2]</sup> “ცისკარი” 1859, №9, გვ. 78.

<sup>[3]</sup> ლიტერატურული მუზეუმი, საქმე 6975/4.

<sup>[4]</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 538.

<sup>[5]</sup> ლიტერატურის მუზეუმი, № 6080 –4.

<sup>[6]</sup> “ცისკარი”, 1861 № 4.

<sup>[7]</sup> “ცისკარი” 1862, № 10.

<sup>[8]</sup> “ცისკარი”, 1859, № 9.